

სტუდენტური საუნივერსიტეტო
სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

BATUMI SHOTA RUSTAVELI
STATE UNIVERSITY

სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

BSU STUDENT CONFERENCE PROCEEDINGS

მაისი
MAY 25-26 2018

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2018

UDC(უაკ) 378.4(479.223)(063)
ს-308

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 2019 წლის „საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისადმი“ მიძღვნილი კონფერენციის მასალები.

კრებული მრავალდარგობრივია, მასში შევიდა: ეკონომიკის, სამართალმცოდნეობის, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო, მედიცინის, გეოგრაფიის, აგრარულ, ზუსტ მეცნიერებათა, ასევე ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორის, ენათმეცნიერების მიმართულებით შექმნილი სამეცნიერო შრომები.

ვფიქრობთ, კრებული დააინტერესებთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა საქმიანობით დაინტერესებულ პირებს და, ზოგადად, მკითხველთა ფართე წრეს.

რედაქტორი: **მამია ფაღავა**

სარედაქციო კოლეგია:

მარინე გიორგაძე, ვლადიმერ ღლონტი, მარინა ქორიძე, ლევან ჯაყელი, ლელა თურმანიძე, გაიოზ ფარცხალაძე.

ISBN 978-9941-488-03-0
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2018

სამომხმარებლო კალათა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში

ნესტან ვარშანიძე; თამარ ვარშანიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკა, მე-2 კურსი
varshanidze.nestani@gmail.com
taam.varshanidze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია წიკლაშვილი,
ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს საქართველო ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას. ეკონომისტები სერიოზულად და აქტიურად მსჯელობენ სხვადასხვა კონცეფციებზე. მომხმარებელი და მისი ქცევები თანამედროვე ეკონომიკის კვლევის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. ამ თემის მიზანია უშუალო კავშირისა და გამომწვევი ფაქტორების დადგენა სამომხმარებლო კალათასა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურას შორის. კვლევის მიზანია დაახასიათოს და გაანალიზოს საქართველოში არსებული სამომხმარებლო კალათაზე გაწეული რეალური დანახარჯების მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: სამომხმარებლო კალათა, სამომხმარებლო დანახარჯები, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი (შემდგომში მშპ), რომელიც განმარტების თანახმად, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საოჯახო მეურნეობების მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი. თითოეული მათგანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშპ-ს ფორმირებაში;

თუმცა, თვალს თუ გადავავლებთ მიმდინარე პროცესებს, ვნახავთ რომ ნაკლებად აპელირებენ საოჯახო მეურნეობების მოხმარებასა და განსაკუთრებით, მის სტრუქტურაზე. იშვიათად თუ შევხვდებით მონაცემებს უშუალოდ რა კავშირი არსებობს ამ მაჩვენებელსა და ეკონომიკურ ზრდას შორის და განსაკუთრებით იმის შესახებ თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს პროცესი საერთო კეთილდღეობის ზრდაზე.

საოჯახო მეურნეობების მოხმარების დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორებიცაა შემოსავლები, მომხმარებლის მოლოდინები და მიდრეკილებები, სტიმულები და სხვა. თავის მხრივ კი გავლენას ახდენს, ასტიმულირებს წარმოების მიმართულებებს, ქმნის სოციალურ ამინდს და ასახავს ეკონომიკის პრიორიტეტებს. დიდი ხანია ადამიანი რეალურ ეკონომიკაში აღარ განიხილება, როგორც რაციონალურად მოაზროვნე. მის გადაწვეტილებებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები, არამედ არაეკონომიკურიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფსიქოლოგიური ასპექტი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია უშუალოდ შევისწავლოთ არა თეორიული, რაციონალურად გათვლილი მოქმედებანი, არამედ რეალური, იმპულსებითა და სურვილებით გამოწვეული. მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები ეყრდნობა სამომხმარებლო ფასების ინდესს (შემდგომში სფი). თავის მხრივ სფი-ზე გავლენას ახდენს ბაზარი, სადაც მთავარ როლს მოთხოვნა თამაშობს. სფი, სხვა დეტერმინანტებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინფლაციის განსაზღვრაში. ინფლაციის მაჩვენებელი კი ქმნის ეკონომიკური პროცესების მოსალოდნელ მნიშვნელობებს, აყალიბებს მოლოდინებს. მასზე დაყრდნობით გაიანგარიშება რიგი მაჩვენებლები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია თუ რამდენად მიყვება ჩვენ მიერ გაწეული რეალური დანახარჯები, გათვალისწინებულ სამომხმარებლო კალათას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ გავლენებზე, რომელსაც განსაზღვრავს მათ შორის განსხვავება.

2017 წლის მონაცემებით საქართველოში კერძო მოხმარება ნომინალური მშპ-ს 56,1 % შეადგენს. ამ ფონზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ არსებული დანახარჯების სტრუქტურაზე [Georgia Private...2017].

სანამ უშუალოდ რეალურ დანახარჯებს განვიხილავთ, საინტერესოა როგორი მეთოდოლოგიური მიდგომა გვაქვს საქართველოში. აქ მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კალათის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც,

2018 წლის განახლებული ფიქსირებული სამომხმარებლო კალათა ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების მონაცემებს და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგებს, რაც ასახავს დანახარჯების უახლეს სტრუქტურას. იგი წარმოადგენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს და ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის ხარჯების სტრუქტურას. ამჟამად, სამომხმარებლო კალათა შედგება 305 დასახელების სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისგან, რომლებსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა, მთლიანი მოხმარების პროპორციულად. დაჯგუფებულია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის“, COICOP- ის (Classification of Individual Consumption by Purpose) (იხ. დანართი 1). საშუალოდ, სტატისტიკურად ქართველი ყველაზე მეტს სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების შესაძენად ხარჯავს - 30,1 % საერთო ხარჯებიდან, ყველაზე იშვიათად კი ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ყიდულობს (3,4%). სასმელ-საკვების შემდეგ, სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტზე მოდის - 13,1%, შემდეგ ჯანმრთელობის დაცვაზე - 8,4%. მონაცემები გამოიყენება მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრაში. მაშინ როცა, მათი რეალური სოციალური და ეკონომიკური ღირებულების დადგენა ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად გვევლინება, საარსებო კალათა უხეში გათვლებითაც არ ჯდება ქვეყანაში არსებული საარსებო მინიმუმის ფარგლებში. საარსებო მინიმუმი ის მინიმალური მოცემულობაა, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის ყოველდღიურობაში [ინფლაციის გაანგარიშების…2017].

სამომხმარებლო კალათა შეიძლება ორი მიმართულებით გავყოთ, როგორც სასურსათო კალათა და დანარჩენი, არასასურსათო საქონელი და მომსახურება. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 20,6%-ია. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში სასურსათო კალათით განსაზღვრული კალორიების რაოდენობა წინააღმდეგობაში მოდის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული კალორიების დღიურ მინიმალური ნორმასთან _ 2450–2500 კ.კალორია (საქართველოში ეს მაჩვენებელი მიახლოებით 2200 კ. კალორიაა, თანაც მაღალკალორიული,

თუმცა ნაკლები ღირებულების მქონე და ჯანმრთელობისთვის ნაკლებად სასარგებლო პროდუქცია). აქედან გამომდინარე, ეჭქვეშ დგება რამდენად ასახავს სამომხმარებლო კალათა რეალობას.[მინიმალური ხელფასის…2016]

ხარჯების სიდიდე და სტრუქტურა დამოკიდებულია ორ კრიტერიუმზე: შემოსავლებისა და ფასების დონეებზე ქვეყანაში. საქართველოში იყო დრო, როცა სურსათზე მთელი შემოსავლების 2/3-ს ვხარჯავდით, ახლა კი 30%-ზე ცოტა მეტია. პროცესი ასევე დამოკიდებულია მოხმარების ზღვრულ მიდრეკილებაზე, რომელზეც მოქმედებს გადასახადები, საპროცენტო განაკვეთები, უძრავი ქონების ფასები, მომხმარებელთა მოლოდინები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ზღვრული მიდრეკილების მაღალი კოეფიციენტია, რაც განპირობებულია ისედაც დაბალი შემოსავლებით და აისახება დანაზოგის დაბალ დონეზე.

შემოსავლებისა და დანახარჯების ბალანსი გვაძლევს საერთო სურათს. ბოლო ასწლეულში გაიზარდა როგორც შემოსავლების, ისე დანახარჯების დონე. ეს ტენდენცია დამახასიათებელია თანამედროვე ცხოვრებისათვის, სადაც შემოსავლების დონისა და დანახარჯების განაწილების კანონი ეჭვქვეშაა. ამის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორებიცაა საქართველოში თანამედროვე, უკანასკნელი მოდელის ტექნოლოგიების გაყიდვის მაჩვენებლები. აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 1,2 მილიონი ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 0,9 მილიონი მსუბუქი ავტომანქანა. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის დაახლოებით 20%, 17 წლამდე ასაკისაა, გამოდის, რომ საშუალოდ, ქვეყანაში ყოველი მესამე ზრდასრული მოსახლე ერთზე მეტ ავტომობილს ფლობს. ეს მაჩვენებელიც ხაზს უსვამს შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის უარყოფით ბალანსს. ამასვე მეტყველებს, 2017 წლის ძირითადი საიმპორტო პროდუქციის სტრუქტურულ ჭრილში მსუბუქი ავტომობილების (6,0 %) და სატელეფონო აპარატების (2,6%) მაჩვენებლები. ეს მაშინ, როცა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის მონაცემებით საქართველოში 100 ლარზე დაბალი ხელფასი აქვს 25 001 ადამიანს, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასი 62 681-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმზე დაბალი კი 130 282 ადამიანს. როგორც ვხედავთ, დანახარჯები და შემოსავლები განსხვავ-

დება ერთმანეთისაგან, შეინიშნება ე. წ. დემონსტრაციული მოხმარება, რომელიც მოგვაგონებს მოდიფიცირებულ „ვებნერის ეფექტს“, რომელშიც აღარ ფიქსირდება მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა (მსხვილი მესაკუთრეები) [საქართველოს საგარეო…2017].

საინტერესოა, რით აიხსნება ეს მოცემულობა. ამის მთავარ მიზეზად ობიექტურად შეიძლება დავასახელოთ იმ სესხების მოცულობა, რომელიც დღევანდელ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბანკო დავალიანების მქონე მოსახლეობის სიჭარბით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ჩვენთან ყოველ 1000 კაცზე 676 მოსახლეს აქვს ბანკის ვალი (2015წ). ფიზიკური პირების სესხები კომერციული ბანკების მიმართ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 19,7 მილიარდ ლარს შეადგენს. ეს კი, გასულ წელთან შედარებით 1,4 მილიარდით არის გაზრდილი. ამას ემატება ბოლო დროს აქტუალური ონლაინ სესხები და მიკროსაფინანსო კომპანიები. არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ მოსახლეობის რა რაოდენობას რა მოცულობის სესხი აქვს აღებული მსგავსი ორგანიზაციებიდან. ფაქტი რომ გაცემულ სესხთა უმრავლესობა სამომხმარებლო ხასიათისაა და მიმართულია მომხმარებელთა მოკლევადიანი მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად, ართულებს და აუარესებს გადახდისუნარიანობას. მაჩვენებლები საგანგაშო არ იქნებოდა მიმართული რომ იყოს გრძელვადიან ან საშუალოვადიან აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობასთან, რომელიც, პირიქით, გაზრდიდა როგორც კერძო პირის, ისე საერთო კეთილდღეობას [ბანკის ვალის...2017].

ამ მხრივ ჩვენ საქართველოში არსებული მდგომარეობა შევადარეთ ამერიკასა და ესტონეთში არსებულ მოდელებს. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღებას დადებითად უნდა იმოქმედოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განკარგვადი შემოსავლების ზრდაზე. ეს თავის მხრივ აისახება სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურაზე. ესტონეთში ფისკალური პოლიტიკის გავლენა ძირითადად აისახა რიგ საგადასახადო სისტემის ცვლილებებში (პროგრესული გადასახადის შემოღება, საშემოსავლო გადასახადის შემცირება, მოგების გადასახადის რეფორმა). შედეგად ესტონეთში გაიზარდა მოხმარების საერთო დონე, დანახარჯებთან ერთად. დანახარჯების სტრუქტურა ძირითადად მიყვა შემოსავლების ზრდის დამოკიდებულებას,

რადგან ეს განპირობებული იყო მათ შორის არსებული კავშირის კოეფიციენტზე. ეს კოეფიციენტი აერთიანებს ისეთ ფაქტორებს როგორებიცაა, რეალური შემოსავლების ზრდა, მომხმარებლის ზღვრული დამოკიდებულებები მოხმარებასა და დაზოგვას შორის, რეალური დანახარჯების კომპონენტების ცვლილებები. საქართველო ამ პროცესის საწყის ეტაპზეა, თანაც სხვა მოცემულობებითა და მომხმარებლის განსხვავებული დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რაც აუცილებლად აისახება შედეგებზე.

თავდაპირველად შევისწავლეთ არსებული სიტუაცია, სახელმწიფო მიდგომები და საკანონმდებლო რეგულაციები. შემდგომ კი ჩავატარეთ მიზნობრივი კვლევა. კვლევის მიზანია დაახასიათოს და გაანალიზოს საქართველოში არსებული სამომხმარებლო კალათაზე გაწეული რეალური დანახარჯების მაჩვენებლები. კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თვისობრივ-რაოდენობრივი კვლევისა და პირისპირ ინტერვიუს მეთოდები. კვლევის ტექნიკად არჩეულ იქნა ანკეტირების მეთოდი, გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით (იხ. დანართი 2). გამოკითხვა ჩავატარეთ ლოკალურ დონეზე და ასევე ინტერნეტ სივრცეში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 120 ადამიანი. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის აპრილის თვეში. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა: გამოკითხულთა საშუალო შემოსავლების დადგენა; გაწეული ყოველთვიური დანახარჯების სტრუქტურა; შემოსავლებისა და დანახარჯებისადმი დამოკიდებულების დადგენა; დამატებითი რესურსების მობილიზების დონის დადგენა; არსებობის შემთხვევაში მისი მიზნობრიობის დადგენა. მონაცემთა ანალიზისას გამოყენებულ იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკის მეთოდები: სიხშირეებისა და პროცენტების გამოთვლა.

კითხვარი შედგებოდა დემოგრაფიული მონაცემებისაგან (ასაკი; სქესი) და 6 დახურული შეკითხვისგან. (იხ. დანართი 2)

თუ გავითვალისწინებთ დღეს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და ასევე იმას, რომ გლობალიზაციის პროცესში განვითარებასთან ერთად იზრდება ადამიანთა მოთხოვნილება, არც არის გასაკვირი ფაქტი: გამოკითხულთა 56,7% თვლის, რომ მისი შემოსავალი არ არის საკმარისი ხარჯების დასაფარად, ხოლო ნაწილობრივ საკმარისად მიიჩნევს - 29,2 %. როგორც ვხედავთ,

მხოლოდ 14,1 % მიიჩნევს რომ არსებული შემოსავალი საკმარისია ცხოვრების დონის დაკმაყოფილებისათვის.

თუ შევხედავთ მონაცემებს, შევნიშნავთ რომ დაბალშემოსავალიანი და საშუალოზე მაღალშემოსავალიანი მოსახლის ხარჯების სტრუქტურა თითქმის ერთნაირია. საკვებზე, ტანსაცმელსა და ტექნიკაზე დაბალშემოსავლიანი იგივე პროცენტულ მაჩვენებელს ასახელებს, რასაც მაღალშემოსავლიანი. დაბალი ანაზღაურების მქონე ინდივიდები შემოსავლის დაახლოებით 40-60 პროცენტს ხარჯავს საკვებში, ძალიან მცირე ნაწილი იხარჯება ჯანდაცვა-განათლებაზე და დარჩენილი ნაწილი ნაწილდება კომუნალურებსა და ტექნიკაზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა გამოკითხვის პროცესში ახსენებდა პირად ავტომობილზე გაწეულ საკმაოდ მაღალ დანახარჯებს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ საწვავისა და სხვა საავტომობილო მომსახურების ხარჯებს, სავსებით ობიექტურად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პირადი ავტომობილის ქონა ფუფუნების საგანია. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არსებული ავტომობილების უმეტესობა ძვირადღირებული მარკისაა, რაც კონფლიქტში მოდის არსებულ შემოსავლებისა და სიღარიბის დონესთან.

რაც შეეხება საბანკო-საფინანსო მომსახურებით სარგებლობას, რომელსაც უმეტესობა იყენებს ტექნიკის, ავეჯის და სხვა ფუფუნების საგნებისათვის, ან სხვა გადაუდებელი სიტუაციებისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან გამოკითხულთა 59,1 % აღებული აქვს სესხი ან ბანკიდან, ან მიკრო-საფინანსო კომპანიისგან, ან სარგებლობს ონლაინ სესხებით. ძალიან მცირე ნაწილი ასახელებს სესხის დანიშნულებად საკვებს, ჯანდაცვას. ასევე საყურადღებოა, რომ მცირე რაოდენობა ასახელებს ბიზნეს და იპოთეკურ სესხს. ამასთან ერთზე მეტი სახის სესხი აღებული აქვს გამოკითხულთა 46,4%-ს.

თუ ამ ყველაფერს შევაჯამებთ, აშკარა გახდება რომ ადამიანების უმრავლესობა არარაციონალურად მოქმედებს. თითქოს პარადოქსია ის რომ დაბალ ანაზღაურებადი ინდივიდის ხარჯი თითქმის ანალოგიურია მაღალ ანაზღაურებადი ინდივიდის ხარჯისა. თუმცაღა კვლევამ აჩვენა, რომ რეალური სურათი. აღსანიშნავია განმაპირობებელი 3 მიზეზი: პირველი ის, რომ სარგებლობენ დამატებითი ფულადი საშუალებებით (სესხი/განვადება და ა.შ), რათა დაიკმაყოფილონ ის მოთხოვნილება რომელიც ფუფუნების საგნებისადმი უჩნდებათ. ეს კი თავის მხრივ დამატებით ხარჯს ნიშნავს, რომლის

გადახდა შემდეგ ძალიან რთულდება, რადგანაც საქმე გვაქვს საპროცენტო განაკვეთთან, ინფლაციასთან და სხვა ეკონომიკურ მოვლენებთან, რომლის წინასწარ პროგნოზირებაც ხშირ შემთხვევაში არ/ვერ ხდება. სამომხმარებლო კალათა იმ მინიმალურ პროდუქტსაც კი ვერ აღწერს, რაც არა მხოლოდ შრომისუნარიანი ადამიანისთვის, არამედ ზოგადად ინდივიდის არსებობის და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანია, რასაც არაერთი კვლევა და ეკონომისტი ადასტურებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯანსაღი პროდუქციის შესაძენად არსებული თანხა, რომლებსაც ასახელებდნენ ადამიანები დღესდღეობით არასაკმარისია, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ გენმოდიფიცირებულ, არაჯანსაღ, იაფ, იმპორტირებულ საქონელ პროდუქციას მოიხმარენ. რაც აზარალებს არა მხოლოდ ადამიანს, არამედ, თავის მხრივ, ეკონომიკასაც. მეორე მიზეზია ის, რომ შემოსავალთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციას გვაწოდებდნენ. ეს გვაფიქრებინა ინტერვიუს დროს იმ ფაქტების დასახელებამ, რის მიხედვითაც რიგი პიროვნებების შემოსავლები იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გვისახელებდნენ. ეს ადასტურებს, რომ ქვეყანაში კიდევ არსებობს ჩრდილოვანი ეკონომიკა. და მესამე, თვითდასაქმებული ადამიანები თავს დაუსაქმებლად თვლიან.

დასკვნა

არსებობს პრობლემები სამომხმარებლო კალათის, შემოსავლების გადანაწილებისა და დანახარჯების სტრუქტურებში. საზოგადოება თავის ისედაც დაბალ შემოსავალს არამიზნობრივად იყენებს. მოხმარების სტრუქტურაზე გავლენას ახდენს დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომლებიც გაგვაჩნია. განათლებისა და თვითშეგნების დაბალი დონე, საზოგადოების მიდრეკილება ფუფუნების საგნებზე უფრო მაღალია, ვიდრე არსებული საჭირო რესურსები. არამიზნობრივი სესხები მაღალი პროცენტულლობით ხასიათდება ნაკლებად გადახდისუნარიან მოსახლეობაში, რომლის დაფარვაც დამატებითი ტვირთია.

თემის შესწავლისას საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე ერთ–ერთ მიზეზად მოგვევლინა, რასაც აშშ-ში ჩატარებული კვლევაც ადასტურებს.

ესტონურ მოდელზე დაყრდნობა არაა სანდო, რადგან მოხმარების მიდრეკიდების არსებული მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე ესტონეთში.

როგორც ვხედავთ, კავშირი მაღალია სამომხმარებლო კალათით განსაზღვრულ მოცემულობასა და ისეთ მაჩვენებლებს შორის, როგორიცაა: საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი, სოციალური დახმარებები, პენსიები და სხვა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის სიცოცხლიაუნარიანობასა და მსყიდველობითუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება თუ სწორი მეთოდოლოგიით გამოთვლილი მაჩვენებლები მხოლოდ საჩვენებელ ფუნქციას არ დასჯერდება და გათვალისწინებული სხვა ინდექსებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Georgia Private Consumption: % of GDP. www.ceicdata.com.2017. მოძიებულია აპრილი, 2018 წელი. https://www.ceicdata.com/en/indicator/georgia/private-consumption--of-nominal-gdp

2. ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2017. მოძიებულია აპრილი, 2018 წელი. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202017.pdf

3. მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. 2016. http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3992.pdf

4. „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2017 წლის იანვარ-სექტემბერი“, საქსტატი. 2017. მოძიებულია აპრილი, 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_9_month_final.pdf

5. დუნდუა მიხეილ, „ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის სიჭარბით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა“, (მაისი 2017), მოძიებულია 2 აპრილი, 2018 წელი, https://bpn.ge/finansebi/34730-bankis-vali-mqone-mosakhleobis-sitcarbith-saqarthvelo-msoflioshi-meore-adgilzea.html?lang=ka-GE

6. U.S. Bureau of Labor Statistics, (May 2011) „Differences between the Consumer Price Index and the Personal Consumption Expenditures Price Index“, მოძიებულია 01 აპრილი, 2018 წელი, https://www.bls.gov/opub/btn/archive/differences-between-the-consumer-price-index-and-the-personal-consumption-expenditures-price-index.pdf

დანართი 1

სამომხმარებლო კალათა 2018

COICOP კოდი	დასახელება	პროცენტული მაჩვენებელი
01	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30,3 %
02	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6,7 %
03	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3,6 %
04	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8,5 %
05	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	6,4 %
06	ჯანმრთელობის დაცვა	8,6 %
07	ტრანსპორტი	12,6 %
08	კავშირგაბმულობა	3,9 %
09	დასვენება, გართობა და კულტურა	5,8 %
10	განათლება	4,6 %
11	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4,0 %
12	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5,1 %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დანართი 2

კ ი თ ხ ვ ა რ ი

1. **ასაკი:**
2. **სქესი:** მდედრობითი ☐ მამრობითი ☐
3. **ხართ თუ არა დასაქმებული?**

არა ☐

დიახ, კერძო სექტორში ☐

დიახ, საჯარო სექტორში ☐

4. **საშუალოდ რამდენია თქვენი თვიური შემოსავალი?**

დაბალი (0-450 ლარი] ☐

დამაკმაყოფილებელი (450- 700 ლარი] ☐

საშუალო (700-950 ლარი] ☐

საშუალოზე მაღალი (950 - ∞ ლარი) ☐

5. **შემოსავლების რა რაოდენობა ნაწილდება შემდეგ კატეგორიებზე:**

- საკვები ☐
- ტანსაცმელი ☐
- ჯანმრთელობის დაცვა ☐
- ტრანსპორტი ☐
- განათლება ☐
- კავშირგაბმულობა ☐
- დასვენება, გართობა, კულტურა ☐
- სხვა საქონელი და მომსახურება ☐

6. **როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა თქვენი შემოსავალი და გაწეული ხარჯები ცხოვრების მინიმალური დონის დასაკმაყოფილებლად?**

არა ☐ ნაწილობრივ ☐ დიახ ☐

7. **გისარგებლიათ თუ არა საფინანსო სექტორის მომსახურებით (ბანკის სესხი, მიკროსაფინანსო ან ონლაინ სესხები)?** ☐

8. **(დადებითი პასუხის შემთხვევაში) რა სახის დანახარჯებისთვის?**

სამომხმარებლო - საკვები ☐

სამომხმარებლო - ტექნიკა ☐

სამომხმარებლო - ჯანმრთელობა ☐

სამომხმარებლო - სხვა გადაუდებელი სიტუაცია ☐

იპოთეკური ☐

ბიზნეს სესხი ☐

გამოკითხულ რესპოდენტთა დემოგრაფიული მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა,

სქესი: ასაკი:





კითხვა 3. ხართ თუ არა დასაქმებული?



კითხვა 4. საშუალოდ რამდენია თქვენი თვიური შემოსავალი?



კითხვა 5. შემოსავლების რა რაოდენობა ნაწილდება შემდეგ კატეგორიებზე:



კითხვა 6. როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა თქვენი შემოსავალი და გაწეული ხარჯები ცხოვრების მინიმალური დონის დასაკმაყოფილებლად?



კითხვა 7. გისარგებლიათ თუ არა საფინანსო სექტორის მომსახურებით (ბანკის სესხი, მიკროსაფინანსო ან ონლაინ სესხები)?



კითხვა 8. (დადებითი პასუხის შემთხვევაში) რა სახის დანახარჯებისთვის?



შენიშვნა: პასუხების ჯამი აჭარბებს 100%-ს, რადგან დასაშვები იყო კითხ-ვაზე რამდენიმე პასუხის გაცემა.

Varshanidze Nestan; Varshanidze Tamar

Consumer Basket and Structure of Consumer Expenditure in Georgia

Abstract

Today Georgia faces economic challenges. Economists are seriously and actively discussing various concepts. User and its behaviors are one of the leading directions of modern economics research. The objective of this theme is to identify the direct link between the consumer basket and consumer expenditure structure. The goal of the research is to characterize and analyze the real expenditures on the consumer basket in Georgia.

Key Words: Consumer basket, Consumer spending, The marginal propensity to consume

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა საქართველოში

ხათუნა თურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სპეციალობა ეკონომიკა, III კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯემალ ანანიძე,
ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) მოწვეული მასწავლებელი.

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი) ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკების ზრდის მამოძრავებელი ძალაა და მისი შესწავლა და ანალიზი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის. კვლევა აგებულია საქართველოს მაგალითზე. კვლევის ობიექტად გვევლინება საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

<u>საკვანძო სიტყვები:</u> პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ინვესტორი; რეინვესტირება; ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი პოლიტიკა.

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უცხოური ინვესტიციები, შიდა ინვესტიციებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ კვლავწარმოების პროცესში და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

უცხოური ინვესტიციები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ხორციელდება, მაგრამ, მათი მოზიდვის პოლიტიკა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ უზრუნველყონ

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. უცხოური კაპიტალის მოდინება, პირველ რიგში, კონკურენტუნარიანობის წყაროს წარმოადგენს როგორც უცხოური ინვესტორების, ისე იმ ეკონომიკებისათვის, რომლებიც ღებულობენ ამ ინვესტიციებს.

საქართველოსა და აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელი განაპირობებს. საქართველოს მაგალითზე, ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ მისი მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად წერა-კითხვისა და დიპლომიანთა თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებლისა მოსახლეობის ერთ სულზე); ქვეყანაში ორი კონფლიქტური რეგიონია; დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე დაუმარცხებელია პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა. თუმცა, არსებობს პოზიტიური მხარეებიც, როგორებიცაა: ეკონომიკის ლიბერალიზაცია (მე-16 ადგილი 2018 წლის ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 152 ქვეყანას შორის), ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ხარისხობრივი, თვისობრივი, სტატისტიკური ანალიზის, ინდუქციური, დედუქციური.

ნაშრომი ეყრდნობა ქართულ და უცხოურ მეცნიერთა გამოკვლევებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით; საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მრავალ სხვა ორგანიზაციებში მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ საქართველოსთვის) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდ-

ვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს (UNCTAD, 2012, 2013), რადგანაც სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რაც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნები, (მაგ.: საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ.: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს (პაპავა ვ. 2007).

მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა რომელიმე ქვეყანას (საუბარია განვითარებად ქვეყნებზე), კონკრეტულ მომენტში, გარკვეული ფინანსური დახმარება (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით), როგორც წესი, ისინი ადვილად თანხმდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან გარკვეული „დახმარების“ მიღებას (ეს შესაძლოა იყოს სესხიც), რადგანაც ამ ფულად სახსრებს, „პაკეტში“, როგორც წესი, თავად ფულად რესურსზე ბევრად მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოჰყვება. კერძოდ: ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

ინვესტიციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (რა თქმა უნდა, მათ მოცულობასთან ერთად), რადგანაც დიდწილად, სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება შეძლოს.

1997-2010 წლებზე დაკვირვებით თურქმა ეკონომისტებმა: გუერსოიმ და ქალიონჩუმ (Gursoy F., Kalyoncu H, 2012) საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი გამოიკვლიეს და დადგინეს, რომ სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად,

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა საქართველოშიც მჭიდრო კავშირშია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და მთლიან შიგა პროდუქტს შორის უკუკავშირის ახსნას ცდილობდნენ პრაკაშ ლუნგანი და ასაფ რაზინიც (Loungani P., Razin A, 2011), კერძოდ:

1. პირველ რიგში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხორციელდება ტექნოლოგიების შემოდინება. ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების გზით საქონლის ხარისხის ამაღლება (თუმცა შესაძლოა, ადგილობრივი მცირე მეწარმეები დაზარალდნენ);

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს თან სდევს ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში, რაც ამაღლებს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას;

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით გამოწვეული (კორპორაციული) მოგების ზრდა ქვეყანაში იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც (თუმცა, არა მაშინ, როდესაც ტნკ-ები მცირე ბიზნესის „განადგურებით“ იკავებენ ბაზარზე მათ კუთვნილ ადგილს).

ჩვენი აზრით, მიუხედავად თვალნათელი დადებითი შედეგებისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ნეგატიური შედეგების მოტანაც შეუძლია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად: დიდი ინვესტიციის ხარჯზე მცირე და საშუალო ბიზნესის დაზარალება. თუმცა ბაზრის სიცარიელიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე საქართველოს ასეთი საშიშროება არ ემუქრება და არც მომავალ ათწლეულშია მოსალოდნელი.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციებიდან მიღებულ დადებით ეფექტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი თანამდევი დადებითი ეფექტები შეგვიძლია მივიჩნიოთ: ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება; ეკონომიკური ზრდა; ადგილობრივი მონოპოლიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსპობა; საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

საქართველოს მაგალითზე რთულია საუბარი (სტატისტიკის უქონლობის გამო) იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ტექნოლოგიური და ინოვაციური სფერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით საქართველოს სარეიტინგო პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა

და 71-ე ადგილიდან 68-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა 127 ქვეყანას შორის (2017წ.). თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ისეთი დარგი, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო სფერო, სწორედ ტექნოლოგიურ სიახლეებზეა დაფუძნებული და საკმაოდ წარმატებულია. მიუხედავად ამისა, ყოველწლიური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ის მაინც უმნიშვნელო ადგილს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივებიდან და შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ, კერძოდ: შემთხვევას, როდესაც უცხოური ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამა, თუ იმ ქვეყანაში ახორციელებენ, შემდგომ ქირაობენ ადგილობრივ კადრებს და ასწავლიან მათ ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკისა და ა.შ. გამოყენებას - ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects).

ამ ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლებელია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც იყოს (Konings, J, 1999).

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხვავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical Spillover Effects) უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივებისათვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.

მთლიანობაში კი, შესაძლოა ითქვას რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მრავალი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია, როგორც პირდაპირი (ვერტიკალური გადადენის ეფექტი), ასევე არაპირდაპირი (ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი) გზით, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ უმკლავდება ადგილობრივი საინვესტიციო „მოთხოვნილებების და საჭიროებების“ დაკმაყოფილებას.

საქართველოში შემოდინებული და საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეიძლება

ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და ქართულის გადინება ($ მლნ)



წყარო: <u>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</u>.

კაპიტალის გადინება($ მლნ)



წყარო: <u>https://tradingeconomics.com/georgia/capital-flows</u>

საქართველოდან საზღვარგარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მასშტაბური მოცულობით გადინება 2012 წელს განხორციელდა, რაც შესაძლებელია ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით და ქართველი ინვესტორების მხრიდან სახსრების საზღვარგარეთ (შედარებით უსაფრთხო ადგილას) დაბანდების სურვილით აიხსნას.

განვიხილოთ საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა 2015-2017* წლებში. საბოლოო სურათი შემდეგია: სააქციო კაპიტალმა - $315,7 მლნ შეადგინა; რეინვესტიციამ - $235,9 მილიონს, ხოლო სავალო ვალდებულებებმა კი $42,9 მილიონს მიაღწია.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ინვესტიციების უდიდესი ნაწილი სააქციო კაპიტალზე მოდის და 1997 წლიდან მოყოლებული, სიდიდით ყველაზე დიდ წილს იკავებდა ყოველთვის (პიკი 2008 წელს - $1,1 მლრდ). მოცემული ვითარება, მარტივად აიხსნება ამ წლების განმავლობაში თითქმის ყველა დიდ და საშუალო ორგანიზაციაში უცხოელი ინვესტორების მიერ წილების შეძენის გარემოებით. ხშირ შემთხვევაში ქართველი მეწილეები, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თავად ცდილობდნენ თავიანთი ბიზნესი უცხოელ მეწილეებზე გადაეფორმებინათ, რადგანაც უცხოელებს ნაკლებად ეხებოდა ჩამოყალიბებული პოლიტიკური წნეხი.

უცხოელი ინვესტორების მოზიდვის ნათელი მაგალითა საბანკო სფერო, სადაც დღეისათვის მოქმედი 21 ბანკიდან, თითოეულში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული და ხშირ შემთხვევაში, ქართული მხარის (ოფიციალური) წილობრივი მონაცემები არათუ საკონტროლო პაკეტით, არამედ მინიმალური დოზით შემოიფარგლება.

აღნიშნული იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ აუცილებელია საქართველოს მთავრობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკა ჰქონდეს, რომლის ფარგლებშიც, ის დამატებით ახალი სახსრების მოზიდვას შეძლებს. ასეთი ტიპის ქმედება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტებს ითვალისწინებს, როგორებიცაა: კონკურენციის ხელშეწყობა (კონკურენციის სააგენტოს გააქტიურების გზით), ახალი კონტაქტების ჩამოყალიბება (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებთან), სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება (მაგ.: სასამართლო სისტემის დახვეწა, საკუთრების უფლებების მკაცრი დაცვა, სტაბილური პოლიტიკური გარემო...) და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რეინვესტირებული კაპიტალის მასშტაბებიც. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსავლების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება, რეინვესტირებული კაპიტა-

ლის სახით ქვეყანაში დარჩენილი შედარებით მცირე სახსრებიც კი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს საინვესტიციო ნაკადების ფორმირებაში.

საქსტატის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორული გადანაწილება 2017*წლის იყო შემდეგნაირი ტრანსპ./კავშირგაბ. - $527,1 მლნ; საფინანსო სექტორი - $304,3 მლნ; მშენებლობა - $ 294,6 მლნ (იხ. დიაგრამა #3)

საინტერესოა, რომ საქართველოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული სახსრების მხოლოდ 1% მოდის, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება.

აღსანიშნავია, რომ 1996 წელს უკრაინიდან პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოპოვების შემდგომ, საქართველო მრავალი ქვეყნის დაინტერესების წყაროდ იქცა. განსაკუთრებული დაინტერესება 1997-2003 და 2010 წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიჩინა (ინვესტიციური ნაკადების მოცულობიდან გამომდინარე). 2017 წლის 9 თვეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 1,346.5 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. 2017 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 17.6%-ით გაიზარდა და 594.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

დიაგრამა #3

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების იხედვით 2017* წელს



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მშპ-სთან მიმართებაში განხილვა(იხ. დანართი #3). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის განახლებული ანგარიშის მიხედვით, (2017 წლის 7 ნოემბერი), 2017 და 2018 წლებში საქართველოს ეკონომიკა 4.5%-ით გაიზრდება. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2017 წლისთვის 0.6, ხოლო 2018 წლისთვის 0.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

ქვეყნის განვითარების დონის დასახასიათებლად მხოლოდ დადებითი წმინდა ინვესტიციური ნაკადებისა და მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლები არაა საკმარისი. ან პირიქით, ზოგიერთი ქვეყანა არამხოლოდ მაღალ მთლიან შიგა პროდუქტს, არამედ ერთ სულზე გაანგარიშების შემთხვევაშიც კი ვერ ახერხებს დადებითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსის მიღწევას, მიუხედავად იმისა, რომ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას. უფრო მეტიც, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეტო მაჩვენებლის გაუმჯობესებას შესაძლოა მოცემულ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესება მოჰყვეს, თუკი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდება (Buckley and Castro, 1998). საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ საინვესტიციო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმასთან მჭიდრო კავშირში, სადაც გათვალისწინებული იქნება ქვეყანაში არსებული მაკრო და მიკროეკონომიკური მდგომარეობა და ის გარე ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მოქმედებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ვერ მოვიზიდავთ საჭირო რაოდენობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რაც ეკონომიკური განვითარების ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ქვეყანაში საინვესტიციო რესურსის სიმცირის გამო, აგრეთვე უცხოური გამოცდილებებისა და სარეალიზაციო ბაზრის უკეთ ათვისების, წარმოებისა თუ მომსახურეობის სფეროში კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ჩვენი ძირითადი მიზანი იყო დაგვედგინა კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მშპ-ს შორის, ასევე კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ქვეყანაში დასაქმებას შორის.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა დამოკიდებულების ის ძირითადი პარამეტრები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა გაგვეთვალა დამოკიდებულებათა მიხედვით, მომავალი პროგნოზი, კერძოდ სასურველი შედეგისათვის (მაგალითად მშპ- მომავალი სასურველი საპროგნოზო შედეგისათვის) საჭირო მინიმალური უცხოური ინვესტიციები ან პირიქით, თუ შევძლებდით გაგვესაზღვრა ინვესტიციების მოსალოდნელი დონე, ამის შესაბამისად გაგვეთვალა მშპ-ს მოსალოდნელი ზრდა. გათვლა გაკეთდა ეკონომეტრიული მეთოდებით, სადაც ძირითადი ყურადღება გაკეთდა კორელაციულ დამოკიდებულებასა (r) და ფაქტორისა და შედეგის ურთიერთგავლენის სიმჭიდროვის (K) მიხედვით.

გათვლების შედეგად მივიღეთ, რომ

პუი და მშპ-ს შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური პირდაპირი კავშირი, ანუ ფაქტორის (ინვესტიციის) ზრდა იწვევს შედეგის (მშპ-ს) იგივე მიმართულებით ცვლილებას, ანუ ზრდას, რაც იყო მოსალოდნელი. ხოლო ამ კავშირის დადგენით მოსალოდნელია მომავალი საპროგნოზო გათვლების გაკეთებაც (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

კორელაცია ინვესტიციებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის

N	x	y	d_x	d_y	bd_x	y_x	d_x^2	d_y^2	d_x*d_y	$\lvert d_y-bd_x \rvert$
	ინვესტიცია	მშპ	$(x_i/x_{min})-1$	$(y_i/y_{min})-1$		$y_x=y_{min}(1+bd_x)$ თეორიული მნიშვნელობა				
2010	**845,1**	**20743,4**	0,0000	0,0000	0,0000	20743,40	0,0000	0,0000	0,0000	0,0000
2011	1130,3	24344	0,3375	0,1736	0,2135	25173,11	0,1139	0,0301	0,0586	0,0400
2012	1022,9	26167,3	0,2104	0,2615	0,1331	23504,98	0,0443	0,0684	0,0550	0,1283
2013	1020,6	26847,4	0,2077	0,2943	0,1314	23469,26	0,0431	0,0866	0,0611	0,1629
2014	1818	29150,5	1,1512	0,4053	0,7285	35854,44	1,3253	0,1643	0,4666	0,3232
2015	1652,5	31755,6	0,9554	0,5309	0,6046	33283,90	0,9128	0,2818	0,5072	0,0737
2016	1602,9	34028,5	0,8967	0,6404	0,5674	32513,52	0,8041	0,4102	0,5743	0,0730
2017	1861,9	38042,2	1,2032	0,8339	0,7613	36536,29	1,4476	0,6955	1,0034	0,0726
		231078,9	**4,9620**	**3,1399**		**231078,90**	**4,69**	**1,74**	**2,73**	**0,8737**
		$\sum y$	$\sum d_x$	$\sum d_y$		$\sum y_x$	$\sum d_x^2$	$\sum d_y^2$	$\sum d_x*d_y$	$\sum \lvert d_y-bd_x \rvert$

$b=\sum dy/\sum dx$	b	0,6328
$r_{xy}=\sum dx*dy/(\sum dzx\sum dzy)^{1/2}$	r	0,955
$k=1-\sum \lvert dy-bdx \rvert/\sum dy$	K	0,722

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ არსებობდა გარკვეული კორელაციური კავშირი ინვესტიციასა და დასაქმებას შორის, მაგრამ ეს კავშირი (K) სიმჭიდროვის მიხედვით საკმაოდ სუსტია, კერძოდ იგი ნაკლებია 0,5 2010-

2017 წლების (შედარებით მოკლევადიანი პერიოდისათვის, შედარებისათვის დასაქმება 2010 წელს - 1970, 9 ათასი კაცი, 2017 წელს - 1983,1 ათასი კაცი)(იხ. ცხრილი #2), ხოლო შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის - 2005-2017 წლებისათვის 0,5 ახლოს დასაქმება 2005 წელს - 1982, 7 ათასი კაცი, 2017 წელს - 1983,1 ათასი კაცი)(იხ. ცხრილი # 3). ანუ შედეგმა აჩვენა რომ პუი გავლენას ვერ ახდენს დასაქმების ზრდაზე, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს არსებული დასაქმების შენარჩუნებას ან მინიმალურ ზრდას.

ცხრილი # 2

კორელაცია ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის მოკლევადიან პერიოდში

N	x	y	d_x	d_y	bd_x	y_x	d_x^2	d_y^2	d_x*d_y	$\lvert d_y-bd_x\rvert$
	ინვესტიცია	დასაქმება	$(x_i/x_{min})-1$	$(y_i/y_{min})-1$		$y_x=y_{min}(1+bd_x)$ თეორიული მნიშვნელობა				
2010	**845,1**	**1970,9**	0,0000	0,0000	0,0000	1970,90	0,0000	0,0000	0,0000	0,0000
2011	1130,3	1988,2	0,3375	0,0088	0,0054	1981,57	0,1139	0,0001	0,0030	0,0034
2012	1022,9	2004,5	0,2104	0,0170	0,0034	1977,55	0,0443	0,0003	0,0036	0,0137
2013	1020,6	1978,6	0,2077	0,0039	0,0033	1977,47	0,0431	0,0000	0,0008	0,0006
2014	1818	1984,6	1,1512	0,0070	0,0185	2007,30	1,3253	0,0000	0,0080	0,0115
2015	1652,5	2018	0,9554	0,0239	0,0153	2001,11	0,9128	0,0006	0,0228	0,0086
2016	1602,9	1996,2	0,8967	0,0128	0,0144	1999,25	0,8041	0,0002	0,0115	0,0015
2017	1861,9	1983,1	1,2032	0,0062	0,0193	2008,94	1,4476	0,0000	0,0074	0,0131
		15924,1	**4,9620**	**0,0796**		**15924,10**	**4,69**	**0,00**	**0,06**	**0,0524**
		Σy	Σd_x	Σd_y		Σy_x	Σd_x^2	Σd_y^2	Σd_x*d_y	$\Sigma\lvert d_y-bd_x\rvert$

$b=\Sigma dy/\Sigma dx$	b	0,0160
$r_{xy}=\Sigma dx*dy/(\Sigma dzx\Sigma dzy)^{/2}$	r	0,760
$k=1-\Sigma\lvert dy-bdx\rvert/\Sigma dy$	K	0,342

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

ცხრილი # 3

კორელაცია ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის გრძელვადიან პერიოდში

N	x	y	d_x	d_y	bd_x	y_x	d_x^2	d_y^2	d_x*d_y	$\lvert d_y-bd_x\rvert$
	ინვესტიცია	დასაქმება	$(x_i/x_{min})-1$	$(y_i/y_{min})-1$		$y_x=y_{min}(1+bd_x)$ თეორიული მნიშვნელობა				
2005	452,8	1982,7	0,0000	0,0388	0,0000	1908,70	0,0000	0,0015	0,0000	0,0388
2006	1171,2	1911,9	1,5866	0,0017	0,0375	1911,90	2,5172	0,0000	0,0027	0,0358
2007	1752,6	1908,7	2,8706	0,0000	0,0679	2038,29	8,2402	0,0000	0,0000	0,0679
2008	1569,7	1944,7	2,4667	0,0189	0,0583	2020,05	6,0844	0,0004	0,0465	0,0395
2009	664,2	1971,8	0,4669	0,0331	0,0110	1929,78	0,2180	0,0011	0,0154	0,0220
2010	**845,1**	**1970,9**	0,8664	0,0326	0,0205	1947,81	0,7506	0,0011	0,0282	0,0121
2011	1130,3	1988,2	1,4962	0,0417	0,0354	1976,25	2,2388	0,0017	0,0623	0,0063
2012	1022,9	2004,5	1,2591	0,0502	0,0298	1965,54	1,5852	0,0025	0,0632	0,0204
2013	1020,6	1978,6	1,25	0,0366	0,0297	1965,31	1,5725	0,0013	0,0459	0,0070
2014	1818	1984,6	3,0150	0,0398	0,0713	2044,81	9,0903	0,0016	0,1199	0,0315
2015	1652,5	2018	0,9554	0,0573	0,0226	1951,83	0,9128	0,0033	0,0547	0,0347
2016	1602,9	1996,2	2,5400	0,0458	0,0601	2023,36	6,4515	0,0021	0,1164	0,0142
2017	1861,9	1983,1	3,1120	0,0390	0,0736	2049,19	9,6844	0,0015	0,1213	0,0346
		15924,1	**14,4980**	**0,3429**		**15924,10**	**32,29**	**0,02**	**0,61**	**0,1608**
		Σy	Σd_x	Σd_y		Σy_x	Σd_x^2	Σd_y^2	Σd_x*d_y	$\Sigma\lvert d_y-bd_x\rvert$

$b=\Sigma dy/\Sigma dx$	b	0,0237
$r_{xy}=\Sigma dx*dy/(\Sigma dzx\Sigma dzy)^{1/2}$	r	0,875
$k=1-\Sigma\lvert dy-bdx\rvert/\Sigma dy$	K	0,531

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

დასაქმებასთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრებაა, რომ საჭიროა გაკეთდეს მომავალი გათვლები დასაქმების დარგობრივი ცვლილებების მიხედვით, სადაც უნდა გაიმიჯნოს ორი მსხვილი სფერო - თვითდასაქმებულები (რომელთა რიცხვიც საკმაოდ მაღალია დასაქმებულებში) და სამეწარმეო-სოციალური სფერო, სადაც შესაძლოა ადგილი ქონდეს რამდენიმე მიმართულებას, კერძოდ:

- საერთო დასაქმება უცვლელია, მაგრამ გაიზარდა დასაქმება სამეწარმეო სექტორში თვითდასაქმებულთა რიცხვის შემცირების ხარჯზე ანუ ინვესტიციამ შექმნა დამატებითი სამუშაო ადგილი სამეწარმეო სექტორში;
- დასაქმება უცვლელია, მაგრამ შემცირდა სამუშაო ადგილები სამეწარმეო სექტორში და გაიზარდა თვითდასაქმებულთა რიცხვი, ანუ ინვესტიციამ შემოიტანა ახალი ტექნოლოგია, რამაც გამოათავისუფლა სამუშაო ადგილები (შექმნა დარგებში დასაქმებულებისათვის სტრუქტურული უმუშევრობა) და მოსახლეობა გადანაცვლდა თვითდასაქმებულთა კატეგორიაში;

- ახალი ინვესტიციები უცვლელად ტოვებს სამუშაო ადგილებს ან აბალანსებს ერთი დარგიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მეორე დარგში გადანაცვლებას, რის შედეგადაც ჯამში იზრდება მშპ ანუ ქვეყნის ეკონომიკის საერთო მოცულობა, ხოლო დასაქმება რჩება თითქმის უცვლელი. თუმცა სავარაუდოა, რომ პარალელურად მნიშვ-ნელოვნად გაიზარდოს ამ სფეროებში დასაქმებულთა შემოსავლებიც (ეკონომიკის ზრდის ფონზე), რაც ასევე ცალკე კვლევას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭარაია ვ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და სარგებელი საქართველოსთვის. ჟ. „ეკონომისტი“, #1, 2018.

2. ჭარაია ვ. (2014), “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის შესაძლებ-ლობები საქართველოში”, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. გამარჯვებული ნაშრომი, http://economists.connect.ge/pdf/Charaia.pdf.

3. ერქომაიშვილი გ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტი-მულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში, თბილისი, 2016.

4. ჭარაია ვ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე), თბილისი, 2015. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf

5. პაპავა ვლ., თაფლაძე თ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირი-თადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟ. “ეკონომისტი’, #2, 2013.

6. Charaia V. 2014b. Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, Vol:8, No:2, pp. 425-428.

7. Papava V. (2012). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York, Nova Science Publishers.

8. ზარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი, 2009.

9. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2017), „საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები“, მოძიებულია მარტი, 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/makroekonomika/makroekonomikuri_machveneblebi_geo.pdf

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2017). „პირდაპირი უც-ხოური ინვესტიციები საქართველოში (წინასწარი)“. მოძიებულია მარტი, 2018 წელი,

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2017Q4-2017-GEO-with%20cover.docx.pdf

11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2017“, მოძიებულია მარტი, 2018 წელი,

http://www.economy.ge/uploads/publications/economy_744596659b7dd20874248.53600711.pdf

12. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, (ოქტომბერი, 2017), “მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები”, მოძიებულია მარტი, 2018 წელი,

http://www.economy.ge/uploads/publications/economy_9029680559e5e371037115.21245915.pdf

13. Trading Economics, “Georgia Foreign Direct Investment” (2018), მოძიებულია აპრილი, 2018 წელი, https://tradingeconomics.com/georgia/foreign-direct-investment

14. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, (2018 წელი) “მშპ და ეკონომიკური ზრდა“, მოძიებულია მარტი, 2018 წელი.

https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

Khatuna Turmanidze

Specific Direct Investments and Economic Growth in Georgia

Abstract

Nowadays, in a globalized world economy, foreign direct investments (Up) are the driving force of growth of national economies and it's study and analyse is a topical problem. That is why our research is the direct foreign investment and it's importance for the economic growth of the receiving country. The survey is built on the example of Georgia. Investment climate of Georgia and The role of direct foreign investments in it's improvement process.

Keywords: Foreign Direct Investment; Investor; Reinvestment; Stimulating policy for attracting investments.

მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

მზია შავაძე, მაყვალა შავაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკა, მეორე კურსი

ელ.ფოსტა: m.shavadze44@gmail.com

ელ. ფოსტა: maka.shavadze.1998@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამილა თურმანიძე,

ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) ასისტენტი

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია. წლებთან ერთად, საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. რაც გლობალიზაციითაა განპირობებული. ჩვენს მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლიოთ მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და რაც მთავარია ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის მაგალითზე განვიხილოთ. თემაზე მუშაობამ აჩვენა, რომ ის დადებითი მხარე, რაც ზოგადად მიგრაციას ახასიათებს, საქართველოს შემთხვევაში უგულველყოფილია და არ აისახება ეკონომიკაზე დადებითად.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები თუ რამდენი ემიგრანტი გვყავს, რა მიზნით იმყოფებიან უცხოეთში, რა თანხებს გზავნიან სამშობლოში და ა.შ. ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა (ძირითადად აჭარის მასშტაბით), რომლის შედეგებიც არც ისე სახარბიელო იყო. ჩვენ ჩავატარეთ, როგორც ონლაინ გამოკითხვა, ასევე გავედით ქუჩაში და უშუალოდ გავესაუბრეთ რესპოდენტებს.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, გლობალიზაცია, მიგრაციის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე, მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

შესავალი

დასაქმებისა და განათლების ბაზარი იმდენად გლობალური გახდა, რომ ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. ხშირ შემთხვევაში, მიგრანტები წარმოადგენენ იაფ მუშახელს. მართალია, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას კონკურენციას უწევენ შრომის ბაზარზე, მაგრამ მიგრანტების კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში დაბალია, ისინი ძირითადად ასრულებენ ფიზიკურად მძიმე სამუშაოს და საფრთხეს ვერ უქმნიან კვალიფიციურ და გამოცდილ მუშახელს. იაფი მუშახელით ფირმები ახერხებენ ნაკლები დანახარჯებით მეტი აწარმოონ, რაც მათი ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.

მიგრაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე ქვეყანაში უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილებია, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და მსყიდველობითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. უცხოეთიდან გადმორიცხვები ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას ნიშანვს, რაც ამყარებს ეროვნულ ვალუტას, ხოლო ეროვნული ვალუტის გამყარება ფასების სტაბილიზაციას ნიშანავს.

მიგრაციის სახეები და მიზეზები

მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები შეიძლება იყოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და ასე შემდეგ. თუმცა დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოდან უკანონოდ ემიგრირებული მოსახლეობის მიგრაციის საფუძველია მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, იძულებულები ხდებიან უკანონოდ შევიდნენ სხვა განვითარებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა თავი იხსნან შიმშილისაგან.

მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას მაღალი ანაზღაურება წარმოადგენს. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში მაღალი მწარმოებლურობის მქონენი გადადიან იმ ქვეყანაში სადაც მაღალია ანაზღაურება, ტოვებენ თავიანთ

ქვეყნებს და იქ რჩება მხოლოდ დაბალი მწარმოებლურობის მქონე მუშაკები, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ეს მოვლენა „ტვინების გადინების“ სახელითაა ცნობილი. საწარმოო ძალის გარდა აღსანიშნავია სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ საწარმოო უნარების და ცოდნის შესაძენად მიგრირებენ. ეს ძალიან კარგია, ასე ისინი შეიძენენ ცოდნასა და უნარს, შეისწავლიან ახალ ტექნოლოგიებს, რომლებსაც შემდგომში საკუთარ ქვეყანაში დანერგავენ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში წარმატებული სტუდენტები რჩებიან იმ ქვეყანაში სადაც ცოდნა მიიღეს, მაღალი ანაზღაურების გამო. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის მაღალი დონით ხასიათდებიან ძირითდად განვითარებადი ან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, სადაც ეკონომიკური ზრდა და შრომის ანაზღაურება დაბალია, ხოლო უმუშევრობა მაღალი.

ის, რომ ქვეყანა საუკეთესო და კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას კარგავს, უარყოფითად მოქმედებს, როგორც ეკონომიკურ, ისე დემოგრაფიულ სიტუაციაზე. მიგრაცია, რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ადასტურებს 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 600 000 ადამიანით შემცირდა და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,729,500 ადამიანს შეადგენს. ამრიგად საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთი რაოდენობით შემცირების ტენდენცია ლოგიკურად დაკავშირებულია თანამედროვე მიგრაციულ პროცესებთან.

ზოგადად, კაცი ემიგრანტების რაოდენობა მეტია ქალი ემიგრანტების რაოდენობაზე. 2017 წლის მონაცემებით საქართველოდან 85,495 მოქალაქე ემიგრანტია, აქედან 47,770 კაცია და 37,681 ქალი, მაგრამ თუ ასაკობრივ ჭრილში განვიხილავთ ემიგრაციას და სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლებთ თვალს ვნახავთ, რომ 20-30 წლის ასაკის მამაკაცი ემიგრანტების რაოდენობა აჭარბებს იგივე ასაკის ქალ ემიგრანტების რაოდენობას, მაგრამ 30 წლის ასაკის ზემოთ სიტუაცია იცვლება და ქალი ემიგრანტების რაოდენობა მეტია. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მამაკაცები ასრულებენ ფიზიკურ სამუშაოს და 30 წლის ზემოთ მათი შრომისუნარიანობა იკლებს. ხოლო ქალები 30 წლის ზემოთ ძირითადად მუშაობენ შინამოსამსახურეებად, დამხმარეებად და მოხუცების მომვლელებად ოჯახებში.

დიაგრამა 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ფულადი გზავნილები

საქართველოდან ემიგრირებული მოქალაქეების უმრავლესობა ოჯახის წევრებისათვის სერიოზულ თანხებს გზავნის, რაც ამ ოჯახებს მინიმალურ სოციალურ გარანტიებს აძლევს. აღსანიშნავია რომ არ ყოფილიყო ეს შრომითი ემიგრაცია, ცხოვრების დონე საქართველოში გაცილებით გაუსაძლისი იქნებოდა.

მაგრამ გაურკვეველია უცხოეთიდან ოჯახებისათვის განკუთვნილი ფულადი დახმარებების ოდენობაც. ფიქრობენ, რომ შრომით ემიგრანტთა საშუალო თვიური შემოსავალი 715 აშშ დოლარამდეა. შესაბამისად ერთი ემიგრანტის მიერ განხორციელებული გზავნილის საშუალო სიდიდე 168 აშშ დოლარს შეადგენს, რაც გზავნილების საშუალო დონეს უტოლდება. თუ ბოლო სამი წლის მონაცემებს გადავავლებთ თვალს ვნახავთ, რომ გადმორიცხვების ტენდენცია მზარდია წლიდან წლამდე: 2015 წელს - $1,079,909; 2016 წელს- $1,151,176; 2017 წელს- $1,379,456;

ასევე ემიგრანტთა გზავნილები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. გადმორიცხვების მიხედვით რუსეთის ფედერაცია ლიდერობს, შემდეგ მოდის იტალია, საბერძნეთი, აშშ, ისრაელი, თურქეთი და გერმანია.

ქვეყნების მიხედვითაც ბოლო სამი წლის განმავლობაში იზრდება გადმორიხცხვების რაოდენობა ყოველწლიურად, მაგრამ გამონაკლისია რუსეთი.

2016 წელს გასულ წელთან შედარებით შემცირდა, ამის მიზეზი კი რუსეთის ფედერაციაში არსებული კრიზისი იყო. 2017 წელს კი კვლავ გაიზარდა.

დიაგრამა 2. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით ბოლო სამი წლის განმავლობაში



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, გზავნილების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტების რაოდენობაზე. სწორედ ამას ადასტურებს დიასპორის არაოფიციალური სტატისტიკაც. ამ ჩამონათვალის მიხედვით, სწორედ იმ ქვეყნებშია ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი, საიდანაც გზავნილები მეტია. მონაცემები ასეთია: რუსეთის ფედერაცია - 800 000 ქართველი ემიგრანტი, საბერძნეთი - დაახლოებით 250 000, იტალია - 20 000, აშშ - 80 000, თურქეთი - 100 00 შრომითი მიგრანტი.

თუმცა ეს ფულადი გზავნილები ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში დადებით ეკონომიკურ ეფექტს არ იძლევა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი თანხები არაეფექტურად იხარჯება. მაგალითად საკვებისთვის, მკურნალობისთვის, კომუნალური გადასახადებისთვის, რაც განპირობებულია ოჯახების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობით. 2016 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 20.6% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ეს მაჩვენებელი წინა წლებში უფრო მაღალი იყო. არ ხდება ფულადი გზავნილების ინვესტიციაში ჩადება, საქართველოში ახალი ბიზნესის ან ბაზრის შექმნა, განათლების მიმართულებით ჩადება. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც.

კვლევის შედეგები და ანალიზი

ჩვენ გვსურდა დაგვედგინა მოსახლეობის რა ნაწილია ემიგრაციაში, რა მიზნით იმყოფებიან და რა ასაკობრივი ჯგუფები არიან ემიგრაციაში, დაახლოებით რა რაოდენობის თანხებს გზავნიან და რაში იყენებენ მათი ოჯახები ამ თანხებს. ამისათვის ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა. გამოვკითხეთ 426 ადამიანი და მიღებული შედეგები არც ისე სახარბიელოა. აღმოჩნდა რომ გამოკითხულთა 57% ყავს ემიგრანტი, მათგან 45,9% არის ქალი, 20,7% კაცი, ხოლო დანარჩენი ორივე სქესის წარმომადგენელი. რაც შეეხება ასაკობრივ ჭრილს 31,7% არის 40-50 წლამდე, 27,2% 30-40 წლის (ანუ ყველაზე შრომისუნარიანი და მეტად პროდუქტულუნარიანი მოსახლეობა), შემდეგ მოდის 20-30 წლამდე 22,4%-ით და აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ამ ასაკის ემიგრანტები ძირითადად განათლების მისაღებად იმყოფებიან უცხოეთში. 17,9% 50 წლის და ზემოთ ასაკობრივ ჯგუფს უკავია, ხოლო დანარჩენი 20 წელზე ქვემოთ.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ემიგრანტთა 60% დასაქმების მიზნითაა ემიგრაციაში. 29,4% კი საცხოვრებლადაა ოჯახით გადასული უცხოეთში ან იქ შექმნა ოჯახი. თუმცა აღსანიშანვია, რომ მათი უმრავლესობა სამშობლოში ახლობლებს უგზავნის თანხებს. რაც ყველაზე სამწუხაროა, განათლების მისაღებად ემიგრაციაში მხოლოდ 10,6% იმყოფება.

ასევე საინტერესოა საშუალოდ რა თანხას გზავნიან ემიგრანტები ყოველთვიურად და რაში იყენებენ ამას მათი ოჯახები. კვლევამ აჩვენა, ემიგრანტთა უმრავლესობა, თითქმის ნახევარი $100-500 ფარგლებში გზავნის.

დიაგრამა 3.



დიაგრამა 4.



გამოკითხულთა 55,5%-მა განაცხადა რომ, ამ თანხებს ძირითადად საკვების შესაძენად და საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად იყენებენ. შემდეგ მოდის 20%-ით განათლების დაფინანსება და მხოლოდ გამოკითხულთა 3%-მა განაცხადა, რომ ამ თანხებს ბიზნესის წამოსაწყებად და მის გასაფართოებლად იყენებენ. ერთი სიტყვით, უცხოური გზავნილები ჩვენს ქვეყანაში ვერ ავითარებს წარმოებასა და განათლებას.

კვლევის შეფეგები გვიჩვენებს, რომ ის დადებითი ეფექტი, რაც მიგრაციას მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის, საქართველოს მაგალითზე უგულველყოფილია. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ისინი გამოგზავნილ თანხებს პირველადი მოხმარებისათვის იყენებენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გამოკითხვა ძირითადად აჭარის რეგიონში ჩავატარეთ და მიღებული შედეგები შეიძლება დამახასიათებელი იყოს მხოლოდ ჩვენი რეგიონისათვის და ვერ ვიტყვით რამდენად მართებული იქნება მიღებული შედეგების მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცობა. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, ჩვენს მიერ მიღებული შედეგები მეტწილად ემთხვევა ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს. ის, რომ ქალი მიგრანტების რაოდენობა აჭარბებს კაცებისას, შეიძლება მხოლოდ ჩვენი რეგიონისათვის იყოს დამახასიათებელი. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ თავი აგვეცილებინა ცდომილებისგან და სეზონური მიგრაცია, რაც აჭარის რეგიონს ახასიათებს, არ გავითვალისწინეთ კვლევაში.

დასკვნა

საქართველოში ემიგრაციის მიზეზი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია. მოსახლეობა იძულებულია შრომით ემიგრაციაში წავიდეს და ოჯახს საარსებო თანხები გამოუგზავნოს. ეს თანხები ძირითადად გამოყენებულია პირველადი მოხმარებისთვის და არა განათლების მისაღებად და წარმოების განსავითარებლად, ამიტომაც საქართველოს ეკონომიკაზე ემიგრაციას დადებითი ზეგავლება არ აქვს.

ასევე მაღალია ემიგრაციის დონე საქართველოში და ემიგრანტთა 60% (ჩვენი გამოკითხვის მონაცემებით) დასაქმების მიზნითაა წასული ემიგრაციაში, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, რადგან იგი კარგავს შრომისუნარიან მოსახლეობას. ასევე ჩვენმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ემიგრაციაში ძირითადად 30-50 წლის ადამიანები იმყოფებიან ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც გააჩნია ცოდნა და გამოცდილება. აღსანიშნავია, ისიც რომ, ემიგრანტების დიდი ნაწილი დროებით იყო წასული სამუშაოდ ან განათლების მისაღებად, მაგრამ რადგანაც ისინი სამშობლოში ვერ ხედავდნენ დასაქმების პერსპექტივებს ემიგრაციაში დარჩნენ და ბევრმა მათგანმა იქ შექმნა ოჯახი.

ჩვენი აზრით, ამ პრობლემების მოსაგვარებელი გზების ძიებისას მივდივართ მათ გამომწვევ მიზეზებთან. თუ ჩვენ გავაუმჯობესებთ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მაშინ შევძლებთ მიგრაციის უარყოფითი გავლენის შემცირებას. ემიგრანტებს მიეცემათ სტიმული დაბრუნდნენ სამშობლოში და იზრუნონ მათ ოჯახებსა და ქვეყანაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე ზაზა. (დეკემბერი, 2003). „რა გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები ეკონომიკაზე“. მოძიებულია 14 მაისი, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/1532613.html

2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (ივნისი, 2017). „საია: ემიგრანტების გამოგზავნილი ფული ეკონომიკურ ეფექტს ვერ იძლევა“. მოძიებულია 14 მაისი, 2018, http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/19865.html

3. ნაბახტეველი ლექსო. (მარტი, 2015). „საიდან შემოდის ყველაზე მეტი ფული საქართველოში - მილიონები, რომლითაც ქართველი ემიგრანტები ქართულ ეკონომიკას „კვებავენ“. მოძიებულია 13 მაისი, 2018, https://www.ambebi.ge/article/125671-saidan-shemodis-qvelaze-meti-puli-sakartveloshi-milionebi-romlitac-emigrantebi-kartul-ekonomikas-kvebaven/

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; მოძიებულია 14 მაისი, 2018 წელი, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo

5. საქართველოს ეროვნული ბანკი, „მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სტატისტიკური მონაცემები“. მოძიებულია 14 მაისი, 2018 წელი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

6. დუშუაშვილი თათული. (ივლისი, 2015). „მიგრაცია - მიგრაცია ყვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი?“. მოძიებულია 15 მაისი, 2018, http://forbes.ge/blog/104/migracia---qveynis-ganviTarebis-mastimulirebeli-Tu-Semaferxebeli-faqtori%3F

საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში

რუსუდან ზოიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსები, III კურსი
მობ: +995 555 540342/ელ. ფოსტა: rusudan.zoidze.97@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასიე ცინცაძე,
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის
დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

საკითხის მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე თემის დამუშავების მიზანი ახალი საპენსიო მოდელის შესწავლა, მისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა და როგორც სისტემის მომავალი მონაწილის მხრიდან შეფასებაა.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო მოდელი, შეფასება.

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე პერიოდში საპენსიო პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ მიმდინარე დებატების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. არა ერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემის მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. სწორედ ამ პირობებში გაიზარდა კერძო საპენსიო სისტემის შექმნისადმი ინტერესი. დღეისათვის მთავრობის მიერ შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემის მოდელი აქტუალობასა და რისკს შორის განიხილება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს.

სამეცნიერო კონფერენციის მიზნები და ამოცანები. საკითხის მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე თემის დამუშავების მიზანი სწორედ ახალი საპენსიო მოდელის შესწავლა, მისი ყველა წახნაგის განხილვა და როგორც სისტემის მომავალი მონაწილის მხრიდან შეფასებაა. მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საპენსიო რეფორმის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, მათი შეფასება დღევანდელი გადასახედიდან და შესაძლო საფრთხეებისა და რისკების მართვის მექანიზმების გაანალიზება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანი საპენსიო სისტემაა, ხოლო ობიექტი საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საპენსიო სისტემის რეფორმა, მისი განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სახელმწიფო პენსია.

ძირითადი შედეგები: შესწავლილი მასალების საფუძველზე გამოთვლილი იქნა ჩანაცვლების კოეფიციენტი და საპენსიო ფონდის სავარაუდო მოცულობა ეკონომიკური პარამეტრების შესაძლო ცვლილებების პირობებში.

თავი I. საქართველოს საპენსიო სისტემის შეფასება

დაგროვებით საპენსიო სისტემაზე საუბარი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, თუმცა ამ თემასთან დაკავშირებით დღესაც ფართო განხილვები მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული თუ რას გულისხმობს დაგეგმილი რეფორმა და მოგვიტანს თუ არა ის რეალურ კეთილდღეობასა და უზრუნველ სიბერეს.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ დაგეგმილი საპენსიო რეფორმის ეფექტიანობა, მნიშვნელოვანია მოკლედ განვიხილოთ არსებული საპენსიო სისტემა საქართველოში, თუ რამდენად არის ის შესაბამისი ქვეყნის საარსებო მინიმუმთან და მოსახლეობის ცხოვრების დონესთან.

არსებული მოდელი გულისხმობს შრომით ბაზარზე მყოფი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან საპენსიო ხარჯების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია პენსიონერთათვის მხოლოდ მინიმალური სოციალური დახმარების აღმოჩენისაკენ და ვერ უზრუნველყოფს მათ რეალურ კეთილდღეობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2018 წლის მარტის

თვეში 176.9 ლარით განისაზღვრება, რაც ფაქტობრივად არსებული სოციალური პენსიის 180 ლარის ტოლია. არსებული საპენსიო სისტემის კრიტიკისათვის გამოდგება ის არგუმენტიც, რომ თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასა და პენსიონერებს შორის დღითიდღე იცვლება. ყოველწლიურად იზრდება პენსიონერთა რაოდენობა და გაეროს პროგნოზების გათვალისწინებით ეს რიცხვი 2050 წლისათვის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. 2016-2017 წლების მდგომარეობით, პენსიონერთა წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 20%-ს შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობასთან მიმართებით თუ განვიხილავთ ერთ პენსიონერზე მოდის დაახლოებით ორი დასაქმებული; თუმცა დღეს არსებული ხელფასების მოცულობა არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არსებული თანაფარდობით შესაძლებელია პენსიონერთა მატერიალური უზრუნველყოფა.

2017 წლის მდგომარეობით პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს 732 100 ადამიანს, მათზე გასაცემი პენსია კი წლიურად 1 581 336 000 ლარია, რაც 2017 წლის მშპ-ის 4.16%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის 13.6%-ია.

ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე ათწლეულში არსებული მოდელით პენსიონერთა უზრუნველყოფა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებით ყველაზე „გულუხვ“ მთავრობასაც კი ძალიან გაუჭირდება.

დღეს არსებული საპენსიო სქემები ქართულ სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილია მხოლოდ სამი სადაზღვევო კომპანიის სახით, რომლებიც სტაბილურად ვერ უზრუნველყოფენ პენსიონერთა მატერიალურ კეთილდღეობას. მოსახლების მხრიდან დაბალია ინტერესი არსებულ საპენსიო სქემებში გაწევრიანებისა და შესაბამისად ეს მოდელი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ქვეყანაში მოსახლების საპენსიო უზრუნველყოფას. 2017 წლის მდგომარეობით აღნიშნულ სქემაში გაწევრიანებულია 13 484 ადამიანი. საქართველოში სადაზღვევო სისტემის არსებობის განმავლობაში არ მომხდარა ერთი ფაქტი მაინც, რომ სქემის მონაწილემ თანხა საპენსიო ასაკამდე დააგროვა და უზრუნველყო საკუთარი სიბერე; ამის ერთ-ერთი მიზეზი კერძო საპენსიო კომპანიებისადმი ნდობის ნაკლებობაა და ამიტომაც მონაწილეები საპენსიო ასაკამდე ნებაყოფლობით ტოვებენ საპენსიო სქემებს.

შესაბამისად, იმისათვის რომ მომავალი პენსიონერები ამ რისკის წინაშე არ დადგნენ სახელმწიფო გვთავაზობს უზრუნველი მომავლის გარანტიის საშუალებას დაგროვებითი საპენსიო რეფორმის სახით, რომელიც ძალაში

2018 წლის 1 ივლისიდან შევა, რაც თავის მხრივ, ახალი თაობის პენსიონერების პენსიაზე დაახლოებით 20 წლის შემდეგ აისახება.

თავი II. დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფორმირება საქართველოში

საქართველოში დაგეგმილი საპენსიო რეფორმა წარმოდგენილია შერეული მოდელის სახით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც დასაქმებულის ასევე დამსაქმებლისა და სახელმწიფოს თანაბარ თანამონაწილეობას. აღნიშნულ რეფორმას აქვს, როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათი; სისტემა სავალდებულოა 40 წლამდე დასაქმებულთათვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, ხოლო 40 წელს გადაცილებულ დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით განახორციელონ საპენსიო შენატანები.

ახალი მოდელი გულისხმობს სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში კვლავ 20%-ის გადახდას (საშემოსავლო გადასახადის სახით), საიდანაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% მიმართოს დაგროვებითი ანგარიშისაკენ. ამის პარალელურად დასაქმებული თავისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში, დამსაქმებელი კი, თავის მხრივ, კიდევ 2%-ს. შესაბამისად ვიღებთ მოდელს, სადაც ხელფასის 6%-ის ტოლფასი თანხა მიემართება დასაქმებულის დაგროვებითი ანგარიშისაკენ, რომელსაც კერძო საფინანსო ინსტიტუტები მართავენ.

თვითდასაქმებულის შემთხვევაში, კი შენატანები განხორციელდება შემდეგი პროპორციით: თვითდასაქმებული თავისი დაუბეგრავი შემოსავლის 4%-ს, ხოლო სახელმწიფო 2%-ს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული თანამონაწილეობისა, სახელმწიფოსა და დამსაქმებლის მონაწილეობა შეიძლება შემცირდეს დამსაქმებლის წლიური შემოსავლის მიხედვით; კერძოდ:

ა) დამსაქმებელი და სახელმწიფო დასაქმებულის სახელით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ წლიურად დასაბეგრი ხელფასის სახით გაცემულ იმ ოდენობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს;

ბ) სახელმწიფო მონაწილის საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს დასაქმებულის ან/და თვითდასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 1%-ს თუ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებული წლიური თანხა ოცდაოთხი ათასი (24 000) ლარიდან სამოცი ათას (60 000) ლარამდეა;

ერთი შეხედვით ჩანს, რომ აღნიშნული მოდელი ბევრად უფრო სამართლიანია, რადგან ის ითვალისწინებს ინდივიდუალურ ფაქტორებს - წვლილს, რომელიც ადამიანმა შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც მთავარია ამ შემთხვევაში ადამიანის უზრუნველი სიბერე ნაკლებად არის დამოკიდებული მთავრობის ხედვასა და შეფასებაზე პენსიის ოდენობასთან დაკავშირებით. თუმცა სისტემის გარეთ რჩება ადამიანი, რომელიც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხვდა შრომით ბაზარზე და შესაბამისად მას არც პენსიის დაგროვების საშუალება მისცემია. ამიტომ იარსებებს ორი ტიპის პენსია: სოციალური და დაგროვებითი.

დამსაქმებლებისთვის დასაქმებულის ხელფასი 2%-ის მოცულობის შენატანი, დამატებით ხარჯს წარმოადგენს მათი ბიზნესისთვის, რაც ახალი გადასახადების დაწესებასთან საკმაოდ ახლოსაა. სქემაში ჩართვის შემდეგ კომპანიებს სამი არჩევანი აქვთ:

1. დასაქმებულის საპენსიო ფონდში ჩარიცხონ დასაქმებულის ხელფასის 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის მოცულობა არ შემცირდეს. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის ხარჯები იზრდება.

2. დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% მოაკლონ დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონში. ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება;

3. ნებისმიერი სახის თანაფარდობა ხელფასის 2%-ით შემცირებასა და დასაქმებულის შენახვის ხარჯების 2%-ით ზრდას შორის;

დამსაქმებლებს დასაქმებულთა ნაწილისაგან (40 წელს გადაცილებული) განსხვავებით, არჩევანის უფლება არ აქვთ, თუ მათი დასაქმებული ფონდში გაწევრიანდება მათაც სავალდებულო წესით უნდა განახორციელონ კონტრიბუციები. ამ შემთხვევაში რეფორმა მისაღები იქნება მხოლოდ მსხვილი ბიზნესისათვის, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესები დაზარალდებიან.

საპენსიო სქემის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ამ მიზნისთვის კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სსიპ - საპენსიო სააგენტო, რომელიც ახორციელებს დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვასა და ადმინისტრირებას. საპენსიო სააგენტო მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოებას და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო მოგების მაქსიმიზაციას. სააგენტო ორგანიზებულია იმგვარად, რომ გამიჯნულია მის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა და შენატანების, საპენსიო განაცემების და სხვა ადმინისტრაციული საკითხები. სააგენტოს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საპენსიო სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარისაგან; თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს არავითარი კავშირი არ აქვს საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან და განხორციელებასთან; ეს უკანასკნელი საინვესტიციო საბჭოს პრეროგატივაა, იგი განსაზღვრავს საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკას.

საპენსიო აქტივების ინვესტირება ხორციელდება სამი განსხვავებული რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო პორტფელში. საპენსიო სქემის თითოეული მონაწილე გაწევრიანების დროს თავად ირჩევს, თუ რომელი პორტფელი შეეფერება ყველაზე მეტად მის რისკისადმი ტოლერანტულობას. თუკი საპენსიო სქემის მონაწილე არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას, საპენსიო აქტივების ინვესტირება მოხდება შემდეგი პრინციპით:

ა) გაწევრიანების მომენტისათვის 40 წლამდე მონაწილის აქტივები - მაღალ რისკიანი პორტფელი;

ბ) გაწევრიანების მომენტისათვის 40-დან 50 წლამდე მონაწილის აქტივები - საშუალო რისკიანი პორტფელი;

გ) გაწევრიანების მომენტისათვის 50 და მეტი ასაკის მონაწილის აქტივები - ნაკლებად რისკიანი პორტფელი;

მექანიზმის პოზიტიური მხარეა ის, რომ საპენსიო სქემის თითოეულ მონაწილეს შეუძლია თვალი ადევნოს თავის პორტფოლიოს. ეს ამ პროცესში მონაწილეობის დამატებით მოტივაციას ქმნის.

საპენსიო სქემის თითოეულ მონაწილეს თავის საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხის გატანა და გამოყენება მხოლოდ საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ შეეძლებათ, რაც ქალებისთვის განსაზღვრულია 60, ხოლო მამაკაცებისთვის 65 წელი. დაგროვილი თანხა გადანაწილდება თითოეული სქესისათვის დარჩენილ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე და გაიანგარიშება ყოველთვიურად გასაცემი თანხა, პლუს არსებული სოციალური პენსია. მაგალითად: ქალების შემთხვევაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა 77 წელი, ეს იმას ნიშნავს, რომ საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა გაიყოფა 17-ზე (77-60) და მიიღება წლიურად პენსიონერზე გასაცემი თანხა, რომელიც შემდგომ გადანაწილდება თითოეულ თვეზე და არსებულ სოციალურ პენსიასთან ერთად გაიცემა. თუმცა აქვე უნდა განვსაზღვროთ წლიური საპროცენტო სარგებელი, რომელიც რეფორმის ავტორების მიერ 5%-ით განისაზღვრა და წლიური ინფლაცია, რომელიც განსაზღვრულია 3%-ით; შესაბამისად შეგვიძლია მარტივი მათემატიკური გათვლებით დავადგინოთ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხა:

მაგალითად: მონაწილის ასაკი - 40 წელი;

საშუალო ხელფასი - 1000 ლარი;

საპენსიო ანგარიშზე თვიურად ჩასარიცხი თანხა - 60 ლარი;

წლიური საპროცენტო განაკვეთი - 5%;

დაგროვების დრო - 20 წელი;

საპენსიო ასაკი - 60 წელი (ქალებისთვის);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77 წელი;

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ ფულის მომავალი ღირებულება: FVYFAi,n =R * PVYFAi,n სადაც R საპენსიო ანგარიშზე შენატანების ჯამია, ხოლო PVYFAi,n საპენსიო შენატანების დისკონტირებული ღირებულება, შესაბამისად ვღებულობთ:

FVYFAi,n =720 * 20*12,462 = **179 453**

მიღებული მაჩვენებელი გადანაწილდება დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და გაიცემა ყოველთვიურად. მოცემულ შემთხვევაში: 179 453 : 17 : 12 = **880**

ე.ი. ყოველთვიურად საპენსიო სქემის მონაწილე 880 ლარს მიიღებს არსებულ სოციალურ პენსიასთან ერთად; ამ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, **ჩანაცვლების კოეფიციენტი** (პენსია/საშუალო ხელფასთან) იქნება

88%, რაც საგრძნობლად მაღალია არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტზე (18%).

რა თქმა უნდა, ეს მაჩვენელი მიახლოებითია, რადგან 20 წლის განმავლობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ცვალებადია და რთულია წინასწარი პროგნოზების გაკეთება.

საინტერესოა დაახლოებით რა თანხას მოუყრის თავს საპენსიო სააგენტო და რამდენი იქნება მასზე დარიცხული სარგებელი საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ.

მაგალიათად 2016 წელს დაქირავებით მომუშავეთა წილი მთლიან დასაქმებულებში 41.4% იყო ანუ დაახლოებით 747 640 ადამიანი. ამ დროისათვის საშუალო ხელფასი 940 ლარია. ე.ი ყოველწლიურად დასაქმებულთა მიერ განხორციელებული შენატანების ჯამი ტოლია: 940 * 6% * 12 * 747 640 = 506 002 752 მიღებულ თანხაზე დარიცხული სარგებელი ვთქვათ, 20 წლის განმავლობაში გამოითვლება შემდეგნაირად:

FVIFAi,n = R* PVIFA $_{i.n}$ = 506 002 752 * 20 * 12.462 = **13 958 125 909**

ე.ი. 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 13 958 125 909 ლარს შეადგენს საპენსიო ფონდი, რომელიც ეტაპობრივად გადანაწილდება სისტემაში მონაწილე პენსიონერებზე.

რა თქმა უნდა, ეს მაჩვენელი მიახლოებითია, რადგან 20 წლის განმავლობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ცვალებადია და რთულია წინასწარი პროგნოზების გაკეთება.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონცეფცია ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დაგროვილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იქნება საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს პირისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ასეთ შემთხვევებს ასევე განეკუთვნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის წევრის გარდაცვალება და შვილის განათლების დაფინანსება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გარდაიცვალა საპენსიო ასაკის მიღწევამდე ან პენსიის გადახდის პროგრამის შედგენამდე, მონაწილის ანგარიშზე არსებული თანხები გადაეცემა მის მემკვიდრეს/მემკვიდრეებს.

ეს სისტემის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან არა ერთ მოქალაქეს შესაძლებელია გაუჩნდეს სურვილი, არამიზნობრივად

გამოიყენოს ეს მექანიზმი, არაკანონიერი გარიგებებისა თუ დოკუმენტაციის გაყალბების საშუალებით. იმისათვის, რომ სისტემამ წარმატებით იფუნქციონიროს, მის მოქმედებამდე ამ და სხვა რისკ-ფაქტორების სიღრმისეული გაანალიზება და პრევენციაა საჭირო.

მთავრობის წარმომადგენლების თქმით, რეფორმის მნიშვნელოვანი სარგებელი იქნება, რომ ის ხელს შეუწყობს დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში და შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან, ეს ფაქტორი შესაძლებელია ერთგვარ რისკადაც განიხილებოდეს, ვინაიდან ბუნდოვანია, თუ რა მექანიზმებით და ვინ უნდა მართოს ეს თანხები.

კანონპროექტის მიხედვით, რეფორმის ამოქმედებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში, მაგალითად მთავრობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში, ანუ მთავრობის შიდა ვალში. შიდა ვალი ეს არის ის თანხა, რასაც მთავრობა საქართველოს ეკონომიკიდან სესხულობს 1, 2, 5 და 10 წლიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით. თუ მთავრობამ საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა ვალად აიღო, მომავალში ამ ვალის გასტუმრებისათვის მან შესაძლოა გადასახადები გაზარდოს, რაშიც კონსტიტუციაც ვერ შეუშლის ხელს, რადგან კონსტიტუციის 94-ე მუხლი, რომელიც რეფერენდუმის გარეშე ახალი სახის გადასახადის შემოღებას ან არსებული განაკვეთის გაზრდას კრძალავს, საკონსტიტუციო ცვლილებებით ამოღებული იქნა. ფონდის მოქმედების სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- **2018 წელს 1 ლარის სახით საპენსიო შენატანი შეგროვდა;**
- **2018 წელს 1 ლარი ასესხა ფონდმა მთავრობას;**
- **2018 წელს მთავრობამ ხარჯვა გაზარდა ამ 1 ლარით;**
- **2038 წელს მთავრობა ზრდის გადასახადებს 1 ლარით პლუს ერთ ლარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით, რათა ფონდს ვალი დაუბრუნოს;**
- **2038 წელს 1 ლარს პლუს საპროცენტო განაკვეთი დაუბრუნდა საპენსიო ფონდს და აღნიშნული თანხა პენსიის სახით გაიცა;**

რეფორმას ახლავს ასევე სხვა რისკ-ფაქტორებიც. მაგალითად: ეროვნული ვალუტის სტაბილურობის საკითხი მომავალში, ინფლაციის ზრდის ტემპი, საინვესტიციო საბჭოსადმი ნდობის ხარისხის ნაკლებობა; მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არ არის სათანადოდ განჭვრეტადი გარემო ასეთი გრძელვადიანი ინვესტიციისათვის, მეტიც ჯერ ზუსტად არ არის დადგენილი ის საპროცენტო სარგებელი, რასაც ფონდი დაზოგილ თანხებს დაარიცხავს. შემოთავაზებულმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური შრომითი გარიგებების დადება და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისება. ასევე შესაძლებელია შრომით ბაზარზე გაიზარდოს მოთხოვნა 40 წელს გადაცილებულ ადამიანებზე, რომლებთაც სისტემაში სავალდებულო წესით ჩართვა არ მოეთხოვებათ, რაც გაზრდის უმუშევრობას ახალგაზრდა თაობაში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რისკ-ფაქტორებისა, საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს დაგროვებითი საპენსიო რეფორმა. სწორედ ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შემუშავდა საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ასევე **საქართველოს მეზობელი ქვეყნების** მაგალითზეც. მაგალითად: **თურქეთში** კერძო საპენსიო სისტემა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. სისტემაში ჩართვა სავალდებულოა 45 წლამდე დასაქმებულთათვის, საპენსიო კომპანიას თავად დასაქმებული არჩევს. ყოველთვიური საპენსიო შენატანი შემოსავლის 3%-ია, დაგროვილ თანხას სახელმწიფო საერთო თანხის 25%-ს ამატებს. **აზერბაიჯანში** ახალი საპენსიო სისტემა 2017 წლის 1-ლ ივლისს ამოქმედდა, სისტემაში მონაწილე დასაქმებულები საპენსიო ფონდში შემოსავლის 3%-ს იხდიან. **სომხეთის** საპენსიო სისტემა 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. იგი სავალდებულოა 40 წლამდე ასაკის დასაქმებულებზე, რომლებიც შემოსავლის 5%-ს რიცხავენ საპენსიო ანგარიშზე და რომელსაც სახელმწიფოც 5%-ს ამატებს. 40 წელს გადაცილებულ პირებს კი ნებაყოფლობით გაწევრიანების უფლება აქვთ. **რუსეთში** კი აღნიშნული რეფორმა 2019 წელს ამოქმედდება.

საქართველოში შემუშავებული საპენსიო რეფორმა ეფუძნება არა ერთი კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკას, არამედ წარმოდგენილია შერეული სახით.

დასკვნა

ნებისმიერ სახელმწიფოში სოციალური დაცვის სისტემა ორიენტირებულია მისი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფაზე. განვითარებულ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლით ცხადი ხდება, რომ საპენსიო სისტემა სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება სახელმწიფო შემოსავლებზე და მისი სიმძიმე თანდათანობით გადადის მომავალი პენსიონერის შრომისუნარიან პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილის საპენსიო ფონდში დაბანდებაზე. საპენსიო მოდელები ყოველთვის მორგებულია ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის ისტორიასა და კულტურაზე. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა მშობლისა და შვილების დამოკიდებულების კუთხით, შესაბამისად ძნელად აღსაქმელი არის საპენსიო უზრუნველყოფაზე საკუთარი შემოსავლებით ზრუნვა. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია არცთუ მარტივი იყო, გამომდინარე აქედან დემოგრაფიული მდგომარეობა რთულია. პროგნოზი მოხუცებულთა ღირსეული პენსიით უზრუნველყოფისათვის არასახარბიელოა. შესაბამისად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ ინიცირებული დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება. შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე ვრწმუნდებით, რომ რეფორმა შეიცავს მრავალ რისკს, რადგან პირველი პენსიის გაცემა 20 წლის შემდეგ უნდა მოხდეს და არასტაბილურობით შეფასებული ეკონომიკა ეჭვს იწვევს. ჩატარებული კვლევა, პროგნოზირება მომავალში მისაღები პენსიის სიდიდის შესახებ ჩვენ ვთვლით რომ საიმედოა. რაც შეეხება რისკებს, მიგვაჩნია, რომ რისკი სამართლებრივი რეგულირების ცვლილებისა უნდა დაემატოს ჩამონათვალს და ის რაც მიღებული იქნება დღეს არ უნდა შეიცვალოს საპენსიო ფონდის მართვასთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ლ. მელოიანი, „სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისგან დაცვაში“, ბათუმი 2013
2. A.Tsintsadze, Pension system perfection problems in Georgia, European Journal of Economics and Management Sciences, Scientific journal № 2, 2015, Vienna
3. „საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ“, 2018 წლის მდგომარეობით, მოძიებულია მარტი 2018 წელი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3839800 - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
4. შოთა ტყეშელაშვილი, (ივლისი, 2018), „საპენსიო რეფორმა - სქემა, რომლითაც მთავრობას თქვენი ფულის მითვისება შეეძლება“ http://www.tabula.ge/ge/story/126318-sapensio-reforma-sqema-romlitac-mtavrobas-tqveni-fulis-mitviseba-sheedzleba;
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, (მარტი, 2016 წელი), "საქართველოს საპენსიო რეფორმა - არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა" http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Goverment_Report_on_pensions_Final_GEO.pdf ;
6. ინტერნეტგამოცემა "საქართველო და მსოფლიო“, (მაისი, 2017) "მსოფლიოს 10 ქვეყანა, სადაც პენსიონერს ყველაზე დალხენილი სიბერე აქვს", მოძიებულია მარტი, 2018 წელი, http://geworld.ge/ge/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1-10-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%9E/;
7. „ლიბერალი", (01 მარტი, 2018 წელი), "TI: 10 შენიშვნა საპენსიო რეფორმაზე", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://liberali.ge/articles/view/34665/TI-10-shenishvna-sapensio-reformaze;
8. შ. ქარჩავა, (მარტი 2018 წელი), "საქართველო დაგროვებითი საპენსიო სისტემისთვის ემზადება", მოძიებულია მარტი 2018 წელი,http://dlmn.info/ge/sakartvelo-dagrovebiti-sapensio-sistemistvis-emzadeba/;
9. დემნა დევდარიანი, (ოქტომბერი 2015 წელი), "საპენსიო რეფორმა საქართველოში", მოძიებული მარტი 2018 წელი, https://idfi.ge/ge/pension-reform-in-georgia - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

10. ტარიელ გვალია, (მაისი, 2017 წელი), "საპენსიო რეფორმა და კორპორაციული მმართველობა", მოძიებულია აპრილი 2018 წელი, http://forbes.ge/blog/226/sapensio-reforma-da-korporaciuli-mmarTveloba - Forbes.ge;

11. საქართველოს პარლამენტი, „დაგროვებითი საპენსიო სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.parliament.ge/uploads/other/29/29749.docx;

12. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში - 2016 წელი, file:///C:/Users/USER-pc/Downloads/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf - .

Zoidze Rusudan

Pension System Reform in Georgia

Abstract

In result of high actuality of the issue, the goal of processing theme is getting to know new pension model, developing it's negative and positive sides and evaluating it from the side of the future participant of the system.

Key words: pension model, evaluating.

საარჩევნო პლაკატები და სლოგანები, როგორც ღირებულებათა ტრანსფორმაციის ინდიკატორი

დავით ფარტენაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა - მარკეტინგი
კურსი - მეორე
E: dphartenadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გულიკო ქათამაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის
დარგობრივი დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მთავარი მიზანია შეისწავლოს ქართული პოლიტიკის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საარჩევნო პლაკატებსა და სლოგანებს ეხება. ჩემი აზრით, სწორედ ეს მასალებია იმ ღირებულებათა ტრანსფორმაციის ინდიკატორი საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლოს აღდგენის შემდეგ გავიარეთ. ეს არის ყველაზე ცალსახა, უტყუარი და ხელშესახები მასალა, რომელიც ჩვენს განვითარებას ასახავს. ბუნებრივია, ამ მასალების კვლევა მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გავიაზროთ, რა გზა გავიარეთ, სად დავუშვით შეცდომა და როგორ შეიძლება მოვახდინოთ პრევენცირება მომავალში. კვლევის ამოცანაა შეგროვდეს ის ოფიციალური წყაროები, რომელიც საარჩევნო პლაკატებსა და სლოგანებს ინახავს. კვლევის საგანი სწორედ ეს მასალებია, რომელშიც არის ჩამალული ჩვენი ქვეყნის განვითარება, ღირებულებათა ტრანსფორმაცია. კვლევაში ძირითადად გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის მასალები და კვლევის შედეგები ემყარება კონტენტ-ანალიზს. ბუნებრივია, ამ ნაშრომს ვერ ექნება სრულყოფილებისა და ობიექტურობის პრეტენზია, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ ნაშრომს შეუძლია გამოიწვიოს და ბიძგი მისცეს სწორედ ამ მიმართულების კვლევას საქართველოში და სამომავლოდ უფრო ჩამოყალიბებული, სრულყოფილი კვლევა მივიღოთ, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი ღირებულებები წლების განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები - საარჩევნო პლაკატები და სლოგანები, ტრანსფორმაციის ინდიკატორი, დამოუკიდებლობის აღდგენა, პრევენცირება, ღირებულებათა ტრანსორმაცია, ეროვნული ბიბლიოთეკა.

შესავალი

„დეპუტატი ამომრჩევლის სახეა“ - 1995 წელს რკინის სახით იუწყებოდა ბათქაშჩამოცვენილ კედელზე გაკრული საარჩევნო პლაკატიდან ჯაბა იოსელიანი. ერთი მხრივ, რთულია, არ დავეთანხმოთ ამ ფრაზას, ხოლო მეორე მხრივ, ირონიულ-სატირულ დამოკიდებულებას იწვევს, მართლაც შესაძლებელია, რომ ჯაბა იოსელიანი იმ ეპოქის ერთ-ერთ ლოგოტიპად, იმდროინდელი მოქალაქეების სახედ მივიჩნიოთ. ბუნებრივია, დამოკიდებულება, როგორც ორ სუბიექტს, დეპუტატსა და ამომრჩეველს შორის არსებობს და ეს ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა ფაქტორებში. მოქალაქეებს, ამ შემთხვევაში ამომრჩევლებს, გააჩნიათ თავიანთი შეხედულებები, სურვილები, მოთხოვნილებები, ღირებულებები გარკვეული საკითხების, თემატიკების, პრობლემების მიმართ, რომლებიც უცილობელ ისახება ასარჩევ თუ არჩეულ პოლიტიკოსთა სლოგანებში, საუბარში, რიტორიკაში, რეკლამებსა თუ გამონათქვამებში. პოლიტიკოსები წინასაარჩევნო თუ პოსტსაარჩევნო პერიოდებში ცდილობენ ისაუბრონ ისეთ თემატიკებზე, გააკეთონ ისეთი აქცენტები, რომ რაც შეიძლება ახლოს იყვნენ საზოგადოებასთან, რათა ერთი მხრივ, არ დაკარგონ ლოიალური ამომრჩეველი და მეორე მხრივ, გააფართოონ ეს წრე. შესაძლებელია ითქვას, რომ კლასიკურ მოდელში პოლიტიკოსები იძულებულნი არიან იყვნენ საზოგადოების სარკეები, ასახონ მათი ღირებულებები თავიანთ საარჩევნო პროგრამებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება, ამომრჩეველი და განსაკუთრებით ისეთი კონსერვატიული ამომრჩეველი, როგორიც საქართველოშია, არ აპატიებს მათ ამ გადახრას და საარჩევნო ყუთებთან გამოუტანს მათთვის არასასიკეთო განაჩენს.

საქართველოს 27 წლიანი საარჩევნო ისტორია აქვს და ამ დროის განმავლობაში ყოფილა ისტორიული, უმნიშვნელოვანესი, დაძაბული, გაყალბებული, ევროსტანდარტებდაკმაყოფილებული, სისხლიანი, უმნიშვნელო თუ სხვა არჩევნებიც, რომელთაც მათი შინაარსისა და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ალბათ, ნებისმიერი ეპითეტი მიესადაგებოდა რომელიმეს. გულწრფელად მჯერა, რომ ამ 27 წლიანი საარჩევნო მარათონის დროს, ამ

პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე პოლიტიკოსები ისე არჩევდნენ თავიანთ სლოგანებს, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო საზოგადოების ღირებულებებზე მორგებული. დროის გასვლასთან ერთად, იცვლებოდა საზოგადოება, იცვლებოდა თაობები, იცვლებოდა ამომრჩეველთა მოთხოვნილებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები, ხედვები, ღირებულებები. ამ პროცესის კვალდაკვალ იცვლებოდა საარჩევნო პლაკატები, ფერები, დიზაინები და, რა თქმა უნდა, სლოგანებიც, როგორც შინაარსობრივი, ისე ღირებულებითი თვალსაზრისით.

ჩემი აზრით, პოლიტიკური აზროვნების ცვლილებისა და დინამიკის პროცესის გამომწვევი მიზეზი მეტწილად საზოგადოების ღირებულებათა დოქტრინის ცვლილებაა. ამ თეზისში მესამე მოქმედ სუბიექტად, როგორც პოლიტიკური აზროვნების უტყვ მემატიანედ, შეგვიძლია პოლიტიკური პლაკატები და მათზე დატანებული სლოგანები მივიჩნიოთ. ერთი შეხედვით, აშკარად ჩანს ფუნქციური დამოკიდებულება ამ სამ ცვლად, პოლიტიკურ აზროვნებას, საზოგადოების ღირებულებებსა და პოლიტიკურ სლოგანებს შორის.

F(x) = საარჩევნო სლოგანები = პოლიტიკური აზროვნება = მოქალაქეთა ღირებულებები

„კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს - ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც.“[1] - წერს გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძე 1888 წელს. ამ მოკლე ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ისტორიის შესწავლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, არამედ აწმყოს გაანალიზებასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზეც. ის სამ ძირითად კითხვას სვამს - რანი ვიყავით? რანი ვართ? რანი ვიქნებით?

ჩემი აზრით, ეს ის კითხვებია, რომლებზეც დღეისთვის სახელმწიფოს, როგორც მოქალაქეთა ერთობას არ გვაქვს პასუხი გაცემული. ეს პასუხგაუცემელი კითხვები კი თავის საპირწონედ იწვევს იმას, რომ ჩვენ ვერ ვართ

[1] ჭავჭავაძე ი. (1888 წ) – დავით აღმაშენებელი. გაზეთი „ივერია“ #17

შემდგარი ერთობა მოქალაქეებისა, რომელთაც განურჩევლად მათი პოლიტიკური ღირებულებების კუთვნილებისა, სოციალური კლასისა, განათლებისა თუ სხვა, არ გვაქვს რაიმე ერთიანი პოზიცია, ერთიანი პოლიტიკური ღირებულება. ერთ-ერთ ასეთ ღირებულებად, ჩემი აზრით, უნდა იყოს თეზისი - რუსეთი მტერია, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ურთიერთპატივისცემით, დიალოგით, სამოქალაქო პასუხისმგებლობით და იმ სამ მთავარ კითხვაზე პასუხების გაცემით შეირჩეს სხვა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკური ღირებულება ან ღირებულებები, რომელთა ირგვლივაც გაერთიანდება საზოგადოება და შედგება მოქალაქეთა ერთობად, რომელსაც გააზრებული ექნება რანი ვიყავით, ეცოდინება რანი ვართ და წარმოდგენილი ექნება რანი ვიქნებით.

ჩვენი ვალდებულებაა ამ სამ კითხვას გავცეთ პასუხები და ლოგიკური და უპრიანია დავიწყოთ საფუძვლით, რანი ვიყავით?

სწორედაც რომ, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ერთ-ერთი პუნქტი ჩვენი პოლიტიკური წარსულის გადააზრებასა და გადაფასებას უნდა დაეთმოს, რომლის კვლევის პროცესშიც უცილობელ უნდა იქნეს გამოკვლეული ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებათა ღირებულებები და მათი ევოლუცია, რომელთა უტყვი მემატიანე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათი საარჩევნო სლოგანები და პლაკატებია, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეთა ღირებულებითი ტრანსფორმაციაა ჩამალული და ასახული.

1990-1999

● დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ პირველ საარჩევნო პლაკატად „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატის, ზვიად გამსახურდიას 1991 წლის პოსტერი შეიძლება ჩავთვალოთ. ამ შავ-თეთრი პლაკატის ზედა მარცხენა კუთხეში წრიული ფორმით დაწერილია პარტიის სახელი, რომელიც მრგვალი მაგიდის ასოციაციას იწვევს, მასში ჩახატულია წრიული ფიგურა, რომელზეც დატანებულია ჯვარი. ქვედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ზვიად გამსახურდია, ხოლო შესაბამისად დარჩენილ სივრცეებში, თანამედროვე მარტივი და სხარტი სლოგანებისგან განსხვავებით დაწერილია 2 სტროფიანი ლექსი.

„დე, ელვარებდეს **ივერთა** ცაზე /მზე შუაღამის, **ბარძიმი წმინდა,** / გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი / და **ღვთისმშობელი** ვინაც დაწინდა. / ვაშენოთ ჩვენი **ტაძარი** ქვაზე, / ბნელში მსხდომთ კვლავაც აღვუნთოთ კვარი /

და მიგვიძღვოდეს ეკლიან გზაზე / **წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.** "/ ზვიად გამსახურდია - 1991.

ეს საარჩევნო პლაკატი, მართლაც კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ აისახება მოქალაქეთა ღირებულებები ამგვარი ტიპის მასალებში. იმდროინდელი (სხვათა შორის, თანამედროვესიც) საზოგადოებისთვის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა **ეკლესია,** როგორც ქართული კულტურის, ეროვნულობის შემნახველი და გადამრჩენელი საბჭოთა რეჟიმისგან, რის საპირწონედაც ლოგოში გამოყენებულია **ჯვარი.** ამასთანავე, ლექსის, ამ შემთხვევაში სლოგანის, მთავარ ნარატივს სწორედ **რელიგიური ფაქტორები** და გარემოებები წარმოადგენს - ბარძიმი, ღვთისმშობელი, ტაძარი, წმინდა გიორგი, ნინოს ჯვარი. ასევე, ლექსში გამოყენებულია სიტყვა **„ივერია",** რომელიც პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახელწოდებითაა ცნობილი. ბუნებრივია, რელიგიური და ერთ დროს ძლიერი ივერიის დაბრუნების მოტივები გამოწვეულია იმდროინდელ საზოგადოებაში **ნაციონალისტური** ღირებულებითი დოქტრინის სიძლიერით საქართველოში.

● ამ პერიოდს ეკუთვნის საარჩევნო ბლოკ **„თავისუფლების"** პლაკატი (1992 წელი), რომლის ზედა მხარეს არის ამ ბლოკის არჩევის მოწოდება, შუაწელში დატანილია ლოგო **(არწივი),** რომლის ირგვლივაც გვხვდება ბლოკში შემავალი **პარტიების ლიდერების ხელმოწერები**, ხოლო ქვედანაწილში ბლოკში შემავალი პარტიებია ჩამოწერილი. ცხადია, რომ ბლოკის სახელი შემთხვევით არ არის შერჩეული და ის საბჭოთა რეჟიმისგან ახალმოპოვებული დამოუკიდებლობის, **თავისუფლების** აღსანიშნავადაა შერჩეული, რადგანაც ამ ტალღის მუხტი და სიმძლავრე 2 წლის შემდეგ კი არა, დღესაცაა შემორჩენილი. ასევე, ლოგოდ გამოყენებულია არწივი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ხშირად იყო თავისუფლების ან/და საქართველოს სიმბოლო. ჩემი აზრით, კრეატიული გადაწყვეტა იყო ამ პოსტერზე ხელმოწერების დატანებაც, რადგანაც როგორც საქართელოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე სწორედ ხელმოწერებია დატანებული და ეს მსგავსება ერთგვარად ქმნიდა იმ გამარჯვებების პომპეზურობის სიმულაციას. ბუნებრივია, 1992 წლისთვის ჯერ კიდევ აქტუალური იყო საქართველოში თავისუფლების, დამოუკიდებლობის აღდგენით გამოწვეული პროცესები. შესაბამისად, სწორედ **„თავისუფლების"** ღირებულება იმდროინდელი საზოგადოებისთვის

კვლავაც ახლო და მისაღები იყო. ბუნებრივია, ამას ემატება ქართული, იმდროინდელი გაგებით **ეროვნული,** ლიტერატურული „გმირის“ არწივის გამოყენებაც.

● ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია და მოქალაქეებს მძიმე სოციალური ფონისა და სიდუხჭირის გამო აღარ სცალიათ დიადი ივერიის ასაშენებელ იდეებზე საფიქრელად. მთავარ მოთხოვნილებად, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, **ნორმალური საარსებო პირობებია** წარმოჩენილი. ეს მოთხოვნილებაც (და არა ღირებულება) აისახა საარჩევნო პლაკატში, რომელიც ჯაბა იოსელიანს ეკუთვნის და 1995 წლითაა დათარიღებული. ამ პოსტერის ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია შემოხაზული საარჩევნო ნომერი, ლურჯ ფონზე ჩანს სმოკინგში გამოწყობილი ჯაბა იოსელიანი, ხოლო საარჩევნო სლოგანად არჩეულია **„დეპუტატი ამომრჩევლის სახეა“.** მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად ვიცით და იცოდნენ მაშინაც, რომ თუნდაც ასეთი ჩაცმის ფუფუნება იმდროინდელ საზოგადოებაში ერთეულებს ჰქონდათ, თუმცა ეს პოსტერი სამომავლო პერსპექტივაში აჩვენებდა იმას, რომ ჯაბა იოსელიანის არჩევის შემთხვევაში, მოქალაქეებსაც მიეცემოდათ იმის შესაძლებლობა, რომ **„ასე ჩაეცვათ“**, ანუ დეპუტატი მართლაც ყოფილიყო ამომრჩევლის სახე.

● მეოცე საუკუნის მიწურულს, 1999 წელს, უკვე გვხვდება პოლიტიკური პარტია **„მერაბ კოსტავას საზოგადოების“** პლაკატი. ამ პოსტერზე დატანილია მოწოდება, რომ ხმა მისცენ მოქალაქეებმა მერაბ კოსტავას საზოგადოებას და საქართველოს დროშის ფონზე ჩანს მერაბ კოსტავას რეტროსპექტიული გამოსახულება. ამ ათწლედის (90-იანი წლები) საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი **„მესიანიზმი“** გახლდათ, რომელიც სამწუხაროდ დღემდე გასდევს ლაიტმოტივად ქართულ საზოგადოებას. მეოცე საუკუნის მიწურულს, გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური ფიგურის სახელი არც თუ ისე მძლავრად იყო შემორჩენილი, შევარდნაძის შემთხვევაში კი, აუტანელი სოციალური მდგომარეობის გამო ის ნდობა და მხარდაჭერა გაქრა. ამის ფონზე, შენარჩუნებულია **„მესიანიზმის“** თვისება საზოგადოებაში და შესაბამისად, საჭირო იყო ახალი ლიდერის, მხსნელის წარმოჩენა პოლიტიკურ ბაზარზე. ასეთი პიროვნება კი იმ დროინდელ პოლიტიკურ სპექტრში არ ჩანდა, რომელსაც გაყვებოდა ერი. შესაბამისად, საჭირო გახდა 1999 წლისთვის უკვე 10 წლის გარდაცვლილი მერაბ კოსტავას გამოყვანა ასპარეზზე.

2000-2004

● თვისებრივად განსხვავებული პლაკატებისა და სლოგანების ხანად შეიძლება მივიჩნიოთ 21-ე საუკუნის დასაწყისი. ამ საუკუნის დასაწყისის განხილვა უპრიანია „საქართველოს მოქალაქეთა“ კავშირითა და ედუარდ შევარდნაძით დავიწყოთ. დაახლოებით 2000 წელს პოლიტიკურ ბაზარზე გამოდის **სმკ**-ს პლაკატი, რომლის ზედა მხარეს დატანილია სლოგანი - **პური უნდა ცხვებოდეს,** ხოლო ფონად თონეში პურის ჩაკვრის სცენაა გამოსახული. ეს პლაკატი გამოხატავს ირონიულ-ქილიკურად იმდროინდელ ყოფას, რომ ადამიანები, ამ გადმოსახედიდან იმყოფებოდნენ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის უმდაბლეს, ფიზიოლოგიურ საფეხურზე. ამ პლაკატის თანადროულია მეორე პოსტერიც, სადაც შევარდნაძის გამოსახულება ჩანს, ზედა მხარეს აწერია - **განახლების პოლიტიკა,** ხოლო ქვედა მხარეს, სლოგანად - **შემობრუნება ეკონომიკისკენ.** ზედა წარწერა ბუნებრივი და მარტივი ასახსნელია, რადგანაც საზოგადოებაში მართლაც იყო იმის მოთხოვნა, რომ ცვლილება, განახლება იყო საჭირო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო სლოგანი - **შემობრუნება ეკონომიკისკენ** ერთგვარად თავის თავში იტევს **წარმატებასა და მომავალ** მოლოდინს. წარმატების კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს ეკონომიკური კრიზისის მილევადობის პერიოდი, ხოლო მოლოდინში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება იგულისხმება. ბუნებრივია, **სმკ**-ს ეს ორი პოსტერი სრულად ასახავდა იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებასა და სურვილებს.

● შესაძლებელია ამ პოსტერების კონტრსტრატეგიად მივიჩნიოთ იმავე პერიოდის **„აღორძინების“** საარჩევნო პლაკატი, რომლის ძირითადი მესიჯიც **„სხვები გპირდებიან, ჩვენ ვაკეთებთ“** გახლდათ. რა თქმა უნდა, ამ სლოგანით ასლან აბაშიძის პოლიტიკურმა პარტიამ შევარდნაძის პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა და ფაქტობრივად, არგუმენტად აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის მაგალითი გამოიყენა, რადგანაც იმდროინდელ საზოგადოებაში მყარად მუსირებდა აზრი, რომ აჭარა იმ ფორმაციის საქართველოში ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი რეგიონი გახლდათ, შესაძლოა ეს მართლაც ასე იყო, თუმცა კარჩაკეტილობის წყალობით იქმნებოდა მითები ასლან აბაშიძის წარმატებული პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. ასევე, აღსანიშნავია ბლოკ „საქართველოს აღორძინების“ მეორე საარჩევნო პლაკატი, რომლის თავზეც სლოგანად გვხვდება ცნობილი იგავის მორალი **„ძალა ერთობაშია“,** შუაწელში დატანილია ბლოკში გაერთიანებული პარტიების ლიდერები

(ასლან აბაშიძე, როგორც ლიდერი დატანილია ცენტრში), ამ სურათების ქვემოთ კი ჩამოწერილია ბლოკის 8 მიზანი, რომელთაგან უპირველესია „ეროვნული შერიგების საფუძველზე ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამთლიანება“, გვხვდება სიტყვები „დემოკრატია“, „დამოუკიდებლობა“ „ტერიტორიული მთლიანობა“, „ევროპა“, „ეკონომიკური კავშირები“, „მეურნეობები“ „სოციალური პრობლემები“. სწორედაც ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომელთა წინაშეც იმდროინდელი საზოგადოება იდგა.

● შემდეგ პერიოდს უკავშირდება მძლავრი საპროტესტო ტალღა შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის“ ძირითად იარაღს წარმოადგენდა. შემუშავდა უნიკალური სლოგანი **„საქართველო შევარდნაძის გარეშე“,** რომელიც გამოყენებულ იქნა, როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ამ პერიოდიდან უკვე გვხვდება ისეთი მესიჯბოქსები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად და პირდაპირ არ გვეუბნება თუ რა ფორმაციის საზოგადოებრივ ღირებულებასთან გვაქვს საქმე. იმდროინდელ საზოგადოებას აერთიანებდა ერთადერთი რამ, ნეგატიური დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ, ხოლო აკლდა ახალი, ქარიზმატული, პირდაპირი ლიდერი, რომელიც ხელისუფლებას იმას კი არ ეტყოდა შეფარვით, რომ თქვენ მხოლოდ დაპირებებს იძლევით და რეალურად ჩვენ გავაკეთებთ საქმეს, არამედ მიმართავდა პირდაპირ - **„საქართველო შევარდნაძის გარეშე“.** ბუნებრივია, ამ სლოგანმა იმუშავა, რადგანაც ეს იყო ის უპირველესი, რაც სურდა საზოგადოებას, ეს იყო მათი გულისთქმა.

2008-2010

● 2008 წელს, უკვე ოპოზიციაში გადასული ზვიად ძიძიგური მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის წინააღდეგ იბრძვის გაერთიანებული ოპოზიციის რიგებიდან. მის საარჩევნო პლაკატზე არ გვხვდება რაიმე კონკრეტული სლოგანი ან ლოზუნგი, თუმცა ის კვლავ აბრუნებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხელმოწერის ფენომენს, რომლის ფონზეც თვითონ ზვიად ძიძიგურია გამოსახული. ეს პლაკატი მკაფიოდ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რამდენად სუსტია ოპოზიციური ფლანგი, რადგანაც ასეთი სადა დიზაინი, ულოზუნგობა არ არის ხელისუფლებისთვის კრიჭაში ჩამდგარი ოპოზიციური, თანაც გაერთიანებული, სპექტრისთვის დამახასიათებელი.

● ასევე ძალიან საინტერესოა 2010 წლის მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების საარჩევნო პლაკატები. ისინი რეალურად აღწერენ იმ პერიოდს პოლიტიკურ კონიუნქტურას. მაგალითად, სახელისუფლებო გუნდი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყენებს სლოგანს - გასაკეთებელი კიდევ ბევრია და განცალკევებულ შემთხვევებში იყენებს კანდიდატების ფოტოებს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. ამ პლაკატებს ორი დატვირთვა აქვს, ერთი ის, რომ ჩანს მოსახლეობის მხარდაჭერა მმართველი ძალის მიმართ ფოტოდან, ხოლო სლოგანი მიუთითებს იმას, რომ ბევრი გაკეთდა და ბევრიც გასაკეთებელია. ანუ, როგორც 2000 წლის დროინდელმა სახელისუფლებო გუნდმა გამოიყენა ფორმულა **„ორი ერთში“** - მიღწეული წარმატება და მოლოდინი. ასეთ პოსტერებზე ხელისუფლება სურათებში იყენებდა ორ ძირითად სეგმენტს, პენსიონერებს და ბავშვებს, რადგანაც შუახნის მოქალაქეების ძირითადი საზრუნავი სწორედ ბავშვები და მოხუცები არიან. სტრატეგიულად ერთგვარ, თუმცა შინაარსობრივად განსხვავებულ ფორმებს ირჩევს მაშინდელი ოპოზიცია. მაგალითად, „ალიანსი საქართველოსთვის“ ირაკლი ალასანიას ლიდერობით ირჩევს მსუბუქ სლოგანს **„ჩვენ შევცვლით“,** რაც ნათლად ასახავს საზოგადოების განწყობას ცვლილებების მიმართ. მეორე ოპოციური გაერთიანება „ეროვნული საბჭო“ უფრო მკაცრ, თუმცა შინაარსობრივად ცვლილებისკენ მიმართულ, სლოგანს ირჩევს **„ერთად დავამარცხოთ სააკაშვილი“.** ბუნებრივია, ორივე ოპოციური პარტიის სლოგანები ასახავს ხელისუფლებისადმი ნეგატიურად განწყობილი მოქალაქეების მაშინდელ განწყობას, ხედვასა და სურვილებს. ძირითადი ოპოზიციური გაერთენებისგან განსხვავებით უფრო პრაქტიკულ სლოგანს ირჩევს „თოფაძე - მრეწველები“ – **„მოვდივართ საქმით, გპირდებით საქმეს“,** ბუნებრივია, ეკონომიკურ კრიზისგადატანილი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილები მნიშვნელოვანი დაპირება იყო. უფრო არაპოპულარული და ახალი პარტია „მომავალი საქართველო“ ფაქტობრივად, გვერდით დგას პოლიტიკური პროცესებისგან და სლოგანად ირჩევს **„ერთად ავაშენოთ თბილისი სუფთა ხელებით“**, რაც სხვა პოლიტიკური პარტიების „გასვრილ ხელებზე“ მიუთითებს. ეს პლაკატები ნათლად ასახავს საზოგადოების განწყობებს, ერთი მხრივ, ხელისუფლება, რომლის მხარდამჭერები ამაყობენ წარსული რეფორმაციით და ითხოვენ ახალს, ჰპირდება თავის ამომრჩეველს წარმატებული გზის გაგრძელებას, მეორე მხრივ, მძლავრი ოპოზიცია,

მსუბუქი და მკაცრი ლოზუნგებით, ხოლო მესამე მხრივ, დაბალრეიტინგული ოპოზიციები, რომლებიც პრაქტიკულ და პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილ, თუმცა მნიშვნელოვან დაპირებებსა და აქცენტებს აკეთებენ.

შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სლოგანები და პლაკატები არის რეალური ინდიკატორი იმისა, თუ რა ღირებულებები, განწყობები, სურვილები და მოლოდინებია საზოგადოებაში, რა პრობლემები გააჩნიათ მოქალაქეებს, როგორ სურთ, რომ ისინი მოგვარდეს და რა არის მათთვის მთავარი არგუმენტი, პოლიტიკური პარტიის ნდობის მოსაპოვებლად.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჩვენი ახლო წარსულის გადააზრებისა და შეფასების პროცესის ხელშეწყობა. სწორედ, ამ გადააზრებასა და შეფასებაში უტყვ მემატიანეებად წარმოდგენილნი არიან საარჩევნო პლაკატები და სლოგანები, რომლებიც გვიჩვენებენ იმ პერიოდისთვის არსებულ რეალობასა და საზოგადოებრივ მზაობას ასახავს. ამ პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა საზოგადოების ღირებულებები, მოთხოვნილებები, რომლებიც ისახებოდა საარჩევნო პლაკატებსა და სლოგანებში და ამ ნაშრომით, სწორედ ამის წარმოდგენა და ჩვენება შევძელით. უმთავრეს მიგნებად მიგვაჩნია ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ძირითადი საზოგადოებრივი ცვლილება და ტრანსფორმაცია იწყება ეროვნული, ნაციონალური იდეებით, რომელიც გაჯერებულია მძაფრი რელიგიური კონტექსტით, და სრულდება იცვლება და მიემართება სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. დღეს, ისე მძაფრად აღარ დგას ეროვნულ-ნაციონალისტური იდეები, თუმცა დგას სოციალური, ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სურვილი. ასე შეიცვალა ჩვენი საზოგადოება ბოლო 30 წლის განმავლობაში და ამას, საარჩევნო პლაკატები და სლოგანები ყველაზე უკეთ აღწერს.

გამოყენებული მასალები:

პოლიტიკური პლაკატები - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2012 წლის 14 სექტემბრის გამოფენის გალერეადან.









განახლების პოლიტიკა:
შემობრუნება ეკონომიკისაკენ


სხვები გაირდებიან
ჩვენ ვაკეთებთ!
2
ალორძინება - XXI

ძალა ერთობაშია!
„საქართველოს ალორძინება“
ბლოკის მიზნები და ამოცანები:
2
საარჩევნო ბლოკი
„საქართველოს ალორძინება“
სწორი არჩევანი!


12
ჯაბა იოსელიანი


ისნის
ზვიად ძიძიგური
7
გაერთიანებული ოპოზიცია


34
ნაციონალური მოძრაობა
დემოკრატიული ფრონტი
თბილისი
შევარდნაძის
გარეშე
საკაშვილი
საკრებულოს
თავმჯდომარედ!
175 მილიონი ლარი - ხალხის სასარგებლოდ

ზვიად ძიძიგური
33
საქართველო
შევარდნაძის
გარეშე!

თბილისის მერი
გიგი უგულავა
ჩემი პრიორიტეტი
დასაქმება
5
GigiUgulava.ge
გასაკეთებელი კიდევ ბევრია


5
მასპაკეთებელი
ჯიდევ ბევრია

ალიანსი საქართველოსთვის
2
ჩვენ შევცვლით!!!

გლდანის (ქენტების) დეპუტატობის კანდიდატი
7
როინ ხიჯაკაძე
ერთიანი საბჭო
ერთიანი დეპუტატობითი საკრებულო

3
მადონა თურმანიძე
3
3
3
მოვლივართ საქმით, გაირლებით საქმეს!


ერთიან ვვაშენოთ თბილისი
სუფთა ხელებით!
14
გიორგი ლაღიძე
პოლიტიკური პარტია
„მომავალი საქართველო"-ს ლიდერი,
თბილისის მერობის კანდიდატი

Phartenadze Davit

Election Posters and Slogans as Indicators of Value Transformation

Abstract

The goal of this thesis is to do research and learn one of the most important parts of Georgian politic, which concerns election slogans and placates. In my opinion, these materials are the best indicators of showing values transformation. These values were changing from second-gained independence of Georgia to now and they are the best unequivocal, truthful and touchable materials. For this reason, researching of this very important, because to understand what we passed, where we made a mistake and what we can do to avoid in future mistakes like that. The research task is very important part of this thesis, because collecting official resources, which includes election placates and slogans in which is hidden our values changing. Election placates and slogans are research objects. In this research, mainly are used materials of Archive of Georgian National Library. The main instrument of the research is content-analysis and obviously, the research will not be consummate and objective. I think, this research can cause interest of scientists and we can got the perfect work, which will show us how our values was changing during the years.

კორუფცია პოლიტიკაში - პრობლემები და გამოწვევები

არჩილ ჯინჭარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა, მე-2 კურსი
ელ.ფოსტა: achiko.jincharadze.97@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ომარ მახარაძე,
სამართლის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

კორუფციას საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ის, როგორც წარსულში, ისე ახლაც არ კარგავს აქტუალურობას, ვინაიდან სახელმწიფოს/ხალხის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ამის მიზეზი არის ის, რომ კორუფცია მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და სტაბილურობისთვის. ნაშრომში განხილულია, როგორც თეორიული პრობლემები, ასევე, სემანტიკური თვალსაზრისით თავად მნიშვნელობა პოლიტიკური კორუფციის, მისი გამოვლენის ფორმების. ასევე, ის თუ რომელ სფეროში ჰპოვებს თავის გამოხატულებას. პოლიტიკური კორუფციის არსის, მისი გამოვლენის სიცხადისათვის ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მეთოდოლოგია: Case-Study და რაოდენობრივი კვლევა. Case-Study იხილავს საქართველოს მაგალითს, საქართველოში გატარებულ ანტიკორუფციულ რეფორმებს და შედეგებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. კვლევის ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვა შემოწმებულია კორუფციის აღქმის ინდექსის საშუალებით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თავად იმ საფრთხეების, რისკების გამოვლენა, რომლებიც ქვეყანას დემოკრატიულად განვითარების მიმართ სტატიკურ მდგომარეობაში აყენებს და მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური პროცესების დამოუკიდებლად განხორციელებას. ასევე, კვლევის მიზანია დადგინდეს ნაშრომში ჩვენ მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზის

ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება ხელს უწყობს კორუფციის დონის კლებას.

საკვანძო სიტყვები: რეფორმები, პარტიები, სტატისტიკა.

პოლიტიკური კორუფციის ზოგადი დახასიათება

გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანიმ ასე დაიწყო თავისი სიტყვა კონვენციისთვის „კორუფციის წინააღმდეგ“: „კორუფცია სასტიკი სენია, რომელიც მრავალმხრივ ვნებს საზოგადოებას. იგი აზარალებს დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, იწვევს ადამიანის უფლებების შელახვას, აფერხებს ბაზრების საქმიანობას, აუარესებს ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმს და სხვა მოვლენებს, რომლებიც ადამიანის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.“[2] ცხადია, რომ კორუფცია ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ არსებობენ საზოგადოებები, სადაც ის მეტადაა გავრცელებული და ისეთებიც, სადაც ნაკლებად. ცხადია, კორუფცია არის ეფექტური პოლიტიკური ინსტიტუციონალიზმის დეფიციტის შედეგი. საჯარო მოხელეები დამოუკიდებლობისა და თანმიმდევრულობის ნაკლებობას განიცდიან და თავიანთ ინსტიტუციონალურ დანიშნულებას შინაგან მოთხოვნებს უქვემდებარებენ. სხვადასხვა კულტურაში კორუფცია მეტნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ის ყველაზე მასშტაბური მოდერნიზაციის ყველაზე მძაფრ ფაზაში ხდება. კორუფციის დონეებში შესაძლო სხვაობა, რომელიც მოდერნიზებულ და პოლიტიკურად განვითარებულ ატლანტიკურ სამყაროსა და ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის ქვეყნებს შორის იჩენს თავს, სწორედ, პოლიტიკური მოდერნიზაციისა და პოლიტიკური განვითარების დონეებს შორის არსებული განსხვავების ასახვაა. მაშინ, როდესაც სამხედრო ხუნტისა და რევოლუციური მოძრაობის ლიდერები ამხელენ ,,კორუფციას“ მათ საზო-

[2] United Nations Office On Drugs and Crime (UNODC), (2018), „United Nations Convention against Corruption“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.unodc.org/unodc/en/corruption/tools_and_publications/UN-convention-against-corruption.html

გადოებებში, ისინი რეალურად ამხელენ საკუთარ საზოგადოებათა ჩამორჩენილობას.[3] კორუფცია, ცხადია, ფართო მნიშვნელობის ცნებაა, რომლის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ სახეობას წარმოადგენს პოლიტიკური კორუფცია, რომელიც თავის თავში მოიცავს საჯარო სფეროს. საყოველთაოდ აღიარებულია ამ უკანასკნელი ცნების მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ კორუფციას ახასიათებს „ძალაუფლებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საკუთარი უპირატესობისათვის და, ამასთან, ფართო მასების საზიანოდ".[4] აღნიშნულ აზრთა წყობას თუ დავუკვირდებით მივხვდებით, რომ უმნიშვნელოა თუ რა სახით შეიძლება მოხდეს ძალაუფლების საკუთარი უპირატესობისთვის გამოყენება - ღიად თუ ფარულად, პირდაპირ თუ ირიბად. ამასთანავე, ვერანაირ განსხვავებას ვერ ქმნის ის თუ, რა უნდა ვიგულისხმოთ კერძო სარგებელში - ნაღდი ფული თუ სხვა მატერიალური/არამატერიალური საჩუქარი.

სახელმწიფოები განსხვავდებიან რა ერთმანეთისგან სამართლებრივი სისტემით, პოლიტიკური რეჟიმით, შესაბამისად პოლიტიკური კორუფცია თითოეულ მათგანში სხვადასხვაგვარად ვლინდება. პოლიტიკური კორუფციის უამრავი გამოვლენის ფორმა არსებობს, რომელთაგან რამდენიმეზე გავამახვილებთ ყურადღებას: **კლიენტელიზმი** - ეს არის სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენთა ერთობლიობა, რომელიც ემყარება ასიმეტრიული ურთიერთობის ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმებს პატრონსა და კლიენტს შორის.[5] უფრო კონკრეტულად, ეს არის ორმხრივ შესრულებაზე მიმართული არაფორმალური ურთიერთობა პოლიტიკოსებსა (გავლენიან) და

[3] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მარტი, 2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „კორუფცია", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657

[4] Wewer G.,2008. Korruption, in: Nohlen D.,(Hrsg), Kleines Lexikon der politik, S. 267.

[5] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „კლიენტელიზმი", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6485

მათ კლიენტებს შორის. **ნეპოტიზმი** - ნათესავების კერძო ინტერესების პრევალირება სახელმწიფო ინტერესებზე.[6] უფრო კონკრეტულად მათთვის უპირატესობის მინიჭება სამუშაოს დაკავების დროს. **თანამდებობების პატრონაჟი** - ეს არის ფავორიტი, უმჯობესი პირების დანიშვნა თანამდებობის დაკავების დროს პროფესიონალების ნაცვლად. **პროტექცია** - გავლენიანი პირისგან ვინმეს მფარველობა, ვინმეზე მზრუნველობა, მის მიერ რაიმე საქმეში გაწეული დახმარება.[7] ამ პირების წახალისება შეკვეთებისთვის, ადგილებისათვის. ამავე დროს პოლიტიკური კორუფცია მოიცავს ლობიზმს, მოქრთამვას, პოლიტიკურ შანტაჟს და ა. შ.

არსებობს აღიარებული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური კორუფციის შინაარსში გაგებულია როგორც აქტიური, ასევე პასიური ზეგავლენა პოლიტიკურ პარტიებსა თუ თანამდებობის პირებზე. ეს ზეგავლენები კი უმრავლეს შემთხვევაში ეხება პოლიტიკური „გადაწყვეტილებების ყიდვას“ რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პროცესის დროს. ხოლო, იმ გარემოებას თუ ვინ გადადგამს პირველ ნაბიჯს კორუფციული მოქმედებისა თუ უმოქმედობისთვის, თვითონ პოლიტიკოსი თუ ნებისმიერი სხვა პირი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.[8]

ამასთანავე, აღსანიშნავია ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი პოლიტიკური კორუფციისა, რაც გამოიხატება მის ფარულ განხორციელებაში. ეჭვგარეშეა, რომ ის ეწინააღმდეგება სახელმწიფოს დემოკრატიულ საწყისებს, პრინციპებს, მორალურ ნორმებს, რომლებიც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის (ალბათ, მცირე გამონაკლისების გარდა) სახელმწიფოებრივად არსებობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა და, თავისთავად ცხადია, ამ მხრივ მათი სამართლიანი კანონმდებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორუფციის აღმოფხვრისკენ უნდა იყოს მიმართული.

---

[6] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „ნეპოტიზმი“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1844

[7] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „პროტექცია“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=21486

[8] Wiehen M., 2005. Na onale Strategien zur Bekämpfung der poli schen Korrup on, in: U. von Alemann (Hrsg), Dimensionen poli scher Korrup on, S. 397.

რაც შეეხება, თავად პოლიტიკური კორუფციის სუბიექტებს ანუ მის განმახორციელებლებს, ისინი შეიძლება იყვნენ პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიები, მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები. კორუფციული ქმედებები შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვაგვარი გზით: პარტიების დაფინანსების წესების დარღვევით, მთავრობისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენით, პარლამენტის სხდომებზე კენჭისყრისას ხმების ყიდვა-გაყიდვით და ა. შ.[9]

ზეგავლენის განხორციელების გავრცელებული მიდგომაა ცალკეულ პოლიტიკოსზე, პოლიტიკურ-სახელმწიფო თანამდებობის პირზე ერთჯერადად ფულადი თანხების გადაცემა, ე. წ. „შემოწირულობები". ამ შემთხვევაში, საქმე ეხება არა იმ ფულს, რომელსაც ეს პოლიტიკოსი თავის პარტიას აწვდის, არამედ თანხას, რომელსაც საკუთარი ინტერესისათვის, პირადი მიზნებისათვის იყენებს.[10]

აქვე, იმის თქმაა საჭირო, რომ პოლიტიკური კორუფცია შინაარსობრივად იმდენად მოცულობითი გახდა, რომ თავის თავში სხვადასხვაგვარ თვისებას აერთიანებს. ასეთია, მაგალითად ე. წ. „არაპირდაპირი სარგებლობის კორუფცია". ასეთ, დროს კონკრეტული პოლიტიკოსი, როდესაც იღებს ფულად თანხას მისივე პარტიის სასარგებლოდ, შეუძლია მიუთითოს რომ მას ამით რაიმე სარგებელი (პირადი) არ მიუღია. სწორედ, ამგვარი პრაქტიკის საფუძველზე მრავალ ქვეყანაში წარმოიშვა ტენდენცია, რომლის მიხედვით „პირადი სარგებელი" მიიჩნევა, როგორც გადამწყვეტი წინაპირობა კორუფციული ქმედებების შესაფასებლად.[11]

თუმცა, აღნიშნული მსჯელობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსი, რომელიც მნიშვნელოვან შემოწირულობებს იღებს და მათ არა თავისთვის იყენებს, არამედ პარტიას გადასცემს, ის კორუფციული ქმედებას არ აწარმოებს. პირიქით, სწორედ აღნიშნულია ერთ-ერთი გამოვლინება კორუფციის, რითაც ესა თუ ის პოლიტიკური თანამდებობის პირი თავის სამომავლო ან

---

[9] Huth I., 2003. Poli sche Verdrossenheit, S. 343.

[10] Arnim von H. H., 2007. Der gekau e Abgeordnete. Nebeneinkün e und Korrup onsproblema k, in: Arnim von H. H., (Hrsg), Korrup on und Korrup onsbekämpfung, S. 51.

[11] Scheuch E./Scheuch U., 2000. Die Spendenkriese – Parteien außer Kontrolle, S. 243.

არსებულ კარიერას უზრუნველყოფს და ამ ნიშნით პიროვნული სარგებლის მიღების მოლოდინი აქვს.

პოლიტიკური კორუფცია არსებობდა ყოველთვის, ახლაც არსებოს და სამომავლოდაც ალბათობის დიდი მაჩვენებლით გააგრძელებს ფუნქციონირებას პოლიტიკურ სისტემაში. ამის მიზეზი კი არის ძალიან მარტივი, კერძოდ, ადამიანის ეგოცენტრული ბუნება, რომელიც ყოველთვის ყველაფერს სათავისოდ იყენებს (ადამიანთა მცირე ნაწილის გარდა). ადამიანთა ბუნება არსებითად არ შეცვლილა და ისინი ყოველთვის კერძო სარგებელს ესწრაფვიან.[12]

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და შემოწირულობები - პოლიტიკური საქმიანობის მატერიალური საფუძველი თუ კორუფციის წყარო?

საქართველო, დღესდღეისობით, საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყანაა და ამ თვალსაზრისით კარგი იქნება თუ აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ ამ ჭრილში, აგრეთვე, ქართული პოლიტიკური პარტიების ვითარებასაც კონკრეტულ გამოწვევასთან მიმართებით. საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნებში კერძო შემოწირულობები მიემართება დეპუტატებისაკენ და პარტიების დაფინანსება რეგულარულად წარმოადგენს თვალშისაცემ წყაროს პოლიტიკური კორუფციისთვის.[13] სწორედ ეს ქმნის იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ასეთ ვითარებაში გარკვეული პოლიტიკური პროცესები იყო მატერიალური სარგებლის მიღებით განპირობებული. საკითხი რეზონანსულია თავისი ღრმა პრობლემურობიდან გამომდინარე, ვინაიდან ამით ირღვევა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, სამართლებრივი ნორმები და საბოლოოდ დიდი რისკის ქვეშ დგება ქვეყნის დემოკრატიული (პროგრესული) განვითარება.

დეპუტატები ყველა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ქვეყანაში ითვლებიან მთელი მოსახლეობის წარმომადგენლებად და ვალდებულნი არიან, ემსახურონ ხალხის ინტერესებსა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. დეპუტატები თავიანთ ხელფასებს იღებენ სახელმწიფო ხაზინიდან იმისათვის, რომ ისინი სხვა დანარჩენი ფიზიკური და იურიდიული პირისაგან

---

[12] Wewer G., 1994. Korrup on, in: Holtmann E.,(Hrsg), Poli k-Lexikon, 2. Aufl age, S. 481.
[13] Landfried Chr., 1994. Parteienfi nanzen und poli sche Macht, S. 177.

დამოუკიდებელნი დარჩნენ და არ მოექცნენ მათი ზეგავლენის ქვეშ. ამის გამო დეპუტატს უფლება არა აქვს, თავისი მანდატი, მისთვის მინდობილი ძალაუფლება, ბოროტად გამოიყენოს იმ მიზნით, რათა მიიღოს მატერიალური თუ არამატერიალური სარგებელი.[14] დეპუტატები ფლობენ რა თავისუფალ მანდატს, ამით სრულიადაც არ თავისუფლდებიან მოსახლეობის წინაშე დაკისრებული ვალდებულებისაგან, რაც გულისხმოს ქვეყნის ნორმალურად, სამართლებრივ ფარგლებში მართვას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ძალაუფლების წყარო არის ხალხი. შესაბამისად, დეპუტატების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისაკენ და არა პირადი, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით გარკვეული პოლიტიკური პროცესების განხორციელების ხელშეწყობისაკენ.

საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში წესისამებრ მოქალაქეებს გააჩნიათ აქტიური (ასევე პასიური) საარჩევნო უფლება.[15] ასევე, პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი საშუალებაა შემოწირულობები. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომ არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის დროს გაწეულ ხარჯებზე. თუმცა, ჩვენი აზრია, რომ სასურველია ამ საკითხში დადგინდეს ზღვარი შესაძლებლობასა და მიზნობრიობას შორის, ვინაიდან კონკრეტული საწარმოებისა თუ პირების მიერ განხორციელებული შემოწირულობები, რომლებიც კორუფციული ქმედებების წყაროს წარმოადგენს, ასევე არღვევს დემოკრატიულ საარჩევნო პრინციპსაც: „ყველა ადამიანს აქვს ერთი ხმა“.

დეპუტატების ვალდებულება, დაიცვან ხალხის ინტერესები, არის ის შეუცვლელი ფუნდამენტი, რომელზედაც აგებულია ყველა დემოკრატიული სახელმწიფო. მოქალაქეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ პოლიტიკოსების სანდოობაში, ე. ი. მათ უნდა შეეძლოთ, სრულად ენდონ დეპუტატებს იმაში, რომ ისინი თავიანთ მანდატებს მხოლოდ მოსახლეობის ინტერესებისათვის გამოიყენებენ და არავითარ შემთხვევაში თავიანთი პირადი კეთილდღეობისათვის.[16]

---

[14] Arnim von H. H., 1996. Die Partei, der Abgeordnete und das Geld, S. 293.

[15] ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, 2011 წ. „კონსტიტუციური სამართალი“, გვ.142.

[16] Arnim von H. H., 1996. Die Partei, der Abgeordnete und das Geld, S. 293.

დეპუტატებზე გაწეული ხარჯების მუდმივ კონტროლს საჯაროობის მხრიდან არსებითი მნიშვნელობა აქვს. სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური ზეგავლენის შეუზღუდავად ყიდვა, რასაც დემოკრატიის საბოლოოდ დანგრევა შეუძლია.[17] ამ მხრივ (ვგულისხმობთ აღნიშნული მონაცემების საჯაროობას) გამოირჩევა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", რომელიც ახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგს. ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ მიღებულმა საჩუქრებმა. მაღალჩინოსნების მიერ ფულადი საჩუქრების მიღება გარკვეულ კორუფციულ რისკებთანაა დაკავშირებული, რის გამოც საჯარო სამსახურის ბიურომ თითოეული ასეთი შემთხვევა უნდა შეისწავლოს.

ქონებრივი დეკლარაციების სისტემის არსებობა ორ ძირითად მიზანს ემსახურება: თანამდებობის პირთა უკანონო გამდიდრების პრევენციას და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენას. ამ მიზნებიდან გამომდინარე, კანონი მთელ რიგ შეზღუდვებს ადგენს თანამდებობის პირებისთვის: მაგალითად, მათ ეკრძალებათ საჯარო სამსახურის პარალელურად რაიმე თანამდებობის დაკავება ან ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება კერძო სექტორში, ასევე ისეთი საჩუქრის მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებაზე ან რომლის ღირებულება მათი წლიური ხელფასის 5%-ს აღემატება. მსგავსი შეზღუდვები მოქმედებს თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებისთვისაც. ამავე დროს, თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ქონებრივ დეკლარაციაში შეიტანონ მათი ან მათი ოჯახის წევრის მიერ მიღებული ნებისმიერი საჩუქარი, რომლის ღირებულება 500 ლარს აღემატება.[18] თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, არსებული შეზღუდვები არ ვრცელდება თანამდებობის პირების მიერ ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავებისგან მიღებულ საჩუქრებზე. თავისთავად ეს გამონაკლისი გონივრული და

---

[17] Arnim von H. H., 2007. Der gekau e Abgeordnete. Nebe neinkün e und Korrup onsproblema k, in: Arnim von H. H. (Hrsg), Korrup on und Korrup onsbekämpfung, S. 47.

[18] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (მარტი, 2018), "თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/blog/tanamdebobis-pirebis-mier-migebuli-sachukrebi-damatebit-shescavlas-sachiroebs

გამართლებული შეიძლება იყოს, თუმცა ამავე დროს არსებობს საფრთხე, რომ (სათანადო ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში) ეს გამონაკლისი კანონის „ხვრელად“ გადაიქცეს, რომელსაც არაკეთილსინდისიერი მოხელეები კანონით აკრძალული შემოსავლის დამალვის ან „გათეთრებისთვის“ გამოიყენებენ - ანუ არაჯეროვანი შემოსავლის დეკლარირება მოხდება, როგორც ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქრისა. ასევე, უახლოეს მოვლენებს რომ შევეხოთ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-მ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ შუალედური კვლევა მოამზადა, რომლის თანახმადაც, 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში 10 319 998 ლარის ოდენობის მთლიანი შემოწირულობების 93% მმართველმა პარტიამ მიიღო, რაც 12-ჯერ მეტია დანარჩენი 14 კვალიფიციური სუბიექტის მიერ ჯამურად მიღებულ თანხებზე.[19]ასევე მნიშვნელოვანია თავად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს მიერ შექმნილი პლატფორმა - „საქართველოს მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები“, სადაც თავმოყრილია 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია, ამასთანავე პლატფორმაზე შესაძლებელია მეტი ინფორმაციის მოძიება პოლიტიკური პარტიების შემომწირველების ბიზნეს ინტერესების შესახებ. [20]

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ის მიღწევებიც და წამოწყებებიც, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა სხვადასხვა პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ. საქართველოში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არა ერთი წამოწყება იყო. მათ შორის, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციაზე შეერთება. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის და ამავე კონვენციის დამატებითი

---

[19] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (20 ოქტომბერი, 2017), "პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/post/politikuri-partiebis-dapinanseba-2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebistvis

[20] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (2016), „საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/politicaldonations/

ოქმის ხელმომწერიცაა. ეს ორი დოკუმენტი ხელმომწერ სახელმწიფოებს სხვადასხვა კორუფციული ქმედების (ქრთამის აღება ან მიცემა, ფულის გათეთრება, ზეგავლენით ვაჭრობა და ა. შ.) სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადებას ავალდებულებს. ეროვნულ დონეზე, პირველი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2005 წელს დაიწერა. მას შემდეგ ეს დოკუმენტები რამდენჯერმე განახლდა. 2008 წელს შეიქმნა ანტიკორუფციული საბჭო, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს და მის მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ქვეყანაში მოქმედებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომელიც ადგენს კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისთვის აუცილებელ ძირითად პრინციპებს და ამგვარი ქმედებების ჩამდენი საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობას. ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ შესრულებული ნაშრომი, სახელწოდებით - „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში, საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა“.[21] თუმცა, მთავარი არის თავად ამ რეფორმების შედეგი. მთავარი შეკითხვა არის ის, გამოიღო თუ არა შედეგი აღნიშნულმა რეფორმებმა. მსოფლიოში არებობს, კორუფციის დონის განმსაზღვრელი ინდექსი - „კორუფციის აღქმის ინდექსი“, რომელიც ემყარება ექსპერტების მოსაზრებებს საჯარო სექტორში კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლიდან კვლევა ახალი მეთოდოლოგიით ტარდება, რომელიც სხვადასხვა წლის შედეგების შედარების შესაძლებლობას იძლევა. კორუფციის აღქმის ინდექსი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას შეიცავს. **კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 2012 წელს 52 ქულა მიიღო (51-ე ადგილი), 2013 წელს - 49 ქულა (55-ე ადგილი), 2014 წელს - 52 ქულა (50-ე ადგილი), 2015 წელს - 52 ქულა (48-ე ადგილი), 2016 წელს - 57 ქულა (44-ე ადგილი).[22]** რაც შეეხება 2017 წლის მაჩვენებელს „საერთაშორისო

---

[21] მსოფლიო ბანკი, (2012), "კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf

[22] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (იანვარი, 2017), "კორუფციის აღქმის ინდექსი 2016: საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 44-ე, ხოლო რეგიონში პირველ

გამჭვირვალობის“ ბერლინის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ **„კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2017 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა აქვს და 46-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის.** საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში.[23]

აღნიშნული შედეგი და, საზოგადოდ, კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლოა კავშირში იყოს ძირითადად მმართველობის მაღალ დონეზე ანგარიშვალდებულების ნაკლებობასთან, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების ეფექტური სისტემის არარსებობის შედეგი შეიძლება იყოს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედით კონტროლთან დაკავშირებული გამოწვევები, სასამართლო ხელისუფლების შესაძლო არაეფექტურობა და სამართალდამცავი/საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემების საკითხიც. ამ მხრივ კი უმნიშვნელოვანესია ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც იქნება ქმედითი და არა ფორმალური, ასეთებია: სახელმწიფო ინსტიტუტებზე არაფორმალური გავლენის აღმოფხვრა, საჯარო და კერძო სექტორების ეფექტური გამიჯვნა; აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საქართველოს პარლამენტის კონტროლის გაძლიერება; სასამართლო ხელისუფლებისა და სამართალდამცავი უწყებების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი, პროფესიონალური და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირება; ანტიკორუფციულ ძალისხმევაში კერძო სექტორის ეფექტური ჩართვა და ა. შ.[24] აღნიშნულთან

ადგილზეა", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/post/corruption-perception-index-2016

[23] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (თებერვალი, 2018), "კორუფციის აღქმის ინდექსის 2017 წლის რეიტინგში საქართველოს შედეგი რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს", მოძიებულია მარტი 2018 წელი http://www.transparency.ge/ge/post/korupciis-agkmis-indeksis-2017-clis-reitingshi-sakartvelos-shedegi-repormebis-dachkarebis

[24] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (თებერვალი, 2018), "კორუფციის აღქმის ინდექსის 2017 წლის რეიტინგში საქართველოს შედეგი რეფორმების

დაკავშირებით შესაძლებელია ზოგადი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური ინსტიტუტების გამჭვირვალობა და დემოკრატიზაცია არის კორუფციის დაბალი დონის აუცილებელი წინაპირობა.

დასკვნა

პოლიტიკური კორუფცია არის მთავარი პრობლემა და საფრთხე ყოველი სახელმწიფოსთვის, მათი განვითარებისა თუ დემოკრატიული მაჩვენებლის მიუხედავად. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც ეს ნაშრომის ძირითად ტექსტში იყო განხილული, თავად კორუფციის თითოეული გამოვლენის ზუსტად განსაზღვრა, მათი პირდაპირი თუ ირიბი განხორციელების აღკვეთა, ასევე, საჯარო სექტორში აღნიშნულ საკითხთან კავშირში მყოფი სხვადასხვა ქონებრივი ტრანზაქციის, დეკლარაციის საჯაროობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული რეფორმების არამხოლოდ გაგრძელება, არამედ უკვე განხორციელებულის უფრო მეტად დანერგვა პრაქტიკაში. ასევე, იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც მოცემულ ნაშრომში არის ვრცლად მიმოხილული, რათა სახელმწიფოს მხრიდან კორუფციასთან ბრძოლას და მიღწეულ შედეგებს რეალური/პრაქტიკული სახე მიეცეს. მართალია, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების გატარებამ, ხელი შეუწყო პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და კორუფციის დონის შემცირებას, თუმცა, თავად აღნიშნული რეფორმები საჭიროებენ პრაქტიკაში მეტად დამკვიდრებას და აღნიშნული ციკლი რეფორმებისა საჭიროებს შეუქცევად გაგრძელებას, რაც თავის მხრივ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ წინგადადგმული ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იქნება.

დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს", მოძიებულია მარტი 2018 წელი http://www.transparency.ge/ge/post/korupciis-agkmis-indeksis-2017-clis-reitingshi-sakartvelos-shedegi-repormebis-dachkarebis

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემეტრაშვილი ავთანდილ, კობახიძე ირაკლი, კონსტიტუციური სამართალი, 2011წ. გვ.142;
2. Alemann (Hrsg), Dimensionen poli scher Korrup on, S. 397;
3. Arnim von H. H., 2007. Der gekau e Abgeordnete. Nebeneinkün e und Korrup onsproblema k, in: Arnim von H. H., (Hrsg), Korrup on und Korrup onsbekämpfung, S. 51;
4. Arnim von H. H., 1996. Die Partei, der Abgeordnete und das Geld, S. 293;
5. Arnim von H. H., 2007. Der gekau e Abgeordnete. Nebe neinkün e und Korrup onsproblema k, in: Arnim von H. H. (Hrsg), Korrup on und Korrup onsbekämpfung, S. 47;
6. De With H., 1997. Zwischen Lobbyismus und politischer Korruption.
7. Huth I., 2003. Poli sche Verdrossenheit, S. 343;
8. Landfried Chr., 1994. Parteienfi nanzen und poli sche Macht, S. 177;
9. Scheuch E./Scheuch U., 2000. Die Spendenkriese – Parteien außer Kontrolle, S. 243;
10. Wewer G.,2008. Korruption, in: Nohlen D.,(Hrsg), Kleines Lexikon der politik, S. 267;
11. Wewer G., 1994. Korrup on, in: Holtmann E.,(Hrsg), Poli k-Lexikon, 2. Aufl age, S. 481;
12. Wiehen M., 2005. Na onale Strategien zur Bekämpfung der poli schen Korrup on, in: U. Von;
13. შეყლაშვილი არჩილ, (მაისი, 2017) ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, მოძიებულია 4 აპრილი, 2018, http://www.library.court.ge/upload/S&M_N6_SUL4.pdf
14. United Nations Office On Drugs and Crime (UNODC), (2018), „United Nations Convention against Corruption“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.unodc.org/unodc/en/corruption/tools_and_publications/UN-convention-against-corruption.html
15. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მარტი, 2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „კორუფცია“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657
16. Wewer G.,2008. Korruption, in: Nohlen D.,(Hrsg), Kleines Lexikon der politik, S. 267.
17. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „კლიენტელიზმი“, მოძიებულია მარტი 2018 წელი,
18. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6485
19. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „ნეპოტიზმი“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1844

20. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (2018), Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, „პროტექცია“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=21486

21. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (მარტი, 2018), "თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/blog/tanamdebobis-pirebis-mier-migebuli-sachukrebi-damatebit-shescavlas-sachiroebs

22. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (20 ოქტომბერი, 2017), "პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/post/politikuri-partiebis-dapinanseba-2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebistvis

23. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (2016), „საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები“, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/politicaldonations/

24. მსოფლიო ბანკი, (2012), "კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf

25. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (იანვარი, 2017), "კორუფციის აღქმის ინდექსი 2016: საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 44-ე, ხოლო რეგიონში პირველ ადგილზეა", მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.transparency.ge/ge/post/corruption-perception-index-2016

26. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (თებერვალი, 2018), "კორუფციის აღქმის ინდექსის 2017 წლის რეიტინგში საქართველოს შედეგი რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს", მოძიებულია მარტი 2018 წელი http://www.transparency.ge/ge/post/korupciis-agkmis-indeksis-2017-clis-reitingshi-sakartvelos-shedegi-repormebis-dachkarebis.

Jintcharadze Archil

Corruption in Politics – Problems and Challenges

Abstract

Corruption has a long history in Georgia. As in the past, it does not lose its significance as it is one of the major challenges faced by the state/people. The reason is that corruption is a major impediment to the country's economic progress and stability. The thesis is considered theoretical problems and semantic problems itself. Research methodology is: Case Study and quantitative research. The Case Study examines Georgia's example of anti-corruption reforms and results that have helped to establish political institutions in Georgia. The research hypothesis and research question is examined by the Corruption Perception Index. The aim of the work is to identify the risks that make the country in a static position to democratically develop and significantly impede the independence of political processes. Also, the goal of the research is to determine the hypothesis proposed by the paper that the establishment of political institutions contributes to the decrease in the level of corruption.

Key words: Reforms, Parties, Statistics.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შედარებითი ანალიზი

თამარ გვარიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა, II კურსი

მობ: +995 592 151100 / ელ. ფოსტა: tamargvarishvili@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მურმან გორგოშაძე,

სამართლის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

ენა, როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის საშუალება, თავისთავად, განსაკუთრებული სამართლებრივი რეგულირების საგანია. წინამდებარე ნაშრომი შეეხება სახელმწიფო ენის ცნებასა და მისი განსაზღვრის მნიშვნელობას; ასახავს თუ როგორ აწესრიგებს თანამედროვე და ძველი ქართული კანონმდებლობა საჯარო საქმიანობის ოფიციალური ენის საკითხებს, რა სირთულეებს შეიძლება წააწყდნენ სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენის განსაზღვრის მხრივ და როგორია მათი გამოცდილება ამ პრობლემებთნ ბრძოლაში. ნაშრომში განხილული თემა აქტუალურია, ვინაიდან აღნიშნული პროცესი, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია, ჯერ კიდევ მიმდინარეობს თანამედროვე მსოფლიოში და საქართველოც, როგორც ლინგვისტურად და დიალექტებით მდიდარი ქვეყანა შეიძლება დადგეს მათთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების აუცილებლობის წინაშე.

საკვანძო სიტყვები: კანონი სახელმწიფო ენის შესახებ; სახელმწიფო ენა; უმცირესობების ენები; რეგიონალური ენა.

შესავალი

სახელმწიფო ენა არის ძირითადი ენა, რომელსაც იყენებენ სახელმწიფო დაწესებულებებში, საქმის წარმოებაში, სამართალწარმოებაში და სხვა ოფიციალურ სტრუქტურებსა და ურთიერთობებში (და არა მხოლოდ საზოგადოებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში). მის სტატუსს, როგორც წესი, განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია.[1]

სახელმწიფო ენის განსაზღვრას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; პირველ რიგში, ის უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქვეყნის მოსახლეობისთვის, ყველასთვის გასაგებს ხდის მას და სახელმწიფო სტრუქტურათა საქმიანობას ერთიანობას ანიჭებს. ამ მიზნით სახელმწიფო ენის ფორმირების მნიშვნელობა ჯერ კიდევ დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელს გაიაზრეს, როდესაც დარიოს დიდმა მესოპოტამიის დაპყრობისას სპარსეთთან შეერთების შემდგომ იმპერიის კანცელარიების ოფიციალურ ენად არამეული გამოაცხადა.[2] არამეული გამოიყენებოდა ვრცელი, მრავალ ეთნიკური და მრავალ ენოვანი იმპერიის რეგიონებს შორის წერილობითი კომუნიკაციისთვის. ადგილობრივ დიალექტზე ნაკარნახევი ტექსტები იწერებოდა არამეულად და წერილის მიმღები რეგიონიც საკუთარ ენაზე კითხულობდა მას. მეორე მხრივ კი ენა ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამას მოწმობს 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის სტატუსის დასაცავად გაერთიანებული საზოგადოება, რომლის წინაშეც საბჭოთა ხელისუფლებაც უძლური აღმოჩნდა.

ზემოხსენებული მიზეზების გამო ქვეყნები განსაკუთრებულად აწესრიგებენ ოფიციალური ენის საკითხს. ეს არ არის მარტივი პროცესი და სახელმწიფოთა დიდ ნაწილში ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ვინაიდან თითოეულ მათგანს თვისი გეოგრაფიული მდებარეობისა თუ ისტორიული მემკვიდრეობის შესაბამისი ინდივიდუალური განსაზღვრა სჭირდება. საკითხის აქტუალობას განაპირობებს სწორედ მისი მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ჯერაც დაუსრულებელი პროცესია.

---

[1] civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d= 5&t=4401;

[2] ნ. კიღურაძე; გ. სანიკიძე; ლ. გორდეზიანი; ლ. ფირცხალავა; რ. გაჩეჩილაძე; ნ. ასათიანი. „ისტორია“ მე-11 კლასის სახელმძღვანელო; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010, გვ.63.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა, რომელსაც სახელმწიფო ენაც შეგვიძლია ვუწოდოთ. კვლევის საგანი კი არის ენის სტატუსთან დაკავშირებული საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის ანალიზი. კვლევის მიზანია საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენის დაწესებათან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს ისეთი ზოგად სამეცნიერო მეთოდები წარმოადგენს, როგორიცაა შედარებითი, ისტორიული და ლოგიკური ანალიზის მეთოდი.

ოფიციალური ენის სტატუსის განსაზღვრა საქართველოში

საქართველოში ოფიციალური ენის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონით სახელმწიფო ენის შესახებ.

კონსტიტუციის მე-8 მუხლი აწესებს, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური."[3]

„ქართული ენა საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა... საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას. საქართველოს სახელმწიფო, ამავე დროს, იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში ენათა და კულტურათა თანაარსებობისა და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას."[4] - ვკითხულობთ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის პრეამბულაში.

---

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8.

[4] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, პრეამბულა.

საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა.

კანონი აწესრიგებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ოგანოების, მათ შორის საკანონმდებლო და სამართალშემოქმედებითი, სამართალწარმოების, ჯარისა და სხვა გასამხედროებული სტრუქტურების საქმიანობის, ბეჭდის, შტამპის, შტემპელისა და ბლანკის ტექსტის ენას. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ოფიციალურ საქმისწარმოებას ახორციელებენ სახელმწიფო ენაზე, მათ შორის ურთიერთობა და მიმოწერაც ამავე ენაზე ხდება. ისინი ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს იღებენ, განიხილავენ და პასუხს სცემენ სახელმწიფო ენაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, მაგალითად, იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესი, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს.[5]

უმცირესობების ენის დაცვასთან და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათი ჩართვის წახალისებასთან მიმართებაში აღსანიშნავია 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-14, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების თავის 153-ე მუხლი, რომელიც საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას აძლევს მათ და აწესებს, რომ ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირეოსბა აღემატება მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით, მსჯელობა და საქმის წარმოება,

[5] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 11.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზეც.[6]

რაც შეეხება სამართალშემოქმედებას, ნორმატიული აქტი უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება არასახელმწიფო ენაზედაც გამოქვეყნდეს, მაგრამ ასეთ ტექსტს ოფიციალური ძალა არა აქვს. იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს. საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით კანონპროექტი და საკანონმდებლო წინადადება ქართულ ენაზე წარედგინება.[7]

საკანონმდებლო საქმიანობაში უმცირესობათა ინტერესების დაცვაზეც შეგვიძლია გავავლოთ პარალელი 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ, არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმარისად არ იცოდა, შეეძლო პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა დედაენაზე, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენდა პარლამენტის პრეზიდიუმს.[8]

ასევე, საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.[9]

გარდა ამისა, საქართველოს სამხედრო და სხვა გასამხედროებული ძალები ოფიციალურსაქმიანობას ახორციელებენ ქართულ ენაზე, თუ კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა წესი არაა დადგენილი. საქართველოს სამხედრო და სხვა გასამხედროებულ ძალებში სამსახურისა და სამხედრო ბრძანებების ენა არის ქართული.[10]

---

[6] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 153
[7] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 12.
[8] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 153.
[9] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 13.
[10] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 14.

და ბოლოს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ბეჭდის,შტამპის, შტემპელის, ბლანკის ტექსტს სახელმწიფო ენაზე ადგენს. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ტექსტი შეიძლება ერთ-ერთ არასახელმწიფო ენაზეც მიეთითოს.[11]

საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები:

უკრაინის მაგალითი

აქვე გასათვალისწინებელია უკრაინული გამოცდილებაც. აქ საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსული და უკრაინული ენები თანაბარ მნიშვნელოვანი იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი უკრაინული სახელმწიფო ენად გამოცხადდა. თუმცა, რუსული კვლავ იკავებდა დომინანტ პოზიციას ბიზნესში, მეცნიერებასა და საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობაში. 2001 წლის სტატისტიკით მოსახლეობის 67.5% საკუთარ მშობლიურ ენად თვლიდა უკრაინულს, ხოლო იმათი პროცენტული რაოდენობა, ვინც დედაენად რუსულს მიიჩნევda 29.6 იყო, დანარჩენი ენების ხვედრითმა წილმა კი 2.9% შეადგინა.[12] 2012 წელს ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის მიუხედავად მმართველმა პარტიამ მიიღო კანონი „ენის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ“, რომლის მე-7 მუხლის მიხედვითაც[13] „უკრაინული ენა რჩებოდა ერთადერთ ოფიციალურ ენად. ხოლო, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის 10%-ზე მეტისთვის რუსული და სხვა უმცირესობების ენები (სულ 18 უმცირესობის ენა) მშობლიური იყო, მათ განსაკუთრებული სტატუსი ენიჭებოდათ. ეს გულისხმობდა უკრაინის 27-დან 13 ოლქში რუსულ და სხვა უმცირესობათა ენებისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას. ასეთ რეგიონებში სურვილისამებრ გადაწყვეტდნენ, საქმის წარმოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში რომელ ენას მიანიჭებდნენ უპირატესობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონი, მოქალაქის სურვილისამებრ, იძლეოდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არა სახელმწიფო, არამედ რეგიონალურ ენაზე შევსების უფ-

---

[11] საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 15.

[12] უკრაინის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2001 წლის მონაცემები ენების გამოყენების მხრივ http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/language/

[13] **ЗАКОН УКРАИНЫ**ОБ ОСНОВАХ ГОСУДАРСТВЕННОЙ ЯЗЫКОВОЙ ПОЛИТИКИ https://odnarodyna.org/content/ob-osnovah-gosudarstvennoy-yazykovoy-politiki

ლებას. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა ოპოზიციის პროტესტი განაპირობა, რადგან გავრცელების მასშტაბის გათვალისწინებით რუსულს, პრაქტიკულად, მეორე სახელმწიფო ენის სტატუსი ენიჭებოდა. 2014 წელს პარლამენტში შევიდა ინიციატივა ამ კანონის გაუქმების შესახებ, უმაღლესმა რადამ მხარი დაუჭირა მას, თუმცა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ხელი არ მოაწერა კანონის გაუქმებას. ამავე წელს რადას 57-მა დეპუტატმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ."[14] პროცესი 2018 წლის 28 თებერვალს დასრულდა და სასამართლომ კანონი არაკონსტიტუციურად ცნო.[15] უკრაინის მაგალითიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმცირესობების ენებისთვის რეგიონალური სტატუსისა და განსაკუთრებული უფლებების მინიჭება შეიძლება გამართლებული არ იყოს, თუ იგი საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ენის გავლენას საზოგადოებაზე.

საფრანგეთის მაგალითი

„la langue de la République est le français" (ფრ. რესპუბლიკის ენაა ფრანგული) –წერია საფრანგეთის მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე მუხლში. საფრანგეთი დასავლეთ ევროპის ყველაზე მრავალენოვანი სახელმწიფოა, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ფრანგები თავიანთ ენას საკუთარ იდენტობასთან აიგივებენ და მიზნად ისახავენ მსოფლიო ასპარეზზე მისი გავრცელების არეალის გაზრდას და ინგლისური ენის გავლენისგან დაცვას, ამისთვის 1994 წელს შემოიღეს ე.წ. ტუბონის კანონი „ფრანგული ენის გამოყენების შესახებ."[16] კანონი საკმაოდ მკაცრია იმ 75 რეგიონული ენის მიმართ, რომელიც ამ ქვეყნის როგორც კონტინენტურ ნაწილზე, ისე ოკეანეებს მიღმა ტერიტორიებზე არსებობენ. კანონი მოითხოვს, რომ ყველა ოფიციალური სახელმწიფოებრივი პუბლიკაციაში, რეკლამაში, სამუშაო ადგილებზე, კომერციულ კონტრაქტებში, საჯარო სკოლებში და ა.შ. გამოყენებული იყოს

---

[14] Factchecker-ის სტატია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე; მაია ბაღათურია; 09.05.2017http://factcheck.ge/article/ukrainis-khelisuphleba-gamovida-da-thqva-rom-rusuli-ena-unda-aikrdzalos-da-qhvela-vints-rusulad-dailaparakebs-tsikheshi-unda-tsavides/

[15] იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება http://www.ccu.gov.ua/en/docs/2058

[16] French language law: The attempted ruination of France's linguistic diversity; Gavin Radford, 04.03.2015http://trinitycollegelawreview.org/french-language-law-the-attempted-ruination-of-frances-linguistic-diversity/

ფრანგული ენა და სხვა ენის გამოყენება ისჯება.[17] აშკარაა, რომ ეს პოლიტიკა საზიანოა საფრანგეთის რეგიონული ენებისთვის, ვინაიდან ბევრი მათგანი დღეს იუნესკოს გადაშენების პირას მყოფი ენების სიაშია.[18]

აშშ-ს მაგალითი

ოფიციალური ენის მნიშვნელობაზე ამდენი საუბრის შემდეგ რთული წარმოსადგენია ქვეყანა, რომელსაც სახელმწიფო ენა არ ექნება, თუმცა სწორედ ასეთია აშშ აქ არც კონსტიტუციითა და არც რაიმე ნორმატიული აქტით ფედერალურ დონეზე არც ერთი ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი არ დასტურდება. თუმცა შეუძლებელია სახელმწიფომ მოქმედებების კოორდინაცია მოახერხოს და საჭირო ინფორმაცია სწრაფად და ხარისხიანად გადასცეს ქვემდგომ ორგანოებს თუკი არ იციან რა ენაზე ისაუბრონ, ამიტომ ინგლისური, რომელიც კონტინენტზე ბრიტანული კოლონიზაციის შედეგად შემოვიდა, აშშ-ს დე-ფაქტო ოფიციალური ენაა. ცალკეულმა შტატებმა თავად განსაზღვრეს საკუთარი ოფიციალური ენები. 50-დან 30-მა შტატმა ინგლისური აირჩია, როგორც ერთადერთი ოფიციალური ენა, 2-მა, ჰავაიმ და ალასკამ კი როგორც ერთ-ერთი.[19] ინგლისური არის ძირითადი ენა, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობის, რეგულაციების, აღმასრულებელი ბრძანებების, შეთანხმებების, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ყველა სხვა ოფიციალური განცხადების გამოქვეყნებისთვის. მიუხედავად ამისა, კანონები მოითხოვს რომ დოკუმენტები, როგორიცაა ბიულეტენი, დაიბეჭდოს სხვა ენაზე, როდესაც ტერიტორიაზე დიდია არაინგლისურად მოსაუბრე მოსახლეობის რაოდენობა.

კანადის მაგალითი[20]

კანადა ორენოვანი სახელმწიფოა, ფრანგული და ინგლისური ისტორიულად კანადელი ხალხის იდენტობის ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ კანადის კონსტიტუცია და კანადის ოფიციალური ენების აქტი თანაბრად იცავს მათ.

---

[17] Toubon Law; 04.08.1994http://www.dglf.culture.gouv.fr/droit/loi-gb.htm

[18] "Local language recognition angers French academy"; Angelique Chrisafis; Paris; 16.06.2008 https://www.theguardian.com/world/2008/jun/17/france

[19] "32 STATES MAKE ENGLISH OFFICIAL LANGUAGE"; WND NEWS; ART MOORE; 24.01.2018http://www.wnd.com/2018/01/32-states-make-english-official-language/

[20] Official Languages at the HEART OF OUR IDENTITY; AN OVERVIEW OF THE OFFICIAL LANGUAGES ACThttps://wayback.archive-it.org/all/20100923090313/http://www.ocol-clo.gc.ca/docs/e/ola_llo_e.pdf

ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებებს ენებთან მიმართებაში. მაგალითად, პარლამენტის დეპუტატი უფლებამოსილია სიტყვით გამოვიდეს როგორც ფრანგულად, ისე ინგლისურად, თავის მხრივ კი საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია უზრუნველჰყოს სინქრონული თარგმანი, ასევე ყველა მისი სამართლებრივი აქტი იბეჭდება და გამოიცემა ორივე ენაზე. კანადის ოფიციალური ენების აქტი კერძო კომპანიებზე, პროვინციულ და მუნიციპალურ ორგანოებზე, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა მიიღო კანონმდებლობა და ატარებს პოლიტიკას ენების დასაცავად. ყველა მოქალაქე უფლებამოსილია მოუსმინოს მოსამართლემ, რომელსაც დამოუკიდებლად და სრულად ესმის მის მიერ პროცედურებისთვის არჩეული ენა. კანადის ოფიციალური ენების კანონი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებზე დაყრდნობითაც საჯარო სერვისების მიწოდება სავალდებულოა ორივე ან ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე. მაგალითად, ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის რაოდენობა, აღსანიშნავია, რომ სერვისის მიწოდება ორივე ენაზე აუცილებელია თუ საქმე ეხება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ახერხებს ორ ენაზე იფუნქციონიროს, მის პოლიტიკურ სტაბილურობაზე მიუთითებს.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ენის ცნებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებითა და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის ანალიზით, შეიძლება გამოვყოთ ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ხელისუფლებები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენის სტატუსის განსაზღვრისას აწყდებიან. მათგან ერთ-ერთია ოფიციალური და უმცირესობების ენებს შორის ბალანსის პოვნა, ნაშრომში განხილულია ორი უკიდურესი მაგალითი, ერთი, როცა უმცირესობათა ენა ჩრდილავს სახელმწიფო ენას და პირიქით, როცა ხელისუფლება და სამართალი არ აძლევს რეგიონულ ენებს არსებობისა და გავრცელების საშუალებას, აშკარაა, რომ არც ერთ მათგანს სასურველ შედეგამდე არ მივყავართ და აუცილებელია მოინახოს შუალედური გზა.

ასევე, აშშ-ს მაგალითი აშკარას ხდის, რომ შეუძლებელია სახელმწიფო ოფიციალური ენის გარეშე ფუნქციონირებდეს და საკანონმდებლო აქტებით

თუ არა, ასეთი ენა დე-ფაქტო მაინც იარსებებს. გარდა ამისა, კანადისა და აშშ-ს კონტრასტით, როგორც ოფიციალური ენის არმქონე და ორი სახელმწიფო ენის მქონე ქვეყნების შედარებით, შეგვიძლია გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა ყველა სახელმწიფოსთვის ინდივიდუალური მოგვარების საგანს წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს მოსახლეობის სიმრავლესა და მრავალფეროვნებას, ტერიტორიის სიდიდეს, განვითარების დონეს, ლოგიკურ შედეგს ვიღებთ მაშინ, თუ ენის პოლიტიკა მორგებულია საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგადად ენისათვის მინიჭებული ეროვნული ღირებულების გამო, შეიძლება შეგვრჩეს ამ პოლიტიკის რეალობაში გატარების გაწელილი და ძალადობის შემცველი უშედეგო მცდელობა, როგორც ეს ჩვენს მიერ განხილულ უკრაინის მაგალითში მოხდა.

საქართველოშიც გვაქვს სხვადასხვა რეგიონისთვის დამახასიათებელი დიალექტები, რომელთათვისაც ენის სტატუსის მინიჭების საკითხი დროდადრო აქტუალური ხდება - მეგრული და სვანური, ასევე ქვეყნის სამხრეთ ნაწილში კომპაქტურადაა დასახლებული ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა, ყოველთვის შეიძლება დადგეს ამ ენებისთვის კანონმდებლობით ოფიციალური სტატუსის მინიჭების საკითხი და ამ შემთხვევაში, ვფიქრობ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ჩემ მიერ ნაშრომში განხილული მაგალითები და ქვეყნის ტრადიციული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რაც ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაში გამოიხატა.

ბიბლიოგრაფია:

1. ნ. კიღურაძე; გ. სანიკიძე; ლ. გორდეზიანი; ლ. ფირცხალავა; რ. გაჩეჩილაძე; ნ. ასათიანი. „ისტორია" მე-11 კლასის სახელმძღვანელო; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2010
2. საქართველოს კონსტიტუცია http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68
3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; ბათუმი, 2013 http://www.constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198
5. civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4401;
6. Factchecker-ის სტატია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე; მაია ბაღათურია; 09.05.2017 http://factcheck.ge/article/ukrainis-khelisuphleba-gamovida-da-thqva-rom-rusuli-ena-unda-aikrdzalos-da-qhvela-vints-rusulad-dailaparakebs-tsikheshi-unda-tsavides/
7. "French language law: The attempted ruination of France's linguistic diversity"; Gavin Radford, 04.03.2015 http://trinitycollegelawreview.org/french-language-law-the-attempted-ruination-of-frances-linguistic-diversity/
8. "Local language recognition angers French academy"; Angelique chrisfis; Paris; 16.06.2008 https://www.guardian .com/word/2008/jun/17/france
9. „Official Languages at the HEART OF OUR IDENTITY; AN OVERVIEW OF THE OFFICIAL LANGUAGES ACT" https://wayback.archive-it.org/all/20100923090313/http://www.ocol-clo.gc.ca/docs/e/ola_llo_e.pdf
10. Toubon Law; 04.08.1994http://www.dglf.culture.gouv.fr/droit/loi-gb.htm
11. "Ukrainian Official Quits to Protest Russian-Language Bill";NEWYORK TIMES-ის სტატია დეივიდ მ. ჰერსცენჰორნის (DAVID M. HERSZENHORN) ავტორობით, 4.07.2012.
12. https://www.nytimes.com/2012/07/05/world/europe/top-ukrainian-lawmaker-quits-in-protest-of-language-bill.html
13. "32 STATES MAKE ENGLISH OFFICIAL LANGUAGE"; WND NEWS; ART MOORE; 24.01.2018 http://www.wnd.com/2018/01/32-states-make-english-official-language/
14. **ЗАКОН УКРАИНЫ**ОБ ОСНОВАХ ГОСУДАРСТВЕННОЙ ЯЗЫКОВОЙ ПОЛИТИКИ

https://odnarodyna.org/content/ob-osnovah-gosudarstvennoy-yazykovoy-politiki-

15. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება „ენის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ“ კანონზე. http://www.ccu.gov.ua/en/docs/2058

16. უკრაინის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2001 წლის მონაცემები ენების გამოყენების მხრივ.

http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/language/

Gvarishvili Tamar

The Language of Activities, Official Proceedings and Legal Writings of State and Local Self Governing Organs. Comparative Analysis of Legislations in Georgia and Foreign Countries

Abstract

Language, as a way of communication between government and citizens, is itself a matter of special juridical regulation. This work refers to importance of the state language and issues connected with the process of its establishment; Reflects how modern and previous Georgian legislation handle with the problems of official language of public activity, what kind of challenges can be faced by different legal systems while defining languages of activities of public authorities, local self-government bodies, official case management and legal proceedings; Also, what is experience of different countries in the fight against this problems. Topic discussed in the paper is very relevant, as mentioned process that is crucial for any country still remains in the modern world. Also, Georgia, as a linguistically diverse country, with a great range of dialects and minority languages, may face the need to grant them a legal status.

Key words**:** state language; national language; minority language; regional language; language law.

სოციალური ინსტიტუტები, როგორც სოციალიზაციის მთავარი აგენტები (ოჯახი)

მარიამ ირემაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,

საერთაშორისო ურთიერთობები, I კურსი

ელ. ფოსტა: Mariam.iremadze98@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინეზა ზოიძე,

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ბსუ)

ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის როლი საზოგადოებაში მიმდინარე სოციალიზაციის პროცესებში. სოციალური ინსტიტუტების ფუნქციებისა და დისფუნქციების ეფექტები საზოგადოების სტაბილურობის საკითხებში. ის პრობლემები, რომლებსაც საზოგადოება აწყდება სოციალური ინსტიტუტების, ამ შემთხვევაში ოჯახის, დისფუნქციის დროს. ნაშრომში გამოყენებული ფაქტების ანალიზი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, ოჯახის აუცილებლობას, როგორც საზოგადოების სტაბილურობის გარანტს. ასევე ნაჩვენებია რამდენად ერგება დღეს არსებული ოჯახები თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და რამდენად საჭიროებს ცვლილებებს. ასევე რამდენად აისახება ოჯახის მდგომარეობა ქვეყანაში არსებულ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, სოციალიზაცია, საზოგადოება.

შესავალი

საუკუნე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფი ცვლილებებით ხასიათდება. ცვლილებას ექვემდებარება ყველაფერი: ჩვენი ქცევები, შეხედულებები, ღირებულებები. რაც ადრე უდაო ჭეშმარიტებად გვეჩვენებოდა დღეს კითხვის ნიშნებს გვიჩენს. ცვლილებას დაექვემდებარა საზოგადოების უმთავრესი სოციალური ინსტიტუტი ოჯახიც. ოჯახი ყველა საზოგადოებაში აღიარებული ინსტიტუტია, ამიტომ **ჩვენი მიზანია** კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ მის მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში და შესაბამისი არგუმენტებით გავამყაროთ მოსაზრება, რომ ოჯახი საზოგადოების სისტემურობის ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტია. **თემის აქტუალობაც** აქედან გამომდინარეობს: განვიხილოთ თუ რა ცვლილებებია საჭირო იმისათვის, რომ ოჯახმა მასზე დაკისრებული ფუნქციები წარმატებით შეასრულოს. შესაძლებელია თუ არა იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რომელიც თანამრდოვე საზოგადოების წინაშე დგას. ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა შემთხვევები, როცა მოზარდები მძიმე დანაშაულის ინიციატორები ან თანამომაწილეები არიან.

კვლევის საგანს წარმოადგენს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა.

კვლევის ობიექტია სოციალური ინსტიტუტების (ოჯახის) როლი საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და სისტემურობის კონტექსტში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არა ერთ მკვლევარსა და მეცნიერს აქვს ყურადღება გამახვილებული ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. თანამედროვე ეტაპზე თემასთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევებია მოცემული ქრეგ კალუნის, დონალდ ლაითისა და სუზენ ქელერის ავტორობით გამოცემულ წიგნში „სოციოლოგია“. აქ განხილულია ოჯახსი ყველა ტიპი, ოჯახის ფუნქციები, ასევე, დისფუნქციის გამომწვევი მიზეზები და საზოგადოებრივი პრობლემები. საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია შრომის კრებულში - „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, რომელშიც ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რამდენიმე ჭრილშია განხილული და მოცემულია ავტორთა შეხედულებების ფართო სპექტრი.

ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის არსი და სტრუქტურა

ოჯახი ქორწინებისა თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფია, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთ მხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით.

ოჯახი აღმოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში, კერძოდ შუა პალეოლითში, ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმოშობის კვალდაკვალ. ოჯახის პირველი ფორმა იყო წყვილადი ოჯახი, რომელიც გულისხმობს ერთი წყვილის ბიოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ კავშირს, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული ჯგუფური ურთიერთობები. ეს არ იყო მტკიცე კავშირი და ადვილად იშლებოდა. დროის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ოჯახის სტრუქტურაც. თუ შემგროვებლური მეურნეობის პირობებში ქალს ჰქონდა წამყავანი როლი და შესაბამისად გავრცელებული იყო მატრიარქატული ოჯახის ტიპი, მეურნეობაში მომხდარი ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად, როგორიცაა მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის განვითარება, ნელ-ნელა უკვე მამაკაცი ასრულებს წამყვან როლს, ირღვევა მატრიარქატი და მის ადგილს პატრიარქატი იკავებს.

მსოფლიოში არსებობს ოჯახის მრავალი სახეობა, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ოჯახის შექმნისა და შემადგენლობის მიხედვით. ეს სხვაობები გამოწვეულია კულტურული თავისებურებებით, რელიგიური აღმსარებლობით, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით (ბადაშვილი, 2015: 8). გარდა ამისა შესაძლებელია ოჯახების კატეგორიზაცია მოვახდინოთ სხვა კრიტერიუმებითაც. მაგალითად, თუ ოჯახების განმასხვავებელ ნიშნად ავიღებთ ქორწინებაში მყოფი პარტნიორების რაოდენობას, გამოიყოფა ოჯახის ორი, მონოგამიური და პოლიგამიური ტიპი. მონოგამია ქორწინების ისეთი ფორმაა, როცა ერთი მამაკაცი დაქორწინებულია ერთ ქალზე. პოლიგამია მისი საპირისპირო ფორმაა. საკუთრივ პოლიგამიას ორი ფორმა აქვს: პოლიანდრია, როცა ერთ ქალს ერთდროულიად რამდენიმე ქმარი ჰყავს და პოლიგინია, როცა ერთი მამაკაცი ერთსა და იმავე დროს დაქორწინებულია რამდენიმე ქალზე. ასე მაგალითად:

- ჰიმალაის მთების ძირში, დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ტომში ძმებს საერთო ცოლი ჰყავთ. ჯერ უფროსი ძმა ქორწინდება, შემდეგ დანარჩენი ძმები უფროსი ძმის ცოლის ე.წ თანაქმრები ხდებიან, ბავშვი რომლებიც ამ ქალს

უჩნდება ყველა ბიძას „მამას“ უწოდებს. ძმებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ კიდევ ერთი ცოლი მოიყვანონ. ასეთ შემთხვევაში ყველა „ქმარი“ იზიარებს ყველა „ცოლს“(კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 454)

- მადაგასკარზე, ბეტსილეოს ტომში, მამაკაცს უფლება აქვს ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდეს. თითოეული ცოლი ამ კაცის კუთვნილი ბრინჯის მინდვრების მიმდებარე სოფელშია დასახლებული. რაც უფრო მდიდარია კაცი, მით მეტ ბრინჯის მინდორს ფლობს და მით უფრო მეტი ცოლის მოყვანა შეუძლია. პირველი ცოლი რომელსაც „დიდი ცოლს“ უწოდებენ საუკეთესო და შემოსავლიან მონდორთან ცხოვრობს. მამაკაცი ძირითადად მასთან ცხოვრობს, სხვებთან კი სტუმრად დადის, როცა მინდვრებს მოინახულებს. (კოტაკი1991წ.) (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 453,454).

თუ ოჯახის კატეგორიზაციისას ყურადღებას გავამახვილებთ იმ სივრცეზე, რომელსაც ახალდაქორწინებული წყვილი ირჩევს საცხოვრებლად გამოიყოფა ოჯახის სამი ძირითადი სტრუქტურა:

1. მატრილოკალური სტრუქტურა - როცა დაქორწინების შემდეგ წყვილი საცხოვრებლად ირჩევს ცოლის ოჯახს.
2. პატრილოკალური სტრუქტურა - როცა დაქორწინების შემდეგ წყვილი საცხოვრებლად ირჩევს ქმრის ოჯახს.
3. ნეოლოკალური სტრუქტურა - როცა წყვილი დაქორწინების შემდეგ ცალკე მშობლების გარეშე სახლდებიან და ამკვიდრებენ თავიანთ მკვიდრ ოჯახს (მკვიდრი ოჯახი - ცოლი,ქმარი და შვილები ქმნიან ოჯახის ბირთვს.).

მატრილოკალური და პატრილოკალური ოჯახის სტრუქტურები მიეკუთვნებიან ე.წ გაფართოებულ ოჯახებს, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს. (მშობლები,შვილები, შვილიშვილები.)

ოჯახური სტრუქტურის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მატრილოკალური ოჯახი, რომელიც დედაზეა ფოკუსირებული და შედგება დედის, ერთი ან რამდენიმე ქალიშვილისაგან.

იმის მიხედვით თუ რომელი მშობლის გვარს ატარებს ბავშვი და შესაბამისად, რომელი მშობლის მხრიდან გრძელდება ნათესაური ხაზი, გამოიყოფა შემდეგი ფორმები:

1. პატრილინიური - ნათესაური ხაზის მამის მხრიდან გავრცელება.
2. მატრილინიური - ნათესაური ხასის დედის მხრიდან გავრცელება.

3. ორმხრივი ნათესაური ხაზი - როცა ნათესაური ხაზი აღიარებულია როგორც დედის, ისე მამის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად გავრცელებულია ოჯახური მოწყობის ისეთი ფორმები, რომლებშიც მამაკაცი დომინირებს, მაგრამ განსხვავებულია მისი ფორმა და ხარისხი (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 453).

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, ოჯახის ძირითადი ფუნქციები საერთოა ყველა საზოგადოებისთვის, განსხვავებას მხოლოდ ის ფორმები წარმოადგენს, რომლებიც გამოხატავს მათ დამოკიდებულებას მათსავე ყოველდღიურობაში. ოჯახს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციები არ დაუკარგავს. ის მისი წარმოქმნის დღიდან ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის ცხოვრებაში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ სოციალური ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან დღემდე დაახლოებით 2-2.5 მლნ. წელი გავიდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა და გავლენა არათუ შესუსტდა, არამედ პირიქით, უფრო გამყარდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ოჯახი არსებობდა, არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ ადამიანი არსებობს. ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციებია: რეკრეაციული, რეპროდუქციული, აღმზრდელობითი, სამეურნეო-ეკონომიკური, კომუნიკაციური და თვითრეგულირების ფუნქცია (ღიბრაძე, 2011: 81). თითოეულ ფუნქციას კი საზოგადოების ერთიანობასა და განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნულთაგან ოჯახის ფუნდამენტალურ ფუნქციად რჩება მისი როლი სოციალური ინტეგრაციის პროცესში, რადგან ახლაშობილის პიროვნებად ჩამოყალიბებისას ოჯახი წარმოადგენს სოციალური ფილტრაციის პირველ საფეხურს. სწორედ ოჯახია ის არეალი, სადაც სოციალიზასიის „პირველ ნაბიჯებს“ ვგდამთ. ოჯახში ვიძენთ იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომელიც გვიყალიბებს სამყაროს ჩვენეულ აღქმას. „სოციალიზაციის პროცესში ადამიანი იძენს რწმენას, ნორმებსა და ფასეულობებს, რომლებიც მისაღებია საზოგადოებისათვის“ (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 61). ოჯახში გაზიარებულ ღირებულებებს კი ფუნდამენტალური ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. ისინი უცვლელნი რჩებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინდივიდზე, ხელს უწყობენ ან პირიქით აფერხებენ მის საზოგადოებასთან

ურთიერთობას. ოჯახი ბავშვის პირველი გაკვეთილია, ხოლო მშობლები და ოჯახის სხვა წევრები მისი მასწავლებლები არიან, რომლებიც ამ გაკვეთილის ათვისებაში ეხმარებიან. მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ თუ მოზარდს ჩაუნერგავ მორჩილებას ის საკუთარი ღირსების დაცვას ვერ შეძლებს (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 123). აქედან გამომდინარე გასათვალისწინებელია ის ღირებულებები, რომლებსაც ოჯახები ანიჭებენ უპირატესობას, რადგან თითოეული მათგანი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოზარდი იმ იდეის მატარებელი იქნება მთელი ცხოვრება, რომელიც მას ოჯახში შთააგონეს. სწორედ იმ ნორმების შესაბამისად ურთიერთქმედებს საზოგადოების წევრებთან, რომლებიც ოჯახში ასწავლეს. მაგალითად: საკუთარი ღირსებების დაკნინება და სხვების უსიტყვოდ მორჩილება დამახასიათებელია ძირითადად დაბალი სოციალური ფენის ოჯახებისათვის. ისინი მოზარდებს უნერგავდნენ ყოფილიყვნენ თავმდაბალნი, უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ, სოციალური სტატუსით უფრო მაღლა მდგომთ. შესაბამისად, ასეთი ოჯახების რამდენიმე თაობა ვერ იუმჯობესებდა საკუთარ სოციალურ სტატუსსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ღირებულებითი ორიენტაცია გამოდის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად პიროვნების დეტერმინირებისა და რეგულირების საქმეში“ (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 43). თითქოს საზოგადოებაში ეს ერთგვარ ნორმად იქცა და ისინი მოზარდისაგან მოელიან ისეთ ქცევებს, რომლებიც მათ ოჯახებს შეეფერება. პიროვნების ჩამოყალიბებასა და სრულფასოვნებაში დიდი როლი ეკისრება ოჯახების განსხვავებულ ეკონომიკურ მდგომარეობასაც, რამდენადაც სიმდიდრე და სიღარიბე მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია არ არის, არამედ ის განსხვავებულ სუბკულტურასაც აყალიბებს.

ოჯახს, როგორც სოციალურ ინსტიტუს, რომ უდიდესი ძალა აქვს აღიარებდნენ ანტიკური პერიოდის ისეთი მოაზროვნეებიც კი როგორებიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე. თუმცა მათი მოსაზრებები ამ თემასთან დაკავშირებით ურთიერთსაპირისპირო იყო. თუ პლატონი ოჯახს მიიჩნევდა საზოდაგოების ერთიანობის შემაფერხებელ ფაქტორად, რამდენადაც მისი აზრით ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი უქმნის ინდივიდს პრივატულ სივრცეს და ის თავისი მთლიანი არსით ვერ იქნება საზოგადოებრივი, არისტოტელე კი პირიქით ფიქრობდა, რამდენადაც ოჯახი საზოგადოებრივი,

პროგრესისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ანტიკური მოაზროვნეების შემდეგ ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი იყო არა ერთი მკვლევარის შესწავლის საგანი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალი პერიოდის, ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკჰეიმი. დიურკჰეიმის მოსაზრებები ოჯახზე ეფუძნება თავისივე კვლევებს. მას ინდივიდისა და საზოგადოების განვითარების მთავარ წყაროდ მიაჩნდა სოციალური ფაქტების ერთობლიობა, როგორც საზოგადოებრივი კონტროლის ინსტრუმენტები, ხოლო ამ მიმართებით მისი აზრით კონტროლის მთავარი აგენტი შეიძლება იყოს ოჯახი.

ქართული ოჯახი და მისი ისტორიული მნიშვნელობა

საქართვლოში ოჯახს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს ისტორიულად მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებოდა საზოგადოების განვითარებაში. აქ ოჯახი ძირითადად უძველეს ტრადიციებზე დაფუძნებული ინსტიტუტია, რომელთა წევრებიც ზედმიწევნით ასრულებენ ზემოთ განხილულ ფუნქციებს. საქართველოში, ოჯახის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს არა ერთი კვლევა (მაგალითად, გამოკითხვის მასალები, რომელიც ჩატარდა 2011 წლის 21 ნოემბრიდან 2011 წლის 19 დეკემბრამდე თბილისში და საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკითხულ იქნა სამი თაობის, 18-24, 40-50 და 60-70 წლის სულ 1058 ინდივიდი და აღმოჩნდა რომ ჯანმრთელობა, ოჯახი და სახლი საყოველთაო ღირებულებებს წარმოადგენს (სუმბაძე, 2012: 9). ქართული ოჯახებისათვის დამახასიათებელია ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ე. წ. გაფართოებულ ოჯახებზე, ხშირად ოჯახში რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს. სწორედ, იმ მიზეზით რომ მოხუცებს მოვლა-პატრონობა სჭირდებათ. ამ კრიტერიუმით შეიძლება ქართული ოჯახები გამოვყოთ დასავლური ოჯახის ტიპებისგან. ქართული ოჯახის წევრები ერთმანეთზე დამოკიდებულების მაღალი დონით გამოირჩევიან. უდიდესი ყურადღება ეთმობა ტრადიციებს. ისევე როგორც ბევრ კულტურაში, საქართველოშიც, ძირითადად, ოჯახში მამაკაცის დომინირებაა გავრცელებული.

„საქართველოში ოჯახს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ხშირ შემთხვევაში პიროვნების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მისი ოჯახი იყო. აფასებდნენ კარგი ოჯახიშვილობით, კარგი მეუღლითა და შვილებით. სასიძოს ან საპატარძლოს არჩევისას მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორი ოჯახის შვილი იყო. ადამიანის სიამაყეს კი მისი მეუღლე და

შვილები განსაზღვრავდნენ“ (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 47).

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ოჯახებში დიდი ყურადღება ეთმობა ტრადიციებს, შესაბამისად ეს ტრადიციები გადადის თაობიდან თაობამდე, უფროსები ამ ტრადიციების მკაცრ დაცვას მოითხოვენ ახალგაზრდებისაგან და ძნელად ეგუებიან თანამედროვე ტენდენციებს, რომლებიც ამ ტრადიციებთან წინააღმდეგობაში მოდის. ხშირად, ეს განსხვავებული ტენდენციები ხდება მიზეზი თაობათა შორის კონფლიქტისა.

ქართულ ოჯახში განსაკუთრებული როლი ენიჭება ქალს, დედას. ქართულ კულტურაში ქალი ძირითადად ოჯახთან ასოცირდება. ამიტომ, ხშირად ქალები მოწყვეტილნი არიან საჯარო ცხოვრებას და ეს ტენდენცია დამახასიათებელია, როგორც ქართული ასევე, სხვა კულტურის ოჯახებისთვის. მაგრამ; თანდათან იმსხვრევა ეს სტერეოტიპი და ქალები საქართველოშიც გამოდიან საჯარო ასპარეზზე, მსგავსად სხვა ევროპული ქვეყნებისა.

ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის როლი თანამედროვე საზოგადოებაში

საუკუნე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ ურთიერთობათა “გაცივებით“ გამოირჩევა. ადამიანები უფრო პირადი სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ ისწრაფვიან, ვიდრე საზოგადოებრივისაკენ. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, უფრო ახალგაზრდა თაობისთვისაა დამახასიათებელი. ზოგჯერ, ეს ფაქტიც იწვევს ოჯახურ კონფლიქტებს, რადგან ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლები მიჯაჭვულობის მაღალ ხარისხს ავლენენ „ყველა ყველასთვის“, ეს კი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ახალგაზრდებში, რადგან გლობალიზაციის პროცესს და თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესაბამისად გაიზარდა ინდივიდუალიზმის ხარისხი, რასაც დადებითთან ერთად ახლავს წინააღმდეგობრივი ხასიათის ტენდენციები, რომელიც თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ოჯახსაც. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია სწორედ იმ ეპოქით, რომელშიც ვცხოვრობთ, კერძოდ მხედველობაშია კონკურენციის მაღალი ხარისხი. იმის გამო რომ ადამიანებმა არჩინონ ოჯახები, დააკმაყოფილონ მათი სურვილები და მოთხოვნილებები, უნდა იმუშაონ და შესაბამისად დიდი დრო

ოჯახის გარეთ გაატარონ, რაც იწვევს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების შემცირებას. ხშირად მშობლის ადგილს ძიძა ითვისებს, რომელიც ვერ წარმართავს ოჯახის ფუნქციებს იმგვარად, როგორც ამას მშობლები აკეთებენ. შესაბამისად, ოჯახი დისფუნქციური ხდება. ეს კი თავისთავად იწვევს სოციალური ურთიერთობების გამწვავებას, როგორც ოჯახის წევრებსა და მოზარდს, ისე მოზარდსა და საზოგადოებას შორის. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა დგას, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში.

ოჯახის ნეოლოკალური სტრუქტურა, რომელიც მოდერნისტული ოჯახებისთვისაა დამახასიათებელი, ბავშვის სოციალიზაციას მხოლოდ ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან ახდენს. ამ სტრუქტურიდან გამოსულმა ბავშვმა ნაკლებად იცის ურთიერთობა საზოგადოების უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, მათი ღირებულებები და შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ ისინი ახალგაზრდების შეფასებისას ხშირად იყენებენ გამოთქმას „რა თაობა მოდის“, „ჩვენს დროს სხვაგვარად იყო“ და სხვა. მოდერნისტული ოჯახების ისეთი სტრუქტურები, რომლებიც მოიცავს შვილს და მხოლოდ ერთ მშობელს, კიდევ უფრო ართულებს ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ნორმალურად წარმართვას, რადგან ბავშვი ქცევისა და თაობათა შორის ურთიერთობის ძალიან ცოტა მაგალითს ხედავს, ვიდრე ბავშვი გაფართოებულ ოჯახში. ის ჩაკეტილია, ძნელად შედის კონტაქტში და მხოლოდ საკუთარი თავისადმი გრძნობს პასუხისმგებლობას. მასში მაღალია ეგოს დამოკიდებულება.

„მოდერნისტული ოჯახებისათვისაა დამახასიათებელი ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ტოლერანტული გახდა ქორწინების გარეშე შობადობისადმი“ (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 49). შედეგად შეიძლება მივიღოთ მარტოხელა მშობელი, დამოუკიდებლად მცხოვრები მშობელი ბავშვთან ერთად. პირველ შემთხვევაში ბავშვის სოციალიზაცია შეიძლება ითქვას ნორმალურად მიმდინარეობს, რადგან ის იზრდება გაფართოებული სტრუქტურის მქონე ოჯახში, ხოლო მეორე შემთხვევა განეკუთვნება განხილულ მარტოხელა მშობლის კატეგორიას.

გლობალიზაციას, მოდერნიზაციას ახალი ღირებულებები მოაქვს, რომლებსაც სწრაფად ვითვისებთ, ხშირად უარს ვამბობთ მანამდე არსებულზე. ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება კითხვა: ხომ არ ამოწურა ოჯახმა თავისი ფუნქცია

და ხომ არ არის ამ ინსტიტუტის არსებობის აუცილობლობა კითხვის ნიშნის ქვეშ? პასუხი ერთია: არა. რადგან ოჯახი საზოგადოებრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია და მაშინ როცა ოჯახი დისფუნქციურია, შედაგად ვიღებთ უამრავ პრობლემას: 1.ირღვევა საზოგადოების სისტემურობა; 2. არასრულფასოვან ოჯახებში ხშირია ძალადობის ფაქტები, გართულებული სოციალური ურთიერთობები. ძალადობა ესაა ქმედება, როცა ერთი ადამიანი მეორეს აიძულებს აკეთოს ის, რასაც ეს უკანასკნელი თავისუფალ მდგომარეობაში არ გააკეთებდა. ძალადობის ძირითადი სახეებია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ოჯახში ის ძირითადად ორი ფორმით გამოიხატება: ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების ძალადობა შვილზე. „ოჯახში ძალადობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ოჯახურ ურთიერთობებში დიდ ემოციებს დებენ, შედეგად მოხდება ემოციების ესკალაცია და პატარა უთანხმოება დიდ უსიამოვნებაში გადაიზრდება“(კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 479). ასევე ძალადობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, მძიმე სოციალური მდგომარეობა, განათლების დაბალი დონე, ისეთი მავნე ჩვევები, როგორებიცაა ნარკომანია და ალკოჰოლზე დამოკიდებულება.

მეუღლეზე ძალადობის ძირითადი მიზეზი მამაკაცის როლის შემცირების პარალელურად ქალის როლის ზრდაა. „მამაკაცი რომელიც უმუშევარი დარჩა, ვეღარ ასრულებს ოჯახის მარჩენალის ფუნქციას. ეს ფუნქცია იტვირთა დედამ. მამაკაცს ელახება პატივმოყვარეობა განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ე.წ. პრესტიჟული პროფესია აქვს. მამა, რომელიც ამას გრძნობს დაკარგული პოზიციების აღდგენას ძალით, ძალადობით ცდილობს“ (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 70). ე.ი. სტატუსური შეუთავსებლობაც შეიძლება ჩაითვალოს ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ მიზეზად. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ილია II, 2014-2015 წლის საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: „აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში. განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულიად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით თავდება“.

ოჯახში ძალადობის მეორე ფორმას წარმოადგეს მშობლების მიერ ბავშ-ვისთვის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. ერთი მხრივ, როცა ბავშვი ხედავს როგორ ძალადობს ერთი მშობელი მეორეზე, მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს, მაგრამ ეს ტრავმა უფრო ღრმავდება, როცა ის თავად ხდება ძალადობის მსხვერპლი. ეს ბავშვები ანალოგიურად სწავლობენ საზოგადოებასთან ურთიერთობას, მაგრამ მათი მოძალადე გარემოს პირობებში ჩამოყალიბებული ჩვევები არ ერგება ნორმალურ საზო-გადოების ჩარჩოებს. „ბავშვები იზრდებიან დამახინჯებული, ტრამვირებული ფსიქიკით, რომლებიც ნაკლებ სავარაუდოა მომავალში საზოგადოების ნორ-მალურ წევრებად ჩამოყალიბდნენ“ (შრომის კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015: 85). ისინი საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს ქცევის უარყოფით ფორმებს ირჩევენ. არიან აგრესიულები, მიდრეკილნი არიან მავნე ჩვევების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ. ზოგიერთი მათ-განი ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით სახლიდან მიდის. შემდეგ ისინი უკონტროლონი ხდებიან, აწყდებიან ახალ პრობლემებს. გაცილებით რთული ვითარება იქმნება მაშინ, როცა ეს ბავშვები აღწევენ იმ ასაკს, როცა თავად ქმნიან ოჯახს, ხშირად ნაადრევად, მათი დიდი ნაწილი თავად ხდება მოძალადე. სოციოლოგების რიჩარდ გელისა და მურეი შტრაუსის მიხედვით, (1998. გელი 1995 წ.) „ბავშვზე ტიპიური მოძალადე არის ახალგაზრდა მარ-ტოხელა მშობელი, რომელიც ქორწინებაში იმყოფებოდა 10 წელზე ნაკლები პერიოდით და შვილი 18 წლამდე ასაკში გაუჩნდა. ასეთ ადამიანს, როგორც წესი ფინანსური პრობლემები აქვს, სტრესულ მდგომარეობაშია. ხშირად ასეთი მშობლები თავის დროზე თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი“ (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008: 480). სოციოლოგები თვლიან, რომ სოცია-ლური მგომარეობა გამოსწორდება ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობე-სებასთან ერთად.

ამ პროცესის შემდეგ მივდივართ იმ მდგომარეობამდე, რომელსაც დიურკჰეიმი ანომიას უწოდებდა. მაგალითად, მოზარდები, რომლებიც პრობლემის მოსაგვარებლად არა მოლაპარაკებებს, არამედ ძალისმიერ მე-თოდებს იყენებენ. გავიხსენოთ საქართველოში რამდენიმე თვის წინ მომხ-დარი ამბავი, როცა მოზარდების უთანხმოება სისხლიან კონფლიქტში გადაი-ზარდა და რამდენიმე მათგანის სიცოცხლე შეიწირა. აღნიშნულ ვითარებაში

საზოგადოების შეფასებებში უმეტესწილად ვისმენდით სკოლისა და საზოგადოების როლის შეფასებებს, თუმცა ვფიქრობთ, რომ მსგავს სიტუაციაში ფუნდამენტალური როლი აკისრია ისეთ სოციალურ ინსტიტუტს, როგორიც ოჯახია.ამიტომ თუ ეს ინსტიტუტი დაკარგავს ფუნქციას, მას ამ პრობლემათა გამწვავება და კიდევ მრავალი სხვა სახის პრობლემის წარმოშობა მოჰვება.

დასკვნა

როგორც ისტორიული ფაქტების ანალიზი, ასევე თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ოჯახმა კი არ დაკარგა თავისი ისტორიული ფუნქცია, არამედ კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი საჭიროება. ის ცვლილებები რომლებიც შევიდა ამ ინსტიტუტის ზოგიერთ ფუნქციასა თუ სტრუქტურაში, გამოწვეულია საზოგადოების ღირებულებების საპასუხოდ და ის ფაქტიც, რომ ოჯახის სტრუქტურები ერგებიან სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებას, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ეს საზოგადოებისათვის სასიცოხლოდ აუცილებელი უჯრედია. რომ არა ოჯახი და ოჯახის წევრები, ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობებს ძალიან ძნელად ან შესაძლოა საერთოდ ვერ შევძლებდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] ბადაშვილი მედეა, „ტერიტორიული სხვაობები ოჯახის გენდერულ ურთიერთობებში პოსტსაბჭოთა საქართველოში“, თბილისი. 2015;

[2] დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომის კრებული, გამომცემლობა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2015;

[3] კალჰუნი ქრეგ, ლაითი დონალდ, კელერი სუზენ, „სოციოლოგია“, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2008;

[4] სუმბაძე ნანა, „თაობები და ღირებულებები“, თბილისი. 2012;

[5] ღიბრაძე რაულ, „სოციოლოგია“, თბილისი. 2011;

Iremadze Mariam

Social Institutes as the Main Agents of Socialization (Family)

Abstract

The present work deals with the role of the social institution in the process of socialization. Effects of functions and dysfunctions of the social institution in the stability of society.The problems foaced by the society are social inequalities and dysfunction, in this case of family.Analysis of the facts used in the field once again emphasizes the necessity of family as a guarantee of stability of society.

It also shows how, existing families meet the demands of modern society and how need changes. It also reflects the family situation on the social, cultural and economic situation of the country.

Keywords: Family, Socialization, Society.

1994 წლის რუანდის გენოციდი და საერთაშორისო თანამეგორობა

ლია ირემაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობები, III კურსი
ელ. ფოსტა: liairemadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინეზა ზოიძე,
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ბსუ)
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

1994 წელს საერთაშორიო საზოგადოება შეძრა რუანდაში მომხდარმა გენოციდმა. 100 დღის განმავლობაში 1 000 000-მდე ქალი, კაცი და ბავშვი იქნა მოკლული მათი ეთნიკური კუთვნილების გამო. ეს იყო ყველაზე მცირე დროში მოკლული ადამიანების ყველაზე დიდი რიცხვი. რუანდაში მიმდინარე პროცესებში ჩარევისგან თავი შეიკავეს წამყვანმა სახელმწიფოებმა და გაერომ. ნაშრომში ვცდილობთ პასუხი გავცეთ კითხვებს: რატომ არ ჩაერია გაერო რუანდაში მიმდინარე პროცესებში? რა იყო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი? რა მოჰყვა მათ ამ ნაბიჯს? სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა საერთაშორისო თუ ლოკალური კონფლიქტების დროს. ნაშრომი ეყრდნობა პოლიტიკური ლიდერების სიტყვით გამოსვლებს, სხვადასხვა მეცნიერებისა და მკვლევარების მოსაზრებებს.

საკვანძო სიტყვები: რუანდა, გენოციდი, ჰუტუ, ტუტსი, მკვლელობა, საერთაშორისო თანამეგობრობა, გაერო, მოვალეობა, ჩარევა.

შესავალი

ბოლო დროს პოლიტიკოსები, დიპლომატები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სტრუქტურული ცვლილებების გატარება. უფრო კონკრეტულად კი ეს ცვლილებები უნდა შეეხოს უშიშროების საბჭოს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაეფექტურად იმოქმედა იუგოსლავიაში, სომალიში და რუანდაში განვითარებული მოვლენების დროს. სამივე შემთხვევაში გაერომ უღალატა იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც გაეროს წესდებაში არის ჩამოყალიბებული.

შესაბამისად, ჩვენი მიზანია გავარკვიოთ რა შემთხვევას ჰქონდა ადგილი რუანდაში? იყო თუ არა ეს გენოციდი და საყურადღებო მოვლენა? რატომ არ გადადგეს გაერომ, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა წამყვანმა სახელმწიფოებმა ქმედითი ნაბიჯები მკვლელობების შესაჩერებლად?

გამომდინარე იქედან, რომ ქართული სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს ჯერ არ შეუსწავლიათ რუანდის საკითი საფუძვლიანად, ნაშრომის მომზადების დროს ჩვენ ძირითადად ვხელმძღვანელობდით უცხოელი ავტორების ნაშრომებით, სტატიებითა და რუანდის გენოციდის დროს სახელმწიფო ლიდერების განცხადებებით.

ძირითადი მასალა, რაც თემის დამუშავებისას გმოვიყენეთ, არის იამ ფრასად ჩაულაგაინის 2011 წელს გამოქვეყნებული სტატია "რუანდის გენოციდი: შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება?", სადაც ავტორი განიხილავს თავად გენოციდის ფაქტს, თუ რატომ მოხდა იგი, ასევე იმ შესაძლო მიზეზებს თუ რატომ არ იმოქმედეს ევროპის სახელმწიფოებმა და გაერომ გენოციდის შესაჩერებლად.

მეორე მნიშვნელოვანი წყარო გახლავთ პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და კოფი ანანის ინტერვიუები და ოფიციალური განცხადებები რუანდის საკითხზე, სადაც ისინი განმარტავენ, თუ რამ შეუშალათ მათ ხელი ემოქმედათ დროულად.

გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობის დროს მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ისეთმა დოკუმენტებმა, როგორიც არის დალერის ფაქსი, გაეროს წესდება და კონვენცია გენოციდის შესახებ.

ისტორიული მიმოხილვა

რუანდის რესპუბლიკა პატარა სახელმწიფოა აფრიკის დიდი ტბების მხარეში, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. მას ოთხი სახელმწიფო - ტანზანია, უგანდა, ბურუნდი და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესაზღვრება.[1] XVI საუკუნეში რუანდის ტერიტორიაზე დასახლდნენ ჰუტუს ტომის წარმომადგენლები, რომლებმაც იქ განსახლებული ტვას ტომი შეავიწროვა და მათი უდიდესი ნაწილი განდევნა ქვეყნიდან. მალე რუანდაში ახალი ტუტსის ტომი გამოჩნდა, რომელმაც უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა ჰუტუს ტომზე. „დროთა განმავლობაში ენობრივი განსხვავება წაიშალა. ორივე ტომმა ერთ ენაზე (კინიარუანდა) დაიწყო ლაპარაკი. მოიშალა ანთროპოლოგიური და ეთნიკური სხვაობაც. ამგვარად, ეთნოსის დასახელებამ (ჰუტუ, ტუტსი), თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და ის უფრო საზოგადოებაში სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი გახდა. “ (7) თუმცა მეფეებს (მვამი) ტუტსის ტომისგან ირჩევდნენ და სახელმწიფოს მმართველ წრეებსაც ამ ტომის წარმომადგენლები შეადგენდნენ, რაც ჰუტუს ტომის უკმაყოფილებას იწვევდა.

XIX საუკუნის მიწურულს რუანდა გერმანიის კოლონია გახდა. გერმანელებს არ უცდიათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ცვლილება. მეტიც, მათ უპირატესობა მიანიჭეს ტუტსის ტომს და კიდევ უფრო გააღვივეს შუღლი ტომებს შორის. 1918 წელს პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ მანდატი რუანდაზე ბელგიას გადაეცა, რომელმაც მისი წინამორბედის ქმედებები გააგრძელა. ამ ფაქტმა უბიძგა ჰუტუს ეფიქრა, რომ ტუტსი რუანდის მტერია. 1959 წელს დეკოლონიზაციის პროცესით გამოწვეული დემონსტრაციები ტუტსის წინაღმდეგ მიმართულ ამბოხებად იქცა და მმართველი წრის ცვლილება გამოიწვია. ტუტსი ჰუტუმ შეცვალა. ამბოხს კი, 20,000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა 100,000-მდე კი დევნილად იქცა. მათ თავი მეზობელ ქვეყნებს შეაფარეს.

1962 წელს რუანდამ ბელგიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყანას პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა გრეგუარ კაიიბანდა. მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკაში, თუმცა მისი საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო ჰუტუს ტომის წარმომადგენლების რაოდენობის ზრდისკენ

[1] იხილეთ დანართი №1

ქვეყნის მმართველ და საგანმანათლებლო სფეროში. 1973 წლის 5 ივლისს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-მაიორმა ჟიუვენალ ჰაბიარიმანამ პუტჩის შედეგად გადააყენა გრეგუარ კაიიბანდა. პირველად ჟიუვენალ ჰაბიარიმანამ შეაჩერა კვოტების სისტემა, რითაც ტუტსის ტომის მოსახლეობის სიმპათიები დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰაბიარიმანას პოლიტიკამ თავიდან დადებით შედეგებამდე მიიყვანა ქვეყანა, მაგრამ 1980-იანი წლების ბოლოს გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მისი პოლიტიკა ძალადობრივი გახადა.

ამის პარალელურად, უგანდაში მყოფმა რუანდელმა ლტოლვილებმა ჩამოაყალიბეს „რუნდის პატრიოტთა ფრონტი“ (რპფ), რომლის მთავარ მიზანს მიგრანტების ქვეყანაში დაბრუნება და პოლიტიკური სისტემის ცვლილება წარმოადგენდა. რპფ-ს პოლ კაგამე ხელმძღვანელობდა. 1990 წლის 1 ოქტომბერს რპფ შეიჭრა რუანდაში და მოითხოვა დაახლოებით 50,000 მიგრანტი ტუტსის სამშობლოში დაბრუნება და მათი უფლებების აღდგენა. მათი ეს ქმედება მთავრობამ შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალება და ქვეყანაში სამოქალქო ომი დაიწყო, რომელიც სამ წელს გაგრძელდა. 1993 წლის აგვისტოში ჰაბიარიმანი დათმობებზე წავიდა და მხარეებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებას (არუშის შეთანხმება). „შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, გაეროს ეგიდით რუანდაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და დროებითი მთავრობის შექმნას, რომლის შემადგენლობაში პატრიოტული ფრონტის წარმომადგენლებიც შევიდოდნენ. გარდა ამისა, დაგეგმილი იყო დევნილთა სამშობლოში დაბრუნებაც. ვითარების მონიტორინგისთვის, რუანადაში გაეროს 2500 კაციანი სამხედრო კონტინგენტი განთავსდებოდა.“ (7) სამწუხაროდ ეს შეთანხმება მხოლოდ ფურცელზე დაწერილ სიტყვებად დარჩა.

1994 წლის 6 აპრილს ჩამოაგდეს პრეზიდენტ ჰაბიარამანას თვითმფრინავი. ტერაქტში ბრალი რპფ-ს დასდეს. ეს ტერაქტი გახდა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი აქტის დაწყების საბაბი. ტერაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ დედაქალაქში გაჩნდა ბლოკ-პოსტები. სახალხო მილიცია და მოხალისეთა რაზმები ცეცხლსასროლი იარაღებითა და მაჩეტებით შეიარაღდნენ. დაიწყო არეულობა. ჰუტუს წარმომადგენლები პირველ რიგში ოპოზიციურ პარტიებს და იმ ადამიანებს გაუსწორდნენ ვინც ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ტუტსების მიმართ.

მასობრივი მკვლელობები ხდებოდა წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით. ამ ყველაფერს დიდად უწყობდნენ ხელს მედიის წარმომადგენლები. გამომდინარე იქედან, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა, ინფორმაციის მთავარი წყარო რადიო იყო. 12 აპრილს რადიო „The Free Radio of a Thousand Hills"-ის პირდაპირ ეთერში კიგალის პრეფექტმა რენზაჰომ გააკეთა მიმართვა: „ჩვენ ვითხოვთ მოქალაქეებისგან ჩაეწერონ სახალხო პატრულში და შეამოწმონ ყველა ვინც შეხვდებათ..... ჩვენ მოვალენი ვართ გავწმინდოთ და შევამოწმოთ ყველა ბუჩქი, ყველა სახლი, განსაკუთრებით ის სახლები, რომლებიც მიტოვებულია, ჭაობები, რათა დავრწმუნდეთ, რომ იქ არ იმალებიან „ტარაკანები" (ტარაკანებად ჰუტუ ტუტსის მოიხსენიებდა). უნდა გავაკონტროლოთ გზები, შევქმნათ პოსტები, რათა ვერავინ შეძლოს გაქცევა". (5) შეიქმნა ჰუტუს 10 მცნება[2], სადაც აღწერილი იყო როგორ უნდა მოქცეოდნენ ტუტსს. რუანდის მდინარე კაგერა წითლად შეიღება. ერთი საათის მანძილზე მდინარეში საშუალოდ 72 გვამს აგდებდნენ.

რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა პოლ კაგამეს მეთაურობით ჩამოაგდო მთავრობა და ხელთ იგდო ძალაუფლება. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი მოვლენა. ოფიციალური მონაცემებით რუანდის გენოციდის დროს 500 000-დან 1 000 000-მდე ადამიანი დაიღუპა, და ეს ყველაფერი მხოლოდ 100 დღის განმავლობაში.

რუანდის გენოციდი და საერთაშორისო თანამეგობრობა

1994 წლის რუანდის გენოციდი საყურადღებოა ორი მიზეზით: 1.მოკლე დროში, მოკლული ადამიანების რიცხვით 2. ეს იყო შემთხვევა, როცა საერთაშორისო საზოგადოებამ არ დაიცვა ის ღირებულებები და პრინციპები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც შექმნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. არც აშშ-მა, რომელიც ზესახელმწიფო იყო იმ დროისათვის და არც სხვა წამყვანმა სახელმწიფოებმა: დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ და გაერომაც კი არაფერი არ გააკეთეს რუანდის გენოციდის თავიდან ასაცილებლად. ეს არის იმის ნათელი მაგალითი თუ რა შეიძლება მოჰყვეს საერთაშორისო თანამეგობრობის უმოქმედობას.

[2] იხილეთ დანართი №3

გამომდინარე იქედან, რომ გენოციდს წინ უსწრებდა სამოქალაქო ომი, 1993 წლიდან რუანდაში მოქმედებდა გაერთიანებული ერების რუანდის დახმარების მისია (UNIMAR), რომელიც გაერომ ამავე წელს არუშაში მიღებული შეთანხმების შესრულების ზედამხედველ ჯგუფად ჩამოაყალიბა. მას ხელმძღვანელობდა კანადელი გენერალი რომეო დალერი, რომლის დაქვემდებარებაშიც 2548 მშვიდობისმყოფელი იყო.[3] გამომდინარე იქედან, რომ ის იცნობდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი მკვლელობების შესახებ. მას სანდო წყარომ აცნობა, რომ იგეგმებოდა გენოციდი. ამავე წყარომ გენერალ დალერს ასევე მიაწოდა ცნობები იმის შესახებ თუ, სად იყო იარაღის საწყობები, რა გეგმით უნდა განხორციელებულიყო მასობრივი მკვლელობა და აცნობა იმის შესახებაც, რომ იგეგმებოდა ბელგიელი მშვიდობისმყოფელების მკვლელობაც.(1) გენერალმა აღნიშნულის შესახებ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრებს და მოითხოვა მშვიდობისმყოფელების რაოდენობის გაზრდა 5000 მდე. ასევე, მათი კარგად აღჭურვა და იარაღის გამოყენების უფლების მინიჭება, რათა გადაერჩინათ რაც შეიძლება მეტი ადამიანი. რომეო დალერის წინადადება "ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ არ მიიღეს, იმ მოტივით, რომ ეს ყველაფერი იქნებოდა დამატებით თანხებთან დაკავშირებული" (6). მეტიც, მათ ბელგიის მოთხოვნით შეამცირეს მშვიდობისმყოფელების რაოდენობა. უარის მიუხედავად დალერმა მაინც შეძლო 10 000-მდე ადამიანის გადარჩენა იმ ბანაკების საშუალებით, რომლებიც მოაწყო რუანდაში. მოგვიანებით, 2004 წელს კიგალიში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც რუანდის გენოციდიდან 10 წლის შემდეგ გაიმართა, რომეო დალერმა სიტყვით გამოსვლის დროს თქვა: "საერთაშორისო თანამეგობრობას არაფერი არ გაუკეთებია გენოციდის შესაჩერებლად, რადგან რუანდა არ იყო სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა"[4].(6) გაერო არ აღმოჩნდა ქმედუნარიანი ორგანო, რომელიც შეძლებდა შეეჩერებინა რუანდაში არსებული სისხლისღვრა. გაეროს წესდების მიხედვით, უშიშროების საბჭოს

[3] R. A. DALLAIRE and B. POULIN, (1995), "Mission to Rwanda", მოძიებულია მარტი, 2018 http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a423206.pdf

[4] https://www.inspirationalstories.com/quotes/romeo-dallaire-the-international-community-didnt-give-one-damn/

ხუთი მუდმივი წევრის თანხმობაა საჭირო იმისათვის, რომ მან განახორციელოს ჰუმანიტარული ინტერვენცია და რადგან ორი წევრი წინააღმდეგი იყო, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად გაეროომ უარყო ის ძირითადი პრინციპები, რომელიც მის წესდებაშია აღნიშნული. კერძოდ: იგი მოვალეა ადამიანის უფლებების ყველა დარღვევაზე მოახდინოს რეაგირება. გარდა ამისა, იმის გამო, რომ „კონვენცია გენოციდის შესახებ“ უშიშროების საბჭოს ავალებს იმოქმედოს გენოციდის ყველა შესაძლო გამოვლინების აღსაკვეთად, რუანდაში მიმდინარე მოვლენების დროს საბჭოს წევრები ერიდებოდნენ სიტყვა „გენოციდის“ გამოყენებას. იგი გამოიყენეს მას შემდეგ, როცა უკვე დიდი იყო დაღუპულთა რიცხვი. კოფი ანანმა, რომელიც იმ პერიოდში გაეროს გენერალური მდივანი იყო, მოგვიანებით BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა „ჩვენ დავმარცხდით რუანდაში... იმ დროისთვის მე მეგონა, რომ მაქსიმუმს ვაკეთებდი, მაგრამ გენოციდის შემდეგ მივხვდი, რომ შემეძლო და ვალდებული ვიყავი მეტი ყურადღება გამომეხატა და განგაში ამეტეხა“ (2).

რატომ ჩათვალა ამერიკის მთავრობამ, რომ არ იყო საჭირო მშვიდობისმყოფელების რაოდენობის გაზრდა და ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება, მაშინ როცა მანამდე აფრიკის რეგიონის ქვეყნებში არაერთი ინტერვენცია განხორციელდა? აშშ-ს ელჩი გაეროში, მადლენ ოლბრაითი PBS-თან ინტერვიუში ამბობს „ნურავინ იფიქრებთ, რომ რუანდის საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები ცივსისხლიანები არიან და არ ანაღვლებდათ რა ხდებოდა რუანდაში, უბრალოდ არ იყო საკმარისი ინფორმაცია იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ“(4). დღემდე კლინტონის ადმინისტრაციისთვის თავის გამამართლებელ მთავარ არგუმენტად სწორედ ინფორმაციის ნაკლებობას ასახელებენ. საინტერესოა მაშინ, როდესაც ისეთი მსხვილი გამოცემები, როგორებიც არიან THE NEW YOURKER, HUMAN RIGHTS WATCH, NEW YORK TIMES და WASHINGTON POST წერდნენ რუანდაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, როგორ შეიძლება არ მიეღოთ ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს?! სავარაუდოა, რომ ამერიკის მთავრობა იკავებდა თავს რუანდის პროცესებში ჩარევისგან, რადგან მათ ცუდი გამოცდილება მიიღეს 1993 წელს სომალიში და არ სურდათ კიდევ ერთი მარცხი განეცადათ აფრიკის რეგიონში. ამის გამო, ისინი რუანდაში განვითარებულ მოვლენებს გენოციდის სახელით არც კი მოიხსენებდნენ,

რადგან არ დაეკისრებოდათ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ „კონვენცია გენოციდის შესახებ“ აკისრებს. გარდა ამისა, ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება დამატებით ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამერიკის შეერთებული შტატები გაეროს მსხვილი დამფინანსებელია ამიტომ, მას აღარ სურდა დამატებით თანხების გაღება. (საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა იუგოსლავიასა და სომალიში). ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 1998 წელს რუანდის პრეზიდენტ კაგამესთან შეხვედრისას სიტყვის გამოსვლის დროს აღნიშნა: „საერთაშორისო საზოგადოებამ, აფრიკელ ხალხთან ერთად უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა ამ ტრაგედიაზე, ჩვენ საკმარისად სწრაფად არ ვიმოქმედეთ მკვლელობების დასაწყისში, მაშინვე არ დავარქვით ამ ფაქტს მისი ნამდვილი სახელი - გენოციდი. ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ წარსული, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ დაგეხმაროთ თქვენ [რუანდის მოქალაქეებს] ააშენოთ მომავალი შიშის გარეშე“[5] (3).

ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის უმოქმედობის „გამამართლებელ“ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ისიც, რომ რუანდა არ არის მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა. აქ არ არის ბუნებრივი რესურსი, მას არ აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და არის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანა მსოფლიოში. შესაბამისად, არ უღირდათ მათ დამატებითი ხარჯების გაღება აფრიკის ცენტრში მდებარე პატარა სახელმწიფოსთვის. დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის უარმა განხორციელებულიყო ჰუმანიტარული ინტერვენცია რუანდაში ფაქტობრივად უმოქმედო სუბიექტად აქცია გაერო, რადგან სწორედ ისინი არიან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და ბიუჯეტის მსხვილი შემავსებლები.

1995 წელს გაერომ შექმნა საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდის საკითხზე, რომლის სამუშაო ადგილმდებარეობა არის ტანზანიაში, ქალაქ არუშაში. ტრიბუნალის მიზანია საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებიც არიან გენოციდის „შემოქმედნი“ და ასევე ის პირებიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ გენოციდის განხორციელებას. ასეთები არიან პროპაგანდისტული რადიოს ხელმძღვანელები, რუანდის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურები, მოქალაქეები, რომლებიც

[5] მოგვიანებით ამ გამოსვლას კლინტონის ბოდიში უწოდეს

აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მკვლელობებში. ამ ეტაპზე მხოლოდ 1 ადამიანია დაკავებული 8-ზე ძებნაა გამოცხადებული (ფულადი ჯილდო 5 000 000-ია) ათობით ადამიანი კი ეჭვმიტანილად ითვლება.[6]

ამრიგად, წამყვანი სახელმწიფოების არასათანადო ქმედებებმა, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის ყურადღების მიღმა დატოვებამ, მილიონამდე ადამიანის მკვლელობას შეუწო ხელი. რუანდის გენოციდი იქცა შავ ლაქად საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, როგორც მაგალითი იმის თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ უმოქმედობას.

დასკვნა

1994 წელს ცენტრალური აფრიკის პატარა სახელმწიფო რუანდაში კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ფაქტი მოხდა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაკვალიფიცირდა, როგორც გენოციდი. იგი ისტორიაში, შევიდა როგორც მოკლე დროში მოკლული ადამიანების დიდი რიცხვით და როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის უმოქმედობის ცუდი შედეგი.

რუანდაში განვითარებულმა მოვლენებმა კითხვის ქვეშ დააყენა გაეროს, როგორც უნივერსალურ ორგანიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი გარანტორ ორგანიზაციად არსებობაში. რუანდაში გამოჩნდა გაეროს ქმედუუნარობა, რაც განპირობებულია იმით, რომ იგი შედგება დამოუკიდებელი სახელმწიფოებისგან და მისი ყოველი ქმედებაც მათ ნებაზეა დამოკიდებული.

რუანდაში დაწყებული მასობრივი მკვლელობის ფაქტები ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და გეოსტრატეგიულად უმნიშვნელო მდებარეობის გამო არ აღმოჩნდა წამყვანი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა. შესაბამისად, მათ არაფერი გააკეთეს მკვლელობების შესაჩერებლად და უფლება მისცეს ჰუტუს წარმომადგენლებს მოეკლათ მილიონამდე ადამიანი. მხოლოდ მკვლელობების დასრულების შემდეგ გაზარდა გაერომ მშვიდობისმყოფელების რიცხვი რუანდაში, გაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება და შექმნა საერთაშორისო ტრიბუნა რუანდის საკითხზე.

---

[6] SEARCHING FOR THE FUGITIVES (ძებნაში მყოფი პირების სია), მოძიებულია მარტი, 2018, http://www.unmict.org/en/cases/searching-fugitives

რუანდის გენოციდი გაეროსა და წამყვანი სახელმწიფოებისთვის არის სამარცხვინო შემთხვევა. ეს არის მათი უყურადღებობის, უმოქმედობის შედეგი და შესაბამისად, გენოციდის უშუალო შემოქმედებთან ერთად თავადაც არიან დამნაშავენი, რადგან დანაშაულს ჩადის არა მხოლოდ ის, ვინც ისვრის, არამედ ისიც, ვინც უყურებს თუ როგორ ესვრიან სხვას და არაფერს აკეთებს შესაჩერებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] რომეო დალერის ფაქსი გაერთიანებული ერების უსიშროების საბჭოს, https://assets.documentcloud.org/documents/816325/19940111a2-unam-rwdp.pdf

[2] BBC Hardtalk, (აპრილი.2018) მოძიებულია 25 აპრილი, 2018, https://www.youtube.com/watch?v=p3VfbmH_TOU

[3] MCamericanpresident, BillClinton-RemarkstothePeopleofRwanda, (აგვისტო, 2010)მოძიებულია 25 აპრილი, 2018, https://www.youtube.com/watch?v=R_6CFNwJ9ww

[4] PBS, Interview, (აპრილი 2004) მოძიებულია 25 აპრილი, 2018, https://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/ghosts/interviews/albright.html

[5] VisiualPolitik EN, How is RWANDA stepping out of MISERY?(ნოემბერი2017) მოძიებულია 29 იანვარი, 2018, https://www.youtube.com/watch?v=CJ7uiSnAjq0

[6] YAM PRASAD CHAULAGAIN, TheRwandanGenocide: CoulditHaveBeenPrevented? (აგვისტო 2011) მოძიებულია 29 იანვარი, 2018, http://www.e-ir.info/2011/08/03/the-rwandan-genocide-could-it-have-been-prevented-2/#_edn39

[7] 24 Hour, აფრიკული გენოციდი, (სექტემბერი2013) მოძიებულია17 იანვარი, 2018, http://24blog.ge/weekend/story/40630-afrikuli-genotsidi

დანართი№1

დანართი №2



დანართი №3

1. Every Hutu should know that a Tutsi woman, whoever she is, works for the interest of her Tutsi ethnic group. As a result, we shall consider a traitor any Hutu who
   - marries a Tutsi woman
   - befriends a Tutsi woman
   - employs a Tutsi woman as a secretary or a concubine.
2. Every Hutu should know that our Hutu daughters are more suitable and conscientious in their role as woman, wife and mother of the family. Are they not beautiful, good secretaries and more honest?
3. Hutu women, be vigilant and try to bring your husbands, brothers and sons back to reason.
4. Every Hutu should know that every Tutsi is dishonest in business. His only aim is the supremacy of his ethnic group. As a result, any Hutu who does the following is a traitor:
   - makes a partnership with Tutsi in business
   - invests his money or the government's money in a Tutsi enterprise
   - lends or borrows money from a Tutsi
   - gives favours to Tutsi in business (obtaining import licenses, bank loans, construction sites, public markets, etc.).
5. All strategic positions, political, administrative, economic, military and security should be entrusted only to Hutu.
6. The education sector (school pupils, students, teachers) must be majority Hutu.
7. The Rwandan Armed Forces should be exclusively Hutu. The experience of the October 1990 war has taught us a lesson. No member of the military shall marry a Tutsi.
8. The Hutu should stop having mercy on the Tutsi.
9. The Hutu, wherever they are, must have unity and solidarity and be concerned with the fate of their Hutu brothers.
   - The Hutu inside and outside Rwanda must constantly look for friends and allies for the Hutu cause, starting with their Hutu brothers.
   - They must constantly counteract Tutsi propaganda.
   - The Hutu must be firm and vigilant against their common Tutsi enemy.
10. The Social Revolution of 1959, the Referendum of 1961, and the Hutu Ideology, must be taught to every Hutu at every level. Every Hutu must spread this ideology widely. Any Hutu who persecutes his brother Hutu for having read, spread, and taught this ideology is a traitor.

Iremadze Lia

Rwanda Genocide in 1994 and International Community

Abstract

In 1994, the international community shocked the genocide in Rwanda. Almost one million men, women, and children were slaughtered because of their ethnicity within 100 days. Whilst this atrocity was happening the United Nations, USA, Britain and Germany decided to abstain from interfering. In this article we will try to ascertain : Why the UN did not intervene in the ongoing processes in Rwanda? What was the main hindering factor?

The goal of the research is to determine the role and significance of the international community during international and local conflicts. The work is based on the speeches of political leaders, opinions of scholars and researchers.

Key words: Rwanda, Genocide, Killing, Hutu, Tutsi, United Nations, International Community, Duty, Intervention.

ფაქტორ „თავისის“ მოქმედება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

ირმა ბოლქვაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფსიქოლოგის სპეციალობის *მე-2 კურსი*
ელ.ფოსტა irma.bolqvadze.98@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კეჭაყმაძე,
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევა ეხება ფაქტორ „თავისის“ მოქმედების და გავლენის შესწავლას აღქმაზე. კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, ახასიათებთ თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს თავისი საკუთრების უფრო დადებითად გადაფასება, ვიდრე არა თავისის და ახდენს თუ არა ეს გავლენას აღქმაზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს ფაქტორ „თავისის“ მოქმედება, ხოლო კვლევის ობიექტს - სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

ექსპერიმენტულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში თავს იჩენს ფაქტორ „თავისის“ მოქმედება და ის გავლენას ახდენს საგნის აღქმაზე. კერძოდ, ცდისპირები ილუზიურად აღიქვამენ რეალურად ტოლი ზომის ობიექტებს, რადგან ფაქტორ „თავისის“ მოქმედებით ისინი ხშირ შემთხვევაში ახდენენ „თავისი“ ობიექტის ზომის გადაფასებას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

როდესაც რომელიმე ფსიქიკური ფენომენი განიცდება, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას სწორედ ჩვენ განვიცდით, რომ იგი ჩვენი ცნობიერების ფაქტია და ჩვენ ვიცით, რომ იგი სწორედ ასეთი და არა ისეთი ფსიქიური ფენომენია.

(დიმიტრი უზნაძე. შრომები. ტ. II, 1960, გვ. 65)

ადამიანი მწარმოებელი არსებაა. თავისი მოთხოვნილების საგნების წარმოებისას, ის მათში განასახიერებს როგორც ფიზიკურ ძალებს, ასევე თავის ფსიქიკურ, სულიერ შესაძლებლობებსაც. ის გაასაგნებს საკუთარ თავს ან საკუთარი „თვითონის“ ნაწილს. ცოცხალი ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობა აუცილებლად ითვალისწინებს დაუფლების პროცესს. ამიტომ გარკვეული მოთხოვნილებების მქონე სუბიექტი მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება. ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას წარმოადგენს „თავისის - არათავისის'' კატეგორიებისადმი ტენდენცია. შ. ნადირაშვილი წერს: „დისტანციაზე არსებული საგნებიდან ინდივიდი მხოლოდ ისეთებთან ამყარებს ურთიერთობას, რომლებიც გარკვეულ კავშირში არიან მის მოთხოვნილებებთან.“ (ნადირაშვილი, 1975.გვ13). ამის მიხედვით, თავს იჩენს ორი ფაქტორი: „თავისი“ და „სხვისი.“

მითვისება-დაუფლებას, მიტაცებას აღნიშნავს ტერმინი აპროპრიაცია, ხოლო ტერმინი „პროპრიუმი,“ რომელიც შემოიტანა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჯ. ოლპორტმა, აღნიშნავს პირად საკუთრებას, თავისს, კერძოს, განსაკუთრებულს, ჭეშმარიტს, შესაფერისს. ამ ტერმინით ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენს განსაკუთრებულ კუთვნილებას. პროპრიუმი მოიცავს პიროვნების თითქმის ყველა ასპექტს, რომლებიც ქმნიან შინაგან ერთობას: 1) საკუთარ თავთან იდენტობა; 2) თვითშეფასება; 3) მე-ს სივრცე; 4) ფენომენალური მე; 5) მიკუთვნების მისწრაფება; 6) თვითშემეცნება.

გავეცანით პროფესორ გურამ ჩაგანავას მიერ მოზარდებზე ჩატარებულ კვლევებს, ფაქტორ „თავისის“ მოქმედებაზე (აპროპრიაციის ფსიქოლოგის ექსპერიმენტული საფუძვლები.გვ93). რომელშიც, ასახულია მოზარდებში როგორ გამოვლინდება ფაქტორ „თავისი“ და მისი გავლენა აღქმაზე. თუმცა ჩვენ დაგვაინტერესა რა ხდებოდა მოზარდობამდე, იჩენდა თუ არა

ფაქტორი „თავისი“ თავს და კონკრეტულად სკოლამდელ ასაკის ბავშვებში როგორ გამოვლინდებოდა ფაქტორი „თავისი“.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, ანალოგიური ექსპერიმენტების ჩატარებით შეგვესწავლა ფაქტორ „თავისის“ მოქმედება სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღქმაზე. ჩვეულებრივ, ადამიანის ფსიქიკური აქტივობა იწყება აღქმის პროცესით, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ფაქ-ტორი. ადამიანები ყოველდღიურად ჩართული არიან ამა თუ იმ სოცია-ლურ ურთიერთობებში, რაც გავლენას ახდენს ფსიქიკურ აქტივობაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო იმის დადგენა, ახასიათებთ თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს თავისი საკუთრების უფრო დადებითად გადაფასება, ვიდრე არათავისის და ახდენს თუ არა ეს გავლენას აღქმაზე.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ქ. ბათუმის 7 საბავშვო ბაღის 5 და 6 წლიან აღსაზრდელებთან. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიღო 15 ცდისპირმა.

კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებული იყო გ. ჩაგანავასეული ფაქტორ „თავისის“ საკვლევი მეთოდი.

ექსპერიმენტის დაწყებამდე შევუთანხმდით ბაღის ადმინისტრაციას და ნებართვის შემდგომ - აღსაზრდელების ჯგუფის აღმზრდელს. ექსპე-რიმენტატორი შედიოდა ჯგუფში და ეუბნებოდა ბავშვებს, რომ გვერდით ოთახში ამოწმებდნენ ბავშვების ცოდნას, თუ რამდენად იცოდნენ მათ ფერები. სინამდვილეში, დაკვირვება ხდებოდა მათ აღქმაზე - თუ როგორ აღიქვამდნენ ისინი ერთნაირი ფორმის 30/30სმ -ზომის ფურცლებს. ცდის-პირებს ვთხოვდით, თუ უკან დაბრუნებულებს ბავშვები კითხვებს დაუს-ვამდნენ, იგივე გაემეორებინათ, რაც მონაწილეებს მანამდე უთხრა ექს-პერიმენტატორმა.

ცდისპირები ინდივიდუალურად შეგვყავდა ექსპერიმენტისთვის გამო-ყოფილ ცალკე ოთახში, ვსვამდით სკამზე და ვაწვდიდით პირველ დავა-ლებას, კერძოდ, ვაჩვენებდით სხვადასხვა ფერის 30/30სმ ზომის ფურც-ლებს: ყვითელი, წითელი, ცისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ვარდისფერი, მწვანე, ყავისფერი, მუქი მწვანე, ნაცრისფერი.

ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა ცდის პირს, რომ მის წინ განლაგე-ბული 10 ფერიდან უნდა ამოერჩია ერთი თავისი საყვარელი ფერი და

დაემახსოვრებინა ის. ასევე, ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა, რომ რადგან ფერს თვითონ ირჩევს, არჩეული ფერისთვის ეწოდებინა „ჩემი.“ ამის შემდეგ ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა, რომ დარჩენილი ფურცლებიდან კიდევ აერჩია ერთი ფურცელი, რომელიც მას არ მოსწონდა და ის ფურცელი მიეკუთვნებინა „სხვისთვის,“ ანუ გაესხვისებინა. ცდისპირიც ირჩევდა ორ განსხვავებული ფერის ფურცელს: ერთს თავისთვის, ხოლო მეორეს - სხვისათვის. ამით მთავრდებოდა პირველი დავალება. ცდისპირს პირველი დავალება იმიტომ შევთავაზეთ, რომ გაგვერკვია, რომელი ფურცელი იყო თავისი და რომელი სხვისი.

შემდეგ გადავდიოდით მეორე დავალებაზე. ამ შემთხვევაშიც ცდისპირს ვაწვდით ერთი ზომის (30/30 სმ), ოღონდ განსხვავებული ფერის ფურცლებს, რომლებიც მეორე დავალებაში ეძლეოდათ გაორმაგებულად. ცდისპირს ევალებოდა, მის წინ გაფანტულად დალაგებული სხვადასხვა ფერის ფურცლებიდან ჯერ ეპოვნა თავის ფურცელი და მერე - სხვისი. ცდისპირი ნახულობდა ჯერ „თავის“ და მერე „სხვის“ ფურცელს.

მეორე დავალება ემსახურებოდა „გათავსება-გასხვისების“ განმტკიცებას, ამავე დროს, მოწმდებოდა განსხვავებული ფერების ცნობის შესაძლებლობა, რადგან თავისი თუ სხვისი ფურცლის დასახელებისას ცდისპირები ხელით ანიშნებდნენ, ფერების დასახელებით კი დავალებაში შეტანილი იქნა გარკვეული სიძნელე. ამის შემდგომ მაგიდიდან ვიღებდით ყველა ფურცელს.

საგანწყობო ცდა

ცდის მესამე ეტაპი

ცდისპირებს მაგიდაზე ვულაგებდით მარჯვნივ „საკუთარ,“ მარცხნივ - „სხვის“ ფურცლებს, რომელთაგან თითოეულს ვაჩვენებდით 10 - ჯერ, ჩვენება გრძელდებოდა 0,10 წამს. ცდისპირებს უნდა განესაზღვრათ, რომელი ფურცელი იყო უფრო დიდი, თუმცა, სინამდვილეში ფურცლები იყო ტოლი. ცდისპირებს შევუქმენით განწყობა, რომ არსებული ფურცლებიდან ერთ-ერთი იყო დიდი ზომის. ამიტომ ცდისპირის პასუხი იყო შემოსაზღვრული, რომ ან მისი ფურცელი იქნებოდა უფრო დიდი, ან სხვისი. ექსპერიმენტატორი ცდისპირის მიერ გადაფასებულ თავისი ფურცლის ზომას

აღნიშნავდა (+) პლიუსით, სხვისი ფურცლის ზომის გადაფასებას (-) მინუსით, ხოლო ტოლობას - ტოლობით (=) .

აღმოჩნდა, რომ კუთვნილებითი მიმართების დროს ძალიან იზრდება ასიმილაციურ ილუზიათა რაოდენობა, ფაქტორი „თავისი“ აძლიერებს საგანწყობო დიდი ობიექტის მხარეს, სწორედ ამ გავლენით მივიღეთ ილუზიური აღქმა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ცდისპირები გადაფასებას უკეთებენ „თავისი“ ფურცლის ზომებს იმის მიხედვით, თუ როგორია ფენომენალური მე, მიკუთვნების მისწრაფება, თვითშეფასება, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნა.

ცდისპირთა პასუხები ნაჩვენებია ცხრილებში.

ცხრილი 1

ცდის პირების რაოდენობა 15. ჩვენებების რაოდენობა 10

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	+	+	+	+	+	+	+	+	+	–	+	+	+	+	+
2	+	+	+	+	+	+	+	+	+	=	+	+	+	+	+
3	–	+	+	+	+	+	+	+	+	+	=	+	+	+	–
4	+	=	+	–	+	+	+	+	+	+	–	+	+	+	+
5	+	–	+	–	–	+	+	+	+	=	–	–	+	+	=
6	+	–	+	–	=	-	-	+	+	+	–	–	+	+	+
7	+	+	+	+	=	+	+	+	+	=	–	+	–	+	=
8	+	+	+	+	–	+	=	+	=	+	=	=	–	+	=
9	+	+	+	+	–	+	=	+	+	+	+	+	–	+	+
10	+	+	+	+	–	=	+	+	+	+	=	+	+	+	+

მიღებული შედეგების საერთო რაოდენობაა 150, საიდანაც 110 ჩვენებაზე ცდისპირებს თავის ფურცელზე შეექმნათ ილუზია და თქვეს, რომ შედარებით დიდია „თავისი“ ფურცელი, რომელიც შემდგომ ცხრილში აღვნიშნეთ „პლიუსით,“ ხოლო იგივე 150 ჩვენებიდან სხვისი ფურცლის ზომის გადაფასების რაოდენობა იყო 23 პასუხი, რომელიც ცხრილში აღვნიშნეთ „მინუსით.“ გარდა ამისა, ზოგი ცდისპირი არ ახდენდა თავისი ან სხვისი ფურცლის ზომის გადაფასებას და მათ აღიქვამდა ტოლი ზომის ფურცლებად. ამავე 150 ჩვენებიდან, ფურცლების ზომის ტოლად აღქმის რაოდენობა იყო 17 პასუხი. მონაცემები გამოვსახეთ პროცენტების სახით.

ცხრილი 2

	კვლევის შედეგები % სახით
თავისი წრის გადაფასება	73,3 %
არა თავისი წრის გადაფასება	15,3 %
ტოლობა	11,3 %

აუცილებელია განვაცალკევოთ და გამოვყოთ ყველა ის ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს „თავისი“ ფურცლის ზომის გადაფასებაზაზე, რათა დავასკვნათ, რომ „თავისის“ მეტწილად გადაფასება დაკავშირებულია ფაქტორ „თავისის“ მოქმედებასთან და არ არის გამოწვეული სხვა ფაქტორებით. ჩვენ მხედველობაში გვქონდა ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტი და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტი.

ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტი ჩვენ განვსაზღვრეთ იმ მიზნით, რომ ცდისპირები პირველს ირჩევენ „თავის“ ფურცელს, ხოლო შემდგომ „არა თავის“ ფურცელს. შესაძლებელია რომ მნიშვნელობა აქვს რიგს და ამიტომაც „თავისის“ ფურცლის ზომის გადაფასება არა ფაქტორ „თავისის“ მოქმედებით, არამედ ფაქტორ „პირველობის“ მოქმედებით.

(ასევე გადავხედეთ შედეგებს და 15 ცდისპირიდან პირველ ჩვენებაზე თავისი ფურცლის ზომის გადაფასება ქონდა 14 ცდისპირს).

ასევე უნდა გამოგვეყო ფაქტორ ”ფერის“ ვარიანტი, რადგანაც ცდისპირები ფერად ფურცლებს ირჩევდნენ და არ იყო გამორიცხული, რომ „თავის“ ფურცლის ზომის გადაფასება გამოწვეული იყო ფაქტორ „ფერის“ ვარიანტით.

იმის დასადგენად, რომ საკუთარი ფურცლის ზომის გადაფასება გამოწვეულია ფაქტორ „თავისი“ მოქმედებით, მაშინ ჩვენ უნდა დაგვედგინა ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტის და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტის გავლენა. ამისათვის ჩვენ ჩავატარეთ დამატებით კვლევა.

მ ე თ ო დ ი

დაკვირვება ტარდება იგივე ცდისპირებზე, რომლებიც გვყავდა წინა ცდებში.

ცდისპირების რაოდენობას შეადგენს 15 სკოლამდელი ასაკის ცდისპირი, რომლებსაც მაგიდაზე ვულაგებთ ინდივიდუალურად 30/30 სმ ერთსა და

იმავე ფერის ფურცლებს და ვთხოვთ აირჩიონ ჯერ „არა თავისი“ ფურცელი და შემდგომ „თავისი“ ფურცელი (ეს მითითება ემსახურება ფაქტორ „პირველის“ ვარიანტის დადგენას).

ცდისპირები ირჩევენ ჯერ „არა თავის“ ფურცელს და დებენ მაგიდის ერთ მხარეს, ხოლო შემდეგ ირჩევენ „თავისას“ და დებენ მაგიდის მეორე მხარეს.

„თავისი“ და „არა თავისი“ ფურცლის მდებარეობის განსამტკიცებლად, ვთხოვთ ცდისპირებს გვითხრან რომელ მხარეს დევს თავისი და რომელ მხარეს სხვის ფურცელი, განმტკიცების შემდგომ იწყება მეორე ეტაპი.

მეორე ეტაპზე ექსპერიმენტატორი ცდისპირის მიერ არჩეულ „თავის“ და „არა თავის“ ფურცლებს იგივე ადგილმდებარეობით აჩვენებს 5–ჯერ. ერთი ჩვენების ხანგრძლივობა 0.10 წამი.

ცდისპირმა უნდა თქვას რომელი ფურცელის ზომა არის დიდი „არა თავისის“ თუ „თავისის“. ამ შემთხვევაშიც ექსპერიმენტატორი „არა თავის“ ფურცლის გადაფასებას აღნიშნავდა (-) მინუსით, „თავის“ წრის გადაფასებას აღნიშნავდა (+) პლიუსით, ორივე ფურცლის ტოლად დასახელებას (=) ტოლობით.

შედეგები იხილეთ დანართი 3-ში

დანართი 3 ცდისპირების რაოდენობა 15. ჩვენებების რაოდენობა 5.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
2	+	+	+	=	+	+	+	+	+	+	+	=	+	+	-
3	-	+	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	+
4	+	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	+	+	+	+
5	+	=	+	-	+	+	-	+	+	-	+	+	-	+	=

ჩვენებებიდან მიღებული შედეგების საერთო რაოდენობა 75 პასუხი. 75 ჩვენებიდან „თავისი“ ფურცლის ზომის გადაფასება 58 პასუხი (ცხრილში აღნიშნულია + -ის სახით). „არა თავისი“ ფურცლის ზომის გადაფასება 13 პასუხი (ცხრილში აღნიშნულია - –ის სახით). „თავის“ და „არა თავისი“ ფურცლის ზომის გათანაბრება 4 პასუხი (ცხრილში აღნიშნულია = –ის სახით).

ფაქტორ „პირველობის“ და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგები % ის სახით დანართი 4

	მიღებული შედეგების % ჩანაწერი
თავის ფურცლის ზომის გადაფასება	77.3 %
არა თავისი ფურცლის ზომის გადაფასება	17.3 %
ტოლობა	5.3 %

ამ ექსპერიმენტული კვლევით ჩვენ გვინდოდა დაგვედგინა ხომ არ ქონდა გავლენა ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტს და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტს, რომლებსაც შეიძლება ემოქმედათ ფაქტორ „თავისის“ ფურცლის ზომის გადაფასებაში.

ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტის დასადგენად ცდისპირს ვთხოვეთ ჯერ აერჩია „არა თავის“ ფურცელი და შემდგომ „თავისი“ ფურცელი, ხოლო ფერის ფაქტორის დასადგენად ცდისპირებს მივაწოდეთ ერთნაირი ფერის ფურცლები.

შედეგებმა კი გვიჩვენა, რომ „თავისი“ ფურცლის ზომის გადაფასებისას არ აქვს ადგილი ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტს და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტს, რადგანაც მიღებული შედეგებით „თავისი“ ფურცლის ზომის გადაფასების მაჩვენებელი ამ შემთხვევაში უფრო ბევრიც კია, ვიდრე წინა შემთხვევაში.

მაშასადამე „თავისის“ გადაფასების შემთხვევაში არ აქვს ადგილი ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტს და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტს.

დ ა ს კ ვ ნ ა

აღქმის პროცესზე და ადამიანის მოქმედების შეფასებაზე ფაქტორ „თავისის“ გავლენის ექსპერიმენტული კვლევა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები, რომ ინდივიდის დონეზე მიკუთვნების ტენდენცია, რომელიც კუთვნილებით კატეგორიებზე „თავისი, არა თავისის“ დიფერენციაციაში ვლინდება, არის დომინანტური შინაგანი ტენდენცია, რომელიც განპირობებულია ფაქტორ „თავისის“ მოქმედებით.

აღქმის პროცესში მიკუთვნებულობის ტენდენცია ვლინდება „თავისი“ ფურცლის ზომის უპირატესად გადაფასებით. ადამიანის მოქმედების შეფასებისას დასტურდება მიკუთვნების ტენდენცია, გათავისების და გასხვისების პროცესები და აღინიშნება ერთ შემთხვევაში უმჯობესი და მეორე შემთხვევაში უარესი. ჩვენი ექსპერიმენტული კვლევებიდან შეიძლება ვთქვათ, რომ ცდისპირები საკუთარი ფურცლის მიკუთვნებით და გადაფასებით, აუარესებენ სხვისას. თუმცა იყვნენ ცდისპირები, რომლებმაც ზოგ შემთხვევაში არა თავისი, არამედ სხვისი ფურცლის ზომა გადააფასეს, თუმცა ეს არ იყო დომინანტური პასუხი, არამედ იშვიათობა. ასევე ჩვენ უნდა დაგვედგინა ის ფაქტორები, რომლებსაც შეიძლება გავლენა ექონია „თავისის“ გადაფასებაში, ასეთ ფაქტორებად ჩვენ მივიჩნიეთ ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტი და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტი, რომლებიც შემდგომ ექსპერიმენტულად ვიკვლიეთ და გამოვლინდა, რომ „თავისის“ უპირატესობის მინიჭებაზე გავლენას არ ახდენს ფაქტორ „პირველობის“ ვარიანტი და ფაქტორ „ფერის“ ვარიანტი.

ჩვენ დავასკვენით რომ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში თავს იჩენს ფაქტორი „თავისი“ და ის გავლენას ახდენს აღქმის პროცესზეც, ასევე „თავისის“ გადაფასებაში არ დგინდება სხვა ფაქტორები, როგორიცაა ფაქტორ „პირველობის“ და ფაქტორ „ფერის“ მოქმედება, არამედ ფაქტორ „თავისის“ მოქმედება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში დომინანტური შინაგანი ტენდენცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურამ ჩაგანავა .... განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები ბთ.2001.
2. დიმიტრი უზნაძე.....შრომები. ტ II თბ.1960
3. შოთა ნადირაშვილი..... განწყობის ფსიქოლოგია II თბ.1985

Bolkvadze Irma

Impact of Factor “Own” in Pre-school Children

Abstrat

This abstract is about learning activites of "herself". main reeson of this to study childrens activity of their Positive and negative side of behave. And at last their is also exsperimant which show us thak between under school children their is factor "herself"_s activity which influence their understading of subject.

დისოციაციური აშლილობა

ხატია გორგაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფსიქოლოგიის სპეციალობის, პირველი კურსის სტუდენტი
ელ:ფოსტა: gorgadzexatia@gamil.com
სამეცნიერი ხელმძღვანელი: რუსუდან ბერიძე,
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, ერთ-ერთი ძალიან საინტერესო და ისეთი იშვიათი ფსიქიკური პათოლოგია, როგორიცაა დისოციაციური იდენტობის აშლილობა, რასაც პიროვნების გაორებასაც უწოდებენ. ავტორს, სხვადასხვა მეცნიერული წყაროების საფუძველზე, აღწერილი, დახასიათებული და გაანალიზებული აქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა :

დია ანუ „გახლეჩილი პიროვნება“, მისი ნიშნები და სავარაუდო მიზეზები, „წამყვანი“ პიროვნება - დისოციაციური აშლილობის დროს და სხვა. ასევე აღწერილი აქვს პირველი და ერთადერთი შემთხვევა ფსიქიატრიის ისტორიაში (ბილი მილიგანის 24 სახესხვაობა), რაც ყოველთვის იწვევს საზოგადოების მხრიდან დიდ ინტერესს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, დისოციაციური იდენტობის აშლილობების ღრმად შესწავლისა და ამ დაავადებასთან დაკავშირებული საკითხებით, საზოგადოების ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე.

დისოციაციური აშლილობა

დისოციაციური აშლილობა არის იდენტურობის, მეხსიერებისა და ცნობიერების ინტეგრაციის დარღვევა. ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აკონტროლებდნენ თავიანთ ქცევას, ანუ ემოციებს, აზრებსა და მოქმედებებს. თვითკონტროლის აღქმისთვის არსებითია ინდივიდუალურობის შეგრძნება - მე-ს სხვადასხვა ასპექტების შეთანხმებულობა (კონსისტენტურობა) და იდენტურობის უწყვეტობა დროსა და სივრცეში. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ დისოციაციურ მდგომარეობაში ინდივიდები გაურბიან საკუთარ კონფლიქტებს შეთანხმებულობისა და უწყვეტობის დათმობის გზით და უარყოფენ საკუთარი თავის ნაწილებს.

ფსიქოლოგებმა დაიწყეს მონაცემების შეგროვება იმის შესახებ, თუ რა ხარისხით შეიძლება ახლდეს თან მეხსიერების ასეთი დანაწევრება (დისოციაცია) ბავშვობაში სექსუალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს. მწვავე/ღრმა ტრავმის სხვა ტიპები, როგორიცაა 1991 წელს ოკლენდსა და ბერკლიშ (კალიფორნიის შტატი) მომხდარი ხანძარი, რომელმაც 25 სიცოცხლე შეიწირა და მილიონ დოლარზე მეტი ზარალი მოიტანა, ასევე იწვევს დისოციაციის სიმპტომებს.

დისოციაციას აქვს სხვადასხვა ხარისხები, თუმცა თუ ინდივიდის ცნობიერება ძალიან ფრაგმენტული გახდა, ის შეიძლება პათოლოგიურად იქცეს და შეერწყას თვითგრძნობას და ადაპტაციის უნარს. დისოციაციურ აშლილობებს მიეკუთვნება დისოციაციური ამნეზია, დისოციაციური ფუგა, დისოციაციური პიროვნული აშლილობა, დეპერსონალიზაციური აშლილობა. ყოველგვარი ორგანული დისფუნქციის არარსებობის პირობებში ფსიქოლოგიური ფაქტორებით გამოწვეულ პროცესს, რომელიც მნიშვნელოვანი პიროვნული გამოცდილების დავიწყებაში მდგომარეობს, **დისოციაციურ ამნეზიას** უწოდებენ. (რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო, 2009: 185)

გახლეჩილი პიროვნება

დისოციაციური იდენტობის აშლილობა (დია), წარსულში ცნობილი შედგენილი პიროვნული აშლილობა, დისოციაციური ფსიქიკური აშლილობაა, როდესაც ერთ ინდივიდში არსებობს ორი ან მეტი ცალკეული პიროვნება. ყოველ მოცემულ მომენტში ერთ-ერთი მათგანი დომინანტურია და ინდივიდის ქცევას წარმართავს. დისოციაციური იდენტობის აშლილობა პოპულარულ ენაზე „გახლეჩილი პიროვნების“ სახელით არის ცნობილი და ხანდახან მას შეცდომით შიზოფრენიასაც უწოდებენ ხოლმე (ამ დროს პიროვნება ხშირად უარესდება, მაგრამ არ იხლიჩება ორად). დისოციაციური იდენტობის აშლილობის შემთხვევაში თითოეული წარმოქმნილი პიროვნება რაიმე მნიშვნელოვანი ნიშნით ორიგინალური მე-ს საპირისპიროა - მათ შორის განსვალს ექნება ადგილი, თუ საწყისი პიროვნება სუსტია და სექსუალურად

მიმზიდველი, მაშინ ერთი პირონება მორცხვი, შებოჭილი იქნება, მეორე კი - მფრთხალი და სექსუალურად გულუბრყვილო. თითოეულ პიროვნებას თავისებურად განუმეორებელი იდენტობა, სახელი და ქცევითი რეპერტუარი აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში ყალიბდება მთელი რიგი სხვადასხვა მახასიათებლებისა, რომელიც პიროვნებას რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან გამკლავებაში ეხმარება.

დია-ს მქონე ქალის „წამყვანი“ პიროვნების ანგარიშიდან

როგორც ტალღები ატრიალებს ოკეანეს შიგნიდან გარეთ და გადააადგილებს წყალს, ისე ყოველი ჩვენგანი ტრიალებს წრეზე, მოდის და მიდის მიქცევასავით და მიედინება ზოგჯერ მშვიდად, ზოგჯერ - მშფოთვარედ. ბავშვი აფერადებს ფლომასტერებით. იგი გვერდზე იწევა და ადგილს ადმინისტრატორს უთმობს, რომელიც ბანკის ანგარიშს ათანხმებს. მცირე ხნის შემდეგ მკვდარი ჩვილი იწევს წინ და უმოძრაოდ წევს იატაკზე. იგი დროებით ასე რჩება, მაგრამ არავის სწყდება გული - ეს მისი დროა. ცოცხალი ჩვილი ხოხავს და ჩერდება მტვერში ამოგანგლული. მზარეული სამი დღის საჭმელს ამზადებს და თითოეულს ცალკე პაკეტში ალაგებს. ჩვენ ყველას სხვადასხვა მიდრეკილებები, მისწრაფებები და ანტიპათიები გვაქვს. შეშინებული „მე“ ხმამაღლა ყვირის, დაჭრილი - კვნესის, მგლოვიარე - მოთქვამს (Semple, D., Smyth, R. (2009).

დიას-ს მსხვერპლი

ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ დისოციაციური აშლილობის მქონე პიროვნების შემადგენელი პიროვნებების განვითარება გადარჩენის არსებით ფუნქციას ემსახურება. დია-ის მსხვერპლი შეიძლება ეცემათ, დაემწყვდიათ, ან მიეტოვებინათ იმ ადამიანებს, ვისაც, სავარაუდოდ, უყვარდა იგი; მათ, ვისზეც იმდენად იყვნენ დამოკიდებულნი, რომ არ შეეძლოთ მათთან შებრძოლება, მათგან წასვლა და მათი შეძულებაც კი. ფსიქოდინამიკური თვალსაზრისის მიხედვით, ეს მსხვერპლები დანაწევრების (დისოციაციის) საშუალებით სიმბოლურად გაექცნენ გადატანილ საშინელებას. უფრო ძლიერი შინაგანი ხასიათების შექმით მათ დაიცვეს თავიანთი ეგო არსებული ტრავმატული სიტუაციისაგან. როგორც წესი, დია-ის მსხვერპლს წარმოადგენენ ქალები, რომლებიც ბავშვობაში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

ფიზიკურად, ან სექსუალურად იქნენ ძალზე შეურაცხყოფილნი მშობლების, ნათესავების, ან ახლო მეგობრების მიერ.

ერთ კვლევაში კითხვარის საშუალებით მოპოვებულ იქნა 448 კლინიკოსის მონაცემი, რომელთაც გამოცდილებაში ჰქონდათ დისოციაციური იდენტობის აშლილობისა და კლინიკური დეპრესიის შემთხვევებზე მუშაობა. დია-ის 335 შემთხვევაში წამყვანი მახასიათებელია შეურაცხყოფა, რომელიც თითქმის ყველასთვის საერთოა და რომელსაც ადგილი აქვს 3 წლის ასაკიდან და ათ წელზე მეტხანს გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ 235 დეპრესიულ პაციენტთანაც აღინიშნებოდა შეურაცხყოფის ხშირი შემთხვევები, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირე იყო დია-ის მქონე ინდივიდთა გამოცდილებსთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები და ზემოთ მოყვანილი პიროვნული ანგარიშები ეჭვგარეშეა, მრავალი ფსიქოლოგი მაინც სკეპტიკურად უყურებს დია-ის დიაგნოზს. არ არსებობს სანდო მონაცემები ამ აშლილობის გავრცელების შესახებ. სკეპტიკოსები ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ თერაპევტებს, ვისაც „სწამთ“ დია-ის არსებობის, შეუძლიათ მისი შექმნა - ეს თერაპევტები თავიანთ პაციენტებთან, ხშირად ჰიპნოტური ზემოქმედებისას, სათანადო კითხვების დასმით ბიძგს აძლევენ შემადგენელი პიროვნებების „წარმოქმას“. სხვა ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ საკმარისი მონაცემები არსებობს დია-ის დიაგნოზის სასარგებლოდ, რომელიც აჩვენებს, რომ ის არ არის მხოლოდ გულმოდგინე თერაპევტების მიერ შექმნილი პროდუქტი. ყველაზე უწყინარი დასკვნა შემდეგი შეიძება იყოს:

დია-ის დიაგნოზის მქონე ადამიანთა ჯგუფში ზოგი შემთხვევა ნამდვილია, ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ზოგიერთი შემთხვევა თერაპევტისგან არის გაჩენილი.

პიროვნების გაორება - ბილი მილიგანის 24 სახესხვაობა

საერთოდ კი პიროვნების გაორება, როგორც ასეთი ფენომენი არის ადამიანის მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია კინემატოგრაფიასა და ლიტერატურაში, თუმცა რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ იშვიათია (ბოლო 90 წლის მანძილზე სულ დაფიქსირებულ იქნა მხოლოდ 200 შემთხვევა).

პიროვნების გაორება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავში მოიცავს ორ ან მეტ პიროვნებას. მეცნიერული თეორიის მიხედვით, ყოველ ჩვენგანში ცხოვრობს არანაკლებ სამი

პიროვნება – ბავშვი, მოზრდილი და მშობელი. ისინი გარკვეული ასაკის მიღწევისას ენაცვლებიან ერთმანეთს თუ, რა თქმა უნდა, არ იქნა დარღვეული განვითარების ჰარმონიული ეტაპები. ჯანმრთელი ადამიანი ვერ ამჩნევს თავის თავში სხვების არსებობას და ადვილად აჰყავს კონტროლის ქვეშ. ასეთი გახლდათ იმდროინდელი ფსიქოლოგიური დოქტრინა. თუ რა დაემართა ბილის კი ამის შესახებ ვერაფერს ამბობდა თავად შტატის საუკეთესო ფსიქოლოგი – ჯორჯ ჰარდინგი.

22 წლის ახალგაზრდის ცნობიერებამ ოცდაოთხი დამოუკიდებელი პიროვნება დაიტია. 1977 წელს ოჰაიოს შტატის საუნივერსიტეტო ქალაქში სამი გოგონა ემსხვერპლა სექსუალურ ძალადობას.

მოძალადე ორი წლით ადრე შეიარაღებული ძარცვისთვის ნასამართლები **ბილი მილიგანი** აღმოჩნდა. დაკავებისას ის უცნაურად იქცეოდა და პოლიციამ ჩათვალა, რომ მართლმსაჯულებისგან თავის დასაღწევად სიმულირებდა ფსიქიკურ აშლილობას, თუმცა, ექსპერტიზამ მილიგანს ჯერ მწვავე შიზოფრენია დაუდგინა, შემდეგ კი მრავლობითი აშლილობა. მილიგანი ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს.

ფსიქოლოგმა, რომელმაც მილიგანს გამოკვლევა ჩაუტარა, მის გონებაში ჩასახლებული არა ერთი, არამედ, სულ მცირე, ათი პიროვნება აღმოაჩინა. ისინი მონაცვლეობით აკონტროლებდნენ მის სხეულს და სწორედ ამით აიხსნებოდა მილიგანის უცნაურობანი - ხმის ცვალებადობა, მიმიკა და გარეგნობაც კი, რადგან როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა პიროვნება, ასაკი და ეროვნება, ხასიათი და ტემპერამენტი, უნარი და ფუნქციაც განსხვავებული ჰქონდა.

ფსიქიატრებმა, რომლებიც მილიგანის ძალადობისკენ მიდრეკილების მიზეზს მის ბავშვობაში ეძებდნენ, დაადგინეს, რომ ბიჭი არასრულფასოვან ოჯახში გაიზარდა. დედამისი დოროთი მილიგანი და ჯონი მორისონი, არ იყვნენ დაქორწინებული, თუმცა ერთად ცხოვრობდნენ. ოჯახის მდგომარეობა მაშინ დამძიმდა, როცა ჯონიმ თვითმკვლელობა სცადა. მართალია, გადარჩა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მორისონმა თავის მოკვლა მხუთავი აირით სცადა და მიზანსაც მიაღწია. ჯონის გარდაცვალების შემდეგ დოროთი სამ შვილთან ერთად სერკვილში დაბრუნდა და ჩალმერ მილიგანი გაიცნო. მილიგანთან ბილის ცხოვრება კოშმარად იქცა. ჩალმერი ნამდვილი სადისტი გამოდგა - რვა წლის გერი ჯერ თოკით შეკრა, შემდეგ კი ფარდულში გააუპატიურა. ჩალმერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ბილის

კი გადატანილი სტრესის ფონზე „ჩაუსახლდნენ" პიროვნებები. თუმცა, მილიგანის ბიოგრაფის, დენიელ კიზის მტკიცებით, უსახელო ბიჭუნა, კრისტინი და შონი ბილის ცხოვრებაში ბევრად ადრე, სამი-ოთხი წლის ასაკში მამის თვითმკვლელობის შემდეგ დაიბადნენ. ასაკის მატებასთან ერთად კი გამრავლდნენ.

1975 წელს აფთიაქის ძარცვისთვის მილიგანი ციხეში მოხვდა, საიდანაც ორ წელიწადში პირობით გათავისუფლდა, მაგრამ 1977 წელს ისევ დაუპატიმრეს და სასამართლო პროცესზეც მოუწია გამოსვლა, სადაც ფსიქიატრებმა მისი პიროვნებების გაერთიანება სცადეს, თუმცა, ძლიერი სტრესის გამო ეგრეთ წოდებული ინტეგრირებული პიროვნება ისევ "დაიშალა". ბილის თვითგანსაზღვრის პრობლემა შეექმნა და საკუთარი სახელის გახსენებაც კი გაუჭირდა. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ბილიმ აღიარა საკუთარ ცნობიერებაში უცნობი პიროვნებების არსებობა, რომელთაგანაც ათი ძირითადი იყო, დანარჩენი კი დათრგუნა და არასასურველად გამოაცხადა. პიროვნებათა კალეიდოსკოპი საოცარი იყო: ინტელექტუალი არტურით დაწყებული და დასრულებული პატარა კრისტინით, რომელმაც ბილის ტორტიც კი გამოუცხო დაბადების დღეზე.

ძნელი იყო ბილის დაკითხვა და ფსიქიატრები იძულებული გახდნენ, არტურისთვის მოეთხოვათ მისი გაღვიძება, რომელმაც იმ პირობით მისცა სპეციალისტებს ბილისთან საუბრის უფლება, თუ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ და სუიციდისკენ მიდრეკილ მილიგანს საკუთარი თავისგან დაიცავდნენ.

არტურ სმიტი - 22 წლის დახვეწილი ინგლისელი ლონდონური აქცენტით, კონსერვატორი, მედიცინით გატაცებული და რამდენიმე დარგის ექსპერტი, რომელმაც დამოუკიდებლად ისწავლა სუაჰილი და არაბული. პირველმა სწორედ მან აღმოაჩინა, რომ მარტო არ არის და ბილის სხეულში მეტისმეტად ბევრმა პიროვნებამ მოიყარა თავი. მანვე შეიმუშავა ქცევის წესები დანარჩენებისთვის და რეიჯენთან გაინაწილა საერთო სხეულზე პასუხისმგებლობა.

რეიჯენ ვადასკოვიჩი - 22 წლის იუგოსლავი მკვეთრად გამოხატული სლავური აქცენტით, წერს და კითხულობს სერბულ-ხორვატულად, რომელიც ბილის არასოდეს უსწავლია. დალტონიკი, ხატავს მხოლოდ მონოქრო-

მულ ნახატებს, ბრწყინვალედ ისვრის და ფლობს აღმოსავლური ორთაბრძოლების ტექნიკას. ფიზიკურად ძლიერი, პასუხს აგებს სხეულის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ქალებს და ბავშვებს თავგამოდებით იცავს, მაშინაც კი, თუ კანონის დარღვევა მოუწევს. ეტანება ალკოჰოლს, უარს არ ამბობს არც ნარკოტიკზე.

ალენი - 18 წლის თაღლითი, „ოჯახის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, ბრწყინვალე ორატორი და მანიპულატორი. ცაცია და თამბაქოს მწეველი, რომელიც სხვებზე ხშირად ურთიერთობს გარე სამყაროსთან.

ტომი - 16 წლის, ჩინებულად ერკვევა მექანიკასა და ელექტრონიკაში. შეუძლია როგორც მექანიკური, ისე ელექტროსაკეტების გაღება, დამოუკიდებლად შეუძლია ხელბორკილის მოხსნა, რაც გააკეთა კიდეც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ხატავს პეიზაჟებს, უკრავს საქსაფონზე.

დენი - 14 წლის შეშინებული ბიჭი. არ ენდობა ადამიანებს, განსაკუთრებით ეშინია მამაკაცების. სწორედ დენი ფლობდა მილიგანის ცნობიერებას, როცა მამინაცვალმა საფლავის ამოთხრა აიძულა და ისე ჩამარხა, რომ მხოლოდ სასუნთქი ხვრელი დაუტოვა. ეშინია მიწის და არასოდეს წვება ბალახზე. ხატავს მხოლოდ ნატურმორტებს.

დეივიდი - 8 წლის ბიჭი. „ტკივილის შემნახველი", რომელიც მხოლოდ სხვისი ტკივილის საკუთარ თავზე მისაღებად ჩნდება. ფსიქიატრების აზრით, დეივიდი მაშინ გაჩნდა, როცა ბილი სექსუალურ ძალადობას განიცდიდა.

ქრისტოფერი - 13 წლის ინგლისელი. უკრავს ჰარმონიკაზე. მისი და, სამი წლის კრისტინი, ერთ-ერთი პირველი იყო მილიგანის მრავალრიცხოვან "ოჯახში," ეგრეთ წოდებული ბავშვი კუთხისთვის, რომელიც სახლშიც და სკოლაშიც სულ კუთხეში იდგა. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით მშვიდად იტანდა დასჯას. „ოჯახისა" და განსაკუთრებით რეიჯენის რჩეული. ბილის ცნობიერების დაუფლებით კრისტინი დედას ეხმარებოდა და ზრუნავდა უმცროს დაზე.

ადალანა - 19 წლის აქტიური ლესბოსელი. აკონტროლებს კვებას და წესრიგს „ოჯახში". წერს ლექსებს. სწორედ ადალანა ფლობდა ბილის ცნობიერებას სტუდენტი გოგონების გაუპატიურებისას, თუმცა, დაპატიმრებამდე მისი არსებობის შესახებ მხოლოდ კრისტინმა და არტურმა იცოდნენ, რომელმაც ადალანა არასასურველ პიროვნებად დაასახელა და სამუდამოდ

აუკრძალა ცნობიერების მართვა. არასასურველ პიროვნებებს შორის განსაკუთრებით საინტერესო მოგზაურობასა და თავგადასავლებზე მეოცნებე 17 წლის ბობი აღმოჩნდა, რომელიც საპატიმროში შიმშილობის გამოცხადების შემდეგ აითვალწუნეს. არასასურველთა ნუსხაში მოხვდა 19 წლის ნიუიორკელი ტრაბახა და თვითმკვლელი მარტინიც, რომელსაც არ ჰქონდა თვითგანვითარების სურვილი. ხუმარა და ლაზღანდარა 20 წლის სტივი კი, რომელსაც ყოველთვის ეხერხებოდა ადამიანების გამხიარულება, რეიჯენმა დაიწუნა, რადგან ციხის უფროსის პაროდიისთვის იზოლატორში მოხვდა და დანარჩენებიც გაიყოლა.

18 წლის სემიუელი - მორწმუნე იუდეველი და მილიგანის ერთადერთი რელიგიური პიროვნება. 22 წლის ავსტრალიელი მონადირე უოლტერი კი ბარბაროსობისთვის დასახელდა არასასურველად, როცა ტყეში უმიზეზოდ მოკლა ყვავი.

მილიგანის თითქმის ყველა პიროვნება განსაკუთრებულ ნიჭს ან უნარს ფლობდა. ამასთან, თითოეული მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ სფეროში ითვლებოდა პროფესიონალად. ყველას ინტელექტის განსხვავებული კოეფიციენტი ჰქონდა და განსხვავებულად აღიქვამდა საკუთარ არსებობას.

მკურნალობის დროს ფსიქიატრებმა მილიგანის ოცდამეოთხე და, ალბათ, უმთავრესი პიროვნება, 26 წლის ეგრეთ წოდებული მასწავლებელი აღმოაჩინეს, რომელიც დანარჩენების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენდა. დახვეწილი იუმორისა და სხარტი გონების მასწავლებელი ერთადერთი იყო, ვინც ბილი მილიგანის რეალურ ისტორიას სრულად მოჰყვა.

ათწლიანი ინტენსიური მკურნალობის შემდეგ, 1988 წელს, ბილის დაშლილი პიროვნება ერთიანად გამოცხადდა. მას ყველა ბრალდება მოეხსნა და ფსიქიატრების მფარველობისგანაც გათავისუფლდა. მილიგანი კალიფორნიაში გადაბარგდა, სადაც კინოსტუდია დააარსა, თუმცა, გაკოტრდა და რადგან ახლობლებს მასთან ურთიერთობა არ სურდათ, დაბინავდა პენსიონერთა სახლში, სადაც 2014 წლის 16 დეკემბერს 59 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა.

ფსიქიატრიაში ამ არაორდინარულმა შემთხვევამ ფართო რეზონანსი გამოიწვია, თუმცა, ყურადღება მიიპყრო არა უცნაურმა მილიგანმა, რომელიც საზოგადოებამ მსხვერპლად აღიარა, არამედ მთელი მისი მრავალრიცხოვანი „ოჯახის" შემქმნელმა ნახატებმა, საოცარმა ნატიურმორტებმა და პეიზაჟებმა,

რომელთაც მართალია, სხვადასხვა, მაგრამ მაინც ერთი ავტორი ჰყავდა. საკუთარი ოთახის კედლებს ბილი ხან ულამაზესი ფრესკებით ამშვენებდა, ხანაც მათემატიკური ფორმულებით აჭრელებდა. მილიგანის ფენომენი დღეს-აც ამოუხსნელია, თუმცა, ნათელია, რომ არაჩვეულებრივი ინტელექტისა და შესაძლებლობების პატრონი იყო, რაც უპირველესად მის ნახატებში აისახა.

გამოყენებული მასალა:

1) რიჩარდ გერიგი და ფილიპ ზიმბარდო, "ფსიქოლოგია და ცხოვრება", თსუ-ს გამომცემლობა, 2009;

2) კვირის პალიტრა, (20 აგვისტო, 2017), პირველი და ერთადერთი შემთხვევა ფსიქიატრიის ისტორიაში, მოძიებულია მარტი, 2018, https://www.kvirispalitra.ge/public/36276-pirveli-da-erthaderthi-shemthkhveva-fsiqiatriis-istoriashi.html.

Gorgadze Khatia

Dissociative Disorders

Abstract

The work observes one of the most interesting and rare mental pathologies, such as Dissociative Identity Disorder, which is also known as Split Personality. The author, relying on various scientific sources, has described, characterized and analyzed such issues as DID or “Split Personality”, its signs and possible causes, the “core” personality during Dissociative Identity Disorder, etc. The author has also described the first and the only case in the history of psychiatry (Billy Milligan’s 24 alternate personalities) that always causes great interest in public. The work focuses on the in-depth study of the Dissociative Identity Disorder and the importance of public awareness on the issues related to this disorder.

ელექტროდიალიზი - რძის შრატის გადამუშავების პერსპექტიული მეთოდია

ქეთევან ღლონტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“, III კურსი.

ელ.ფოსტა: keti.ghlonti@gmail.com

ხელმძღვანელი: ქიმიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი ირინა ბეჟანიძე.

აბსტრაქტი

რძე და რძეპროდუქტების წარმოება ყოველწლიურად მატულობს, შესაბამისად იზრდება გამოუყენებელი, კანალიზაციაში გადაღვრილი შრატის რაოდენობა, უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, ქვეითდება ქარხნების რენტაბელურობა, აუცილებელი ხდება შრატის გადამუშავება და მეორადი გამოყენება. სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენდა რძის შრატის მინერალური შემადგენლობის კორექცია და უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება მემბრანული მეთოდების გამოყენებით. ნაშრომში განხილულია ყველის და ხაჭოს შრატი და აგრეთვე მათი ნარევის გადამუშავება: კონცენტრატის მიღება ულტრაფილტრაციით და მისი შემდგომი კონცენტრირება - გაუმარილება ელექტროდიალიზით. დადგენილია შრატის ულტრაფილტრაციული პროცესის კანონზომიერებები და ტექნოლოგიური პარამეტრები: წნევა - 1,8 მპა, წნევის გაზრდით პროცესის მწარმოებლურობა იზრდება, ყველის შრატის დემინერალიზაცია აღწევს 35%, ხაჭოს - 28%, მშრალი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდით 6-18%-მდე, მცირდება 6,5-ჯერ. ყველის შრატის დაკონცენტრირება ულტრაფილტრაციით შესაძლებელია 12, ხაჭოს - 10-ჯერ. დადგენილია შრატის ელექტროდიალიზური დამუშავების კანონზომიერებები და პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები: დენის სიმკვრივე მცირდება მკვეთრად, დილუატის და კონცენტრატის pH - უმნიშვნელოდ: დენის ძალის გაზრდით pH იზრდება; კონცენტრატი მდიდარია ღირებული პროდუქტებით: ლაქტოზითა და ცილებით, მიღებული დემინერალიზებული მშრალი შრატი - საუკეთესო ნახევარფაბრიკატია კვების მრეწველობისათვის.

შემუშავდა შრატის უნარჩენო ურეაგენტო გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა ულტრაფილტრაცია - ელექტროდიალიზი: მიიღება 90%-მდე დემინერალიზებული პროდუქტი, კონცენტრირებული შრატი და მარილების კონცენტრატი, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენოს დამატებითი დამუშავების გარეშე; მინერალიზირებული მარილების კონცენტრატი - მიკროსასუქის სახით. ჩატარებული სამუშაოს შედეგების გამოყენებით შეიქმნება რძის გადამუშავების უნარჩენო ციკლი, გადაწყდება ეკოლოგიური და საწარმოო პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ყველის და ხაჭოს შრატი, ელექტროდიალიზი, ულტრაფილტრაცია, დილუატი, კონცენტრატი.

შესავალი

რძე და რძეპროდუქტები მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტებია. ყოველწლიურად საქართველოში იწარმოება 80 000 ტონა ყველი, ხაჭო და სხვა რძის პროდუქტები. წარმოების პროცესში წარმოქმნილი შრატი იღვრება კანალიზაციაში, რის შედეგად ირღვევა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა. გადაღვრილი შრატის 1 ტონა უტოლდება 100$მ^3$ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით დაბინძურებას [1,2]. ყველაზე დიდი რაოდენობით ნარჩენები წარმოიქმნება მშრალი რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავების შედეგად. რძის წარმოებისას წარმოქმნილი ჩამონარეცხი წყლები აბინძურებენ წყალსატევებს, შეიცავენ დიდი რაოდენობით ორგანულ ნივთიერებებს: რძის მყარ ნაწილაკებს, შრატს, რძის წარმოების თანაურ პროდუქტებს, რაც დიდ გავლენას ახდენს წყლის ორგანოლეპტიკურ თვისებებზე: იცვლება წყლის სუნი, გემო და ქიმიური შედგენილობა: მჟავიანობა და ჟანგბადის შემცველობა. რძის ბაზარი მაღალ კონკურენტუნარიანია, ხოლო თვით რძე - დაბალ მომგებიანი პროდუქტია [3], ამიტომ რძის მრეწველობაში 50%-მდე რძე გამოიყენება ყველის, ხაჭოს და კაზეინის მისაღებად, ძალიან სწრაფად მატულობს კარაქის, ყველისა და ხაჭოს წარმოების მოცულობა, შესაბამისად, იზრდება ნარჩენის - შრატის რაოდენობა და აუცილებელი ხდება, ეკონომიური და ეკოლოგიური თვალსაზრისით, მისი გადამუშავება და მეორადი გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს რძის შრატის მინერალური შემადგენლობის კორექცია ელექტრომემბრანული მეთოდით - ელექტროდიალიზით.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

რძეპროდუქტების წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანაური პროდუქტია - რძის შრატი. შრატის შედგენილობა და თვისებები დამოკიდებულია მთავარი პროდუქტის - რძის ხარისხზე, მიღების ტექნოლოგიაზე და აგრეთვე გამოყენებული დანადგარების სახეობაზე. რძის შრატს აქვს მაღალი ბიოლოგიური ღირებულება, ის შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს: ლაქტოზას, ცილებს, ფოსფოლიპიდებს, მინერალებსა და ვიტამინებს. შრატი დიდი რაოდენობით მიიღება და აუცილებელია მისი რაციონალური და ეფექტური გამოყენება, რათა გაიზარდოს წარმოების რენტაბილურობა და შესაბამისად მოგება. გარდა ამისა, რძის შრატის გადამუშავების სწორად შერჩეული სქემა უზრუნველყოფს ეკოლოგიური და ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტას [4]. ამჟამად, უმეტესად გამოიყენება ხაჭოს შრატი, რომელსაც აქვს მაღალი მჟავიანობა, მარილების და რძემჟავას მაღალი შემცველობა, რის გამოც ის უმეტესად გამოიყენება შრატის სასმელების წარმოებაში. მჟავიანობას ამცირებენ კალციუმის ან ნატრიუმის ჰიდროქსიდების დამატებით ანუ ატარებენ რეაგენტულ ნეიტრალიზაციას. ამ ოპერაციით მიღებულ პროდუქტს აქვს ნარჩენი მაღალი მჟავიანობა და არადამაკმაყოფილებელი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. აქედან გამომდინარე, შრატი საჭიროებს წინასწარ მომზადებას, რათა მოხდეს მისი გადამუშავება საკვებ პროდუქტებად [5].

შრატის წინასწარი მომზადება საწარმოო გადამუშავებისადმი - პერსპექტიული მიმართულებაა, და ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ბარო და ელექტრომემბრანული ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, ამ მიზნით იყენებენ ნანოფილტრაციას, უკუოსმოსსა და ელექტროდიალიზს. მჟავიანობის რეგულირებისათვის ამ პროცესებიდან უპირატესობა ენიჭება ელექტრომემბრანულ - ელექტროდიალიზის პროცეს [6].

ელექტროდიალიზი - ელექტროველში იონების გადატანის პროცესია, კერძოდ, იონები გადაიტანება ერთი ხსნარიდან მეორეში, მემბრანების გავლით. წყალხსნარებში მარილები დისოცირებენ იონებად და ისინი მიმართულად მოძრაობენ: კათიონმიმოცვლითი მემბრანები ატარებენ კათიონებს

და ისინი მოძრაობენ კათოდისაკენ, ანიონები მოძრაობენ ანოდისაკენ, ანიონ-მიმოცვლითი მემბრანების გავლით. ანიონებს აჩერებს კათიონმიმოცვლითი, ხოლო კათიონებს - ანიონმიმოცვლითი მემბრანები. იონების დაყოფას განაპირობებს იონმიმოცვლითი მემბრანების ამორჩევითი სელექტიურობა ხსნარის ცალკეული კომპონენტების მიმართ. ელექტროდიალიზში მონაწილეობენ მხოლოდ ის ნივთიერებები, რომლებიც დისოცირებენ იონებზე ან წარმოქმნიან დამუხტულ კომპლექსებს, არადისოცირებადი ნივთიერებების - ლაქტოზა, საქაროზას მოლეკულები გახსნისას არ იმუხტება და შესაბამისად ელექტროდიალიზურ პროცესში არ მონაწილეობენ და გროვდებიან დილუატში [7,8].

II. ექსპერიმენტული ნაწილი

2.1 კვლევის ობიექტები და მეთოდები.

კვლევა წარმოებდა ყველის და ხაჭოს შრატზე. კვლევა მიმდინარეობდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდებოდა შრატის წინასწარი მომზადება ელექტროდიალიზისადმი - დაკონცენტრირება ულტრაფილტრაციით, შემდგომ ეტაპზე - დაკონცენტრირებული შრატის ელექტროდიალიზი. პირველ ეტაპზე შრატის დაკონცენტრირება ტარდებოდა მემბრანული მეთოდით - ულტრაფილტრაციით, *УПЛ-06* დანადგარზე *(ნახ.2.1)* დინამიურ რეჟიმში, ულტრაფილტრაციული გამყოფი აპარატის *АР-2.0 (ნახ.2.2)* გამოყენებით. ისაზღვრებოდა პროცესის მწარმოებლურობის დამოკიდებულება ტექნოლოგიურ პარამეტრებზე: წნევაზე და ფილტრაციის დროზე, შრატის სახეობაზე. ამ პროცესით მიიღებოდა ყველის და ხაჭოს შრატის *კონცენტრატი* და *პერმეატი* (გაფილტრული შრატი).მიღებულ პროდუქტებში ისაზღვრებოდა: მჟავიანობა ტერნერის გრადუსებში, pH, ცილები, ზოგადი შაქრები და რძის შაქარი - ლაქტოზა, ცხიმები, სიმკვრივე და მშრალი ნივთიერებების რაოდენობა, თერმომდგრადობა გაცხელებისადმი.



ნახ. 2.1 ულტრაფილტრაციული პროცესის ტექნოლოგიური სქემა: 1. საწყისი ტევადობა; 2. ტუმბო; 3. მექანიკური ფილტრი; 4.გამყოფი აპარატი AP- 2.0 ღრუ ბოჭკოებით; 6. ონკანები;7. მანომეტრი; 8. პერმეატის ტევადობა. ნახ. 2.2 ულტრაფილტრაციული მემბრანა - ღრუ ბოჭკოები ВПУ-15ПА.

ულტრაფილტრაციის პროცესის შედეგად დაკონცენტრირებული შრატი მიეწოდებოდა ელექტროდიალიზურ დანადგარს, რომელიც შედგებოდა 14 კამერისგან (ნახ. 2.3). გაუმარილების კამერებში მიიღებოდა დილუატი, რომელიც წარმოადგენს კონცენტრირებულ შრატს, ხოლო დაკონცენტრირების კამერაში მიიღებოდა მარილების კონცენტრატი. პროცესის მსვლელობისას ფიქსირდებოდა დენის ძალა და pH-ის ცვლილება ანუ პარამეტრები, რომლებიც მიუთითებენ ელექტროდიალიზური პროცესის ეფექტურობაზე.



ნახ. 2.3 ელექტროდიალიზური პროცესის ტექნოლოგიური სქემა.

2.2 მიღებული შედეგები და მათი განხილვა

პირველ ეტაპზე ტარდებოდა შრატის დაკონცენტრირება ულტრაფილ-ტრაციით.

დადგენილია შრატის წინასწარი დამუშავების ულტრაფილტრაციული პროცესის კანონზომიერებები და ტექნოლოგიური პარამეტრები: წნევა 1,8 მგპ, ყველის შრატის დაკონცენტრირება - 21,2%, ხაჭოს შრატი - 18,8%-მდე. *მიღებულია,* რომ ულტრაფილტრაციის პროცესის მწარმოებლურობა დამოკიდებულია წნევაზე, კერძოდ: წნევის გაზრდით პროცესის მწარმოებლურობა იზრდება *(ნახ.2.4).*

მიღებულია: ულტრაფილტრაციის პროცესში ყველის შრატის დემინერალიზაცია აღწევს 35%, ხაჭოს შრატის კი - 28%-ს; ულტრაფილტრაციული პროცესის მწარმოებლურობა მცირდება 50 %-ით, საწყისთან შედარებით, კერძოდ, ძირითადად მწარმოებლურობის დაქვეითება ხდება მუშაობის პირველ 11 წუთში.

დადგენილია, რომ მწარმოებლურობა დამოკიდებულია ნედლეულში მშრალი ნივთიერებების რაოდენობაზე: მათი კონცენტრაციის გაზრდით 6-18% - მდე, მწარმოებლურობა მცირდება 6,5 ჯერ.

დადგენილია: ყველის შრატის დაკონცენტრირება ულტრაფილტრაციით შესაძლებელია 12-ჯერ, ხაჭოს - 10-ჯერ.



ნახ.2.4 ხაჭოს შრატის ულტრაფილტრაციის პროცესის მწარმოებლურობის (W) დამოკიდებულება წნევაზე (P)

დაკონცენტრირებული შრატი მიეწოდებოდა ელექტროდიალიზურ დანადგარს. *შეისწავლებოდა* ყველის და ხაჭოს შრატის ელექტროდიალიზური

დამუშავების კანონზომიერებები და პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები (*ნახ.2.5 – 2.10)* .

მიღებულია: პროცესის მსვლელობისას, დენის სიმკვრივე მცირდება მკვეთრად, დილუატის და კონცენტრატის pH - უმნიშვნელოდ.





დადგენილია დილუატის და კონცენტრატის pH დამოკიდებულება დენის ძალაზე: დენის ძალის გაზრდით pH იზრდება; დამოკიდებულია შრატის სახეობაზე, კერძოდ, ყველაზე მაღალი და დაბალი pH ჰქონდა ყველის შრატის დილუატსა და კონცენტრატს *(ნახ.2.7).*

დადგენილია: შრატის ნარევის დაკონცენტრირება ულტრაფილტრაციის ერთი ციკლით, ზრდის ელექტროდიალიზური დანადგარის მწარმოებლურობას 5-7-ჯერ.

მიღებულია: ელექტროდიალიზის ყოველ შემდგომ საფეხურზე მწარმოებლურობა 2-ჯერ მცირდება, კერძოდ, ხაჭოს პროცესის მწარმოებლურობა 2-ჯერ უფრო ჩქარა ქვეითდება, ვიდრე ყველის. ნედლეულში და მიღებულ კონცენტრატსა და დილუატში ჩატარდა ქიმიური ანალიზი *(ნახ. 2.8-2.10). დადგენილია,* რომ კონცენტრატი მდიდარია ღირებული პროდუქტებით:

ლაქტოზითა და ცილებით, მიღებული დემინერალიზებული მშრალი შრატი კი - საუკეთესო ნახევარფაბრიკატია კვების მრეწველობისათვის.









დასკვნა:

➢ დამუშავებული ტექნოლოგიური სქემა ულტრაფილტრაცია-ელექტროდიალიზი გვაძლევს საშუალებას გადავამუშავოთ შრატი და მივიღოთ 90%-მდე დემინერალიზებული პროდუქტი.

➢ შრატის ელექტროდიალიზი - უნარჩენო, ურეაგენტო პროცესია და ამ პროცესში მიღებული კონცენტრირებული შრატი და მარილების კონცენტრატი შესაძლებელია გამოიყენოს დამატებითი დამუშავების გარეშე.

➢ ელექტროდიალიზით მიღებული შრატის გამოშრობით შესაძლებელია მშრალი ფხვნილის და კრისტალური ლაქტოზის მიღება, რომელიც შემდგომ გამოიყენება კვების მრეწველობაში, მინერალიზირებული მარილების კონ-ცენტრატი კი - როგორც მიკროსასუქი.

ჩატარებული სამუშაოს შედეგების გამოყენებით შეიქმნება რძის გადა-მუშავების უნარჩენო ციკლი, გადაწყდება ეკოლოგიური და საწარმოო პრობ-ლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Огнева О. А., Пономаренко Л. В., Коваленко М. П. Мембранные методы переработки молочной сыворотки // Молодой ученый. — 2015. №15. С. 140-144.

2. Технология продуктов из вторичного молочного сырья / А.Г. Храмцов, С.В. Василисин, С.А. Рябцева, Т.С. Воротникова. – СПб.: Гиорд, 2009. – 424 с.

3. Храмцов А.Г., Василисин С.В. Промышленная переработка вторичного молочного сырья. – М.: Де Ли принт, 2003. – 98 с.

4. Берговин А.М. Мембранная фильтрация в молочной отрасли // Переработка молока. – 2009. – № 10. – С.28-30

5. Володин Д. Н. Ультрафильтрация молока – минимум усилий, максимум возможностей / Д.Н. Володин, М. В. Головкина, Г. С. Анисимов и др. // Переработка молока. – 2012. – № 7. – С. 48.

6. Вотинцев Ю.П. Ультрафильтрация в производстве функционального творож-ного продукта / Ю.П. Вотинцев, // Переработка молока. – 2014. – № 7. – С. 28–29.

7. Гаврилов, Г. Б. Современные аспекты переработки молочной сыворотки мембранными методами / Г.Б. Гаврилов. – Кемерово: Кузбассвузиздат, 2004. – 160 с.

8. Гаврилов, Г.Б. Справочник по переработке молочной сыворотки. Технологии, процессы и аппараты, мембранное оборудование / Г.Б. Гаврилов, А.Ю. Просеков, Э.Ф. Кравченк, Б.Г. Гаврилов. – СПб: ИД Профессия, 2015. – 176 с.

Glonti Ketevan

Electrodialysis is a Perspective Method of Milk Serum Processing

Abstract

The production of milk and dairy products is increasing every year, the amount of whey, which is not used and poured into the sewer system is growing, the ecological situation is deteriorating, the profitability of the factories is decreasing, which causes the necessity of whey processing and its secondary use. The possibility of processing cheese and curd whey, as well as their mixtures, was considered in the work: the concentration was carried out by the method of ultrafiltration and desalting by electrodialysis.

It is established: the working pressure is 1.8 MPa, concentration of cheese whey is possible by 12 times, and curd cheese – by 10, the current density decreases sharply, and the pH of the diluent and concentrate is insignificant; the concentrate is enriched with lactose and proteins, the obtained demineralized dry whey is an excellent semi-finished product for the food industry .

A wasteless and reagentless technological scheme of ultrafiltration-electrodialysis of whey processing was developed: up to 90% demineralized product, concentrated whey and salt concentrate, which can be used without preliminary treatment, are obtained mineralized salt concentrate - as microfertilizer. As a result of the conducted work, a waste-free cycle of milk processing will be created, and environmental and production problems will be solved.

Key Words: cheese and curd whey, electrodialysis, ultrafiltration, diluate, concentrate.

კორკონდანტობა და დისკორკონდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში

მარიამ სიხარულიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი მე-4 კურსი

ელფოსტა : mariami.sixarulidze1995@mail.ru

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა ნაგერვაძე,

ბიოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ადამიანში კვლევის გარკვეული შეზღუდვების გამო გენეტიკურ ანალიზს ახდენენ გენიალოგიური, ტყუპთა, პოპულაციური, ციტოგენეტიკური, იმუნური, ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური, ონტოგენეზური, სომატურ უჯრედთა ჰიბრიდიზაციისა და სხვა მეთოდებით. ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა კორკონდანტობა და დისკორკონდანტობა მონოზიგოტურ და დიზიგოტურ ტყუპებში. მიზნიდან გამომდინარე ხუთ იდენტურ და ხუთ არაიდენტურ წყვილში ანკეტირებით მოვახდინეთ რაოდენობრივი და თვისობრივი ნიშნების ანალიზი. თვისობრივ ნიშნებად ავიღეთ ზოგიერთი მონოგენური მემკვიდრეობის მქონე ნიშნები, ხოლო რაოდენობრივ ნიშნებად ავიღეთ სხეულის სიმაღლე და წონა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ავღნიშნოთ რომ თვისობრივი ნიშნების დიდი უმრავლესობა მცირე გამონაკლისით 100%–იანი კორკონდანტობითაა წარმოდგენილი იდენტურ ტყუპებში. რაც შეეხება რაოდენობრივ ნიშნებს იდენტურ ტყუპებშიც ორივე ნიშნის მიხედვით მხოლოდ 20% –იანი კორკონდანტობა დაფიქსირდა. არაიდენტურ ტყუპებში ნიშან–თვისებების კორკონდანტობისა და დისკორკონდანტობის განსხვავებული პროცენტული მაჩვენებელია წარმოდგენილი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შესაძლებელია ვთქვათ რომ იდენტურ ტყუპებში თვისობრივი ნიშნები უფრო ნაკლებად ექვემდებარება გარემოს ზემოქმედებას, ვიდრე რაოდენობრივი ნიშნები. ხოლო იდენტურ ტყუპებში წარმოდგენილი ვარიაციები მეტყველებს მათ განსხვავებულ გენეტიკურ კომბინაციებზე.

შესავალი

თემის აქტუალობა. ტყუპები შესაძლოა ფენომენად ჩაითვალოს. მათი დაბადება სტატისტიკას არ ექვემდებარება, თუმცა, მონაცემების თანახმად დღეს 2,5-ჯერ მეტი ტყუპი იბადება, ვიდრე 40 წლის წინ. ბევრი რამ იმისგან, რაც მათ იციან, მეცნიერებისთვის ჯერ-ჯერობით ამოუხსნელია. დღეს მსოფლიოში 76 მილიონ წყვილ ტყუპს ითვლიან. ამასთან, იაპონიაში ყოველ 246-ე მაცხოვრებელს ტყუპისცალი ჰყავს, აშშ-ში კი – ყოველ 244-ს. ყველაზე მეტი ტყუპი შოტლანდიის ერთ-ერთ კუნძულზე 1985 წლის ივნისში დათვალეს – 36 ტყუპი ასაკით 2-დან 82 წლამდე (4). ადამიანის გენეტიკაში იყენებენ კლასიკურ (ტრადიციულ) და უახლეს მეთოდებს. ადამიანის გენეტიკური შესწავლა რამდენადმე გაძნელებულია შემდეგ გარემოებათა გამო: 1. შეუძლებელია გენეტიკური ანალიზისათვის საჭირო მიზანმიმართული შეჯვარებების ჩატარება; 2.დაუშვებელია მუტაციის ექსპერიმენტული ინდუცირება; 3. სქესობრივად გვიან მომწიფების გამო თაობათა მონაცვლეობა ხანგრძლივია. მშობლებსა და შვილებს შორის შუალედი საშუალოდ 20-25 წელია; 4. შთამომავლობა მცირერიცხოვანია. ცოლქმარს საშუალოდ 2-3 შვილი ჰყავთ; 5. შეუძლებელია სხვადასხვა ოჯახში შთამომავალთა განვითარების ერთნაირი და კონტროლირებადი პირობები შეიქმნას; 6. აქვს შედარებით მრავალრიცხოვანი (2n=46) ქრომოსომები. ადამიანში გენეტიკურ ანალიზს ახდენენ გენიალოგიური, ტყუპთა, პოპულაციური, ციტოგენეტიკური, იმუნური, ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური, ონტოგენეზური, სომატურ უჯრედთა ჰიბრიდიზაციისა და სხვა მეთოდებით (1, 3).

მიზანი. მონოზიგოტურ და დიზიგოტურ ტყუპებში სხვადასხვა მემკვიდრულ ნიშანთა კორკონდანტობა და დისკორკონდანტობის შესწავლა.

ამოცანები. მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. ადამიანის მონოგენური ნიშნების შერჩევა;
2. ადამიანის რაოდენობრივი ნიშნების შერჩევა;
3. სპეციალური ანკეტა კითხვარის შედგენა;
4. იდენტური და არაიდენტური ტყეპების მოძიება;
5. ტყუპებისაგან თანხმობის მიღება და მათი ხელწერის დაფიქსირება;
6. გამოკითხის შესაბამისად ანკეტა–კითხვარის შევსება.

საკვლევი საგანი. ხუთი იდენტური და ხუთი არაიდენტური წყვილის ანკეტური გამოკითხვის მონაცემები.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი: კვლევისას გამოყენებული იქნა ტყუპები, გენეალოგიური და ბიოსტატისტიკური მეთოდები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარ-ტამენტის იმუნოგენეტიკის ლაბორატორია. საინფორმაციო რესურსებად გამოყენებული იქნა დარგის ძირითადი სახელმძღვანელოები და ინტერ-ნეტ მასალა.

თემის ძირითადი ნაწილი:

თავი I. ადამიანის გენეტიკის თავისებურება და კვლევის მეთოდები

ადამიანის გენეტიკაში იყენებენ კლასიკურ (ტრადიციულ) და უახლეს მეთოდებს.

ადამიანის გენეტიკური შესწავლა რამდენადმე გაძნელებულია შემდეგ გარემოებათა გამო: 1. შეუძლებელია გენეტიკური ანალიზისათვის საჭირო მიზანმიმართული შეჯვარებების ჩატარება; 2.დაუშვებელია მუტაციის ექსპე-რიმენტული ინდუცირება; 3. სქესობრივად გვიან მომწიფების გამო თაობათა მონაცვლეობა ხანგრძლივია. მშობლებსა და შვილებს შორის შუალედი საშუალოდ 20-25 წელია; 4. შთამომავლობა მცირერიცხოვანია. ცოლ-ქმარს საშუალოდ 2-3 შვილი ჰყავთ; 5. შეუძლებელია სხვადასხვა ოჯახში შთამო-მავალთა განვითარების ერთნაირი და კონტროლირებადი პირობები შეიქმ-ნას; 6. აქვს შედარებით მრავალრიცხოვანი **(2n=46)** ქრომოსომები .

ადამიანში გენეტიკურ ანალიზს ახდენენ გენიალოგიური, ტყუპთა, პოპულაციური, ციტოგენეტიკური, იმუნური, ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური, ონტოგენეზური, სომატურ უჯრედთა ჰიბრიდიზაციისა და სხვა მეთოდებით (1).

გენიალოგიური მეთოდი. ადამიანის გენეტიკურ კვლევაში, ექსპერიმენ-ტული გენეტიკის სხვადასხვა დარგებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია და იმავდროულად, მიუღებელია ჰიბრიდოლოგიური მეთოდის გამოყენება. აღნიშნული მეთოდის ერთგვარი ნაირსახეობა-გენიალოგიური (საგვარტომო ნუსხის შედგენა) მეთოდი გამოიყენება. იგი პირველად გალტონმა შეიმუშავა და დანერგა ადამიანის გენეტიკაში. გენიალოგიური მეთოდით შესასწავლი

ნიშნის მემკვიდრეობით ხასიათს შეისწავლიან ოჯახური მონაცემების საფუ-ძველზე. ამ მეთოდში პირობითად ორ ეტაპს არჩევენ - საგვარტომო ნუსხის შედგენასა და გენეალოგიურ ანალიზს. საგვარტომო ნუსხის შედგენისას გამოიყენება საყოველთაოდ მიღებული, სპეციალური სიმბოლოები (სურ1).

სურათი 1. საგვარტომო ნუსხის შედგენისას გამოყენებული სიმბოლოები.

გენეალოგიური მეთოდით შესაძლებელია თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა. კერძოდ: 1.მემკვიდრეობის ხასიათის დადგენა (მონოგენურია თუ პოლიგენური); 2. მემკვიდრეობის ტიპის განსაზღვრა (აუტოსომურ-რეცესიული ან დომინანტური; სასქესო ქრომოსომებში ლოკალიზებული: X-შეჭიდული-რეცესიული ან დომინანტური; Y-შეჭიდული).



სურათი 2. საგვარტომო ნუსხა.

ტყუპთა მეთოდი. გენეტიკური ანალიზის მეთოდთა შორის იგი უძველესია. ადამიანის გენეტიკაში პირველად ფ. გალტონმა შემოიტანა და მას მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაუკარგავს. ამ მეთოდით ფენოტიპის ჩამოყალიბებაზე (გენოტიპის ფენოტიპური რეალიზაციის პროცესი) გარემო ფაქტორების (ეკოლოგიური, სოციალური) როლს საზღვრავენ, ასევე იყენებენ ფენოტიპური ცვალებადობისა და რეაქციის ნორმის შესასწავლად. ადამიანთა ტყუპები განსხვავებული წარმოშობისაა. არჩევენ მონოზიგოტურ (ვითარდებიან ერთი კვერცხუჯრედიდან) და დიზიგოტურ (ვითარდებიან სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან) ტყუპებს. ყოველი 100 ახალშობილიდან 10 ტყუპია, მათ შორის 25% მონოზიგოტურია. ზოგჯერ ზიგოტის დანაწევრების სხვადასხვა სტადიაზე ბლასტომერები ერთმანეთს სცილდებიან და დასაბამს აძლევენ ორ, იშვიათად მეტ ემბრიონს. ასეთ ტყუპებს იდენტური გენოტიპები აქვთ. ისინი

ერთი სქესისანი არიან და ფენოტიპურად ძლიერ გვანან ერთმანეთს. მონოზიგოტურ ტყუპებს შორის განსხვავება გარემო პირობებითაა გამოწვეული.

დერმატოგლიფიკის მეთოდი. თითის ბალიშებზე ასევე, ხელსა და ფეხის გულზე განვითარებული ეპიდერმისის წანაზარდები სპეციფიკურ ხაზებს ქმნიან, რომელნიც მკაცრად დეტერმინირებული და ინდივიდუალური ნიშანია. მას შეისწავლის დარგი - დერმატოგლიფიკა. დედამიწაზე არ მოიძებნებიან ისეთ ადამიანები, კანის ერთნაირი მოხაზულობა რომ აღენიშნებოდეთ. კანის რელიეფის განვითარებას პოლიმერული გენები განსაზღვრავს.

***თავი II*. რეგულაციური განვითარება და ტყუპების წარმოშობა**

ადრეული განვითარება რომ რეგულირებადი პროცესია, ეს ნაჩვენებია ემბრიოლოგიური ექსპერიმენტებით და დადასტურებულია კლინიკური გამოკვლევებით. იდენტური (მონოზიგოტური) ტყუპები წარმოადგენენ იმის ექსპერიმენტულ დადასტურებას, რომ ადრეულლი განვითარება ბუნებრივად რეგულირდება. იდნეტური ტყუპების ყველაზე გავრცელებული ტიპი წარმოიშობა განვითარების პირველი კვირის მეორე ნახევარში. როდესაც ხდება შიდა უჯრედული მასის შუაზე გაყოფა („გახლეჩა'') და თითოეული ნახევარი იწყებს განვითარებას ნორმალური ნაყოფის ჩამოსაყალიბებლად. ამ სტადიაში ემბრიონი ნაწილობრივ მაინც რომ რეგულირდებოდეს მოზაიკური განვითარების პრინციპით, ტყუპები მხოლოდ ნაწილობრივ განვითარდებოდნენ და ექნებოდათ კომპლემენტარული ნაწილები; მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ტიპური შემთხვევა, რადგან ტყუპები ძირითადად სრულიად ნორმალური განვითარების ინდივიდები არიან და საბოლოოდ, პრენატალური და პოსტნატარული ზრდის შედეგად აღწევენ ნორმალურ ზომებს. მონოზიგოტური ტყუპების სხვადასხვა ფორმა ვლინდება რეგულაციური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. დიქორიონული ტყუპები ვითარდებიან ოთხ უჯრედიანი ჩანასახის შუაზე გაყოფის შედეგად. მონოქორიანული ტყუპები ვითარდებიან შიდა უჯრედული მასის გაყოფით. მონოამნიონური ტყუპები კიდევ უფრო გვიანდელი გაყოფის შედეგია; ამ შემთხვევაში შუაზე გაყოფა ხდება ორშრიან ჩანასახში რომელიც შემდგომში წარმოქმნის ორ დაცალკავებულ ემბრიონს, მაგრამ მხოლოდ ერთ ექსტრაემბრიონულ (არაჩანასახოვან) კომპარტმენტს, საიდანაც მოგვიანებით ერთი ამნიონი ყალიბდება. ტყუპების ყველა განხილული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ამ უჯრედულ პოპულაციებს შეუძლია

საკუთარი განვითარების რეპროგრამირება სრულყოფილი ემბრიონის ფორ-მირებისთვის იმ უჯრედებისაგან, რომელთაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი გაყოფა არ მოხდა უნარი შესწევთ მონაწილეობა მიიღონ ემბრიონის მხოლოდ ნაწილის ფორმირებაში (2).

მიღებული შედეგები: მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრი-ლების სახით (ცხრილი 1 და 2). განვიხილეთ ზოგიერთი ნიშნის კორკონ-დანტობა და დისკორკონდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ნიშნებზე, სადაც გამოიკ-ვეთა მკვეთრი განსხვავება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (სურათი 3) ჩანს ენის უკან გადახრის მიხედვით იდენტურ ტყუპებში 80%-იანი კორკონდან-ტობა, მაშინ როცა არაიდენტურში ეს რიცხვი ბევრად დაბალია და 60%-ს უტოლდება.

ადამიანის ზოგიერთი ნიშნის კორკონდანტობა იდენტურ ტყუპებში ცხრილი#1

№1	თვალის ფერი	თვალის ჭრილი	მხედველობა	თვალების ზომა	ცხვირის ფორმა	ნესტოები	ყურის ბიბილო	ყურის ფორმა	ლოყის ღრმული	სახის ფორმა	თავის ფორმა
1	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
2	თაფლისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
	თაფლისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
3	ცისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	კეხიანი	ვიწრო	შეზრდილი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
	ცისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	კეხიანი	ვიწრო	შეზრდილი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
4	ცისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
	ცისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
5	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ფართო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ფართო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
% K	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%
% D	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%

№1	ქვედა ტუჩი	თმის გათეთრება	ენის მილისებრი ჩაზნექვა	ენის უკან გადახრის უნარი	ჭორფლიანობა	წამწამი	ხელის ხმარება	თითების ზომა	სიმაღლე	წონა	სისხლის ჯგუფი	გადატანილი ინფექციური დაავადებები	სქესი
1	მსხვილი	ნაადრევი	არ არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,65სმ	65კგ	A (II) RH+	წითელა	მამრობითი
	მსხვილი	ნაადრევი	არ არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,69სმ	65კგ	A (II) RH+	წითელა	მამრობითი
2	მსხვილი	ნორმალური	არის	არის	არ არის	მოკლე	ცაცია	ნორმალური	1,62სმ	60კგ	A (II) RH+	არ არის	მდედრობითი
	მსხვილი	ნორმალური	არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,62სმ	57კგ	A (II) RH+	არ არის	მდედრობითი
3	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არ არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,66სმ	70კგ	O(I)RH+	წითელა, ჩუტყვავილა	მდედრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არ არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,66სმ	65კგ	O(I)RH+	წითელა, ჩუტყვავილა	მდედრობითი
4	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,56სმ	50კგ	A (II) RH+	არ არის	მდედრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,58სმ	52კგ	A (II) RH+	არ არის	მდედრობითი
5	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	63სმ	9,2კგ	A (II) RH+	არ არის	მამრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	60სმ	7,6კგ	A (II) RH+	არ არის	მამრობითი
K%	100%	100%	100%	80%	100%	100%	80%	100%	20%	20%	100%	100%	100%
D%	0%	0%	0%	20%	0%	0%	20%	0%	80%	80%	0%	0%	0%

№2	თვალის ფერი	თვალის ჭრილი	მხედველობა	თვალების ზომა	ცხვირის ფორმა	ნესტოები	ყურის ბიბილო	ყურის ფორმა	ლოყის ღრმული	სახის ფორმა	თავის ფორმა
1	ცისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
	ცისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	კეხიანი	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
2	ცისფერი	ირიბი	ნორმალური	დიდი	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	მრგვალი
	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდედი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
3	თაფლისფერი	სწორი	ახლომხედველი	დიდი	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	მრგვალი
	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ფართო	შეუზედელი	ვიწრო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
4	თაფლისფერი	ირიბი	ნორმალური	დიდი	კეხიანი	ფართო	შეუზედელი	ვიწრო	არ არის	ოვალური	ოვალური
	თაფლისფერი	ირიბი	ნორმალური	პატარა	ნორმალური	ვიწრო	შეუზრდელი	ვიწრო	არის	მრგვალი	ოვალური
5	თაფლისფერი	სწორი	ნორმალური	დიდი	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ფართო	არის	ოვალური	ოვალური
	თაფლისფერი	ირიბი	ახლომხედველი	დიდი	ნორმალური	ფართო	შეუზრდელი	ფართო	არ არის	მრგვალი	მრგვალი
K%	60%	40%	60%	20%	60%	40%	100%	100%	60%	20%	40%
D%	40%	60%	40%	80%	40%	60%	0%	0%	40%	80%	60%

№2	ქვედა ტუჩი	თმის გათეთრება	ენის მილისებრი ჩაზნექვა	ენის უკან გადახრის უნარი	ჭორფლი ანობა	წამწამი	ხელის ხმარება	თითების ზომა	სიმაღლე	წონა	სისხლის ჯგუფი	გადატანილი ინფექციური დაავადებები	სქესი
1	ნორმალური	ნორმალური	არის	არ არის	არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,50სმ	43კგ	უცნობია	წითელა, ბოტკინი	მდედრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,48სმ	52კგ	უცნობია	წითელა	მდედრობითი
2	ნორმალური	ნორმალური	არის	არ არის	არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,67სმ	57კგ	A (II) RH+	არ არის	მდედრობითი
	მსხვილი	ნორმალური	არ არის	არ არის	არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,74სმ	70კგ	A (II) RH+	არ არის	მამრობითი
3	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არ არის	არ არის	მოკლე	ამბიდექსტრი	მოკლე	1,62სმ	48კგ	უცნობია	წითელა, წითურა ჩუტყვავილა	მდედრობითი
	მსხვილი	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,60სმ	50კგ	უცნობია	ჩუტყვავილა	მდედრობითი
4	ნორმალური	ნორმალური	არის	არის	არ არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,60სმ	56კგ	უცნობია	არ არის	მამრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არის	არის	არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,56სმ	40კგ	უცნობია	არ არის	მამრობითი
5	მსხვილი	ნორმალური	არის	არის	არის	გრძელი	მემარჯვენე	ნორმალური	1,68სმ	65კგ	უცნობია	არ არის	მამრობითი
	ნორმალური	ნორმალური	არ არის	არის	არ არის	მოკლე	მემარჯვენე	ნორმალური	1,60სმ	62კგ	უცნობია	არ არის	მამრობოთი
K%	60%	100%	60%	60%	20%	60%	100%	80%	0%	0%		20%	80%
D%	40%	0%	40%	40%	80%	40%	0%	20%	100%	100%		80%	20%



სურათი 3. კორკონდანტობა და დისკორკონდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში ენის უკან გადახრის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (სურათი 4) ჩანს თითების ზომის მიხედვით იდენტურ ტყუპებში 100%-იანი კორკონდანტობაა, მაშინ როცა არაიდენტურში ეს რიცხვი 80%-ია.



სურათი 4. კორკონდანტობა და დისკორკონდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში თითების ზომის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (სურათი 5) წამწამის ზომის მიხედვით იდენტურ ტყუპებში 100%-იანი კორკონდანტობაა, მაშინ როცა არაიდენტურ ტყუპებში ეს რიცხვი ბევრად დაბალია და 60%-ს უტოლდება.



სურათი 5. კორკონდანტობა და დისკორდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში წამწამის ზომის მიხედვით.

რაც შეეხება რაოდენობრივ ნიშნებს აქ კორკონდანტობის მაჩვენებელი იდენტურ ტყუპებშიც კი მცირდება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (სურათი 6) ჩანს სიმაღლის მიხედვით იდენტურ ტყუპებში 20%-იანი კორკონდან-ტობაა, მაშინ როცა არაიდენტურში 100% დისკორდანტობაა.



სურათი 6. კორკონდანტობა და დისკორდანტობა იდენტურ და არაი-დენტურ ტყუპებში სიმაღლის მიხედვით.

დასკვნა: კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ თვისობრივი ნიშნების დიდი უმრავლესობა მცირე გამონაკლისით, 100%–იანი კორკონდანტობითაა წარმოდგენილი იდენტურ ტყუპებში. რაც შეეხება რაოდენობრივ ნიშნებს იდენტურ ტყუპებშიც ორივე ნიშნის მიხედვით, მხოლოდ 20%–იანი კორკონდანტობა დაფიქსირდა. არაიდენტურ ტყუპებში ნიშან-თვისებების კორკონდანტობისა და დისკორდანტობის განსხვავებული პროცენტული მაჩვენებელია წარმოდგენილი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შესაძლებელია ვთქვათ. რომ იდენტურ ტყუპებში თვისობრივი ნიშნები უფრო ნაკლებად ექვემდებარება გარემოს ზემოქმედებას, ვიდრე რაოდენობრივი ნიშნები. ხოლო იდენტურ ტყუპებში წარმოდგენილი ვარიაციები მეტყველებს მათ განსხვავებულ გენეტიკურ კომბინაციებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აივენგო შათირიშვილი. გენეტიკა და საზოგადოება. გამომცემლობა; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2013 წელი.
2. ტომსონი და ტომსონი. გენეტიკა მედიცინაში. მე-7 გამოცემა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2008.
3. ა. დიასამიძე, ქ. დოლიძე _ ზოგადი გენეტიკა. ბათუმი. 2003.
4. Lerato (ბლოგერი), (თებერვალი 2016), "ტყუპები – ბუნების ამოუცნობი გამოცანა", მოძიებულია მარტი, 2018, http://intermedia.ge/სტატია/70974-ტყუპები - ბუნების-ამოუცნობი გამოცანა /89/.

Sikharulidze Mariam

Analysis of Some genetic Indices in Mono and Dizygotic Twins

Abstract

Due to certain restrictions in research, genetic analysis is carried out by genealogical, twin, populated, cytogenetic, immune, biochemical, molecular-biological, ontogenetic, somatic cells hybridization and other methods. The goal of our research was to study the coronation and discomfort in monastic and diagotic twins. Quantitative and qualitative analysis of the five identical and five non-identical couples with the questionnaire were analyzed. We have acquired some monumental heritage as qualitative marks, and we have taken the body height and weight into quantitative marks. Based on the results of the research we can note that the vast majority of qualitative marks are small exceptions in the identical twins presented with a 100% coronation. As for the number of identical twins in both identical twins, only two 20% The different percentages of the coronation and discoloration of the characteristic properties in the non-identical twins are presented according to different marks. It is possible to say that the qualitative signs in identical twins are less likely to be environmentally influenced than quantitative signs. And the variations presented in identical twins indicate their different genetic combinations.

შავი ზღვის აუზის აჭარის რეგიონის მდინარეების, წყლების ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლების სეზონური დინამიკა და მათი ეკოლოგიური შეფასება

სოფიკო ზოიძე, თამრიკო კაკალაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

ქიმიის სპეციალობის/ ბიოლოგიის სპეციალობის, ***III*** კურსი

ელ. ფოსტა: pretty.zoidze@mail.ru / kakaladze.1997@ mail. ru

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო კიკნაძე,

ქიმიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

წყალი წარმოადგენს ბუნებრივ და ამოუწურავ რესურს, რომლის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის სხვადასხვა დარგის და სოფლის მეურნეობის წარმოება. წყლის რესურსების ხარისხის დადგენა სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ მიერ ჩატარებულია აჭარის შავი ზღვისპირა ზოლის დიდი და მცირე მდინარეთა კომპლექსური შედარებითი დახასიათება და სეზონური კვლევის საფუძველზე, გამოვლენილია მათი დაბინძურების ხარისხი და დამაბინძურებელი ფაქტორები. ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებიდან განისაზღვრა: სუნი, ფერი, გამჭვირვალობა და მოტივტივე ნაწილაკები. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებიდან: ტემპერატურა, ჰიდროკარბონატ-იონი, ხსნადი ჟანგბადი, ჟბმ5, ჟანგვადობა, სიხისტე, ჩატარდა მდინარეთა წყლების ელემენტური ანალიზი პლაზმურ, ატომურ, ემისიურ სპექტრომეტრზე; მიკრობიოლოგიური მაჩვენებელებიდან განისაზღვრა ლაქტოზოდადებითი ნაწლავის ჩხირის რაოდენობა და საპროფიტული მეზოფილური მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობა. ორგანოლეპტიკური, ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოვლინდა ჩაქვისწყლის და ყოროლისწყლის უპირატესობა კინტრიშთან, ჭოროხთან, აჭარისწყალთან, ბარცხანასთან და ქუბასწყალთან შედარებით. განსაკუთრე-

ბული დაბინძურებით გამოირჩევა ბარცხანა, ქუბასწყალი და ნაწილობრივ - ჭოროხი, რაც ჩვენი აზრით დაკავშირებულია აღნიშნული მდინარეების ინტენსიური დაბინძურებით: საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ნავთობპროდუქტებით, სარკინიგზო და საავტომობილო ინფრასტრუქტურით და ავტოსამრეცხაოების სიუხვით.

საკვანძო სიტყვები: მდინარე; დაბინძურება; სეზონური კვლევა; ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები; მიკროორგანიზმები.

შესავალი

თემის აქტუალობა. წყლის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის სხვადასხვა დარგის და სოფლის მეურნეობის წარმოება, მტკნარი წყლის უკმარისობის ძირითადი მიზეზია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება საყოფაცხოვრებო და ჩამდინარე წყლებით, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა წარმოშობის არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებს. მდინარეთა წყალი ყველაზე ხელმისაწვდომი მტკნარი წყალია, რომელიც ადამიანის მიერ ექსპლუატაციის შედეგად ჭუჭყიანდება. წყლის რესურსების ხარისხის დადგენა სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც ემსახურება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურულ და უსაფრთხოების დონის ამაღლებას.

კვლევის მიზნად დავისახეთ შავი ზღვაში ჩამავალი აჭარის ზოგიერთი დიდი და მცირე მდინარის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა, რათა დაგვედგინა მდინარეთა წყლების სისუფთავის ხარისხი. **კვლევის ამოცანებს** წარმოადგენდა მდინარეთა წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების სეზონური კვლევა, საკვლევი ობიექტების შედარებითი დახასიათება და მდინარეთა წყლების დაბინძურების დადგენა. **კვლევის ობიექტს** წარმოადგენდა შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეები: ქუბასწყალი, ბარცხანა, ყოროლისწყალი, ჩაქვისწყალი, კინტრიში, აჭარისწყალი, ჭოროხი.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა ანალიზური ქიმის კლასიკური და თანამედროვე მეთოდები: ტიტრიმეტრული, პლაზმური, ატომური, ემისიური, სპექტრული ანალიზი, მიკრობიოლოგიური.

კვლევების ჩასატარებლად **მატერიალურ ტექნიკურ ბაზას** წარმოადგენდა ბსუ-ს ქიმიის დეპარტამენტი და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. კვლევების მეთოდოლოგიურ ბაზად გამოვიყენეთ ზედაპირულ წყლებზე არსებული საკანონმდებლო ნორმატივები, სახელმწიფო სტანდარტები, სანიტარული წესები და ნორმები, საქართველოს მთავრობის დადგენილი ზედაპირული წყლების ტექნიკური რეგლამენტის შესახებ და ასევე ინტერნეტში მოძიებული მასალა.

თავი I. ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

I.1. მდინარეთა წყლების ძირითადი გამაჭუჭყიანებლების ზოგადი დახასიათება

მდინარეთა წყლების ძირითადი გამაჭუჭყიანებლებია ქიმიური გაჭუჭყიანება, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, პესტიციდები, ვირუსები, ბაქტერიები. საქართველოს კანონში „წყლის შესახებ“ აკრძალულია სხვადასხვა ნარჩენებისა და ტოქსიკურ-რადიაქტიული ნარჩენების ჩაყრა [საქართველოს მთავრობის დადგენილება ***N***№414, 2013]. წყლის გაჭუჭყიანების ძირითადი ტიპებია: ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ესთეტიკური. არჩევენ ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ გაჭუჭყიანებას. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რადიოაქტიური გამოსხივებით, მძიმე მეტალებით და პესტიციდებით გაჭუჭყიანებას [საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება ***N***№130, 1996]. მცენარეული ნედლეულის ქიმიური და თერმული დამუშავებისას, ხისა და ნახშირის დაკოქსვისას წყალში დიდი რაოდენობით ხვდება ფენოლები. ნავთობი ბუნებრივი წყლების საშიში ორგანული დამაბინძურებელია. წყლების მინერალური გაჭუჭყიანება ხდება მათში სხვადასხვა ქიმიური ნაერთების ჩაშვების გზით, რომელთა ძირითად წყაროებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, მეტალურგია და სხვა დარგები. წყლის ძირითად გამაჭუჭყიანებლად ითვლება ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გაჭუჭყიანება, უფრო ნაკლებად გვხვდება ფიზიკური გაჭუჭყიანება [საქართველოს მთავრობის დადგენილება ***N***№425, 2013].

I.2. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ჩამდინარე წყლები, როგორც ბუნებრივი წყლების ძირითადი გამჭუჭყიანებლები და გაწმენდის მეთოდები

ჩამდინარე წყლები ეწოდება მრეწველობის, კომუნალური წარმოებისა და მოსახლეობის მიერ გამოყენებულ წყალს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მინარევს. ისინი იყოფა საყოფაცხოვრებო, ატმოსფერულ, სამრეწველო ჩამდინარე წყლებად. საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი, თბოენერგეტიკა და მრეწველობა. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში წყლის გამწმენდ არცერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების სრულყოფილი გაწმენდა. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არც ერთ ქალაქში. შედეგად, ზედაპირული წყლის ობიექტებში აღინიშნება მნიშვნელოვანი დაბინძურება.

ჩამდინარე წყლების მრავალფეროვნების გამო, გამოიყენება მათი გაწმენდის მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური, ბიოლოგიური მეთოდები. მექანიკური გაწმენდის დროს გამოიყენება გაწურვის, დალექვის და ფილტრაციის მეთოდები [Новиков Ю.И., 1990]. ჩამდინარე წყლების გაწმენდა გახსნილი მინარევებისაგან ხორციელდება ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით: კოაგულაციით, ფლოკულაციით, ფლოტაციით, ექსტრაქციით, სორბციით, ნეიტრალიზაციით, თერმული დამუშავებით და ოზონირებით[СанПиН №4630-88]. წყლის კლასიკური ეკოლოგიური ექსპერტიზა ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარების განსაზღვრის მეთოდით ტარდება. საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს სუფთა წყლით. ამავე დროს, საქართველოში ყველა მცხოვრები ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი დაბინძურება, დანაგვიანება და დაშრობა [ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4.000-00-3].

თავი II. ექსპერიმენტული მონაცემები

II.1. ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მდინარეთა სუნის მიხედვით, ეს პარამეტრი ყველაზე ძლიერად გამოხატული იყო ქუბასწყალზე (5 ბალი) და შემდეგ ბარცხანაზე (4 ბალი). გამჭვირვალობით გამოირჩეოდა ყოროლისწყალი და შემდეგ - კინტრიში. მღვრიე იყო აჭარისწყალი ყველა სეზონზე. ყვითელი ფერი დაფიქსირდა ქუბასწყალზე და ბარცხანაზე, მომწვანო - ჭოროხზე. 0-10სმ ფენაში მოტივტივე ნაწილაკები შეიმჩნეოდა ქუბასწყალზე, ბარცხანაზე და აჭარისწყალზე [ГОСТ 3351-74].

II.2. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

მდინარეთა წყლის მინიმალური ტემპერატურა სამივე სეზონზე დაფიქსირდა მდ.კინტრიშზე (+4 +11°), მაქსიმალური ტემპერატურა-ქუბასწყალზე ბარცხანასა და ყოროლისწყალზე (+9-15°). მდინარეებში მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა გაზაფხულზე, მინიმალური-შემოდგომაზე. აპრილში მდინარეების ტემპერატურა 6-10 გრადუსით აღემატებოდა იანვრისას. pH მინიმალურია შემოდგომაზე და მაქსიმალური გაზაფხულზე, ნეიტრალურთან მიახლოებულია ყოროლისწყალზე და კინტრიშზე (6,0-7,1). შემოდგომაზე მდ. ჩაქვისწყალზე, ჭოროხზე, ბარცხანასა და აჭარისწყალზე pH-ის მაჩვენებლები არ იმყოფებოდა დასაშვები ნორმის ფარგლებში (6.5-ზე); ხოლო გაზაფხულზე - ბარცხანასა და ქუბასწყალზე (pH-8-8,5).

წყლებში ჟანგვადობა მატულობს ტემპერატურის ზრდით გაზაფხულზე. ჟანგვადობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მდ.ბარცხანასა და ქუბასწყალზე გაზაფხულზე, როცა აღნიშნული პარამეტრი 1.4-1.6 მგ/ლ აღემატებოდა დასაშვებ ნორმებს [ГОСТ 23268.12-78]. ტემპერატურის შემცირებით ჟანგბადის ხსნადობა და მისი კონცენტრაცია წყლებში იზრდება. O_2-ის კონცენტრაცია მაქსიმალური იყო შემოდგომაზე (2,5-3,4 მგ/ლ) და მინიმალური - გაზაფხულზე (1,8-2,5). მდინარეთა წყლების ყველა ნიმუშში და ყველა სეზონზე ეს პარამეტრი ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე (4-6მგ/ლ). განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა დაფიქსირდა მდ. ქუბასწყალზე და ბარცხანაზე გაზაფხულზე (1,3-1,47 მგ/ლ) [ISO 5813:1983]. pH-ის შემცირებით კალციუმის და მაგნიუმის კონცენტრაცია წყლებში მატულობს და პირიქით.

სიხისტის შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მდ.კინტრიშზე (7,0) და მდ.ყოროლისწყალზე (4,0) შემოდგომაზე. pH-ის კლებასთან ერთად, წყლებში ჰიდროკარბონატების შემცველობა მატულობს და პირიქით. HCO_3^--იონის კონცენტრაცია წყლებში მატულობს ტემპერატურის მატების პარალელურად შემოდგომიდან გაზაფხულისკენ. სილიციუმის მაქსიმალური შემცველობა დაფიქსირდა მდ.კინტრიშზე და ყოროლისწყალზე, შემდეგ - ბარცხანასა და ქუბასწყალზე. ნატრიუმის შემცველობა მეტია ჭოროხსა და კინტრიშზე, კალიუმის შემცველობით გამოირჩევა ჭოროხი, ქუბასწყალი და ბარცხანა.

ცხრილი 1

მდინარეთა წყლების ელემენტური ანალიზი

სახელწოდება	ელემენტები, მგ/ლ									
	As	Cd	Cu	Fe	K	Na	P	Pb	Si	Zn
ჭოროხი	0.0009	0.0008	0.0008	0.042	1.39	5.2	0.243	0.0010	4.73	0.0075
კინტრიში	0.0022	0.0009	0.0002	0.0534	0.0727	4.47	0.235	0.0011	9.91	0.0138
ყოროლის-წყალი	0.0033	0.0014	0.0002	0.0541	0.741	3.2	0.223	0.0024	9.67	0.0229
აჭარისწყალი	0.0002	0.0012	0.0016	0.0693	0.0898	0.84	0.208	0.0011	5.98	0.011
ქუბასწყალი	0.0024	0.0021	0.0001	0.0402	1,56	3.95	0.0237	0.0018	7.8	0.0079
ბარცხანა	0.0006	0.0027	0.00001	0.0363	1,48	3.96	0.168	0.0014	8.07	0.0077
ჩაქვისწყალი	0.0010	0.0026	0.0001	0.0539	0.737	2.41	0.206	0.0021	8.05	0.0209

ფოსფორის კონცენტრაცია მინიმალურია მდ.ქუბასწყალზე - 0,0237 მგ/ლ. ჩვენს მიერ განსაზღვრული მძიმე მეტალების - As, Cd, Cu, Fe, Pb, Zn კონ-ცენტრაციების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდინარეები არ არის დაბინძურებული აღნიშნული ელემენტებით[ISO 8288, 1986].

II.3. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები

მდინარეთა მიკრობიოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლაქტოზოდა-დებითი ნაწლავის ჩხირის რაოდენობა მდინარეებზე - ბარცხანაზე, აჭარის-წყალზე, ჭოროხზე და ქუბასწყალზე შეადგენდა 110000-ს 1 ლიტრ წყალზე, რაც მათი მაღალი დაბინძურების მაჩვენებელია (110-ჯერ აღემატება მინიმა-ლურ სავარაუდო რაოდენობას). მინიმალური იყო ეს მაჩვენებელი კინტ-რიშზე (270) და ყოროლისწყალზე (300). საპროფიტული მეზოფილური მიკ-როორგანიზმების საერთო რაოდენობა 1მლ საკვლევ წყალში მაქსიმალური იყო ქუბასწყალზე (150) და მინიმალური-ყოროლისწყალზე (50) [МУК по санитарно-микробиологическому анализу воды поверхностных водоёмов, 1980; ГОСТ 17.1.3.03-77].

დასკვნა

აჭარის შავი ზღვისპირა სანაპირო ზოლის მდინარეთა წყლების ეკოლო-გიური მდგომარეობის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ჩაქვისწყლის და ყოროლისწყლის უპირატესობა კინტრიშთან, ჭოროხთან, აჭარისწყალთან, ბარცხანასთან და ქუბასწყალთან შედარებით. განსაკუთრებით არასახარბიე-ლო მდგომარეობა დაფიქსირდა ბარცხანაზე, ქუბასწყალზე და ზოგ შემთ-ხვევაში ჭოროხზე, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ მდინარეებზე არსებული დამაბინძურებელი ფაქტორებით: საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ნავთობ-პროდუქტებით, სარკინიგზო და საავტომობილო ინფრასტრუქტურით, ავ-ტოსამრეცხაოების სიუხვით. აუცილებელია მდინარეთა წყლების ქიმიური და მიკრობიოლოგიური შედგენილობის სისტემატური კვლევა და პერიო-დული მონიტორინგების განხორციელება მათი გაბინძურების ხარისხის დასადგენად, რადგანაც მდინარეთა სანაპიროები აჭარაში მჭიდროდ დასახ-ლებულია და იქმნება რეალური საფრთხე მოსახლეობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით.

ლიტერატურის სია:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება ***N***№414 „ზედაპირული წყლის ობიექ-ტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზდჩ ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“. - ქ. თბილისი, 2013 წლის 31 დეკემბერი. – 11გვ

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება ***N***№425 „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“. თბილისი, 2013 წლის 31 დეკემბერი. -3გვ

3. ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესები და ნორმები. 2.1.4.000-00-32. 32 გვ

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება ***N***№130 „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესების დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისი, 1996 წლის 17 სექტემბერი.-12 გვ

5. Новиков Ю.И. Методы исследования качества воды водоёмов. Москва: Медицина, 1990. С. 65-97.

6. Санитарные правила и нормы. СанПиН №4630-88. – Москва, 1988. С. 25-40.

7. ISO 8288. Методические указания: Атомно-абсорбционное определение металлов в поверхностных водах суши с прямой электрометрической атомизацией проб. 1986. – 32 стр.

8. ISO 5813:1983 Water quality. Determination of dissolved oxygen. Iodometric method. 1983. - 5 Pg.

9. Алёкин О.А., Семёнов А.Д., Скопинцев Б.А. Руководство по химическому анализу вод суши. – Ленинград: Гидрометеоиздат, 1982. С.64-134.

10. ГОСТ 24481-80. Вода питьевая. Отбор проб. – Москва: Государственный комитет по стандартам, 1980. -10 стр.

11. ГОСТ 23268.12-78. Воды натуральные, питьевые, лечебно-столовые и природные столовые. Метод определения перманганатной окисляемости. – Москва, 1978. – 4 стр.

12. ГОСТ 3351-74. Вода питьевая. Методы определения вкуса, запаха, цветности и мутности. – Москва: Государственный комитет по стандартам, 1974. -9 стр.

13. МУК по санитарно-микробиологическому анализу воды поверхностных водоёмов, 1980. – 44с.

14. ГОСТ 17.1.3.03-77 Основной показатель – лактозоположительные кишечные палочки, дополнительные показатели-сапрофитные микроорганизмы, E.coli, фаги кишечных палочек, сальмонеллы, кишечные вирусы, 1977.

Kakaladze Tamriko; ZoidzeSophiko

Seasonal Dynamics and Ecological Evaluation of Physical-Chemical and Microbiological Indices of the Rivers in Ajara Region of the Black Sea Basin

Abstract

The water is natural and unexhausted resource without which it is impossible to operate various fields of industry and agriculture. Identification of quality of water resources is one of the most important objectives of public economy. We have carried complex comparative characterization of small and big rivers of Adjara Black Sea Coastline and their pollution qualities and polluting factors are revealed based on seasonal research. From organoleptic parameters, the following were determined: smell, colour, transparency and suspended particles. From physical-chemical parameters: temperature, bicarbonate-ion, dissolved oxygen, Biochemical oxygen demand (BOD5), rustiness, rigidity, Elementary analysis of rivers waters were carried at plasma atomic emissive spectrometer. From microbiological parameters the amount of lactose-positive intestines were determined and total amount of saprophytes mesophilic microorganisms. Based on organoleptic, physical-chemical and microbiological researches the priority of Chakvistskhali and Khorolistskhali was revealed compared to Kintrishi, Tchorokhi, Adjaristskhali, Bartskhana and Kubastskhali. Bartskhana, Kubastkhali and partly Tchorokhi are especially polluted which in our opinion is connected to intensive pollution of the mentioned rivers with every-day residuals, oil products, railway and road infrastructure and huge number of car-washing stations

Key Words: River, Pollution, Seasonal Research, Physical-chemical Parameters, Microorganisms.

DEVELOPMENT AND NUTRITION FROM 0 TO 1

Ashish Kumar
Batumi shota rustaveli state university
faculty of natural science and health care
one-cycle educational program – medical doctor
supervisors: tamar mkhatvari, Department of Clinical Medicines (BSU)- inv.teacher
irma ruseishvili, Department of Clinical Medicines (BSU)- inv.teacher
tamar bakhtadze, Department of Clinical Medicines (BSU)- inv.teacher

ABSTRACT

An appropriate feeding to a child is as necessary as fresh air to the lungs in order to maintain the normal health of child. Poor feeding practices, such as inadequate breastfeeding, offering the wrong foods, and not ensuring that the child gets enough nutritious food, contribute to malnutrition. Malnutrition affects health significantly by raising the frequency and severity of diseases while, concomitantly taking their toll on growth, maturation and development.

Aim- To find out the differences in breastfed child and formula fed child's growth and other development associated factors related to nutrition in infants (0 to 1 yr).

Result - Out of 40 of our subjects in Batumi region of Georgia, most of them have are on formula feeding. During the first 6-8 weeks of life there is little difference in growth (gain in weight and length) between breast- and formula-fed infants. However, from about 2 months of age to the end of the first year of life formula-fed infants gain weight and length more rapidly than breast-fed infants.

Introduction

The 1st yr of life provide the platform for remarkable growth and development, setting the trajectory for a child's life. To maintain appropriate nutrition to the child is a must and should be given in proper amounts. As we see for a normal child the breast milk for e.g. up to 6 months is just appropriate to fulfil all requirements necessary for normal growth and proper development of child because it contains all necessary contents like antibodies, immune cells, Vit. A, D, E , K, fat, sugar, proteins, Na, iron, Immunoglobulins, calories , proteins , minerals, *water , electrolytes and* a number of growth factor, enzymes and hormones as well. All the above mentioned components are so necessary that even a minute deficiency of any component might alone cause dramatic changes and abnormalities in the child.

Now for e.g. neural plasticity, the ability of the brain to be shaped by experience, both positive and negative, is at its peak. Total brain volume doubles in the 1st yr. of life and increases by an additional 15% over the 2nd yr. Total brain volume at age 1 mo is approximately 36% of adult volume but by age 1 yr is approximately 72% (83% by 2 yr)*.The acquisition of seemingly "simple" skills, such as swallowing, reflect a series of intricate and highly coordinated processes involving multiple levels of neural control distributed among several physiologic systems whose nature and relationships mature throughout the 1st yr of life.

Good nutrition also has a significant impact on economic conditions, as a well-nourished population is more productive individually and has lower health care costs and higher economic performance levels.

Undernutrition magnifies the effect of every disease, including measles and malaria. The estimated proportions of deaths in which undernutrition is an underlying cause are roughly similar for diarrhoea (61%), malaria (57%), pneumonia (52%), and measles (45%) (Black 2003, Bryce 2005).

- Globally 154.8 million under-five year olds were estimated to be stunted in 2016.
- Globally, 51.7 million under-five year olds were wasted (or low weight for height) in 2016.
- *http://blogs.worldbank.org/category/tags/child-malnutrition*

* see fig 1.1



Fig 1.1 Scatterplots showing brain growth in the 1st 2 yr of life. A, Total brain volume by age at scan. B, Cortical hemispheres. C, Cerebellum. D, Subcortical region and brainstem. *(From Knickmeyer RC, Gouttard S, Kang C, et al: A structural MRI study of human brain development from birth to 2 years.* J Neurosci *28(47):12176–12182, 2008.)*

Target group – We undertook into consideration the infants from 3 hospitals; Evex Polyclinic Batumi (Chachavadze street), Maternal Hospital and Child Care Batumi, Batumi Referral Hospital and infants were from both areas; urban and rural.

Methods – To accurately measure and notice the changes in both the types of feeding, we prepared a list which included all the important and necessary things that can affect a child's growth and development and consents to ask the details

needed was done in presence of either the doctors themselves or the supervisor of pediatric department in the respective hospital. After collecting the necessary details, I filled the WHO charts for observing normal development of children upto 2 years of age and for this I used height – weight chart.

FEEDING DURING THE FIRST YEAR OF LIFE :

Breastfeeding

A number of health organizations — including the American Academy of Pediatrics (AAP), the American Medical Association (AMA), and the World Health Organization (WHO) — recommend breastfeeding as "the best choice for babies". Breastfeeding helps defend against infections, prevent allergies, and protect against a number of chronic conditions. An infant should be exclusively breastfed till six months of age. During this phase, additional food or fluid is not required as breast milk is nutritionally complete for the child's growth and development.

Conditions for which human milk has been suggested to possibly have a protective effect: Acute disorders ,Diarrhoea, Otitis media, Urinary tract infection ,Necrotizing enterocolitis ,Septicaemia Infant botulism, Insulin-dependent diabetes mellitus, Lymphoma, Leukaemia, Celiac disease, Crohn disease, Childhood, cancer, Lymphoma, Leukaemia, Recurrent otitis media Allergy, Obesity and overweight Hospitalizations and Infant mortality. Thus the decision to breastfeed should be considered a public health issue and not only a lifestyle choice. Breastfeeding should be continued with the introduction of complementary foods for 1 year or longer, as mutually desired by mother and infant. The success of breastfeeding initiation and continuation depends on multiple factors, such as education about breastfeeding, hospital breastfeeding practices and policies, routine and timely follow-up care, and family and societal support. Feedings should be initiated soon after birth unless medical conditions preclude them.

In addition to above stated facts breast milk contains varieties of other necessary ingredient like vit. A, D, E , K fat, sugar, Na , iron, Igs , calories proteins, sugar, vitamins, minerals, *water , electrolytes* fat.

Growth of the Breastfed Infant

The rate of weight gain of the breastfed infant differs from that of the formula-fed infant, and the infant's risk for excess weight gain during late infancy may be associated with bottle feeding. The WHO growth charts are based on the growth of healthy breastfed infants through the 1st yr of life. These standards (http://www.who.int/childgrowth) are the result of a study in which >8,000 children were selected from 6 countries.

The infants were selected based on healthy feeding practices (breastfeeding), good health care, high socioeconomic status, and non-smoking mothers, so that they reflect the growth of breastfed infants in the optimal conditions and can be used as prescriptive rather than normative curves.

Formula Feeding:

Despite efforts to promote exclusive breastfeeding through 6 months, less than 50% of women continue to breastfeed at 6 months. Most women make their infant feeding choices early in pregnancy. Parental preference is the most common reason for using infant formula. However, infant formula is also indicated in infants whose intake of breast milk is contraindicated for infant factors (e.g. inborn errors of metabolism), and maternal factors. In addition infant formula is used as a supplement to support inadequate weight gain in breastfed infants. Infant formulas are available in ready-to-feed, concentrated liquid or powder forms. Ready-to-feed products generally provide 20 kcal/30 mL (1 oz) and approximately 67 kcal/dL.

Powder preparations are not sterile, and although the number of bacterial colony-forming units per gram of formula is generally lower than allowable limits, outbreaks of infections with *Enterobacter sakazakii* have been documented, especially in premature infants. The powder preparations can contain other coliform bacteria but have not been linked to disease in healthy term infants

Types: There are four different types of formula:

a. Cow's milk-based b. Hydrolysed protein based

c. Soya-based d. Goat's milk-based

Cow's milk-based formula: Most baby formula milks are based on modified cow's milk and special types of formula manufactured for premature babies are also possible. The predominant whey protein is β-globulin. Plant or a mixture of plant and animal oils are the source of fat in infant formulas; fat provides 40-50% of the energy in cow milk–based formulas.

Hydrolysed protein formula: Protein hydrolysate formulas may be *partially hydrolyzed*, containing oligopeptides or *extensively hydrolyzed*,. Partially hydrolyzed proteins have fat blends similar to cow milk–based formulas. Because the protein is not extensively hydrolyzed, these formulas should not be fed to infants who are allergic to cow protein. These formulas are lactose free and are useful in infants with gastrointestinal malabsorption. See Table 1.1

Soya-based formula: Soy protein–based formulas on the market are all free of cow milk– based protein and lactose and use sucrose, corn syrup solids, and/or maltodextrin. They meet the vitamin, mineral, and electrolyte guidelines from the AAP and the FDA for feeding term infants. They have no proven value in the prevention or management of infantile colic, fussiness, or atopic disease.

Goat's milk-based formula: Goat's milk formula may replace cow's milk formula when infants show sensitivity to that product. Children may find goat's milk formula easier to digest since it contains no agglutinin -- the compound in cow's milk that causes fat to clump together. Goat's milk formula provides more selenium, niacin and vitamin A than cow's milk formula.

Product	Energy (kJ)	Protein (g)	Fat (g)	Calcium (mg)	Iron (mg)
Breast milk	290	1.3	4	34	0.1
Cows' milk	195	3.3	3.6	125	0.1
Extensively hydrolyzed formula	280	2	3.5	54	1
Soy milk	170–300	2–4	1–4	0–160*	–

Table 1.1 Nutritional comparison per 100 mL of different kinds of milks.

Method of investigation:

To observe or manipulate the growth and development of an infant can be done easily by using methods like *anthropometry, milestones for different ages, growth graphs, medical history, and normal behaviour with doctor and tooth eruption.*

After putting in consideration the possible conditions while keeping the patient as well as the parents comfortable, we started with normal behaviour of child as well as mother's because of mother's improper or abnormal capability to nourish and taking care of child may affect adversely. *And while doing so, it was made sure that the following examinations include the* somatic development, neurologic development, behavioural development, and psychologic changes in parents, physical development, cognitive development, emotional development and communication.

Collection of data :

Anthropometry and milestones*: It included* birth weight, current weight, birth height, current height, birth head circumference and current head circumference.

Growth slows more see table 1.2. By the 1st birthday, birth weight has tripled, length has increased by 50%, and head circumference has increased by 10 cm. For eg., The ability to sit unsupported (6-7 mo) and to pivot while sitting (around 9-10 mo). Different milestones specific for particular age were checked and subject was looked for any possible red flag. Some walk by 1 yr. Motor achievements correlate with increasing myelinization and cerebellar growth. Tooth eruption occurs, usually starting with the mandibular central incisors. Tooth development reflects skeletal maturation and bone age, although there is wide individual variation.

AGE	APPROXIMATE DAILY WEIGHT GAIN (g)	APPROXIMATE MONTHLY WEIGHT GAIN	GROWTH IN LENGTH (cm/mo)	GROWTH IN HEAD CIRCUMFERENCE (cm/mo)
0-3 mo	30	2 lb	3.5	2.00
3-6 mo	20	1.25 lb	2.0	1.00
6-9 mo	15	1 lb	1.5	0.50
9-12 mo	12	13 oz	1.2	0.50

Table 1.2 Age and normal *anthropometric changes at that age.*

Medical History: Different tests and manoeuvres were followed for following diseases or disorders which often are found to affect growth and development of child in 1 year span since the birth like familial short stature, musculoskeletal disorders, constitutional growth delay with delayed adolescence or delayed maturation ,illnesses that affect the whole body (also called systemic diseases), endocrine (hormone) diseases , congenital (present at birth) problems in the tissues where growth occurs , tall stature ,injuries incurred during birth , prematurity and low birth weight, metabolic disturbances, infections, respiratory disorders, cardiovascular disorders, blood disorders, gastrointestinal disorders.

Communication: The way the child behaves with doctor was being taken into consideration. For eg infants at 7 mo of age are adapt at nonverbal communication, expressing a range of emotions and responding to vocal tone and facial expressions. Infants in bilingual homes learn the characteristics and rules that govern 2 different languages. Social interaction (attentive adults taking turns vocalizing with the infant) profoundly influences the acquisition and production of new sounds.

Dental Development: Dental development includes mineralization, eruption, and exfoliation. Initial mineralization begins as early as the 2nd trimester (mean age for central incisors, 14 wk) and continues through 3 yr of age for the primary (deciduous) teeth. Mineralization begins at the crown and progresses toward the root. Eruption begins with the central incisors and progresses laterally. See below

		Calcification begins		Crown formation completed		Eruption begins	
		Max	Mand	Max	Mand	Max	Mand
Primary dentition	Central incisor	14 wks in utero	14 wks in utero	1.5 mths	1.5 mths	8–12 mths	6–10 mths
	Lateral incisor	15 wks in utero	15 wks in utero	2.5 mths	3 mths	9–13 mths	10–16 mths
	Canine	17 wks in utero	17 wks in utero	9 mths	8–9 mths	16–22 mths	17–23 mths
	First molar	15 wks in utero	15 wks in utero	6 mths	5–6 mths	13–19 mths	14–18 mths
	Second molar	19 wks in utero	18 wks in utero	11 mths	8–11 mths	25–33 mths	23–30 mths
Permanent dentition	Central incisor	3 mths	3 mths	3–4 yrs	3–4 yrs	6–8 yrs	6–7 yrs
	Lateral incisor	10 mths	4 mths	4–5 yrs	3–5 yrs	7–9 yrs	6–8 yrs
	Canine	5 mths	5 mths	4–5 yrs	4–5 yrs	10–12 yrs	9–11 yrs
	First premolar	18–24 mths	18–24 mths	6–7 yrs	5–6 yrs	9–11 yrs	9–11 yrs
	Second premolar	24–30 mths	24–30 mths	6–7 yrs	6–7 yrs	10–12 yrs	10–12 yrs
	First molar	6–8 mths in utero	6–8 mths in utero	2–4 yrs	2–4 yrs	6–7 yrs	6–7 yrs

Results :

In affluent populations, breast-fed infants generally exhibit a different pattern of growth than formula-fed infants. The average weight gain of the former is lower than that of the latter, even after complementary foods are introduced. Evidence to date suggests that there are no apparent adverse consequences associated with the lower intake and slower weight gain of breast-fed infants: compared to formula-fed infants, they do not differ in activity level, and they experience less illness and appear to have enhanced cognitive development.

The protein intake of breast-fed infants decreases with age and closely matches the requirements for protein during the early months of life, the protein intake of formula-fed infants exceeds requirements after the first 1-2 months of life The data are consistent with the hypothesis that differences in protein intake are mainly responsible for differences in growth between breast- and formula-fed infants. Differences in energy intake probably are responsible for differences in adiposity observed in older infants

Weight-for-length z scores were significantly different between 4 and 12 months, suggesting that breast-fed infants were leaner.



Figure 1.2 Mean (SEM) LA z scores in breast fed (4–11 months, and 12 months) and formula fed infants.



Figure 1.3 Mean (SEM) WL z scores in breast fed (4–11 months, and 12 months) and formula fed infants. Values at birth have been calculated for 32 formula fed infants, 8 infants breast fed for 4–11 months.

CONCLUSION: The growth pattern of breast fed and formula fed infants differs in the first 12 months of life. This questions the validity of current reference values for monitoring the growth of breast fed infants. Growth indices in breast fed groups, high at birth and closer than expected to the reference at 12 months, reflects high possibility of formula fed infants to be obese earlier than breast fed children and also may be lower in cognitive development as compared to breastfed children.

References:

- The WHO Child Growth Standards by Robert M. Kliegman
- Nelson textbook of Pediatrics Edition 20
- Ghai Essential Pediatrics 8th Edition
- http://blogs.worldbank.org/category/tags/child-malnutrition
- CDC growth charts
- Stanfordchildrens.org - Growth-problems-90-P01956
- NCBI articles :PMC2812877
- American Academy of Pediatrics: Palliative care for children, *Pediatrics* 106:351–
- Feudtner C, Kang TI, Hexem KR, et al: Pediatric palliative care patients: a prospective multicenter cohort study, *Pediatrics* 127(6):1094–1101, 2011.

MICRORNAS AS POTENTIAL DIAGNOSTIC AND THERAPEUTIC TARGETS IN BREAST CANCER

Rajneesh Khurana
E-mail: rajneesh.khurana@gmail.com
Batumi Shota Rustaveli State University,
Faculty of Natural Sciences and Health Care, Medical Doctor, Second Cycle,
Supervisors: Marina Koridze– Professor, Department of Biology (BSU),
Irina Nakashidze - Assist. Professor, Department of Clinical Medicine (BSU)

Abstract

Breast cancer (BC) is widespread among women population. Breast cancerogenesis is a complicated process of accumulation of genetic and epigenetic changes that all taken together to cause the malignant transformation of healthy cells. Several factors and pathogenetic pathways are involving in the development of BC. It is notable that miRNAs represent a new class of gene that regulates the expression of genes, which are involving in a wide range of biological processes. In this review, we summarized the microRNAs' the contribution in BC and its diagnostic and therapeutic opportunities.

Key Words: Breast Cancer, microRNA, gene expression

Introduction

Breast cancer (BC) is widespread among women. The breast cancer is the widespread of tumor in women worldwide, in the both developed and developing countries. Breast cancerogenesis is a complicated process of accumulation of genetic and epigenetic changes that cause the malignant transformation of cells.

It is well known that there are numerous causative factors for BC, among them genetics and environmental factors are leading to cause above mentioned disease. All

taken together, Gene mutations like BRCA1, BRCA2 and p53 result in high risk for BC. It is notably that prolonged exposure to both endogenous and exogenous hormones (esp. estrogen) is the primary causative factors for this disease. Breast neoplasms are very heterogeneous and can be classified into several subtypes based on genetic profiling (Perou *et al.* 2000). Different types of treatments have developed like chemotherapy, radiation therapy, surgery, so go on. Still, complications like metastasis, drug resistance, and relapse exist. Also, there are various groups of side-effects of the fore-mentioned treatments. It is essential to understand the molecular mechanisms involved in breast tumor development and find the new potential bio-markers of BC which may be useful for future effective treatments targeted therapies.

microRNAs

Genes like tumor suppressor genes and oncogenes have been shown to be responsible for the formation of cancers. It is now well established that microRNAs (miRNA) are crucial regulators of mRNA expression in both standard and abnormal bioprocesses, including cancer. miRNAs involves the initiation of tumor formation, metastasis, and drug resistance (Taylor *et al.* 2008). miRNA constitute a large family of small non-coding RNA fragments of 20-22 nucleotides. They regulate the expression of genes mainly at the post-transcriptional level. They can be present both inside the cells, as well as secreted in vesicles called as exosomes. Hence, they can use as both diagnostic and prognostic markers. Also, they can be used in the treatment of BC by the process of RNA Interference (Bora *et al.* 2012). miRNAs are transcribed in the nucleus mainly by RNA Polymerase II as long primary transcripts called prior-miRNA which form hairpin loops (double-stranded). These are processed into 70-100 long nucleotide sequences by an enzyme, Drosha (RNase III enzyme) and its cofactor DGCR8. Pre-miRNA also produced during splicing lariat formation. Pre-miRNA are exported to the cytoplasm by a protein in the nuclear membrane called Exportin-5. In the cytoplasm, it is cleaved into miRNA-miRNA* duplex strand by an enzyme complex consisting of Dicer (RNase III) and transactivating response RNA-binding protein (TRBP). One of the two duplex strands is a guide strand that forms the double strand with mRNA and degrades it or inhibits translation. Another one is a passenger strand which degraded. Mature miRNAs incorporated into the RNA-

induced silencing complex (RISC), which contains the GW182 and Argonaute (AGO) proteins. Mature miRNAs play a prominent role in the gene regulation by acting with complementary sequences in the 3'UTRs, also target genes response elements of miRNA leading to mRNA degradation or translation inhibition.

microRNA and BC

It is known that Knockdown or overexpression of a specific miRNA is useful to study the specific roles of the miRNA in cancer initiation and development. It is notable that they represent a new class of gene and regulate the expression of genes, which are involved in a wide range of biological processes. It is notable that more than 50% of miRNA genes locate in cancer-associated genomic regions or fragile sites. Therefore, It is suggesting that miRNAs may play an essential role in the pathogenesis of human tumors (Calin *et al.* 2004b). Based on the several studies miRNAs can be classified as oncogenes (oncomirs) or tumor-suppressor genes (Chen and Bourguignon, 2014).

According to the literature microRNAs connected to metastatic cascade at the different stage in BC (Ye *et al.* 2015). Based on the numerous investigations (using the following techniques: miRNA cloning, quantitative PCR, microarrays, and bead-based flow cytometric miRNA expression profiling) were demonstrated that miRNA expression deregulated in BC. In some studies, that miR-221/222 highly expressed in ER-negative cells compare to ER-positive once (Cochrane, 2010). The investigation has shown that in breast cancer cells, miR-155 promotes the following processes: the cell proliferation, tumor and colony growth, inhibits apoptosis and cell cycle arrest through the suppressor of cytokine signaling 1 (socs1) (Johansson *et al.* 2013).

Iorio *et al.* (2005) found that the miRNA expression patterns were significantly different between normal and neoplastic breast tissues; They have found that the levels of miR-125b, miR-145, miR-21, and miR-155 significantly reduced among the BSs tissues. According to this studies the expression of miRNAs correlated with the following specific BC bio-pathologic feature: tumor stages, proliferation index, estrogen, and progesterone receptor expression, and vascular invasion. Petrovic *et al.* (2016) identified that miR-155 is involved in early stages of breast cancer development. Presumably, miR-155 involved in the regulation of late phases, such as

lymph node metastasis and tumor-promoting inflammation. Based on this study, miR-155 might be a suitable biomarker for anti-miR therapies alone and together with other miRNAs including oncomiR-21, and maybe for a screening of potential micrometastases that are not visible with standard diagnostic procedures. According to Roth and colleagues (2010), in the BC patients, the altered levels of miR10b (P = 0.01), miR34a (P = 0.003) and miR155 (P = 0.002) are associated with the presence of metastases. Therefore, their levels are increased accordingly to tumor progression. Marino *et al.* (2014) revealed that up-regulated levels of miR-183, miR-494, and miR-21 in women with metastatic breast cancer at clinical stage II.

microRNAs' diagnostic and therapeutic opportunities

Based on several investigations, it is expected that miRNAs represent useful for future targeted therapies (Marino *et al.* 2014). It is notable that many miRNA genes locate in genomic regions, which are involved in chromosomal alterations. Many scientists demonstrated that microRNAs (miRNAs) are new biomarkers for many malignancies, among them is metastatic BC. It is suspected that this is a new field of diagnosing and treatment metastatic BC (Heneghan et al. 2010). miRNAs in Cancer (Blenkiron *et al.* 2007). Have an important role in tumor development Differentially expressed based on molecular subtypes of tumor miRNA profiles can help classify tumor malignancies can determine drug resistance.

Dysregulation of miRNA expression affects the processes associated with cancer progressions, such as the escape from apoptosis, tissue invasion, and metastasis (Ruan *et al.* 2014). It is known that miRNAs are involved in tumor initiation through the regulation of cancer stem cell (CSC) properties (Hwang *et al.* 2014). In BC, some miRNAs have been identified as tumor suppressors or oncogenes and characterized as critical regulators of tumor initiation, metastasis, and chemoresistance.

- let-7 is a master regulator of cancer stem cell properties by inhibiting self-renewal and dedifferentiation of breast cancer cells via direct targeting of Ras genes and high mobility group AT-hook 2 (HMGA2), respectively (Yu *et al.* 2007).
- miR-205 and five members of the miR-200 family- inhibit epithelial to mesenchymal transformation which doesn't allow metastasis (Burk *et al.* 2008).

➢ miR-451 and miR-326 increase chemosensitivity of cells to doxorubicin by down-regulating efflux pumps (Kovalchuk *et al.* 2008). Also, miR-487a regulates the chemosensitivity of breast cancer cells to mitoxantrone (Ma *et al.* 2013).

➢ Secreted miRNAs: tumor cells release or shed miRNAs in vesicles called as exosomes (Mittelbrunn *et al.* 2011a; Valadi *et al.* 2007). The scientist is focused on removing or antagonizing tumor-derived exosomes as novel cancer therapy (Marleau *et al.* 2012).

Based on the massive investigation, it suggests miRNAs, has characteristic displayed lower toxicity and a more decreased immune response compared to protein-based drug complexes or plasmid DNA-based gene therapy. All taken together, miRNAs may be are have a possible function in BC treatment.

The investigations have shown that several strategies have been developed to target oncogenic miRNAs for cancer therapy. Among them, such as miRNA inhibitors, which bind to mature overexpressed miRNA. The targeting of specific miRNAs in cancer is useful to use a range of anti-miRNA techniques can block miRNAs with altered activities and free up previously silenced gene transcripts to translate into proteins.

These are usually tumor suppressors, can change some pathway in cancers, among them the following: DNA-repairing signaling pathways, or can increase drug/therapy sensitivity. All taken together is useful and improve patient treatment outcome and survival (Petrovic and Sercan, 2018). That miRNAs have the prominent role in inducing resistance to anti-cancer drugs. The studies showed that alterations mediate resistance to 5-fluorouracil in miR-21, miR27a/b, and miR-155, and sensitivity to docetaxel influenced by miR-98, miR-192, miR-194, miR-200b, miR-212, miR-424, and miR-214 (Geretto *et al.* 2017).

Conclusions:

Thus, the accumulating evidence has suggested that miRNAs **are involved in the molecular pathogenesis of breast cancer and represent different potential and progressive diagnostic markers. According to the literary, it suggests that circulating miRs have potential clinical importance as a future new biomarker. miRNAs differentially expressed in diseased tissues, plasma, serum and other body fluids. The**

main challenges in the use of miRNA signatures in the diagnostics are discovering specific miRNAs that can be used a specific biomarker, and potential diagnostic and therapeutic targets in breast cancer. Thus, the non-protein coding small microRNAs (miRNAs), may provide new opportunities in cancer research.

Reference:

Blenkiron, C., Goldstein L.D., Thorne N.P., Spiteri I., Chin S.F., Dunning M.J., Barbosa-Morais N.L., Teschendorff A.E., Green A.R., Ellis I.O., Eric A Miska. (2007). MicroRNA expression profiling of human breast cancer identifies new markers of tumor subtype. *Genome Biol.* 8.

Bora, R.S., Gupta, D., Mukkur, T.S., & Saini, K.S. (2012). RNA interference therapeutics for cancer: Challenges and opportunities (Review). Molecular Medicine Reports, 6, 9-15. https://doi.org/10.3892/mmr.2012.871.

Burk, U., Schubert, J., Wellner, U., Schmalhofer, O., Vincan, E., Spaderna, S., & Brabletz, T. (2008). A reciprocal repression between ZEB1 and members of the miR-200 family promotes EMT and invasion in cancer cells. *EMBO Reports*, *9*(6), 582–589. http://doi.org/10.1038/embor.2008.74.

Calin, G. A., Liu, C.-G., Sevignani, C., Ferracin, M., Felli, N., Dumitru, C.D. … Croce, C. M. (2004). MicroRNA profiling reveals distinct signatures in B cell chronic lymphocytic leukemias. *Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America*, *101*(32), 11755–11760. http://doi.org/10.1073/pnas.0404432101.

Chen, L. & Bourguignon, L.Y. (2014).Hyaluronan-CD44 interaction promotes c-Jun signaling and miRNA21 expression leading to Bcl-2 expression and chemoresistance in breast cancer cells. *Mol Cancer.* 13:52. doi: 10.1186/1476-4598-13-52.

Cochrane, D. R., Cittelly, D. M., Howe, E. H., Spoelstra, N. S., McKinsey, E. L., LaPara, K., … Richer, J. K. (2010). MicroRNAs Link Estrogen Receptor alpha Status and Dicer Levels in Breast Cancer. *Hormones & Cancer*, *1*(6), 306–319. http://doi.org/10.1007/s12672-010-0043-5.

Geretto, M., Pulliero, A., Rosano, C., Zhabayeva, D., Bersimbaev, R., & Izzotti, A. (2017). Resistance to cancer chemotherapeutic drugs is determined by pivotal microRNA regulators. *American Journal of Cancer Research*, *7*(6), 1350–1371.

Heneghan, H.M., Miller, N., Lowery, A.J., Sweeney, K.J., Newell, J., Kerin, MJ. (2010). Circulating microRNAs as novel minimally invasive biomarkers for breast cancer. *Ann Surg*, 251(3):499-505. doi: 10.1097/SLA.0b013e3181cc939f.

Hwang, W.L., Jiang, J.K., Yang, S.H., Huang, T.S., Lan, H.Y., Teng, H.W. … Yang C.Y.(2014). MicroRNA-146a directs the symmetric division of Snail-dominant colorectal cancer stem cells. *Nat Cell Biol*, 16(3):268-80. doi: 10.1038/ncb2910.

Iorio, M.V, Ferracin, M., Liu, C.G., Veronese, A., Spizzo, R., Sabbioni, S. ... Croce, C.M. (2005).MicroRNA gene expression deregulation in human breast cancer. *Cancer Res,* 65(16):7065-70.

Johansson, J., Berg, T., Kurzejamska, E., Pang, M.-F., Tabor, V., Jansson, M., … Fuxe, J. (2013). MiR-155-mediated loss of C/EBPβ shifts the TGF-β response from growth inhibition to epithelial-mesenchymal transition, invasion and metastasis in breast cancer. *Oncogene*, *32*(50), 5614–5624. http://doi.org/10.1038/onc.2013.322

Kovalchuk, O., Filkowski, J., Meservy, J., Ilnytskyy, Y., Tryndyak, V.P., Chekhun, V.F. & Pogribny I.P. (2008). Involvement of microRNA-451 in resistance of the MCF-7 breast cancer cells to chemotherapeutic drug doxorubicin. *Mol. Cancer Therapeutics*, 7(7):2152-9. doi: 10.1158/1535-7163.MCT-08-0021.

Ma, M.T., He, M., Wang, Y., Jiao, X.Y., Zhao, L., Bai, X.F. … Wei, MJ.(2013). MiR-487a resensitizes mitoxantrone (mx)-resistant breast cancer cells (MCF-7/MX) to MX by targeting breast cancer resistance protein (BCRP/ABCG2). *Cancer Lett,* 339(1):107-15. doi: 10.1016/j.canlet.2013.07.016.

Marino, A. L., Evangelista, A. F., Vieira, R. A., Macedo, T., Kerr, L. M., Abrahão-Machado, L. F., … Marques, M. M. (2014). MicroRNA expression as risk biomarker of breast cancer metastasis: a pilot retrospective case-cohort study. *BMC Cancer*, *14*, 739. http://doi.org/10.1186/1471-2407-14-739.

Marleau, A. M., Chen, C.-S., Joyce, J. A., & Tullis, R. H. (2012). Exosome removal as a therapeutic adjuvant in cancer. *Journal of Translational Medicine*, *10*, 134. http://doi.org/10.1186/1479-5876-10-134.

Meister, G., Landthaler, M., Dorsett, Y., Tuschl, T. (2004). Sequence-specific inhibition of microRNA- and siRNA-induced RNA silencing. *RNA*, *10*(3), 544–550. http://doi.org/10.1261/rna.5235104.

Mittelbrunn, M., Gutierrez-Vazquez, C., Villarroya-Beltri, C., Gonzalez, S., Sanchez-Cabo, F., Gonzalez, M.A., Bernad, A. & Sanchez-Madrid, F. (2011). Unidirectional transfer of microRNA-loaded exosomes from T cells to antigen-presenting *cells. Nat. Commun.* doi: 10.1038/ncomms1285.

Perou, C.M., Sorlie, T., Eisen, M.B., van de Rijn, M., Jeffrey, S.S. …Botstein, D. (2000). Molecular portraits of human breast tumours. *Nature,* 406(6797):747-52.

Petrovic, N., Kolakovic, A., Stankovic, A., Lukic, S., Sami, A., ,Živkovi, ´M. and Manduši, V. (2016). A miR-155 expression level changes might be associated with initial phases of breast cancer pathogenesis and lymph-node metastasis. *Cancer Biomarkers,* 16(3):385–394; DOI 10.3233/CBM-160577.

Petrovic, N. & Ergun, S.· (2018). miRNAs as Potential Treatment Targets and Treatment Options in *Cancer. Mol Diagn Ther.* 22(2):157-168. doi: 10.1007/s40291-017-0314-8.

Roth C[1], Rack B, Müller V, Janni W, Pantel K, Schwarzenbach H. (2010). Circulating microRNAs as blood-basedmarkers for patients with primary and metastatic breast cancer. *Breast Cancer Research,* 12(6):R90. doi: 10.1186/bcr2766.

Ruan, Q., Wang, P., Wang, T., Qi, J., Wei, M., Wang, S., … Chen, Y. H. (2014). MicroRNA-21 regulates T-cell apoptosis by directly targeting the tumor suppressor gene *Tipe2. Cell Death & Disease*, *5*(2), e1095–. http://doi.org/10.1038/cddis.2014.47.

Taylor, D.D. & Gercel-Taylor, C. (2008). MicroRNA signatures of tumor-derived exosomes as diagnostic biomarkers of ovarian cancer. *Gynecol. Oncol,* 110(1):13-21. doi: 10.1016/j.ygyno.2008.04.033.

Valadi, H., Ekstrom, K., Bossios, A., Sjostrand, M., Lee, J.J. and Lotvall J.O. (2007). Exosome-mediated transfer of mrnas and microRNAs is a novel mechanism of genetic exchange between cells. Exosome-mediated transfer of mrnas and microRNAs is a novel mechanism of genetic exchange between cells. *Nat. Cell Biol,* 9:654–659.

Ye, Z., Ma, G., Zhao, Y., Xiao, Y., Zhan, Y., Jing, C. ... Yu, S. (2015). miR-429 inhibits migration and invasion of breast cancer cells in vitro. International Journal of Oncology, 46, 531-538. https://doi.org/10.3892/ijo.2014.2759.

Yao, H., Zhu, P., Zhang, X., Pan, Q., Gong, C. …Song, E. (2007). let-7 regulates self renewal and tumorigenicity of breast cancer cells. *Cell,* 131:1109–1123.

"RARE AND NEGLECTED"

Vaibhav Babel

e-mail: vaibhavbabel108@gmail.com

Natural science and health care; public health & clinical medicine; 3rd year

Supervisor: Teona Varshalomidze

Invited lecturer; Department of Clinical Medicines (BSU)

ABSTRACT

What if you are unique and nobody cares for you? Over the past 20 years there has been an explosion of knowledge, new techniques and treatments for patients with common cancers, but rare cancers which account for about 22% of all cancers diagnosed worldwide are neglected. My topic is a challenging area of study but is inadequately addressed. Multiple reasons being difficulties in carrying out clinical trials & research, lack of expertise, diagnostic and therapeutic developments. The most important feature of a rare cancer is that our patient feels isolated, only few survivors or no available support network. Rare is the disease and so are the doctors as well as the technology. Since rare cancers are falling behind, I want to draw attention and emphasize their importance. Many International organizations are also working for its control and prevention. This review summarizes the current challenges and issues in the interpretation & management of rare cancers including a case study on Blastic Plasmacytoid Dendritic Cell Neoplasm (BPDCN).

There is a lot more to be done, with many other countries (including Georgia) yet to contribute to the output. No country has all sources to cure all rare cancers. Countries have to come together to share ideas and resources.

KEY WORDS: rare cancers, BPDCN, haematologic malignancies

INTRODUCTION: REVIEW OF RELATED LITERATURE

1.1Global problem:

Rare cancers are any tumours that involve a small percentage of the population in any age groups. In the United States (US), the National Institute of Health (NIH) describes a rare disease or otherwise called orphan disease, as one with a prevalence of less than 200,000 persons per year. [1][2] Rare cancers, when projected as a separate entity, impose a major burden to human race in both developed and developing countries. These diseases may occur in any age group, gender or organ. Etiologic data on rare cancers are limited, and the pathological and molecular patterns are still obscure.

Rare tumours constitute about 22% of all reported cases of cancers. This is higher than any single frequent cancers such as breast cancer (16%), colorectal cancer (13%), lung cancer (13%) and prostate cancer (12%).[8]

Europe has initiated effort and it is hoped that other countries, particularly developing countries like India, Georgia and other resource-limited countries, will see the importance and potential benefit of studies on rare cancers. The International Rare Cancers Initiative (IRCI) has selected nine rare cancers in adults that include anaplastic thyroid cancer, small bowel adenocarcinoma, fibro lamellar hepatocellular carcinoma, gynaecological sarcoma, salivary gland cancer, thymoma, penile cancer, relapsed/metastatic anal cancer and ocular melanoma. The selection of these cancers by IRCI was based not only on the rarity of the disease but also ensuring that there were no existing randomized controlled trials and international trial group for these diseases. Cancer incidence varies significantly from one continent to another.[6][7] The incidence is fast increasing in developing countries, where nationwide prevalence is fast mounting those accounted in Western Europe and North America. Figures from population-based cancer registries from India and China indicate that actual occurrence of cancer is low in Asia as compared to Western Europe and North America.[11]

There are many differences in population demographics in resource-limited countries leading to improper recording of cancer incidence data. The distribution, incidence rate and types of rare cancers are also different in various regions. Currently, rare cancers are of public attention but not certainly a health priority in

many countries, and hence, definite guidelines feasible to each country should be made based on their resources. The Orphan Drug Act from the European Union (EU) legislation became effective to encourage for the improvement of therapies for rare cancer. Such programmes have been recommended as key steps to encourage integrity in the development of drug practice for cancers with distinct occurrence.

1.2 Definition of rare cancers

A correct definition for rare cancer does not exist. The problem with the definition is that it is grounded on incidence, which does not accurately reveal the health burden of disease events such as malignancy. Rare cancers are recognized as those with a prevalence of less than 6/100,000 persons per year. It should be remembered that the study of rare cancers is not limited to rare histologic variants, but also it includes sub-groups that can be difficult to study in common cancers (*e.g.* T4N0 breast cancer). Conversely, rare cancers can be rare episodes of common cancers that present in uncommon hosts such as male breast cancer. [5]

To evaluate the epidemiology of rare tumours as a whole in a large and heterogeneous population, the project Surveillance of Rare Cancers in Europe (RARECARE) collected data on cancers from 89 population-based cancer registries in 21 EU countries. Working from this database, a RARECARE working group generated a new list of cancers (186 rare cases) and formulated a new definition of rare cancers. The list was developed by a team of oncosurgeons, oncopathologists, haematologists, physicians and epidemiologists.[6]

The National Institutes of Health (NIH) has elucidated that subtyping within a rare disease could also be regarded as rare .[4][6]With this delineation, when compared to cancers of childhood, frequent epithelial cancers that are diagnosed in adults would be regarded as a 'rare' disease. Initially the term 'rare tumour' was mostly reserved for non-epithelial tumours.

The different incidence and prevalence of some type of cancers in one region say; India ,and their rarity in western countries may be due to the extensive diversity of dietary, geography, lifestyle and environmental exposures, as well as the genetic variation among people. Therefore the aetiology of many of these malignancies is still obscure.

1.3 Proportions of common, less common, rare and very rare cancers:

There are 198 different types of rare cancer, but only a small number of people are diagnosed with each type. The diagram below shows where in the body rare cancers might develop. About one in five rare cancers affect the blood and lymphatic system. These include leukaemias and some types of lymphoma.[11]

1.4 Reasons that a cancer might be rare:

Most cancers start in certain types of cells, such as skin cells and the cells lining the organs of the body. A rare cancer might start in a different type of cell than usual, for example in a bone cell. A rare cancer might be a subtype of a more common cancer. For example, non-Hodgkin lymphoma (NHL) is one of the 10 most common types of cancer. But there are many subtypes of NHL. Some of these are very rare. The cancer may be in an unusual part of the body for that type of cancer. For example, melanoma (a type of skin cancer) that starts in the eye. It may affect a child or teenager. All cancers in children and teenagers are considered rare cancers. [5]



Fig 1.4 a: Parts of the body that are affected by rare cancers

2. BEING DIAGNOSED WITH A RARE CANCER

A rare cancer can be difficult to diagnose. You may need to have more tests (samples may need to be sent to a specialist lab) than people with more common cancers. You may be referred to more than one specialist as the doctors try to find and understand what type of cancer you have. There are a number of reasons why there may be a delay in diagnosing a rare cancer:

- The symptoms may be similar to common conditions and are unusual and less known to doctors.
- The cancer develops in a person 'not expected' to get cancer. This is especially the case in young adults and teenagers. Because cancer in younger people is rare, doctors may look for causes other than cancer when a young person has symptoms.[4][7]

2.1 Brief Summary Of My "Case Study" On John Doe:

I was fortunate enough to first come in contact with my patient (John Doe) at BAU International Hospital. With enormous help from Teona Varshalomidze and confidentiality access from the family of the patient (getting all reports ,scans and updates) I understood and connected my topic with the patient and prepared this case study.

- **Patient**: 67 y.o male, wıth prostate problems and hypertensıon
- **Symptoms: April 2017**- presented with sore throat, earache and submandibular LAP. After symptomatic treatment patient recovered.
- But at the beginning of **May 2017**; immediate deafness, problems with vision, urological problems and skin lesions. Urgently referred to urologist and ENT specialist.
- Lab reports was neglected by hematologist and started treatment for hearing loss. In June 2017 CBC was repeated. And patient was transferred to Tbilisi for further investigation.
- **Diagnosis:** hematologist made bone aspiration, bone marrow biopsy, abdominal ultrasound because of enlarged spleen and liver, whole body MRI and puncture (cor)

- Biopsy of inguinal LAP. (Again neglected skin lesions, and excision biopsy of LAP not done). After all diagnostic tests there was **no** confirmed diagnosis.
- **Treatment** symptomatic treatment by corticosteroids was started (another wrong decision: before diagnosis starting treatment was not an ideal plan)
- In **August** there is no diagnosis: patient's condition is worsened.
- After this treatment is stopped and excisional biopsy of inguinal LAP is performed. Materials are sent to Turkey and at the beginning of **September** diagnosis of **ALL (acute lymphoblastic leukemia) was confirmed** (misdiagnoses)
- Patient is transferred to Ankara University hospital, because of previous treatment and spent time immediately chemotherapy was started, at the end of first course bone marrow biopsy was made and **last diagnose of rarest hematological cancer- Blastic plasmacytoid Dendritic cell neoplasm (BPDCN) was confirmed.**
- The only treatment for this case **is Bone marrow transplantation**. Unfortunately because of late target treatment CNS is involved.
- Give attention to all symptoms and presentations at the beginning, try to connect all symptoms and signs to one diagnosis. With proper ability, possible teamwork of doctors to **"IDENTIFY THE ZEBRAS"** this diagnosis could have been caught earlier.

2.2 Diagnostic issues of rare cancers:

Rare cancers are usually interpreted based on histopathological examination. There is an urgent need to expand methodologies for improving diagnostic accuracy so as to minimize interpretational errors and, thus, guide successful treatment options. Diagnostic accuracy coupled with appropriate treatment policies would ultimately help patients with rare tumours improving survival and quality of life, while simultaneously maintain healthcare expenditures at a reasonable level.[1][7]

- The study of rare cancers is complex at various stages.
- First, to make sure that sufficient diagnostic sample is obtained and that specimen is handled properly.

- Second, the tissue collected in the biorepository should be of the best quality. Accurate diagnosis and classification of the cancer are possible only by receipt of high-quality specimens.
- Third, the traditional tumour classification and diagnostic practices should be replaced.
- There is a need to exploit methylation analysis, copy number variation analysis, single nucleotide polymorphism arrays, signalling pathway analysis, whole-genome sequencing, *etc.*, to develop distinct tumour classification for rare cancers on the basis of their molecular/genetic makeup.

3. International Rare Cancers Initiative (IRCI):

The aim of the IRCI any many such organization is to facilitate international clinical trials for rare tumours to enhance the improvement of new therapies for better prognosis of these diseases. It brings together international professionals and experts in rare cancers to prioritize global rare cancer policies, it organizes face-to-face discussions and teleconferences to initiate possible clinical trial proposals to be discussed and developed.

3.1 "Learn from the Rare":

It has been confirmed many times that there is a lot to be learned from research on rare diseases and rare cancers.

For example,

- Research on Fanconi anaemia has provided insights into disease mechanisms of bone marrow failure, cancer, and the resistance to chemotherapy. Studies on Wilms' tumour (a rare paediatric cancer) too was promising, productive and useful.
- The development of imatinib for the treatment of chronic myeloid leukaemia (CML) has set "a new paradigm for the treatment of cancer with molecularly targeted therapies".[11]
- It is well understood that most research funding goes into the common cancers (breast, colon, lung and prostate) so most significant therapeutic advances are made in common cancers. However, a recent study reports that

novel cancer treatments have their most striking effects in rare cancers, suggesting that "only by stratifying the common tumours, especially when using targeted agents, into the molecular subsets of diseases that compose them are we likely to achieve a substantial effect in these disorders."

4. Management issues of rare cancers:

Cancer treatment is planned by a team of specialists called a multidisciplinary team (MDT). There are various regimens depending on the cancer type and condition of the patient. A treatment approach that has been applied for one patient with rare tumour will not necessarily be effective for other patients. Information from early-phase clinical trials also can lead to hypothesis of possible therapy in rare tumours. Lack of definite treatment protocol and research leaves clinicians with no obvious approach to treat patients. Another approach is to search for the underlying mechanisms involved in the histogenesis of the rare cancers in laboratories and through translational studies. You may be invited to take part in a cancer research trial (clinical trial) as part of your treatment. [3]

4.1 Challenges in rare cancer:

Coping and Getting Information about a Rare Cancer. Having a rare cancer can bring extra challenges, such as greater uncertainty and isolation. You may need to travel further from home for treatment for a rare cancer. You may also feel your family and friends don't understand what you are coping with. Getting information to help you make the best decisions could be difficult, followed by practical issues like finances. Your cancer team and various Patient organisations at the hospital will know the details of your situation and are in the best position to give you information and support. Lack of International collaboration and support for research and clinical trials.possibly due to small number of sample population. Scientific understanding of rare tumours is usually gained from case reports or anecdotal evidence, single-institution case series etc. which are not sufficient.

5. Conclusion and recommendations:

Rare cancers have not been much investigated because of their low prevalence. That is why epidemiological studies have difficulties in identifying aetiological risk factors. The resources to identify and explain rare cancer incidence, aetiology, prevention, diagnosis and therapies have been suboptimal, leaving patients, specialists and policymakers with limited information. Low prevalence is a main barrier to conducting clinical trials to device efficient treatments. The incidence of rare cancers may also differ in different countries. In India, considering the population size, the number of patients with rare cancer may be high. There is a lot more to be done, with many other countries (including Georgia) yet to contribute to the output. [5][1][8]

1)No country has all sources to cure all rare cancers.

2) Rare is disease and so are the doctors, tech, knowledge, and the treatment.

3) Countries have to come together to share ideas and resources.

❖ It's hard, for doctors who are supposed to be experts to say that they don't know, yet patients deserve answers!

4) One method to improve treatment results is to address the complexity of care and to promote more teamwork in care.

❖ reference networks could be created in hospitals.

❖ Don't forget about the zebra.

BIBLIOGRAPHY:

1. Komatsubara KM, Carvajal RD. The promise and challenges of rare cancer research. *Lancet Oncol*. 2016;17: 136-138. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/26868336

Raveendran K. Pillai and K. Jayasree, (Jan, 2017), "Rare cancers: Challenges & issues", [accessed on March, 2018], https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5460568/

3. http://www.essoweb.org/projects/rare-cancers-europe-esso-commitment/
4. https://www.cancer.gov/
5. http://euracan.ern-net.eu/
6. The European Cancer Patient Coalition (ECPC), (2013), "Biobanking", [accessed on March, 2018], http://www.ecpc.org/edu/biobanking
7. https://www.cancer.net/ http://www.rarecancerseurope.org/Links/Rare-Cancer-Type-Specific-Patient-Support-Organisations-and-Sites https://www.cancer.org/research/acs-researchers/nobel-laureates-american-cancer-society.html
8. https://rarecancer.org/
9. RARECARE Cancer List, [accessed on March, 2018], http://www.rarecare.eu/rarecancers/rarecancers.asp
10. https://www.macmillan.org.uk/information-and-support/audience/rare-cancers
11. American cancer society https://www.cancer.org/

თერმული რეჟიმის ცვლილება აჭარაში გლობალური პროცესების ფონზე

დავით ბაკურაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, გეოგრაფია, მე-2 კურსი
ელ. ფოსტა: davit.bakuradze98@gmil.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანთაზ ქიქავა,
გეოგრაფიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალურ პროცესებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლიმატის ცვლილებას. ის თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და გარემოსთვის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. კლიმატის ცვლილებაში უპირველესად იგულისხმება დედამიწაზე ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის მატება. ამ პროცესს საქართველოსათვის, მათ შორის, აჭარის რეგიონისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული საკონფერენციო თემის ძირითადი მიზანია აჭარის რეგიონის 2001-2005 წლების ჰაერის ტემპერატურის მონაცემების მრავალწლიურ მონაცემებთან შედარება, რათა დავადგინოთ ცვლილების კანონზომიერებები და ტენდენციები. თერმული რეჟიმის ცვლილების შესაფასებლად გამოვიყენეთ სტასტიკური, შედარებისა და ანალიზის მეთოდები. შესაბამისად, მივიღეთ სურათი, თუ როგორ შეიცვალა ჰაერის საშუალო ტემპერატურა აჭარის 6 სხვადასხვა სადგურში. როგორც ნაშრომში აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა, აჭარის მთლიან ტერიტორიაზე მიმდინარეობს ტემპერატურის ნელი ზრდა, რომელიც სტაბილურად მზარდია და მომავალში კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს მიიღებს. ზრდის ტემპები განსხვავებულია ზღვისპირა, საშუალომთიანი და მაღალმთიანი ზონების მიხედვით. აჭარის რთული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა და ა.შ. კლიმატის

ცვლილებამ შეიძლება აღნიშნული სტიქიური მოვლენები გაამძაფროს და გახშიროს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, აუცილებელია განუწყვეტლივ შევისწავლოთ აღნიშნული პროცესი, გავაკეთოთ მიახლოებითი პროგნოზები და მიღებული ცოდნა გამოვიყენოთ რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, აჭარის თერმული რეჟიმი, კლიმატის ცვლილების სცენარები.

შესავალი

კლიმატის ცვლილება თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და გარემოსთვის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროცესს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მასთან ადაპტაცია ქვეყნის განვითარებადი ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს.

თავისი უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს რეგიონებს შორის აჭარას გამორჩეული ადგილი უჭირავს. მკვეთრად გამოხატული ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, ზღვისპირა პლაჟებითა და ჭაობიანი დაბლობებით დაწყებული და ალპური მდელოებით დამთავრებული ლანდშაფტების მრავალფეროვანი ერთობლიობა, წყლისა და ტყის მდიდარი რესურსები, მთელ ტერიტორიაზე თითქმის თანაბრად განაწილებული კურორტები და საკურორტო ადგილები განაპირობებს აჭარის ეკონომიკისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მიმართ სულ უფრო მზარდ ინტერესს.

იმისათვის, რომ შევაფასოთ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით აჭარაში თერმული რეჟიმის ცვლილება, აუცილებელია გამოვიკვლიოთ ამჟამად არსებული ტემპერატურული მონაცემები და შევადაროთ ისინი მრავალწლიურ მონაცემებს. შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური, შედარებისა და ანალიზის მეთოდები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ცვლილების ტენდენციები და, შეძლებისდაგვარად, გავაკეთოთ პროგნოზები. თერმული რეჟიმის ცვლილების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

მცირე ზომის, მთიანი რეგიონებისათვის, რომელთა ჯგუფსაც მიეკუთვნება აჭარა, სადაც ამინდი და კლიმატი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს ყოველდღიურ ცხოვრებასა და რიგი ეკონომიკური სექტორების დაგეგმვა-განვითარებაში.

კლიმატის გლობალური ცვლილება

ზოგადი მიმოხილვა. კლიმატის გლობალურ ცვლილებაში უპირველესად იგულისხმება დედამიწაზე ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის მატება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული კლიმატის გლობალური ცვლილების ყველა პერიოდისგან განსხვავებით, თანამედროვე კლიმატის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობითა და ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენებით, რაც იწვევს ატმოსფეროში ე.წ. „სათბურის აირების“ კონცენტრაციების ზრდას. დედამიწის ატმოსფეროში სათბურის აირებია: ნახშირორჟანგი, აზოტის ქვეჟანგი, მეთანი, წყლის ორთქლი და სხვ. ეს აირები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დედამიწის სათბურის ეფექტის ჩამოყალიბებაში, ამიტომ ეწოდებათ მათ სათბურის აირები [**4. გვ. 5**].

სათბურის ეფექტი. ცნობილია, რომ ატმოსფეროდან მოსული მზის გამოსხივება (ანუ ენერგია) დედამიწის ზედაპირზე სითბურ ენერგიად გარდაიქმნება, დედამიწის ზედაპირი თბება და ატმოსფეროში სითბოს ასხივებს. ატმოსფეროში არსებული სათბურის აირები შთანთქავენ დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებულ სითბოს, რის შედეგადაც ატმოსფეროს ქვედა ფენები თბება და სითბოს გარკვეული ნაწილი უკანვე უბრუნდება დედამიწას. ასე იქმნება დედამიწის ზედაპირის სითბური რეჟიმი და ყალიბდება კლიმატი. ატმოსფერო რომ არ შეიცავდეს სათბურის აირებს, ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე +14 – +15°C-ის ნაცვლად -18°C იქნებოდა [**4. გვ. 6**].



ნახ. 1. დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე სათბურის ეფექტი [4. გვ. 6]

გლობალური დათბობა. ტერმინი „გლობალური დათბობა“ ასახავს იმ ფაქტს, რომ, რაც უფრო მეტი ნახშირორჟანგი (ან სათბურის სხვა აირი) დაემატება ატმოსფეროს და შთანთქავს დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებულ სითბოს, მით უფრო მოიმატებს ჰაერის ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე. ადამიანის სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში იფრქვევა სათბურის აირები. ამ აირების ზემოქმედებით გასულ საუკუნეში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა 0,6 – 0,7°C-ის ფარგლებში გაიზარდა. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე დედამიწაზე დათბობის პროცესი საგრძნობლად გაძლიერდა (იხ. ნახ. 2) [**4. გვ. 8**].

სხვათა აზრით, გლობალური დათბობა შეიძლება ჩაითვალოს როგორც ბუნებრივი პროცესების შედეგი. ბევრისათვის არგუმენტია ის, რომ ვულკანის ამოფრქვევა, მზის ლაქები ან თუნდაც დედამიწის ბრუნვა იწვევს გლობალური ტემპერატურის აწევას. თუმცა, მეცნიერების გარკვეული ჯგუფი დედამიწაზე ტემპერატურის ზრდას უკავშირებს ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის მომატებას (იხ. ნახ. 3). კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭოს (IPCC) თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ შევამცირებთ ენერგიის მიღების მიზნით საწვავის გამოყენებას სახლში, წარმოებაში, ავტომანქანებში და სხვაგან, 2100 წლისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობა ორჯერ გაიზრდება და გამოიწვევს საშუალო გლობალური ტემპერატურის გაზრდას 1°C-3,5°C-ით (იხ.ნახ.4) [**4. გვ. 8**].



ნახ. 2. საშ. გლობ. ტემპ. ცვლილება (1880 – 2005 წწ.) [4. გვ. 8]



ნახ. 3. ატმოსფერული CO_2-ის კონც. ცვლილება (1854-1998წწ.) [4. გვ. 8]



ნახ. 4. გლობალური ტემპერატურის სავარაუდო ცვლილება [4. გვ. 8].

კლიმატის ცვილების შედეგები. დედამიწაზე კლიმატის დათბობა მთელ პლანეტაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს და ცხოვრებას გაართულებს. დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის მომატება გამოიწვევს ისეთ პროცესებს, როგორებიცაა: უფრო ცხელი და მშრალი კლიმატი მთელ მსოფლიოში, გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება, ზღვის დონის აწევა, შტორმები, გახშირებული წვიმები. გავლენას იქონიებს ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და სხვა [4. გვ. 15].

აჭარის კლიმატის ზოგადი დახასიათება

მიუხედავად არცთუ ისე დიდი ტერიტორიისა, აჭარის ბუნება გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. შავ ზღვასთან უშუალო მეზობლობამ, დაბლობების, ხეობებისა და მაღალი მთების მონაცვლეობამ, რეგიონში წარმოშვა საკმაოდ განსხვავებული კლიმატური ზონები, რომელთა განლაგება, 1990-იან წლებამდე ჩატარებული

მეტეოროლოგიური დაკვირვებების მიხედვით, წარმოდგენილია მე-5 ნახაზ-ზე [2. გვ. 27].



ნახ. 5. აჭარის კლიმატური ზონები [2. გვ. 28]

ამ ნახაზიდან ჩანს, რომ აჭარის ტერიტორიაზე გამოიყოფა 7 კლიმატური ზონა და მათგან მეტი წილი უჭირავს მე-3 და მე-4 კლიმატურ ზონებს, რომ-ლებიც ხასიათდება ზომიერად ცივი/ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბი-ლი/გრილი ზაფხულით.

მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით, აჭარის ზღვისპირეთში და მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლში ჰავა არის ნოტიო და თბილი, სუბტროპიკული. ამ ზონაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13-14,5°C-ს უდრის; იანვრის საშუალო ტემპერატურა 6-7°C-ს შეადგენს; აგვის-ტოში 22-23°C-ს შეადგენს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -9°C-მდე ჩამოდის, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +43°C-ს აღწევს. საშუალო მთიან სარტყელში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 8-12°C-ია. ტემპერატუ-რის აბსოლუტური მინიმუმი -18°C-მდე ეშვება, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +39°C-ს აღწევს. აჭარის მაღალმთიან სარტყელში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -20 - -24°C-მდე ჩამოდის [1. გვ. 12-13].



ნახ. 6. ტემპ. ცვლილება ადგილის სიმაღლის მიხედვით აჭარაში [2. გვ. 29]

თერმული რეჟიმის ცვლილება აჭარაში

აჭარის ტერიტორიის კლიმატურ მონაცემებზე დაკვირვება სხვადასხვა პერიოდში ხორციელდებოდა 35-მდე მეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე. მათგან თერმული რეჟიმის ცვლილების შესაფასებლად კვლევისათვის შევარჩიე 6 სადგური, რომელთა მონაცემები შედარებით სანდოა და დაკვირვების რიგები გრძელი. ეს სადგურებია: კახაბერი, ჩაქვი, ქობულეთი, შუახევი, ხულო და გოდერძის უღელტეხილი. ამ სადგურებიდან სამი (კახაბერი, ჩაქვი, ქობულეთი) სანაპირო ზონასთან მდებარეობს, ხოლო გოდერძის მეტეოსადგური მაღალმთიან ადგილას, ზღვის დონიდან 2025 მ-ზეა განთავსებული. ხულოსა და შუახევის მეტეოსადგურები შუალედურ ზონას აღწერენ, ხულოს მეტეოსადგური მდებარეობს 923 მ სიმაღლეზე.

აჭარის სანაპირო ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა 13-14,5°C-ს შეადგენს. განხილულ მეტეოროლოგიურ სადგურებს შორის ყველაზე თბილი კახაბრის (14,3°C), ხოლო ყველაზე ცივი - გოდერძის უღელტეხილია (2,4°C). ყველგან ყველაზე ცივი თვე - იანვარი, ხოლო ყველაზე ცხელი - აგვისტოა (შუახევის გარდა).

კვლევისათვის გამოვიყენე გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე გამოვთვალე 2001-2005 წლების თითოეული

თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა[1] და, შესაბამისად, თითოეული წლის ჰაერის საშუალო ტემპერატურა. მიღებული ციფრები შევადარე ტემპერატურის მრავალწლიურ მაჩვენებლებს.[2]





[1] ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიას გოდერძის სადგურთან დაკავშირებით ჰქონდა მხოლოდ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მრავალწლიური მაჩვენებელი;

[2] თითოეული სადგურისთვის დაკვირვების რიგები განსხვავებულია, თუმცა არცერთისთვის არ შეადგენს 50 წელზე ნაკლებს.


ქობულეთი
ჰაერის ტემპერატურა (°C)
30.0
20.0
10.0
0.0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12
თვეები
2001-2005
მრავალწლიური


შუახევი
ჰაერის ტემპერატურა (°C)
25.0
20.0
15.0
10.0
5.0
0.0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12
თვეები
2001-2005
მრავალწლიური


ხულო
ჰაერის ტემპერატურა (°C)
25.0
20.0
15.0
10.0
5.0
0.0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12
თვეები
2001-2005
მრავალწლიური



კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლიმატმა აჭარის ტერიტორიაზე შემდეგი ცვლილებები განიცადა:

- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა შეინიშნება ყველა სადგურზე, თუმცა ზრდის ტემპი განსხვავებულია. ის ყველაზე მაღალია ქობულეთში (0,8°C), ხოლო ყველაზე დაბალი - შუხევში (0,06°C);
- ტემპერატურის ზრდა კახაბერში, ჩაქვში, ქობულეთსა და ხულოში დაიკვირვება ზამთრისა და ზაფხულის პერიოდში, ხოლო გაზაფხული და შემოდგომა შედარებით სტაბილურია. ამ მხრივ კანონზომიერება არ აღინიშნება შუახევში;
- აჭარის ტერიტორიაზე ტემპერატურის მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მის სანაპირო ზონაში აღინიშნება;
- ხუთივე სადგურის (კახაბერი, ჩაქვი, ქობულეთი, შუახევი, ხულო) ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა იანვრის თვეში. ეს მაჩვენებლები, სადგურების მიხედვით, შესაბამისად ტოლია 1,6, 1,3, 1,5, 2,7 და 1,8°C-ის.
- ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კახაბერში, ჩაქვსა და ხულოში აღინიშნა აპრილის თვეში, შუახევში - სექტემბერში, ხოლო ქობულეთში - ივნისსა და დეკემბერში.

თერმული რეჟიმის მოსალოდნელი ცვლილება აჭარის ტერიტორიაზე

იმისათვის, რომ შევაფასოთ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, ჩვენ გვესაჭიროება კლიმატის ცვლილების სცენარები, მომავლის კლიმატის პროგნოზები, რომლებიც

კლიმატური სისტემის მათემატიკური მოდელირებით მიიღება საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სცენარით განვითარების პირობებში. ასეთი მოდელირებული კვლევები იძლევა მომავალი კლიმატური პარამეტრების ალბათურ ნაკრებს, რომლებზე დაყრდნობითაც ფასდება სხვადასხვა ქვეყნის მდგრადობის ხარისხი კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედებისადმი და დგინდება მისგან გამომდინარე რისკები, მუშავდება ადაპტაციისა და უარყოფითი შედეგების შემსუბუქების სტრატეგიები ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის [**5. გვ. 43**].

2021-2050 წწ. პერიოდისთვის 1961-1990 წწ. პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა სავარაუდოდ 1,3°C – 1,6°C-ით მოიმატებს. მართალია, განსხვავება მცირეა, მაგრამ ყველაზე ინტენსიური დათბობა ამ პერიოდში კახეთის რეგიონში მოხდება [**5. გვ. 47**]. 2050 წლისათვის აჭარის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა საშუალოდ 1,5°C-ით 1961-1990 წლებთან შედარებით. მატება აღინიშნება ყველაზე სეზონზე, თუმცა განსაკუთრებით თბება ზაფხული (≈2,2°C), რაც თანხვედრაშია კლიმატის მიმდინარე ცვლილების ტრენდებთან [**2. გვ. 38**].



ნახ. 7. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილება 2021-2050 წწ. პერიოდისთვის [5. გვ. 47].

როგორც ნახ.7.-დან ჩანს, აჭარის ტერიტორიაზე ყველაზე მეტად დათბება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიები, ზღვისპირა ნაწილში ყველაზე ნაკლები ცვლილება ივარაუდება, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტი, ამ შეთხვევაში, შუალედურ პოზიციას იკავებს.

დასკვნა

დღესდღეობით, კლიმატის ცვლილება კაცობრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ პრობლემის წინაშე დგას საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური რეგიონი - აჭარა. მისი უნიკალურობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორის აღსანიშნავია ის, რომ იგი წარმოადგენს სუბტროპიკული კლიმატითა და შესაბამისი რეკრეაციული რესურსებით დაჯილდოებულ ადგილს, რომელსაც ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ბუნებრივი პირობები აქ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, რის გამოც აჭარა შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული პრიორიტეტის ორივე მიმართულების - ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სანიმუშო ტერიტორიად, ანუ სანიმუშო პოლიგონად, სადაც ამბიციური მიზნების მისაღწევად უნდა დაინერგოს უახლესი ტექნოლოგიები.

ამ გზაზე ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს აჭარის რთული ბუნებრივი პირობები, რაც გამოიხატება შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირების ინტენსიურ წარეცხვაში, უხვნალექიანობასა და მისგან გამოწვეულ დამანგრეველ სტიქიურ მოვლენებში - წყალმოვარდნებში, მეწყრებში, ღვარცოფებსა და თოვლის ზვავებში. აჭარის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებამ აღნიშნული სტიქიური მოვლენების გამძაფრება და გახშირება გამოიწვია.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, აუცილებელია კლიმატური პირობების, მათ შორის, უპირველესად, თერმული რეჟიმის ცვლილების ცოდნა. როგორც ნაშრომში აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა, აჭარის მთლიან ტერიტორიაზე მიმდინარეობს ტემპერატურის ნელი ზრდა, რომელიც სტაბილურად მზარდია და მომავალში უფრო გამოკვეთილ სახეს მიიღებს. აუცილებელია განუწყვეტლივ შევისწავლოთ აღნიშნული პროცესი, გავაკეთოთ მიახლოებითი პროგნოზები და მიღებული ცოდნა გამოვიყენოთ

წყლის რესურსების მართვისათვის, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის, გზების, რკინიგზისა და შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური და გეოეკოლოგიური პრობლემების ანალიზი“. მოძიებულია 3 აპრილი, 2018. http://environment.cenn.org/app/uploads/2016/10/12.pdf

2. „აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია“. მოძიებულია 3 აპრილი, 2018, http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/UNDP_GE_EE_Ajara_CC_2013_geo.pdf

3. გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის 2001-2005 წლების ჰაერის ტემპერატურის მონაცემები;

4. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - CENN, (2011) „კლიმატის გლობალური ცვლილება და საქართველო“. მოძიებულია 4 აპრილი, 2018,

https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18399e1839ae18398e1839be18390e183a2e18398e183a1-e18392e1839ae1839de18391e18390e1839ae183a3e183a0e18398-e183aae18395e1839ae18398e1839a.pdf

5. მერაბ გაფრინდაშვილი და სხვები, (2016). „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი“. მოძიებულია 4 აპრილი, 2018,

http://nala.ge/climatechange/uploads/RoadMap/RoadMap_Geo.pdf

Bakuridze Davit

Change of Thermal Regime in Ajara against the Background of Global Processes

Abstract

Among global processes, the climate change takes an important place . It is one of the major problems of the socio-economic development of the modern world and the environment. The climate change is primarily meant to increase the average annual temperature of the air on the Earth. This process has a great importance for Georgia, including the Adjara region. The purpose of this topic is to compare the data of the air temperature of 2001-2005 with the multiple data in order to identify the changes and the trends of the change. We have used stastic, comparative and analyzing methods to evaluate the thermal regime change. Consequently, we received a picture of how the air temperature had been changed in six different stations of Adjara. According to the research, it has shown that the slow growth of temperature in the entire territory of Adjara is stable and is likely to become more visible in the future. Growth rates vary depending on the seaside, middle and high mountainous areas. Due to the difficult natural conditions of Adjara, it is characterized by natural disasters such as landslides, mudflows, floods, etc. The climate change may exacerbate these natural disasters and become more frequent. Taking the circumstances into consideration, it is necessary to continually study the process, make approximate forecasts and use the knowledge for the sustainable development of the region.

Key words: climate change, thermal regime of Adjara, climate change scenarios.

აჭარის მოსახლეობის ძირითადი საკითხები

გურანდა ძირკვაძე
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, გეოგრაფია, მე-2 კურსი
ელ ფოსტა: dzirkvadzeguranda997@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ფუტკარაძე,
გეოგრაფიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში, ქალაქი ბათუმი ერთ-ერთი მზარდი დინამიური ქალაქია, რომლიც როგორც დემოგრაფიულად, ისე სოციალურ-ეკონომიკურად დაჩქარებული ტემპით ვითარდება. გამომდინარე აქედან, მისი შემდგომი განვითარება ეკონომიკური, დაგეგმარების და ეკოლოგიური თვალსაზრისით მოითხოვს მოსახლეობის შესწავლას, რომელიც გეოურბანისტული თვალსაზრისით საკმაოდ აქტუალური საკითხია. კვლევის ძირითადი მიზანია შესწავლილი იქნას ბათუმის მოსახლეობის ძირითადი საკითხები. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

- გარკვეული იქნას მოსახლეობის დინამიკის ისტორიული განვითარება და დადგინდეს მოსახლეობის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორები;
- შეფასდეს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ადგილი მოსახლეობის დინამიკაში და დადგინდეს მისი შემდგომი განვითარების ტენდენციები;
- გარკვეული იქნას მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დინამიკა და მისი ადგილი ქალაქის დემოგრაფიულ განვითარებაში;
- დადგინდეს მოსახლეობის დინამიკასთან დაკავშირებული დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. კვლევის დროს გამოყენებული იქნა: ისტორიული, შედარებითი, სტატისტიკური, სივრცე-დროის ანალიზის და სხვა მეთოდები. კვლევას დიდი სამსახური გაუწია სტატისტიკურმა მეთოდმა, რის საშუალებითაც განხორციელდა ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობრივი და თვისობრივი შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობის დინამიკა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

შესავალი

ბათუმი ერთ–ერთი ძველი დასახლებული პუნქტია, რომელმაც ქალაქის სტატუსი შედარებით გვიან, 1878 წელს მიიღო და იმ დროისათვის მისი მოსახლეობა 3000 კაცს შეადგენდა. ბათუმის თურქეთისაგან განთავისუფლებისა და დედა-საქართველოსთან შეერთების შემდეგ, დაიწყო მისი სწრაფი ტემპით განვითარება. იგი რუსეთის იმპერიაში წარმოადგენდა შავ ზღვაზე ყველაზე სამხრეთ-დასავლეთ ქალაქს, რომლის მნიშვნელოვანი ღირსება იყო მისი საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა.. ამავდროულად, ბათუმი წარმოადგენდა შავ ზღვაზე ერთ-ერთ ღრმა ფარვატერის მქონე საზღვაო პორტს, რომლის მნიშვნელობა იმპერიისათვის კომერციული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო. სწორედ, დასახელებულ გარემოებათა გამო, ბათუმის მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა და 1897 წლის სრულიად რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი აღწერის დროისათვის 28512 კაცამდე, 1878 – 1897 წლებში 950 %–ით, ანუ 9,5 ჯერ გაიზარდა.

ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა, რაც ნათლად ჩანს ცხრილ 1 - ში.

მოტანილი სტატისტიკური მონაცემები (ცხრ.1) ცხადყოფს, რომ ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის რიცხოვნობის სრული ანალიზისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყოთ ოთხი განსხვავებული პერიოდი: 1. რევოლუციამდელი პერიოდი 1878-1921 წლები; 2. საბჭოთა პერიოდი 1921-1989 წლები; 3. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი 1989-2012 წლები; 4. ბოლო პერიოდი 2013-2017 წლები;

პირველ პერიოდში - 1878-1921 წლებში - ბათუმის მოსახლეობა 3000 კაციდან, 35200 კაცამდე, 1173 %-ით, ანუ 11,7 ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში 43 წლის მანძილზე საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 749 კაცს.

მეორე პერიოდში - 1921-1989 წლებში - 68 წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხოვნობა 35200 კაციდან 136900 კაცამდე, 101700 კაცით, 3895–ით, ანუ 3,9-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში საშუალო წლიურმა ზრდამ 1495 კაცი შეადგინა, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე პირველ პერიოდში.

მესამე პერიოდი ემთხვევა დამოუკიდებელ საქართველოს და ამ დროისათვის მოსახლეობის რიცხოვნობა 1989–2012 წლებში 136900 კაციდან 125800 კაცამდე, ანუ 11100 კაცით, 9,2 %–ით შემცირდა.

მეოთხე პერიოდში ბათუმის მოსახლეობის დინამიკაზე უდიდესი როლი იქონია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა ცვლილებებმა. კერძოდ, ბათუმს შეუერთდა მიმდებარე სასოფლო დასახლებები და მისი მოსახლეობა 124000 კაციდან, 155000 ათას კაცამდე გაიზარდა.

ცხრილი 1

ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1878–2017 წლებში

	მოსახლეობის რიცხოვნობა (კაცი)
1878	3000
1897	28512
1921	35200
1926	48474
1939	70019
1959	82328
1970	100600
1979	122800
1989	136900
2002	121800
2010	123500
2011	124300
2012	125800
2013	160000
2014	152900
2015	153100
2016	154600
2017	155500

თუ გავაანალიზებთ ბათუმის მოსახლეობის დინამიკურ პროცესებს ცალკეული პერიოდის მიხედვით, მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. პირველ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა ყველაზე მეტად - 11,7-ჯერ გაიზარდა, მაგრამ საშუალო წლიური ზრდა არ აღემატებოდა 749 კაცს. ამ პერიოდში ბათუმის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა განპირობებული იყო ბათუმის პორტის და ბაქო–ბათუმის ნავთსადენის ფუნქციონირებით.

მოსახლეობის დინამიკაში განსაკუთრებული ძვრები მოხდა მეორე პერიოდში, როცა 1921–1989 წლებში ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია მაქსიმუმს - 136900 კაცს, ხოლო აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 101700 კაცი. მეორე პერიოდში მოსახლეობის დაჩქარებული მატება განპირობებული იყო ქალაქის ფუნქციური სტრუქტურის გადახალისებით, რის შედეგადაც გაიზარდა შრომის გამოყენების სფეროები და გააქტიურდა იმიგრაციული პროცესები. რაც შეეხება მესამე პერიოდს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურ–ეკონომიკურმა პროცესებმა გააააქტიურა გარემიგრაციული პროცესები და დაიწყო მოსახლეობის შემცირება. ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ქვეპერიოდად. 1. 1989-2002 წლები, როცა მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით მცირდებოდა; 2. 2002–2011 წლები, როცა დაიწყო მოსახლეობის ნელი ტემპით ზრდა.

მეოთხე პერიოდში ქალაქ ბათუმის მოსახლეობის დინამიკაში რადიკალური ძვრები განხორციელდა. 2013 წელს ბათუმს შეუერთდა მიმდებარე სასოფლო დასახლებები და მისი მოსახლეობა 2012 წელთან შედარებით, 34200 კაცით, ანუ 27,2%-ით გაიზარდა.

იმისათვის, რომ სრულად გავარკვიოთ ბათუმის მოსახლეობის დინამიკის თავისებურებანი, საჭიროა გავაანალიზოთ ქალაქის მოსახლეობის დინამიკაზე მოქმედი კომპონენტები. ზოგადად, ქალაქის მოსახლეობის დინამიკაზე მოქმედებს სამი კომპონენტი: 1. ბუნებრივი მატება; 2. მოსახლეობის მექანიკურ-მიგრაციული მატება; 3. ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ცვლილებების (გარეუბნებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ქალაქის საზღვრებში შეყვანა ან ქალაქად გარდაქმნა და ა.შ.) შედეგად ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის შეცვლა [რონდელი,1990:26-27].

ქალაქის მოსახლეობის დინამიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბუნებრივი მატებაა და მასზე მოდის ბათუმის მოსახლეობის ზრდის უპირატესად დიდი ნაწილი. ქუთაისის გუბერნიაში 1883–1907 წლებში მოსახლეობის საშუალო ბუნებრივი მატება 12,8 პრომილე იყო [ჯაოშვილი, 1984:99]. ბათუმი, რომელიც შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში, ამ პერიოდისათვის მისი მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაახლოებით იქნებოდა 10–11 პრომილე (ქალაქად უფრო დაბალია ბუნებრივი მატება, ვიდრე სოფლად) და ამ მაჩვენებლების საშუალო ანალიზით ბათუმს 1878–1921 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად ბუნებრივი მატების გზით შეემატებოდა 299 კაცი, ხოლო მთელი პერიოდის განმავლობაში - 12868 კაცი.

მეორე პერიოდის დასაწყისისათვის, 1926 წელს საქართველოში ბუნებრივი მატება იყო 18,99 პრომილე [ჯაოშვილი,1984:129], 1940 წელს აჭარაში - 17,0 პრომილე, 1970 წელს - 18,2, ხოლო 1989 წელს - 14,2 პრომილე. ბათუმში ეს მაჩვენებელი მთელი პერიოდისათვი საშუალოდ იქნებოდა 9,5 პრომილე [ფუტკარაძე, 2001:27; ჯაოშვილი, 1966:14-17], ანუ საშუალოდ ყოველწლიურად ბუნებრივი მატება იქნებოდა 905 კაცი, ხოლო მთელი პერიოდისათვის - 57154 კაცი.

მესამე პერიოდში ბუნებრივი მატება 3,8 პრომილემდე დაეცა და მატებამ 22 წლის მანძილზე 12546 კაცი შეადგინა. ამრიგად, 1978–2012 წლებში ბათუმს ბუნებრივი მატების გზით შეემატა დაახლოებით 82868 კაცი.

მეოთხე პერიოდში 2013-2017 წლებში ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ბოლო 20 წლის განმავლობაში იყო 2014 წელს და 10,6 პრომილე შეადგინა. ამ პერიოდში ბათუმის მოსახლეობას ბუნებრივი მატების გზით შეემატა 7650 კაცამდე.

ბათუმის მოსახლეობის დინამიკის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი მიგრაციული პროცესებია. საბჭოთა პერიოდში ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა მაქსიმუმი 136900 კაცი იყო 1989 წელს. ამ პერიოდში ბათუმის მოსახლეობა მექანიკური გზით გაიზარდა 54332 კაცით. მიგრაციის დადებითი სალდო აღინიშნებოდა საბჭოთა პერიოდის თითქმის ყოველ წელს, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 20-30 იან და ომის შემდგომ წლებში. დამოუკიდებელ საქართველოს პირველ წლებში ბათუმს გააჩნდა მიგრაციის უარყოფითი სალდო. ქალაქის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი განსაკუთრებით

რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები გადავიდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ბოლო წლებში საქართველოში, ბათუმი გამოირჩევა მოსახლეობის მოზიდვით და ქალაქს გააჩნია მიგრაციის დადებითი სალდო. საშუალოდ ქალაქის მოსახლეობის ზრდის 25-30% მექანიკურ მატებაზე მოდის.

ბათუმის მოსახლეობა უკანასკნელ წლებში გაიზარდა ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ცვლილებების შედეგად. 2013 წელს ბათუმის შემადგენლობაში შევიდა მიმდებარე სასოფლო დასახლებული პუნქტები ადლია 2247 კაცი, ანგისა 2809 კაცი და გონიო 2750 კაცი, სულ 7806 კაცი.

თუ გავაანალიზებთ ქვეყანაში შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციასა და ურბანიზაციის პროცესს, ამ მიმართებით საქართველოში, ბათუმი წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ ქალაქს, რომლის მოსახლეობა ბოლო წლებში შესამჩნევად იზრდება.

საზოგადოების განვითარების არა ერთ მხარეზე გავლენას ახდენს მოსახლეობის სტრუქტურა. მოსახლეობის სტრუქტურა დიდი ცვლილებებს განიცდის დროსა და სივრცეში, რომელიც უშუალოდ აისახება რეგიონულ დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. ბათუმის მოსახლეობის ძირითადი საკითხების გარკვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სქესობრივ ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზს (იხ. ცხრ 2,3).

ცხრილი 2

ბათუმის მოსახლეობის სქესობრივ - ასაკობრივი სტრუქტურა
2002 წლის აღწერით

ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი	%	მამაკაცები	%	ქალები	%
0 -14	25791	21,1	13102	23,3	12689	19,3
14 -64	86069	70,6	39551	70,4	46518	70,9
65 და მეტი	9846	8,2	3518	6,3	6428	9,8
სულ	121806	100	56171	100	65635	100

ცხრილი 3

ბათუმის მოსახლეობის სქესობრივ - ასაკობრივი სტრუქტურა
2014 წლის აღწერით

ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი	%	მამაკაცები	%	ქალები	%
0 -14	30598	20,0	16201	22,3	14397	18,0
14 -64	107522	70,3	51024	70,1	56498	70,4
65 და მეტი	14719	9,7	5532	7,6	9187	11,5
სულ	152839	100	72757	100	80082	100

მოტანილი სტატისტიკური მასალები (ცხრ. 2,3) ცხადყოფს, რომ 2002-2014 წლებში 0-14 წლის ასაკის მოსახლეობა 1,2%-ით შემცირდა, როცა 65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფი 1,5%-ით გაიზარდა. არსებული დემოგრაფიული მონაცემები ცხადყოფს, რომ შეინიშნება ახალგაზრდების შემცირების და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდის ტენდენციები. არსებული დემოგრა-ფიული პროცესების გაგრძელების შემთხვევაში მოსალოდნელია მოსახ-ლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტემპის შემცირება.

ქალაქ ბათუმში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი, ბუნებრივ–გეოგრაფიული და კულტურულ–საგანმანათლებლო პო-ტენციალი იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალში მისი მოსახლეობა კვლავაც გაიზრდება.

დასკვნა

ბათუმის მოსახლეობის ძირითადი საკითხების კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

1. ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის თავისებურებების შესწავლის ანალიზით დადგინდა, რომ მისი მოსახლეობა ჩამოყალიბების

დღიდან 1989 წლამდე იზრდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში მოსახლეობა მცირდებოდა, ხოლო 2002 წლიდან კვლავ იზრდება. 2013 წელს განხორციელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობამ ისტორიულ მაქსიმუმს გადააჭარბა და 2017 წლისათვის 155,5 ათასს მიაღწია;

2. ბათუმის მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე ბოლო წლებში შესამჩნევი ზრდის ტენდენციით მიმდინარეობს. ახლო მომავალში ეს ტენდენცია არსებული დემოგრაფიული მაჩვენებლების საფუძველზე შენარჩუნდება;

3. ბათუმის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში შეინიშნება უმნიშვნელო გაუარესების ტენდენციები, რაც თანამედროვე დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რონდელი ა. ქალაქის მოსახლეობა. თბილისი, 1990.
2. ფუტკარაძე მ. აჭარა. ბათუმი, 2001.
3. ფუტკარაძე მ. ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის თავისებურებანი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2013
4. ჯაოშვილი ვ. ბათუმი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი. ბათუმი, 1964.
5. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII – XIX საუკუნეებში. თბილისი, 1984.
6. Батум и его окресности. Батуми, 1906

Dzirkvadze Guranda

The Main Issue of the Population of Batumi

Abstract

In Georgia, city Batumi is one of the growing dynamic towns that are developing as demographic and socio-economically accelerated pace. Therefore, its further development requires economic, planning and ecological considerations to study the population, which is quite a matter of geographical consideration. The main goal of the study is to study the main issues of Batumi population. The following main tasks are needed to achieve a set goal:

- Be aware of the historical development of the population dynamics and determine the factors that affect the population dynamics;

- Assess the place of natural growth of population in the dynamics of population and to determine its further development trends;

- Be aware of the dynamics of the sex-age structure of the population and its place in the demographic development of the city;

- Determine demographic, socio-economic and ecological problems related to dynamics of population. The study was used: historical, comparative, statistical, space-time analysis and other methods. The survey was done by a statistical method of studying the quantitative and qualitative study of the population of Batumi.

Keywords: population dynamics, sexual-age structure.

ნარჩენების მართვის პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები

ნათია ცინარიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ფიზიკური გეოგრაფია

ნიადაგური რესურსებისა და გარემოს მდგრადი განვითარების

სამაგისტრო პროგრამა, I კურსი

natia.tsinaridze@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნარგულ ასანიძე,

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის (ბსუ), ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საყოფაცხოვრებო ნარჩენები ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს დღევანდელი საზოგადოებისთვის, რადგან ჩვენ თვითონ ვქმნით საყოფაცხოვრებო ნარჩენს. მოვიშორებთ ჩვენი თვალთახედვიდან და გვგონია პრობლემაც მოვაგვარეთ მაგრამ, სინამდვილეში ასე არ არის.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი საბოლოოდ თავსდება დაუცველ ნაგავსაყრელებზე, რომელიც ზიანს აყენებს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე შინაურ ცხოველებს, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან დაუცველ ნაგავსაყრელებზე.

სახიფათო ნაგავსაყრელებზე არ ხდება ნარჩენების დახარისხება და ძირითადად ყველა სახის ნარჩენს ვხვდებით (პოლიეთილენი, მინა, რეზინა და სხვა), რაც ზიანს აყენებს ბუნებას. ბინძურდება, როგორც მიწისქვეშა წყლები, ასევე ატმოსფეროში ხვდება სხვადასხვა ქიმიური მავნე ნივთიერებები. ამიტომ ჩვენი აზრით, ყველა დაწესებულებაში (კერძო იქნება ეს თუ სახელმწიფო) უნდა ხდებოდეს ნარჩენების დახარისხება და განთავსება შესაბამის კატეგორიებში, რითაც ადვილი იქნება მისი დახარისხება და გადამუშავება.

საკვანძო სიტყვები: ნარჩენები, გადამუშავება, მართვის პრობლემები.

შესავალი

ბოლო საუკუნის მანძილზე დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნობა 3,5-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა ენერგეტიკული რესურსების ხარჯვა. თუ 2050 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა იგივე ტემპით გაგრძელდა და არ იქნა აღმოჩენილი ახალი ტექნოლოგიები, 10 მლრდ მოსახლეობა დედამიწაზე დაახლოებით 400 მლრ ტონა მყარ ნარჩენს აწარმოებს. ესაა ნარჩენების ის რაოდენობა, რაც ისეთ დიდ ქალაქს, რომელიც ლოს ანჯელესია, 100 მ სისქის ფენით დაფარავს. ეს არაა შავბნელი მომავლის წინასწარმეტყველება, თუ ნარჩენებს გადავამუშავებთ და კვლავ გამოვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აღნიშნული თემის მიზანია გარკვეულწილად წარმოაჩინოს არსებულ სფეროში პრობლემები და მათი გადაჭრის ხერხები. კერძოდ ნაგავსაყრელებისა და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების არარსებობა, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დღეს-დღეობით საქართველოში. გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული პრობლემა გამოირჩევა მასშტაბურობით და დიდი საშიშროებით, აუცილებელია მისდამი მიდგომის გადასინჯვა და ახალი რეგულაციების შემოღება.

ნარჩენები და გარემო

ნარჩენები გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენენ. ნარჩენები რომლებიც არის საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო სახის, მათი თავიდან მოშორება ხდება ნაგავსაყრელებზე დაყრით, რაც ქმნის ილუზიას რომ ისინი გაქრნენ და პრობლემას აღარ წარმოადგენენ. თუმცა ეს ასე არ არის, ვინაიდან ნაგვის თვალთახედვიდან მოშორება არ ნიშნავს მის გაქრობას და რომ მას არ შეუძლია ზიანი მიაყენოს გარემოს. არამედ ნარჩენები საჭიროებს სპეციალური სახის გადამუშავებას და მათი იმ მდგომარეობამდე მიყვანას, რომელიც უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს გარემოზე. არსებობს ოთხი სახის ნარჩენი:

1. საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
2. სამედიცინო ნარჩენები;
3. ბიოლოგიური ნარჩენები;
4. სამრეწველო ნარჩენები.

სურ: 1; 2; 3; 4.

თითოეული სახის ნარჩენებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია სამედიცინო და სამრეწველო ნარჩენები.

[1]

ნაგავსაყრელები

საქართველოში განსაკუთრებულად მწვავე პრობლემას წარმოადგენს ნარჩენები, რომლებიც მიმოფანტულია სპეციალურ და ხელოვნურ ნაგავსაყ-რელებზე, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც არ არსებობს ნაგავსაყრე-ლები, სპეციალურად მსგავსი დანიშნულებით. საუბარია ნაგავსაყრელებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის შექმნილი ამ დანიშნულებით, მათი რაოდენობა დაახლოებით 63-ს აღწევს საქართველოს მასშტაბით. თუმცა

უამრავია ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელი, რომლებიც თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს ახლავს. ეს ნაგავსაყრელები იქმნება მოსახლეობის მიერ და ამის მიზეზი შეიძლება იყოს ნაგავსაყრელის არ არსებობა, ან ეფექტური მომსახურების არ არსებობა, რომელიც მოიცავს დასახლებული პუნქტების ნაგვის ურნებით მომარაგებას, დასუფთავების სისტემის შექმნას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 63 ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონია - აქედან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიღებული აქვთ თბილისის, რუსთავის, ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენი კომპანიის, ოზურგეთის (სოფ. მერიის და ურეკი-ნატანების ნაგავსაყრელები), ხობის და ბორჯომის ნაგავსაყრელებს. ნაგავსაყრელების ზემოთ ხსენებულ რიცხვს ემატება არალეგალურად შექმნილი ნაგავსაყრელები, რომელთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია და ახლავს თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს.

არსებული ნაგავსაყრელი პოლიგონიდან არც-ერთი არ არის იმ სტანდარტის, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების ეფექტურ კონსერვაციას და მათგან შემდგომში გარემოს დაბინძურების აღკვეთას. არამედ მათ არ გააჩნიათ წყალგაუმტარი ფუძე, შესაბამისად მიწისქვეშა წყლები დაუცველია დაბინძურებისგან.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაგავსაყრელებზე წარმოებს ნაგვის ღია წვა, რისი ბუნებრივი თანამდევი ფაქტორია ჰაერის დაბინძურება საშიში აირებით. ასევე ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, ადგილი აქვს მდინარეში ნარჩენების ჩარეცხვის ფაქტებს, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ის, რომ ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და შესაძლებელია ტერიტორიაზე თავისუფლად შეღწევა.

სურ: 5.

ნაგავსაყრელებზე ცხოველები თავისუფლად მოძრაობენ, ამიტომ არსებობს რისკები და საფრთხეები მათი ინტოქსიკაციისა. საუბარია ნებისმიერი სახის ცხოველზე შიანური იქნება ის თუ გარეული. ნაგავსაყრელებზე არსებული ნარჩენები და საშიში ნივთიერებები დამღუპველად მოქმედებს, როგორც გარემოზე ასევე ცოცხალ არსებებზე. პირუტყვი, რომელიც აღწევს ნაგავსაყრელზე იკვებება ამ ტერიტორიაზე არსებული საკვებით და ის ხდება დაავადების გამომწვევი მიკრო ორგანიზმების პოტენციური მატარებელი.

შესაბამისად იქმნება საშიშროება, რომ ადამიანებში მოხვდეს სხვადასხვა მიკრო ორგანიზმები, რომლებიც ჯანმრთელობაზე უარყოფით ასახვას პოვებს. ამის გავრცელების ყველაზე ნათელი მაგალითია შინაური ცხოველები, რომელთაც საზოგადოება ხშირ შემთხვევაში საკვებად იყენებს, მათ როგორც პროდუქტიულობას ასევე ხორცს [1-3].

ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები

ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგი მოიცავს ასევე ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების საკითხის გადაჭრას, რომელიც მნიშვნელოვანი

პრობლემაა ნაგავსაყრელებთან ერთად. ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების არ არსებობა. ორივე საკითხი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ კი იარსებებს ქარხნები, ნაგავსაყრელებზე სიტუაციის დარეგულირება და მათი კონტროლქვეშ აყვანა სახელმწიფოსთვის გაცილებით მარტივი გახდება. თუმცაღა დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაგვის ეფექტურ გადამუშავებას და მიღებული ენერგიის სასარგებლოდ გამოყენებას. არც ერთ ქალაქში ან დასახლებულ პუნქტში ნაგავგადამამუშავებელი და ნაგავსაწვავი ქარხნები არ არსებობს. გამონაკლის წარმოადგენს რამდენიმე, მათ შორის თბილისი. არსებობს რამდნიმე საწარმო, რომელთაც აღებული აქვთ ნარჩენების გადამუშავების ნებართვა და ფუნქციონირებენ თბილისში, ქუთაისში, გარდაბანში, ხობსა და კასპში. ნარჩენების გადამუშავება საქართველოში აკრძალულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვიის გაცემის გარეშე. რაც კანონმდებლობის რეგულირების ქვეშ აქცევს აღნიშნულ საკითხს, თუმცა პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია მრავალი და ეფექტური ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების აშენება, რაც სასარგებლო იქნება.

1. მოხდება ნაგავსაყრელებზე ნაგვის შემცირება.
2. გარემოს დაბინძურების ხარისხის შემცირება.
3. გადამუშავების შედეგად მიღებული ენერგიის სასარგებლოდ გამოყენება [1-3].

როგორ წარმოიშობა ე.წ. „საყოფაცხოვრებო ნარჩენი“

გვინდა ეს ჩვენ თუ არა, თითოეული ჩვენგანი უნებურად წარმოადგენს სერიოზულ „ნაგავწარმოებელს“. ვამზადებთ სადილს, თუ ვყიდულობთ ახალ ტანსაცმელს ან ბილეთებს (ტრანსპორტი, თეატრი, კინო, ლატარია და ა. შ.) ვიქმნით კომფორტს სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილებში, ვცვლით ტექნიკას და ა. შ. ჩვენადაუნებურად ვქმნით ჩვენთვის უკვე არასაჭირო პროდუქციისაგან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს.

საქართველოში ყოველწლიურად წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან გადამუშავდება მხოლოდ 3%, დანარჩენი კი საუკეთესო შემთხვევაში ხდება ოფიციალურ თუ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ან იყრება ბუნებაში (ხევები, მდინარეები, სოფლების მიმდებარე ტერიტორიები და სხვა).

სურ: 6; 7.

ნარჩენების სწორი მართვის შემთხვევაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც იაფი რესურსი სხვადასხვა პროდუქციის მისაღებად.

ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნაგავს თუ თვალს მოაშორებენ, მასთან დაკავშირებული პრობლემებიც თავდება. ეს ასე არ არის. ნარჩენების „მოშორება“ ყველაზე ხშირად მათი ნაგავსაყრელზე „გადაყრით“ ხდება. ამ ნაგავსაყრელებზე მათ ტკეპნიან და მიწის ან სხვა ინერტული მასალის ფენით ფარავენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნარჩენები „გაქრა“. მაგრამ ეს ასე არ არის - მიწის ქვეშ დამალული ნარჩენები უბრალოდ აღარ ჩანს, თორემ გარემოს კვლავაც აზიანებს, და თან საკმაოდ სერიოზულად: ნარჩენების ნაწილი ლპება და ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე აირებს გამოჰყოფს.

ნაგავსაყრელზე მხოლოდ ის ნარჩენი უნდა ხვდებოდეს, რომლის მეორადი გამოყენება შეუძლებელია.

დახარისხებისას ნარჩენები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- მაკულატურა: ქაღალდი, კარდონი, გაზეთები.
- მინა: მინის ტარა, მინის ნამსხვრევები.
- ლითონები: შავი, ფერადი, ძვირფასი.

- ქიმიკატები: მჟავები, ტუტეები, ორგანული.
- ნავთობპროდუქტები: ზეთები, ასფატი.
- ელექტრონიკა: ნაკეთობები, პლატები, აკმულატორები, სადენები.
- პლასმასები: პოლიამიდები, პოლიეთილენი და ა.შ.
- რეზინა: საბურავები, რეზინა.
- ბიოლოგიური: საკვების ნარჩენები, ცხიმები, სამედიცინო.
- ხე-ტყის: ტოტები, ნახერხი, ბურბუშელა, ფოთლები.
- სამშენებლო: ბეტონის ნამსხვრევები, აგურის ნამსხვრევები, ასფალტის ნამსხვრევები.
- ჩამდინარე წყლები: საკანალიზაციო, საყოფაცხოვრებო და ნარეცხი წყლებით დაბინძურებული მდინარეები და ბუნებრივი წყალსატევები [2].

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება (სეპარაცია)

ცნობილია, რომ პროდუქტი, როგორც კი სანაგვე ყუთში შეერევა სხვა პროდუქტებს მაშინვე ხდება ნარჩენი, მაგრამ ეს ასე არ არის. ნარჩენები ხშირ შემთხვევაში შეიცავენ სასარგებლო კომპონენტებს და აუცილებელია ნარჩენების საერთო მასიდან ამოღება განცალკევება და გამოყენება.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების სრულფასოვანი დახარისხება აუცილებელია მოქალაქეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ პრობლემა. თითოეულმა ჩვენგანმა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაცია უნდა ვაწარმოოთ თავად - სახლში, სამსახურში, ეზოში, სკოლაში და ა. შ.

ამისათვის საჭიროა მოსახლეობის ინფორმულობა [2].

ნარჩენების კატეგორიები

ზოგადად ნარჩენები, როგორც მოთხოვნადი მეორადი ნედლეული, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

მაღალი ხარისხის ნარჩენი - ადგილობრივ პირობებში, ამ კატეგორიის ნარჩენების, გადამუშავებით მიიღება მოთხოვნადი პროდუქცია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მაღალ რენტაბელობას.

საშუალო ხარისხის ნარჩენი - ამ კატეგორიის ნარჩენის გადამუშავებით მიღებული პროდუქცია მართალია მოთხოვნადია ბაზარზე, მაგრამ მათი

რეალიზაციიდან შემოსული თანხა დაახლოებით თანხვედრია ნარჩენების შეგროვებაზე, პირველად დამუშავებასა და მათ გადამუშავებაზე დახარჯული თანხის. (კარდონის შემცველი მაკულატურა, შერეული მაკულატურა და ა. შ.).

ძნელად გადასამუშავებელი ნარჩენები - ამ კატეგორიის ნარჩენების გადამუშავება, უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მათი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ან ხშირ შემთხვევაში უბრალოდ ქვეყანას არ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციის ორი გზა არსებობს: ტექნიკური და სოციალური.

ტექნიკური მიდგომა ითვალისწინებს სპეციალური ქარხნის არსებობას, სადაც ნარჩენების საერთო მასა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სეპარირდება და გადამუშავდება. შედეგადაც მიიღება ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქცია, ხოლო გადამუშავებული ნარჩენი განთავსდება პოლიგონზე.

სოციალური მიდგომა მოიაზრებს ნარჩენის დახარისხებას მოქალაქეების მიერ და მათ კონტეინერებამდე მიტანას.

საყოფაცხოვრებო ნარჩნები სამად ნაწილდება კონტეინერებში:

I ნაწილი - ეს არის ნარჩენი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება მეორად ნედლეულად (მინა, ქაღალდი, ლითონი, პლასტიკატი), მათი განთავ-სება ხდება ან ერთ კონტეინერში ან ცალ-ცალკე შესაბამის კონტეინერებში.

II - ნაწილი ეს არის საკვები პროდუქტების ნარჩენები (კომპოსტისათვის);

კომპოსტი შავი, ფხვიერი მიწის სუნის მქონე, ორგანული მასალა მიიღება ორგანული ნაერთის მიკრობული დაშლის შედეგად და წარმოადგენს ნია-დაგის გამანაყოფიერებელ ბუნებრივ სასუქს, მისი გამოყენება ხელს უწყობს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების შემცველობის მატებას და ადვილად მზადდება ეზოს ან საბაღე მეურნეობის პირობებში.

III - ეს არის ნარჩენი, რომელიც მხოლოდ ნაგავსაყრელებისთვის არის განკუთვნილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აჭარაში საყოფაცხოვრებო ნარჩნების უტი-ლიზაცია არ ხდება, მაგრამ როგორც ვნახე ადგილობრივი მოსახლეობა აგროვებს სხვადასხვა მასალის ნივთებს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნდა შეიქმნას ნაგავსაყრელები, სპეციალური წყალგაუმტარი აუზის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გრუნტის წყლების და ასევე ატმოსფეროს დაბინძურება სხვადასხვა მავნე ქიმიური ნივთიერებებით. ნაგავსაყრელებისთვის შეირჩეს ისეთი ტერიტორიები, რომლებიც ახლოს არ იქნება დასახლებულ პუნქტებთან, რადგან მუდმივად შეაწუხებთ აუტანელი სუნი და სხვადასხვა შხამიანი ქვეწარმავლები.

ეს ისეთივე პრობლემას წარმოადგენს, როგორც სხვა მნიშვნელოვანი პრომლემები. აუცილებელია საგანმანათლებლო ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებისთვის იმის მიწოდება თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარემო და რა ზიანი შეუძლია მიაყენოს ბუნებას თუნდაც ერთმა ბუნებაში დაგდებულმა პოლიეთილენის ბოთლმა.

აუცილებელია ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების, საწარმოების ჩამოყალიბება, შექმნა როგორც კერძო ბიზნესის სექტორის ბაზაზე ასევე შესაძლებელია სახელმწიფო რესურსების ბაზაზეც.

სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს დარეგულირება ნაგვის დახარისხების. ყველა სახის ნაგავი ერთად არ უნდა იყრიდეს თავს და შემდგომში გადამუშავების ერთიან წესს არ უნდა ემორჩილებოდეს. ამისთვის აუცილებელია თუნდაც ქუჩებში იდგეს სპეციალური ურნები, რომლებშიც მოხდება სახიფათო ნარჩენების ჩაყრა, როგორიცაა: პოლიეთილენი, პლასტმასი და სხვა. ასევე სპეციალური ნაგავსაყრელების აშენება, რომლებიც გათვლილი იქნება სახიფათო ნარჩენებზე და აღკვეთს ამ უკანასკნელის მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს კანონმდებლობის სრულყოფა, რომელიც ასევე იქნება ამ პრობლემის მოგვარების გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი:

1.საბანაძე ლონდა. (2014) „ნარჩენების მართვა, ნაგავსაყრელები და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები“, მოძიებულია 11 აპრილი, 2018, http://cci.ge/files/files/PDF/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98(1).pdf.

2. ჟურნალი „დავასუფთავოთ საქართველო“ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება.

3. კვერღელიძე ნინო. „მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში“, მოძიებულია 11 აპრილი, 2018,

http://www.kas.de/wf/doc/kas_39857-1522-1-30.pdf?141208110242

Tsinaridze Natia

Waste Management problems and the Ways of Elimination

Abstract

Household wastes are one of the main problems for today's society, because we are creating our household waste from our viewpoint and we think, that we have solved this problem but it is not.

The household residuals will ultimately be placed on vulnerable landfills that damage the local population as well as domestic animals that are quite vulnerable to landfills.

Dangerous landfills are not sorted by waste and basically all sorts of waste (polyethylene, glass, gum and etc.) which harm the nature. It is messed up as underground waters, as well as in the atmosphere of various chemical harmful substances. Therefore, in our opinion, in all establishments (private or state), the waste should be sorted and placed in the relevant categories, which will be easy to sort and recycle.

Keywords: waste, recycling, managenment problems

ორგანული ნარჩენების კომპოსტირება და მისი როლი ორგანულ მიწათმოქმედებასა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებაში

გიორგი ბოლქვაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტექნოლოგიური ფაკულტეტი, მიმართულება აგროეკოლოგია, მე-4 კურსი
ელ. ფოსტა : giorgibolkvadze05@gmail.com
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ნარგულ ასანიძე
აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის (ბსუ), ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ინტენსიურ მეურნეობაში უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე არსებითად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. ფერმერებს მთელს მსოფლიოში ექმნებათ პრობლემა ნიადაგის დაბალნაყოფიერებისა და ხარისხიანობასში. ნიადაგების დეგრადაციას კი მოსდევს მოსავლიანობის შემცირება. მცენარეები დაუცველნი ხდებიან დაავადებებისა და მავნებლების მიმართ. ნიადაგის დაბალნაყოფიერება გარკვეულწილად გამოწვეულია ქიმიური მინერალური სასუქების და პესტიციდების ინტენსიური გამოყენებით. ნიადაგზე მათი ზემოქმედების შედეგად დარღვეულია მისი სტრუქტურა, დაქვემდებარებულია ჰუმუსისა და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა, უარესდება ნიადაგის ფიზიკური თვისებები, წყალგამტარობა, ტენიანობა, აერაცია და სხვა.

ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდის მიზნით საჭიროა მას დავამატოთ ორგანული და მინერალური ნივთიერებები. ხშირად ნაყოფიერების გაზრდის მიზნით ნიადაგს ამატებენ ქიმიურ მინერალურ სასუქებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სრულად მოამარაგონ ნიადაგები საჭირო ნივთიერებებით. გარდა ამისა, მინერალური სასუქები აბინძურებენ გარემოს, საკვებ პროდუქტებში იწვევენ მავნე ნიტრატების დაგროვებას და ნიადაგების სრულ გამოფიტვას.

დღეს, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების უამრავი ბუნებრივი საშუალება და მეთოდი არსებობს. მათ შორის, ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ორგანული სასუქი კომპოსტი.

კომპოსტი ეს არის საუკეთესო ორგანული სასუქი, რომელიც მდიდარია ორგანული და მინერალური ნივთიერებებით და შეიცავს მცენარისთვის ყველა იმ აუცილებელ კომპონენტს, რაც საჭიროა მისი ზრდა-განვითარებისთვის. კომპოსტის დამზადებისას ჩვენ ვიცავთ გარემოს დაბინძურებისგან.

საკვანძო სიტყვები: კომპოსტირება, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება, ნარჩენების მართვა.

შესავალი

კომპოსტის ძირითადი უპირატესობებია:

- ✓ ნიადაგის ნაყოფიერების ბუნებრივად აღდგენა;
- ✓ ნიადაგის სტრუქტურიანობის გაუმჯობესება და გამდიდრება ორგანული და მინერალური ნივთიერებებით;
- ✓ ნიადაგების ტენიანობის გაუმჯობესება;
- ✓ ორგანული ნარჩენების შეგროვებითა და გარდაქმნით ვამცირებთ გარემოს დაბინძურებას;
- ✓ იზრდება მოსავლიანობა და ხარისხი;
- ✓ ხდება ფინანსების დაზოგვა.

კომპოსტის პროცესი

კომპოსტირება წარმოადგენს ორგანული ნარჩენების დაშლის ბიოლოგიურ პროცესს. ბუნებაში ორგანული ნარჩენების დაშლა ბუნებრივია, შედარებით ხანგძლივად მიმდინარეობს, ხოლო კომპოსტირების მეთოდი ადამიანის ჩარევით საშუალებას იძლევა გარდაქმნის პროცესი სწრაფად წარიმართოს. მაღალი ხარისხის კომპოსტის მისაღებად ძალიან მნიშვნელოვანია ზოგიერთი ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ:

- ✓ ორგანული მასალის ტიპი და შემადგენლობა;
- ✓ საკომპოსტე გროვის მოცულობა;
- ✓ ორგანული მასალის ზომა;
- ✓ ჰაერი;
- ✓ წყალი;

✓ ტემპერატურა.

სურ. 1 კომპოსტის დანადგარი

სასურველია გვახსოვდეს:

✓ კომპოსტს ესაჭიროება კარგი აირაცია;

✓ ორგანული მასის მრავალფეროვნება;

✓ აზოტის შეფარდება ოპტიმალური უნდა იყოს ნახშირორჟანგთან (C:N);

✓ სასურველი ტემპერატურა;

✓ ორგანული მასის კარგად შერევა.

კომპოსტის პროცესი გადის სამ ფაზას:

✓ გათბობის (ფერმენტაციის) ფაზა;

✓ გაციების;

✓ დამწიფების ფაზა.



სურ:2 კომპოსტირების პროცესი

კომპოსტირებისთვის საჭირო ორგანული მასალები:

კომპოსტირებისათვის გამოიყენება ნებისმიერი ორგანული მასალა, რომელიც უხვადაა სოფლის მეურნეობაში ჩვენ გარშემო. სასურველია, გამოვიყენოთ ბარის ყველა ორგანული ნარჩენი. სასურველია, ძროხისა და ფრინველის ნაკელი, ბუმბული, სამზარეულოს ორგანული ნარჩენი, ხეხილისა და ვაზის ანასხლავი, ნაცარი, ქაღალდი. დიდი ყურადღება ექცევა უხეში და მოცულობითი ორგანული ნარჩენებისა და ქაღალდის დაქუცმაცებას.

ყველა ორგანული მასალა შეიცავს აზოტს და ნახშირბადს.



სურ: 3 რისი შეტანა შეიძლება საკომპოსტე დანადგარში

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კომპოსტირების პროცესში არის აზოტისა (N) და ნახშირბადის © ოპტიმალური შესაბამისობა C:N. კომპოსტირების დასაწყისისთვის მათი თანაფარდობა იდეალურია როცა C:N=25-30:1

ნარჩენები რომლებიც მდიდარია აზოტით:

- ✓ ახალგაზდა მწვანე ფოთლები;
- ✓ ყველანაირი ნაკელი;
- ✓ პარკოსნები.

ნარჩენები, რომლებიც მდიდარია ნახშირბადით:

- ✓ გამხმარი ფოთლები;
- ✓ მცენარეული ნარჩენები;
- ✓ თივა;
- ✓ ნამჯა;
- ✓ ხის ტოტები;
- ✓ ნახერხი;
- ✓ მუყაო.

სასუველია საკომპოსტე გროვას დავამატოთ ქვის ფქვილი (მიკროელე-მენტების წყარო). ძვლის ფქვილი (კალციუმისა და ფოსფორის წყარო), ნაკელი (აზოტის წყარო).

მიკრო- ორგანიზმები

კომპოსტირების პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა მიკროორგანიზ-მებისა და უფრო მსხვილი ორგანიზმების, მაგ: ჭიაყელების, მწერების აქტიუ-რი მოქმედებით. საჭიროა კომპოსტის გროვას დავამატოთ უკვე მზა კომპოს-ტი. თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ უნდა დავამატოთ ბაღის მიწა. კომპოსტის ფსკერი უნდა ეხებოოდეს მიწას, რათა მიკროორგანიზმებს და ჭიაყელებს გაუადვილდეთ მიგრაცია.



სურ:4 მიკრო ორგანიზმები რომლებიც წარმართავენ კომპოსტირების პროცესს.

საჰაერო არხი

კომპოსტის გარშემო სასურველია ყოველ ერთ მეტრში გავაკეთოთ საჰაერო არხები, ჯოხის ან მსხვილი ტოტის გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს აერაციას. ერთი კვირის შემდეგ ეს არხები უნდა დაიხუროს, რათა არ მოხდეს მისი გამოშრობა.



სურ:5 საჰაერო მილები კომპოსტში

ტენიანობა

მიკროორგანიზმების აქტიურობისთვის და გამრავლებისთვის მნიშვნელოვანია კომპოსტის ოპტიმალური ტენიანობა. სიმშრალის პირობებში მიკროორგანიზმების მოქმედება ფერხდება და დაშლის პროცესი ნელა მიმდინარეობს. ჭარბი ტენის შემთხვევაში კი, იწყება ლპობის პროცესი. ამიტომ საჭიროა კომპოსტის რეგულარული მორწყვა. ზაფხულის პერიოდში უნდა მოირწყას ორ დღეში ერთხელ. გასათვალისწინებელია, რომ კომპოსტს ხელის მოჭერისას წყალი არ გაუვიდეს.

ადგილის შერჩევა

კომპოსტისთვის ადგილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია შეირჩეს მშრალი, ოდნავ შემაღლებული ადგილი, რათა წვიმის დროს წყალი არ შეუდგეს. განთავსდეს მოსახერხებელ ადგილზე, რათა ადვილად შევძლოთ ნარჩენების ტრანსპორტირება და განთავსება.

საკომპოსტე გროვის მომზადება

საკომპოსტე გროვა უნდა განვათავსოთ პირდაპირ მიწის ზედაპირზე, რათა ჭიაყელებსა და მიკროორგანიზმებს ჰქონდეთ თავისუფალი მიგრაციის საშუალება. კომპოსტის გროვის ზომები შეიძლება ვარირებდეს სიგანეში 1-1,5 მეტრამდე, ხოლო სიგრძე დამოკიდებულია ორგანული ნარჩენების რაოდენობაზე. მოცულობა საშუალებას იძლევა მასში იყოს კარგი აერაცია და

მარტივად მოხდეს მისი გადაბრუნება. იმისათვის, რომ მასა იყოს მრავალ-ფეროვანი და კარგი, საჭიროა ეს მასა მომზადდეს ფენებად.

სურ:7 საკომპოსტე გროვის მომზადება



5 ფენა - საფარი -მოთიბული ბალახი, ჭილობის ტომარა

4 ფენა - ზედა ფენა 2 სმ მიწა და ტორფი

3 ფენა - 5- 10 სმ ნაკელი სხვადასხვა, ნაცარი

2 ფენა - 10-15 სმ მწვანე ორგანული ნარჩენები + 4კგ ნაცარი 1მ³ ნარჩენზე.

1 ფენა - მიწა

სურ:8 საკომპოსტე მასის/გროვის სტრუქტურა.

საკომპოსტე გროვაში გამოყენებისთვის აკრძალულია!

- ✓ დაავადებული ან მავნებლებით ძლიერ დაზიანებული მცენარეები, რადგან ისინი დაავადების გამომწვევნი არიან.
- ✓ სოკოვანი დაავადებებით დასნეულებული მცენარე.
- ✓ შხამიანი მცენარეები (ოლეანდრა, კონიო, ლენციფა, ლემა, აბუსალა-თინი), რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით ალკალიდებს და ნიადაგში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს ანადგურებენ.
- ✓ მცენარეები რომლებსაც მჟავას მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს (ფიჭ-ვი, წიწვი).

- ✓ კატის და ძაღლის ექსკრემენტები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდნენ პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს;
- ✓ დაავადებით ან მავნებლით დაზიანებული მცენარეები სასურველია დაიწვას. ნაცარი ძვირფასი სასუქია და კალციუმის წყაროა;
- ✓ მეტალი, პლასტმასი, შუშა, ხის დიდი ნაჭრები, მუყაო ან დიდი ოდენობის ქაღალდი.

კომპოსტის შემოქმედნი

კომპოსტირების პროცესში ძირითადად მონაწილეობს ცოცხალი ორგანიზმების ორი ჯგუფი: მიკროორგანიზმები და უხერხემლოები. მათ შორის აერობული ბაქტერიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ორგანული მასის დაშლისა და სითბოს გამოყოფის პროცესში. საკომპოსტე გროვაში ცოცხალი ორგანიზმები იყოფა სამი სახის მომხმარებლებად: პირველი დონის მომხმარებლები, რომლებიც ხდებიან საკვები არე მეორე დონის მომხმარებლებისთვის, ხოლო მეორე დონის მომხმარებლები მესამე დონის საკვები ბაზა.

ბაქტერიები - წარმოადგენენ ერთუჯრედიან უფერო ორგანოებს. ისინი მრავლდებიან გახლეჩვით და უმოკლეს დროში მილიარდობით შთამომავალს იძლევიან. თუმცა მათი სიცოცხლის ხანგძლივობა 20-30 წუთი გრძელდება, ისინი ნებისმიერი სახის ორგანული ნივთიერებით იკვებებიან.

სურ:9 ბაქტერიები

აქტინომიციტები და სოკოები - წარმოადგენენ ორგანოების, რომლებიც საკომპოსტე გროვას მიწის სურნელს ანიჭებენ. კომპოსტირების დასრულების შემდეგ ისინი კომპოსტში მოცისფრო-მონაცრისფერო-მწვანე ფხვნილისებრი ანო ბობას ქსოვილის მსგავსი ფენის სახით იმყოფებიან, სოკოები ზოგადად აქტინომიციტებს შეერევიან ხოლმე.

სურ:10 სოკოები

ჭიაყელები - ჭიაყელების კვებითი აქტივობისა და ცხოველქმედების შედეგად ხდება ნიადაგის ორგანული ნივთიერებით გამდიდრება. ჭიაყელები თავის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გამოყოფილი ფერმენტების საშუალებით ახდენენ ორგანული ნივთიერების სწრაფ ბიოქიმიურ გარდაქმნებს ისინი ორგანულ ნაერთებად, რომლებიც აღადგენენ და ამდიდრებენ ნიადაგს. ჭიაყელების არსებობა არ არის მნიშვნელოვანი ნაყოფიერი ნიადაგისთვის, მაგრამ მათი არსებობა ნაყოფიერი ნიადაგის საუკეთესო ინდიკატორია.

ჭიაყელები ამდიდრებენ კომპოსტს და ხელს უწყობენ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის ამაღლებას, შესაბამისად ისინი წარმოქმნიან საუკეთეს ხარისხის კომპოსტს. ამიტომ კომპოსტირების პროცესში აუცილებელია ჭიაყელების კოლონიის საკომპოსტე გროვაში ჩასმა. კომპოსტის დამწიფებას კიდევ 2-3 თვე სჭირდება, რის დროსაც ჭიაყელების აქტიური ცხოველმყოფელობის შედეგად კომპოსტი იღებს მუქ ფერს და ხდება ფორიანი.

სურ:11 ჭიაყელები

კომპოსტის გამოყენება

მზა კომპოსტის ნიადაგში შეტანის ოდენობა განისაზღვრება 6 კგ 1 $მ^2$-ზე. ეს რაოდენობა 3 ნიჩბის ტოლფასია. ჰუმუსით ღარიბ ნიადაგებში თავდაპირველად მეტი კომპოსტი უნდა შევიტანოთ, დაახლოებით 12კგ 1 $მ^2$ - ზე. ჩითილების გამოსაყვანად მიწას უნდა შევურიოთ გაცრილი კომპოსტი. საცერის დიამეტრი 3-6 მმ არ უნდა აღემატებოდეს. გაცრისას დარჩენილი გაუხრწნელი მასა უნდა ჩავაბრუნოთ ახალ საკომპოსტე გროვაში. იგი კარგ მასალას წარმოადგენს კომპოსტირების დაწყების პროცესში.

სურ: 12 კომპოსტის შეტანა მცენარეებში

კომპოსტის დამზადებისა და მოვლისთვის მნიშვნელოვანი მომენტები:

- ✓ ადგილის სწორად შერჩევა;
- ✓ ბალანსირებული ორგანული მასალა;
- ✓ უხეში ნარჩენების დაქუცმაცება;
- ✓ ოპტიმალური ტენიანობის შენარჩუნება;
- ✓ კომპოსტის ნაყარის გადაბრუნება;
- ✓ კარგი აირაცია;

- ✓ სხვადასხვა დანამატების კონტროლი (კირი, ქვის ფქვილი, ძვლის ფქვილი, ჭინჭრისა და სხვა მცენარეული ნაყენებით მორწყვა).

კვლევა

შევეცადე ორი რადიკალურად განსხვავებული კვლევა ჩამეტარებინა კომპოსტთან დაკავშირებით, პირველი კვლევის მიზანი მოსახლეობის გამოკითხვა იყო.

მეორე კვლევა უშუალოდ კომპოსტირების პროცესს უკავშირდება კერძოდ კი ჭიების როლს კომპოსტში.

კვლევა პირველი:

შევეცადე გამეგო, როგორც ქალაქში ასევე სოფლად გამეგო რას ფიქრობდენ მოქალაქეები კომპოსტზე და იცოდენ თუ არა კომპოსტის შესახებ. ასევე მონაწილეებს რამდენიმე კითხვას ვუსმევდი.

კითხვები:

იცით თუ არა რა არის კომპოსტი?

როგორ უნდა ვაწაარმოოთ კომპოსტი?

პრაქტიკაში თუ გამოიყენებდით კომპოსს?

შედეგები:



სურ:13 დიაგრამა

გამოკითხულთა 77% მა არ იცოდა რა იყო კომპოსტი.

გამოკითხულთა 15% მა იცოდა მაგრამ არ იყენებდა პრაქტიკაში.

მხოლოდ 8 % ქონდა ან ამჟამად იყენებდა კომპოსტირების მეთოდს (პრიმიტიულად) .

კვლევა მეორე:

ავიღე ერთი და იგივე ტერიტორიიდან ნიადაგი, და დავყე ორ ნაწილად, ერთ ნაწილში შევიყვანე ჭიები, ხოლო მეორე ნაწილი დავტოვე ისე როგორც იყო.

და ორივე ნიადაგში შევიტანე ხორბილის მარცვლები.

კვლევას ვაკვირდებოდი ერთი კვირის განმავლობაში. იმ ნიადაგში სადაც ჭიები იყვნენ შეყვანილი ბევრად უფრო კარგი და სტანდარტული იყო მცენარეები ვიდრე იმაში, სადაც არ იყვნენ ჭიები. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში რომ ჭიების როლი ნამდვილად დიდია მცენარეების ზრდა განვითარებისთვის და კომპოსტის წარმოქმნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ეკოლოგიის საფუძვლები. ავტორები რ. რიკლეფსი გ.მილერი. თბილისი, 0162საქართველო;
2) ეკოლოგია და გარემოს დაცვა. ნ. ლომთათიძე ნ. ალასანია ბათუმი - 2012;
3) ორგანული სოფლის მეურნეობა file:///C:/Users/user/Downloads/Conservation_Agriculture_CENN_Brochure.pdf
4) ზოგადი ეკოლოგია შ. ანდღულაძე, ნ. ანდღულაძე, ლ. ანდღულაძე, თბილისი 2019 წელი;
5) CENN-ის ნარცენების მართვის საინფორმაციო მასალა. თბილისი 2010 წელი;
6) ასოცირების ხელშეკრულება. თბილისი 2014-2016 წელი https://www.google.ge/search?q=%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D+%E1%83%9D%E1

Bolkvadze Giorgi

Composting of Organic Waste and Its Role in Organic Farming and Obtaining Ecologically Clean Products

Abstract

The ecological situation has deteriorated significantly during the last 25-30 years in intensive farming. Farmers around the world face the problem of soil fertility and quality. Soil degradation is followed by reduction in yield. Plants are vulnerable to disorders and pests. The soil fertilization is somewhat due to intensive use of chemical mineral fertilizers and pesticides. As a result of their impact on the soil, its structure is disrupted, the content of humus and nutrients is subordinated, the soil's physical properties, water flow, humidity, aeration and more.

In order to increase soil fertility, a mixture of mineral substances is necessary. Often, chemical fertilizers will be added to fertilizers, but they can not provide the necessary substances. Additionally, mineral fertilizers contaminate ecological and food products with accumulation of harmful nitrates and full erosion of soil.

There are many natural ways and methods to sustain and strengthen soil fertility. Among them are the most common organic fertilizer compost. Compost This is the best organic fertilizer that is rich in organic and mineral substances and contains all the necessary components for plants that are needed for its growth and development. Composite protection against environmental pollution.

Keywords: Composting, improving soil structure, waste management

ქ. ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულში ნიტრიტების შემცველობა

თეა მახარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის, აგრონომიული (აგროეკოლოგია) მიმართულება

ელ.ფოსტა:maxaradze_teo@mail.ru

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუნუ ნაკაშიძე,

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის (ბსუ) ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი - ერის ჯანმრთელობაა, ამიტომ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემა იყო და კვლავაც რჩება მთავარ და მეტად აქტუალურ საკითხად, ხოლო უვნებელი პროდუქციის წარმოება კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სრულფასოვანი კვება უზრუნველყოფს ადამიანის იმუნური სისტემის, გონებრივი შესაძლებლობების, შრომისუნარიანობის, დაავადებებისაგან დაცვის მექანიზმის განვითარება-გაძლიერებას. არასაკმარისი ოდენობის საკვები ან არასრულფასოვანი კვება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და იწვევს ანემიას, სიმაღლეში ზრდის შეფერხებას, სწავლის უნარის დაქვეითებას, იმუნური სისტემის დასუსტებას, დაავადებების მიმართ დაუცველობას.

შესავალი

ძეხვეული ისევე, როგორც ხორცის სხვა პროდუქტები, ცილოვანი ნივთიერებების წყაროა. ძეხვეული ხასიათდება მაღალი კვებითი, ენერგეტიკული და ბიოლოგიური ღირებულებით. ძეხვში ძირითად სასარგებლო ნედლეულს - ძროხის ხორცს, ღორის ცხიმს - ხშირად მეორეხარისხოვანი ნედლეულით (მაგალითად, სახამებლით, ფქვილით) ანაცვლებენ. გარდა ამისა, დამახასიათებელი წითელი ფერის მისანიჭებლად საკმაოდ მავნე ნივთიე-

რებები - ნიტრიტები გამოიყენება, რომელთა დაშვებულზე მაღალი კონცენტ-რაციით მიღება ადამიანისთვის საზიანოა. ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოად-გენდა ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთ სახეობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება. დადგენილ იქნა, რომ ძეხვეულში, რომელიც დამზადებულია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და გათვალისწინებულია მოხმარებისათვის, ნიტრიტებს შეიცავს დასაშვები ნორმის ფარგლებში და არ წარმოადგენს საფრთხეს ჯანმრთელობისათვის.

კვება უზრუნველყოფს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებას. საკვების შედგენლობა, მისი თვისებები და რაოდენობა განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ ზრდა-განვითარებას, შრო-მისუნარიანობას, დაავადებათა სიხშირეს, ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეო-ბას, სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ადამიანი საკვებიდან საკმაო რაოდენობით უნდა ღებულობდეს ისეთ აუცილებელ ნივთიერებებს, როგორებიცაა: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მიკროელემენტები, მინერალური ნივთიერებები.

არასახარბიელო კვება უარყოფითად მოქმედებს სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობაზე, სიცოცხლის ხარისხზე, ადამიანის შრომისუნარიანობაზე და საბოლოო ჯამში ზიანი მოაქვს საზოგადოებისა და მთლიანი ქვეყნისთვის. კვების პროდუქტები - ეს არის იმ ნივთიერებათა წყარო, რომლებიდანაც სინ-თეზირდება ფერმენტები, ჰორმონები და მიმოცვლითი პროცესების რეგულა-ტორები. ნივთიერებათა ცვლა, რომელიც ადამიანის ორგანიზმის სიცოცხ-ლისუნარიანობის საფუძველია, პირდაპირ არის დამოკიდებული კვების ხასიათზე. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, უვნებელი სურსათით და კვების პროდუქტებით. ადამიანის ჯანსაღი კვები-სათვის ცალკეული კვების პროდუქტების როლი დიდია. მათი ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე, განისაზღვრება ყოველდღიური სრულფა-სოვანი, ჯანსაღი კვების რაციონი.

ძეხვეულს უწოდებენ ისეთ ნაწარმს, რომელიც დამზადებულია ხორცის ან სუბპროდუქტების ფარშის, სუფრის მარილის, სანელებლებისა და სხვა-დასხვა დანამატების საფუძველზე, ჩადებულია გარსაცმში, დამუშავებულია სითბურად და მზად არის საკვებად. ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები

უშვებენ რამოდენიმე ასეული დასახელების ძეხვეულს და ამ პროდუქტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მცხოვრებთა ულუფაში. დღესდღეობით სასურსათო ბაზარი 1500 სახეობის ძეხვეულს მოიცავს, რომლებიც თავისი გემოთი და ხარისხით მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

კვლევის მიზანი ამოცანები

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთ სახეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა. სამუშაოს მიზნიდან

გამომდინარე ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთ სახეობის ორგანოლეპ-ტიკური მაჩვენებლებისა და პროდუქტებში ნიტრიტების შემცველობის გან-საზღვრა.

კვლევის მეთოდიკა

კვლევები ტარდებოდა მეთოდიკის-ГОСТ29299-29-ის მიხედვით.

კვლევის მეცნიერული სიახლე

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ ჩვენს მიერ პირველად იქნა შესწავლილი ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთ სახეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება

შესრულებული სამუშაო უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირე-ბულობას ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთი სახეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების - კერძოდ უსაფრთხო საკვები პროდუქტების შესახებ.

თავი 2. ექსპერიმენტული ნაწილი

2.1. კვლევის ობიექტი და მეთოდიკა

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქალაქ ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულის ზოგიერთი სახეობა, რომლებიც დამზა-დებულია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ფირმების მიერ. კერძოდ:

1. ძეხვი „სალიამი მოხარშულ-შებოლილი ნიკორას“ - ფირმის;
2. ძეხვი „სერველადი მოხარშულ-შებოლილი დელისიას“ - ფირმის;

3. ძეხვი „მოხარშული სამოყვარულო ლანდჰოფის“;

4. ძეხვი „მოხარშული სამოყვარულო სინიუგა ნაწლავში“;

5. ძეხვი „მოხარშული საქონლის ლიდერფუდის“;

6. ძეხვი „ჩორიზო ველა ექსტრა“;

7. ძეხვი „სერველადი მოხარშულ-შებოლილი გერმანელი ყასაბი“;

ექსპერიმენტი ტარდებოდა გოსტ 29299-92-ის მიხედვით, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ტესტირების სერთიფიკაციის ცენტრში. კვლევისათვის გამოიყენებოდა ფოტოელექტროკოლორიმეტრი.

საკვები დანამატები ბუნებრივი ან ხელოვნური გზით მიღებული ნივთიერებებია, რომლებიც ემატება სასურსათო პროდუქტებს ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესში სურსათის ხარისხის გასაუმჯობესებლად; განაპირობებს სასურსათო პროდუქტების ხარისხს, აუმჯობესებს სურსათის გარეგნულ სახეს და ორგანოლეპტიკურ თვისებებს. დღეს მსოფლიოში 200-მდე საკვები დანამატი გამოიყენება. მათ მიეკუთვნება: საკვები დანამატები, რომლებიც განაპირობებს სურსათის გარეგნულ სახეს და ორგანოლეპტიკურ თვისებებს: კონსისტენციის გამაუმჯობესებლები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, საკვები საღებავები, შესაფუთი მასალისა და ტარის საღებავები, არომატიზატორები, ეთეროვანი ზეთები და სურნელოვანი ნივთიერებები, ესენციები, გემოს გამაუმჯობესებლები, თამბაქოს ნაწარმის არომატიზატორები, სანელებლები, დამატკბობელი, საკვები მჟავები და შემატუტიანებელი ნივთიერებები. კვების პროდუქტთა მიკრობული და ჟანგვითი პროცესების შემაფერხებელი საკვები დანამატები: კონსერვანტები, სასურსათო პროდუქციის შესაბოლი ხსნარები, ანტიბიოტიკები, ანტიოქსიდანტები. სასურსათო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აუცილებელი საკვები დანამატებია. ტექნოლოგიური პროცესის დამაჩქარებლები, ფერმენტული პრეპარატები, მიოგლობინის ფიქსატორები, ნიტრატები და ნიტრიტები. ფქვილის მათეთრებელი ნივთიერებები. საკვები დანამატების გამოყენებაზე ნებართვას იძლევა FAO/WHO გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საექსპორტო კომისია [1, 2,3].

ჩვენი სამუშაოს მიზნიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ქალაქ ბათუმის ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულში ნიტრიტების შემცველობა. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილ 1-ში. როგორც მიღებული შედეგებიდან

ირკვევა, ნიტრიტების ყველაზე დაბალი შემცველობა დაფიქსირდა ძეხვებში: „სერველადი მოხარშულ-შებოლილი გერმანელი ყასაბის“, „მოხარშული საქონლის ლიდერფუდის“, „მოხარშული სამოყვარულო სინიუგა ნაწლავში“, რომლებშიც ნიტრიტების შემცველობა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით დაახლოებით 12-ჯერ ნაკლებია.

ცხრილი №1

ქალაქ ბათუმის ქსელში გაყიდვაში არსებულ ძეხვეულში ნიტრიტების შემცველობა

№	მაჩვენებლები	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია	გამოკვლევის შედეგი	ძეხვის მწარმოებელი ფირმები
1	ნიტრიტი	50მგ/კგ	16,8 მგ/კგ	„ნიკორა“
2	ნიტრიტი	50მგ/კგ	12,0მგ/კგ	„დელისია“
3	ნიტრიტი	50მგ/კგ	8,80მგ/კგ	„ლანდჰოფი“
4	ნიტრიტი	50მგ/კგ	4,0მკ/გკ	„ექსტრა მითი“
5	ნიტრიტი	50მგ/კგ	6,40მგ/კგ	„ლიდერფუდი“
6	ნიტრიტი	50მგ/კგ	4,80მგ/გკ	„ჩორიზო“
7	ნიტრიტი	50მგ/კგ	4,0მგ/კგ	„გერმანლი ყასაბი“

დასკვნა

1. ნიტრიტების ყველაზე მეტი შემცველობა დაფიქსირდა ნიკორას და დელისიას ფირმის ნაწარმში. მიუხედავად აღნიშნულისა განხილულ პროდუქტებში ნიტრიტების შემცველობა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე დაბალია.

2. მიღებული შედეგები მეტყველებენ, რომ ქალაქ ბათუმის ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეული ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოა.

3. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ ძეხვეულში სადაც ნიტრიტების შემცველობა შედარებით მაღალია, მაგრამ დასაშვები კონცენტრაციის ფარგლებშია, ხორცის შემცველობა შედარებით მეტია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გახოკიძე რ. ტაბატაძე ლ. კვების პროდუქტთა ქიმია. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2016, გვ. 243.

2. ლაფერაშვილი ქ. ქეჩუკაშვილი ზ. სურსათის უვნებლობა და ხარისხი. თბილისი, 2011.

3. ზურაბაშვილი მ. კვების ჰიგიენა, თბილისი - 1989.

4.Нечаев А. П. Пищевая химия. Санкт- Петербург 2007.

5. გიული გოგოლი. (ივლისი, 2017). "ძეხვეულის წარმოება". მოძიებულია მარტი, 2018. http://agronews.ge/dzekhveulis-tsarmoeba/;

6. რუსუდან სავანელი. (11 თებერვალი, 2011). "ქართული ძეხვეული", მოძიებულია მარტი, 2018. http://vinoge.com/samzareulo/qarTuli-Zexveuli;

Makharadze Tea

Nitrite Content in Sausages on Sale in Batumi Trade Network

Abstract

One of the main priorities of the country is the health of the nation, therefore it is a problem of maintaining and sustaining human health and remains the main and most pressing issue, and the production of harmless products is one of the most important problems of mankind. Full-fledged nutrition ensures the development and strengthening of the immune system, mental capacity, work capacity, and disease protection mechanism. Inadequate amounts of food or inadequate feeding have a negative impact on human health and cause anemia, increase in height, decrease in learning ability, weaken immune system, and vulnerability to diseases.

საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ზოგიერთი ჯიში

ვახტანგ გარუჩავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტექნოლოგიური ფაკულტეტი, აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი
ელ. ფოსტა: vgaruchava@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნარგიზა ალასანია,
აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის (ბსუ) ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მეტად საყურადღებოა მეცხოველეობის, კერძოდ, სახორცე საქონლის ჯიშების გამრავლება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მებოცვრეობის დარგის განვითარება. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ზოგადად შესწავლილ იქნას საქართველოში გავრცელებული კურდღლის ჯიშები. საქართველოში მებოცვრეობის განვითარება XX-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო. დღეისათვის საოჯახო ტიპის ფერმერული მეურნეობა დაახლოებით 1800-მდეა, ხოლო მებოცვრეობის ფერმა 10-მდე (2015 წ.).

1975-წლისთვის მებოცვრეობის ფერმები და სანაშენე მეურნეობები 35-ს აღწევდა, სადაც 12 000 დედა ბოცვერი იყო. კარგადაა მოწყობილი მებოცვრეობის კუმისის სანაშენე მეურნეობა და ბებნისის სანაშენე ფერმა. სანაშენე ჯიშებია: საბჭოური შინშილა, ნაცარა გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვენური ცისფერი, ველიკანი, კალიფორნიული და სხვა ბოცვერი. თუმცა 1990-იანი წლებიდან სრულად განადგურდა მებოცვრეობის მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ამაჟამად მებოცვრეობა გავრცელებულია საოჯახო მეურნეობებში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინტენსიურად დაიწყო ამ დარგით ფერმერთა დაინტერესება, ეტაპობრივად იზრდება ხორცის მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: მებოცვრეობა, სანაშენე ჯიშები, საოჯახო მეეურნეობები.

შესავალი

მსოფლიოში 200-მდე კურდღლის ჯიშია გამოყვანილი, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვანი სამეურნეო თვისებებით, მათ შორის, წონით, შეფერილობით და ბეწვის ხარისხით განსხვავდებიან. სხვა ცხოველების ხორცთან შედარებით, კურდღლის ხორცი ყველაზე, უვნებელ, ანტიალერგიულ და სასარგებლო ხორცპროდუქტად მიიჩნევა. თუკი ორგანიზმი საქონლის ხორცის 60%-ს ითვისებს, ბოცვრის შემთხვევაში მაჩვენებელი 90%-მდე იზრდება. ეს იშვიათი მახასიათებლების მქონე ხორცპროდუქტი ლეიკოზისა და კიბოს საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება. მისი მიღება განსაკუთრებით სასურველია ჩვილი ბავშვების, ორსულების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებისთვის. პედიატრების გარკვეული ჯგუფის რეკომენდაციით, ბავშვმა პირველად სწორედ კურდღლის ხორცი უნდა გასინჯოს.

თემის აქტუალობა

გარდა ხორცისა, ბოცვრის ტვინი განსაკუთრებით კარგია მხედველობისთვის, გადამდნარ ქონს კი დამწვრობის, გამონაყარის, ალერგიის სამკურნალოდ, ჭრილობების შეხორცებისა და ანთებითი პროცესების შესაჩერებლად იყენებენ. მისი შემცველობით სხვადასხვა დანიშნულების სამკურნალო საშუალება, მათ შორის, ონკოლოგიური წამლები მზადდება. კურდღლის ფეკალურ მასას ტბის მეპატრონეები თევზის გამოსაკვებად იყენებენ, თავისა და ფეხებისგან კი, ქარხნებში ძაღლის საკვები მზადდება. ბოცვერი ხასიათდება მაღალი ნაყოფიერებითა და მალმწიფადობით. ერთი ჯანმრთელი ბოცვერიდან წლის განმავლობაში შეიძლება მივიღოთ 5-6 მოგება, 40-50 ბაჭიაზე მეტი, ანუ 60-70 კილოგრამი ხორცი (ცოცხალი მასითა) და დაახლოებით 20 კგ ქურქი. ბოცვერი მიეკუთვნება კურდღელთა რიგს, კურდღლის ოჯახს, ძუძუმწოვართა კლასს. ბოცვრის სამშობლოდ ითვლება სამხრეთ და შუა ევროპა (საფრანგეთი და ესპანეთი).

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ზოგიერთი ჯიშების, ამჟამინდელი მდგომარეობა და გავითარების პერსფექ-ტივების დადგენა, მეხორცეული ჯიშის ბოცვრების საწარმოო პოტენციალის განსაზღვრა, საწარმოო ფუნქციის გზით.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანად დავისახეთ გამოგვეკვ-ლია:

- ✓ საქართველოში ბოცვრების პერსპექტიული ჯიშების გამრავლება და განვითარების ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები.
- ✓ მებოცვრეობის ტიპის ფერმერულ მეურნეობათა ტიპის გამოყოფა და წარმოების პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა.
- ✓ ხორცის სანედლეულო ბაზის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა.
- ✓ თივთიკის წარმოება და ბაზარზე გატანა.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის ძირითადი ობიექტია სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზ.ჭალადიდში მცხოვრებ ჯემალი გარუჩავას მებოცვრეობის ფერმერული მეურნეობა. სადც ხდება თითოეული ჯიშის ბოცვერზე დაკვირვევა, ადგილ-ზევე ხდება ბოცვრის ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლა. სხავადასხვა დაავადებებზე ვახდენდი დაკვირვებებს და ადგილ-ზევე ხდება ბოცვრების რეაბილიტაცია. ასევე ხდება მათი აცრა სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინით და სხვა.

ხშირად ადამიანებს ერთმანეთში ერევათ კურდღელი და ბოცვერი. მიუხედავად მსგავსებისა, ეს ორი ცხოველი მაინც სხვადასხვაა. განსხვავდება მათი ხასიათიც. კურდღელს არ გააჩნია კონკრეტული საცხოვრებელი ტერი-ტორია, უფრო მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. ბოცვერი პირიქით თხრის სოროს და წლიდან წლამდე ხვეწავს, უმატებს დამატებით სათავსებს, რომ უკეთ მოკალათდეს. დიდი სხვაობაა მათ გამრავლებაშიც, კურდღლის ბაჭიები გაცილებით დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანები არიან, დაბადების-თანავე დამოუკიდებლად შეუძლიათ კვება. ახალდაბადებული ბოცვერი უფრო უსუსურია და მასზე დედა ბოცვერი ზრუნავს.

სამხრეთ ევროპული გარეული ბოცვრიდან წარმოიშვა შინაური ბოცვერის ყველა ჯიში. გარეული ბოცვრის შინაურ ბოცვერთან შეჯვარებით მიიღება სიცოცხლისუნარიან და ნაყოფის მომცემი თაობა, ხოლო გარეულ კურდღელთან შეჯვარებით შეუძლებელია ჰიბრიდის მიღება. ბოცვრის მაკეობის ხანგრძლივობა 28-32 დღეა, კურდღლისა კი 50-52 დღე. ბოცვერი ბადებს ბრმა და შიშველ ბაჭიებს, კურდღელი კი თვალხილულს, კარგად შებუსული ბეწვით, ერთი კვირის შემდეგ კურდღლის ბაჭიები მშობლების გარეშეც ცხოვრობენ; ბოცვერი 1-1,5 თვეს აწოვებს ბაჭიებს კურდღელი კი რამოდენიმე დღეს. კურდღლის ნაყოფიერებაა 4-5 ბაჭია, ბოცვრისა კი 7-8, ზოგჯერ 15-18. ბოცვრის ტანხორცი ძირითადად თეთრი ხორცისაგან შედგება, რომელიც შეიცავს სრულფასოვან ცილებს მცირე რაოდენობით ხოლესტერინსა და დაბალ კალორიებს. ბოცვერის ხორცი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვისა და მოხუცებისთვის აგრეთვე, კუჭის, ღვიძლის, სისხლძარღვების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის. ბოცვერის ტყავი ნატურალური სახით გამოიყენება ბეწვეულის მწარმოებლობაში, ან მას იმიტაციას უკეთებენ ძვირფასი სახის მხეცების ბეწვის მისამსგავსებლად.

საქართველოში გავრცელებული ბოცვრის სანაშენე ჯიშებიდან ჩვენ ვაკვირდებოდით და შევისწავლეთ შვიდი სახეობა, რომლებიც ჩვენს კერძო ფერმერულ მეურნეობაში გვყავს. მათგან აღსანიშნვია:

თეთრი გოლიათი. გამოყვანილი ბელგიასა და გერმანიაში, გამოირჩევა სწრაფი ზრდით ახასიათებს კარგი სადედე თვისებები ამ ბოცვერის ჯიშის მასა საშუალოდ 5 კილოგრამია, თუმცა გვხვდება 6-8 კილოგრამიანი ინდივიდებიც.

ეს ჯიში გამოყვანილია სელექციის გზით ბელგიასა და გერმანიაში ფლანდრის ჯიშთან მუშაობის საფუძველზე. ბოცვერის შეფერილობა სუფთა თეთრია, ხშირი ბეწვით. თვალები გამჭვირვალე მოწითალოა. საშუალო ცოცხალი წონა 4,3 კგ-დან 6,4 კგ-მდეა და მეტი. სიგრძე 55–65 სმ. მკერდის შემოწერილობა 36-38 სმ. თეთრი გოლიათი იძლევა მსხვილი ზომის ტყავს. თეთრი ბეწვი გამოიყენება წარმოებაში ნატურალური სახით და ადვილად იღებება.

დედა ბოცვერი იძლევა 7-8 ბაჭიას და როგორც წესი, მათ კარგად კვებავს. ჯიში გამოირჩევა სწრაფი ზრდით და საკვების მაღალი უკუგებით. 2 თვის

საუკეთესო ბაჭიების ცოცხალი წონა საშუალოდ შეადგენს 1,5 კგ-ს, 3 თვის 2 კგ-ს, 4 თვის 2,6 კგ-ს, თეთრ გოლიათს იყენებენ სხვა ჯიშის გოლიათთან შესაჯვარებლად. მათ სჭირდებათ განსაკუთრებული სისუფთავე მოვლისას [2].

სურ1: თეთრი გოლიათი

ბელგიური გიგანტი (ფლანდრი). ყველაზე დიდი, სახორცე ჯიშის ბოცვერია. საშუალოდ იზრდება 6-7 კგ-ს, იშვიათად ეგზემპლარები აღწევენ11-12 კილოგრამს და მეტს. ზრდასრული ბოცვერის ტანის სიგრძე 1 მეტრს აღწევს, ამ ჯიშს რამოდენიმე ქვესახეობად ყოფენ. აქედან ყველაზე გავრცელებული რუხი გარეული კურდღლის ფერი ფლანდრია. ასევე გვხვდებიან შავი, მუქი ნაცრისფერი და წითელი შეფერილობისაც, ამ ჯიშს ახასიათებს სწრაფი ზრდა.

სურ2: ბელგიური ფლანდრი

გერმანული პეპელა (სტროკაჩი). (უნდა აღინიშნოს, ჩვეულებრივი ანუ უბრალოპეპელასთან მას არაფერი აკავშირებს) ეს ჯიში გამოყვანილია გერმანიაში, რომელიც ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით თითქმის ისევე

როგორც ბელგიური გიგანტი ზრდასრული ბოცვერის მასა აღწევს 7-8 კგ-ს, აღსანიშნავია ისიც, რომ მისი შეჯვარება შესაძლებელია 6 თვის ასაკშიც.

სურ3: გერმანული პეპელა

კალიფორნიული. ეს ჯიში გამოყვანილია ამერიკაში შინშილასა და ახალ-ზელანდიურის შეჯვარებით. გამოირჩევა მაგარი კონსტრუქციულობით, წვრილი ძვლით მაღალი მეხორცულობით საშუალო თავით, მოკლე თხელი სწორმდგომი ყურებით, მკერდი ღრმა და ფართო, წელი განიერი, ფეხები მსხვილი და მაგარი, თათები მასიური, ბეწვი ხშირი, შობადობა 6-10 ბაჭია, წონა 4,5 -5,5 კგ.

სასაკლაო წონაზე ადის სამი თვის ასაკში და აღწევს 2,7-3 კგ-ს, ხორცის გამოსავალი 52%.

სურ4: კალიფორნიული

ალიასკა. ჯიში ალიასკა გამოყვანილია გერმანიაში მეოცე საუკუნის დასაწყისში. ალიაკა არის საშუალო ზომის სახორცე და საბეწვე მიმართულების ბოცვერი რომლის საშუალო წონა აღწევს 4-5 კგ-ს. ტანის სიგრძე 50-60 სმ. შობადობა 5-6 ბაჭია.

სურ5: ალიასკა

ველიკანი. დიდი ზომის კურდღელია, რომელიც მიღებულია სელექციური გზით ბელგიასა და გერმანიაში მე-19 საუკუნეში. ბეწვის შეფერილობა თეთრი აქვს და საკმაოდ სქელი. თვალები გამჭვირვალე მოწითალო, ის მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება, 5-7 კილოგრამამდე მერყეობს, სხეულის სიგრძე 60-65 სმ შეადგენს. იძლევა დიდი ზომის ტყავს, გვაძლევს 7-დან 12 ბაჭიას. ეს ჯიში გამოირჩევა სწრაფი ზრდით. 4 თვის ასაკში 3 კილოგრამს აღწევს.

სურ6: ველიკანი

კურდღლის კვება. კურდღელი ღამის ცხოველია - იგი საჭმელად ღამე გამოდის და იწყებს საკვების მოპოვებას. კურდღლის ბაჭიების კვებაზე ბევრს წარმოდგენაცარა აქვს და ამიტომ სათანადო შედეგსაც ვერ ღებულობს. ისევე,

როგორც ყველა სხვა სასოფლო–სამეურნეო ცხოველს, ბოცვრებსაც სჭირდება შესაბამისი კვების სწორი ულუფა და დაბალანსებული საკვები. სასურველია რომ ბოცვრებს მივცეთ ცილებით მდიდარი საკვები და მათი რაოდენობა იყოს 18% მდე. აუცილებელი რაციონი: ქერი, იონჯა, ჯეჯილი, გამომშრალი ბალახი, ხის ტოტები და ქერქი, ნაძვის მწვანე ტოტები, ცერცვი, სოია, სამყურა, სიმინდისა და მზესუმზირის ნორჩი ნაზარდი, მარწყვის ფოთლები. ასევე დედა და სარეალოზაციოდ განკუთვნილ ბოცვრებს აუცილებელია მივცეთ კომბინირებული საკვები, ის ბოცვრებს ეხმარება რძის მომატებაში და სწრაფად ასუქებს მას. ის შეიცავს ბევრ ნახშირწყლებს, ვიტამინებს [3].

სურ7: ბოცვრის კომბინირებული საკვები

მოზარდი ბაჭიის დღიური კვების ნორმა

თივა 100-200 გ-მდე, წვნიანი საკვები 150-300გ-მდე, კონც. საკვები 30-50გ.

ბოცვრის წლიური მოთხოვნა საკვებზე -კგ სულზე

ჯგუფები	კონცენტრატი	თივა	ძირხვენა	ბალახი	მარილი
დედალი	30.40	38.2	44.21	45	1.5
მამალი	20.2	30,9	30.8	94.6	1.5
მოზარდი	7.8	5.2	4.5	40.0	0.05

ბოლო პერიოდში ბოცვრის ხორცზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა მსხვილ სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში, ასევე სარესტორნე ქსელში. დღევანდელი ინფორმაციით (2015 წელი), მხოლოდ მარკეტების ქსელებში ყოველთვიურად 300-400კგ ნედლი ხორცის რეალიზაცია ხდება, თუმცა შესაძლებელია ამ ციფრის არანაკლებ სამჯერ გაზრდა, ვინაიდან ხორცის მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე მიწოდება. პრობლემას ქმნის არაორგანიზებული მიწოდება, ხორცის დაბალი პოპულარიზაცია და ცნობადობა. ბოცვრის გამოზრდის პერიოდი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და არ უნდა

აღემატებოდეს 3 თვეს, ამ პერიოდისთვის ცოცხალი წონა აღწევს 2.5-3კგ-ს, საიდანაც სუფთა ხორცის გამოსავალი შეადგენს 1.4-1.8-კგ-ს. 1კგ ბოცვრის ხორცის თვითღირებულება შეადგენს 11-12-ლარს (კომბინირებული საკვები, თივა, ვაქცინაცია და სხვა ხარჯები), რაც შეეხება სარეალიზაციო ფასს, მარკეტებსა და სარესტორნე ქსელებში, დამოკიდებულია ბაზარზე და მერყეობს 14-15 ლარამდე.[4]

სურ8: ხორცი

დაავადებები

დაავადების მხრიდან ბოცვერი იმუნურია. ჭიის საწინააღმდეგო აცრებს წელიწადში ერთხელ უკეთებენ დედა კურდღელს. ბოცვრებს თვეში ერთხელ სამი დღის განმავლობაში დაზღვევის მიზნით უკეთდებათ ანტიბიოტიკი. ბაჭიებს ახასიათებთ ისეთი დაავადებისაკენ მიდრეკილება, როგორიცაა კოქციდიოზი, ფაღარათი. ამ შემთხვევაში სიკვდილიანობა მაღალია, ამიტომაც ყველაზე მთავარია სწორი კვება და მოვლა. არაგადამდები დაავადებებია: კუჭ–ნაწლავის აირებით გაბერვა, მჟავე კატარი, ტუტე კატარი, მზის ან სითბური დარტყმა. გადამდები დაავადებებია: ინფექციური სტომატიტი, ინფექციური რინიტი, ბასტერილიუზი, ქეცი.

ინფექციური რინიტი. რინიტის დროს აღინიშნება ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ჰიპერემია. ბოცვერს აცემინებს, თათებით ისრესს ცხვირს. ცხვირიდან გამოეყოფა ლორწოვანი გამონადენი. ეს დაავადება ერთ-ერთი საშიში ინფექციურ დაავადებას მიეკუთვნება. რინიტის სამკურნალოდ დღეში 2-3 ჯერ ყოველ ნესტოშ შეჰყავთ 5-6 წვეთი ეკმონოვოცილინი (1 ნაწილ პრეპარატს + 2 ნაწილი ფიზიოლოგიური ხსნარი ან ანადუღარი წყალი), ასევე შესაძლებელია ფურაცილინის 1% -იანი ხსნარი.

ინფექციური სტომატიტი (სველი ცხვირი). აღმძვრელი ვირუსი. ავადდება, ძირითადად, მოზარდი ბაჭია ასხლეტვის 20-25-დღიდან 2 თვემდე. საინკუბაციო პერიოდი 2-4 დღეა. ზრდასრული ბოცვრები იშვიათად ავადდებიან. დაავადებას არ აღენიშნება სეზონურობა. დასნებოვნების წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ცხოველი.

კლინიკური ნიშნები - დაავადების დასაწყისში აღინიშნება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიწითლე, შემდეგ ენაზე ჩნდება თხელი მოთეთრო აფთები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის და ქმნის მთლიან ნადებს, ნორმალური ლორწოვანასგან გამოყოფილს მოწითალო არშიით. შემდგომში ენაზე წარმოიქმნება წყლულები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებას თან სდევს ჭარბი ნერწყვდენა [3-4].

პროფილაქტიკა და მკურნალობა. ავადმყოფ ცხოველებს უტარებენ იზოლაციას, გალიებსა და ინვენტარს უტარებენ დეზინფექციას იოდზეფის ხსარით 1:50 (100მლ-5ლ წყალთან განზავებით). ავადმყოფ ბოცვრებს მკურნალობენ 3-5 დღის განმავლობაში პრეპარატი პენბექსის ან ამოქსაცილინის 15%-იანი საინექციო ხსნარით. დოზა 1მლ-10კგ ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით.

მიქსომატოზი. აღმძვრელი ვირუსი. მიქსომატოზის მიმართ მგრძნობიარენი არიან გარეული და შინაური ბოცვრები. ინფექციის წყაროს წარმოადგენს მიქსომატოზით დაავადებული და დაავადება გადატანილი ბოცვრები. დაავადება ხშრად აღინიშნება ზაფხულში და შემოდგომაზე. ვირუსის ძირითადი გადამტანები არიან კოღოები, ტილები, ტკიპები.

დაავადების ნიშნები. დაავადება მიმდინარეობს 2 ფორმით: კლასიკური (შეშუპებით) და კვანძოვანი (ატიპიური). კლასიკურის ფორმის დროს ვლინდება ორმხრივი კონიუნქტივიტი, ამ დროს ბოცვერს ქუთუთოები უსივდება, აღენიშება თვალებიდან ჯერ სერიოზული, შემდეგ კი ჩირქოვანი გამონადენი. კვანძოვანის დროს კი თავზე, მკერდზე, ზურგზე, უჩნდება შეშუპებები.

პროფილაქტიკა და მკურნალობა. ავადმყოფ ბოცვრებს მკურნალობენ 4-6 დღის განმავლობაში პრეპარატი პენბექსის ან ამოქსაცილინის 15%-იანი საინექციო ხსნარით (დოზა 1მლ-განზავებით). ავადმყოფ ბოცვრებს მკურნალობენ 3-5 დღის განმავლობაში პრეპარატი პენბექსის ან ამოქსაცილინის 15%-იანი საინექციო ხსნარით. დოზა 1მლ-10კგ ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით. ეკმონოვოცილინი.

სურ9: მიქსომიტოზი

ყურის მუნი. დაავადების ნიშნები: ხასიათდება ქავილისა და ეგზემის გამოვლენით ყურის ნიჟარის მიდამოებში. ბოცვრები იქნევენ თავს. ყურის ნიჟარების შიდა ზედაპირზე გარეთა სასმენ ხვრელში წარმოიქმნება ქერქები, ხოლო გართულებების დროს აღენიშნებათ რუხ-ყავისფერი ქერქების წარმონაქმნი ჩირქოვანი ექსუდატის შემდგომი გამოყოფით.

პროფილაქტიკა და მკურნალობა. სამკურნალოდ იყენებენ შემდეგ პრეპარატებს: 30-50% ფენოტიაზინს 10% ТАП -85-ს, 5% ნიკოქლორანს, 10% ბენტოციდს, 5% გექსალინს, 5% გექსატალს.

კუჭ-ნაწლავის დაავადებები. უმეტეს შემთხვევაში ჩნდება ბოცვრის არასწორი კვების, უხარისხო (დაობებული, ამჟავებული) საკვების მიცემის, კვების რეჟიმის დარღვევის გაციების ფაქტორების გამო. ყველაზე ხშირად ეს დაავადებები აღენიშნება მოზარდულს ცხოვრების პირველ თვენახევარში და მოცილების შემდეგ. ამ პერიოდში ხდება კვების ტიპების: რძიანის, შრეულისა და ურძეოს მკვეთრი ცვლა, რაც მოითხოვს მოზარდეულის ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი საღმლის მომნელებელი აპარატის ღრმა გარდაქმნას. კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებებს განეკუთვნება: ტიმპანია (მუცლის შებერილობა), მეტეორიზმი (ნაწლავის შებერილობა) და კუჭისა და ნაწლავის ლორწოვანი გარსების კატარალური ანთებები.

ბოცვრის სადგომი. ბოცვრის ფერმერული მეურნეობის დაგეგმარების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორები: გარემო პირობები (ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის მასების მოძრაობა), იზოლირება

სხვა ფერმერული მეურნეობებისგან. ბოცვრის გამოზრდა სასურველია კაპიტალურ ნაგებობაში, სადაც გამართული უნდა იყოს სავენტილაციო სისტემა, მოწყობილი უნდა იყოს ლითონის უჟანგავი კონსტრუქციები (გალიები), ნაკელის გამტანი დანები; გამართული უნდა იყოს დასარწყულებელი ნიპელური სისტემები, დამონტაჟებული ლითონის საკვებურები. ფერმაში ზამთრის პერიოდში ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურა 15- 17 გრადუსია, ხოლო ტენიანობა 50-60%. ბოცვრის გალიის სტანდარტი:სიგრძე–90სმ, სიგანე–70სმ, სიმაღლე–45სმ. საბაჭიე ხის ყუთის ზომები: სიგრძე – 50სმ, სიგანე–30სმ, სიმაღლე–15სმ. გალიის ტიპის სახლებში აუცილებელია ჩაიდგას დამატებითი სამშობიარო ყუთები.

სურ10: კურდღლის სადგომი

ბეწვისა და ტყავის რეალიზაცია - საქართველოში ბეწვისა და კურდღლის ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობს. ამიტომ ამ ბიზნესზე ორიენტირება ამ კუთხით სარფიანი საქმე არ არის. დიდი რაოდენობით ტყავის დამზადების შემთხვევაში სავარაუდო საექსპორტო რეალიზაცია შეასაძლებელია თურქეთში. ფერმერი თურქეთის ფაბრიკაში დაახლებით 3 $ –ად აბარებს ტყავს.

დასკვნა

აგრონომიის მესამე კურსის სტუდენტის ვახტანგ გარუჩავას საკონფერენციო ნაშრომზე „საქართველოში გავრცელებული კურდღლის ზოგიერთი

ჯიში“. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თითოეული ეს ჯიში ხასიათდება დიდი პროდუქტიულობით, ასევე სწრაფი ზრდით, რაც ბოცვრის პროდუქტიულობას უფრო მეტად ზრდის.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა რომ, შეჯვარება მოხდა 2 ჯიშის- ბელგიური ფლანდრი (მდედრი) და ველიკანი (მამრი) კურდღლებზე. ე.ი. ხდებოდა სხვადასხვა ჯიშის ბოცვრების ერთმანეთზე შეჯვარება, რაც იძლევა ისეთ ახალ თაობას, რომლის საწარმოო და პროდუქტიული მაჩვენებლები აღემატება მშობლებისას. შეჯვარების შედეგად გამორჩეული ბოცვერი უფრო დიდი ზომისაა და უფრო პროდუქტიულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლი გ., მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიები.
2. ენუქიძე გ. ქსე, ტ. 6, გვ. 534, თბ., 1983, კატეგორია: მეცხოველეობა.
3. როდონაია თ.ე. კურდღლის (LEPUS EUROPAEUS PALLAS, 1778) ჰელმინთების შესწავლისათვის საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 1967, გვ. 98-104.

Garuchava Vakhtang

Rabbit Husbandry in Georgia

Abstract

Animal husbandry, particularly, breeding of beef cattle is very important in the development of agriculture in Georgia.

In this regard, it is especially noteworthy to develop the field of cony breeding. The purpose of our work is to study the common varieties of rabbit species in Georgia. The development of cony breeding in Georgia started in the 60s of 20th century.

At present, there are approximately 1800 family farms and about 10 cony farms in Georgia (2015).By 1975, cony farms and breeding grounds reached 35, where 12 000 was mother cony. The Kumisi Cony Breeding Farm and the Bebnisi Breeding Farm are well equipped. Breeding species are: Soviet Chinchilla, Gray Giant, White Giant, Vienna Blue, Californian, Alaska and other. However, since the 1990s, the material-technical base of the coney breeding has been completely destroyed. Currently, cony breeding is spread in family farms. During the last five years, farmers have been interested in this field. Demand for meat gradually increases on the consumers market.

Key Words: cony breeding, breeding species, family farms

სალათის კულტურა აჭარაში

დარინა გაბაიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტექნოლოგიური ფაკულტეტი, აგრონომია, მესამე კურსი
ელ. ფოსტა Gabaidze.dadu@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღ: ნარგიზ ალასანია
აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის (ბსუ) ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ჩვენ ქვეყანაში სალათის წარმოება მცირე რაოდენობით იყო განვითარებული, თუმცა ბოლო ათწლეულის მონაცემებით ეს მდგომარეობა შეიცვალა და სალათის კულტურა მოთხოვნადი გახდა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

საქართველოში ძირითადად სალათის კულტურას აწარმოებენ იმერეთში, სამეგრელოში, ქვემო ქართლში (მარნეულში) და აჭარაში, კერძოდ კი ქედაში და ჭარნალში. აჭარაში სალათის კულტურის გაშენება შეიძლება როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში. მის გასაშენებლად ერთ-ერთ პერსპექტიულ ზონად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი აჭარა, სადაც ფერმერებს მცირე მიწიანობის პრობლემა აწუხებთ. სალათის კულტურის წარმოებას ფერმერისთვის არცთუ ისე მცირე სარგებლის მოტანა შეუძლია და დიდი აგრარული პოტენციალიც გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: სალათის კულტურა, აჭარის რეგიონი, სასათბურე მეურნეობის განვითარება.

შესავალი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული სალათის ჯიშების აგროტექნოლოგიური შესწავლა, მათი კვებითი ღირებულების დადგენამ, გამოიწვია ამ კულტურის გავრცელების მიმართ საკმაოდ გაზრდილი ყურადღება. სწორედ ამიტომ ადგილობრივი ფერმერები დიდ ყურადღებას უთმობენ სალათის კულტურის მოყვანას.

სალათის წარმოებას მისდევდნენ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში.

დღეისათვის მსოფლიოში სალათზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება და მისი მნიშვნელოვანი მწარმოებლები არიან: აშშ, ჰოლანდია, ბელგია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, იაპონია და ჩინეთი.

ჩვენს ქვეყანაში სალათის წარმოება მცირე რაოდენობით იყო განვითარებული, თუმცა ბოლო ათწლეულის მონაცემებით ეს მდგომარეობა შეიცვალა და სალათის კულტურა მოთხოვნადი გახდა, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში. საქართველოში ძირითადად სალათის კულტურას აწარმოებენ იმერეთი, სამეგრელოში, ქვემო ქართლში (მარნეულში) და აჭარაში, კერძოდ კი ქედაში და ჭარნალში. აჭარაში სალათის კულტურის გაშენება შეიძლება როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში. მის გასაშენებლად ერთ-ერთ პერსპექტიულ ზონად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი აჭარა, სადაც ფერმერებს მცირემიწიანობის პრობლემა აწუხებთ. სალათის კულტურის წარმოებას ფერმერისთვის არცთუ ისე მცირე სარგებლის მოტანა შეუძლია და დიდი აგრარული პოტენციალიც გააჩნია.

ადამიანის ორგანიზმს სრულყოფილი განვითარებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისთვის, კვების რაციონში გარკვეული რაოდენობით მწვანე სალათის შეტანაც სჭირდება. ის მდიდარია ვიტამინებით. მწვანე სალათის ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით K ვიტამინს, კალციუმს, უჯრედისს. მისი სამკურნალო ეფექტი დაფუძნებულია უჯრედისის იმ თვისებებზე, რომელიც ასტიმულირებს ნაწლავების მოქმედებას და ხელს უწყობს ნაღვლის ევაკუაციას. სალათის კულტურის მოთხოვნა საქართველოს ბაზარზე უფრო სეზონურია, ვიდრე მუდმივი, თუმცა ამ მხრივ აჭარის რეგიონი გამონაკლისია, რადგან ეს ის რეგიონია სადაც ტურისტები წლის ყველა სეზონზე სტუმრობს და სალათის კულტურაზე მოთხოვნა დიდია და შესაბამისად მიწოდებაც მუდმივ რეჟიმში ხდება.

თავი 1. სალათის ზოგადი დახასიათება

სალათი (ლათ.Lactuca Sativa L) ერთწლიანი მხალ-მწვანილეული (ბალახოვანი) მცენარეა. ის განეკუთვნება რთულ ყვავილოვანთა ოჯახს. მთავარ-

ღერძა ფესვთა სისტემით, ფოთლის შეფერილობის მიხედვით გვხდება მწვანე, როგორც ღია ისევე მუქი მწვანე, მოიისფრო, ძოწისფერი და სხვა [1].

სალათის კვებითი ღირებულება განსაკუთრებით მაღალია ნედლი სახით გამოყენებისას და იგი შეიცავს სასარგებლო ვიტამინებს: A, B1, B2, C, PP, K, მინერალურ მარილებს და ადამიანისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. სალათა დიეტური საკვებია, ამცირებს სისხლის წნევას, აუმჯობესებს ძილს, ამშვიდებს ნერვიულ სისტემას.

სურ: 1

სალათის ფოთლები განსხვავდება ფორმით, შეფერილობით, კიდეების დაკბილულობით და ქსოვილების კონსისტენციით. ფოთლები სიგრძით 10-დან 50 სმ-მდეა, სიგანით 10- 35 სმ.

ჩვენი ნაშრომის მიზანი არის შეგვესწავლა აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული სალათის ჯიშები და ჩვენ თვითონ მოგვეყვანა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სათბურში.

მარტის თვეში ჩვენს მიერ დათესილ იქნა ორი ჯიში: რომენი და ლოლო როსა. დავთესეთ როგორც გრუნტში ტრადიციული მეთოდით, ასევე საკულტივაციო ჭურჭელში.

სურათი 2

ჩვენს სათბურში ნიადაგი ტყის გაეწრებული ტიპისაა. იგი საუკეთესო აღმოჩნდა ზოგადად ბოსტნეულის მრავალი კულტურის მოსაყვანად და კარგი მოსავლის მისაღებად და სალათის კულტურისათვისაც. ჩვენი დაინტერესება ლოლო როსას და რომენის ჯიშებისადმი გამოიწვია, როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ბაზარზე მათზე მოთხოვნის გაზრდამ.

თესლის ჩათესვა ვაწარმოეთ გაღივების მუდმივი 28°C ტემპერატურის პირობებში, ამოსვლა დაიწყო 2-3 დღეში. ჩათესილი თესლი, რომლებიც

კასეტებში გვქონდა, აღმოცენებისთანავე გადავიტანეთ საჩითილეში. საჩითილეში ჩითილი ვითარდებოდა დაახლოებით 25-30 დღის განმავლობაში და შემდეგ გადავრგეთ ნაწილი სათბურში და ნაწილი კი ღია გრუნტში. ორივე შემთხვევაში მოსავლიანი აღმოჩნდა.

ლოლო როსას სამშობლოა იტალია. ლოლო როსა განსხვავდება, როგორც ფოთლის შეფერილობით, ასევე მისი არომატით. სათბურის პირობებში მისი წარმოება წლის ნებისმიერ სეზონზეა შესაძლებელი, ხოლო ღია გრუნტის შემთხვევაში ის გრილი სეზონის მოყვარულია და მოითხოვს ნაყოფიან ნიადაგს, თბილ დღეს და გრილ ღამეს. ბაზარზე მოთხოვნა გაიზარდა 1999 წლის შემდეგ, როდესაც გლაზგოს უნივერსიტეტში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ლოლო როსას 100-ჯერ მეტი ანტიოქსიდანტები აქვს, ვიდრე სხვა ჯიშის სალათის ფოთოლს. იგი ასევე შეიცავს ანტიოქსიდანტური კვარციტინის, რომელიც ითვლება ასთმის და ალერგიის თავიდან ასაცილებლად ბუნებრივი ანტიჰისტამინის სახით [4].

რომენი დიდი ფხვიერი მოგრძო ფოთლებითაა გამორჩეული, მისი ფოთლები შეიძლება იყოს თეთრიც და მწვანეც. რომენის ფოთოლი ოდნავ ცხარე და ძალიან წვნიანია. რომენის სალათის ფოთოლი კარგად არეგულილებს წყლის ცვლას და ჰემოგლობინის დონეს სისხლში.

საქართველოში ყველა სახეობის სალათის კულტურის წარმოება შეიძლება, თუმცა ყველაზე მეტად პერსპექტიულია ფოთლოვანი და თავიანი სახეობები, სწორედ მათი საადრეო ჯიშების აღება ვეგეტაციის 45-დან 65 დღემდე შესაძლებელი, მაგრამ, ამიტომ ჩვენი მოგვყავს ფოთლოვანი ჯიშები, მოსავლიანობა შედარებით დაბალია. საგვიანო ჯიშების მოსავლის აღება შეიძლება აღმოცენებიდან 70-90 დღეში, მათი მოსავლიანობა კი საკმაოდ მაღალია. საგვიანო ჯიშების განვითარება პირველ პერიოდში ნელა მიმდინარეობს, 35-40 დღეში ისინი ივითარებენ 6-დან 15 ფოთოლს, ხოლო 1 მცენარის მასა 15-100 გრ აღწევს. 30-40-ე დღიდან მცენარე იწყებს ინტენსიურ განვითარებას, ფოთლების რაოდენობა იზრდება 14-დან 22-მდე, ხოლო მცენარის მასა 50-180 გრ-მდე. აღმოცენებიდან 60-65 დღეში თავიანი სალათების საშუალო წონა 360-500 გრამია, ფოთლოვანის კი 340-600 გრ.

ყვავილობისადმი მიდრეკილი ჯიშები კი ჩითილის გადარგვიდან 55-60 დღეში იწყებენ ყვავილობას.

ჩვენს სათბურში მათი ყვავილობა შედარებით ადრე აღმოჩნდა შესაძლებელი. სალათა სინათლის მოყვარული კულტურაა, მისი ნაკლებობის შემთხვევაში მცენარე წარმოქმნის არა მკვრივ თავებს. კარგად იზრდება ფხვიერ, ჰუმუსით მდიდარ, ნეიტრალური რეაქციის მქონე ტენიან ნიადაგებზე. ნიადაგის მომზადებისას შეაქვთ გადამწვარი ნაკელი, სალათა ტენის მოყვარული მცენარეა, მისი ნაკლებობა იწვევს მცენარის ნაადრევ ყვავილობას. სალათს აწარმოებენ ჩითილების გამოყვანით. თესლს თესავენ წინასწარ დამზადებულ გრუნტში ან მცირე

ზომის კასეტებში. თესავენ 0,5 სმ. სიმაღლეზე, კარგად დატენიანებულ ნიადაგში 18-დან 20 C ტემპერატურიან პირობებში, ასეთ კლიმატში აღმონაცენები ჩნდებიან 4-7 დღეში.

მოვლა-მოყვანას, გამარგვლას, გამოკვებას და მორწყვას. მორწყვისას სასურველია არ დასველდეს მცენარის ფოთლები. სალათის ფესვთა სისტემა ღერძული, ძლიერ დატოტვილია და განლაგებულია ნიადაგის ზედა ფენაში. ფესვთა სისტემაში ადვილად აღდგენადია და სწრაფად იწყებს განვითარებას, ამიტომ მცენარე ადვილად იტანს გადარგვას.

ხარისხიანი ნერგი გულისხმობს, რომ ნერგს არც ზრდა ქონდეს ნაკლები და არც გაზრდილი იყოს, რადგან გადაზრდილი ნერგის ფესვი არის ჩაგრეხილი კასეტაში, ჩაგრეხილი ფესვი მცენარისთვის არის პრობლემა. სათანადო დისტანცია უნდა მოხდეს მწკრივებს შორის და ასევე ძირებს შორის.

მიუხედავად სალათის კულტურის მოვლა-მოყვანის მცირე სავეგეტაციო პერიოდისა, მას აზიანებს ბოსტან-ბაღჩეულის მავნებლები და დაავადებები, როგორიცაა: ხახვის ბუზი, მახრა, მოზაიკა, თეთრი და ნაცრისფერი სიდამპლე, კომბოსტოს ჩრჩილი და ა.შ.

ვინაიდან სალათის ფოთლები მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია, უნდა ვერიდოთ ქიმიური პრეპარატების გამოყენებას და ძირითადი ყურადღება გავამახვილოთ პროფილაქტიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად ჩატარებისაკენ, კერძოდ: ფართობი დამუშავებამდე უნდა გაიწმინდოს მცენარეული ნარჩენებისაგან; დროულად უნდა ვებრძოლოთ სარეველებს და ნიადაგი უნდა გვქონდეს ფხვიერ მდგომარეობაში; მჟავე ნიადაგებში შევიტანოთ მოსაკირიანებელი საშუალებები, სათბურებსა და კვალსათბურებს გაუკეთოთ დეზინფექცია, ხოლო ვეგეტაციის პერიოდში ვენტილაცია. კარგია სალათის თესლბრუნვაში ჩართვა. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოვიყენოთ ქიმიური ბრძოლის საშუალებები, რომელთა დაშლის ლოდინის პერიოდი მცირეა.

თავი 2. სალათის წარმოების აგროტექნიკა

ჩვენს პირობებში ფართო გავრცელება ჰპოვა ჩითილების წინასწარ კვალსათბურში ან ღია საჩითილე კვლებში გამოყვანილი ნერგებით სალათის გაშენებამ. ამ მეთოდით ნერგების გამოყვანა წარმოებს თითქმის ერთი თვის

განმავლობაში, ხოლო დასარგავად გამზადებულ ჩითილებს რგავენ ხუთ-მწკრივ ზოლებად, სადაც ზოლებს შორის მანძილი 50 სმ-ია, ხოლო მწკრივებს შორის 25 სმ და მცენარეებს შორის 20 სმ. ამ მეთოდით ნიადაგის დაზოგვა შეგვიძლია, ამიტომაც ამ წესით 1 ჰა-ზე ირგვება 150-160 ათასი მცენარე. წარმოების ამ აგროტექნიკამ აჭარაში ფართო გავრცელება ჰპოვა იქედან გამომდინარე, რომ ფერმერებს ამ მეთოდის ხარჯზე შეუძლია მიწოდება აწარმოოს უწყვეტ რეჟიმში, წლის ნებისმიერ სეზონზე (ქედის, ჭარნალის ფერმერულ მეურნეობებში).

სალათის კულტურის მოთხოვნა საქართველოს ბაზარზე უფრო სეზონურია ვიდრე მუდმივი, თუმცა ამ მხრივ აჭარის რეგიონი გამონაკლისია, რადგან ეს ის რეგიონია, სადაც ტურისტები წლის ყველა სეზონზე სტუმრობს და სალათის კულტურაზე მოთხოვნა დიდია და შესაბამისად, მიწოდებაც მუდმივ რეჟიმში ხდება. საჩითილე მეურნეობებისა და კერძო ფერმერების საშუალებით ხდება მოხმარების ბაზარზე სალათის მუდმივი მიწოდება.

არსებობს სალათის ოთხი ჯიში, ესენია: ფოთლოვანი, თავიანი, რომეინი ანუ რომაული და სატაცურისებრი სალათები. სალათის ფოთლოვანი ჯიშეებია: აისბერგი, რომენი, ლუკოლა, ლოლოროსა, ლოლობიონდა, რადიჩიო და სხვა. მათი სავეგეტაციო პერიოდი ტექნიკური სიმწიფის დაწყებამდე 30-40 დღეა.

სალათის თავიანი ჯიშები: მაისის, ბეტნერის, ბერლინის ყვითელი და ქვისთავა. მათი სავეგეტაციო პერიოდი დათესვიდან ტექნიკურ სიმწიფემდე 55-90 დღეა.

რომენის სალათის ჯიშებია: პარიზული მწვანე, ბალონი და სხვა. მათი სავეგეტაციო პერიოდი 70-100 დღეა. ყველა ჯიშს თავისი დამახასიათებელი შემცველობა აქვს. მაგალითად, სალათის ფოთლოვანი ჯიშებიდან ლუკოლა გამოირჩევა სანელებლების არომატით. აისბერგის ფოთლები გამორჩეულად ხრაშუნაა, სიმკრივით კომბოსტოს წააგავს, გადატანისა და შენახვის დროს მის ფურცლებს ყინულებს აყრიდნენ და შესაბამისადაც სახელწოდებაც აქედან გამომდინარეობს. რომენის ფოთლებიც ხრაშუანაა, მდიდარია ნატრიუმით. რადიჩიო დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმს და რკინას. ფრიზე და ლოლოროსა შეუცვლელია ხორცისა და თევზის კერძებთან კომბინაციაში [3].

თავი 3. სალათის ფოთლის აღება

სალათის ფოთლის დაკრეფა მისი გაშენება-მოყვანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სალათის ფოთოლს იღებენ მცენარის მიერ მათთვის დამახასიათებელ ფოთლების ფორმირების შემდგომ, თავიანი სალათები ასაღებად მზად ითვლება, როდესაც მათი თავის საფარველი ზედა ფოთლები მიიღებს უფრო ღია შეფერილობას. მოსავლის აღება უკეთესია დილის საათებში. აღებულ მოსავალს ალაგებენ ყუთებში, არა უმეტეს 2-3 ფენისა, რის შემდეგაც გადააქვთ გრილ ადგილას.

სალათა მალფუჭებადია, მას ინახავენ 0-30C ტემპერატურაზე. დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისას რეკომენდირებულია მანქანა-მაცივრების გამოყენება. სტატისტიკურად სალათის ფოთლების სარეალიზაციო ფასი გაცილებით მაღალია სასათბურე პირობებში ვიდრე ღია გრუნტში. აღების პროცესში სალათი უნდა იყოს მთლიანი ძირით აღებული და არა ცალკეულ ფოთლებად. ამდენად დანაწევრებას უნდა ვერიდოთ, რაც არ უნდა კარგად მოვლილი მეურნეობა გვქონდეს, შიგადაშიგ ყვითელი ფოთლები გამოერევა და ეს ფოთლები აუცილებლად უნდა მოცილდეს და სათანადოდ ჩაეწყოს ყუთებში ან შესაძლებელია ცელოფნის პარკებში, რომლებშიც არ დაზიანდეს მექანიკურად.

ადამიანის ორგანიზმს სრულყოფილი განვითარებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისთვის, კვების რაციონში გარკვეული რაოდენობით მწვანე სალათის შეტანაც სჭირდება. ის მდიდარია ვიტამინებით. მწვანე სალათის ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით K ვიტამინს, კალციუმს, უჯრედს. მისი სამკურნალო ეფექტი დაფუძნებულია უჯრედისის იმ თვისებებზე, რომელიც ასტიმულირებს ნაწლავების მოქმედებას და ხელს უწყობს ნაღვლის ევაკუაციას.

სურ:3

სალათის ფოთლები კარგია ჭარბი წონის მოსაცილებლად, რადგან ის მდიდარია ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით და მცირე რაოდენობით შეიცავს კალორიებს. ის ასევე შეიცავს ფოლიუმის მჟავას. ეს ვიტამინი თერმული დამუშავების დროს კარგავს ღირებულ თვისებებს, თუ სალათს უმად მიირთმევთ, მაშინ ამ ვიტამინს კარგად შეითვისებს თქვენი ორგანიზმი. ფოლიუმის მჟავა აუმჯობესებს ცილების ცვლას ორგანიზმში, საჭიროა ერითროციტების ფორმირებისათვის და შაქრის ასათვისებლად. განსაკუთრებით კარგია სალათის ფოთლების ჭამა ორსულობის დროს. ამ დროს ფოლიუმის მჟავის ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ნაყოფის სიმახინჯის განვითარება, ფსიქიკური მოშლა. ეს მჟავა ასევე უზრუნველყოფს კანის სიჯანსაღეს, აუმჯობესებს მადას, ხელს უწყობს ანემიის პროფილაქტიკას. როცა ორგანიზმი განიცდის ფოლიუმის მჟავის ნაკლებობას, ამ დროს ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებასთან მებრძოლი ანტისხეულების რაოდენობაც ნაკლებია.

კუჭ-ნაწლავის დაავადებების თავიდან ასაცილებლად ძალიან სასარგებლოა ფოლიუმის მჟავასა და ბეტა-კაროტინის მიღება. ამ უკანასკნელის მარაგი კი სწორედ მწვანე სალათის ფოთლებშია. ის ასევე შეიცავს ორგანიზმისათვის არანაკლებ საჭირო მჟავებს, რომლებიც საშარდე სისტემას პათოგენური მიკროორგანიზმებისაგან იცავს. თუ გსურთ თავი დაიზღვიოთ ამა თუ იმ დაავადებებისგან, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ჭამეთ მწვანე სალათის გემრიელი და სასარგებლო ფოთლები. [2]

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი სალათის კულტურის კვებითი ღირებულება ძლიან დიდია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დაავადებულია შაქრის დიაბეტით, რადგან ცოტა ხნის წინ დადგინდა, რომ მის შემადგენლობაში შედის ინსულინი, ეს აღმოჩენა კი სალათას ფასეულს ხდის. ადვილია მისი აგროტექნოლოგია, იგი ნაკლებად პრეტენზიული კულტურაა გარემო პირობების მიმართ, ამიტომ მისი მოყვანა რეკომენდირებულია, როგორც დიდ ფერმერულ მეურნეობებში, ასევე საკარმიდამო ნაკვეთებზე.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. ებრალიძე ლეილა, შ. ლომინაძე, მებოსტნეობა ბათუმი 2016 წ.
2. ლომინაძე შოთა, ლ.ებრალიძე, ზ.მახარაძე, ბოსტნეული კულტურების წარმოების ტექნოლოგია, ბათუმი - 2009წ.
3. მჭედლიძე ი, მებოსტნეობა, თბილისი - 2013 წ.

Gabaidze Darina

Lattice Crop in Ajara

Abstract

The production of salads in our country was very small, but, according to the data of the last decade, this situation has changed, and the culture of salads was in demand both in the world and in Georgia. In Georgia, salad is grownin Imereti, in Samegrelo, Kvemo Kartli (Marneuli) and Adjara, in Keda and Charnali. Cultivation of salad culture in Adjara can be on the open and closed ground. One of the promising areas for its development can be called the mountainous Adjara, where farmers are concerned about the problem of having not enough soil. Growing a salad culture can benefit the farmers and has a great agricultural potential.

Key Words: Salad culture, Ajara Region,Development of greenhouse farming

„დაფნის კულტურის ზრდა- განვითარების თავისებურებანი აჭარაში“

მამუკა ძირკვაძე

ტექნოლოგიური ფაკულტეტი, აგრონომია მე-4 კურსი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო ჯაბნიძე, აკადემიკოსი,

აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში დიდი და მრავალმხრივია სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების წარმოების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რომელთაგანაც მიიღება კვებისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის ძვირფასი პროდუქტები, ხოლო მრეწველობის მრავალი დარგისათვის კი ნედლეული. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში და სამრეწველო მასშტაბით მოჰყავთ ძირითადად სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონაში. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ეთერზეთოვანი კულტურები, რომელთაგან ძვირფას ზეთებს აწარმოებენ საფრანგეთში, იტალიაში, ბულგარეთში, ესპანეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, საქართველოში და რიგ სხვა ქვეყნებში. აღნიშნული სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურების ჯგუფს მიეკუთვნება კეთილშობილი დაფნა. იგი მარადმწვანე, ხანგრძლივი სიცოცხლის მცენარეა და უძველესი დროიდანაა შეტანილი კულტურაში. მის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს და მცირე აზიის ქვეყნები. საქართველოში დაფნა არა მარტო კულტურაშია შეტანილი, არამედ ველურადაცაა გავრცელებული, ამიტომ დაფნის სამშობლოდ, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, საქართველოც ითვლება. კულტურული ნარგაობების სახით დღეისათვის იგი საქართველოს ყველა რაიონში ხარობს. სისტემატიკოსთა უმეტესობის თვალსაზრისით მსოფლიო ფლორაში დაფნის ორად-ორი სახეობაა ცნობილი – კეთილშობილი დაფნა Laurus nobilis L. და კანარიის დაფნა – Laurus canariensis. საქართველოში მხოლოდ კეთილშობილი დაფნის სახეობა-პოპულაციაა გავრცელებული, მისი მრავალფეროვანი ვარიაციების – ფორმების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არც საქართველოში და

არც მსოფლიო მასშტაბით დაფნის სელექციური ჯიში არ არსებობს, ამიტომ სამრეწველო მასშტაბით და ერთეული ნარგაობების სახით (საკარმიდამო ნაკვეთებზე) ამრავლებენ მისი სახეობა-პოპულაციის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ფორმებს. კეთილშობილი დაფნის მცენარე ძველთაგანვე მრავალმხრივ გამოყენებას პოულობს მშრალი ფოთლის სახით კვების მრეწველობაში, მედიცინაში, პარფიუმერია-კოსმეტიკაში და სახალხო მეურნეობის რიგ სხვა დარგებში, ამიტომ ადამიანი ძველთაგანვე ამრავლებდა და აშენებდა დაფნის მცენარეს მშრალი ფოთლის მისაღებად.

შესავალი

თემის აქტუალობა - კეთილშობილი დაფნა ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, რომლის ყველა ნაწილი შიცავს ეთეროვან ზეთს მაგრამ, სამრეწველო გამოყენება მხოლოდ მის ფოთლებს და ნაყოფს აქვს, რომელიც ძველი დროიდან იხმარებოდა. მისი ნაყოფის ზეთი სამკურნალოა. მერქანი გამძლე და დრეკადია, იყენებენ ცოცხალ ღობედ და ბორდიურად. დაფნის გვირგვინი და ტოტი ძველთაგან დიდებისა და გამარჯვების სიმბოლოდ ითვლებოდა. აქედან გამოდინარე, ჩვენში გავრცელებული დაფნის ჯიშები და მათი სამეურნეო თვისების შესწავლა. ცალკეული ეკოლოგიური პირობების შესაბამისად აქტუალურია.

კვლევის მიზანი, სიახლე, ამოცანები და ობიექტი - ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილი თემატიკიდან გამომდინარე, მივიჩნიეთ ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიული მიმართულების მიმდებარე ტერიტორიაზე დაფნის მცენარეზე ჩაგვეტარებინა დაკვირვება, რომელიც აგრონომიული მახასიათებლებით ათეული წლებია შეგუებულია ადგილობრივ ნიადაგურ კლიმატურ პირობებსა და ეკოლოგიურ ფაქტორებს.

კვლევები და მუშაობა ფენოლოგიური დაკვირვებები დავიწყეთ 2017 წლის ნოემბრის თვიდან, დაკვირვებები ტარდებოდა მცენარის ფენოლოგიური ფაზების აქტიური ვეგეტაციისა და გენერაციული ფაზების მიმდინარეობაზე - ყოველ 10-15 დღეში. ინდივიდუალური დაკვირვებებისათვის გამოყოფილ იყო შერჩეული მცენარეები, რომელზეც ვსაზღვრავდით ვეგეტაციის დასაწყისს, ვეგეტაციის დასასრულს, მასიურ ყვავილობას, ნაყოფის ზრდას. კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენს მიერ შეჩეულ საკვლევ მცენარეებზე დაკვირვებები ტარდებოდა პირველად.

გამოკვლევები და პრაქტიკული შედეგები გვაძლევს, იმის საფუძველს რომ დაფნის კულტურა კარგადაა შეგუებული ადგილობრივ, კლიმატურ-ნიადაგურ პირობებს, რომლის ზრდა განვითარება მიმდინარეობს.

დაფნის კულტურა

კეთილშობილი დაფნა ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. მისი სამშობლოა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ქვეყნები, კერძოდ საბერძნეთი. უკანასკნელ პერიოდში დაფნის ველური და კულტურული მცენარის სახით გვხდება, როგორც საბერძნეთში ასევე იტალიაში და სხვა მრვალ ქვეყანაში, რომელიც ზღვის დონიდან 600 დან 1000 მეტრამდე ვრცელდება.

საქართველოში კეთილშობილი დაფნის კულტურა ოდითგანვე განვითარებული იყო, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის და გურიის სამხრეთ რაიონებში, რომელიც დაახლოებით 300 ჰექტარ ფართობს მოიცავდა, ეს კულტურა მე-17 საუკუნეში შემოიტანეს.

დაფნის თითქმის ყველა ნაწილი შეიცავს ეთეროვან ზეთს, მაგრამ სამრეწველო გამოყენება მხოლოდ მის ფოთლებს აქვს, რომელიც ძველი დროიდანვე იხმარებოდა, როგორც სურნელ-სანელებელი: საკონსერვო მრეწველობაში, კულინარიაში და გასტრონომიაში, რის გამოც ის ვაჭრობის ძირითადი საგანი იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

დაფნა (Laurus) - მცენარეთა გვარი დაფნისებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ხეშეშფოთლოვანი ორსახლიანი ხეები ან ბუჩქებია. აქვს ქოლგისებრ ყვავილებად შეკრებილი მომწვანო-ყვითელი ყვავილები, მოლურჯო-შავი კურკიანი ნაყოფი.

შეიცავს 2 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთში: 1 კეთილშობილი (ჩვეულებრივი) დაფნა (Laurus nobilis) ტანდაბალი, 2-12 (ზოგჯერ 20 მ-მდე, სიმაღლის ხე ან ბუჩქია. გვალვაგამძლეა. კარგად ხარობს ნეშომპალა კარბონატულ დაწრეტილ ნიადაგზე და ვერ იტანს მის დამლაშებას. სინათლის მოყვარულია, თუმცა სუსტი დაჩრდილვა არ ვნებს. უძლებს - 16-17°-მდე ყინვას. მრავლდება თესლით, კალმით (სათბურში) და გადაწვენით (ზაფხულში). ითესება შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. აღმოცენების პერიოდი გრძელდება 46-81 დღე. ყვავილობს აპრილში, ნაყოფი ოქტომბერ-ნოემბერში მწიფდება. უხვად იკეთებს ძირკვიდან ამონაყარს, ფოთოლს ორ წელიწადში ერთხელ აგროვებენ. 1 ჰა-დან იძლევა საშუალოდ 1-1,2 ტ მოსავალს. ხმარობენ სუნელ-სანელებლად. საკონდიტრო და საკონსერვო მრეწველობასა და კულინარიაში. მისი ნაყოფის ზეთი სამკურნალოა. მერქანი გამძლე და დრეკადია (აკეთებენ ძვირფას ავეჯს, სხვადასხვა წვრილმან ნივთებს). დაფნა დეკორატიულია, კარგად იტანს კრეჭას. იყენებენ ცოცხალ ღობედ და ბორდიურად. დაფნის გვირგვინი და ტოტი ძველთაგანვე დიდებისა და გამარჯვების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ფოთლის სიდიდის მიხედვით არჩევენ ვიწრო, საშუალო და ფართოფოთლიან ფორმებს. ფორმების მიხედვით ეთერზეთის შემცველობა მერყეობს 1,48 -დან 4,62 %-მდე. მიუხედავად იმისა, რომ, ფართოფოთლიანი ფორმის ბუჩქები 2-3 ჯერ მეტი რაოდენობის მასას იძლევა, ვიდრე წვრილფოთლიანები, ამ უკანასკნელის ფორმები გაცილებით მეტი ეთერზეთის შემცველობით ხასიათდებიან. დაფნის ტყავისებრი ფოთლები გვალვის ამტანობის მაჩვენებელია, თუმცა მწვანე მასის მოსავალი დიდად არის დამოკიდებული მცენარის ტენით უზრუნველყოფაზე. ტენის დეფიციტის გამო, მინიმუმამდე მცირდება ახალგაზრდა გაუხევებელი ღერო-ფოთლების რაოდენობა და მკვეთრად ეცემა ნედლეულის მოსავალი.

დაფნა ქვეტყის მცენარეა, რის გამოც ის კარგად იტანს გაფანტულ სინათლეს და ნაწილობრივ დაჩრდილვას. დაფნა უკეთ იტანს ფოთოლმცვენი მფარველი მცენარეების თანაარსებობას.

დაფნას მკვეთრად გამოხატული საზამთრო შესვენების პერიოდი არ აქვს და მთელი წლის განმავლობაში, ხელსაყრელ პირობებში, აქტიურ ვეგეტაციას განაგრძობს. ის მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე იტანს -12 -13^{0}C ყინვას. ერთწლიანი ღერო- ფოთლების სუსტი დაზიანება იწყება -9-10 გრადუსზე, ხოლო -14-15^{0}C ყინვაზე ზიანდება ვარჯის ჩონჩხის ძირითადი ტოტები, -18-20^{0}C ყინვაზე მცენარე მთლიანად იღუპება.

დაფნის გამრავლების წესები - დაფნა მრავლდება ვეგეტაციურად და გენერაციულად, ე. ი. თესლითაც და მცენარის ნაწილებითაც. თესლით გამრავლების დადებითი მხარეებია: რეპროდუქციის მაღალი კოეფიციენტი, სიადვილე, შეცვლილ გარემო პირობებისადმი შეგუების უკეთესი უნარი, სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობა და დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი მეტი გამძლეობა. უარყოფითი მხარეა ნარგაობის სიჭრელე და გვიანი მოსავლიანობა. ვეგეტაციური გამრავლების დადებითი მხარეა — ერთფეროვანი ნამრავლის მიღება და მოსავლიანობაში ადრე შესვლა, უარყოფითი სამუშაოს შესრულების სირთულე და სიძვირე, ნაკლები სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების მეტი საშიშროება და სხვ.

ვეგეტაციური გამრავლების სახეებია: ღეროსეული და ფოთლისეული კალმების დაფესვიანება, ტოტების გადაწვენა, ბუჩქის დაყოფა და მყნობა.

საწარმოო პლანტაციების გასაშენებლად იყენებენ დაფნის თესვას ადგილზე თესვით ან გამოყვანილი თესლნერგის გადარგვას. ამ წესით გაშენებული პლანტაციები მნიშვნელოვანი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების სიჭრელით ხასიათდება.

დაფნის სადედე და სათესლე პლანტაციების მოსაწყობად სარგავი მასალა აუცილებლად უნდა გამოყვანილ იქნეს ვეგეტაციურად გამრავლების გზით.

დაფნის პლანტაციის გაშენება და აგროტექნიკა

დაფნა უხვ მოსავალს იძლევა ღრმა სახნავი ფენის, საკვები ელემენტებით მდიდარ, საშუალო ან მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნეიტრალური რეაქციის მქონე ნიადაგებზე. ის კარგად ეგუება სუსტად განვითარებულ, სხვადასხვა ხარისხით დარეცხილ ხირხატ ნიადაგებსაც.

ნაკვეთის რელიეფის მიხედვით დაფნა შეიძლება გავაშენოთ ფერდობებზე, ბორცვებზე, ხეობებში და ვაკეებზე. ნიადაგი ძირითადად უნდა დამუშავდეს პლანტაციის გაშენებამდე, გაკულტურებულ ნაკვეთებზე 1-1,5 თვით, ხოლო ყამირზე 3-4 თვით ადრე, რაც ხელს შეუწყობს მათში ქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესების გაძლიერებას.

წითელმიწებსა და ეწერ ნიადაგებზე, რომელთა არის რეაქცია — PH 3,5-4,5-ს არ აღემატება, აუცილებლად საჭიროებს მოკირიანებას გაცვლითი მჟავიანობის ყოველ ერთეულზე, ერთ კვადრატულ მეტრზე 600-800 გრამის ოდენობით. პლანტაციის გაშენება შეიძლება ორი წესით: ბუჩქურად და შპალერულად. აქედან უპირატესობა ენიჭება შპალერულს. დაფნის პლანტაციის გაშენება შეიძლება როგორც ნერგით, ასევე თესლის მუდმივ ადგილზე თესვით. პლანტაციის ნერგით გაშენების ოპტიმალური ვადებია: 1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე და 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე. შემოდგომაზე დარგული ნერგი დაზიანებულ ფესვთა ნაწილს გაზაფხულამდე აღიდგენს, ვეგეტაციის დაწყებას მომზადებული ხვდება და გაზაფხულის გვალვები ნაკლებად დააზიანებს.

ფერდობზე შპალერული წესით (0,5-1,5 მ-ზე) გაშენების შემთხვევაში ჰექტარზე საჭიროა 13400 ნერგი, ხოლო ვაკეზე (0,5-1,75 მ-ზე) - 11500 ცალი ნერგი. დაფნის პლანტაცია კარგად უნდა იყოს დაცული პირუტყვისაგან, სასურველია, ღობე იყოს ცოცხალი (ტრიფოლიატა, ბროწეული). დაფნის პლანტაციის მოჭრილი ნაწილების აღდგენის უნარი, ახალგაზრდა მცენარეთა ზრდის ტემპი და მცენარის პროდუქტიულობა, სხვა გარემო პირობებთან ერთად, დიდად არის დამოკიდებული მცენარის საკვები ელემენტებით უზრუნველყოფაზე.

წითელმიწებზე, რომელიც გამოირჩევა მაღალი მჟავიანობით, ფოსფორის ნაკლებობის შესავსებლად საუკეთესო საშუალებაა ფოსფორიტის ფქვილით პლანტაციის განოყიერება ოთხ წელიწადში ერთხელ 600 კგ მოქმედ ნივთიერებაზე გაანგარიშებით.

გასხვლა-ფორმირება - ცნობილია დაფნის გასხვლა- ფორმირების 3 ხერხი: შტამბიანი, ბუჩქური და შპალერული.

დაფნის პლანტაციის ბუჩქური ან შპალერული წესით გაშენების დროს მცენარეთა გასხვლა-ფორმირება, ბუჩქის გაძლიერების მიზნით, იწყება დარგვიდან მესამე წელს. გასხვლისას ბუჩქები ბაღის მაკრატლით ფესვის ყელიდან 10-15 სმ-ზე იჭრება. გადაჭრის შემდეგ წარმოიქმნება პირველი რიგის ტოტები, რითაც მკვეთრად იზრდება ფოთლის მომცემი ზედაპირი. შპალერული წესით გაშენებულ დაფნის პლანტაციაში ნარგავები მეორედ ფესვის ყელიდან 20-25 სმ-ზე უნდა გადაიჭრას. ვარჯის ფორმირება ძირითადად მეორე გასხვლით უნდა დამთავრდეს. შპალერულად გაშენებულ დაფნის პლანტაციებში მოსავალს იღებენ 2 წელიწადში ერთხელ. ბუჩქებზე 5-10 სმ სიმაღლის ერთწლიანი ამონაყარის ნეკი უნდა დარჩეს.

პლანტაციის ექსპლოატაცია განახლების გარეშე უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მოსავალი არ დაიწყებს შემცირებას და შპალერი მიაღწევს 80-90 სმ სიმაღლეს. მოსავლიანობის დაცემისას პლანტაცია ფესვის ყელიდან 20 სმ-ზე მძიმედ უნდა გაისხლას, რის შემდეგ მოსავლის ციკლი კვლავ მეორდება.

მოსავალის აღება - სამრეწველო მიზნით ფოთლის მოკრეფა იწყება მეოთხე-მეხუთე წელს და სრულ მოსავლიანობას აღწევს მეშვიდე-მერვე წელს. დაფნის ბუჩქოვანი ფორმის საექსპლოატაციო პერიოდი შედარებით ნაკლებია. პლანტაციაში მოსავლის აღებას ყოველწლიურად მცენარის 30-40 სმ სიმაღლეზე გადაჭრით აწარმოებენ, სუსტ პლანტაციაში კი 2 წელიწადში ერთხელ. მცენარის ერთი და იმავე ადგილზე ხშირი გადაჭრა იწვევს დაკორძებას, რაც საბოლოოდ ძალზე ამცირებს მოსავლიანობას და საერთოდ მცენარეს. ამიტომ ყოველ წელს მოსავლის აღების დროს მცენარეს 5 სმ-ით უფრო

მაღალ ჭრიან, სანამ მცენარე 90-100 სმ არ მიაღწევს, შემდეგ კი სასურველია, იგი გადაიჭრას ფესვის ყელიდან 10-15 სმ სიმაღლეზე.

მორიგეობით, ე.ი. ფოთლის კრეფა წლის გამოშვებით, კარგ შედეგს იძლევა. მაგალითად, თუ ერთ წელს ფოთოლს მოვკრეფთ, მეორე წელს ბუჩქი უნდა გადაიჭრას 30-40 სმ სიმაღლეზე. ეს წესი შრომატევადია, მაგრამ ადიდებს მოსავალს და აუმჯობესებს ბუჩქის საერთო მდგომარეობას. ფოთლის კრეფა იწყება ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ და გრძელდება გაზაფხულამდე. საქართველოში დაფნის კრეფის საუკეთესო დროა ნოემბრიდან მარტამდე.

ფოთლები უკეთ შრება აჭრილ ღეროებთან ერთად, დაკიდებულ მდგომარეობაში. გაშრობის დროს ფოთლებს პირდაპირი მზის სხივები არ უნდა ხვდებოდეს, შრობა უკეთესია ჩრდილში ან სიბნელეში. თუ ღერო ფოთლებს გაშრობის არათანაბარი პირობები აქვს, ყოველ 3-4 დღეში უნდა გადავაბრუნოთ. ნორმალურ პირობებში შრობა 2-3 კვირაში მთავრდება.

დ ა ს კ ვ ნ ა

კეთილშობილი დაფნის კულტურის ზრდა-განვითრებისა და პროდუქტიულობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მცენარე ხასითდება კარგი ზრდით, სავეგეტაციო პერიოდში მას შესვენების ფაზები არ ახასითებს.

ყვავილობისა და ვეგეტაციის დასაწყისი დამოკიდებულია გარემო პირობებზე და წვენთა მოძრაობაზე, რომელიც ძირითადად 20-25 თებერვალს დაიწყო და მაისის ბოლომდე გაგრძელდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჩხაიძე - სუბტროპიკული კულტურები, ბათუმი 1997.
2. რ. ჯაბნიძე - სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკა, ბათუმი 2012.
3. ვ. ჯაში - კეთილშობილური დაფნის კულტურა, თბილისი 1994.
4. გ. კილასონია - სუბტროპიკულ ტექნიკური კულტურები, ქუთაისი 2003.
5. ნ. გუგუნავა - დაფნის კულტურა აჭარაში ბათუმი 1985.

Dzirkvadze Mamuka

Peculiarities of Laurel Growth in Ajara

Abstract

The economic and economic importance of the production of subtropical tech crops is vast and multilateral in the economy of our country, from which various kinds of precious products are needed for food and raw materials for many industries. Subtropical tech crops are widely distributed in the world and industrial scale mainly in the subtropical and tropical zone. The most important part of the subtropical tech crops are the essential oils, which produce precious oils in France, Italy, Bulgaria, Spain, Australia, USA, South American countries, India, China, Japan, Georgia and in some other countries. This subtropical essential oil group belongs to a noble cure. It is an evergreen, long-life plant and is the oldest time in culture. His homeland is considered the Mediterranean Sea and Small Asian Countries. In Georgia it is not only in culture but also in the field of wildlife, so a certain group of scholars believe that Georgia is considered to be the homeland. Today it is enjoyed in all regions of Georgia as cultural crops. In the majority of systemists, there are two types of beds in the world flora, known as the Laurus nobilis L. and Canary litter - Laurus canariensis. In Georgia only the kind of noble laurel-population is spread, with its varied variations - forms. It is noteworthy that neither today nor in the world there is a selective breed of bay, so in industrial scale and in the form of single plant (homestead parcels), 5 its species is different from those of different kinds of populations. A noble barn plant is found in many ways in the form of dry leaves in the food industry, medicine, perfumery-cosmetics and other branches of public farming, so people have multiplied from old to build a bamboo plant to get a dry leaf.

პროექტის მართვა დროის ფასისა და საკომპრომისო გადაწყვეტილების მიხედვით

თამთა კახიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-3 კურსი

ელ. ფოსტა: tamta.kakhidze@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დევაძე,

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საკონსტრუქციო, კვლევით პროექტების მართვის მათემატიკური მოდელი დროის ფასისა და საკომპრომისო გადაწყვეტილების მიხედვით. დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით აგებულია ქსელური მოდელი, მოცემულია პროგრამული რეალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: ქსელური მოდელი, მათემატიკური მოდელი, ოპტიმიზაცია.

შესავალი. საკონსტრუქციო ან კვლევისა და განვითარების პროექტებში ქსელების საშუალებით შესაძლებელია გრაფიკულად გამოვსახოთ მიმდინარე აქტივობების ნაკადი. ამიტომ, ქსელების თეორია და მისი პრაქტიკული გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება ასეთი პროექტების მართვას.

1950-იანი წლების მეორე ნახევარში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქსელებზე დაფუძნებული ორი ოპერაციულიი კვლევა OR დაასრდა, ესენია **PERT** (პროგრამის შეფასებისა და გადახედვის ტექნოლოგიები) და **CPM** (კრიტიკული გზის მეთოდი) [1], [2]. ამ ტექნოლოგიების შექმნის მთავარი მიზანი

იყო დახმარებოდნენ მენეჯერებს პროექტის ფარგლებში დაეგეგმათ სხვადასხვა აქტივობა და მოეხდინათ მათი შესაბამისი კოორდინირება, შემდეგ კი პროგრესის მონიტორინგი. წლების განმავლობაში ეს მეთოდები ვითარდებოდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც **PERT/ CPM** მეთოდი. ის დღესაც ფართოდ გამოიყენება პროექტების მართვის პროცესში [3], [4]. PERT/ CPM მეთოდის მრავალი დამახასიათებელი ნიშნისაგან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ეს არის ქსელების ოპტიმიზაციის მოდელი, რაც ჩვენს მთავარ თემას წარმოადგენს. მეორე, ის ახდენს იმის ნათელ ილუსტრირებას თუ როგორ გამოიყენება ეს მეთოდი რეალურ ცხოვრებაში.

დროის ფასის და საკომპრომისო გადაწყვეტილების მიღების მეთოდი - **CPM** გამოიყენება პროექტებისთვის, რომლებსაც აქვთ შესრულებაზე გარკვეული ვადა. ვთქვათ, პროექტით შესაძლებელია ყველა აქტივობის განხორციელება თუკი ვიმოქმედებთ ჩვეულ რეჟიმში, მაგრამ დათქმულ ვადაზე უფრო მეტი დროის გამოყენებით. არსებობს სხვადასხვა გზა, რომ შევამციროთ პროექტისთვის განკუთვნილი დრო მეტი ფულის დახარჯვით და ზოგიერთი აქტივობის შესასრულებელი დროის მინიმიზაციით. რა ოპტიმალური გეგმა უნდა შევიმუშავოთ, რომ მინიმალურ დროში და მინიმალური ხარჯებით შევასრულოთ პროექტისთვის აუცილებელი აქტივობები მოცემულ ვადაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ მაგალითი:

1.1. სამოდელო მაგალითი. ვთქვათ კომპანია მზადაა წამოიწყოს ახალი პროექტი. დამკვეთმა კომპანიას 92 კვირა მისცა პროექტის განსახორციელებლად. დაგვიანების შემთხვევაში კი კომპანია იძულებული იქნება გადაიხადოს ჯარიმა. გეგმა დათქმულ დროში რომ შესრულდეს მენეჯერს დასჭირდება შექმნას რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც იმუშავებენ პროექტის სხვადასხვა ნაწილებზე (მოცემულია ცხრილი 1-ში). ცხრილის მესამე სვეტი გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფების კოორდინაციასა და დროის განაწილებისთვის.

ყოველი მოცემული აქტივობისთვის, **უშუალო წინამორბედი** არის ის აქტივობები, რომლებიც უნდა დასრულდეს არა უგვიანეს ამ აქტივობის დაწყების დროისა. ხოლო იმ აქტივობებს, რომლებიც მოსდევს უშაულო

წინამორბედს ეწოდებათ **უშუალო მემკვიდრე** (შესაბამისი უშუალო წინამორ-ბედისთვის).

ცხრილი 1

აქტივობა	უშუალო წინამორბედი(ები)	მიახლოებითი ხანგრძლივობა (კვირებში)
A	-	32
B	-	28
C	A	36
D	B	16
E	B	32
F	B	54
G	D	17
H	E, G	20
I	E, G	34
J	C ,F	18

მაგალითად, მთავარი შესასვლელი ამ სვეტში მიუთითებს, რომ:

1. A-ს არ უსწრებს წინ არანაირი აქტივობა
2. A უნდა დასრულდეს სანამ დაიწყება C
3. C უნდა დასრულდეს სანამ დაიწყება J და ა.შ.

როცა მოცემულ აქტივობას აქვს ერთზე მეტი უშუალო წინამორბედი, მაშინ ყველა მათგანი უნდა დასრულდეს ამ აქტივობის დაწყებამდე.

იმისთვის, რომ მოხდეს აქტივობების გრაფიკის დადგენა, მენეჯერი უნდა გაესაუბროს ყველა ჯგუფის მმართველს და განსაზღვროს რა დრო დაჭირდება თითოეული აქტივობის განხორციელებას ნორმალური ტემპებით მუშაობის შემთხვევაში. (ეს დაახლოებითი დროები მოცემულია ცხრილ 1-ში).

საერთო ჯამში გამოდის 287 კვირა, რომელიც აღემატება მთავარი მეწარ-მის მიერ მოცემულ დროს, 92 კვირას. შევნიშნოთ რომ, ზოგიერთი აქტივობა შეიძლება განხორციელდეს პარალელურ რეჟიმში, რაც ამცირებს დროს. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის მოდელი წარმოვადგინოთ ქსელების საშუალე-ბით.

1.2 საპროექტო ქსელები. საპროექტო ქსელი შედგება **კვანძებისაგან** და მიმართული **ისრებისაგან**, რომლებიც აერთებენ ორ განსხვავებულ კვანძს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროექტის აღსაწერად საჭიროა სამი სახის ინფორმაცია:

1. აქტივობის ინფორმაცია: დავყოთ პროექტი ინდივიდუალურ აქტივობებად (სასურველ დონემდე);

2. წინმსწრები ურთიერთკავშირი: განვსაზღვროთ უშუალო წინამორბედი(ები) თითოეული აქტივობისთვის;

3. დროითი ინფორმაცია: გამოვთვალოთ თითოეული აქტივობის შესასრულებლად საჭირო დრო.

საპროექტო ქსელების ერთ-ერთი სახეობაა **აქტივობა მიმართული ისარზე** (AOA), სადაც თოთოეული აქტივობა წარმოდგენილია ისრის სახით. A კვანძი გამოიყენება აქტივობების (გამომავალი ისარი) თითოეული უშუალო წინამორბედისგან (შემავალი ისარი) განსაცალკევებლად. ისრების თანმიმდევრობა ამავდროულად გვაჩვენებს წინმსწრებ ურთიერთკავშირებს აქტივობებს შორის.

საპროექტო ქსელების მეორე სახეობაა **აქტივობა მიმართული კვანძებზე** (AON), სადაც თითოეული აქტივობა წარმოდგენილია კვანძის სახით. კვანძებს შორის არსებული წინმსწრები ურთიერთკავშირების საჩვენებლად გამოიყენება ისრები. კერძოდ, კვანძი თითოეული აქტივობისთვის წარმოადგენს უშუალო წინაპარს, თუ ამ კვანძში შემავალი ისარი არსებობს.

PERT-ის და CPM-ის თავდაპირველი ვერსიები გამოიყენება AOA სახის საპროექტო ქსელებში. თუმცაღა AON საპროექტო ქსელებს აქვთ მნიშვნელოვანი უპირატესობა AOA-სთან შედრებით. რაც გამოიხატება ერთი და იმავე ინფორმაციის გადატანაში:

1. AON საპროექტო ქსელების კონსტრუირება გაცილებით უფრო მარტივია;

2. AON გასაგებად უფრო მარტივია დამწყებთათვის, განსაკუთრებით მენეჯერებისთვის;

3. AON-ში ცვლილებების შეცვლა უფრო იოლად ხდება.

ამ მიზეზების გამო ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ AON-ს.

მოცემულ ნახაზზე ჩანს საპროექტო ქსელი. ასევე ცხრილი 1-ის მეორე სვეტს თუ დავუბრუნდებით, შევამჩნევთ, თუ როგორ მიუძღვის ისარი თითოეულ აქტივობას თავისი უშუალო წინამორბედისგან. რაგდანაც აქტივობა A-ს და B-ს არ ყავთ უშუალო წინამორბედი, გვაქვს ისარი „სასტარტო“ კვანძიდან ამ აქტივობამდე. ანალოგიურად J-ს, I-ს და H-ს არ ყავთ უშუალო მემკვიდრე, ამიტომ მათგან გამოდის ისრები, რომლებიც უერთდება „დასასრულის“ კვანძს. როგორც ვხედავთ, ეს სქემა ნათლად ასახავს პროექტის აქტივობების თანმიმდევრობას და ურთიერთკავშირს.

ცხრილის უკიდურესი მარჯვენა სვეტის თანახმად, რიცხვი თითოეულ კვანძთან ასახავს მიახლოებით დროს, რომელიც საჭიროა მოცემული აქტივობის განსახორციელებლად.

1.3 კრიტიკული გზა. რამდენი დრო შეიძლება დასჭირდეს პროექტის განხორციელებას? როგორც ადრე შევნიშნეთ, ყველა აქტივობისთვის შესასრულებელი დრო მთლიანად 287 კვირა აღმოჩნდა. თუმცა ეს არ არის ნახაზი 1 პასუხი კითხვაზე, ზოგი აქტივობა შეიძლება პარალელურად შესრულდეს.

მნიშვნელოვანია თითოეული გზის სიგრძე ქსელში: **გზა** ქსელის გავლით არის ერთ-ერთი მარშრუტი ერთმანეთის მომდევნო ისრების გავლით, რომელიც იწყება START („სტარტიდან“) და მთავრდება FINISH („ფინიშზე“). **სიგრძე** არის გზაზე არსებული აქტივობების მიახლოებითი **ხანგრძლივობების** ჯამი.



შესაძლო გზები და მათი შესაბამისი ხანგრძლივობები მოცემულია ცხრილ 2-ში. ამ გამოთვლების მიხედვით ხანგრძლივობა მერყეობს 80-იდან 100 კვირამდე.

ცხრილი 2

გზა	**სიგრძე**
START → A → C → J → FINISH	86
START → B → D → G → H → FINISH	81
START→ B → D → G → I → FINISH	95
START→ B → E → H → FINISH	80
START→ B → E → I → FINISH	94
START→ B → F → J → FINISH	100

ამ გზების სიგრძეებიდან გამომდინარე რომელი მათგანი უნდა ავიღოთ პროექტის ხანგრძლივობად? რაგდან აქტივობები თითოეულ გზაზე უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად გადაფარვების გარეშე, პროექტის ხანგრძლივობა ვერ იქნება გზის სიგრძეზე ნაკლები. თუმცა პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მეტი, რადგან ზოგიერთ აქტივობას ამ გზაზე რამდენიმე უშუალო წინაპარი ყავს.

საბოლოოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: პროექტის ხანგრძლივობა არის ყველაზე გრძელი გზა საპროექტო ქსელში. ყველაზე გრძელ გზას ეწოდება **კრიტიკული გზა** (თუკი არსებობს ერთზე მეტი ასეთი გზა, მაშინ ყველა მათგანი კრიტიკული გზაა).

ამიტომ, კრიტიკული გზაა: START → B → F → J → FINISH. პროექტის მიახლოებითი ხანგრძლივობა = 100 კვირა.

როგორც აღვნიშნეთ, დრო მიცემული პროექტის შესასრულებლად არის არა 100 არამედ 92 კვირა, ასე რომ ახლა მენეჯერმა უნდა განსაზღვროს რომელი აქტივობების ხანგრძლივობა შეამციროს, რომ ჩაეტიოს ვადაში ყველაზე იაფად.

1.4 დროის ფასი და საკომპრომისო გადაწყვეტილება ინდივიდუალური აქტივობებისთვის. აქტივობის დანგრევა (ანუ ქრეშინგი) ნიშნავს ზომების მიღებას ფასებთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ხანგრძლივობის შემცირება. ეს მაქსიმალური ზომები შეიძლება მოიცავდეს მუშაობის

დროის გადამეტებას, დამატებით დროებით დამხმარე მუშაკების დაქირავებას, სპეციალური მოწყობილობების გამოყენებას და ა.შ.

CPM მეთოდი დროის ფასისა და საკომპრომისო გადაწყვეტილების მიღებისთვის, მდგომარეობს იმაში რომ აღმოვაჩინოთ ქრეშინგის შესაძლებლობები რათა შევამციროთ ხანგრძლივობა. მონაცემები, რომლებიც აუცილებელია ამისთვსის, მოცემულია ცხრილში. ეს ცხრილი აჩვენებს დროის ღირებულების გრაფს. მთავარი წერტილები დასახელებულია როგორც, ნორმალური და ქრეში (გაკოტრება). ნორმალური წერტილი აჩვენებს იმ დროს რომელიც საჭიროა აქტივობისთვის აუჩქარებელ, ჩვეულებრივ პირობებში. ქრეშ წერტილი აჩვენებს იმ შემცირებულ დროს რომელიც საჭირო იქნება განსახორციელებლად თუ კი უფრო მეტ ფულს დავხარჯავთ.

აქედან გამომდინარე მენეჯერი აკეთებს დასკვნებს.

მაგ: აქტივობა J

- ნორმალური წერტილი: დრო = 18 კვირა, ფასი = 80 მლნ დოლარი;
- ქრეშ წერტილი : დრო = 16კვირა, ფასი = 84 მლნ დოლარი;

დროის მაქსიმალური შემცირება ტოლია 18-16 = 2 კვირა;

ქრეშ ფასი კვირაში ტოლია $\frac{84-80}{2} = 2$ მლნ დოლარი.

ანალოგიურად შევისწავლით ყველა აქტივობას. (ნაჩვენებია ცხრილი 3-ში).

- რომელი აქტივობები უნდა „დაინგრეს“?

ცხრილიდან გამომდინარე გვაქვს:

ნორმალური ფასების ჯამი = 1345 მლნ დოლარი;

ქრეშ ფასების ჯამი = 1563 მლნ დოლარი.

ცხრილი 3

აქტივობა	დრო		ფასი		მაქს. შემცირება დროში	ქრეშინგის ფასი დაზოგილი კვირაში
	ნორმ.	ქრეში	ნორმ.	ქრეში		
A	32	28	160	180	4	5
B	28	25	125	146	3	7
C	36	31	170	210	5	8
D	16	13	60	72	3	4

E	32	27	135	160	5	5
F	54	47	215	257	7	6
G	17	15	90	96	2	3
H	20	17	120	132	3	4
I	34	30	190	226	4	9
J	18	16	80	84	2	2

1.5 წრფივი პროგრამირების მეთოდის გამოყენება ქრეშინგისთვის

შევხედოთ მოდელს შემდეგნაირად: Z არის მთლიანი ჯამი ხარჯებისა, რაც საჭიროა აქტივობების ქრეშინგისთვის. ჩვენი ამოცანაა Z-ის მინიმიზაცია, იმ შეზღუდვით, რომ პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს ნაკლები ვიდრე პროექტის მენეჯერის მიერ მოცემული დრო.

ცვლადები იქნება:

x_i = j-ური აქტივობის შემცირება ქრეშინგის საშუალებით, $j = A, B, \dots, J$ - თვის.

თუ კი გამოვიყენებთ ცხრილს, მინიმიზაციის მიზნის ფუნქცია იქნება:

$$Z = 180x_A + 146x_B + \cdots + 84x_J$$

თითოეული 10 გადაწყვეტილების ცვლადი მარჯვენა მხარეს საჭიროებს იყოს შეზღუდული, კერძოდ უნდა იყოს არაუარყოფითი.

y_{FINISH} = პროექტის ხანგრძლივობა, ანუ დრო რომელიც საჭიროა რომ პროექტმა მიაღწიოს „ფინიშამდე“.

შეზღუდვა არის: $y_{FINISH} \leq 92$.

წრფივი პროგრამირების მოდელმა უფრო მარტივად რომ მიგვიყვანოს სასურველ შედეგამდე,



მოსახერხებელი იქნება, თუ შემოვიტანთ y_{FINISH}-ის შესამაბის მნიშვნელობებს, როცა მოცემული გვაქვს $x_A, x_B, \ldots, x_J$. $y_j =$ *აქტივობის დაწყების დრო.* $j = C, D, \ldots, J$*– ისთვის,* მოცემულია მნიშვნელობები $x_A, x_B, \ldots, x_J$. A აქტივობისთვის არ გვაქვს ასეთი ცვლადი, რადგან აქტივობას რომლითაც იწყება პროექტი თავიდანვე ვანიჭებთ მნიშვნელობა 0-ს. რადგან კვანძ FINISH-საც განვიხილავთ როგორც აქტივობას. ყოველი აქტივობისთვის (C , D, … , J, FINISH) და თითოეული უშუალო წინაპარისთვის, პროექტის დაწყების დრო ≥ (დაწყების დრო + ხანგრძლივობა).

აქტივობის ხანგრძლივობა $j =$ *აქტივობის ნორმალურ დროს* $- x_j$,

იმისთვის რომ ამ ურთიერთკავშირის ილუსტრირება მოვახდინოთ, ჩავთვალოთ

- აქტივობა H პროექტის ქსელში.

აქტივობა E, რომლის ხანგრძლივობა $= 32 - x_E$;

კავშირი ამ აქტივობებს შორის: $y_H \geq y_E + 32 - x_E$.

თუმცა აქტივობა H არ შეიძლება დაიწოს სანამ აქტივობა E არ დაიწყება და შემდეგ გაგრძელდება $4 - x_E$ დროის განმავლობაში.

- ახლა ავიღოთ აქტივობა J, რომელსაც აქვს ორი უშუალო წინამორბედი:

აქტივობა F, ხანგრძლივობა $= 54 - x_F$;

აქტივობა C, ხანგრძლივობა $= 36 - x_C$.

ურთიერთკავშირი ამ ორ აქტივობას შორის:

$$y_J \geq y_F + 54 - x_F$$
$$y_J \geq y_C + 36 - C$$

ეს უტოლობები ერთად მიგვანიშნებენ, რომ J არ შეიძლება დაიწყოს სანამ მისი ორივე უშუალო წინამორბედი არ დაასრულებს მოქმედებას.

აქედან გამომდინარე ვიღებთ მიზნის ფუნქციას:

$$Z = 180x_A + 146x_B + \cdots + 84x_J.$$

მოცემული ამოცანების შეზღუდვები ჩაიწერება შემდეგნაირად:

1. **მაქსიმალური შემცირების შეზღუდვა**

$$x_A \leq 4, x_B \leq 3, \ldots, x_J \leq 2$$

2. **არაუარყოფითობა**

$$x_A \geq 0, x_B \geq 0, \ldots, x_N \geq 0$$
$$y_C \geq 0, \ldots, y_N \geq 0, y_{FINISH} \geq 0$$

3. დაწყების დროის შეზღუდვა: როგორც ზემოთ აღვწერეთ, A აქტივობის გარდა ყველა აქტივობის დაწყების დრო დამოკიდებულია მის შესაბამის უშუალო წინამოერბედზე.

ერთი უშუალო წინამორბედი:

$$y_C \geq 0 + 32 - x_A$$
$$y_F \geq 0 + 28 - x_B$$
$$y_E \geq 0 + 28 - x_B$$
$$\ldots$$
$$\mathrm{y_H} \geq \mathrm{y_E} + 32 - \mathrm{x_E}$$

შენიშვნა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რადგან A-ს და B-ს არ გააჩნიათ უშუალო წინამორბედი, ამიტომ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა აღვნიშნოთ 0-ით.

ორი უშუალო წინამორბედი:

$$y_H \geq y_G + 17 - x_G$$
$$y_H \geq y_E + 20 - x_E$$
$$\ldots$$
$$y_{FINISH} \geq y_J + 18 - x_J$$
$$y_{FINISH} \geq y_H + 20 - x_H$$
$$y_{FINISH} \geq y_I + 34 - x_I$$

4. პროექტის ხანგრძლივობის შეზღუდვა:

$$y_{FINISH} \leq 92$$

პროგრამული რეალიზაციის განსახორციელებლად საჭირო მატრიცას ექნება სახე:

	დრო		ფასი		დროის მაქსიმალური შემცირება	ქრეშ ფასი დაზოგილი კვირაში
აქტივობა	ნორმ.	ქრეში	ნორმ.	ქრეში		
A	32	28	160	180	4	5
B	28	25	125	146	3	7
C	36	31	170	210	5	8
D	16	13	60	72	3	4
E	32	27	135	160	5	5
F	54	47	215	257	7	6
G	17	15	90	96	2	3

H	20	17	120	132	3	4
I	34	30	190	226	4	9
J	18	16	80	84	2	2

ჩვენთვის საჭირო მონაცემებია: დაწყების დრო, დროის შემცირება და დასრულების დრო:

	დაწყების დრო	დროის შემცირება	დასრულების დრო
A	0	0	32
B	0	**2**	26
C	32	0	68
D	26	0	42
E	26	0	58
F	0	0	54
G	42	**1**	58
H	58	0	78
I	58	0	92
J	74	0	92
FINISH	92	<=	92
Z	17		

სადაც, სვეტები: „დროის შემცირება“ და „ დაწყების დრო“ შესაბამისად გამოსახავს x_i და y_i ცვლადების მნივნელობებს. Z არის მიზნის ფუნქცია.

ე. ი მივიღეთ, რომ $Z \approx 17$ *მილიონი დოლარი* (რაც ნიშნავს, რომ თავდა-პირველად დაგეგმილი ბიუჯეტი გაიზრდება 17 მილიონი დოლარით), ხოლო აქტივობები, რომელთა დროც უნდა შემცირდეს არის B და G, შესაბამისად 2 და 1 კვირით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Frederick S. Hiller., Gerarg J.Lieberman. Introduction to operation research. Tenth Edition ;
2. Hamdy A. Taha., Operations Research, an introduction., Eighth edition
3. N. Ravi Shankar., M. M. K. Raju., G. Srikanth., P. Hima Bindu. Time, Cost and Quality Trade-off Analysis in Construction of Projects.
4. Ronald L. Rardin. Optimization in Operations Research. Prentice Hall. 1998, 2014.
5. H.A. Eiselt • Carl-Louis Sandblom. Operations Research - A Model-Based Approach. Second Edition. 2015

Kakhidze Tamta

Project Management according to Time Price and Compromising Decision

Abstract

The paper discusses one of the most significant current approaches in the method of managing construction and/or research projects, which is Time-cost Trade-off method. In order to minimize costs in such projects, the network model is built, and programing realization is shown.

Key words: Network model, mathematical model, optimization.

ტურბულენტურ დაჯახებად მაგნიტოაქტიურ პლაზმაში გაბნეული გამოსხივების კუთხური სპექტრის სიმძლავრის თავისებურებები

დავით ჯაკობია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რადიოფიზიკის პროგრამა, მე-2 კურსი

ელ. ფოსტა: david.93@bk.ru

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჟუჟუნა დიასამიძე,

ფიზიკის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ტურბულენტურ დაჯახებად მაგნიტოაქტიურ პლაზმაში გაბნეული გამოსხივების სივრცითი სპექტრის თავისებურებები, როგორებიცაა სპექტრის გაგანიერება და მაქსიმუმის წანაცვლება. ანალიზური გამოთვლები ჩატარებულია კომპლექსური გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებაში. რიცხვითი გამოთვლებისას გამოყენებულია ელექტრონების კონცენტრაციის ფლუქტუაციების გაუსური კორელაციური ფუნქციის სპექტრი, სადაც გათვალისწინებულია წაგრძელებული არაერთგვაროვნებების დახრის კუთხე გარეშე მაგნიტური ველის მიმართ. რიცხვითი შეფასებები ჩატარებულია იონოსფეროს F ფენისათვის დამახასიათებელი პლაზმური პარამეტრების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: პლაზმა, კორრელაცია, გეომეტრიული ოპტიკა, გაუსური ფუნქცია.

1. შესავალი

ტალღური პროცესების კომპლექსური შესწავლა ატმოსფეროში დედამიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიმაღლეებზე და გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა ტურბულენტურ პლაზმურ ფენებში დღეისათვის წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას

და აქვს პრაქტიკული გამოყენება, როგორც ბუნებრივ, ასევე ლაბორატორიულ პლაზმაში.

ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების თავისებურებები შემთხვევითად არაერთგვაროვან გარემოებებში საკმარისად კარგადაა შესწავლილი [1,5,11,12,], მაგრამ გაბნეული გამოსხივების სტატისტიკური მახასიათებლები შემთხვევითად არაერთგვაროვან ანიზოტროპულ დაჯახებად პლაზმურ გარემოში ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ადრე მიღებულ შედეგებს იონოსფერული პლაზმისათვის დღეისათვის აქვს დიდი პრაქტიკული გამოყენება [3,10]. რადიოტალღების ყველა ძირითადი მახასიათებელი, როგორებიცაა: ენერგიის ნაკადი, ფაზა, სიხშირე, პოლარიზაცია და გავრცელების სიჩქარე განიცდიან ფლუქტუაციებს არაერთგვაროვან გარემოებებში გავრცელებისას, რაც იწვევს გადაცემული ინფორმაციის დამახინჯებას ან საერთოდ გაქრობას. დედამიწის ზედაპირიდან დიდ სიმაღლეებზე კოსმოსური რადიოკავშირისათვის აუცილებელია იონოსფეროს ფლუქტუირებადი პარამეტრების გავლენის გათვალისწინება გაბნეული რადიოტალღების სტატისტიკურ მახასიათებლებზე. კოსმოსური რადიო-კავშირისათვის იონოსფეროში ძირითადად გამოიყენება სანტიმეტრული, დეციმეტრული და მეტრული დიაპაზონის რადიოტალღები.

იონოსფერო იმყოფება გეომაგნიტურ ველში და წარმოადგენს გიროტროპულ გარემოს, რომელიც აღიწერება მეორე რანგის არადიაგონალური დიელექტრიკული შეღწევადობის ტენზორით [4]. იონოსფერულ პლაზმაში ანიზოტროპული არაერთგვაროვნებები ძირითადად წაგრძელებულია გეომაგნიტური ველის ძალწირების გასწვრივ [3,10].

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაბნეული რადიო ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა ასეთ არაერთგვაროვან პლაზმურ გარემოში გავრცელებისას.

2. კუთხური სპექტრის სიმძლავრის სტატისტიკური მახასიათებლები

ნაშრომი ეძღვნება ტურბულენტურ დაჯახებად მაგნიტოაქტიურ პლაზმაში გაბნეული გამოსხივების კუთხური სპექტრის სიმძლავრის თავისებურებების შესწავლას.

ანალიზურად სივრცითი სპექტრი წარმოადგენს გაბნეული ველის კორელაციურ ფუნქციას დაკვირვების ორ წერტილს შორის, რომლებიც დაშორებული არიან ერთმანეთისაგან მცირე მანძილით. კუთხური სპექტრის სიმძლავრე ხასიათდება გაგანიერებით და მაქსიმუმის წანაცვლებით. XY სიბრტყე ემთხვევა ვაკუუმი-პლაზმის გამყოფ ზედაპირს, ხოლო Z ღერძი მიმართულია პლაზმური ფენის შიგნით, გარეშე მაგნიტური ველი $\mathbf{B}_0$ და გარდატეხილი ტალღის $\mathbf{k}$ ტალღური ვექტორები მდებარეობენ YZ სიბრტყეში, რომელსაც უწოდებენ მთავარ სიბრტყეს. არაერთგვაროვანი პლაზმური გარემო აღიწერება მეორე რანგის ტენზორით[4], რომლის კომპონენტებია:

$$\varepsilon_{xx} = \varepsilon_{yy} \equiv \eta = 1 - \frac{v(1-is)}{(1-is)^2 - u}, \quad \varepsilon_{xy} = -\varepsilon_{yx} \equiv \xi = -i\frac{v\sqrt{u}}{(1-is)^2 - u},$$

$$\varepsilon_{zz} \equiv \zeta = 1 - \frac{v}{1-is},$$

$$\varepsilon_{xz} = \varepsilon_{zx} = \varepsilon_{yz} = \varepsilon_{zy} = 0,$$

სადაც: $u = \omega_H^2 / \omega^2$, $v = \omega_p^2 / \omega^2$ და $s = \nu_{eff} / \omega$ განუზომელი პლაზმური პარამეტრებია, $\omega_p = (4\pi e^2 N / m)^{1/2}$ – ელექტრონების პლაზმური სიხშირეა, N – ელექტრონების კონცენტრაციაა, $\omega_H = |e|H / mc$ – ელექტრონის გიროსიხშირეა, $\omega = 2\pi f$, f – ტალღის სიხშირეა, e და m – ელექტრონის მუხტი და მასაა, c – სინათლის სიჩქარეა ვაკუუმში, N და H სივრცითი კოორდინატების ფუნქციებია, ν_{eff} – ელექტრონების ეფექტური დაჯახების სიხშირეა პლაზმის სხვა ნაწილაკებთან. ანალიზური გამოთვლები ჩატარებულია კომპლექსური გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებაში, სადაც იგულისხმება, რომ დაცემული ტალღის სიხშირე გაცილებით აღემატება პლაზმურ სიხშირეს, ხოლო პლაზმური არაერთგვაროვნებების მახასიათებელი ხაზოვანი მასშტაბები გაცილებით აღემატება λ ტალღის სიგრძეს. ეს დაშვება საშუალებას გვაძლევს ვისარგებლოთ გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებით. ცნობილია, რომ გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებაში ფაზის ფლუქტუაციები გაცილებით აღემატება ამპლიტუდის ფლუქტუაციებს, ამიტომ ჩვენ შემოვისაზღვრეთ მხოლოდ იმ სტატისტიკური მახასიათებლების განხილვით, რომლებიც დაკავშირებული არიან ფაზის ფლუქტუაციებთან. ვთვლით, რომ ფაზის

ფლუქტუაციები განპირობებულია ელექტრონებისა და მაგნიტური ველის ფლუქტუაციებით. ფაზის კორელაციურ ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$W_{\varphi}(\rho_x,\rho_y,z)=<\varphi_1(x+\rho_x,y+\rho_y,z)\varphi_1(x,y,z)>=2\pi k_0^2\int_{-\infty}^{\infty}d\kappa_x\int_{-\infty}^{\infty}d\kappa_y\Big[(D^2+E^2)\,\sigma_N^2\,W_N(\kappa_x,\kappa_y,-b\kappa_y)+$$

$$+(F^2+G^2)\sigma_H^2\,W_H(\kappa_x,\kappa_y,-b\kappa_y)\Big]\frac{1}{2a\kappa_y}\Big[1-\exp(-2a\kappa_y z)\Big]\,\exp(i\kappa_x\rho_x+i\kappa_y\rho_y+2a\kappa_y z)$$

,

სადაც $W_N(\kappa_x,\kappa_y,\kappa_z)$ და $W_H(\kappa_x,\kappa_y,\kappa_z)$ – ელექტრონების კონცენტრაციისა და მაგნიტური ველის სამგანზომილებიანი სივრცითი სპექტრის სიმძლავრეებია, რომლებთაც გააჩნიათ სხვადასხვა ხაზოვანი მასშტაბები; დანარჩენი კოეფიციენტები განისაზღვრება პლაზმის პარამეტრებით; σ_N^2 და $<\sigma_H^2>$ ელექტრონების კონცენტრაციისა და მაგნიტური ველის ფლუქტუაციების დისპერსიებია. ეს გამოსახულება საკმარისად ზოგადია და ითვალისწინებს ტალღის დახრილად დაცემას, პლაზმური არაერთგვაროვნებების ანიზოტროპიას, წაგრძელებული ანიზოტროპული არაერთგვაროვნებების დახრის კუთხეს გარეშე მაგნიტური ველის მიმართ.

გაბნეული გამოსხივების ორგანზომილებიანი კუთხური სპექტრის სიმძლავრე ფურიე გარდაქმნითაა დაკავშირებული სამგანზომილებიან გაბნეული ველის კორელაციურ ფუნქციასთან [11]:

$$S(k_x,k_y,z)=\frac{1}{(2\pi)^2}\int_{-\infty}^{\infty}d\rho_x d\rho_y\,W_E(\rho_x,\rho_y,z)\exp(-i\,k_x\rho_x-i\,k_y\rho_y)\,.$$

ეს სტატისტიკური მახასითებელი ექვივალენტურია სინათლის ინტენსივობის ანუ სიკაშკაშის და წარმოადგენს ექსპერიმენტზე დამზერად სიდიდეს. ფაზების ძლიერი ფლუქტუაციებისას $<\varphi_1\varphi_1^*>>>1$, რომელიც პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო შემთხვევაა, კუთხურ სპექტრს დაახლოებით აქვს გაუსური ფორმა [2,6,7,8,9]:

$$S(k_x,k_y,z)=S_0\exp\left[-\frac{k_x^2}{2<k_x^2>}-\frac{(k_y-\Delta k_y)^2}{2<k_y^2>}\right],$$

სადაც S_0 – სპექტრალური მრუდის ამპლიტუდაა, Δk_y – განსაზღვრავს სივრცითი სპექტრის მაქსიმუმის წანაცვლებას, ხოლო $< k_y^2 >$ და $< k_x^2 >$ – კუთხური სპექტრის სიმძლავრის გაგანიერებაა შესაბამისად ძირითად YZ და პერპენდიკულარულ XZ სიბრტყეებში. ეს სტატისტიკური მახასიათებლები გამოისახებიან ფაზის კორელაციური ფუნქციიდან კოორდინატით წარმოებულებით [2,6,7,8,9]:

$$\Delta k_y = \frac{1}{i}\frac{\partial W_\varphi}{\partial \rho_y}\bigg|_{\rho_x=\rho_y=0}, \quad < k_y^2 >= -\frac{\partial^2 W_\varphi}{\partial \rho_y^2}\bigg|_{\rho_x=\rho_y=0}, \quad < k_x^2 >= -\frac{\partial^2 W_\varphi}{\partial \rho_x^2}\bigg|_{\rho_x=\rho_y=0}.$$

ამ სტატისტიკური მახასიათებლების გარდა გამოკვლეულია აგრეთვე გაბნეული რადიო ტალღების მოსვლის კუთხის თავისებურებები გამოწვეული ელექტრონების კონცენტრაციისა და მაგნიტური ველის ფლუქტუაციებით. მოსვლის კუთხის ფორმულა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ფაზის ფლუქტუაციებთან განისაზღვრება გამოსახულებით:

$$< \mathbf{g}^2 >= \frac{1}{k_0^2 N_*^2}\left[< \left(\frac{\partial \varphi_1}{\partial x}\right)^2 > + \cos^2\theta < \left(\frac{\partial \varphi_1}{\partial y}\right)^2 > + \sin^2\theta < \left(\frac{\partial \varphi_1}{\partial z}\right)^2 > \right],$$

სადაც N_* პლაზმის გარდატეხის მაჩვენებელია. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ კომპლექსური გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებაში კუთხური სპექტრის სიმძლავრე და მოსვლის კუთხის სტატისტიკური მახასიათებლები იზრდებიან ტალღის მიერ გავლილი მანძილის პროპორციულად ტურბულენტურ პლაზმაში, რაც თვისობრივად ემთხვევა ცნობილ მონოგრაფიებში წარმოდგენილ შედეგებს.

3. რიცხვითი გამოთვლები

დედამიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიმაღლეებზე და სხვადასხვა განედებზე იონოსფეროს F ფენაში ძირითადად აკვირდებიან გაუსურ და ხარისხობრივ სპექტრებს. ჩვენ განვიხილავთ ანიზოტროპული გაუსური კორელაციური ფუნქციის ანალიზურ გამოსახულებას, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს, როგორც წაგრძელებული არაერთგვაროვნებების ანიზოტროპიის კოეფიციენტს, ასევე ამ არაერთგვაროვნებების წაგრძელების მიმართულების დახრის კუთხეს გეომაგნიტური ველის მიმართ [6]:

$$W_N(k_x,k_y,k_z)=\sigma_N^2\frac{l_\perp^2 l_\parallel}{8\pi^{3/2}}\exp\left\{-\frac{k_y^2 l_\parallel^2}{4}\frac{1}{\chi^2\cos^2\alpha+\sin^2\alpha}\left[1+\frac{(1-\chi^2)^2}{\chi^2}\sin^2\alpha\cos^2\alpha\right]-\right.$$

$$\left.-\frac{k_x^2 l_\perp^2}{4}-\frac{\chi^2\cos^2\alpha+\sin^2\alpha}{4\chi^2}k_z^2 l_\parallel^2-\frac{\chi^2-1}{2\chi^2}\sin\alpha\cos\alpha\, l_\parallel^2 k_y k_z\right\},$$

$\chi = l_\parallel / l_\perp$, სადაც ანიზოტროპიის პარამეტრია, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონების კონცენტრაციის არაერთგვაროვნებების მაგნიტური ველის გასწვრივი ხაზოვანი მასშტაბის შეფარდებას მის პერპენდიკულარულ ხაზოვან მასშტაბთან.

ნახ. 1 და ნახ. 2 წარმოდგენილია ორგანზომილებიანი იზოსპექტროიდი ანიზოტროპული გაუსური კორელაციური ფუნქციისათვის, როცა წაგრძელებული არაერთგვაროვნებების მიმართულება ემთხვევა მაგნიტური ველის მიმართულებას $\alpha=0$ ან მის მიმართ დახრილობის კუთხე შეადენს $\alpha=5^0$. იზოტროპულ შემთხვევაში იზოსპექტროიდს აქვს წრის ფორმა, ხოლო χ ანიზოტროპიის კოეფიციენტის გაზრდით იგი დეფორმირდება და ბრტყელდება განსაკუთრებით მეორე შემთხვევაში.

ანალიზურად გამოთვლილია ფაზის კორელაციური ფუნქცია ელექტრონების კონცენტრაციის ფლუქტუაციების გაუსური კორელაციური ფუნქციისათვის. შესაბამის დისპერსიას აქვს შემდეგი სახე:

$$<\varphi_1^2>=\sqrt{\pi}<(\delta\nu)^2>(D^2+E^2)\frac{k_0^2 z l_\parallel}{\sqrt{G_0}\chi}.$$

აქედან ჩანს, რომ ტურბულენტურ პლაზმაში გაბნეული რადიო ტალღების ფაზის დისპერსია იზრდება მანძილის პროპორციულად. ანალიზურად გამოთვლილია აგრეთვე გაბნეული გამოსხივების კუთხური სპექტრის სიმძლავრის გაგანიერება მთავარ და პერპენდიკულარულ სიბრტყეებში, ასევე ამ სპექტრის მაქსიმუმის წანაცვლება. ნაჩვენებია, რომ კუთხური სპექტრის სიმძლავრის გაგანიერებებსა და ფაზის დისპერსიას შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$<k_x^2>=2<\varphi_1^2>\chi^2/\ell_\parallel^2,\ <k_y^2>=<k_x^2>/G_0\chi^2,\ \Delta k_y=a\,z<k_y^2>.$$



ნახ.1 ორგანზომილებიანი იზოსპექტროიდი ანიზოტროპიის χ პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, როცა წაგრძელებული არაერთგვაროვნებები გეომაგნიტური ველის ძალწირების გასწვრივაა მიმართული $\alpha = 0^{\circ}$



ნახ. 2 ორგანზომილებიანი იზოსპექტროიდი ანიზოტროპიის χ პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, როცა არაერთგვაროვნებები გეომაგნიტური ველის ძალწირებისადმი წაგრძელებულია $\alpha = 5^{\circ}$ კუთხით.



ნახ. 3 კუთხური სპექტრის სიმძლავრის ნორმირებული გაგანიერების დამოკიდებულება გარდატეხის θ კუთხეზე წაგრძელებული არაერთგვაროვნებების სხვადასხვა დახრის α კუთხისათვის და ანიზოტროპიის კოეფიციენტის $\chi = 3$ მნიშვნელობისათვის.



ნახ. 4 კუთხური სპექტრის სიმძლავრის ნორმირებული გაგანიერების დამოკიდებულება გარდატეხის θ კუთხეზე სხვადასხვა χ ანიზოტროპიის კოეფიციენტისა და წაგრძელებული არაერთგვაროვნებების დახრის $\alpha = 30^{\circ}$ კუთხისათვის.

ნახ. 3 და ნახ. 4 წარმოდგენილია კუთხური სპექტრის სიმძლავრის ნორმირებული გაგანიერების დამოკიდებულება გარდატეხის θ კუთხეზე წაგრძელებული არაერთგვაროვნებების სხვადასხვა დახრის α კუთხისა და ანიზოტროპიის კოეფიციენტის $\chi = 3$ მნიშვნელობისათვის. ასევე კუთხური სპექტრის სიმძლავრის ნორმირებული გაგანიერების დამოკიდებულება გარდატეხის θ კუთხეზე სხვადასხვა χ ანიზოტროპიის კოეფიციენტისა და წაგრძელებული არაერთგვაროვნებების დახრის $\alpha = 30^0$ კუთხისათვის. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ როცა α კუთხე ელექტრონების კონცენტრაციის არაერთგვაროვნებების წაგრძელების მიმართულებასა და გარეშე მაგნიტურ ველს შორის იზრდება, მაშინ კუთხური სპექტრის სიმძლავრის გაგანიერების ამპლიტუდა მცირდება. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ ფიქსირებული α კუთხისათვის χ ანიზოტროპიის კოეფიციენტის გაზრდა იწვევს გაბნეული გამოსხივების ინტენსივობის სპექტრის შევიწროვებას გაბნევის იმ სიბრტყეში, სადაც ძევს გეომაგნიტური ველის ვექტორი.



ნახ. 5 კუთხური სპექტრის მაქსიმუმის წანაცვლების დამოკიდებულება χ პარამეტრზე, სხვადასხვა θ კუთხის მნიშვნელობებისათვის, როცა $z / \ell_{||} = 0.58$, $\alpha = 20^0$

კუთხური სპექტრის მაქსიმუმის წანაცვლების $\Delta k_y / k_0^2$ დამოკიდებულება χ პარამეტრზე, სხვადასხვა θ კუთხის k_0^2 მნიშვნელობებისათვის, როცა $z / \ell_{\parallel} = 0.58,\ \alpha = 20^0$ წარმოდგენილია ნახ. 5

ფაზისა და მოსვლის კუთხის დისპერსიების რიცხვითი მნიშვნელობები გამოთვლილია იონოსფეროს $h = 240$ კმ სიმაღლისათვის და შემდეგი პარამეტრებისათვის: $f = 40$ მგჰც, $\chi = 2,7$, $<(\delta\nu)^2> = 10^{-4}$, $\theta = 30^0$, $\alpha = 16^0$. მათი მნიშვნელობები შემდეგია $\sqrt{<\varphi_1^2>} = 0,4$ *რადიანი*, $\sqrt{<g^2>} \approx 8^0$, როცა $\ell_{\parallel} = 5$ კმ და $z = 4$ კმ; $\sqrt{<\varphi_1^2>} = 2,9$ *რადიანი*, $\sqrt{<g^2>} \approx 1^0$, როცა $\ell_{\parallel} = 150$ კმ და $z = 7$ კმ. ცნობილია, რომ თუკი ფაზის დისპერსია ნაკლებია 1 რადიანზე, მაშინ ფაზის კორელაციის რადიუსი იონოსფეროში ელექტრონების კონცენტაციის ფლუქტუაციების კორელაციის რადიუსის ტოლია. თუ $\sqrt{<\varphi_1^2>} > 1$ რად, მაშინ დედამიწის ზედაპირზე დაკვირვებადი ფაზის კორელაციის რადიუსი ნაკლებია ელექტრონების კონცენტრაციის ფლუქტუაციების კორელაციის რადიუსზე.

დასკვნა

1. კომპლექსური გეომეტრიული ოპტიკის მიახლოებაში მიღებულია ნახევრად უსასრულო პლაზმური ფენის მიერ გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების ფაზის ფლუქტუაციის ზოგადი ანალიზური გამოსახულება, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონების კონცენტრაციისა და მაგნიტური ველის ფლუქტუაციებს; ტურბულენტური მაგნიტოაქტიური პლაზმური ფენის მიერ გაბნეული გამოსხივების კუთხური სპექტრი; შემოტანილია ანიზოტროპული გაუსური კორელაციური ფუნქციის ანალიზური გამოსახულება, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს როგორც წაგრძელებული არაერთგვაროვნებების ანიზოტროპიის კოეფიციენტს, ასევე ამ არაერთგვაროვნებების წაგრძელების მიმართულების დახრის კუთხეს გეომაგნიტური ველის მიმართ.

2. გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების რიცხვითი გამოთვლები ჩატარებულია ელექტრონების კონცენტრაციის ფლუქტუაციების გაუსური სპექტრისათვის იონოსფეროს F ფენისათვის დამახასიათებელი პლაზმური პარამეტრების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Chernov L.A. *Wave Propagation in a Random Medium*, New York, McGraw-Hill, 1960.
2. Gavrilenko V.G., Jandieri G.V., Jandieri V.G., "Some properties of the angular power distribution of electromagnetic waves multiply scattered in a collisional magnetized turbulent plasma", *Plasma Physics Report*, vol. 31, # 7, pp. 655–666, 2005.
3. Gershman B.N., Eruxhimov L.M., Iashin Yu.Ya., *Wavy Phenomena in the Ionosphere and Cosmic Plasma*, Moscow, Nauka, 1984 (in Russian).
4. Ginzburg V.L. Propagation of Electromagnetic Waves in Plasma. New York: Gordon and Beach, 1961.
5. Ishimaru A., Wave Propagation and Scattering in Random Media. Vol. 2, Multiple Scattering, Turbulence, Rough Surfaces and Remote Sensing, IEEE Press, Piscataway, New Jersey, USA, 1997.
6. Jandieri G.V., Ishimaru A., Jandieri V.G., Khantadze A.G., Diasamidze Z.M., "Model computations of angular power spectra for anisotropic absorptive turbulent magnetized plasma", *Progress In Electromagnetic Research, PIER*, vol. 70, 2007, pp. 307-328.
7. Jandieri G.V., Jandieri V.G., Diasamidze Zh.M., Jabnidze I.N., Takidze I.G., "Statistical Characteristics of Scattered Microwaves in Gyrotropic Medium with Random Inhomogeneities," *International Journal of Microwave and Optical Technology*, vol. 1, #. 2, pp. 860-869, 2006.
8. Jandieri G.V., Aburjania G.D., Jandieri V.G., "Transformation of the Spectrum of Scattered Radiation in Randomly Inhomogeneous Absorptive Plasma Layer," *Wave Propagation, Scattering and Emission in Complex Media*. Science Press (Beijing, China), World Scientific (Singapore City, Singapore). Editor: Ya–Qiu Jin. pp. 207–214, 2004.
9. Jandieri G.V., Gavrilenko V.G., Pirtskhalaishvili N.G., Semerikov A.A. *Radiophysics and Quantum Electronics* (Kluwer Academic/Plenum Publishers), 1999, vol. 17, # 4, pp. 340–353.
10. Kravtsov Yu.A., Feizulin Yu.A., Vinogradov A.G., *Radio waves propagation through the Earth's atmosphere*. Radio and communication, Moscow, 1983 (in Russian).

11. Rytov S.M., Kravtsov Yu.A., Tatarskii V.I. *Principles of Statistical Radiophysics. vol. 4. Waves Propagation Through Random Media*. Berlin, New York, Springer, 1989.

12. Tatarskii V.I. *Wave Propagation in a Turbulent Medium*, New York, McGraw-Hill, 1961.

Jakobia Davit

Spatial Specter Peculiarities of Radiation Scattered as Turbulent families in Magnitoactive Plasm

Abstract

In this work were investigated the features of the spatial angular power spectrum (APS) of scattered radiation (broadening and displacement of its maximum) in turbulent collisional magnetized plasma. Analytical calculations were completed in complex geometrical optics approximation. For numerical calculations, the spectrum of Gaussian correlation function of electron concentration fluctuations is used, where the angle of inclination between elongated inhomogeneities with respect to the external magnetic field is taken into account. In the numerical estimation were used parameters specific for F layer.

Key Words: plasma, correlation, geometrical optics, Gauss function

მზის ელემენტის მახასითებელი სიდიდეების განსაზღვრის ექსპერიმენტული და თეორიული მეთოდები

ჯაბა შაინიძე

ელ. ფოსტა: jabashainidze@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებატა ფაკულტეტი

რადიოფიზიკა, II კურსი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი კალანდაძე,

ფიზიკის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლების და ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების ერთ–ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არატრადიციული ენერგიის წყაროების გამოყენებაა. განახლებადი ენერგეტიკა ძირითადად მზის გამოსხივებას უკავშირდება. მზის ენრგიის ათვისება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესების განვითარებაზე. მკვლევართა მიზანს წარმოადგენს ფოტო ელექტრული გარდამქმნელი სისტემების ეფექტურობის გაზრდა და ღირებულების შემცირება. სწორედ ამ აქტუალურმა პრობლემებმა, მზის ენერგიის გამოყენების თეორიულმა და პრაქტიკულმა მხარემ, განსაზღვრა მოცემული ნაშრომის თემა და მიზანი. წარმოდგენილ ნაშრომში პოლიკრისტალური სილიციუმის (c-Si) მაგალითზე თეორიული და ექსპერიმენტული მეთოდებით შესწავლილი იქნა მზის ელემენტის მახასიათებელი პარამეტრები: ვოლტ-ამპერული მრუდი, მოკლე ჩართვის დენი, უქმი სვლის ძაბვა, შევსების კოეფიციენტი (FF) და მქ კოეფიციენტი. მიღებული თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების მიხედვით გაკეთდა დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: პოლიკრისტალური სილიციუმი, მზის ელემენტი, მახასიათებელი სიდიდეები, შევსების კოეფიციენტი.

შესავალი

დღევანდელ დღეს საკმაოდ აქტუალურია ენერგიის მიღების ალტერნატიული საშუალებების განვითარების თემა. ენერგიის მიღების ტრადიციული წყაროები მცირდება და შესაძლოა 50 წლის განმავლობაში ამოიწუროს კიდეც. ამიტომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობა იძულებულია მოძებნოს ენერგიის მიღების ახალი წყაროები. ენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროებიდან ყველაზე პერსპექტიულია მზის ენერგიის გამოყენება; ეს ბუნებრივიცაა, რადგან მზე არის ჩვენი პლანეტის სინათლისა და სითბოს ბუნებრივი წყარო. ენერგია, რომელსაც მზე დედამიწას აწვდის, 5000-ჯერ აღემატება მსოფლიოს ენერგომოთხოვნილებას.

ფოტოენერგეტიკა არ არის ახალი ტექნოლოგია: კოსმოსური ერის პირველივე დღეებიდანვე მზის ბატარეებით ხდებოდა კოსმოსური ხომალდების ელექტრული ენერგიით მომარაგება. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიამ თავისი განვითარების დონით მიაღწია იმ სტადიას, როცა შესაძლებელია შეიქმნას რამოდენიმე მილიონი ვატი სიმძლავრის ელექტროსადგურები.

მზის ენრგიის ათვისება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესების განვითარებაზე. მკვლევართა მიზანს წარმოადგენს ფოტოელექტრული გარდამქმნელი სისტემების ეფექტურობის გაზრდა და ღირებულების შემცირება. კვლევები მზის ელემენტების დამოდულების განვითარებისათვის ძირითადად მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით: ახალი მასალების შექმნა და მათი შემადგენლობის ოპტიმიზაცია.

სწორედ ამ აქტუალურმა პრობლემებმა, მზის ენერგიის გამოყენების თეორიულმა და პრაქტიკულმა მხარემ, განსაზღვრა მოცემული ნაშრომის თემა და მიზანი. წარმოდგენილ ნაშრომში პოლიკრისტალური სილიციუმის (Polycrystalline: NUZAMAS 0.6W 6V) მაგალითზე თეორიული და ექსპერიმენტული მეთოდებით შესწავლილი იქნა მზის ელემენტის მახასიათებელი პარამეტრები: ვოლტ-ამპერული მრუდი, მოკლე ჩართვის დენი, უქმი სვლის ძაბვა, შევსების კოეფიციენტი (FF) და მქ კოეფიციენტი. მიღებული თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების მიხედვით გაკეთდა დასკვნები.

§1. მზის ელემენტის მახასიათებელი სიდიდეები

მზის ელემენტის შესწავლისას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მისი მახასათებელი სიდიდეების განსაზღვრა, როგორიცაა მოკლე ჩართვის დენი, უქმი სვლის ძაბვა, შევსების კოეფიციენტი და მარგი ქმედების კოეფიციენტი. სწორედ ამ სიდიდეებზეა დამოკიდებული ელემენტში სინათლის ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის ეფექტურობა. განვიხილოთ თითოეული პარამეტრი [1, 2, 6]:

- მოკლე ჩართვის დენი - ეს არის დენი, რომელიც გადის მზის ელემენტში, როცა ძაბვა ნულის ტოლია. მოკლე ჩართვის დენი ჩვეულებრივ აღინიშნება $I_{\text{მჩ}}$ ან I_{sc} სიმბოლოთი. ის აღიძვრება სინათლის მიერ გენერირებული მუხტის მატარებლების წარმოქმნისა და განცალკევების შედეგად. იდეალურ მზის ელემენტში, დატვირთვაზე ზომიერი დანაკარგებისას ის სინათლის დენის ტოლია. ამიტომ მოკლე ჩართვის დენი შეიძლება ჩავთვალოთ მაქსიმალურ დენად, რომლის წარმოქმნაც შეუძლია ელემენტს. I_{sc} დამოკიდებულია მზის ელემენტის ფართობზე. ამ დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად, მზის ელემენტზე მიწოდებული მაქსიმალური დენი აღიწერება ჩაკეტილი წრედის დენის სიმკვრივით J_{sc}.მაქსიმალური დენი, რომლის წარმოქმნაც შეუძლია მზის ელემენტს ძლიერ არის დამოკიდებული მზის ელემენტის პარამეტრებზე, როგორიცაა შთანთქმა მშთანთქმელ ფენაში და არეკვლა. იდეალურ შემთხვევაში, J_{sc} ტოლი იქნება J_{ph}, რომელიც ადვილად შეიძლება მივიღოთ შემდეგი განტოლებიდან [4, 6]:

$$J(V_a) = J_{rec}(V_a) - J_{gen}(V_a) - J_{ph} = J_0\left[\exp\left(\frac{qV_a}{k_BT}\right) - 1\right] - J_{ph}. \quad (1)$$

J_{ph} შეიძლება მიახლოებით გამოვთვალოთ განტოლებიდან:

$$J_{ph} = qG(L_N + W + L_p) \quad (2)$$

სადაც, L_N და L_p არის ელექტრონების და ხვრელების დიფუზიის სიგრძე, ხოლო W არის დაშლის რეგიონის სიგანე. ეს განტოლება გვიჩვენებს, რომ იდეალური დიოდის და სიმეტრიული გენერაციის შემთხვევაში, J_{ph}-ის განსაზღვრისთვის არსებული კრიტიკული პარამეტრებია დიფუზიის სიგრძე და მეორადი მატარებლები.

- უქმი სვლის ძაბვა - ეს არის მაქსიმალური ძაბვა, რომელსაც ქმნის მზის ელემენტი, ნულოვანი დენის არსებობისას. ის ტოლია პირდაპირი წანაცვლებისა, რომელიც შეესაბამება p-n გადასვლის ძაბვის ცვლილებას სინათლის

დენის წარმოქმნისას. უქმი სვლის ძაბვა ჩვეულებრივ აღინიშნება $U_{უს}$ ან V_{oc} სიმბოლოთი. მაღალი ხარისხის მონოკრისტალური მზის ელემენტების უქმი სვლის ძაბვა აღწევს 730 მვ-მდე AM1.5 პირობისას.

უქმი სვლის ძაბვა გამოითვლება შემდეგი ფორმულით [6]:

$$V_{oc} = \frac{k_B T}{q} \ln\left(\frac{J_{ph}}{J_0} + 1\right) \approx \frac{k_B T}{q} \ln\left(\frac{J_{ph}}{J_0}\right) \quad (3)$$

სადაც მიახლოებითი ტოლობა გამართლებულია, რადგან $J_{ph} \gg J_0$.

(3) განტოლება გვიჩვენებს, რომ V_{oc} დამოკიდებულია მზის ელემენტის ნაჯერობის დენის სიმკვრივეზე და ფოტო-გენერირებულ დენზე. როცა J_{ph}-ს აქვს მცირე ვარიაცია, მთავარი ეფექტი აქვს ნაჯერობის დენს, რადგან ამ ვარირების სიდიდე შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი. შესაბამისად, V_{oc} არის მოწყობილობაში რეკომბინაციების რაოდენობის საზომიც. ლაბორატორიულ c-Si-ს აქვს 720 მვ-მდე V_{oc}, მაშინ როცა კომერციულ მზის ელემენტებში შეიძლება აჭარბებდეს 600 მვ-ს.

- მზის ელემენტის ვოლტ-ამპერული მახასიათებლის შევსების კოეფიციენტი (Fill Factor, FF). მოკლე ჩართვის დენი და უქმი სვლის ძაბვა - ეს არის მაქსიმალური დენი და ძაბვა, რომელიც შეიძლება მივიღოთ მზის ელემენტისგან. თუმცა უქმი სვლის ძაბვის და მოკლე ჩართვის დენისას მზის ელემენტის სიმძლავრე 0-ის ტოლია.

შევსების კოეფიციენტი - პარამეტრია, რომელიც უქმი სვლის ძაბვასთან და მოკლე ჩართვის დენთან ერთად განსაზღვრავს მზის ელემენტის მაქსიმალურ მნიშვნელობას. ის გამოითვლება როგორც მზის ელემენტის მაქსიმალური სიმძლავრის თანაფარდობა უქმი სვლის ძაბვისა და მოკლე ჩართვის დენის ნამრავლთან [7, 8]:

$$FF = \frac{(U_{მსწ} \cdot I_{მსწ})}{(I_{მჩ} \cdot U_{უს})} \quad (4)$$

სადაც, $U_{მსწ}$ - ძაბვაა მაქსიმალური სიმძლავრის წერტილში; $I_{მსწ}$ - დენი, იმავე წერტილში; $U_{უს}$ - უქმი სვლის ძაბვა; $I_{მჩ}$ - მოკლე ჩართვის დენი.

ვოლტ-ამპერული მახასიათებლის შევსების კოეფიციენტი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პარამეტრს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ფოტოელექტრული გარდამქმნელის ხარისხზე. ჩვეულებრივ ხარისხიან, სერიულად წარმოებულ მზის ელემენტებს აქვთ შევსების კოეფიციენტი 0,7-ზე მეტი. დეფექტურ ელემენტებს აქვთ კოეფიციენტი 0,4-დან 0,65-მდე.

ამორფულ ელემენტებს და სხვა თხელ ფენიან ფოტოელექტრულ გარდამქმნელებს 0,4-0,7. რაც უფრო მაღალია ვოლტ-ამპერული მახასიათებლის შევსების კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია ელემენტში შიდა წინაღობით გამოწვეული დანაკარგები.

- მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ) წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ პარამეტრს, რომლის მიხედვითაც შეიძლება შევადაროთ ორი მზის ელემენტის ეფექტურობა. ის განისაზღვრება როგორც თანაფარდობა, მზის ელემენტის გამომუშავებულ სიმძლავრესა და დაცემულ მზის გამოსხივების სიმძლავრეს შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მზის ელემენტზე გაზომვები ტარდება სტანდარტების გათვალისწინებით, როდესაც დაცემული სინათლე აღიწერება AM1.5 სპექტრით და გამოსხივება ტოლია $I_{in} = 1000$ ვ/მ^2,

$$\eta = \frac{P_{max}}{I_{in}} = \frac{J_{მსწ} V_{მსწ}}{I_{in}} = \frac{J_{sc} V_{oc} FF}{I_{in}} \quad (5)$$

ჩვეულებრივ კრისტალური სილიციუმის მზის ელემენტის გარე პარამეტრებს აქვთ შემდეგი სახე: $J_{sc} \approx 35$ მა/სმ^2, V_{oc} 0,65 ვ-მდე, და FF მერყეობს 0,75-0,80 შუალედში. გარდაქმნის ეფექტურობა საშუალოდ 17-დან 18%-მდეა [3, 7].

§2. მახასითებელი სიდიდეების ექსპერიმენტული და თეორიული გათვლები.

მზის ელემენტის მახასიათებელი პარამეტრების გამოთვლისთვის ექსპერიმენტი ჩავატარეთ კომერციული ხარისხის პოლიკრისტალური სილიციუმის მზის ელემენტზე: ზომები 90მმx 60მმx 2მმ, $U_{მაქს}$=6 ვ, $P_{მაქს}$=0,6 ვტ. ავაგეთ ექსპერიმენტისთვის დანადგარი, რომლის სქემა მოცემულია (სურ 2.1).

ხელოვნური წყაროდან გამოსული სინათლის ელემენტზე დანათებისას, როცა ელემენტის პოლუსებიდან გამომავალი სადენები ერთმანეთთან პირდაპირ იყო შეერთებული, განვსაზღვრეთ ელემენტის მოკლე ჩართვის დენი $I_{მწ}$.

შემდეგ ელემენტი ჩავრთეთ გარე დატვირთვასთან, მოცემული სქემის მიხედვით (სურ. 2.1). გარე დატვირთვის 5 კომ ბიჯის ცვლილებით ავითვალეთ ციფრული ვოლტმეტრისა და ამპერმეტრის ჩვენებები [9].



სურ. 2.1 დანადგარის სქემა. R - წინაღობა, mA - მილიამპერმეტრი, V - ვოლტმეტრი, I - დენი.

უქმის სვლის ძაბვის $U_{უს}$ გაზომვისთვის სადენები R ცვლადი წინაღობისგან განვაცალკევეთ, რათა ელემენტში წინაღობა ყოფილიყო უსასრულობათან მიახლოებული. მონაცემები შევიტანეთ ცხრილში (ცხრილი 2.1).

R (კომი)	U (ვ)	I (მკა)	P (მკვტ)	R (კომი)	U (ვ)	I (მკა)	P (მკვტ)
0	0	49.9	0	55	3.2	39.8	127.36
5	0.5	49.6	24.8	60	3.4	38.9	132.26
10	0.9	48.8	43.92	65	3.6	37.5	135
15	1.2	48.5	58.2	70	3.7	35.9	132.83
20	1.6	47.9	76.64	75	3.9	34.8	135.72
25	1.8	46.4	83.52	80	4.1	32.8	134.48
30	2.1	45.8	96.18	85	4.2	31.1	130.62
35	2.4	44.7	107.28	90	4.3	27.5	118.25
40	2.6	43.5	113.1	95	4.4	23.7	104.28
45	2.9	41.9	121.51	100	4.5	18	81
50	3.1	40.9	126.79	∞	5.3	0	0

ცხრილი 2.1. ექსპერიმენტული მონაცემები.

მონაცემების მიხედვით ავაგეთ ვოლტ-ამპერული მახასიათებლის მრუდი (სურ. 2.2).



სურ. 2.2. მზის ელემენტის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი

მოცემული გრაფიკის და მიღებული მონაცემების გამოყენებით გამოვთვალეთ.

მზის ელემენტის მოკლე ჩართვის დენი $I_{\partial в} = 49{,}9$ მკა, უქმის სვლის ძაბვა$U_{უს} = 5{,}3$ვ, მაქსიმალური სიმძლავრე P = 135,72 მკვტდა შესაბამისად ამ წერტილში დენის ძალა $I_{\partial\text{სწ}} = 34{,}8$ მკა და ძაბვა $U_{\partial\text{სწ}} = 3{,}9$ ვ.

(4) ფორმულით გამვთვალეთ შევსების კოეფიციენტი.

$$FF = \frac{(U_{\partial\text{სწ}} \cdot I_{\partial\text{სწ}})}{(I_{\partial в} \cdot U_{ус})} = \frac{3{,}9 \cdot 34{,}8}{49{,}9 \cdot 5{,}3} = 0{,}51$$

მზის ელემენტის მქკ გამოვთვალეთ (5) ფორმულით:

$$\eta = \frac{I_{\partial в} \cdot U_{ус} FF}{I_{in}} = \frac{49{,}9 \cdot 5{,}3 \cdot 0{,}51}{1000} = 0{,}13$$

თეორიული გათვლები შევასრულეთ კრისტალური სილიციუმის მონაცემების შესაბამისად, კერძოდ$J_{ph} = 35$ მა/სმ^2. ფირფიტა ლეგირებულია 10^{17} აქცეპტორული ატომით კუბურ სანტიმეტრზე და ემიტერის ფენა შექმნილია კონცენტრირებული 10^{19} დონორით კუბურ სანტიმეტრზე. მინარეული მატარებლების დიფუზური სიგრძე p და n ტიპის რეგიონებში არის შესაბამისად $500 \cdot 10^{-6}$ მ და $10 \cdot 10^{-6}$ მ. საკუთარი მატარებლების კონცენტრაცია სილიციუმში 300 K-ზე არის$1{,}5 \cdot 10^{10}$ სმ$^{-3}$, ელექტრონების ძვრადობაp ტიპის რეგიონში არის

$\mu_{\mathrm{n}} = 1000$ სმ^{2}ვ$^{-1}$წმ$^{-1}$ და ხვრელებისა n ტიპის რეგიონში არის $\mu_{\mathrm{p}} = 100$ სმ^{2}ვ$^{-1}$წმ$^{-1}$. დავუშვათ მზის ელემენტი იქცევა როგორც იდეალური დიოდი. გამოვთვალოთ შიდა ძაბვა, ღია წრედის ძაბვა და ელემენტის გარდაქმნის ეფექტურობა. მოცემულობის თანახმად:

$J_{ph} = 350$ ა$^{-2}$; $N_A = 10^{17}$ ს$^{-3}$ $= 10^{23}$ $^{-3}$; $N_D = 10^{19}$ ს$^{-3}$ $= 10^{25}$ $^{-3}$; $L_N = 500 \times 10^{-6}$; $L_P = 10 \times 10^{-6}$ n_i =1,5·10^{10} სმ$^{-3}$=1,5·10^{16} $^{-3}$.

$D_N = \left(\frac{k_B T}{q}\right)\mu_{\mathrm{n}} = 0{,}0258$ ვ $\times 1000 \times 10^{-4}$ ს^2 ვ$^{-1}$ $^{-1}$ $= 2{,}58 \times 10^{-3}$ ^{2} $^{-1}$.

$D_P = \left(\frac{k_B T}{q}\right)\mu_{\mathrm{p}} = 0{,}0258$ ვ $\times 100 \times 10^{-4}$ ს^2 ვ$^{-1}$ $^{-1}$ $= 2{,}58 \times 10^{-4}$ ^{2} $^{-1}$.

გამოვთვალოთ ელემენტის შიდა ძაბვა შემდეგი ფორმულით:

$\psi_0 = \frac{k_B T}{q}\ln\left(\frac{N_A N_D}{n_i^2}\right) = 0{,}0258$ ვ $\times \ln\left[\frac{10^{23}10^{25}}{(1{,}5\times10^{16})^2}\right] = 0{,}93$ ვ.

იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ მზის ელემენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც იდეალური დიოდი, გამოვიყენოთ შოკლეის განტოლება [5], რომელიც აღწერს ვოლტ-ამპერულ მახასიათებლებს. დენის სიმკვრივეს ექნება შემდეგი სახე:

$$J_0 = qn_i^2\left(\frac{D_N}{L_N L_A} + \frac{D_P}{L_P L_D}\right) = 1{,}602 \times 10^{-19}$$ კ$(1{,}5 \times 10^{16})^2$ $^{-6}$ $\times$

$$\left(\frac{2{,}58\times10^{-3}\ ^2\ ^{-1}}{500\times10^{-6}\ 10^{23}\ ^{-3}} + \frac{2{,}58\times10^{-4}\ ^2\ ^{-1}}{100\times10^{-6}\ 10^{25}\ ^{-3}}\right) = 1{,}95 \times 10^{-9}\ \frac{\text{ კ}}{^2\ } = 1{,}95 \times 10^{-9}\ \frac{\text{ ა}}{^2}\ .$$

ღია წრედის ძაბვა: $V_{oc} = \frac{k_B T}{q}\ln\left(\frac{J_{ph}}{J_0} + 1\right) = 0{,}0258$ ვ $\ln\left(\frac{350\text{ ა}\ ^2}{1{,}95\times10^{-9}\text{ ა}\ ^2} + 1\right) = 0{,}67$ ვ .

შევსების კოეფიციენტის გამოთვლისთვის უნდა მოვახდინოთ V_{oc}-ის ნორმალიზება: $v_{oc} = {V_{oc}}\Big/{\frac{k_B T}{q}} = \frac{0{,}67\text{ ვ}}{0{,}0258\text{ ვ}} = 26{,}8$. შესაბამისად, $FF = \frac{v_{oc} - \ln(v_{oc} + 0{,}72)}{v_{oc} + 1} = 0{,}84$.

ბოლოს, გარდაქმნის ეფექტურობას ექნება შემდეგი სახე:

$$\eta = \frac{J_{sc} V_{oc} FF}{P_{in}} = \frac{350\text{ ა}\ ^{-2}\ 0{,}67\text{ ვ}\ 0{,}84}{1000\text{ ვ}\ ^{-2}} = 0{,}197 = 19{,}7\%.$$

ამრიგად, ჩატარებული კვლევების თანახმად, მზის ელემენტის მიერ მზის ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად ძლიერ არის დამოკიდებული ელემენტის მახასიათებელ პარამეტრებზე. მაღალი ხარისხის პოლიკრისტალური ელემენტი ხასიათდება მაღალი მქკ-ით და შესაბამისად მაღალი შევსების კოეფიციენტით.

მოცემულ საცდელ ელემენტზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების და ნახევარგამტარის პარამეტრების გამოყენებით შესრულებული თეორიული გამოთვლების შედარებით ჩანს, რომ ნიმუშად აღებულ ელემენტს აქვს დაბალი შევსების და მქ კოეფიციენტები, შესაბამისად ის ელემენტზე დაცემული ენერგიის მცირე ნაწილს გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად. ის განეკუთვნება B კატეგორიის მზის ელემენტს, რომლის ღირებულებაც მცირე უნდა იყოს.

დასკვნა

1. შესწავლილ იქნა მზის ელენენტის მახასიათებელი სიდიდეების დამოკიდებულება ნახევარგამტარის ფოტოელექტრულ თვისებებზე.

2. დაიდგა ექსპერიმენტი პოლიკრისტალური სილიციუმის (c-Si) მზის ელემენტის მახასიათებელი სიდიდეების განსაზღვრისთვის.

3. ექსპერიმენტული მონაცემებით აგებული იქნა ვოლტ-ამპერული მახასიათებელი და მიღებული მრუდიდან განისაზღვრა შესასწავლი ნიმუშის მოკლე ჩართვის დენი, უქმი სვლის ძაბვა, შევსების კოეფიციენტი (FF) და მქ კოეფიციენტი.

4. თეორიულად გავთვალეთ იდეალური პოლიკრისტალური სილიციუმის მზის ელემენტის მახასიათებელი სიდიდეები.

5. თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების შედარებამ აჩვენა, რომ ნიმუშად აღებულ ელემენტს აქვს დაბალი შევსების და მქ კოეფიციენტები, შესაბამისად ის ელემენტზე დაცემული ენერგიის მცირე ნაწილს გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად.

6. კვლევამ აჩვენა, რომ მზის ელემენტის ხარისხის დასადგენად არ არის საკმარისი მზის ელემენტის სიმძლავრის ცოდნა და მყიდველი უნდა იყოს ინფორმირებული ბაზარზე არსებული მზის ელემენტის შევსების ფაქტორის FF და მქ კოეფიციენტის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] ავსაჯანაშვილი გ., მზის რადიაცია და ჰელიორესურსები, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2014.

[2] ბიბილაშვილი ა., თანამედროვე ნანოტექნოლოგიები, თბილისი 2014, გ. 119.

[3] გრძელიშვილი მ., გიორგობიანი ო., არატრადიციული განახლებადი ენერგიით გათბობა, სტუ, თბილისი 2012.

[4] მჭედლიძე თ., მოხსენება „ფოტოვოლტაიკა“, ზამთრის სკოლა ფიზიკაში, 2016.

[5] Shockley W, Electrons and holes in semiconductors with applications to transistor electronics, New York, 1950, p. 558.

[6] SmetsA., Jäger K., Isabella O., Swaaij R. V., Zeman M., Solar Energy UIT Cambridge, 2016, p. 488.

[7] Yu P., Cardona M, Fundamentals of Semiconductors, 2010, p. 778.

[8] Бессель В.В., Кучеров В.Г., Мингалеева Р.Д., Изучение солнечных фотоэлектрических элементов, Москва 2016, стр. 93.

[9] Косяченко Л.А., Грушко Е.В., Напряжение холостого хода, фактор заполнения и коэффициент полезного действия CdS/CdTe – солнечного элемента, Физика и техника полупроводников, 2010, том 44.

Shainidze Jaba

Experimental and Theoretical Methods for defining Solar Element Indices

Abstract

In many countries of the world the main factor for increasing energy potential and saving environment is applying non-conventional energy. Renewable energy is mostly connected with solar radiation. Above all, mastering solar energy depends on technological advancement. Main goal of scientists is to increase efficiency of photoelectric converting system and decreasing its cost. The following paper describes calculations of solar cell parameters, based on crystalline silicon, using experimental and theoretical approaches. These parameters are: volt-ampere characteristics, short circuit current, open circuit voltage, fill factor and conversion efficiency. Using theoretical and experimental results we made conclusions.

Key Words: polycrystalline silicon, solar cell, cell parameters, fill factor.

პოლონელები ნაპოლეონის არმიაში

ალექსანდრე ზაქარიაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია, მე-3 კურსი
ელ. ფოსტა: zakariadze.alexsandre@gmail.com
ხელმძღვანელი: პროფ.ანჯეი ფურიერი
(შეცეინის უნივერსიტეტი, პოლონეთი);
კახაბერ სურგულაძე
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ევროპის კონტინენტზე XVIII- XIX საუკუნეებში მომხდარ დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც მსოფლიო ისტორიაში შესულია ნაპოლეონის ომების სახელით. წარმოდგენილი ნაშრომი ასახავს XIX საუკუნის 10-იან წლებში ევროპის ტერიტორიაზე მომხდარ დიდ დაპირისპირებას, რომელსაც რამოდენიმე პოლიტიკური ერთეულის შექმნა მოყვა შედეგად (ვარშავის საჰერცოგო).

ნაშრომში აღწერილია ყველა ის გზა და ის გარდამტეხი ფაქტორები, რომლებმაც დააჩქარეს და ხელი შეუწყვეს ევროპის პოლიტიკური რუკის ფორმირებას.

წარმოდგენილი თემის ფართო განხილვამ აჩვენა, რომ ნაპოლეონის ომების სამხედრო ანალიზი და დიპლომატიური საკითხის წინ წამოწევა წარმოადგენს საინტერესო ინოვაციას და ახალ სიტყვას წარმოდგენილ კონფერენციაში.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ცვლილებები, ვარშავის საჰერცოგო, სამხედრო ანალიზი, დიპლომატიური საკითხი.

შესავალი

ნაპოლეონის ომები მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, XIX საუკუნის ევროპა ახალი გამოწვევების წინაშე იდგა, რევოლუციური საფრანგეთი მატერიკზე ჰეგემონობის მოპოვებისთვის და ახალი მსოფლიო კურსის დამყარებისთვის იბრძოდა. ნაპოლეონის ომების ეპოქამ აჩვენა, რომ საკუთრივ საჭირო იყო ანტი ფრანგული კოალიციის შექმნა, რომელთა რიგებში შევიდოდა ის სახელმწიფოები, რომელთა მმართველობის ტიპი მკვეთრი აბსოლუტური მონარქია იქნებოდა.

ასეთ გეოპოლიტიკურ ვითარებას წინ უსწრებდა XVIII საუკუნის 90- იან წლებში პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს განადგურება. პოლონეთის მიწები სამმა მოკავშირე სახელმწიფომ გაიყო. აქედან უმეტესი ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. რაც შეეხება პოლონეთის ეროვნულ ჯარს, ის დაიშალა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაიქსაქსა, სადაც დაქირავებული ჯარის სტატუსი მიიღო. აღსანიშნავია პოლონური ლეგიონის მოღვაწეობა ნაპოლეონის ომების პერიოდში, მათი არა ერთი თავგანწირვა ნაპოლეონის მიერ წარმოებულ სხვადასხვა სამხედრო კამპანიებში და, განსაკუთრებით, - იტალიის I კამპანიის დროს (1797წ). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტილზიტის ზავის პირობებით, რომელსაც ხელს აწერდნენ რუსეთისა და საფრანგეთის იმპერატორები - ალექსანდრე I და ნაპოლეონ I, იქმნება ახალი პოლიტიკური ერთეული ე.წ. ,,ვარშავის საჰერცოგო“, რომელიც წარმოადგენდა საფრანგეთის პროტექტორატს, სანამ 1815 წელს ვენის კონგრესის დადგენილებით ის არ შეუერთდა რუსეთისა და პრუსიის სახელმწიფოებს.

1. პოლონელები ნაპოლეონის არმიაში

XVIII საუკუნის II ნახევარში მომხდარმა დიდმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, კერძოდ, კი, 1783 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შექმნამ და 1789 წლის საფრანგეთის სახელოვანმა რევოლუციამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს: რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას, ერთ დროს უძლიერესი პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო მათ სასარგებლოდ გაენაწილებინათ.

XVIII საუკუნე პოლონელი ხალხისთვის ყველაზე ტრაგიკული პერიოდი იყო. პოლონეთის სახელმწიფომ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო დაკნინებას, სანამ საბოლოოდ 1795 წელს არ შეწყვიტა არსებობა. პოლონეთის მიწები შემდეგნაირად გადანაწილდა; პრუსიამ მიიღო პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთი მიწები, ქალაქებით - ვარშავა, გდანსკი და პოზნანი; ავტრია-უნგრეთის იმპერიამ - გალიციის ოლქი და ქალაქები - კრაკოვი, ლუბლინი და ლვოვი; რუსეთის იმპერიამ კი, შეიერთა აღმოსავლეთ პოლონეთის ტერი-ტორია და კურლანდია, ასევე, ქალაქები ბრესტ-ლიტოვსკი და ვილნო.

1795 წლიდან უკვე არ არსებული სახელმწიფოს რეგულარული არმია დაიშალა. დაშლილი პოლონური სამხედრო შენაერთები გადაიქცნენ საკმაოდ დიდ დაქირავებულ არმიად, რომელიც ფულის სანაცვლოდ ემსახურებოდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს.

2. პოლონური ლეგიონი იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში

ნაპოლეონის მიერ წარმოებულ იტალიის I კამპანიის დროს, 1797 წელს, იქმნება პირველი პოლონური შენაერთი იან დაბროვსკის მეთაურობით, საფ-რანგეთის არმიის დაქვემდებარებაში. შენაერთი შედგებოდა 1200 ჯარისკა-ცისგან, ხოლო მათი უმრავლესობა ომამდე, ავსტრიის არმიის შემადგენ-ლობაში ირიცხებოდა. იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში პოლონური ლეგიონი უშუალოდ ავსტრია-პიემონტის ლიგის წინააღმდეგ იბრძოდა. პოლონური ლეგიონის შექმნა და სამხედრო აქტივობა ნაპოლეონის ომების I პერიოდში საერთოდ არ იყო დაკავშირებული პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებასთან.

იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში პოლონურმა ლეგიონმა ბრწყინ-ვალე გამარჯვება მოიპოვა 1797 წელს გამართულ ბრძოლაში ქალაქ ბრეშასა-თან, რასაც ერთი თვის შემდეგ ვერონას აჯანყება მოყვა. პოლონურმა ლეგიონ-მა ფრანგულ დანაყოფებთან ერთად სასტიკად ჩაახშო ამბოხება და ტერიტო-რიის სრული ჰეგემონობა მოიპოვა. მნიშვნელოვანი თარიღია 1798 წელი: სივიტა-კასტელანასთან ბრძოლა, სადაც გენერალმა მაკდონალდმა 7000 ფრან-გით და 3000 პოლონელი ჯარისკაცით დაამარცხა 40000 ავსტრია-პიემონტის ნაწილები, რომელსაც გენერალი მაკი მეთაურობდა.

შემდგომ პერიოდში, პოლონური ლეგიონი იბრძოდა მაგლიანოსთან, ფალარისთან, კალვისთან და კაპუასთან. ამ უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, 1798 წლის 23 იანვარს ნეაპოლის სამეფომ კაპიტულაცია გამოაცხადა.

გეოპოლიტიკური ვითარება იცვლება ანტიფრანგული კოალიციის სასარგებლოდ 1799 წელს, ნოვის ბრძოლაში, სადაც გენერალმა სუვოროვმა 50000 კაციანი ავსტრო-რუსული არმიით დაამარცხა ფრანგი გენერლები: ჟუბერი და მორო (37 000 ჯარისკაცი, რომელთა უმრავლესობას პოლონელები წარმოადგენდნენ).

1799 წელს, როდესაც ნაპოლეონი I კონსული გახდა პოლონურმა ლეგიონმა რეორგანიზაცია განიცადა დაფრანგული არმიის ერთიან შემადგენლობაში შევიდა.

1806 წელს ევროპის ტერიტორიაზე სამხედრო უპირატესობას ფრანგები ფლობენ. უკვე დამარცხებული ავსტრიის მიწებზე კონსოლიდირებული ფრანგულ-პოლონური არმია იწყებს სამხედრო მოქმედებებს პრუსიის წინააღმდეგ. ამავე წელს საფრანგეთში მყოფი პოლონური სამხედრო ნაწილები ერთიანდებიან ,,ვისტულას ლეგიონში“.

1807 წელს ფრანგულმა ჯარმა წარმატებით იასპარეზა აღმოსავლეთ პრუსიაში, განსაკუთრებით, ეილაუსა და ფრიდლანდის ბრძოლებში. ფრიდლანდის ბრძოლის შემდეგ პრუსიის სახელმწიფომ კაპიტულაცია გამოაცხადა; დამარცხებული პრუსიის სახელმწიფო ფაქტობრივად ფრანგული კოალიციის ქვეყნებს, ვესტფალიას და საქსონიას, თავისი ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს უთმობდა, კერძოდ: ვესტფალიას - ლოტარინგიისა და ელზასის ტერიტორიას, ხოლო საქსონიას - სილეზიის და ანჰალტის ტერიტორიებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრუსიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, სადაც ეთნიკურ უმრავლესობას პოლონელები შეადგენდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ,,ვარშავის საჰერცოგოდ“ გამოცხადდა.

3. 1807 წლის ტილზიტის ზავი და ,, ვარშავის საჰერცოგოს“ ფორმირება

1807 წლის ტილზიტის ზავის თანახმად რუსეთის სახელმწიფო უარს ამბობდა ინგლისთან ვაჭრობაზე დაუერთდებოდა ნაპოლეონის მიერ შედგენილ კონტინენტალურ ბლოკადას.

ახალი პოლიტიკური ერთეული ,,ვარშავის საჰერცოგო“ წარმოადგენდა ე.წ. კონსტიტუციურ საჰერცოგოს, სადაც ძალაუფლება თანაბრად ნაწილდებოდა ჰერცოგსა და პრემიერ-მინისტრს შორის, რადგან პოლონეთის სახელმწიფოს (ვარშავის საჰერცოგოს) არ ჰყავდა სამეფო დინასტია და წინა საუკუნეებში წარმოადგენდა დუალისტურ სახელმწიფოს, სადაც ძალაუფლება გადანაწილებული იყო პოლონეთისა და ლიტვის დიდ მთავრებს შორის. შემდგომ პერიოდში, და, განსაკუთრებით, 1807 წელს ახლად შექმნილი პოლონური სახელმწიფო ნაპოლეონმა თავის მოკავშირე საქსონიას და მის მეფეს - ფრედერიკ ავგუსტ I-ს დაუქვემდებარა.

,,ვარშავის საჰერცოგოს“ შექმნიდან ერთი წლის თავზე ესპანეთში ანტიფრანგულმა აჯანყებამ იფეთქა, რომლის მთავარი ინიციატორები ინგლისისა და პორტუგალიის სახელმწიფოები იყვნენ. აჯანყებული მოსახლეობა მოითხოვდა ნაპოლეონის ძმის - ჟოზეფის გადაყენებას და ბურბონთა სამეფო დინასტიის რესტავრაციას. სწორედ ასეთ ვითარებაში ფრანგულ არმიასთან ერთად იბერიის ნახევარკუნძულზე სამხედრო მოქმედებებში ერთვება პოლონური ლეგიონი.

ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში პოლონელები ფრანგულ არმიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ; პოლონელებს დაევალათ ამბოხებულთა ქალაქების აღება. აღსანიშნავია, 1809 წელს სარაგოსას ალყა, სადაც ფრანგულ-პოლონურმა ძალებმა შტურმით აიღეს ქალაქი, სადაც საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს აჯანყებულებისა და უბრალო მოსახლეობის მიმართ.

4. 1812 წლის ომი რუსეთან და ნაპოლეონის ,,100 დღიანი“ მმართველობა

1810 წლისთვის რუსეთის იმპერია ტილზიტის ზავს არღვევდა და ფარული გზით ინგლისთან აქტიურ სავაჭრო პოლიტიკას აწარმოებდა, ფაქტობრივად, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1812 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა. ფრანგული არმია დაახლოებით 600000 ჯარისკაცს ითვლიდა. აქედან 98000 ეთნიკურად პოლონელი ჯარისკაცი პრინც პონიატოვსკის დაქვემდებარებაში იყო. პოლონეთის არმიის უმეტეს ნაწილს კავალერია წარმოადგენდა, რაც ლოკალურ ფლანგობრივ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, 1812 წლის ოქტომბერში

რუსეთში კონსოლიდირებულ 26000-იან პოლონურ არმიას დაევალა ფრანგული არმიის არიერგარდის ფუნქციის შესრულება, რაც მიზნად ისახავდა რუსული არმიის ავანგარდის შეკავებას და ფრანგული ჯარის ცენტრალური პოზიციების დაცვას.

ნაპოლეონის მმართველობის ,,ასი დღის" პერიოდში (1815 წ.) წარმოებულ ვატერლოოს ბრძოლაში პოლონური ლეგიონის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებდა მონაწილეობას - სულ რაღაც 300 ჯარისკაცი. უშუალოდ ეს დანაყოფი წარმოადგენდა პოლონელ მხედართა გაერთიანებას ე.წ ,,პოლონელ ულანთა'' ქვედანაყოფს. ვატერლოოს ბრძოლაში პოლონური კავალერია გაერთიანდა მიშელ ნეის 14 000-იან კავალერისტთა არმიაში.

5. ვენის კონგრესი და „ვარშავის საჰერცოგოს" განადგურება

ვატერლოოს ბრძოლის წარუმატებლად დასრულების შემდეგ „ვარშავის საჰერცოგოს" ბედი ვენის კონგრესმა განსაზღვრა, რომელიც 1814-1815 წლებში მიმდინარეობდა. პოლონეთის სახელმწიფოს დიდი ნაწილი ორმა სახელწიფომ, რუსეთის იმპერიამ და პრუსიის სახელმწიფომ გაიყო, რომლის სამართლებრივ კანონიკურობას ვენის კონგრესის დადგენილება წარმოადგენდა; პოლონეთის ტერიტორიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები რუსეთმა შეიერთა, პრუსიას ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია ერგო წილად, ხოლო ქალაქი კრაკოვი ნომინალურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა 1846 წლამდე, სანამ ავსტრო-უნგრეთის იმპერიამ სრულიად არ დაიმორჩილა ის.

რუსეთის მიერ შეერთებულ პოლონურ მიწებზე ჩამოყალიბდა მარიონეტული პოლიტიკური ერთეული ,,პოლონეთის სამეფო'', რომლის უშუალო „მეფედ" რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა და ამ პოლიტიკურმა ერთეულმა იარსება 1915 წლამდე, სანამ პოლონეთის ეს ნაწილი I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანული ოკუპაციის ქვეშ არ აღმოჩნდა.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც ნაპოლეონის ომების სახელითაა ცნობილი. წარმოდგენილი ნაშრომი უშუალოდ ეხება XVIII საუკუნის 90-იან

წლებში პოლონეთ-ლიტვის სამეფოს განადგურებას და სახელმწიფო გაუქმებული ჯარის მოღვაწეობას XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ ნაპოლეონის ომებში. ნაშრომი წარმოადგენს სამხედრო-დიპლომატიურ ანგარიშს ნაპოლეონის არმიაში პოლონელი ჯარისკაცების რაოდენობის და მათ სამხედრო აქტივობების შესახებ.

თემაში ასევე განხილულია ტილზიტის საზავო ხელშეკრულების მიერ ახალი პოლიტიკური ერთეულის ,,ვარშავის საჰერცოგოს" ფორმირება, ასევე, ის პრობლემატიკა, რომელიც თან ახლდა ყოველივე ზემოხსენებულს. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია მცირე ექსკურსი 1815 წლის ვენის კონგრესის დადგენილებისა, რომელიც პოლონეთის („ვარშავის საჰერცოგოს") დანაწილებას შეეხებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ჟან ტიულარი** ,, ნაპოლეონი" , გამომცემლობა ,,აგორა'', 2016 წ.
2. **George Nafziger and Tad J. Kwiatkowski**, The polish Vistula legion.January, 1996.
3. **Jerzy Jan Lerski** (1996). Historical dictionary of Poland,966-1945. Greenwood Publishing Group.
4. **Norman Davies** (2005). God's playground: A history of Poland, in two volumes. Oxford University Press.
5. **Frederick C. Schneid** (2002).Napoleon's Italian campaigns: 1805-1815. Greenwood Publishing Group.

Zakariadze Aleksandre

The Poles in Napoleon's Army

Abstract

The presented work deals with the great geopolitical changes in the XVIII-XIX centuries on the European continent, which has entered world history under the name of Napoleonic Wars. The presented work depicts the great conflict of the XIX Century in Europe, which has led to the birth of a new political entity (Duchy of Warsaw).

The work describes all the ways and the turning points that have accelerated and facilitated the formation of the European political map.

The extensive discussion of the presented theme has shown that military analysis of Napoleon's wars and diplomatic issues is an interesting innovation and a new word presented in the conference.

Keywords: geopolitical changes, Duchy of Warsaw, military analysis, diplomatic issues.

1924 წლის აჯანყება საქართველოში

გიორგი ბაციკაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია, II კურსი
მობ.: +995 593 59 21 00 / ელ. ფოსტა : giorgibatsikadze21@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯემალ კარალიძე,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. იგი ერთობ საინტერესო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, იმდენად, რამდენადაც მასში ასახულია ის პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ თუ სხვა სახის მდგომარეობას, რასაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში. აღნიშნული მოვლენა მრავალი მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის მიერაა შეფასებული. აზრთა სხვადასხვაობაა საბჭოთა, ემიგრაციულ და თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, ამდენად ამ მოვლენის სიღრმისეული შესწავლა დაგვეხმარება რეალობის გამორკვევასა და გააზრებაში.

აჯანყება რამდენიმეჯერ დაიგეგმა, მაგრამ განხორციელება გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ 1924 წლის აგვისტოში მოხერხდა. გეგმა ითვალისწინებდა საბრძოლო მოქმედებების ერთდროულად დაწყებას ყველა რეგიონში. თუმცა, ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წარიმართა, რამაც თავისი დაღი დაასვა აჯანყების მსვლელობას. აჯანყება მალევე მოედო მთელს საქართველოს. ამბოხებულებმა თავდაპირველად შეძლეს გარკვეული წარმატების მოპოვება, თუმცა საბოლოოდ აჯანყება ჩახშობილ იქნა. დაიწყო რეპრესიები. დაიხვრიტა 857 ადამიანი.

1924 წლის აჯანყების ჩახშობამ და რეპრესიებმა დროებით შეაჩერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოქმედება.

შესავალი

1924 წლის აჯანყება იყო ქართველთა უკმაყოფილების, დამოუკიდებლობის დაკარგვასთან შეუგუებლობისა და საბჭოთა რუსეთის უღლის თავიდან მოცილებისთვის ბრძოლის გამოხატულება, რომელიც ნათლად წარმოაჩენს აღნიშნული პერიოდის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მოსახლეობის დამოკიდებულებასა იმ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ დროში. ამდენად, ეს ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალი დროის ისტორიაში და საფუძვლიანი გამოკვლევას საჭიროებს. მისი კვლევის დროს ჩვენ აღმოვაჩენთ პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილ საზოგადოებას მთელ საქართველოში, რომელთაც ერთი მიზანი-თვითმყოფადობის დაბრუნება და საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის პე-რიოდში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დაწყებული საქმის განმტკიცება-გაგრძელება წარმოადგენდა.

აღნიშნული საკითხი საბჭოთა კავშირის ისტორიოგრაფიაში ნეგატიურ ხასიათს ატარებდა და მოღალატეობრივ ქმედებად იყო შერაცხული. საბჭოეთის ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები,როგორც ქართველები ისე რუსები, აქტიურად უსვამდნენ ხაზს 1924 წლის აჯანყების ანტისახელმწიფოებრიობასა და უსაფუძვლობას.

რადიკალურად განსხვავდებოდა ემიგრაციული მწერლობა. საზღვარგარეთული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ელიტის შეფასება 1924 წლის აჯანყებასა და მის გამომწვევ მიზეზებზე პრინციპულად განსხვავდებოდა ბოლშევიკური შეფასებისგან. ანტისაბჭოთა ლეგალურმა ემიგრაციულმა პუბლიკაციებმა შექმნეს საფუძველი, რომელიც იქცა საყრდენად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების მიერ 1924 წლის, საბჭოურისგან განსხვავებული, გაშუქების, მიდგომისა და შესწავლისათვის (**ციციშვილი** , 2004 : 5-6).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ტენდენცია შეიცვალა და საპირისპირო ხასიათი მიიღო. საზოგადოების თვალში „გადაფასდა“ ეს მოვლენა. მანამდე თუ 1924 წლის აჯანყების მოთავე-მონაწილეები მიწასთან იყვნენ გასწორებულნი და მათი სახელის ხსენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა, ახ-

ლა ამ ყველაფერმა წმინდა პატრიოტული შინაარსი შეიძნა და მისი სულის-ჩამდგმელნი გმირების სახელს ატარებენ. ეს კი, ჩვენ შეგვიძლია საკითხის შესწავლია და რეალური მოვლენების შეფასების შედეგად ჩავთავლოთ. საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი გამოკვლევა ეძღვნება ამ მოვლენას, აღსანიაშნავია ვ. ბენიძის, რ. გრძელიძის, ნ. კირთაძის, ლ. ჯიქიას, რ. ენდელაძის, ო. დვალიშვილის, ნ. ბენდელიანის, გ. ციციშვილის და სხვათა შრომები ამ საკითხზე. თუმცა, ბევრი დეტალი ჯერაც არაა სიღმისეულად შესწავლილი, გაანალიზებული და განხილული წინარე თუ შემდგომ პერიოდთან კონტექსტში. ამ მოვლენის კიდევ უფრო ფართოდ და სიღრმისეულად შესწავლა კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს ამ პერიოდს და დაგვეხმარება რეალობის დანახვასა და გააზრებაში.

1918 წელს, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ქართველებმა შეძლეს დამოუკიდებლობის მოპოვება. დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ფეხზე დაყენება რიგი ღონისძიებებით, გატარდა რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელმაც შეიძლება ითქვას დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. თუმცა, დამოუკიდებლობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო გასაბჭოვდა. ამან მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის ცხოვრებაში.

საზოგადოება ვერ ეგუეობოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას, საბჭოურ მმართველობას და ყველანაირად ცდილობდა ამ უღელის თავიდან მოშორებას. სწორედ ამას უკავშირდება სახალხო-ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება და აქტიური მოქმედება, რომელსაც მოჰყვა 1921 წლის უკმაყოფილება სვანეთში, რომელიც აჯანყებაში გადაიზარდა და 1922 წლის აგვისტოს აჯანყება ხევსურეთში. ამ მოვლენების პასუხად საბჭოთა რუსეთი რეპრესიებს მიმართავდა და ყველა ხერხს იყენებდა ეროვნული მოძრაობის ჩასაკლავად, სასტიკად ახშობდა ყველანაირ უკმაყოფილებას, რომელიც საზოგადოებისგან მომდინარეობდა, იდევნებოდნენ ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. ასეთი პოლიტიკა თავის მხრივ კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას და კიდევ უფრო დიდ უკმაყოფილებას ნერგავდა ხალხში.

თავდაპირველად დამოუკიდებლობის დაკარგვითა და შემდგომში ამას დამატებული საბჭოთა რუსეთის სასტიკი პოლიტიკით გამწარებული ქართული საზოგადოება არ ცხრებოდა და ყველანაირი ხერხით ცდილობდა ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენას.

სწორედ საბჭოთა უღლისა და ხალხის ჩაგვრის შედეგი გახლდათ 1924 წლის აჯანყება, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და დამოუკიდებლობისთვის გაერთიანებული ბრძოლის სული შთაბერა საზოგადოებას.

შეიარაღებული გამოსვლები საქართველოში, კონკრეტულ მომენტში არსებულმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა მიზეზებმა განაპირობეს, რომელთა სათავე აგრარული და ეროვნული პოლიტიკის, რელიგიურ და საეკლესიო სფეროებში არსებულ მდომარეობაში უნდა ვეძებოთ (**ბენდელიანი** , 1993 : 57).

1924 წლის აჯანყება საქართველოში ასოცირდება ქართველი ეროვნული გმირების: ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის, სპირიდონ ჭავჭავაძის, ირაკლი ცაგურიას, ნესტორ გარდაფხაძის, ბიძნა პირველის, მოსესტრო დადეშქელიანის და სხვათა სახელებთან, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს და ბოლო წუთამდე სათავეში ედგნენ აჯანყებას. უმეტესწილად კი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ქაქუცა, იგივე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, აქტიურად იყო ჩაბმული პირველ მსოფლიო ომში, მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ის ეროვნულ არმიაში მსახურობდა, იბრძოდა საქართველო-სომხეთის ომში და 1921 წლის ომში, მონაწილებას იღებდა ბათუმში თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ის იძულებული გახდა მის თანამებრძოლებთან, „შეფიცულებთან“ ერთად საქართველო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წასულიყო, სადაც დაასრულა მან სიცოცხლე.

დამოუკიდებლობის დაკარგვიდანვე ქართველები ყველანაირად ცდილობდნენ რამე ეღონათ და ქვეყანა გაეთავისუფლებინათ. 1922 წელს საქართველოში მოქმედი ყველა ანტისაბჭოთა პარტია შეთანხმდა თანამშრომლობაზე და ერთიან ბრძოლაზე. ამავდროულად ამ შეთანხმების მიზანი ორგანიზებული, საფუძვლიანი წინააღმდეგობისთვის ზრუნვა და მზადება იყო. თავდაპირველად ყველაფერი, შეიძლება ითქვას, წარმატებით წარიმართა,დაიგეგმა

აჯანყება 1923 წლისათვის, გაწერილ იქნა სამოქმედო გეგმა და მომზადდა ყველაფერი ამბოხებისათვის, მაგრამ ყველაფერი პარტიათა შორის უკმაყოფილებამ და აზრთა სხვადასხვაობამ ჩაშალა, რომელიც აჯანყების მსვლელობისა და გამარჯვების შემდეგ მთავრობის გადანაწილების საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა. ამას დაერთო კომუნისტური პარტიის აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ, რამაც აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების დიდი ნაწილის დაშლა გამოიწვია. ამდენად, განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ეტაპი უშედეგოდ დასრულდა (**ბენიძე** , 1991 : 16-18).

მიუხედავად ამისა, მალევე დაიწყო ხელახალი მზადება აჯანყებისათვის, რის საფუძველზეც იქმნება სამხედრო რაზმები და სამოქმედო გეგმა, ყველა მხარესა თუ სამხედრო ერთეულს თავისი მეთაური დაენიშნა, რომელსაც ბრძოლისათვის მომზადება ევალებოდა. მოთავენი ცდილობდნენ გამოეყენებინათ საგარეო ვითარება, სწორედ ამიტომ აჯანყების თავდაპირველ თარიღად დასახელდა 1924 წლის თებერვალი, ამ დროს დაგეგმილი იყო ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების შეხვედრა. მაგრამ, ეს გეგმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრების დაპატიმრებამ ჩაშალა. კავშირი დამყარდა ნოე ჟორდანიასთან, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩაერთო აჯანყების დაგეგმვაში. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანტისაბჭოთა მოქმედებების დაწყებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. აჯანყების მთელ კავკასიაში ერთდროულად დაწყების მცდელობისდა მიუხედავად, ეს გეგმა არ განხორციელდა. აჯანყების მესვეურთა გადაწყვეტილებით, გამოსვლების თარიღად 17 აგვისტო დასახელდა. მაგრამ ეს თარიღი გადავადდა, რისი მიზეზიც ისევ და ისევ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებისადმი განხორციელებული რეპრესიები იყო. საბოლოოდ აჯანყების თარიღად 29 აგვისტო გამოცხადდა, დღის 2 საათი. გეგმის თანახმად აჯანყებას მთელი საქართველო უნდა მოეცვა. გამიზნული იყო მოქმედების დაწყება ზუსტად ერთსა და იმავე დროს, უამისოდ ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა მნიშვნელოვანი ან ზოგადად რაიმე სახის წარმატების მოპოვება. მიუხედავად გეგმისა, ერთდროული მოქმედება ვერ განხორციელდა, რამაც უაღრესად დიდი გავლენა იქონია აჯანყების შედეგზე (**კირთაძე** , 2004 : 161-171).

გამოსვლები დათქმულ თარიღზე ადრე დაიწყო ჭიათურაში. 28 აგვისტოს, გამთენიას, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით დაიწყო გამოსვლები. აჯანყებულებმა ადვილად შეძლეს კომუნისტების განდევნა. შეიქმნა დროებითი მთავრობა. იმავე დღეს დაიწყო აჯანყება ქუთაისში და იმერეთის რაიონებში. აჯანყებულები აკონტროლებდნენ ყველა მნიშვნელოვან პუნქტს. თუმცა, მალევე დაიწყო აჯანყების ჩასახშობად საჭირო ღონისძიებების გატარება. დაიწყო შეტევა ჭიათურაზე, აჯანყებულებმა უკან დაიხიეს და 29 აგვისტოს ჭიათურა დატოვეს. მიუხედავად ამისა, აჯანყებულები არ ცხრებოდნენ და ბრძოლას აგრძელებდნენ (**ბურდიაშვილი** , 2013 : 139-140).

აჯანყებამ მოიცვა მთელი საქართველო: კახეთი, თბილისი, ქართლი, იმერეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი.

სვანეთში რაზმებს სათავეში ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანი და ძმები მოსესტრო და კოწია დადეშქელიანები ჩაუდგნენ. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი ბეჩო.თანდათან იზრდებოდა აჯანყებულთა რიცხვი. ბიძინა პირველის თაოსნობით შეიქმნა ზემო და ქვემო სვანეთის რაზმების შტაბი. აჯანყებულები ქვემო სვანეთში გადავიდნენ, ქვემო და ზემო სვანეთის გაერთიანებული რაზმები 4 სექტემბერს ლეჩხუმისკენ დაიძრნენ. აჯანყებულებსა და ჩასაფრებულ კომუნისტებს შორის ბრძოლები წარიმართა, კომუნისტები უკუიქცნენ, აჯანყებულებმა ცაგერი აიღეს. აქ მათ შეუერთდნენ ლეჩხუმელი მეამბოხეები. მიუხედავად ამ ცალკეული წარმატებებისა, აჯანყებულებმა უკან დაიხიეს, რისი მიზეზიც საქართველოს დანარჩენ მხარეებში აჯანყების დამარცხების შესახებ მიღებული ინფორმაცია იყო (**ჯიქია** , 2012 : 188-191).

ბრძოლების ქარცეცხლში გაეხვა მთელი გურიაც. გურიაში აჯანყების მეთაური გენერალი ყარალაშვილი იყო, რომელიც კომუნისტებმა დააპატიმრეს, თუმცა ამას გურული ამბოხებულების შეფერხება არ გამოუწვევია. აჯანყებულებმა დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი. განახორციელეს შეტევა ოზურგეთისკენ. გრძელდებოდა სისხლიანი შეტაკებები კომუნისტებთან. 2 სექტემბერს აჯანყებულები ალყაში მოექცნენ, მაგრამ შეძლეს ალყის გარღვევა და ტყეს შეაფარეს თავი (**კირთაძე**, 1996 : 174).

თავდაუზოგავად იბრძოდნენ სამეგრელოში. აქ აჯანყებულებს გენერალი თოფურია ხელმძღვანელობდა. 29 აგვისტოს აჯანყებყლებმა შეძლეს სენაკის

აღება, აქედან დაიძრნენ ფოთისა და სამტრედიის მიმართულებით, სადაც კომუნისტებთან შეტაკებები წარიმერთა. კომუნისტებმა იმძლავრეს და მეამბოხეები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ (**კირთაძე** , 1996 : 180).

დიდი ბრძოლები წარიმართა აჭარაშიც. შეტაკებები მოხდა სოფელ ქაქუთთან, გურიიდან ქობულეთისკენ დაძრულ მეემბოხეებსა და კომუნისტების ხელმძღვანელ ვ. ჩაჩბას რაზმებს შორის. აჯანყებულებს ნიკოლოზ ურუშაძე ხემძღვანელობდა, მოგვიანებით ბრძოლაში მეამბოხე მაჰმუდ დიასამიძის რაზმი ჩაერთო. ამბოხებულთა რაზმები განადგურდა, დიდი ზარალი განიცადეს კომუნისტებმაც. გამოსვლები დაიწყო ხულოშიც. მოხდა რამოდენიმე შეტაკება, თავდაპირველად აჯანყებულებს ხვდათ უპირატესობა, მოგვიანებით კომუნისტებმა დაიწყეს შეტევა და უკუაქციეს ამბოხებულები. დახვრიტეს აჯანყების მეთაურები - მემედ გაბაიძე და ჰასან მეკეიძე. დიდი მცდელობის მიუხედავად აჯანყებულებმა გამარჯვება ვერც აჭარაში მოიპოვეს (**ჯიქია**, 2012 : 195-200).

აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობა დასავლეთთან შედარებით კიდევ უფრო რთული იყო, ხელისუფლებამ 29 აგვისტოს დაიწყო მასიური დაპატიმრებები და რეპრესიები ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელების მიმართ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ნავარაუდევი 600 მეომრის მაგივრად, მხოლოდ რამოდენიმე ათეულმა მებრძოლმა მოიყარა თავი. მანამდე შემუშავებული თბილისზე ორმხრივი თავდასხმის გეგმაც ჩაიშალა, გაჭირდა მებრძოლების თავმოყრა. მიუხედავად ამისა ჩოლოყაშვილმა მაინც დაიწყო მოქმედება და მანგლისის მიმართულებით აიღო გეზი, იქედან დუშეთისკენ იბრუნა პირი. დუშეთი აიღო და შემდეგ კახეთში გადავიდა, დაიძრა სამხრეთისკენ, გაიარა ბორჩალოში და ისევ თბილისს მიადგა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას აზრია აღარ ჰქონდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა საქართველო დატოვეს (**კირთაძე**, 1996 : 171-174).

თავგანწირული ბრძოლების და დიდი მცდელობის მიუხედევად აჯანყება დამარცხდა. საბრძოლო მოქმედებების წინასწარ შემუშავებული გეგმის სისრულეში მოყვანა რთული აღმოჩნდა. სხავადასხვა რეგიონებში, სხავადასხვა დროს დაწყებულმა გამოსვლებმა საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცა მიეღო შესაბამისი ზომები, რომლებმაც წელში გატეხეს აჯანყება.ამას გარდა, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ადევნებდა თვალს ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრების მოქმედებას და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით საქმის კურსში იყო. არ ცხრებოდა რეპრესიები, რასაც კომუნისტები ასე აქტიურად ახორციელებდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებსა თუ წევრობაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ. ეს კი თავის მხრივ შიშს უნერგავდა მოსახლეობას. კომუნისტები ყველანაირად ცდილობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მოსახლეობის დამოუკიდებლობისადმი ყველანაირი სწრაფვის ჩახშობას.

აჯანყების მონაწილეთა უმრავლესობა ბრძოლებში დაიღუპა, გადარჩენილთა შორის ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა, ვინც ეს ვერ მოახერხა სასტიკი რეპრესიების მსხვერპლი გახდა. დაიწყო აჯანყებაში მონაწილე პირების ოჯახის წევრების, ნათესავებს, ახლობლებს დევნა. სასტიკად უსწორდებოდნენ იმათ, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა აჯანყების განხორციელებაში. განსაკუთრებულად დევნიდნენ აჯანყების მოთავე-მონაწილეთა ოჯახის წევრებს. დევნიდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცოლს, მის ახლობლებს და ყველას, ვისაც მასთან რაიმე აკავშირებდა.კომუნისტები ცდილობდნენ გაენადგურებინათ ქვეყნის მთავარი საყრდენი ინტელიგენცია, რაც მათ საშუალებას მისცემდათ უფრო ადვილად ემართათ გლეხები (**ბურდიაშვილი**, 2013 : 144-147).

აჯანყების ჩახშობასა და შემდგომ რეპრესიებს ხელმძღვანელობდნენ სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა და სხვანი. „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის „საქჩეკამ“ დახვრიტა 857 ადამიანი, აქედან 829 ქართველი, 9 აზერბაიჯანელი, 8 სომეხი, 5 რუსი, 6 სხვა ეროვნების წარმომადგენელი...თბილისში დახვრეტილ იქნა 230 კაცი, სიღნაღის მაზრაში - 61, თელავის მაზრაში - 30, სართიჭალის რაიონში - 50, ბორჩალოს მაზრაში -20, დუშეთის მაზრაში - 7, შორაპნის მაზრაში - 106, ქუთაისის მაზრაში - 90, ფოთის რაიონში - 7, ზუგდიდის მაზრაში - 40, რაჭის მაზრაში - 4, ოზურგეთის მაზრაში - 7, ცაგერის მაზრაში - 37, აფხაზეთში - 11, აჭარაში - 25. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დახვრეტებს ადგილი არ ჰქონია“ (**ენდელაძე** , 2004 : 33-34).

1924 წლის აგვისტოს ამბოხი იყო ქართველი ხალხის წარუმატებელი მცდელობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. საზოგადოების

მისწრაფებას დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ აჩქარებდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ აჯანყებულებს გააჩნდათ შესაძლებლობა, მაქსიმალური დისციპლინის, მოქმედებების ზედმიწევნით სიზუსტით დაგეგმვითა და როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ-დიპლომატიური კონდიციების რაციონაურ-სტრატეგიული გამოყენების საშუალებით, წარმატება მოეპოვებინათ. თუმცა, საბრძოლო გამოსვლებმა, მისმა მიმდინარეობამ და ფინალმა ცხადყო, რომ აჯანყება კარგად არ იყო ორგანიზებული, ორგანიზატორებს შორის არ იყო ერთსულოვნება, ამას ზედ დაერთო მოსახლეობის შიში კომუნისტების სასტიკი რეპრესიებისადმი, რაც საბოლოო ჯამში აისახა საბოლოო შედეგზე. 1924 წლის აჯანყების ჩახშობამ და რეპრესიებმა დროებით შეაჩერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენდელიანი ნიკოლოზ, „ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე“, ქუთაისი, 1993.

2. ბენიძე ვალერ, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, თბილისი,1991.

3. ბურდიაშვილი მაია, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში“, თელავი, 2013.

4. გრძელიძე რევაზ, „1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში“, თბილისი, 1992.

5. დვალიშვილი ოთარ, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 2006.

6. ენდელაძე თენგიზ, „ტრაგიკული 1924“, თბილისი, 2004.

7. ზალდასტანიშვილი სოლომონ, „1924 წლის ამბოხება“, თბილისი 1989.

8. კირთაძე ნესტან (ელისაბედ), „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996.

9. ციციშვილი გიორგი, „სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ“, თბილისი, 2004.

10. ჯიქია ლევან, „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“, თბილისი, 2012.

11. წენგუაშვილი კობა, „საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია“, თბილისი, 2005.

12. გურამ შარაძე, გურამ გვერდწითელი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, თბილისი, 1989.

13. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტომი 4, თბილისი, 2012.

Batsikadze Giorgi

Rebellion in Georgia in 1924

Abstract

The aim of august revolt of 1924 was restoring of indefendence of Georgia. This rebellion is one of the most important and interesant event in the history of Georgia, so much so the political, social and economical situation, which were taking place at the beginning of third decade of XX century are depicted in this rebellion. This event is considered and evaluated by many scientists and public figures. There is diversity of opinion in the Soviet, emigratory and contemporary historiography, so analyse and scrutinize of this event will help us to establish the reality.

The rebellion was planned at the several times, however, on account of certain reasons, implementation of uprising started only in the august of 1924. The plan envisaged simultaneous launch of battle operations in all regions. however, everything did not direct according to plan, this had affected influence on the procession of rebellion. The uprising soon spreaded throughout Georgia. Initially, mutineers gained certain success, but finally, the rebellion was suppressed. Started the repressions. 857 people were shot.

The suppression of 1924 rebellion and reppressions temporarily suspended an active action of national liberation movement.

ერკეთის მონასტრის ისტორიიდან

ინგა თავბერიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის სპეციალობის III კურსი
ელ. ფოსტა: tavberidze-inga@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციური ქათამაძე,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით გადმოგცეთ ერკეთის მონასტრის სიძველეები, აღვწეროთ აქ არსებული სიწმინდეები, სიგელები, ეკლესიის წარწერები და ხაზი გავუსვათ მათ მნიშვნელობას.

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის შესწავლის აქტუალურ მიმართულებას - საეკლესიო ცენტრების კომპლექსურ შესწავლას. იგი უაღრესად მნიშვნელოვანია ერკეთის მონასტრის ისტორიის ისეთი საკითხების გაშუქების მხრივ, რაც დღემდე არაა სათანადოდ შესწავ-ლილი. აქ განხილულია ერკეთის მონასტრის სიგელები, ტაძრის წარწერები, ყმა-მამულები და გადასახადების რაოდენობა. ასეთი მრავალფეროვნების გამო იგი ნამდვილად საყურადღებო და საინტერესოა, გარდა ამისა თემა აქტუალურია და შეიცავს სიახლეებს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ იგი მოიცავს ოსმალთა დაპყრობების გავლენით შექმნილ ვითარებას დასავლეთ საქართ-ველოს საეკლესიო ცენტრებზე, კერძოდ ერკეთის მონასტრის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ტაძარი, საეკლესიო გადასახადები, ყმა-მამული.

ერკეთის მონასტრის დაარსება და არქიტექტურა

ერკეთის ეკლესია IX საუკუნის ძეგლია სოფელ ერკეთში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), რომელიც აგებულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე და მისი დაარსების შესახებ არსებობს ლეგენდაც.

ერკეთის ეკლესია გურიელ ერისთავთა მამულს წარმოადგენდა, მისი წინამძღვრები შარვაშიძეები იყვნენ. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე III შარვაშიძე ჯუმათის მიტროპოლიტად დაინიშნა. მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ერკეთის მიმართ. მისი ბრძანებით ააგეს მონასტრის კანკელი და მოხატეს საკურთხეველი. იგი გამოსახულია ეპისკოპოსის სამოსლითა და მიტრით ეკლესიის მარჯვენა კედელზე. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ერთნავიანი, გვერდებიდან დამხმარე სათავსოებით... ეკლესიის მოცულობითი ფორმები სიგრძივ ღერძზეა განლაგებული და ბოლოვდება ვრცელი აბსიდებით. იგი თითქმის სწორხაზოვნად მთავრდება. ფასადების მორთულობა ძუნწია. ორივე შესასვლელის თავზე მოთავსებულია ჯვრები. დასავლეთ კარებთან არის ვაზის ორნამენტების ფრაგმენტები, ხოლო აღმოსავლეთ კარებთან - ლილვების კომპოზიციები. [9: http://erketisdedatamonasteri.blogspot.com/p /blog-page_13.html]

დიმიტრი ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარასა და გურიაში“ მეტად საყურადღებო ცნობებს მოიცავს ერკეთის ეკლესიის შესახებ. სადაც ვკითხულობთ, რომ ხიდისთავიდან იგი მიუყვება მდ. გუბაზეულის მარჯვენა ნაპირს სოფ. ერკეთში, გურიელი ერისთავების მამულში, სადაც გორაკზე გუბაზეულის მარჯვენა ნაპირზე დგას ერკეთის ეკლესია. [1:123] როგორც, დიმიტრი ბაქრაძე აღწერს, ერკეთის მონასტერი ჩამოგავს ლიხაურის ეკლესიას და მოგვითხრობს აქ არსებულ წარწერებზე, რომელზედაც ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

აქვე პარალელი უნდა გავავლოთ ეკლესიის მდგომარეობაზე რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკის შედეგად. XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა, რამაც გავლენა იქონია მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ჩამორჩენაზე. აღნიშნული მდგომარეობის შემდგომ, მთავრობამ უფრო გადაჭრით მოჰკიდა ხელი ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობას... [5:844]

ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ ცარიზმმა იერიში მიიტანა ეროვნული თვითმყოფადობის ისეთ მძლავრ ბურჯზე, როგორიც ეკლესია იყო. 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია, ხოლო 1815 წელს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელსაც დაემორჩილა გურიისა და სამეგრელოს ეკლესიები. [7:105][10:95] ასეთ პირობებში ერკეთის მონასტერიც რუსეთზე დამოკიდებული აღმოჩნდა. მიუხედავად არაერთი სირთულისა, დღესდღეობით ეკლესიაში შემორჩენილია IX საუკუნის კარი და ფრესკები. კედლის მხატვრობა ფრაგმენტულია და საჭიროებს რესტავრაციას. კანკელი შედარებით გვიანდელი პერიოდის რესტავრაციის შედეგია. ეკლესია ამჟამად მოქმედია, ფუნქციონირებს დედათა მონასტერი, რომელიც 2006 წლის 18 სექტემბერს, მთავარანგელოზი მიქაელის სასწაულის დღეს გაიხსნა.

ერკეთის მონასტრის სიწმინდეები

დღეისათვის ეკლესიაში შემორჩენილია მაცხოვრის მომცრო ხატი, მთავარანგელოზთა ვერცხლით მოჭედილი ხატი და თავპანტას ეკლესიიდან შემოწირული წმინდა გიორგის ხატი. 1905 წელს, დეკანოზმა მგალობლიშვილმა იატაკის ქვეშ დამალა ტაძრის ძვირფასეულობები, რათა ისინი გურიაში შეჭრილი ალიხანოვ-ავარსკის დარბევისაგან ეხსნა. [9: http://erketisde-datamonasteri.blogspot.com/p/blog-page_13.html]. ასევე მნიშვნელოვანია დღემდე შემორჩენილი IX საუკუნის სახარება და მთავარანგელოზის ხატი, რომლის სახელობისაცაა ეს ეკლესია და მონასტერი... გადმოცემის მიხედვით, კომუნისტების დროს, როდესაც რელიგიურ ლიტერატურასა და ტაძრებს ანადგურებდნენ, აქ მოღვაწე ბოლო მღვდელმა ცეცხლწაკიდებული სახარება წყალში ჩააგდო, შემდეგ გააშრო და ოჯახში სათუთად ინახავდა. შვილებს დაუბარა, სახარება მაშინ გამოეჩინათ, როცა დევნა და ნგრევა არ იქნებოდა [8:126].

მონასტერში მობრძანებულია სამოცამდე წმინდა ნაწილი, მათ შორისაა: წმინდა გიორგის, წმინდა დიდმოწამე მინას, წმინდა ქალწულმოწამე ბარბარეს, ქალწულმოწამე მარინესა და წმინდა მკურნალი პანტელეიმონის წმინდა ნაწილები. ოცდახუთამდე წმინდა მამის წმინდა ნაწილებია კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებული, ასევე არის სიწმინდეების ჩასაბრძანებელი,

რომელიც 1870 წელს რომიდან ჩამოაბრძანეს. ეს სიწმინდეები ერთ-ერთ კათოლიკე მღვდელს ეკუთვნოდა და სასწაულებრივად ინახებოდა ერთ-ერთ მართლმორწმუნე მართმადიდებლის ოჯახში. სიწმინდეების ჩასაბრძანებელში მოთავსებულია წმინდა იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი, მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს წმინდა ნაწილები.

გურიიდან შემონახულია ციხის, ერკეთისა და შემოქმედის გულანები, რომლებიც მხოლოდ მდიდარი ეკლესიების კუთვნილება გახლდათ. აქვე მნიშვნელოვანია გიორგი II გურიელის (1566-1587), გიორგი III გურიელისა (1664-1684) და მამია III გურიელის (1689-1714) დაკვეთით შესრულებული გულანები.

ერკეთის გულანი (Q-47) აფხაზთა კათალიკოსს ექვთიმეს ცაიშის საყდრისათვის შეუწირავს. ამ დროს ცაიშის ეპისკოპოსი მაქსიმე (1605-1612) ყოფილა. ექვთიმესა და მაქსიმეს ზეობის წლებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ერკეთის გულანის გადაწერის თარიღი და იგი XVII საუკუნის დასაწყისს მივაკუთვნოთ. გულანის გადაწერის შესახებ ცნობებს გვაწვდის მინაწერები, სადაც აღნიშნულია: „ღმერთო, შეიწყალე სულით და ხორცით ფრიად ცოდვილი ამის მწერალი სიმონიძე, ამინ. ამის შემკრავს ცოდვილს მღვდელმონაზონს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ და ჩემთა დედა-მამათათვის." ამ მინაწერის თანახმად ნათელი ხდება, რომ კრებულის დამზადებაში კალიგრაფების მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. ამასთანავე, მათ საქმე განაწილებული ჰქონდათ და გადამწერების გარდა, კრებულის დამზადებაში გულანის ამკინძავი მღვდელმონაზონი გრიგოლიც მონაწილეობდა.

ერკეთის გულანის მინაწერებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება მისი ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ელენესა და მის ვაჟ მანუჩარზე. სადავო არ არის, რომ ელენე ქართლის მეფის სვიმონ I-ის ასულია, რომელიც ცოლად გაჰყვა ათაბაგ მანუჩარ II-ს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი უთარიღო სიგელი ანუ ვალდებულება, რომელიც ელენემ და მისმა ძემ მანუჩარ ათაბაგმა მისცეს ელენეს დედასა და სვიმონის მეუღლეს ნესტან-დარეჯანს. ეს პერიოდი უკავშირდება XVI საუკუნის მიწურულს. ერკეთის გულანის მინაწერებში ელენეს მოხსენიება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ დროისთვის გურიელთა სახლის ათაბაგებთან ნათესაობის გამო. ელენეს და მანუჩარს სამცხის ასული თინათინი მამია II გურიელის (1600-1625) მეუღლე იყო და

ხშირად იხსენიება გურიის სამთავროს სიგელებსა და წარწერებში. იერუსალიმის ქართული კოლონიისათვის შეწირულობის სიგელში დაფიქსირებულია ქობულეთში აღნიშნული ყმა-მამულის დაარსების შესახებ [6:122].

ჟორდანიას თავის „ქრონიკებში" მოაქვს ცნობა გელათის წმინდა გიორგის გულანის მინაწერებიდან: „1605 წელს აფხაზთა კათალიკოსი ეფთემ მიიცვალა და ცაიშელ-ჯუმათელი გრიგოლის შვილი მალაქია კათალიკოსად დასვეს" [3: 357]. იგივე მინაწერი სხვაგვრად გამოაქვეყნა კაკაბაძემ: „საცაიშლო გამოსავლის დავთარში", სადაც მალაქიას გაკათალიკოსების თარიღად 1616 წელს ასახელებს. კაკაბაძისეულ წაკითხვას ეთანხმება ბ. ლომინაძე და უმატებს, რომ გელათის წმინდა გიორგის გულანის ცნობა თ. ჟორდანიას შეცდომით აქვს გამოქვეყნებული. ერკეთის გულანის მინაწერის თანახმად, მალაქია 1616 წელს გახდა კათალიკოსი. ერკეთის გულანზე დაყრდნობით იგივე ცნობას იმეორებს შემოქმედის გულანის მინაწერიც, რომლითაც ცხადი ხდება ქრონოლოგია ჯუმათელი ეპისკოპოსებისა, თუმცა აქაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ერკეთის გულანის მინაწერებში იკითხება: „დაიწერა და შემოიწერა ესე გულანი ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამათ-მთავრისა მაქსიმე." საიდანაც ცხადი ხდება, რომ გულანი დაწერილია XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში, კერძოდ 1736 წლამდე მაქსიმე III-ის პერიოდში. ცნობაში ნახსენები სახელის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ მაქსიმე III შერვაშიძეა, რომელიც 1736 წლამდე განაგებდა ერკეთის მონასტერს. ასევე ვიცით, რომ გულანი დაწერილია ისეთ ადგილას, რომელიც ხან ათაბაგის სამფლობელოში შედიოდა, ხან კი გურიელებისა და აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქციაში.

დ. ბაქრაძეს თავისი ცნობილი მოგზაურობისას უნახავს მთავარანგელოზის ხატი ვერცხლის მოჭედილობით და მასზე: „ქ. მოვაჭედინე ხატი ესე მთავარანგელოზთა ჩვენ შარვაშიძემან ქაიხოსრო; ძემან ერისთავის ბაგრატისმან და დავასვენეთ სამარხოსა ჩვენსა მონასტერს ერკეთისას. ქორონიკონს უ.თ (409-1721)." საიდანაც ჩანს, რომ მთავარანგელოზთა ხატი ვერცხლით მოუჭედავს ქაიხოსრო შარვაშიძეს 1721 წელს. ამ საქმეში წვლილი გაიღო ბაგრატ ერისთავის ძეებმა და ეს ხატი დაასვენეს ერკეთის მონასტერში [1:123].

ერკეთის მონასტრის ყმა-მამული

ეკლესია-მონასტრები უდიდესი ყმა-მამულის მფლობელნი იყვნენ. ფეოდალური საეკლესიო სენიორიის სათავეში კათალიკოსი და ეპისკოპოსები იდგენენ. მიწისმფლობელობის რაოდენობის მხრივ მაღლა იდგა მთავარი ეკლესია, მას ყველაზე მეტი ქონება ჰქონდა.

თავდაპირველად ეკლესია-მონასტრების მატერიალური ბაზა შეწირულობის და ნასყიდობის გზით იქმნებოდა. შემდეგშიც მისი ყმა-მამულების ზრდა ამავე გზით ხდებოდა. მეფე, თავადი, მთავარი თუ სხვა პირი ეკლესიას ყმა-მამულს სწირავდნენ, რაც ეკლესიის ყმა-მამულის სიმრავლეს იწვევდა. ეკლესია-მონასტრები ვალდებულნი იყვნენ შემწირველის სულის მოსახსენიებლად „შესავედრებელი წირვა-ლოცვა და აღაპები გაეჩინა". თუ ეკლესია-მონასტრები თავადის მიერ იყო შეწირული, მაშინ მის მიმართ სათავადო საკუთრების უფლებით სარგებლობდა, ხოლო თუ ეკლესია-მონასტრები სამეფო იყო და იგი მხოლოდ თავადს სასაფლაოდ ჰქონდა მიცემული, მას არავითარი უფლება არ გააჩნდა მასზედ [4:184].

გურიის სიგელ-გუჯრები საუკეთესო მასალაა გურიის მთავართა საგვარეულოს გენეალოგიური ტაბულის შესადგენად. დიმიტრი ბაქრაძის სიგელებიდან უძველესი მხოლოდ XVI საუკუნის II ნახევარს ეკუთვნის, 1564 წელს გარდაცვლილი გურიელი როსტომის დროს, ხოლო უგვიანესი-დავით გურიელისას. რაც შეეხება ამ სიგელების მნიშვნელობას იმ საუკუნეთა გურიის ცხოვრებისათვის, ისინი ისეთსავე შუქს ჰფენენ ამ ცხოვრებას, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებას მოჰფინა აკადემიკოს ბროსეს მიერ დამუშავებულმა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გუჯრებმა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იერუსალიმის ქართული კოლონიის კუთვნილი ყმა-მამულის წარმოშობა პირველად დამოწმებულია მამია II გურიელის (1600-1625 წ. წ.) მიერ გაცემულ სიგელში, რომლის თანახმადაც, „თეოფანე პატრიარქი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა, ყოვლისა ქრისტიანისა და ცოდვილთა მეოხი მობრძანდა მას ჟამსა, ოდეს... პირმშო ძე ჩემი ბატონი მანუჩარ მიიცვალა ჩეხედანას..." სიგელში მოხსენიებული თეოფანე არის თეოფანე IV (1608-1644 წ.წ), რომელიც გურიაში მობრძანებულა მანუჩარის გარდაცვალების შემდგომ, კერძოდ კი

1612 წელს. [8:138] მანუჩარ ბატონიშვილის დედა - ათაბაგის ასული თინათინი - მამია გურიელთან ერთად მოხსენიებულია შემოქმედსა და ჯუმათში დაცულ ხატის წარწერებში [1:112,222].

ერკეთის ეკლესიაში არის ორი საფლავის ქვა: ერთი, რომელიც მისი ეპიტაფია იუწყება, სამეგრელოს მთავრის ასულისა და გურიის ერისთავის გიორგის მეუღლის ნეშტზე, რომელმაც პატივით და დიდებით იცოცხლა 65 წელი და სამსახური გაუწია რუსთა ლაშქარს. არც მისი, არც მამამისის სახელი, გარდაცვალების წელიც კი არ არის აღნიშნული, მაგრამ მისი ერთი ვაჟის სიტყვით, ეს არის მარიკა ანუ მარიამი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის პაპის გრიგოლ დადიანის ასული და მდივანბეგ გიორგი ერისთავის ცოლი. მეორე ქვა დევს საფლავზე სახელოვანი თავადის ქაიხოსრო მიქელაძის ასულისა და თავად ივლიანე ერისთავის მეუღლის ელისაბედისა, რომელიც გარდაიცვალა 1861 წლის 24 ოქტომბერს [2:476].

ერკეთის წარწერებიდან, მხოლოდ ერთს უზის ქორონიკონის წელი, სახელდობრ ქაიხოსროს წარწერას, რომლითაც ვიგებთ, რომ წარწერა ეკუთვნის ქაიხოსროს მმართველობის პერიოდს (1721წ.). გარდა ამისა, წარწერებში ნახსენები შემწირველის სახელის მიხედვით შეგვიძლია სხვა წარწერებიც დავათარიღოთ [3:256].

ფრიად საგულისხმოა გიორგი შარვაშიძისა და მისი მეუღლის, რაჭის ერისთავის ასულის, ხვარაშანის სიგელი ერკეთის მონასტრისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „ეს მონასტერი, რომელსაც გურულები ძველთაგან ამკობდნენ, მძიმე ჟამთა ვითარებისა და ჩვენი ქვეყნის გაუკაცრიელების გამო უგლეხოდ დარჩა. ამ დროს ჩემი ძმა ჯუმათელი მაქსიმე ორ წელიწადს ქართლში იყო, რომ დაბრუნდა და ჩვენი დაქვეითები შეიტყო, მომელაპარაკა და ჩვენ როგორც შევძელით მოვიკრიბეთ ჩვენი გლეხები და თქვენვე დაგიმტკიცეთ" [1:260]. ამ სიგელიდან ცხადი ხდება, რომ ოსმალთა შემოსევების შედეგად ქვეყანა გაუკაცრიელებული იყო, ამ ვითარებაში გიორგი შარვაშიძე და ჯუმათელი მაქსიმე გლეხებს სწირავს უგლეხოდ დარჩენილ ერკეთს. ეს უკავშრდება დაახლოებით XVIII საუკუნის 30-იან წლებს 1736 წლამდე, ვიდრე წინამძღვარი არის მაქსიმე ჯუმათელი. ივარაუდება, რომ იგი არის იგივე მაქსიმე III შარვაშიძე ძმა გიორგი შარვაშიძისა. ამ თარიღის დაახლოებით დადგენა შეგვიძლია მათივე წინამძღვრობის პერიოდით.

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ ხსენებულიდან ირკვევა, რომ ერკეთის ეკლესია IX საუკუნის ძეგლია და მისი წინამძღვრები შარვაშიძეები იყვნენ. წინამდებარე თემი მეტად საინტერესო მასალებს გვაწვდის მონასტრის სიწმინდეების, შეწირულობისა თუ სიგელების შესახებ, აქვე საყურადღებოა მონასტრის დღევანდელი მდგომარება და არქიტექტურა. ირკვევა, რომ გულანი დაწერილია XVIII საუკუნის დამდეგს, ხოლო სიწმინდეთაგან უძველესია სახარება. მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვრის მაქსიმე შარვაშიძის ბრძანებით აუგიათ მონასტრის კანკელი და მოუხატავთ საკურთხეველი. დიმიტრი ბაქრაძის დასკვნით, მთავარანგელოზთა ხატი ვერცხლით მოუჭედავს ქაიხოსრო შარვაშიძეს 1721 წელს. ასევე ირკვევა, რომ ერკეთის წარწერებიდან, მხოლოდ ქაიხოსროს წარწერას უზის ქორონიკონის წელი, რომელიც ეკუთვნის ქაიხოსროს მმართველობის პერიოდს (1721). აქვე ვკითხულობთ ცნობებს ერკეთის გულანსა და წინამძღვრის შესახებ მიმართვაში: „აფხაზ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმეს მცნებანი უდაბნოს მამას და ერკეთის წინამძღვარს". ერკეთის გულანის მინაწერებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება მისი ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ელენესა და მის ვაჟ მანუჩარზე. აქ მოხსენიებული ელენე ქართლის მეფის სვიმონ I-ის ასულია, რომელიც ცოლად გაჰყვა ათაბაგ მანუჩარ II-ს. ცნობებიდან ჩანს, რომ ეკლესიაში არის ორი საფლავის ქვა, რომელთა ეპიტაფია იუწყება, სამეგრელოს მთავრის ასულისა და გურიის ერისთავის გიორგის მეუღლის ნეშტზე. ჩვენთვის სიახლეს წარმოადგენდა ერკეთის მონასტრის სიგელებისა და ცალკეული გულანის შესწავლის შედეგად მიღებული ახალი ცნობები, ერკეთის მონასტრის ხელნაწერები, ტექსტშიუ ანდერძ-მინაწერები დახმარებას გვიწევს არაერთი ისტორიული ფაქტისა თუ ისტორიული პირის მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დიმიტრი, „არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარასა და გურიაში," თბ. 1987 წელი.

2. დოლიძე ისიდორე, „ქართული სამართლის ძეგლები", გამომცემლობა „მეცნიერება", თბ. 1972 წელი.

3. ჟორდანია თედო, „ქრონიკები" I, II, III ტ., გამომცემლობა „არტანუჯი," თბ. 2004.

4. რეხვიაშვილი მიხეილ, „დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1978 წელი.

5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IVტ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბ. 1973 წელი.

6. ქათამაძე ციური, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიებთან XVI-XVIII საუკუნეებში", გამომცემლობა „უნივერსალი", თბ. 2013.

7. ქართველიშვილი თეა „გურიის საეპისკოპოსოები", გამომცემლობა „არტანუჯი", თბ. 2006.

8. ჩხატარაიშვილი ქველი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან", გამომცემლობა "მეცნიერება", თბ. 1985 წელი.

9. "erketisdedatamonasteri.blogspot.com", (ოქტომბერი, 2017), "ერკეთის დედათა მონასტერი", მოძიებულია 30 მარტი, 2018 წელი, **http://erketisdedatamonasteri.blogspot.com/p/blog-page_13.html**

Tavberidze Inga

From the History of Erketi Monastery

Abstract

The present paper will try to give you erketi monastery antiquity describe here the existing shrines of credentials Church of the tags and highlight them.

The thesis is about the study of the history of Apostolic Church of Georgia - study of ecclesiological centres. it is of the almost importance in terms of covering of such issues of Erketi Monastery history which have not yet been studied properly.diplomas, inscriptions of the temple, servant, homeland and taxes of Erketi monastery are reviewed here.Due to such diversity it is really interesting, in addition, the topic is relevant and new.It is also important that the thesis describes the circumstances caused by Ottomans in the ecclesiological centres of west Georgia, on the example of Erketi monastery.

Key words: temple, taxes, homeland.

მუსტაფა ქემალ ათათურქი და 1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში

რუსუდან ღოღობერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თურქეთისმცოდნეობა მე-4 კურსი

ელ.ფოსტა: ghoghoberidzeruso@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ მაკარაძე,

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

XX საუკინის 10-იანი წლების ბოლო და 20-იანი წლების დასაწყისი თურქეთის ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებით ხასიათდება. წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელის მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი 1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თურქეთის სახელმწიფო წყობის, მისი ისტორიისა და თანამედროვეობის, თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა. რამაც აქტიურად შეუწყო ხელი თანამედროვე თურქეთში პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

მუსტაფა ქემალ ათათურქი თურქეთისათვის მარტო გუშინდელი დღე არაა. ამ პიროვნებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელობა და მომავალი, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური დოქტრინა რესპუბლიკის დამაარსებლის, დიდი რეფორმატორის, ქემალ ათათურქის პრინციპებს ეყრდნობა და რომელიც თურქეთში ქემალიზმის სახელითაა ცნობილი.

თურქეთის უახლეს ისტორიაში მუსტაფა ქემალს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, რელიგიის დამცველიც, სახელმწიფო მოღვაწე, რევოლუციონერიც და რეფორმატორიც. მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად თურქეთი გადაიქცა რესპუბლიკურ, ნაციონალურ, ხალხოსნურ, ეტატისტურ, ლაიცისტურ და რევოლუციონურ სახელმწიფოდ.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ქემალიზმის პრინციპები, თურქეთის რესპუბლიკა.

შესავალი

ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) ჩაება იმ იმედით, რომ გერმანიის დახმარებით განახორციელებდნენ თავიანთ ამბიციურ გეგმებს. რომელშიც შედიოდა, არა მარტო კავკასიის, ყირიმის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის ხელში ჩაგდება, არამედ მათ სურდათ აღედგინათ ბატონობა აფრიკის დაკარგულ სამფლობელოებზეც.

ომში ჩაბმისთანავე, კავკასიის ფრონტზე და სარიყამიშთან ოსმალეთმა მარცხი განიცადა.

ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთის იმპერიის კრახი გარდაუვალი იყო. 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხდებოდნენ. როდესაც ახალგაზრდა თურქთა ლიდერებმა დაინახეს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ, გადაწყვიტეს ზავი შეეთავაზებინათ მოკავშირეებისათვის (1918 წლის 4 ოქტომბერი). ქვეყანაში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მმართველებმა ენვერ ფაშამ, თალაათ ფაშამ და ჯემალ ფაშამ გადაწყვიტეს გადამდგარიყვნენ და ემიგრაციაში გერმანიაში წასულიყვნენ. თურქეთის ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა აჰმედ იზით ფაშა. ახალმა მთავრობამ ანტანტას ზავი სთხოვა.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში, ინგლისის სამხედრო გემ „აგამემნონზე“ თურქეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს და დანებდა ანტანტის სახელმწიფოებს (სვანიძე, 2007:280).

მას შემდეგ, რაც გერმანიამ დაინახა საფრთხე, რომ შესაძლებელია ოსმალეთი მას ჩამოშორებოდა, გადაწყვიტა გამოეცოცხლებინა თურქებთან კავშირი. სწორედ ამ მიზნით ჩავიდა ვილჰელმ მეორე სტამბოლში.

მუდროსის ზავის პირობების მიხედვით, ოსმალეთი მთლიანად გამარჯვებულ სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოექცა. მუდროსის ხელშეკრულება 25 მუხლისაგან შედგებოდა.

პირველი მუხლი ითვალისწინებდა სრუტეების გახსნას მოკავშირეთა ფლოტისათვის და მათ მიერ შავი და მარმარილოს ზღვებისა და სრუტეების პორტების ოკუპაცია.

მე-2-3 მუხლებით ოსმალეთს უნდა ეჩვენებინა მოკავშირეებისათვის თურქეთის ტერიტორიულ წყლებში ნაღმების ადგილმდებარეობა.

მე-5 მუხლით ოსმალეთი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა არმიის დემობილიზაცია.

მე-7 მუხლით ანტანტის სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება ეძლეოდათ მოეხდინათ თურქეთის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპაცია.

მე-8-9 მუხლები ითვალისწინებდა ანტანტის სახელმწიფოებისათვის თურქეთისა და გერმანიის გემების ჩაბარებას.

მე-10 და მე-12 მუხლებით მოკავშირეებს ეძლეოდათ უფლება მოეხდინათ ოკუპაცია და დაეცვათ ტავრის გვირაბები, ასევე სატელეგრაფო სადგურები და მიწისზედა გამავალი კაბელები.

მე-13 მუხლით ოსმალეთის ხელისუფლებას ეკრძალებოდა გაეფუჭებინა ან გაენადგურებინა თურქეთის ნავსადგურებში მდებარე სამხედრო ან სავაჭრო ობიექტები.

მე-16 მუხლი ავალდებულებდა პორტას ჩაებარებინა თავისი გარნიზონები ჰიჯაზში, იემენში და სხვა არაბულ ქვეყნებში, მოეხდინა ოსმალეთის ჯარების ევაკუაცია კილიკიიდან.

მე-19 მუხლით პორტას ევალებოდა ერთი თვის განმავლობაში თავისი ტერიტორიიდან მოეხდინა გერმანიისა და ავსტრიის სამხედრო და სამოქალაქო ქვეშევრდომების ევაკუაცია.

მე-20 მუხლი პორტას ავალდებულებდა ჩაებარებინა მოკავშირეებისათვის მთელი სამხედრო შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა.

22-ე მუხლით პორტას უნდა გადაეცა მოკავშირეებისათვის სამხედრო ტყვეები, ხოლო თურქი ტყვეები უნდა დარჩენილიყვნენ მოკავშირეთა განკარგულებაში.

23-ე მუხლი ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას (მაკარაძე, 2009:25).

მუდროსის ზავის შედეგად სულთანი და მისი მთავრობა, ინგლისისა და საფრანგეთის მონა-მორჩილი გახდა. ანტანტის სახელმწიფოების მიერ. ფაქ-ტობრივად ოსმალეთის ბედი გადაწყვეტილი იყო. თავიანთი გეგმების რეალიზაციის მიზნით თურქეთის ტერიტორიაზე ჰყავდათ ასი ათასიანი არმია.

ოსმალეთს კიდევ ერთ დიდ დაძაბულობას უქმნიდა საბერძნეთი, რომელმაც 1919 წლის 30 იანვარს პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორან-დუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ანატოლიაში მცხოვებ 2,5 მილიონ ბერძენს, სურვილი ქონდა გაერთიანებულიყო საბერძნეთთან, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მცხოვრებ ბერძნებს კი სურდათ შეექმნათ პონტოს სახელმწიფო საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება

1919 წლიდან თურქებმა რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკა და გადა-ვიდნენ შეიარაღებულ ამბოხებებსა და მკაცრი ხასიათის დემონსტრაციებზე. რადგან ოსმალეთის სულთანი ოკუპანტების ხელში აღმოჩნდა, ქვეყანაში უნდა დაწყებულიყო ანტიიმპერიალისტური მოძრაობა. მაგრამ არ იყო ერ-თიანი ისეთი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა გამოსვლებს.

თუმცა გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც შეძლო ამ მძიმე ტვირთის თავის თავზე აღება. ეს გახლდათ მუსტაფა ქემალ ათათურქი. რომელმაც ფაშას ტიტული პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს მიიღო, ხოლო ათათურქი (თურქების მამა) მას თურქმა ხალხმა შეარქვა გაწეული ღვაწლის სანაცვლოდ.

მუსტაფა ქემალი დაიბადა 1881 წელს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში. სახელი ქემალი სასწავლებელში შეარქვეს განსაკუთრებული მათემატიკური შესაძლებლობის გამო. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა. 1893 წელს ქემალი შევიდა სამხედრო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1905 წელს დაამთავრა და მიიღო კაპიტნის ჩინი. ამის შემდეგ ჩაირიცხა სამხედრო ნაწილში. მუსტაფა ქემალს თავიდანვე ეტყობოდა ანტიიმპერიალისტური დამოკიდებულება. მაგალი-თად, 1906 წელს დააპატიმრეს იმის გამო, რომ ბრალად ედებოდა აკრძალული

პიესის „სამშობლოს“ წაკითხვა. სამი თვე იმყოფებოდა პატიმრობაში. გათავისუფლების შემდეგ იგი დანიშნეს დამასკოს საკავალერიო ნაწილში. აქ იგი უკავშირდება ახალგაზრდა ოფიცრების მიერ დაარსებულ ანტიიმპერიალისტურ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია პირველი სერიოზული დაჯგუფება იყო სულთან აბდულ-ჰამიდის წინააღმდეგ. მუსტაფა ქემალი ასევე შეხვდა ახალგაზრდა თურქთა ლიდერებს მაკედონიაში. თანდათანობით მან გაამყარა კავშირი ახალგაზრდა თურქთა ლიდერებთან. 1908 წელს ქემალმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში, თუმცა მისი კავშირი ახალგაზრდა თურქთა ორგანიზაციასთან დიდხანს არ გაგრძელებულა. მას უთანხმოება მოუვიდა ლიდერებთან და პარტიის რიგებიდან გავიდა (ბატიაშვილი, 2000:23).

მუსტაფა ქემალი ჯარში თავიდანვე დიდი სიმამაცით გამოირჩეოდა. 1911-1912 წლებში იგი მონაწილეობდა ტრიპოლიტანიის ომში, 1912-1913 წლებში ბალკანეთის ომში, 1911 წელს მას მიანიჭეს მაიორის ჩინი. მუსტაფა ქემალმა თავი განსაკუთრებით გამოიჩინა პირველ მსოფლიო ომში. სადაც დაინიშნა მე-19 დივიზიის მეთაურად. 1916 წლის მარტში იგი კავკასიის ფრონტზე იბრძოდა, სადაც მას მიანიჭეს ბრიგადის გენერლის ჩინი. ასეთი წარმატებების ფონზე 1918 წლის 10 ნოემბერს დაბრუნდა სტამბოლში (მაკარაძე, 2005:6).

მუსტაფა ქემალმა მიზნად დაისახა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ორგანიზაციის შექმნა. მან გარშემო შემოიკრიბა ის ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ არსებული ვითარებით და არ აპირებდნენ მხარი დაეჭირათ სულთნისათვის შემრიგებლური პოლიტიკის გატარებაში. მას სჯეროდა, რომ ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი ქმედითუნარიანი მთავრობის შექმნა იყო, რომელიც ქვეყნის ინტერესების დასაცავად გადამჭრელ ზომებს მიიღებდა. ქემალი მიხვდა, რომ მოკავშირეები არ ეყოლებოდა მთავრობაში, სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ანტიიმპერიალისტური ძალების გაეთიანებისა, მაგრამ არა სტამბოლში არამედ, აუცილებლად ანატოლიის ტერიტორიაზე. ადგილის შერჩევა არ ყოფილა შემთხვევითი რადგან აქ ოკუპანტებს ჯერ კიდევ სუსტად მიუწვდებოდათ ხელი. მუსტაფა ქემალმა თანდათან დაიწყო ფეხის მოკიდება. 1919 წელის 19 მაისს იგი სამსუნში ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება ისტორიაში თურქეთის ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების დღედ. ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა გლეხები და მუშათა კლასი, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყვნენ, ამიტომ ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის მართვის სადავეები ეროვნული ბურჟუაზიის ხელთ აღმოჩნდა, რომელსაც ანატოლიის სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზია წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ანატოლიაში უკვე მომწიფებული იყო საძირკველი, იმისა, რომ შექმნილიყო ძლიერი ბირთვი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა (როზალიევი, 1997:241).

ანატოლიაში ჩასვლისთანავე მუსტაფა ქემალი შეუდგა ერთიანი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას. მან პირველ რიგში მიზნად დაისახა ოსმალეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური პარტიებისა და პატრიოტული დაჯგუფების შექმნა, რომელიც გახდებოდა ანატოლიისა და თრაკიის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო.

მუსტაფა ქემალი მოუწოდებდა ხალხს: „სამშობლოს ხელშეუალობა და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, მთავრობა ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამის გამო საჭიროა მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ყოველგვარი გავლენისაგან“ (ათათურქი, 1975:451). მისი მომხრეების რიგები თანდათანობით იზრდებოდა საკმაოდ გავლენიანი ადამიანებით, მაგალითად: გუბერნატორებით, დივიზიებისა და შტაბების მეთაურებით და სხვა. სწორედ გავლენიანი პირების მეშვეობით უკავშირდებოდა ქემალი სხვადასხვა ორგანიზაციების ლიდერებს. ქემალი მიისწრაფოდა დაემტკიცებინა, რომ თურქეთის პოლიტიკური და ეროვნული არსებობა არ შეწყვეტილა და რომ ხალხი მზად იყო დაეცვა თავისი უფლება და დამოუკიდებლობა.

1919 წლის 20 ივნისს ამასიაში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუსტაფა ქემალ ფაშამ, ყოფილმა საზღვაო მინისტრმა ხუსეინ რაუფ ბეიმ, მე-20 სამხედრო კორპუსის მეთაურმა ალი ფუად ფაშამ და პოლკოვნიკმა ქაზიმ ბეიმ. ამ შეხვედრაზე მათ განიხილეს შემდგომი, უფრო ფარტომასშტაბიანი შეხვედრის გეგმა. ეს შეხვედრა იქნებოდა სივასის კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოება, რომელსაც ხმა მიაწვდინა მუსტაფა ქემალმა და

რომლებმაც გამოთქვეს სურვილი სამშობლოს დახმარებისა. ამ კონგრესზე შემუშავებული უნდა ყოფილიყო შემდგომი სამოქმედო გეგმა. შეხვედრაზე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ვილაეთების უფლებათა დაცვის საზოგადოების ინიციატივას ჩაეტარებინათ შემდეგი კონგრესი. ამრიგად, ამასიაში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თავისთავზე იღებდა მთელი პატრიოტული ძალების გაერთიანებას და ერთიანი ფრონტის შექმნას. მუსტაფა ქემალმა 1919 წლის 22 ივლისს მოწვევები დაუგზავნა ქვეყნის მაშტაბით თითქმის ყველა გავლენიან პატრიოტულ საზოგადოებასა თუ უბრალოდ გავლენიან ადამიანებს, რათა მიეღოთ მონაწილეობა სივასის კონგრესის მუშაობაში. ათათურქის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სახელი მოქმედებებიდან გამომდინარე სწრაფად გასცდა ანატოლიის საზღვრებს. ეს მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ოკუპანტებსა და სულთნის სასახლის კარს. მათ უმალვე დაიწყეს მოქმედებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაშლელად.

მოკავშირეთა მთავარსარდალმა, ინგლისელმა გენერალმა ოსმალეთის სამხედრო მინისტრს მოსთხოვა დაუყონებრივ დაებრუნებინა მუსტაფა ქემალი სტამბოლში. სამხედრო მინისტრმა მართლაც გამოიწვია ქემალი სტამბოლში, რაზედაც უარი მიიღო. ასეთ ვითარებაში მუსტაფა ქემალი ვეღარ დარჩებოდა იმ თანამდებობაზე რომელიც ეკავა, ამიტომ თანამდებობიდან გადადგა. მიუხედავად ამის მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა ქვეყანაში.

1919 წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე ერზრუმში ჩატარდა აღმოსავლეთის ვილაეთების კონგრესი, რომლებსაც დაესწრო 35 დელეგატი. კონგრესმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაეცვათ აღმოსავლეთის ვილაეთები. თუმცა კონგრესის წევრები ერთხმად აღიარებდნენ სულთნის ერთგულებას. ერზრუმის კრებამ დიდი როლი შეასრულა მოძრაობის საბოლოო ფორმირებაში. თითოეულ პოლიტიკურ პარტიას მიზნის მისაღწევად სხვადასხვა შეხედულებები გააჩნდათ. მაგალითად, სტამბოლის ერთ-ერთი ნაციონალური პარტია მიიჩნევდა, რომ თურქეთში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იქნებოდა ამერიკის მიერ შემუშავებული მანდატის მიღება. ეს ვარიანტი კრების წევრებსაც კი შესთავაზეს, მაგრამ ქემალი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. 1919 წლის 4-12 სექტემბერს სივასში ჩატარდა დაგეგმილი კონგრესი,

რომელიც ყველაზე ფართომასშტაბიანი იყო აქამდე ჩატარებულ შეხვედრებს შორის. ეს იყო სრულიად თურქეთის კონგრესი. რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენამ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სივასის კონგრესი ძალზე დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. კონგრესით უკმაყოფილონი იყვნენ ოსმალეთის მოკავშირეები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მუშაობისათვის. თუმცა კონგრესი მაინც წარმატებით დასრულდა (სვანიძე. 2003:55).

მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მომხრე იყო ამ მანდატისა, რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქვენისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ ამერიკის მანდატი გავრცელებულიყო, ვიდრე ანტანტის სახელმწიფოებს დაენაწილებინათ იგი. სივასის კრების მონაწილეთა შორისაც იყვნენ ამერიკის მანდატის მომხრეები, რომლებიც ცდილობდნენ აგიტაცია გაეწიათ კონგრესისათვის. თუმცა კრებამ არანაირი მანდატი არ მიიღო. სივსის კრება, ისევე როგორც ერზრუმის, ჩატარდა ქვეყნის გადარჩენის ლოზუნგით. ქვეყანა 1918 წლის მუდროსის ზავის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორიებში უნდა დარჩენილიყო. კრება სულთნისაგან მოითხოვდა სასწრაფოდ მოეწვია მეჯლისი და გადაეყენებინა ფერჰათ ფაშას მთავრობა, რომელიც შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებდა ოკუპანტ ქვეყნებთან. კონგრესმა აირჩია წარმომადგენლობითი კომიტეტი 13 კაცის შემადგენლობით, ხოლო მუსტაფა ქემალი კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული. სივასის კონგრესის შესაბამისად, ერთიანმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღო გადაწყვეტილება გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა დამად ფაშას მთავრობასთან (1919 წლის 12 სექტემბერი). სულთანი იძულებული გახდა დათანხმებოდა ქემალისტების მოთხოვნებს, რადგან ქვეყანაში ვითარება დღითიდღე მძიმდებოდა. 1919 წლის 2 ოქტომბერს გადადგა ფერჰათ ფაშას მთავრობა და დაინიშნა ახალი მთავრობა ალი რიზა ფაშას მეთაურობით. სულთანი დიდ იმედებს ამყარებდა ალი რიზა ფაშას მთავრობაზე. მას იმედი ჰქონდა, რომ იგი გააუქმებდა უფლებათა დაცვის საზოგადოებას, დაშლიდა პატრიოტულ რაზმებს, ჩაატარებდა მშვიდობიან აქციას პარლამენტში და ხელს მოაწერდა მოკავშირეთა მიერ შემუშავებულ საზავო ხელშეკრულებას (ასიმ ასლანი, 1999:231).

1919 სტამბოლში ჩატარდა მეჯლისის არჩევნები, სადაც ქემალისტებმა ტრიუმფით გაიმარჯვეს. 175 კაციდან 116 კაცი მუსტაფა ქემალის მომხრე იყო.

1920 წლის 12 იანვარს გაიხსნა პირველი სხდომა. სადაც ქემალისტებმა წარადგინეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის გაერთიანებას. აღნიშნულმა პროგრამამ პარლამენტში მოიპოვა სრული მხარდაჭერა, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უარყოფითად შეაფასეს აღნიშნული საკითხი, მათ სურდათ დაეშალათ ახალი პარლამენტი (შამსუდინოვი, 1966:124).

1920 წლის თებერვალში ლონდონში მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოკავშირე სახელმწიფოთა შორის თურქეთის საკითხთან დაკავშირებით. მოლაპარაკებაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: 1) სტამბოლი დარჩებოდა სულთნის ხელისუფლების მმართველობის ქვეშ. 2) მოხდებოდა სრუტეების ინტერნაციონალიზაცია. 3) თურქეთს უფლება ერთმეოდა, მმართველობა განეხორციელებინა არათურქ მოსახლეობაზე.

მოკავშირე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ინგლისს არ მოსწონდათ ახალი პარლამენტის საქმიანობა. 1920 წლის 16 მარტს მოკავშირეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს იარაღის ძალით დაეშალათ ისინი. მათ დაარბიეს პარლამენტის შენობა, დეპუტატების ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი ვინც თავს გაქცევით ვერ უშველა, დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. 1920 წლის 5 აპრილს ინგლისის მოთხოვნით შეიქმნა ახალი მთავრობა დამად ფერჰად ფაშას მეთაურობით. სტამბოლში საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. დაიწყო ისევ ძალების ახალი გადანაწილება. ხოლო ის ვინც თურქეთის დამოუკიდებლობისთვის აპირებდა ბრძოლას კვლავ ანატოლიაში გადავიდა.

1920 წლის 19 მარტს წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი მეჯლისის მოწვევის შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო რამდენიმე აუცილებელი ფაქტორით: 1) დეპუტატთა პალატა სტამბოლში დათხოვნილი იყო და საკანონმდებლო ორგანო აღარ არსებობდა. 2) აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფებოდა ანტანტის კონტროლის ქვეშ. ამ მიზეზის გამო ფერჰად ფაშას მთავრობა ცხადდებოდა მოღალატედ და კომიტეტი წყვეტდა მასთან ყოველგვარ კავშირს. 3) სასამართლო ხელისუფლება აღარ სარგებლობდა არანაირი დამოუკიდებლობით. სტამბოლში სრული განუკითხაობა სუფევდა. ფერჰად ფაშას მთავრობა ვერ ურიგდებოდა ეროვნული მოძრაობის ამგვარ ქმედებებს და ოკუპანტთა დახმარებით ცდილობდა მათთვის ხელის შეშლას, თუმცა ეს მაინც ვერ მოახერხა.

მოსალოდნელმა საფრთხემ ვერ შეძლო ეროვნული მოძრაობის შეჩერება, პირიქით, ისინი ადრინდელზე უფრო დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ ახალ მეჯლისს ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა. რომელიც შედგებოდა ერთი პალატისაგან. არჩევნები ჩატარდა ორსაფეხურიანი სისტემით ძველი საარჩევნო კანონის საფუძველზე (ჩეჩენი, 2005:172).

1920 წლის 30 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება. პირველი მოწვევის მეჯლისი შედგებოდა 338 დეპუტატისაგან. პარლამენტის დეპუტატთა შორის იყვნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, მაგალითად: მემამულეები, ვაჭრები, სასულიერო პირები, ოფიცრები, ექიმები, იურისტები და სხვა. მეჯლისმა აირჩია პრეზიდიუმი, რომლის პირველი თავმჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალი.

1920 წლის 3 მაისს შეიქმნა მინისტრთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც მუსტაფა ქემალი აირჩიეს. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. კრებამ თავისი თავი ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად აღიარა. 1920 წლის 7 ივლისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა ყველა ხელშეკრულება, კონვენცია და ყველა აქტი, რაც სულთნის მთავრობამ დადო უცხოეთის სახელმწიფოებთან. რაც შეეხება სულთნის მთავრობას, იგი კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული, ხოლო თვით სულთანი ურჯულოთა ტყვედ.

ამ ეტაპს თურქეთის ისტორიაში ორხელისუფლებიანობა ეწოდა. სტამბოლში სულთნის მთავრობა ბატონობდა, რომელიც ოკუპანტთა მონა-მორჩილი იყო. ხოლო ანკარაში ქემალისტები. რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ვერ ეგუებოდნენ ასეთ ვითარებას, ამიტომ ცდილობდნენ ყველანაირი ბინძური გზით დაეშალათ ეს მოძრაობა. ინგლისიც აქტიურად იყო ჩართული ქემალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ასევე ბერძნებიც.

1921 წლის დასაწყისიდან უკვე იწყება თურქეთის პირველი წარმატებები. მათ მოახერხეს დასავლეთის ფრონტზე შეეჩერებინათ მტრები. ასევე 1921 წლის 10 იანვარს სოფელ ინენიუსთან თურქებმა მოახერხეს ბერძენთა არმიის შეჩერება. თუმცა ეს არც ისეთი დიდი წარმატება იყო. 1921 წლის 23 აგვისტოს მდინარე საქარიას მარცხენა სანაპიროზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა საბერძნეთისა და თურქეთის ჯარებს შორის. ბრძოლა 22 დღე გაგრძელდა და

საბოლოოდ თურქეთის გამარჯვებით დასრულდა. ეროვნულ-განმანთავი-სუფლებელი მოძრაობისათვის ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ გამარჯვების შემდეგ ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ეს ძალა საკმაოდ სერიოზული იყო, რამაც გამოიწვია მისი ავტორიტეტის კიდევ უფრო ზრდა.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ფაშას მარშლის ჩინი და ღაზის (გამარჯვებულის) ტიტული უბოძა (გასტრატიანი, 1983:154).

საქარიასთან ბრძოლის შემდეგ ერთიანი ანტითურქული ფრონტი საბო-ლოოდ დაიშალა, მხოლოდ ინგლისი აქეზებდა საბერძნეთს გაეგრძელებინა ომი თურქეთის წინააღმდეგ.

1922 წლის 26 აგვისტოს თურქეთის არმია შეტევაზე გადავიდა, დაარღვია ფრონტის ხაზი და ორი დღის ბრძოლის შედეგად, 50 კმ-ით წინ წაიწია. თურქეთის არმიამ დომლუპინართან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა საბერძნეთის არმიის მნიშვნელოვანი დაჯგუფება, 6 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს ბურსა, 9 სექტემბერს კი იზმირი.

1922 წლის 3 ოქტომბერს მუდანიაში გაიხსნა კონფერენცია დროებითი ზავის დადების მიზნით. თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ისმეთ ფაშა (ინონუ). კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები. თურქეთის მხარემ მოითხოვა, რომ საბერძნეთის არმიას გაენთავისუფლებინა აღმოსავლეთ თრაკია. ბერძნები იძულებულნი გახდნენ, გარკვეული წინააღმ-დეგობის შემდეგ, დაეტოვებინათ აღმოსავლეთ თრაკია.

1922 წლის 11 ოქტომბერს მუდანიაში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის. თურქეთმა, საომარი ოპერაციების გარეშე, დაიბრუნა აღმოსავლეთ თრაკია, ხოლო ანტანტის სახელმწიფოებმა მიიღეს უფლება, რომ სამშვიდობო საზავო კონფერენციის მოწვევამდე თავისი ჯარები დაეტოვებინათ სტამბოლისა და სრუტეების ზონაში.

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაცია გამარჯვებული ჩავიდა. სევრის საზავო ხელშეკრულება, ქემალისტების მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად, გაუქმებულ იქნა. მაგრამ ლოზანის კონფერენციაზე ანტანტის სახელმწიფოები არ აპირებდნენ თავიანთი პოზიციების დათმობას.

ლოზანის კონფერენცია იყო თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი ბრძოლის შემაჯამებელი. მას უნდა მოეწესრიგებინა თურქეთსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები კაპიტულაციების რეჟიმი, დაედგინა სახმელეთო და სასაზღვრო საზღვრები, გადაეწყვიტა ანტანტის სახელმწიფოების მიერ თურქეთის დამოუკიდებ-ლობის ცნობის საკითხი და სხვ.

ლოზანის კონფერენციას ესწრებოდნენ თურქეთის, ინგლისის, საფრანგე-თის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლები. აშშ-მა კონფერენციაზე გამოგზავნა თავისი მეთვალყურე.

ანტანტის სახლელმწიფოებმა საბჭოთა რუსეთი არ მიიწვიეს კონფერენ-ციაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იღებდა მონაწილეობას თურქეთის წინააღმ-დეგ ომში. ანტანტის დიპლომატები თვლიდნენ, რომ რუსეთის კონფერენცია-ზე მონაწილეობის შემთხვევაში, იგი ბევრ საკითხში, თურქეთს დაუჭერდა მხარს. ეს კი მათ ინტერესებში არ შედიოდა.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შავი ზღვის სრუტეების ახალი სტატუსი. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, საქართველოსა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

ლოზანის კონფრენციის სხდომები მიმდინარეობდა დაძაბულ ვითარება-ში. კონფერენციის მსველობის დროს წარმოიქმნა მნიშვნელოვანი უთანხმოე-ბანი მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რთული იყო საზღვრების დადგენა.

1922 წლის 24 სექტემბრის ნოტით ანტანტის სახელმწიფოები დათანხმდ-ნენ თურქეთისათვის დაებრუნებინათ აღმოსავლეთ თრაკია მდ. მარიცამდე, რაზედაც საფრანგეთმა თანხმობა განაცხადა. თურქეთის დელეგაცია ლოზა-ნის კონფერენციაზე მოითხოვდა 1913 წლის კონსტანტინოპოლის ხელშეკრუ-ლებით დადგენილი საზღვრების აღდგენას და მისთვის ადრიანოპოლისა და ყარააღაჩის გადაცემას, აგრეთვე დასავლეთ თრაკიაში პლებისციტის ჩატა-რებას. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ საბერძნეთი და მოკავშირეთა სახელმწი-ფოები და თურქეთის მოთხოვნა უარყოფილი იქნა.

საზღვარი თურქეთსა და სირიას შორის დადგენილი იქნა 1921 წლის 20 ოქტომბერს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით (ჯაფარიძე, 1996:45).

თურქეთს გადაეცა ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულები იმბროსო (იმროზი), ტენედოსი (ბოზდაადა) და სხვა პატარ-პატარა კუნძულები, რომლებიც მდებარეობდა სამი მილის დაშორებით აზიური სანაპიროდან.

თურქეთის აღმოსავლეთის საკითხი კონფერენციაზე არ განხილულა, რადგან იგი მოგვარებული იყო საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დიდხანს გაგრძელდა სრუტეების სტატუსის განხილვა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა სრუტეების კონვენციის სამი პროექტი: ინგლისის, თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის. ლოზანის კონფერენციის დაწყებამდე 1922 წლის 24 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ნოტით მიმართა საფრანგეთის პრემიერს და საგარეო საქმეთა მინისტრს პუანკარეს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კეზონს და იტალიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთისა და ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროებს. ნოტაში ნათქვამი იყო, რომ ,,არავითარი გადაწყვეტილება სრუტეების შესახებ, მიღებული რუსეთის მონაწილეობის გარეშე, არ იქნება საბოლოო და ხანგრძლივი. ის მხოლოდ ახალი კონფლიქტებისათვის შექმნიდა ნიადაგს“.

1922 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ჩიჩერინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთის პოზიცია სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, შავი ზღვის სრუტეები უნდა დახურულიყო ყველა სამხედრო გემისათვის, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს; ხოლო მშვიდობიანობის დროს სრუტეების ზონა უნდა გამოცხადებულიყო ნეიტრალურად და იქ მყოფი სამხედრო ნაგებობები დაქვემდებარებოდა დანგრევასა და დემონტაჟს.

თურქეთს უფლება უნდა ჰქონოდა გაემაგრებინა და შეეიარაღებინა სრუტეები თავდასხმის შემთხვევაში. ნაოსნობის რეგულირების მიზნით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო კომისია თურქეთის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით.

ინგლისი მოითხოვდა სტამბოლის გარნიზონის შემცირებას 10 ათას ჯარისკაცამდე და სრუტეებზე თავისუფალ ნაოსნობას ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის.

ინგლისის მიერ შედგენილი სრუტეების სტატუსის პროექტი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რადგან იგი შესაძლებლობას იძლეოდა გამოეყენებინათ სრუტეები ანტისაბჭოთა მიზნით. მიუხედავად ამისა, რომ ინგლისის პროექტმა შელახა თურქეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების ინტერესები, მას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და სხვა სახელმწიფოების დელეგატებმა.

თურქეთის პროექტი აღიარებდა სრუტეებზე თავისუფალ მიმოსვლას ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის და სუვერენიტეტის დაცვას სრუტეებსა და სტამბოლზე. აკრძალული იყო შავ ზღვაზე უცხოეთის სამხედრო გემების ყოფნა.

სრუტეების ახალი კონვენციით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე მმართველობა გადაეცა ,,სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს," რაც ფაქტიურად მოასწავლებდა მასზე ანტანტის სახელმწიფოების კონტროლის დაწესებას.

კონვენციის რიგი პუნქტები ლახავდა თურქეთის სუვერენიტეტს და ამავე დროს მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მოახდინა შავი ზღვის სრუტეების კონვენციის რატიფიკაცია, რადგან იგი არ პასუხობდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს.

კაპიტულაციების რეჟიმი იყო ერთ-ერთი იარაღი თურქეთის საშინაო საქმეების ჩარევისა და მისი ეკონომიკური დაკაბალებისა. თავდაპირველად კაპიტულაციები გულისხმობდა გარკვეულ შეღავათებსა და პრივილეგიებს, რომელსაც ოსმალეთის სულთანი თავის ნება-სურვილით აძლევდა უცხოელ კომერსანტებს ოსმალეთის სახელმწოფოს ტერიტორიაზე ვაჭრობის დროს.

1914 წლის სექტემბერში ოსმალეთმა გამოაცხადა კაპიტულაციების რეჟიმი გაუქმებულად. დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ეცნოთ ოსმალეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება. 1918 წელს, ოსმალეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ, მათ დაუყოვნებლივ აღიდგინეს თავისი პრივილეგიები. ინტერვენტების დამარცხების შემდეგ ქემალისტებმა განაცხადეს, რომ კაპიტულაციები შეუთავსებელია თურქეთის სუვერენული სახელმწიფოს სტატუსთან.

ლოზანის კონფერენციაზე მოკავშირეებმა დასვეს კაპიტულაციების რეჟიმის აღდგენის საკითხი.

მოკავშირეთა სახელმწიფოები ბოლოს დათანხმდენ კაპიტულაციების გაუქმებას, მაგრამ მოითხოვეს გარანტიები გარდამავალი პერიოდისათვის, რასაც თურქეთის დელეგაცია არ დათანხმდა. საბჭოთა რუსეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას. ასეთ ვითარებაში ანტატის სახელმწიფოები იძულებული შეიქმნენ დათანხმებულიყვნენ კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას.

ლოზანის კონფერენციაზე ანტანტის სახელმწიფოები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თურქეთზე თავიანთი ფინანსური და ეკონომიკური კონტროლი. საკითხების დეტალური შესწავლის მიზნით შეიქმნა ხუთი ქვეკომისია: პირველ - საგერეო სახელმწიფი ვალისა და რეპარაციების, მეორე - კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის, მესამე - საბაჟოებისა და სავაჭრო რეჟიმის, მეოთხე - ომის წლებსა და ოკუპაციის პერიოდში ეკონომიკური საკითხებისა და მეხუთე - სანიტარული საკითხების განსახილველად.

ფინანსური ექსპერტების გამოანგარიშებით თურქეთის საგარეო ვალი 1914 წლის პირველ ნოემბრისათვის შეადგენდა 143 მილიონ თურქულ ოქროს ლირას.

სერიოზული კამათი გამოიწვია ომის დროინდელი ვალების გადახდის საკითხმა, რომლის საერთო თანხა შეადგენდა 289 მილიონ ოქროს ლირას. მოკავშირეები მოითხოვდნენ რომ მთელი ეს თანხა გადაეხადა თურქეთს, ხოლო თურქები მოითხოვდნენ ომის წლების ხარჯები განაწილებულიყო მთელი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე 1914 წლის საზღვრებში.

ფინანსურ საკითხებზე წარმოქმნილმა უთანხმოებებმა გამოიწვია ლოზანიის კონფერენციის ჩაშლა, წინააღმდეგობას იწვევდა აგრეთვე კაპიტულაციების საკითხი და თურქეთში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა.

1923 წლის 23 იანვარს მოკავშირეებმა თურქეთს წარუდგინეს საზავო ხელშეკრულების პროექტი. იგი შედგებოდა 9 თავისა და 160 მუხლისაგან, ფაქტიურად ეს იყო სევრის ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რომელიც საგრძნობლად ბღალავდა თურქეთის ეროვნულ ინტერესებსა და დამოუკიდებლობას. თურქეთმა უარი განაცხადა მიეღო მოკავშირეთა ხელშეკრულების პროექტი (სვანიძე, 2007:250).

1923 წლის 4 თებერვალს კონფერენციამ შეწყვიტა მუშაობა. მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა ვერ გაბედეს განეახლებინათ საომარი ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ.

კონფერენციის ჩაშლის შემდეგ თურქეთში გაძლიერდა მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ გამოსვლები, თავი წამოყო ოპოზიციამ. 7 მარტს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების უმრავლესობამ უარყო მოკავშირეთა მიერ შემოთავაზებული საზავო ხელშეკრულების პროექტი, გამოუცხადა ნდობა თურქეთის დელეგაციას და დაავალა მას გაეგრძელებინა მოლაპარაკებები, რომელიც შეესაბამებოდა თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

1923 წლის 1 მარტს მოკევშირეთა დელეგაციების მეთაურები შეიკრიბნენ ლონდონში თურქეთის პროექტის განსახილველად. 27 მარტს მოკავშირეები დათანხმდნენ განეახლებინათ მოლაპარაკება.

1923 წლის 23 აპრილს გაიხსნა ლოზანის კონფერენციის მეორე სესია. პირველი სესიისგან განსხვავებით, იგი მიმდინარეობდა უფრო მშვიდობიან ატმოსფეროში, მხარეები ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

1923 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერეს სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყზე, სირიაზე, პალესტინაზე, იორდანიაზე, ეგვიპტეზე, სუდანზე, ლიბიაზე და აღიარა ინგლის მიერ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა.

თურქეთმა აღიარა შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთი თვითონ განაგებდა თავის ფინანსებს, გაუქმდა დიდი სახელმწიფოების ფინანსური კონტროლი, მთლიანად გაუქმდა კაპიტულაციების რეჟიმი, თურქეთში მცხოვრები უცხოელები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის კანონმდებლობას.

ლოზანში ხელმოწერილი იქნა აგრეთვე კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ. ამ კონვენციის საფუძველზე მილიონ ნახევარი ბერძენი გადასახლდა თურქეთიდან საბერძნეთში, ხოლო 500 ათასი თურქი საბერძნეთიდან თურქეთში დაბრუნდა.

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ყველა სახელმწიფოს მიერ მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობა.

მიუხედავად რიგი კომპრომისისა და დათმობისა, მთლიანობაში ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა თურქეთის სერიოზულ გამარჯვებას.

მუსტაფა ქემალმა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის (1920 წ. 23 აპრილი) შემდეგ მიზნად დაისახა სასულთნოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება. მან კარგად იცოდა, რომ ეროვნული კრების დეპუტატები ამ საქმეში მხარს არ დაუჭერდნენ, რადგან დეპუტატების უმრავლესობა სულთნისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, მეჯლისის შემადგენლობაში არ იყვნენ მუშები, გლეხები, ხელოსნები. არ ჩანდა ის ძალა, რომელიც გახდებოდა დასაყრდენი რევოლუციური გარდაქმნების დროს.

მუსტაფა ქემალი ცდილობდა დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ ეს რეფორმები, რომლებიც წინათ თურქეთში ჩატარდა, არ შეიძლება გამხდარიყო ახალი თურქეთის პოლიტიკური მოწყობის საფუძველი, ამისათვის კი საჭირო იყო რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნები.

მუსტაფა ქემალი პირველ ეტაპზე არ აპირებდა სასულთნოს გაუქმებას, არამედ ცდილობდა სულთნის ავტორიტეტის შელახვას, მისი პოზიციების დასუსტებას, რათა მოემზადებინა ნიადაგი შემდგომში მისი დამხობისათვის. მუსტაფა ქემალი ამბობდა, რომ მეჰმედ VI მოღალატეა სამშობლოსა და ერის წინაშე. იგი არის იარაღი მტრის ხელში, ამასთანავე არ შეიძლება სულთან-ხალიფა იყოს ის პიროვნება, რომელიც მოღალატეა. და არ შეიძლება მის წინაშე ეროვნულმა კრებამ ფიცი დადოს. მუსტაფა ქემალის აზრით, ასევე არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო დადგენილება მეჰმედ VI-ის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ და მისი შეცვლა სხვა სულთნით, რადგან იგი იმყოფებოდა სტამბოლში, არ დაემორჩილებოდა ეროვნული კრების გადაწყვეტილებას და ამას შეიძლება გამოეწვია მათ შორის დაპირისპირება და დინასტიური ომი. მუსტაფა ქემალი მოითხოვდა, რომ ახალ კანონში არ ყოფილიყო შეტანილი მუხლი სულთან-ხალიფას შესახებ.

დისკუსია მეჯლისში ცხრა თვეს გაგრძელდა, ოპოზიცია წავიდა დათმობაზე მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1921 წლის 10 იანვარს ქემალისტებმა სოფელ

ინონუსთან ბერძნებზე მოიპოვეს პირველი გამარჯვება (გიგინეიშვილი, 1983:65).

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ,,ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“. ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის დროებითი კონსტიტუცია, მან დაადასტურა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არის თურქეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც ეკუთვნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. კანონი განსაზღვრავდა ეროვნული კრების თავმჯდომარის, დეპუტატების, მთავრობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის ფუნქციებს. ხოლო სულთან-ხალიფას შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ფორმალურად ,,კანონი ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“ კი არ აუქმებდა 1876 წლის კონსტიტუციას, არამედ ავსებდა ძველ კონსტიტუციას, ფორმალურად სულთანი ინარჩუნებდა თავის ხელისუფლებას.

მუდანიის დროებითი ზავის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა გაეუქმებინა სულთნის ხელისუფლება. მაგრამ მას კარგად ეროვნულ კრებაში დროებითი კონსტიტუციის მიღების დროს, ოპოზიცია როგორ თავდადებით იცავდა სულთანს და მხოლოდ ცხრა თვის კამათის შემდეგ მიღებულ იქნა კომპრომისული წინადადება.

ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო მეტად გაემწვავებინათ ურთიერთობა ქემალისტებსა და სულთნის ხელისუფლებას შორის და ამ მიზნით გამოეყენებინათ თურქეთში არსებული ორხელისუფლებიანობა.

ბერძნებზე მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ, მუსტაფა ქემალის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. თუ სულთნის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებდა სამშვიდობო საზავო კონფერენციაში, მისი შერყეული ავტორიტეტი ამაღლდებოდა და მისი ტახტიდან გადაყენების საკითხი, შესაძლებელია, დღის წესრიგიდან მოხსნილიყო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მუსტაფა ქემალს კარგად ესმოდა, რომ ერთდროულად სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა სულთნის ხელისუფლება ორად გაეყო და ეტაპობრივად გაეუქმებინა, რათა არ გამოეწვია სულთნის მომხრეების გამოსვლები. ეს იყო მუსტაფა ქემალის სწორი და ბრძნული გადაწყვეტილება.

1922 წლის პირველ ნოემბრამდე ცოტა ხნით ადრე, რაუფ ბეის თხოვნით მოხდა ქემალ ფაშასთან შეხვედრა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ რეფეთ ფაშა და ფუად ფაშა. რაუფ ბეიმ შეშფოთება გამოთქვა: გავრცელდა ხმა, რომ აპირებენ ტახტისა და შესაძლებელია თვით სახალიფოს გაუქმებას. ამის გამო რაუფ ბეიმ განაცხადა: ,,მე სულითა და გუილთ სულთნის და ხალიფას ერთგული ვარ, რომ ჩემი ვალია ბოლომდე დავრჩე ფადიშაჰის ერთგული“. რაუფ ბეის განცხადების შემდეგ, მუსტაფა ქემალმა ჰკითხა რეფეთ ფაშას, თუ რას იტყვის იგი ამის შესახებ. რეფეთ ფაშამ უპასუხა, რომ იგი სავსებით იზიარებს რაუფ ბეის აზრს. სინამდვილეში მათ არ წარმოუდგენიათ მმართველობის სხვა ფორმა გარდა სასულთნოსა და სახალიფოსი.

მუსტაფა ქემალმა დაამშვიდა ორივენი და განაცხადა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და რომ სულთანს არაფერი არ ემუქრებოდა. 1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ერვნული კრების სხდომაზე შეტანილი იქნა წინადადება სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების ღალატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევისა და მხოლოდ სასულიერო პრეროგატივის შენარჩუნების შესახებ. ცხარე დისკუსიის შემდეგ, 1 ნოემბერს დილის სხდომაზე ეს წინადადება ხმების უმრავლესობით არ იქნა მიღებული. კლერიკალები ამტკიცებდნენ, რომ საერო ხელისუფლების გამოყოფა სასულთნოსაგან წარმოადგენს რელიგიურ საწყისებზე თავდასხმას, რომ ფადიშაჰის პრეროგატივები წმინდაა და განასახიერებს ამ ქვეყნად ღმერთის ხელისუფლებას.

მუსტაფა ქემალი იძულებული შეიქმნა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება ისლამის, სახალიფოსა და ოსმალეთის ისტორიის შესახებ. რათა უკუეგდო კლერიკალი დეპუტატების არგუმენტები, მაგრამ კლერიკალები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას და ასაბუთებდნენ სულთნის ხელისუფლებისაგან გამოყოფის შეუძლებლობას. ქემალმა აშკარად ვერ გაბედა გამოსულიყო სასულიერო პირების წინააღმდეგ, მაგრამ მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები მათი უსაფუძვლო დებატების წინააღმდეგ. ,,ბატონებო, განაცხადა მუსტაფა ქემალმა, სუვერენიტეტი, ძალაუფლება არავის გადაცემია აკადემიური

დისკუსიის შედეგად. ძალის გამოყენების გზით ოსმალო სულთნებმა მოიპოვეს ძალაუფლება თურქებზე, რომლებზედაც ისინი ბატონობდნენ ექვსი საუკუნის განმავლობაში, ახლა ეს ხალხი აღსდგა უზურპატორების წინააღმდეგ და უკუაგდებს მათ და ხელში აიღებს სუვერენიტეტს, რომელიც მას ეკუთვნის კანონის საფუძველზე, ეს მომხდარი ფაქტია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაღიაროთ მომხდარი ფაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია რამდენიმე თავი გაგორდესო“ (ეროღლუ, 2005:133).

ერთ-ერთმა დეპუტატმა რეპლიცა ესროლა: ,,ბოდიში, ჩვენ საკითხს სრულიად სხვა კუთხით ვიხილავდით. ეხლა ჩვენ საქმის კურსში ვართო” (ათათურქი, 1973:301).

მუსტაფა ქემალმა რკინისებური ლოგიკისა და ზემოქმედების ძალით დაარწმუნა მოწინააღმდეგენი მხარი დაეჭირათ მისი წინადადებებისათვის, ამის შემდეგ საკითხი მარტივად გადაწყდა. საღამოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს კანონი სულთანის საერო ხელისუფლების გაუქმების შესახებ.

1922 წლის 1 ნოემბერს ეროვნულმა კრებამ დაადგინა გაუქმებულიყო სულთნის საერო ხელისუფლება. არსებობა შეწყვიტა სულთნის მარიონეტულმა მთავრობამ, ხელისუფლება სტამბოლში ეროვნული კრების ხელში გადავიდა. ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI (ვაჰიდედინი) იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ თურქეთის ეროვნულმა კრებამ აღძრა საქმე ღალატის შესახებ, 1922 წლის 17 ნოემბერს, ინგლისელების დახმარებით, გაიქცა თურქეთიდან. მეორე დღეს, 18 ნოემბერს, უფლისწული აბდულმეჯიდი არჩეულ იქნა ,,ყველა მუსლიმთა ხალიფად“.

ეროვნულმა კრებამ გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება და დაუტოვა მას სასულიერო ხელისუფლება (ხალიფობა). მუსტაფა ქემალის მიზანი იყო რესპუბლიკის გამოცხადება.

მეჯლისის შიგნით ამ პერიოდში გამწვავდა ბრძოლა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე და სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე.

ქემალისტებს ამ საკითხზე წინააღმდეგობრივი შეხედულება ჰქონდათ. უმრავლესობა თვლიდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო ნახევრად თეოკრატიული რეჟიმი. ეროვნულ კრებაში შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი თურქეთის მომავალ პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებით.

პარლამენტის ერთ-ერთმა მთავარმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება - თურქეთი გამოეცხადებინათ კონსტიტუციურ მონარქიად. რაუფ ბეი, ქემალისტების ერთ-ერთი ლიდერი უპირატესობას ანიჭებდა სასულთნოს. ამის გამო, მუსტაფა ქემალსა და მათ შორის შეიქმნა სერიოზული უთანხმოება. რაუფ ბეიმ კონტაქტი დაამყარა ქემალის მოწინააღმდეგე ჯგუფთან. რაუფ ბეი საყვედურობდა მუსტაფა ქემალს, რომ იგი სათანადოდ არ აფასებდა განმათავისუფლებელ ომში ქიაზიმ ყარაბექირის, ალი ფუად ფაშისა და რაუფ ბეის ღვაწლს. რაუფ ბეი აშკარად გამოვიდა ქემალის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ქემალმა თავის ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება, სხვა გენერლებმაც ამ საკითხში მხარი დაუჭირეს რაუფ ბეის. ქემალისტებს შორის წარმოიშვა პირველი სერიოზული განხეთქილება. პარლამენტში შეიქმნა ოპოზიციური გენერლების ჯგუფი რაუფ ბეის მეთაურობით.

ოპოზიციამ გადაწყვიტა ესარგებლა ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის რთული მდგომარეობით და მეჯლისში გააძლიერა გამოსვლები მუსტაფა ქემალ ფაშას წინააღმდეგ. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ ხელისუფლება სულთნისათვის და წასულიყვნენ დათმობაზე ანტანტის სახელმწიფოების მიმართ.

1923 წლის 6 მარტს ოპოზიციის დეპუტატებმა მოითხოვეს შეეტანათ ცვლილება საარჩევნო კანონში. მათი კანონპროექტის მიხედვით. მეჯლისის დეპუტატი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის პირი, რომელიც დაბადებული იყო ანატოლიაში და აღმოსავლეთ თრაკიაში, ან რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საარჩევნო ოლქში არანაკლებ ხუთი წლისა. ეს კანონპროექტი უშუალოდ მიმართული იყო მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ, რადგან იგი დაიბადა სალონიკში, რომელიც იმ დროს აღარ შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში და არ უცხოვრია ერთსა და იმავე ადგილას ხუთი წლის განმავლობაში. ოპოზიციის ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა ოპოზიციის საბოლოოდ წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და ვადამდე ადრე ჩაეტარებინა პარლამენტში არჩევნები.

1923 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა დადგენილება პარლამენტში ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ.

8 აპრილს, არჩევნების წინ, მუსტაფა ქემალმა გამოაქვეყნა ცხრა პრინციპისაგან შემდგარი სახალხო პარტიის თეზისები, რომელიც ამავე დროს იყო წინასაარჩევნო პროგრამა. ,,მე მოვუწოდე, წერდა მუსტაფა ქემალი, ყველა პატრიოტს, მეცნიერსა და ხელოვნების მოღვაწეს დასახმარებლად, მიეღოთ მონაწილეობა პარტიის პროგრამის შედგენაში“ (მაკარაძე ,2014:12).

ამ ცხრა პრინციპის მიხედვით, თურქეთის სუვერენიტეტი ეკუთვნის ერს, რომლის ნების გამომხატველია ერთადერთი ორგანო - თურქეთის დიდი ეროვნული კრება. ყველა კანონი მიღებული უნდა იყოს ამ პრინციპის გათვალისწინებით.

1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. ქემალისტებმა არჩევნებში მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება.

1923 წლის 23 აგვისტოს გაიხსნა მეორე მოწვევის თურქეთის დიდი ეროვნული კრება. რომელმაც მუსტაფა ქემალი აირჩია მის თავმჯდომარედ, ეროვნულმა კრებამ მოახდინა ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

1923 წლის 9 სექტემბერს მოწვეული იქნა სახალხო პარტიის დამფუძნებელი კრება და 11 სექტემბერს ოფიციალურად გამოცხადდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დაარსება, რომელიც ,,უფლებათა დაცვის პირველი ჯგუფის“ ბაზაზე შეიქმნა. პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა გარდაცვალებამდე (1938 წლის 10 ნოემბერი) (მანჩხაშვილი, 2014:23).

6 ოქტომბერს თურქეთის ჯარები შევიდნენ სტამბოლში, დამთავრდა ქვეყნის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. 13 ოქტომბერს ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად, რომელიც 1919 წლიდან იყო თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი.

მიუხედავად იმის, რომ პარლამენტის ოპოზიციის წინააღმდეგობა დაძლეული იყო, საქმე მაინც არ დამთავრდა პატარა წინააღმდეგობის გარეშე. როდესაც გავრცელდა ხმები, რომ მუსტაფა ქემალი აპირებდა რესპუბლიკის გამოცხადებას, მემარჯვენეთა ლიდერებმა კულისებში დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო.

მთელი ქვეყანა ზეიმობდა ინტერვენტებზე გამარჯვებას. ოპოზიცია დათრგუნული იყო, ასეთ ვითარებაში მუსტფა ქემალმა გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი მიზანი - გამოეცხადებინა რესპუბლიკა.

1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალმა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას და მეჯლისს წარუდგინა ისმეთ ფაშასთან ერთად შემუშავებული პროექტი, რომელიც შედგებოდა სამი პუნქტისაგან: 1. თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა - რესპუბლიკა; 2. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურობს თურქეთის დიდი ეროვნული კრება; 3. თურქეთის სახელმწიფოს შინაგანაწესს მართავს მინისტრთა საბჭო.

1923 წლის 29 ოქტომბერს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება თურქეთი გამოცხადებულიყო რესპუბლიკად. 15 წუთის შემდეგ მუსტაფა ქემალი, ასევე ერთხმად აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად, რომელსაც სათავეში სიკვდილის ბოლომდე ედგა.

დასკვნა

ამგვარად, I მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხებამ ანტანტის ქვეყნებს შორის დღის წესრიგში დააყენა მისი დანაწილების საკითხი. სულთნის მთავრობა, იმისთვის, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინა, იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა კაბალურ საზავო ხელშეკრულებებზე. ანტანტის ქვეყნების მიერ სტამბოლისა და სრუტეების ოკუპაციამ და სხვადასხვა ფრონტზე მიმდინარე ბრძოლამ ანატოლიის მოსახლეობა განაწყო სამშობლოს დასაცავად. ასეთ ვითარებაში თურქეთში დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც 1923 წელს დასრულდა – ქვეყნის ოკუპანტებისაგან განთავისუფლებითა და სულთნის მონარქიის ლიკვიდაციით. თურქეთი გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკად.

ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სამხედროები და ინტელიგენცია გენერალ მუსტაფა ქემალის მეთაურობით.

რევოლუციამ ჩამოაგდო ფეოდალური-მონარქიული წრეების ხელისუფლება და მოიგერია იმპერიალისტების თავდასხმები. ამავე დროს ქემალისტები იცავდნენ ნაციონალურ-ბურჟუაზიის ინტერესებს, ეს რევოლუცია ვერ გასცდა ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ მოქმედებას. ისმეთ ინონიუ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შესახებ მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ეს იყო ,,ძირითადად ჯარის რევოლუცია.“

ქემალისტური ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოვლენა იყო ლოზანის კონფერენცია, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1923 წლის 24 ივლისს თურქეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ შეთანხმებამ დაუდო საფუძველი ახალი სახელმწიფოს - თურქეთის რესპუბლიკის შექმნას. თუ მოძრაობამ მუსტაფა ქემალის მეთაურობით მიიღო თურქი ხალხის ნაციონალური ისტორიის დაწყების სახელწოდება, მაშინ ლოზანის ხელშეკრულება, შეიძლება ჩაითვალოს თურქეთში ეკონომიკური ისტორიის დასაწყისად. ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა ისტორიის გამოძხილს არა მარტო თურქეთისათვის, არამედ ყველა კოლონიური და ნახევრადკოლონიური აღმოსავლური ქვეყნებისათვის.

თურქეთი გამარჯვებულის რანგში არაერთხელ გამოსულა. თუმცა, ლოზანამდე ის არასოდეს გადაქცეულა აღმოსავლური ისტორიის მაგალითად. ამ ნახევარკოლონიურმა აზიურმა სახელმწიფომ მოახერხა არა მარტო მოეგო ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ერთიან ფრონტზე, არამედ აიძულა ისინი ეღიარებინათ თავიანთი დამარცხება.

ქემალისტური რევოლუციის თაობაზე საინტერესო შეფასებას იძლევა ქართველი თურქოლოგები (მ. სვანიძე; გ. სორდის; ზ. ბატიაშვილი; ე. მაკარაძე) - ქემალისტური რევოლუცია თავისებურებებით ხასიათდებოდა: ქემალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია ასეთ თანმიმდევრობას - ჯერ რევოლუციური თეორია, შემდეგ რევოლუცია. თურქეთში მოხდა პირიქით - ჯერ რევოლუცია და მხოლოდ შემდეგ, რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა ქემალიზმი. როდესაც მუსტაფა ქემალი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მას მომავლის არავითარი პროგრამა არ ჰქონდა შემუშავებული.

სულთნის ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში მუსტაფა ქემალმა დიდი დიპლომატიური ნიჭი და პოლიტიკური ალღო გამოამჟღავნა. მართალია, რევოლუციური გარდაქმნების დროს იგი მოლაპარაკებასთან ერთად ქვეყნის მომავლისათვის ზოგჯერ მიმართავდა ზემოქმედებასა და მუქარას, უკიდურეს შემთხვევაში იარაღსაც იყენებდა.

თურქეთის უახლეს ისტორიაში მუსტაფა ქემალს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, რელიგიის დამცველიც, სახელმწიფო მოღვაწე,

რევოლუციონერიც და რეფორმატორიც. მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად თურქეთი გადაიქცა რესპუბლიკურ, ნაციონალურ, ხალხოსნურ, ეტატისტურ, ლაიცისტურ და რევოლუციონურ სახელმწიფოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

I. წყაროები

1. Atatürk Kemal, Nutuk, c.II, İstanbul, 1973.
2. Atatürk Kemal, Nutuk, c.III , İstanbul, 1975.

II. ლიტერატურა

1. აფხაზავა თ., ,,ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში.“ დისერტაცია, თბილისი, 2006;
2. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000;
3. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982;
4. გიგინეიშვილი ო., ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983;
5. წულაძე ი., „ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.“ დისერტაცია, თბილისი, 1999;
6. მაკარაძე ე., თანანმედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002;
7. მაკარაძე ე., თურქული ნაციონალიზმის არსის საკითხისათვის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. IV. (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, 2002;
8. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი,“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.
9. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009;
10. მაკარაძე ე., მანჩხაშვილი მ., ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში, თბილისი, 2014.

Gogoberidze Rusudan

Mustafa Kemal Ataturk and National-Liberation Movement in Turkey in 1918-1923

Abstract

The end 10-ies and the beginning of 20-ies of XX century is characterized by sharp changes in the life of Turkey. In this paper, we tried to speak about the role of founder of the Republic of Turkey, Mustafa Kemal Ataturk in national freedom movement of Turkey of 1918-1923, political structure, its history and contemporary life, determination of the political orientation of Turkey that actively promoted formation of the political system in modern Turkey.

Mustafa Kemal Ataturk is not only the past of Turkey. This person distributed much in determination of the present and future of the country. The official doctrine of the state arrangement of the Republic of Turkey is based on the principles of the founder of the republic, the great reformer, Mustafa Kemal Ataturk and that is known in Turkey as Kemalism.

Mustafa Kemal is a great contributor to the history of Turkey. The phenomenon of Ataturk is that he used to be the military servicemen, the defender of faith, the state figure, the revolutionary and the reformer simultaneously. As a result of his reforms, Turkey has turned into a republican, national, peoples, etatistic, laicistic and revolutionary state.

Key words: national freedom movement, the principles of kemalism, Republic of Turkey.

,,თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები 2002-2017 წლებში“

მაიკო შანთაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,ისტორია, I კურსი
ელ.ფოსტა; maia.shantadze94@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი : ემზარ მაკარაძე,
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქცია

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები 2002-2017 წლებში.

დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და რუსეთს შორის, ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღ-მავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთი-ერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომ-ლობას ორ ქვეყანას შორის.

ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია, რუსეთის ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც სწორედ ის ახდენდა დიდ გავლენას თურქეთის პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ქვეყნის რეალური და პოტენციური ძალა თანაბარი არ იყო, ცივი ომის წლებში თურქეთი გადაიქცა ნატოსა და დასავლეთის ბლოკის დასაყრდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთი იყო ერთ-ერთი იმ ქვეყნებს შორის, რომე-ლიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროების გამყოფ ზღვარზე აღმოჩნდა. ალბათ, ამიტომაც, ანუ გეოგრაფიული მდებარეობის თავისებუ-რებების გამო, თურქეთი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული პირო-ბების მქონე ქვეყნად წარმოჩნდა. რუსეთთან ურთიერთობები, სწორედ, ამ ღერძის ირგვლივ ვითარდებოდა და ნაწილობრივ ვითარდება დღესაც.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-თურქეთის, პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონო-მიკური და სტრატეგიული მეგებრული ურთიერთობები.

შესავალი

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე შექმნილი სიტუაცია გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამ პერიოდისთვის მოსკოვს უკვე აღარ ჰქონდა რეალური შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიასა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში უცხო სახელმწიფოების შემოსვლისთვის შეეშალა ხელი, ამიტომ მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო რეგიონში მეორე ძლიერ სახელმწიფოსთან სტაბილური ურთიერთობა, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ რუსეთი და თურქეთი აქტიურ ეკონომიკურ პარტნიორებად მოგვევლინენ, ფაქტიურად ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებამ სტარტი თავიდან აიღო და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ აქტუალობა შეიძინა. თუმცა, უკანასკნელ ათწლეულებში ამ ქვეყნებს შორის გარკვეულმა დაპირისპირებებმაც იჩინა თავი, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორებიცაა: აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი; ეთნიკური სეპარატიზმის მხარდაჭერა; დაპირისპიება მილსადენების მარშუტების გამო; „სრუტეების შეთანხმების“ საკითხი და სხვა.

როგორც დავინახეთ, რეგიონული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით თურქეთისა და რუსეთის პოზიციებში მკვეთრი განსხვავებები გამოიკვეთა, რამაც ეს ქვეყნები დაპირისპირებამდე მიყვანა და რომ არა დაბალანსებული პოლიტიკის გატარება, შესაძლოა ომის მომსწრენი გავმხდარიყავით.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნულ თემაზე არსებული ლიტერატურა.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი მეცნიერების გამოკვლევები. ამ კუთხით, აღნიშვნის ღირსია, ცნობილი ქართველი თურქოლოგის, პროფესორ მ. სვანიძის (თურქეთის ისტორია (1299 – 2007) მონოგრაფია, სადაც ავტორი, პირველწყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით გვაწვდიან საინტერესო მასალას თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სხვადასხვა ეტაპზე.

საინტერესო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის (ალასანია გ., გელოვანი ნ., სანიკიძე გ.,) მიერ გამოცემული ნაშრომი - „ახლო

აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI ს-ის დასაწყისი)“. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე თურქეთს და მის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

აღსანიშავია, დოქტორანტ მაია მანჩხაშვილის მიერ თურქულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელო - ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990 – 2008 წლებში“. მკვლევარმა, მდიდარი ლიტერატურისა და წყაროების გამოყენებით, სისტემაში მოიყვანა და ფართო სამსჯავროზე გამოიტანა პრობლემა, სადაც ახლებურადაა წარმოჩენილი თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხები თანამედროვე ეტაპზე. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ჩვენთვის წინამდებარე ნაშრომი.

საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს აგრეთვე, ცნობილი თურქი მეცნიერების შრომებისაგან შემდგარი სამეცნიერო კრებული ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1980-2001 წლებში“, ნაწილი II, სადაც საფუძვლიანადაა აღწერილი აღნიშნული პერიოდის თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა. მოცემულია დოკუმენტები და წარმოდგენილია, გაკეთებულია გარკვეული ანალიზი ცალკეულ საკითხთან მიმართებით.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთი სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. ამ პერიოდისთვის შეიძლება ვთქვათ გაქრა საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხე, რამაც თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზე თავისი პოზიტიური გავლენა მოახდინა. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით აშკარა პროგრესი იგრძნობოდა. ამ პერიოდში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა რუსეთსა და თურქეთს შორის. 1992 წლის 12-14 დეკემბერს ორ ქვეყანას შორის ანკარაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელწოდებით „500 წელი თურქულ-რუსულ ურთიერთობებში“, სიმპოზიუმზე უარი ეთქვა მტრობის ისტორიას რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამ ხალხების დაპირისპირებას იწვევდა. შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელსაც დაევალა რუსეთ-თურქეთის ისტორიის ხელახლა შესწავლა და დაწერა **[კომახიძე, 2007: 25].**

,,ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა „ძალთა ვაკუუმი“, რომლის

შევსებასაც თურქეთის რესპუბლიკა შეეცადა. 1990-იანი წლებიდან თურქეთში თანდათან ჩნდება ევრაზიულობის გეოპოლიტიკური კონცეფცია. დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ თურქეთი ესაა ევრაზიის გეოგრაფიულად ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული, რათა ტრანსკონტინენტური გავლენები გაავრცელოს.

ამავე პერიოდიდან თურქეთის რესპუბლიკა იწყებს მცდელობას, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული, გეოგრაფიული მდებარეობა და გახდეს „ღერძული ქვეყანა", ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. აღნიშნული მიზნებისათვის ანკარამ 90-იანი წლებიდან დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავება, რომელიც უშუალოდ დაუკავშირა ცენტრალურ აზიურ და კავკასიურ პოლიტიკას, რასაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა სსრკ-ს სამართალმემკვიდრის, რუსეთის სახელმწიფოში არსებული შიდა არეულობები და მის რეგიონში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა **[ჭიღვარია, 2010:156].**

უნდა ავღნიშნოთ, ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონი „კონფლიქტების" ობიექტი გახდა. სადაც, თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა დაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდა; თუმცა თურქეთი სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსკოვთან დაპირისპირებას ერიდებოდა და ცდილობდა მასთან დელიკატური და ფრთხილი პოლიტიკა გაეტარებინა. თუმცა იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ეს არ გამოსდიოდა. მაგალითად, 1992 წლის მაისში, როდესაც აზერბაიჯანულ-სომხურმა კონფლიქტმა ნახჭევანში გადაინაცვლა, თურქეთი როგორც აზერბაიჯანის მოკავშირე და მოძმე სახელმწიფო, იძულებული გახდა აქამდე სომხეთთან არსებული თავშეკავებული ბოლიტიკა ხისტი პოლიტიკით შეეცვალა, ამით კი თურქეთი ფაქტიურად სომხების მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგაც მიდიოდა და როგორც მოსალოდნელი იყო, დსთს სამხედრო ძალების რუსი მეთაური ი. შაპაშნიკოვი მუქარით გამოვიდა, რომ კონფლიქტში მესამე ძალის ჩართვას შესაძლოა „მესმე მსოფლიო ომი" მოჰყოლოდა **[მანჩხაშვილი,2013:147].** 1992 წლის 25 მაისს თურქეთის პრემიერ მინისტრმა სულეიმან დემირელმა მოსკოვში ვიზიტის დროს რუსეთს გარანტია მისცა, რომ ნახჭევანში სამხედრო ძალას

არ გამოიყენებდა. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას „ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითადი პრიციპების შესხებ“.

მთიანი ყარაბაღის ომთან დაკავშირებით 1993 წლის მეორე ნახევარში რუსეთის ელჩმა აზერბაიჯანში ვ. შონიამ აღნიშნა, რომ – „თურქეთი მიმართავს ეშმაკობას“ და საჭიროა მისი მკაცრად გაფრთხილება, რომ უარი თქვას უფროსი ძმის როლზე კავკასიაში“. ამასთან დაკავშირებით კი თურქეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილრმა შეშფოთბული მოსკოვი 1993 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციაში ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადებით დაამშვიდა, რომ „თურქეთი და რუსეთი რეგიონს უყურებენ ერთი და იმავე „ფანჯრიდან“ **[მანჩხაშვილ,2013:148].**

ზოგადად თუ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს გადავხედავთ შევამჩნევთ რომ 90-იან წლებში მათ შორის საკმაოდ თავშეკავებული და ზომიერი პოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ერთისმხრივ მხარეებს შორის გრძელდებოდა გეოპოლიტიკური გავლენის სფეროებზე კონკურენცია, მეორეს მხრივ კი უფრო ინტენსიური ხდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაში, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კავკასიის საკითხი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) დამოუკიდებელნი გახდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 2000 წლამდე კავკასიის ქვეყნებთან და ზოგადად თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების განმსაზღვრელ ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: მთიანი ყარაბაღის პრობლემა, მილსადენების პროექტებთან დაკავშირებული კონკურენცია, ჩეჩნეთის ომი და მსგავსი საკითხები.

აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფ მთიან ყარაბართან დაკავშირებით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაწყებული უთანხმოება კავკასიის რეგიონში თურქეთ-რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ზოგადად აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთმა დაიწყო ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა სხვადასხვა

სფეროში, რითაც ცდილობდა ახალი დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოს რუსეთის გავლენისგან დახსნას.

ურთიერთობები თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 1992 წელს, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერის აბულფაზ ელჩიბეის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რომელიც მომხრე იყო თურქეთ-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების ყველა დონეზე განვითარებისა, განსაკუთრებით აზერბაიჯანული ნავთობის დამუშავების საკითხთან დაკავშირებით სურდა რუსეთი დაეტოვებინა პროცესებს მიღმა და მთლიანად გადართულიყო თურქეთთან ურთიერთობაზე. ლოგიკურია, ეს არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში და მოვლენათა ამგვარი განვითარება ქმნიდა რუსეთ-თურქეთს შორის დაპირისპირების წინაპირობას.

თურქეთისთვის რეგიონალურ სახელმწიფოებს შორის ომებიდან, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე ეს კონფლიქტი ყველაზე მძიმე იყო, რომლის დროსაც ანკარა დადგა შიდა პოლიტიკური ზეწოლისა და საგარეო რეალობის შეთანხმების რთული ამოცანის წინაშე. მაშინ როდესაც, თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ცალსახად აზერბაიჯანელებს უჭერდა მხარს, მთავრობას არ შეეძო აზერბაიჯანისთვის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე მეტი გაეწია. რასაც შემდეგი მნიშვენელოვანი ფაქტორები განსზაღვრავდნენ: 1. რუსეთი მხარს უჭერდა სომხეთს; 2. თურქეთს სურდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთან, რომელიც თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასუსტდა, ის მაინც ინარჩუნებდა ძალას; 3. აშშ-სა და საფრანგეთში საკმაოდ გავლენიანი სომხური დიასპორა ძალზე აქტიურად უჭერს მხარს სომხეთს მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით. 4. ნატოს არ სურდა ჩარეულიყო მთიანი ყარაბაღის საკითხში, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთი (ფაქტიურად, ნატომ თურქეთი, რუსეთის პირისპირ მარტო დატოვა ამ კონფლიქტში) **[მანჩხაშვილი, 2013:190].**

თურქეთი თავიდან კონფლიქტში ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრე იყო. თუმცა 1992 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც სომხეთის შეიარაღებული ჯგუფები თავს დაესხა ნახჭევანს, თურქეთის მთავრობა დააფიქრა, რადგან ბრძოლები უკვე თურქეთის საზღვარს იყო მიახლიოებული. ასევე სომხეთის მიერ ნახჭევანის დაპყრობა 1921 წლის „თურქეთ-საბჭოთა კავშირის

მეგობრობის შეთანხმების'' დარღვევა იქნებოდა, რომლის მიხედვითაც – ნახჭევანი აზერბაიჯანის ნაწილად ცხადდებოდა და მისი რომელიმე სახელმწიფოსთვის გადაცემა არ შეიძლებოდა. ამ ხელშეკრულების თანახმად თურქეთს ნახჭევანში სტატუსი ქვოს დასაცავად ამ კონფლიქტში ჩარევის საშუალება მიეცა. ამან, რა თქმა უნდა, სომხეთის მოკავშირის და თურქეთის კონკურენტი რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია და თურქეთის ამ რადიკალურ ნაბიჯს მალევე მოჰყვა პასუხი. მოსკოვში დსთ-ეს შეიარაღებული ძალების მეთაურმა გენარალმა შაპაიშნიკოვმა განაცხადა, რომ ,,ნებისმიერი სახის ინტერვენციას მესამე ქვეყნის მხრიდან, შესაძლოა მოჰყოლოდა ,,მესამე მსოფლიო ომის დაწყება" **[კომახიძე,2007:16].**

აშკარა იყო, რომ თურქეთი და რუსეთი პირდაპირ სამხედრო შეტაკებასთან ახლოს იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ფრთხილმა სულეიმან დემირელმა დიპლომატიური ნაბიჯი აირჩია, რამაც შედეგი გამოიღო. 1992 წლის 25-26 მაისს თურქეთის პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელსა და რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს შორის გაიმართა საგანგებო შეხვედრა, რომლის დროსაც ორმა ლიდერმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც გაკიცხული იყო ლაჩინის ოკუპაცია და სომხეთისა და ნახჭევანის საზღვარზე ბრძოლები, რამაც სომხები აიძულა ორ დღეში შეტევები შეეჩერებინათ **[კომახიძე, 2007:17].**

აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ომმა 1992-1993 წლებში ხელახლა იფეთქა, სადაც სომხებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, მათ აზერბაიჯანის მთლიანი ტერიტორიის 20% დაიკავეს. ასეთ სიტუაციაში 1993 წლის დასაწყისში რუსეთი, ერთი შეხედვით, თითქოს თანახმა იყო თურქეთთან ერთად კონფლიქტის გადაწყვეტის გზები ერთობლივად მოეძია, მაგრამ მოგვიანებით რუსეთმა უარყო მსგავსი მიდგომა, რადგან სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი არბიტრის როლის შესრულება სურდა, რითაც რეგიონში მოსკოვის ძველი ძალაუფლების აღდგენას ცდილობდა, რამდენად მოახერხა ძველი გავლენის აღდგენა, ეგ საკითხავია, თუმცა არბიტრის როლის შესრულება კი ნამდვილად გამოუვიდა.

1994 წლის მაისში რუსეთის ძალისხმევით აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრებმა ცეცხლის შეწყვეტის შესა-

ხებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანმებას ასევე ხელი მოაწერა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმაც. შედეგად რუსეთი რეგიონში მშვიდობის დამყარების ეფექტურ მედიატორად მოგვევლინა. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1993 წელს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული ჰაიდარ ალიევი თავისი წინამორბედი პრეზიდენტის ელჩიბეისგან განსხვავებით მხოლოდ თურქეთისკენ არ მიისწრაფოდა, უფრო დაბალანსებული პოლიტიკის გატარება დაიწყო და შესაბამისად რუსეთის პოზიციებიც აზერბაიჯანში წინა პერიოდთან შედარებით უფრო განმტკიცდა, რამაც თავისთავად თურქეთის პოზიციების შესუსტება გამოიწვია. თუმცა ალიევის პოლიტიკიდან კარგად ჩანდა, რომ იგი რუსეთის მარიონეტად ქცევას არ აპირებდა. მაგალითად, 1993 წლის სექტემბერში აზერბაიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებს შეუერთდა, თუმცა ალიევმა უარი განაცხადა რუსეთის ჯარების მის ტერიტორიაზე განლაგებაზე. ჰ. ალიევი რუსეთის წინააღმდეგ წავიდა მილსადენების საკითხთან დაკავშირებითაც და თურქეთის მარშუტის უპირატესობაზე განაცხადა.

1994 წლის თებერვალში ჰ. ალიევი ანკარას ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ხელმოწერილი შეთანხმებები, ნიშანი იყო იმისა, რომ ბაქო - ანკარასთან ხელახლა დაახლოებას იწყებდა, თუმცა ბალანსის პოლიტიკას იცავდა რეგიონის სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან (რუსეთი, ირანი) ურთიერთობაში.

1994 წლის მაისისთვის მთიან ყარაბაღში ბრძოლების დასრულების შემდეგ საერთაშირისო ყურადღება კასპიის ნავთობსაბადოების მომავალმა განვითარებამ და ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზრებამდე მილსადენების მარშუტების უსაფრთხოების საკითხებმა მიიპყრო.

ამ რთულ ბრძოლაში რუსეთი, საქართველო და ირანი ისევე როგორც თურქეთი და ენერგო რესურსების მთავარი რეგიონული მწარმოებელი ქვეყნები აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი, მნიშვნელოვანი რელაური თუ პოტენციური მონაწილენი იყვნენ. ამ რესურსების მომპოვებელ კომპანიათა უმრავლესობა მთლიანად ან ნაწილოვრივ მაინც ამერიკული წარმოშობისა იყო, ამდენად გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ამერიკული ნავთობ-კომპანიები მნიშვნელოვანი

მონაწილენი იყვნენ. რაც შეეხება თურქეთსა და რუსეთს რეგიონის ორ მთავარ ძალას, მათი შეხედულებები ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით განსხვავებული იყო და ლოგიკურია, ორივე ცდილობდა ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრამდე მთავარი საექსპორტო მილსადენის მარშუტი მისთვის მომგებიანი და მისაღები ყოფილიყო, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

თურქეთი, რომელსაც კარგად ესმოდა კასპიის რეგიონის ენერგო რესურსების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისიდან რეგიონში და საერთაშორისო არენაზე ძალისხმევას არ იშურებდა.

თუ ენერგორესურსები ამ ქვეყნების გავლით მიეწოდებოდა ევროპას, თურქეთს მასზე გარკვეული კონტროლის დამყარების საშუალება ეძლეოდა და მეორე, თურქეთს მიეცემოდა საშუალება ევროპის ქვეყნებთან უფრო დაახლოებისა, რისკენაც ასე მიისწრაფოდა თურქეთი [**მაკარაძე,2013:203**].

ენერგო რესურსებით მდიდარი და ეთნიკური თვალსაზრისით აზერბაიჯანი და ყაზახეთი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთისთვის უფრო მეტად საინტერესო გახდა. თავის მხრივ, კი ამ ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობასთან ერთად ენერგორესურსები უკვე მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ, ამ რესურსებს ეს ქვეყნები საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდენენ. თავის მხრივ კი თურქეთი, რომელსაც კარგად ესმოდა კასპიის ენერგორესურსების, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, ამ რესურსებით მდიდარ ქვეყნებს - აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და თურქეთს ურჩევდა, ენერგორესურსების მოპოვებისა და ამ რესურსების მსოფლიო ბაზრისათვის მიწოდების საკითხთან დაკავშირებით არ დარჩენილიყვნენ მხოლოდ ერთ ქვეყანაზე დამოკიდებულნი. ამ შემთხვევაში თურქეთი აქ რუსეთზე ან კიდევ ირანზე მიუთითებდა. რეალურად კი თურქეთმა ამ ახალ თურქულენოვან სახელმწიფოებს ენერგორესურსების კავკასიის მიმართულებით თურქეთის ტერიტორიების გავლით მსოფლიო ბაზარზე გატანა ურჩია.

1993 წლის მარტში, თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პირველი ნავთობსადენის შესახებ, რომელიც გაატარებდა

წელიწადში ორმოც მილიონ ტონა აზებაიჯანულ ნავთობს და ირანის გავლით თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურიდან მიაწვდიდა მსოფლიო ბაზარს. ამ მიღწეული შეთანხმების თანახმად, აზებაიჯანში მოპოვებული ნავთობის თურქეთის ტერიტორიის გავლით მსოფლიო ბაზრისათვის მიწოდების პროცესში არ იყო ჩართული რუსეთი, რაც მის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი აცხადებდა, რომ რუსეთი ხელს შეუშლიდა აზერბაიჯანს დასავლურ კომპანიებთან ნავთობის ექსპლუატაციაზე სეპარატისტული შეთანხმებები გაეფორმებინა. მათი პოზიცია ეფუძნებოდა არგუმენტს, რომ კასპიის ზღვა შიდა ტბა იყო, რომელშიც ყველა სანაპირო სახელმწიფოს წყლის შიგნით არსებული რესურსების ექსპლუატაციაზე თანაბარი უფლებები ჰქონდათ და არა საერთაშორისო ტბა, რომელიც გეოგრაფიულად თითოეული ქვეყნისათვის ოფშორულ ზონებად იქნებოდა დაყოფილი. თუმცა რუსეთს ამ და სხვა არგუმენტების მოშველიება აღარ დასჭირვებია, რადგან შეიძლება ითქვას, მისი პირდაპირი ან ირიბი ჩარევით, 1993 წელს აზრებაიჯანის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ელჩიბეის მთავრობა დაემხო და ლოგიკურია ზემოთხსენებული შეთანხმების განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა [კომახიძე, 2007:19].

მოვლენათა განვითარებას თუ თვალს გადავავლებთ ალბათ ლოგიკური და მოსალოდნელი იყო რუსეთის ამგვარი მიდგომა ამ საკითხის მიმართ, რადგან მთავარ როლს მიჩვეული რუსეთის ფედერაცია სცენის მიღმა დარჩენილი მსახიობის პოზიციაში აღმოჩნდა, რადგან რეგიონში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცა ენერგორესურსებით მსოფლიო ბაზრის მომარაგება, რუსეთის გვერდის ავლით ცდილობდა განეხორციელებინა აზერბაიჯანი, ეს ყველაფერი კი თავის მხრივ იწვევდა რუსეთის მთავარი კონკურენტი ძალის, თურქეთის და მასთან ერთად დასავლეთის პოზიციების გაზრდასაც, რასაც რუსეთი ვერ დაუშვებდა.

რუსეთი მკაცრად ეწინაღმდეგებოდა მისი ტერიტორიის გვერდის ავლით კასპის ენერგორესურსების სატრანსპორტო მილსადენების მშენებლობას, რადგანაც სურდა ეს რესურსები შავი ზღვისპირა ნოვოროსისკის პორტის გავლით მიეწოდებინა მსოფლიო ბაზრისათვის. ზოგადად 1992 წლიდან

მოყოლებული ბაქოდან მსოფლიო ბაზებამდე მთავარი საექსპორტო მილსადენის მარშუტის არჩევა ღია და ,,ცხელი“ საკითხი იყო.

საბოლოო ჯამში, კი 1999 წლის ნოემბერში სტამბულში ჩატარებული ,,ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგონიზაციის“ **(ეუთო)** სამიტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ, რაც იმას ნიშნავდა, რომ კასპიის აუზის ენერგო რესურსების გამოყენებისთვის კონკურენციის ბოლო ტურში გამარჯვებული თურქეთი დარჩა **[მანჩხაშვილი, 2008:154].**

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ბუნებრივი აირის მილსადენებთან დაკავშირებული პროექტები, რადგან ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ გაზი ასრულებდა, რომელიც რეგიონში დიდი პოლიტიკური თამაშის ელემენტიც კი გახდა. ზოგადად, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთში გაზზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდებოდა, 1991 წლიდან კი თურქეთი სხვადასხვა ინვესტიციის განხორციელებით შეეცადა ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული ნავთობზე და უფრო მეტად ბუნებრივი აირი გამოეყენებინა. ბუნებრივი აირი ნავთობზე მეტად იაფი ჯდებოდა და ფართო გამოყენების არეალი ჰქონდა, ამიტომ ის თავდაპირველად ჭკვიანურ ინვესტიციად მიიჩნიეს და სწრაფად შეუდგენენ ამ რესურსის ინტენსიურ ათვისებას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თურქეთში გამოყენებული ბუნებრივი აირის 95% იმპორტზე მოდიოდა, აღნიშნულის გათვალისწინებით, 1990-იან წლებში თურქეთსა და რუსეთს შორის სამი შეთანხმება გაფორმდა, რითაც ფაქტიურად თურქეთის ბაზრის ორი მესამედი რუსეთის ხელში გადავიდა და მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა უკან აზერბაიჯანული, თურქმანული და ყაზახური აირის საბადოები [**Nazli Mac, 2006:33**].

პირველ შეთანხმებას, რომელიც დაიდო წინასწარი ანგარიშსწორების შესყიდვის პირობით, ხელი მოეწერა 1996 წლის 15 დეკემბერს და ითვალისწინებდა წელიწადში რვა მილიარდი კუბური მეტრი აირის შესყიდვას. მეორე შეთანხმება კი დაიდო 1998 წლის 1 თებერვალს ,,ტუტგაზთან'' და იგი პირველის პარალელურად უნდა განხორციელებულიყო. 1998 წლის 1 აპრილს კი თურქეთის დიდი ერევნული კრების მიერ რატიფიცირებული მესამე შეთანხმება იქნა დადებული ,,ბოტაშსა“ და ,,გაზექსპორტს“ შორის, რომელიც

წელიწადში დაახლოებით თექვსმეტი მილიარდი კუბური მეტრი აირის მიწოდებას ითვალისწინებდა [**მანჩხაშვილი, 2008:153**]. აღნიშნული შეთანხმება ,,ცისფერი ნაკადის“ სახელითაა ცნობილი და ამ საკითხის ირგვლივ 90-იან წლებში საკმაოდ დიდი აზრთა ჭიდილი მიმდინარეობდა. ამ პროექტის განხორციელების წინააღმდეგი იყო ამერიკის შეერთებული შტატები.

,,ცისფერი ნაკადის“ სახელით მონათლული ამ პროექტის განხორციელება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ ტრანსკასპიურ გაზზსადენს, რომელიც გვერდს აუვლიდა რუსეთს. აშშ-ის წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთი აქტიურად ცდილობდა თავისი გაეტანა და ,,ცისფერი ნაკადის“ პროექტი რეალობად ექცია. მიუხედავად ფინანსური და ტექნიკური პობლემებისა (ამ პროექტის განხორციელების ღირებულება დაახლოებით 2,3 მილიარდი ამერიკული დოლარი იყო და რაც ყველაზე რთული იყო, მილსადენს შავი ზღვის ფსკერზე უნდა გაევლო). რადგან რუსეთისათვის მისგან გამომავალი შედეგები ეკონომიკურის მიღმა პოლიტიკურიც იყო. ეს მოსკოვს ხელში ერთდროულად რამდენიმე ბერკეტს მოუპოვებდა.

აღსანიშნავია, რომ რუსულ-თურქულ პროექტს ყველაზე ძლიერი მხარდამჭერები მოსკოვში მოღვაწე თურქული კომპანიების სახით ჰყავდათ, მათი განცხადებით პროექტი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს გააღრმავებდა. მათ ასევე მხარს უჭერდა თურქეთის რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის წევრი ,,დედასამშობლოს'' პარტია, რომელიც პრორუსული ლობის ავარგანდად მიიჩნეოდა. პროექტს ხელი სწორედ ,,დედასამშობლოს“ პარტიის ლიდერის მესუთ ილმაზის პრემიერ მინისტობის დროს მოეწერა. მ. ილმაზმა და რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა 1997 წლის 15 დეკემბერს ანკარაში, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რითაც, თურქეთმა რუსეთიდან ბუნებრივი აირი მიიღო უკვე პირდაპირი ხაზით, შავი ზღვის გავლით.

ამ პროექტის სიძვირისა და მიზანშეწონილობის მიუხედავად, რუსეთი მაინც აქტიურად შეუდგა მის განხორციელებას, რადგან როგორც ავღნიშნეთ, პირველ რიგში, პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობით ხელმძღვანელობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ცისფერი ნაკადის“ სწაფმა წინსვლამ კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობა და მისი რეალიზაცია რამდენიმე წლით გადაიდო.

საბოლოო ჯამში კი ზოგადად მილსადენებთან დაკავშირებული კონკურენცია, რომელიც 90-იან წლებში კავკასიის რეგიონში საკმაოდ მწვავე საკითხად იდგა, თუ ნავთობსადენების პროექტებში ნაკლებად იქნა გათვალისწინებული რუსეთის ინტერესები აქ ბუნებრივი აირის მილსადენებთან დაკავშირებით. რუსეთმა აშკარა უპირატესობა მოიპოვა და ამით ხელში ჩაიგდო საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური იარაღი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობების მხრივ თურქეთი და რუსეთი ორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებია რეგიონში და მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან საინტერესოდ ვითარდებოდა და უფრო მეტიც 90-იან წლებში თურქეთი რუსეთისათვის გერმანიის შემდეგ მეორე უდიდეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა.

ზოგადად, 1996 წლამდე თურქეთსა და რუსეთს შედარებით უპრობლემო ეკონომიკური ურთიეთობები ჰქონდათ, უნდობლობამ და დაძაბულობამ შემდგომ იმატა. ამ პერიოდში კი ორივე ქვეყნის ეკონომიკური პროცესები ისეთი უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება, როგორებიცაა: ეკონომიკური ზრდის შეჩერება და უკუსვლა, გაზრდილი საგარეო ვალები, ფინანსური კრიზისები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, შემოსავლის განაწილებაში არასტაბილურობა, პრივატიზაციის ზეწოლა და სხვა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ტურიზმისა და სამშენებლო სექტორები ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში ლოკომოტივის როლს ასრულებდა [**მანჩხაშვილი, 2014:155**].

ამ პერიოდში რუსეთს ესაჭიროებოდა მუდმივი დაფინანსება. აქედან გამომდინარე 90-იანი წლების დასაწყისში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა საკრედიტო სფეროშიც გამოიხატა. თურქეთის „ექსიმბანკმა“ 1989-1991 წლებში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირს საექსპორტო კრედიტის სახით 6 მილიონი ამერიკული დოლარი გამოუყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთმა საბჭოთა კავშირის ფინანსური ვალდებულებების გადახდა იკისრა, რაც მას მძიმე ტვირთად დააწვა. მართალია რუსეთმა მათგან პირველი ორი სესხის დაფარვა მოახერხა, მაგრამ ბოლო ორი საკრედიტო პაკეტიდან გამომდინარე, 379 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა

ვეღარ მოახერხა და მოსკოვმა ანკარას ვალის გადახდის პერიოდის გადავადება სთხოვა **[КИРЕЕВ,2007: 339].** ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად, 1994 წლის 19 ივლისსა და 1995 წლის 15 დეკემბერს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ვალების გადავადების შეთანხმებას. თურქეთთან მიღწეული შეთანხმების ძალით, რუსეთს თურქეთისათვის ვალი პერიოდულად უნდა დაებრუნებინა რომლის ბოლო ნაწილიც 2011 წლისათვის უნდა დაეფარა [**კომახიძე, 2007:12**]. 1998 წლის აგვისტოში ეკონომიკური კრიზისის გამო რუსეთმა ხელახლა მოითხოვა ვალის გადავადება.

გარდა ამისა, 1995 წლის 15 დეკემბერს ხელი მოეწერა კიდევ ერთ შეთანხმებას, რომლის ძალითაც თურქეთის ,,ექსიმბანკმა" რუსეთს თურქული საქონლისა და მომსახურეობის დაფინანსებისათვის 350 მილიონი დოლარის მოცულობის ახალი კრედიტი გამოუყო. შედეგად რუსეთმა თურქეთისაგან კრედიტის სახით, საერთო რაოდენობით 950 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო. მომდევნო წლების განმავლობაში გამოყოფილი კრედიტი სხვადსხვა პროექტების დასაფინანსებლად დაიხარჯა, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური პროცესის თანამშრომლობის განვითარებას.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის 14 მაისს თურქეთსა და რუსეთს შორის შეთანხმებით, შეიქმნა შერეული ეკონომიკური კომისია, რომელიც დღემდე პერიოდულად იკრიბება და ასეთი ტიპის მექანიზმების არსებობას ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებაში კონკრეტული წვლილი შექვს.

თურქეთ-რუსეთის ერთობლივი ეკონომიკური კომიის პირველი შეხვედრა გამიართა 1992 წლის 2-6 ნოემბერს ანკარაში, რამაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც 1994 წლის 1-6 აპრილს მოსკოვში კომისიის მეორე შეხვედრა მოჰყვა. უკვე სამი წლის შემდეგ, 1997 წლის 4-7 ნოემბერს ანკარაში თურქეთ-რუსეთის ერთობლივი ეკონომიკური საბჭოს მესამე შეხვედრა გაიმართა, სადაც ასევე მომზადდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდნის პირველი ოფიციალური ვიზიტი თურქეთში.

1997 წლის 15 დეკემბერს, ანკარაში ოფიცილაური ვიზიტით ჩასულმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა ,,ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებას"; ,,ინვესტიციების ორმხრივი წახალისებისა და დაც-

ვის შესახებ შეთანხმებას“ და ,, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას“, რასაც მოჰყვა ეკონომიკური პროცესების განვითარება, რაც არც თუ ისე დიდხანს გაგრძელდა. 1997- 1998 წლების კრიზისისა და შემდეგი 75% დევალვაციის გამო რუსეთმა იმპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა აირჩია. თურქეთის ექსპორტი ამ ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი დაქვეითდა და სახელმწიფო იმპორტის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა, ფაქტიურად განახევრდა **[Hasan selcuk,2005:58].**

აღსანიშნავია, რომ თურქეთის სავაჭრო დეფიციტი რუსეთთან 1997 წელს 118 მილიონი ამერიკული დოლარი იყო, მაგრამ იგი 807 მილიონით გაიზარდა, როდესაც 1998 წლის ფინანსური კრიზისის დროს რუსეთმა, როგორც ავღნიშნეთ, იმპორტი მკვეთრად შეამცირა. ეს ზღვარი კი ყოველწლიურად უფრო იზრდებოდა. 1999 წელს რუსეთის იმპორტი თურქეთიდან და რუსეთის ექსპორტი თურქეთში შესაბამისად 588 მილიონი და 2.37 მილიარდი დოლარი იყო.

1998 წლისთვის, თურქეთის ვაჭრობა დსთ-თან 12, 7% გაიზარდა. დსთ-ს შიგნით კი რუსეთი თურქეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო. 1998 წელს რუსეთში ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად თურქეთის ექსპორტი 3 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევდა ანუ მთლიანი ექსპორტის 11%-ს. კრიზისის დროს ბევრი ქვეყნის კომპანიებმა დატოვა რუსეთი, მაშინ როცა რუსეთში მოღვაწეობა გააგრძელეს თურქულმა კომპანიებმა.

იმპორტის თვალსაზრისით, თურქეთის ვაჭრობა რუსეთთან გაცილებით დაბალი იყო, იგი საერთო იპორტის 4,7% შეადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი ძირითადად გაზზე მოდიოდა. რუსეთი თურქეთს ყოველწლიურად 8 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწვდიდა, რაც თურქეთის მიერ მოხმარებული მთლიანი ბუნებრივი გაზის 60% იყო. იმპორტის გარშე თურქეთი სერიოზული ენერგო კრიზისის წინაშე დადგებოდა.

საბოლო ჯამში, მიუხედავად ყველაფრისა, როგორც ავღნიშნეთ, 90-იან წლებში რუსეთი თურქეთის პროდუქციის გასაღების მნიშვნელოვანი ბაზარი იყო. და მათ შორის ამ პერიოდში არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ზოგადად რუსეთ-თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები სხვადასხვა, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობით გამოირჩედა. ანკარა მოსკოვთან თანამშრომლობას, დასავლეთთან თავისი ურთიერთობების დაძაბულობის ჭრილშიც აქტიურად განიხილავდა. დასავლეთი, ერდოღანის მთავრობას, ხშირად აკრიტიკებდა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევასა და დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის გამო. სწორედ რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებით ცდილობდა თურქეთი, გამოენახა განვითარების ალტერნატიული გზა.

რუსეთთან ურთიერთობაზე, თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა, სავარაუდოდ, ეკონომიკურმა ფაქტორებმაც იქონია. 2014 წლისთვის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 40 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, 2020 წლისთვის კი, ამ მაჩვენებლის გაორმაგება არის დაგეგმილი, თუმცა, ამ ეტაპზე, ქვეყნებს შორის ვაჭრობა მინიმუმამდეა დაყვანილი (2015 წ. – 23,4 მლრდ, 2016 წ. – 18-19 მლრდ).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა და რუსი ტურისტების ნაკადის კატასტროფულმა კლებამ (-98,5% ივნისის მონაცემებით) თურქეთის ეკონომიკას, რუსეთთან შედარებით, უფრო დიდი ზიანი მიაყენა. სხვადასხვა ინფორმაციით, თურქული ეკონომიკის ზარალმა მხოლოდ ტურინდუსტრიის სფეროში 9-12 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია, მაშინ, როდესაც რუსეთმა უზრუნველყო მანამდე ნაკლებად მოთხოვნადი შიდა ტურისტული რეგიონების პოპულარიზაცია. მნიშვნელოვნად დაზარალდნენ თურქეთის სამშენებლო და სოფლის მეურნეობის სექტორებიც, რის მიზეზადაც, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსეთში იმპორტის აკრძალვა და თურქული სამშენებლო კომპანიებისთვის დაწესებული შეზღუდვები იქცა. თურქული მხარისთვის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა „აკუიუს“ ატომური ელექტროსადგურის თაობაზე მოლაპარაკებების შეჩერებაც. ამ ეტაპზე თურქეთი ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს თბო-ელექტროსადგურების ხარჯზე გამოიმუშავებს, რაც ატომურ ენერგიაზე გაცილებით ძვირი ჯდება, ვინაიდან თურქეთი ენერგო-დამოკიდებული სახელმწიფოა და მას ბუნებრივი აირის შესყიდვა უწევს.

საბოლოო ჯამში, ერდოღანის მთავრობა აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობამ მნიშვნელოვანი დივიდენდები

ვერც ერთ მიმართულებაზე ვერ მოუტანა, მეორე მხრივ კი, დასავლეთთან დაპირისპირებამ პიკს მიაღწია.

დასვნა

ჩვენს მიერ განხილული ნაშრომიდან, კარგად ჩანს თუ როგორ შეიცვალა ,,ცივი ომის" დასრულებისა და ,,საბჭოთა კავშირის" დაშლის შემდეგ მსოფლიო წესრიგი. ქვეყნებმა დაიწყეს ბრძოლა მსოფლიოს ახალ სისტემაში ადგილის დასაკავებლად და ამ პროცესში, როგორც დავინახეთ, აქტიურად ჩაერთო როგორც თურქეთ ისე რუსეთი.

XX საუკუნის 90-იან წლებში თურქეთსა და რუსეთს შორის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები არსებობდა. მთიანი ყარაბაღის ომის დროს ისინი სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ. რუსეთი როგორც სომხეთის მოკავშირე, მხარს უჭერდა ფარულად თუ ღიად მათ და თურქეთი როგორც აზერბაიჯანის მეგობარი და მოძმე სახელმწიფო აშკარად გამოხატავდა მხარდამჭერ პოზიციას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი მხარდაჭერა უფრო მორალური იყო, რადგან ფაქტიურად არაფრის გაკეთება არ შეეძლო - ერთი მხრივ რეგიონში დასუსტებულ თუმცა მაინც ანგარიშგასაწევ რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, თურქეთის მოკავშირე აშშ -ში არსებული სომხური ლობი აქტიურად უჭერდა მხარს სომხებს. ომის დროს იყო მომენტებიც, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, თუმცა დაბალანსებული მშვიდობიანი პოლიტიკის გატარება არჩიეს და ეს კრიზისიც მშვიდობიანად დასრულდა.

საინტერესოა ასევე თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები მილსადენების საკითხთან დაკავშირებით. 90-იან წლებში საკმაოდ ცხელ და ღია საკითხად იქცა კონკურენცია მილსადენების პროექტებთან დაკავშირებით, სადაც თურქეთსა და რუსეთთან ერთად საკმაოდ ძლიერი მესამე ძალა იყო ჩართული აშშ-ის და დასავლეთის ქვეყნების სახით. აქ ყოველი მხარე ცდილობდა მილსადენების პროექტები მისთვის მომგებიანი უპირატესობით გადაწვეტილიყო, რადგან ეს წარმოადგენდა არამარტო ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ საკითხსაც. მილსადენებზე გავლენის მოპოვება ფაქტიურად რეგიონში პოზიციების და გავლენის გაზრდის ტოლფასი იყო. აღსანიშნავია, რომ აშშ

და თურქეთი ყოველმხრივ ცდილობდნენ მილსადენების პროექტები რუსეთის გვერდის ავლით განეხორციელებინათ და ამ პროცესებს მიღმა დაეტოვებინათ.

რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, იგი საკმაოდ საინტერესოდ და განსხვავებული ინტერვალებით ვითარდებოდა, იყო მომენტები როდესაც ეს ორი სახელმწიფო მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებად გვევლინებოდნენ.

საბოლოო ჯამში, ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში ამ ორი სახელმწიფოს - თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებით ძალიან საინტერესოდ და ცვალებადი დამოკიდებულებით ვითარდებოდა და მიუხედავად მათ შორის არსებული კონკურენციისა და გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში მთელი რიგი გამწვავებისა, მათ მოახერხეს ურთიერთობებში ბალანსირების დაცვა და საქმე სამხედრო კონფლიქტამდე არ მისულა. თურქეთმა თავისი საგარეო პოლიტიკით რუსეთთან მიმართებაში შეძლო ათათურქის მიერ დატოვებული დევიზის შესრულება - ,,მშვიდობა მსოფლიოში, მშვიდობა ქვეყანაში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990 – 2008, წიგნი თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა მ. მანჩხაშვილმა, თბილისი, 2014;
2. კომაიძე მ., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია. თბილისი, 2007;
3. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური პრობლემები (XX საუკუნის 90-იანი წლები), ბათუმი, 2000;
4. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა (1980-2011 წლებში) ბათუმი, 2013;
5. მანჩხაშვილი მ., თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს. თბილისი, 2014;
6. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299 –2000), თბილისი, 2007;
7. ჭიღვარია გ., .,,თურქეთის გეოპოლიტიკა (XX ს-ის 90-იანი წლებიდან) ქუთაისი, 2010;
8. ТУРЦИЯ XX ВЕК (сборник обзоров), Москва, 2002;
9. Editör: Bbaskin Oran, Türk Diş Politikasi, cilt II. 1980-2001, Istanbul, 2010;
10. Muzaffer Ercan Ylmaz, 2010 Soğuksavaş Sonrasi Dönemde Türk-Rus Ilişkileri.

აჭარაში მცხოვრებ ლაზთა ეთნოგრაფიული ეტიუდები

ლუკა თანდილავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1-ლი კურსი
მობ: +995 555 412556 / ელ. ფოსტა: lukatandilava@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანუჩარ ლორია
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის (ბსუ) ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში საველე-ეთნოგრაფიული მასალებისა თუ წერილობით წყაროებთან შედარების გზით გაანალიზებულია აჭარაში მცხოვრებ ლაზთა მატერიალური თუ სულიერი კულტურის და საერთოდ ტრადიციული ყოფის სხვადასხვა ასპექტი. კერძოდ, დასახლების გეოგრაფიული არეალი, სტრუქტურა, სოფლის ტოპონიმიკა და ისტორია, ლაზური სახლის ეთნოგრაფიული თავისებურობა. გაანალიზებულია ლაზური სამზარეულოს სპეციფიკა და თევზის განსაკუთრებული ადგილი ლაზურ სამზარეულოში. ქართველ კაცს პატარაობიდანვე უნერგავდნენ საბრძოლო სულს. ამას მოწმობს საქართველოში გავრცელებული სპორტული და სახალხო თამაშობები, რომლებიც სამხედრო ელემენტებს შეიცავს. უძველესი ლაზური თამაშობანია: „მილოონი“, „ჩულიკოონი“, „ტოპაჯი“ და სხვა. აღნიშნული თამაშები არამარტო გართობის საშუალებები იყო, არამედ ზრდიდა მომავალ მეომარს, რომელიც სამშობლოს ერთგული მცველი უნდა გამხდარიყო. ასევე განხილულია, სამოსი, თევზაობა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები, მიმინოთი ნადირობა, ხალხური მუსიკალური საკრავები.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ნაშრომში, გამოყენებულია მდიდარი ვიზუალური მასალა. რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ეთნოლოგიური კვლევის პროცესში სათანადო ილუსტრაციების ჩართვა, საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, სულიერი და მატერიალური კუტურა.

შესავალი

სარფი ერთადერთი სოფელია აჭარაში და საქართველოში, რომელიც ძირითადად ლაზებით არის დასახლებული. „ლაზები მელითონეობის საქმის ოსტატები, ლაზები საუკეთესო ხითხუროები და ქვითხუროები, ხისა და ქვის განთქმული მეჩუქურთმენი, ეკლესია-მონასტრების მშენებელნი, გამორჩეული ნავთმშენებელნი, მამაცი ნაოსნები და მეზღვაურები, კარგი მხვნელ-მთესველები საქართველოში სიმინდის შემომტანი და გამავრცელებლები, თამბაქოს მოვლა-მოყვანის სპეციალისტები.“[1]

ჩემი სოფელი, სარფი, მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, რომელსაც მდინარე ტიბაში ორ ნაწილად ჰყოფს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სარფი შორეულ წარსულში სამ ნაწილად იყოფოდა: მოლენი (გამოღმა), მელენი (გაღმა) და მეზრე. რევოლუციის შემდეგ მელენი და მეზრე სარფი თურქეთს დარჩა, ხოლო მოლენი - საქართველოს. მიუხედევად ამისა, სპეციალური საშვის საშუალებით, გამოღმა მცხოვრებ სარფელებს შეეძლოთ გაღმა სარფში მცხოვრები ნათესავების მონახულება, მაგრამ 1937 წელს საზღვარი ჩაიკეტა და იქეთკენ გახედვაც კი საშიშროებას წარმოადგენდა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სარფი აფსარის სახელწოდებით იყო ცნობილი. „სარფი - ფსარეფი მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით, არის სახენაცვალი ფორმა ძველი სახელწოდებისა აფსარი.“ ფლავიუს არიანეს აზრით, „აფსაროსი“ მედიას ძმის აფსირტეს სახელთან იყოს დაკავშირებული.[2]

არსებობს მეორე მოსაზრება, რომ სარფი - სარფა - არაბული ტერმინია და გამორჩენას, მოგებას, ხეირის ნახვას ნიშნავს.

როგორც გავიგე, ძველად სოფელში ხუთი ეკლესია ყოფილა, ამათგან მხოლოდ ორის ნანგრევებია შემორჩენილი, ერთ-ერთი ქილისეს (ეკლესია) ადგილას დღეს-დღეითობით დედათა მონასტერს წარმოადგენს.

სარფის შემოგარენს წარმოადგენს „კალენედერეც“. სახელწოდება თურქული უნდა იყოს - „კალნიდერე“ (სისხლიანი მდინარე). როგორც ამბობენ, ეს მდინარე იმ ლაზების სისხლით შეიღება, რომლებიც წინ აღუდგნენ ისლამის მიღებას და ქრისტიანობას შესწირეს თავი. ნიშანდობლივია, რომ 2003 წელს,

---

[1] შრომები. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2005 წ. გვ.11.

[2] „საბჭოთა სარფი“ რ.ბაქრაძე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.ბათუმი 1971წ. გვ 7.

პატრიარქის კურთხევით, სწორედ იქ ჩატარდა ლაზთა მასობრივი ნათლობა, რომელთა შორის ჩემი ოჯახის წევრებიც იყვნენ.

სოფლის ბუნებრივი მიჯნების ტოპონიმების შესახებ გავესაუბრე სოფლის უხუცესებს, მათთან დიალოგის შემდეგ გავარკვიე სხვადასხვა ტოპონიმური სახელების განმარტების ისტორია:

„ქვახეხი“ - ქვის ფორმა, რომელიც წააგავდა ხერხის კბილებს.

„ღეჯი ტალახონა“ - ღორის მიერ ატალახებული ადგილი.

„ოკანდალე“ - ნიშნავს ადგილს, სადაც ძველად ხალხი საკანდელე მასალას მოიპოვებდნენ.

„ცხემლუღი“ - ნიშნავს ცხემლის ხეებით გადატვირთულ ადგილს.

„მანდრათი“ - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პირუტყვის სადგომს.

„ცარა“ - უნაყოფო მიწა.

„ქვაჭაჭი“ - დანაოჭებულ ქვას უნდა ნიშნავდეს.

„ოჭაღანე“ - ნიშნავს საკიბორჩხალეს.

„მაჯგინი“ - ადვილად დასამუშავებელი მიწა.

„ხემშილუღი“ - ნასოფლარი კალენდერესთან, სადაც ძველად ხემშილები ცხოვრობდნენ.

„ფუჯონჯერე“ - ძროხების სადგომს ნიშნავს.

„დუზი“ - ვაკე ადგილი.

„მონტრაცა“ - ნიშნავს ნაშვავებ ადგილს.

ასევე საინტერესოა ზღვის ლოდების სახელწოდებებიც: „ქვაომხაზი“ - დიდი ლოდი, რომელსაც ძველების თქმით ორი განმარტება შეიძლება ჰქონდეს; პირველი ის, რომ „ხაზირი“, რაც ნიშნავს გამზადებულს და დადებულს, მეორე განმარტებით „ხაზეი“ რაც დახაზულს ნიშნავს და ეს ქვა მართლაც დახაზულის შთაბეჭდილებას ტოვებს. „ქვაომხაზი“ სარფის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. მას უმღეროდა ცნობილი ლაზი მელექსე და მხატვარი ხასან ჰელიმიში:

„ჰე, ქვაომხაზო შენ არ ბერდები,
გიცნობ, თუ ხსოვნის მომაგე ბინა.
მე, გუშინდელი, ბავშვი, ვთეთრდები,
შენ დგეხარ, როგორც იდექი წინათ“.

„ქვაჩეჩმე“ - ქვა საპირფარეშო, რომელსაც ბუნებრივად საპირფარეშოს ფორმა აქვს.

„ქვაოწუდე“ - თაროებიანი ქვა.
„ქვაღლეპი“ - ხავსიანი ქვა.

ოხორი (ლაზური სახლი)

ჩემს სოფელში, სამწუხაროდ არ არის შემორჩენილი უძველესი ლაზური სახლი. გადავწყვიტე მომეძებნა ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ თუ როგორ შენდებოდა ლაზური სახლი ან როგორ არჩევდნენ სამოსახლოს. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია სოფლის უხუცესმა ქალბატონმა ნურიე ნარაკიძემ. როცა ოჯახი სახლის აშენებას დააპირებდა, შეარჩევდა „ოჯაქიე-რის“ (სამოსახლო ადგილს). ის უნდა ყოფილიყო მზით კარგად განათებული ადგილი. ხალხში არსებულა ასეთი ტრადიციაც, სამოსახლო ადგილზე დადებდნენ ქვას, გარკვეული დროის შემდეგ მას შეამოწმებდნენ, თუ მის ქვეშ ჭიაყელა იყო დაბუდებული, ე.ი. ეს ადგილი ნესტიანი იყო და იქ სახლს არ ააგებდნენ. ხოლო თუ ჭიანჭველა იყო დაბუდებული, ეს ადგილი ვარგისი იყო სამოსახლოდ. ნადის დახმარებით ამოთხრიდნენ საძირკველს, სადაც ყრიდ-ნენ ფულს. შესაძლებელი იყო დაეკლათ შესაწირავიც. საყრდენად იყენებდნენ ნათალ ქვებს, რომელიც მდინარის პირიდან ამოჰქონდათ. კედლები ამოჰ-ყავდათ ქვის ჰორიზონტალური წყობით. იყენებდნენ კირს.

ოხორის მეორე სართული მთლიანად ხის მასალისგან იყო აგებული, რომელსაც ერთი ან ორი წლით ადრე ამზადებდნენ ტყეში. ორი წლით ადრე ნოემბერ-დეკემბერში ჭრიდნენ წაბლის სწორ ხეებს. სახლს ორივე მხარეს ქვისგან გაკეთებული კიბეები ჰქონდა, რაც ლაზური სახლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული აღნაგობით შეფარდებული იყო, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე საზღვაო-

სამეურნეო პირობებთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახლს აუცილებლად ჰქონდა სათევზაო-სანაოსნო ინვენტარის შესანახი ადგილები. ლაზური სახლის საინ-ტერესო სათავსოს წარმოადგენდა სამზარეულო მიწური იატაკით, ბუხარით ან შუა ცეცხლით, რომელსაც „ოხორშქაგური“ ეწოდებოდა.

ლაზური სამზარეულო

ლაზების ზღვასთან სიახლოვემ ლაზურ სამზარეულოზე დიდი გავლენა მოახდინა. თევზს ლაზურ სამზარეულოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით საინტერესოა „ქაფშიაგეტაღანეი“ (შემწვარი ხამსა მწვანილებში), რომელიც, ჩემი აზრით, ლაზური სამზარეულოს სავიზიტო ბარათია. იგი მზადდება დამარილებული ქაფშიასაგან (ხამსა), რომელსაც სეზონზე ჩემს ოჯახშიც ბლომად ამარილებენ. მას გაარჩევენ, კარგად გარეცხავენ, ააცლიან ძვალს და დაჭრიან წვრილად. გაურევენ ბლომად დაჭრილ მწვანილს, ბულგარულს, პომიდორს, წითელ ფხალს, ასევე ურევენ მჭადის ფქვილს. დააკრავენ ზეთიან ტაფაზე და წვავენ ორივე მხრიდან.

დამარილებული ხამსისგან აგრეთვე აკეთებენ „ქაფშიონი მჭკიდი“ (ხამსიან მჭადს).

ლაზურ ტკბილ კერძებს შორის განსხვავებული, პიკანტური გემოთი გამოირჩევა „ბურეღი“. ეს ალბათ ერთადერთი დესერტია, რომელსაც სიტკბოსთან ერთად სიმწრის გემოც დაჰყვება, რადგან მას შავ წიწაკას ურევენ. ის ლაზი ხალხის ტკბილ და მწარე ტანჯულ ისტორიას შეგვახსენებს.

ჩემი ვიზიტი სოფლის უხუცეს ქალბატონთან მხოლოდ ლაზური სახლის არქიტექტურით არ შემოფარგლულა, ჩვენ აგრეთვე ვისაუბრეთ ლაზურ სამზარეულოზე და ერთი საინტერესო ამბავი მომითხრო, რომ „აჭარული ხაჭაპურის“ სახელწოდებით ცნობილი ხაჭაპური პირველად დაუმზადებია წარმოშობით ლაზს, სარფში მაცხოვრებელ ჰარუნ კაბარიას. ნავის ფორმა ლაზების ძირითად საქმიანობას ნაოსნობას დაუკავშირა, ხოლო ხაჭაპურში მოთავსებული კვერცხი ნავში ჩამწყვდეულ მზეს შეადარა.

როგორც გავარკვიე, ძველად ლაზები უგემრიელეს ბადრიჯნის მჟავეს ამზადებდნენ, რომელიც დღეს იშვიათად მზადდება და ის თითქმის მივიწ-ყებულია.

ლაზები უგემრიელეს საჭმელებს ამზადებდნენ ბრინჯისგან, რომელიც ადრე თვითონვე მოჰყავდათ. ბრინჯის კონებს გაახმობდნენ, შემდეგ აძრობდ-ნენ თავთავებს და ჩაყრიდნენ „ონჩამურეში“ (საცეხველში), რომლის შუა ად-გილი კონუსური ფორმის იყო. აქ გროვდებოდა ბრინჯის თავთავები, რომელ-საც დინგით ცეხვავდნენ. სოფელში „ონჩამურე“ დღესაც შემორჩენილია, მათ შორის ჩემ ოჯახშიც.

ლაზური გართობა - თამაშობანი

„ქართველ კაცს პატარაობიდანვე უნერგავდნენ საბრძოლო სულს. ამას მოწმობს საქართველოში გავრცელებული სპორტული და სახალხო თამა-შობები, რომლებიც სამხედრო ელემენტებს შეიცავს“.[3]

[3] ჯ. სამუშია „ომი და მეომრები“. გამომცემლობა :პალიტრა 2014 წ. გვ.5.

უძველესი ლაზური თამაშობანია: „მილოონი“, „ჩულიკოონი“, „ტოპაჯი“ და სხვა. აღნიშნული თამაშები არამარტო გართობის საშუალებები იყო არამედ ზრდიდა მომავალ მეომარს, რომელიც სამშობლოს ერთგული მცველი უნდა გამხდარიყო.

„მილოონი“ - ამ თამაშს თამაშობდნენ გუნდურად, წყვილ-წყვილად ან ორნი პირისპირ. მილოონის სათამაშოდ ხისგან უნდა დამზადდეს

შესაბამისი ჯოხები: ერთი პატარა, ცხვირაწეული, რომელსაც „მილი“ ეწოდებოდა, მეორე უფრო დრეკადი - მილის გასაქნევად და მესამე - დასარტყმელი, რომელიც შედარებით მყარი მასალისაგან მზადდებოდა. საჭირო იყო აგრეთვე წვრილი ჯოხი „დოდგიმალე“.

„ჩულიკოონიც“ ძველი ლაზური თამაშების ერთ-ერთი სახეობაა. მის სათამაშოდ საჭიროა მრგვალი, პატარა ბურთი და შვიდი მრგვალი ბრტყელი ქვა ერთი მეორეზე პატარები.

უძველესი თამაშების ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა „ტოპაჯი“, რომლის სათამაშოდ ხისგან გამოითლებოდა ძაბრის ფორმის საგანი, რომელსაც თავში უნდა ჰქონოდა ბაწრის დასახვევი. თამაშისთვის საჭირო იყო მათრახის გაკეთებაც. მათრახს ახვევდნენ ტოპაჯზე, ქაჩავდნენ და ისე ატრიალებდნენ. გამარჯვებული იყო ის, ვინც მათრახის საშუალებით უფრო დიდხანს დაატრიალებდა ტოპაჯს.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ისეთმა თამაშმაც, რომელიც ძველად საბრძოლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო. საუბარია შურდულზე. შურდულს ამზადებდნენ ხის ქერქისა და ტყავისაგან. ქერქს წნავდნენ, შუაში ათავსებდნენ ტყავის ბუდეს, სადაც ქვა იდებოდა. „ბრძოლისას შურდულის თასმის ერთ ბოლოზე გაკეთებულ ყულფს შუა და არათითზე ჩამოიცმევდნენ, ხოლო მეორე თასმის განასკვნულ ბოლოს საჩვენებელი და ცერა თითით იჭერდნენ. რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ ნასკვნიან ნაწილს გაუშვებდნენ, შურდული გაიშლებოდა და ბუდიდან ამოვარდნილი გაიტყორცნებოდა.“[4]

ლაზური სამოსი

ლაზური სამოსის შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მცირეა. გავესაუბრე სოფლის უხუცესებს, როგორც გავიგე, ძველად მოსახლეობა სამოსისთვის

[4] მ.ვანილიში. ა. თანდილავა „ლაზეთი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1964 წ. გვ 135.

იყენებდა უფრო ბუნებრივ ქსოვილებს, როგორიც არის ცხვრის მატყლი, ბამბა, სელი და კანაფი. მოგვიანებით დაიწყეს ცხვრის, კვერნის, კურდღლის, მელიის და სხვა ცხოველების ტყავის გადამუშავება, რომლისგანაც კერავდნენ თბილ ტანსაცმელს, ქალამნებს და ქამრებს.

როგორც სოფლის უხუცესმა მიამბო, ლაზები ქსოვილის დასამზადებლად იყენებდნენ კეფს (კანაფი), დათესავდნენ კანაფს, ხოლო როდესაც გაზრდილი მცენარე ხმობას იწყებდა, მოჭრიდნენ, დააწყობდნენ ცალ-ცალკე, შემდეგ ღეროებად დახლეჩდნენ, რთავდნენ ძაფებად.

„კოლხებს თავებზე დის მუზარადი ჰქონიათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფაჩუჩი და მოკლე შუბები. ამის გარდა - დანები“ წერდა ჰეროდოტე.[5]

ლაზი მამაკაცები იცვამდნენ წუღას, შარვალს უბე სრული ჰქონდა. ბარძაყს ზევით შეზბორილი. ატარებდნენ ჩოხას, ხოლო ჩოხის შიგნით სხვადასხვა ფერის პერანგს. იდაყვებზე, სახელოებზე და მხრებზე დაკერებული ჰქონდათ ტყავის ნაჭრები. თავზე იხურავდნენ ფაფახს ან ყაბალახს.

რაც შეეხება ლაზ ქალებს, ისინი სხვადასხვა ფერის განიერ კაბებს იცვამდნენ. ზემოდან კი წელში გამოყვანილ გრძელ ხალათს. „გარდა ამისა, თეძოების ქვევით, კაბის წინა ნაწილის კალთა ცალკე ჰქონიათ დატანებული. საჭიროების დროს (მაგ. მუშაობის დროს) წელზე ამოიკეცავდნენ. კაბა უმთავრესად ატლასისა იყო. წელზე შემოხვეული ჰქონდათ აბრეშუმის ორტყაფუ (სარტყელი). უბრალო ჩითის კაბას მხოლოდ სახლში იცმევდნენ.“[6]

---

[5] საქართველოს ისტორია მე-9 კლასი. ავტორი: ნ.კვიტაიშვილი, დ. მალაზონია და სხვები. გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“. 2008 წელი. გვ. 54

[6] მ.ვანილიში. ა. თანდილავა „ლაზეთი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1964 წ. გვ 96.

ლაზი ქალებისა და მამაკაცების ეროვნული სამოსი, ჩაცმულობა კარგადაა გამოსახული ლაზი თვითნასწავლი მხატვრის ჰ. ჰელიმიშის შემოქმედებაში.

თევზაობა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები

სარფში ერთ-ერთი უძველესი საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალება იყო ერთ ხეში გამოთლილი ნავი. მოჭრიდნენ დიდ კუნძს, მის შუაგულს ამოიღებდნენ და ამით დადიოდნენ ზღვაზე. მოგვიანებით ასეთი ნავი გადაკეთდა და ეწოდა „ფელუკა“. ერთ ხეში ამოჭრილი ნავებით ზღვაში დიდხანს ცურვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ლაზებმა უფრო დიდი ზომის ნავების დამზადება დაიწყეს, რომელსაც „კამარა“ ეწოდებოდა. ფელუკას ემატებოდა დამატებიდი ფიცრები და აფრა. აფრა გრძელ მანძილზე გადაადგილების კარგი საშუალება იყო. ნავის დამზადება დღეს სოფელში მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცის, ეს გახლავთ სულიკო ნუმანიშვილი. მე მას მივმართე და გავესაუბრე. მან მიამბო, რომ ნავი მზადდება წაბლის ხისაგან, რომელსაც შემოდგომით ჭრიან, როცა ფოთოლცვენა დამთავრებულია. მორი უნდა დაიხერხოს ფიცრებად, ფიცრის სისქე განისაზღვრება ნავის სიდიდის მიხედვით. ფიცარი ეწყობა სიმაღლეზე ვერტიკალურად. დროთა განმავლობაში წვიმა რეცხავს ფიცარში არსებულ მჟავე შენაერთს, რომელიც მერქანშია. ამას ჭირდება თითქმის ხუთი თვე. პირველ რიგში, მზადდება ცხვირისა და კეჩოს დეტალები, რომელთაც „პოტოსტომა“ ეწოდება. ამის შემდეგ უნდა დამზადდეს ძირითადი ფსკერის ძელი. ფორმის აღება ხდება სპეციალური ხელსაწყო შაბლონით, შემდეგ იჭედება ნავის გვერდითი ნეკნები. გამზადებული ნავი კარგად უნდა გამოშრეს. ფიცრებს შორის ღრიჭოები ივსება ფისში გაპოხილი ბამბით. როგორც წესი, ჩვენს მხარეში მზადდებოდა სამი წყვილი ნიჩბიანი

ნავები. ძველად, როდესაც ლაზებს უხდებოდათ გრძელ მანძილზე მოგზაუ-ობა, იყენებდნენ იალქნიან ნავებს. დღეს ასეთი ნავები ძრავიანმა ნავებმა ჩაანაცვლა.

ლაზი მებადურები თითოეული სახეობის თევზის დასაჭერად განსხვა-ვებულ ბადეს იყენებდნენ. ძაფის დართვა ქალების საქმიანობა ყოფილა, ხოლო ბადეს კაცები ქსოვდნენ. დამზადებულ ბადეს თოკს გაუყრიდნენ, ზედა მხარეს მჩატე ხის ნაჭრებს ამაგრებდნენ, ხოლო ქვედა მხარეს ტყვიებს ან ქვებს კიდებდნენ.

ძველად ლაზები თურმე დელფინებზეც ნადირობდნენ და სპეციალურ ქარხნებში აბარებდნენ, სადაც ხდებოდა დელფინის ზეთისა და ხორცის განცალკევება. დელფინის ზეთი ნავთის მაგივრად იხმარებოდა. მას ლაზუ-რად „დელფინაშ იაღი“ ეწოდებოდა და იყენებდნენ ლამპის მაგარ ჭურჭელში-კანდელში ჩასასხმელად. ამ თემაზე საუბრობს ქსენოფონტი, როცა აღწერს, რომ მოსინიკების იგივე სანების (ჭანების) სახლებში დახვდა დიდ ქილებში ჩადებული „ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისევე იყენებდნენ, როგორც ელინელები ზეითუნის ზეთს.“(1)

ლაზები მდინარეზეც თევზაობდნენ. ამისათვის სპეციალური ხელსაწყო „კალათი“ ჰქონდათ, რომელიც ღარის მსგავსი იყო და დაწნული ყოფილა თხილის ხის წნელებით.

სათევზაოდ წასვლა ერთგვარი რიტუალი იყო. თევზის ჭერის დაწყების პირველ დღედ მიჩნეული იყო „საპატონი“(შაბათი). თუ რამდენიმე დღეს

დელფინს ვერ მოკლავდნენ, მიიჩნევდნენ, რომ თოფს თვალი ეცაო და შეალოცვინებდნენ.

ძველად მეთევზეს ერთი სეზონიდან მეორე სეზონამდე უნდა ჰქონოდა შენახული და დამარილებული თევზი, რომელსაც კასრებში ან ქვევრებში ინახავდა. მსხვილ თევზებს კი კარგად დასუფთავებულს, კერიასთან დაჰკიდებდნენ და ახმობდნენ.

მიმინოთი ნადირობა

ლაზები გაწვრთნილი მიმინოთი ნადირობდნენ ხოხობზე, „ოტრიკეზე“ (მწყერი). დღეს ეს სახე თითქმის მივიწყებულია. მასზე ბევრი რამ მიამბო 78 წლის ვასილ კაკაბაძემ, რომელიც ახალგაზრდობაში ნადირობდა ამ ხერხის გამოყენებით. მისი თქმით, ნადირობის სამზადისი ძირითადად ივლისის თვეში იწყება. მიმინოს დასაჭერად ჯერ ჩიტი „ღაჭო“ (ჩიტბატონა) უნდა დავიჭიროთ. ღაჭოს დასაჭერად კი „ღვაპა“ (მახრა)- მწერი. ცოცხალ მახრას ვაბამთ თოკზე და ვდებთ მახეში, რომელსაც კიდეებზე ბადეები აქვს გაკეთებული. ჩიტმა მწერი კარგად უნდა დაინახოს. როგორც კი ღაჭო დააფრინდება მახრას შესაჭმელად მახეში მოემწყვდევა.

დაჭერილ ღაჭოს ორივე თვალზე პლასტელს ან გუდრონს დააწებებდნენ ჩიტს, რომ ზემოთ ვერ აეხედა და მოფრენილი მიმინო ვერ დაენახა. ღაჭოს მონადირეები სატყუარად იყენებდნენ აგვისტოს თვეში და ხაფანგში იტყუებენ. დაჭერილ მიმინოს მონადირეები მკლავზე ჯდომას აჩვევდნენ, ფეხებზე უკეთებენ სპეციალურ ეჟვნებს. როდესაც აფრენილ მწყერს დაედევნება ფეხებზე მობმული ეჟვანი დაიწყებს ჟღარუნს. შეშინებული მწყერი ამ ხმაზე უკან მოიხედავს, რის გამოც ფრენის სიჩქარე ეცემა და მიმინო ახლო მანძილზე დაიჭერს. ნადირობის ეს სახე დღეს თითქმის მივიწყებულია.

ქემენჩე, პილილი

ქემენჩე და პილილი უძველესი ლაზური საკრავებია. ქემენჩეს ძირითადად თურქეთში მცხოვრები ლაზები იყენებენ. მას ვიოლინოს ფორმა აქვს, სამი სიმი და მომჭერები. ინსტრუმენტს თან ახლავს სპეციალური ჯოხი, რომლითაც ხდება მისი აჟღერება. ქემენჩე მზადდება თუთის ხისგან.

პილილი ჩასაბერი საკრავია. მას თურქეთში „ზურნას“ ეძახიან. იგი მზადდება მრავალწლიანი მცენარის „კამპარას“ (დიდგულას) ახალგაზრდა ტოტისგან. პილილს გააჩნია ორი მხარე და ექვსი ნახვრეტი. პილილს ძლიერი ჰაერის ჩაბერვა სჭირდება, ამიტომ მასზე ძირითადად მამაკაცები უკრავდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.შრომები. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2005 წ.

2. „საბჭოთა სარფი“ რ.ბაქრაძე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.ბათუმი 1971წ.

3. ჯ. სამუშია „ომი და მეომრები“. გამომცემლობა „პალიტრა“ 2014 წ.

4. მ.ვანილიში. ა. თანდილავა „ლაზეთი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1964 წ.

5. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი. ავტორები: ნ.კვიტაიშვილი, დ. მალაზონია და სხვები. გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“. 2008 წელი.

6. ადგილობრივი უხუცესები: ნურიე ნარაკიძე; ვასო კაკაბაძე; მურმან ნუმანიშვილი.

Tandilava Luka

Ethnographic Sketches on the LAz Living in Ajara

Abstract

In comparison with field-ethnographic material or written sources in the work, analyzes the different aspects of the Lazian material or spiritual culture and the traditional lifestyle of living in Adjara. Specifically, the geographical area of the settlement, structure, rural toponym and history, the ethnographical peculiarity of the Lazian home. Lazi cuisine specifics and a special place in fish in the Lazian kitchen are analyzed. The Georgian man has been fighting for the soul in a short time. This is evidenced by sports and public games that contain military elements in Georgia. " The oldest Lazian games are: "Milon", "Chulikon", "Topazi" and others. These games were not only a means of entertainment but also a future warrior who should become a defender of the homeland. There are also clothes, fishing and related traditions, witch hunting, folk music instruments.

It is particularly important to note that in the work, rich visual material is used. Once again, we believe that involving relevant illustrations in the process of ethnology can give you interesting conclusions.

Keywords: ethnography, spiritual and material culture.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი რწმენა-წარმოდგენები საბეჭდავი მასალების მიხედვით

გიორგი ქავთარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია, მე-3 კურსი

/ ელ.ფოსტა: gkavtaradze0@mail.ru

ხელმძღვანელი: შოთა მამულაძე

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენდა გლიპტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო ნიმუშები, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება აქ მცხოვრები უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე საუბარი. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებები გარკვეული აზრის მატარებელნი არიან. ძირითადად იკვეთება სამი სახის საკრალური შინაარსის მატარებელი სიმბოლო: მზე, ჯვარი და სიცოცხლის ხე. წინა აზიასა და სამხრეთ ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად გვხვდება მსგავსი ტიპის გამოსახულებები. აღმოჩენილი საბეჭდავი მასალების და მასზე ასახული ქრისტიანობამდელი საკრალური სიმბოლოები იძლევა იმის გამორკვევის საშუალებას, თუ რა სახის მითოლოგიური კულტურის მატარებელნი იყვნენ აქ მცხოვრები მოსახლეობა, რომელ უძველეს ცივილიზაციასთან უხდებოდათ კავშირი და რა გავლენები არსებობს ამ მიმართულებით.

შესავალი

ბევრი რამ იყო უძველესი ადამიანისათვის იდუმალი და შეუცნობელი, ამასთან შიშის მომგვრელი და შემზარავიც: სტიქიური უბედურება, ბუნების სხვადასხვა მოვლენები, წვიმა, სეტყვა, ჭექა-ქუხილი, მოუსავლიანობა, მზისა და მთვარის დაბნელება. პირადი ცხოვრებიდანაც აუხსნელი რჩებოდა ძილი, სიზმარი, ავადმყოფობა, სიკვდილი. უძველესი ადამიანისათვის ერთადერთი ამხსნელი აპარატი ადამიანური ცნობიერების თავდაპირველი ფორმა, მითოსური აზროვნება იყო. უძველესი ადამიანი განვითარების რაგინდ დაბალ დონეზეც არ უნდა ყოფილიყო, იგი თავის არსებობას და თავის მიზნებს უკავშირებს არა მარტო იმ მინდორს, რომელსაც ამუშავებს, ანდა იმ ტყეს, რომელშიც ნადირობს, არამედ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ასევე მათ გამგებელს თუ შემქმნელს. განსხვავდებიან სხვადასხვა ეპოქები კაცობრიობის განვითარებაში. უძველესია ის დრო, როცა ადამიანი ქვას, მცენარეს, ცხოველს, ანდა მნათობებს სცემს თაყვანს (გ. თევზაძე 1995).

მითოლოგიური „ლოგიკის“ მთავარი წინაპირობა იყო პირველ რიგში ის, რომ პირველყოფილი ადამიანი არ განაცალკევებდა საკუთარ თავს გარემომცველი ბუნებისგან (Евгений Анатольевич Ермолин 2002). ამის შედეგი იყო მთელი ბუნების გაადამიანურება, სადაც ადამიანური თვისებები გადაქონდათ ბუნებრივ ობიექტებზე, მათ მიაწერდნენ გასულიერებულობას, გონებრივობას, ადამიანურ გრძნობებს. მითიური დროის და თვითონ მითის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოდელის, მაგალითის, ნიმუშის შექმნა. მითიური დრო და მითიური გმირები, ტოვებენ რა ნიმუშებს მისაბაძად, უზრუნველყოფენ ბუნებაში და საზოგადოებაში დაწესებული წესრიგის დაცვას, უწინ დადგენილი წესრიგის შენარჩუნებას. ასეთი წესრიგის დაცვა მითის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ეს ფუნქცია ხორციელდება რიტუალების დახმარებით. მითებთან ერთად, რომლებსაც აქვთ რიტუალი, ქმნიან ორ მხარეს: თეორიულს და პრაქტიკულს. მაგრამ არსებობს მითები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი ექვივალენტი, ისევე როგორც რიტუალები, რომლებსაც აკლიათ თავიანთი მითოლოგიური ორეული.

მითი არსებობს სწორედ სიტყვიერი ფორმით, მაგრამ რეალურად ის არ არის მხოლოდ სიტყვიერი გამოხატულება. მითი შეიძლება ცალკეული

ნაწილებით და ელემენტებით დაფიქსირდეს: მოქმედებებით (წეს-ჩვეულებები), ნახატებით, გამოსახულებებით, და საგნებითაც (ნივთებით, ბუნებრივი ობიექტებით, მცენარეებით, ციური სხეულებით და სხვა).

გლიპტიკა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

გლიპტიკის ხელოვნება სათავეს იღებს შუამდინარეთში, რაც წარმოდგენილია რბილ ქვებზე გამოკვეთილი საბეჭდავების სახით. უძველესი საბეჭდავები ცილინდრული ფორმისაა, საიდანაც მიიღო სახელწოდება ,,ცილინდრული". ასევე ცნობილია კონუსის ფორმის ე. წ. ,,კონუსური" საბეჭდავები. ცილინდრის ფორმა განაპირობა ხმარების წესმა, რომ კარგად გადატრიალებულიყო ფირფიტაზე და დაეტოვებინა სასურველი ანაბეჭდი.

ძველ ახლო აღმოსავლეთში საბეჭდავები გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ქვებიდან, რათა კარგად აღბეჭდილიყო თიხაზე - ქონების ფორმის დადასტურება ან დოკუმენტის ავთენტურობა. თუმცა უფრო მეტად, საბეჭდავს თილისმის ფუნქცია ჰქონდა - მას უნდა დაეცვა მფლობელი და მისთვის ბედნიერება მოეტანა. საბეჭდავები გამიზნული იყო სატარებლად, ამიტომაც მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა - დაახლოებით ორმოციდან ოც მილიმეტრამდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ძველი ახლო აღმოსავლეთის გადარჩენილი ხელოვნების ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. საბეჭდავები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მფლობელთან და ითვლებოდა, რომ მფლობელის პიროვნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (ნ.სამსონია: 2008).

საბეჭდავების შესაქმნელად ქვას ეძლეოდა ფორმა, იხვრიტებოდა ჩასაკიდად და, ბოლოს, იკვეთებოდა მისი დიზაინი. საბეჭდავის ხელით გაბურღვის ამსახველ სცენას პირველად ვხვდებით ეგვიპტური კედლის მხატვრობაში (ფიგ. 1-2).



1 2

მხატვრული ხელოვნების ერთ-ერთი რთული დარგის, გლიპტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიმუშები (საბეჭდავები),

იქნა აღმოჩენილი აჭარის ხეობის თუ ჭოროხის ქვემო დინების კლასიკური, გვიანბრინჯაო, ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე. სოფელ კვაშტის (მდ.აჭარისწყლის მარცხენა სანაპირო, ქედის რაიონული ცენტრიდან 10კმ-ის დაშორებით) ძვ. წ V ს. დათარიღებულ ნამოსახლარის გათხრებისას 1983წ. აღმოჩნდა სხვა საკულტო დანიშნულების ნივთებთან ექვსი ცალი საბეჭდავი. პირველი სახის საბეჭდავი მოწითალო ფერის თიხისგან არის დამზადებული. საბეჭდავს შემორჩენილი აქვს ცილინდრული ფორმის სახელურის დასაწყისი. ბრტყელ პირზე გეომეტრიული მოტივია გამოხატული ,,შევსებული ჯვარი“. ურთიერთ გადამკვეთი ორი ხაზი ოთხ თანაბარ სეგმენტად ყოფს საბეჭდავის პირს. ერთ-ერთი სეგმენტის მთლიანი ზედაპირი ატეხილია და დანარჩენი სამ სეგმენტი შევსილია ჯვრის ცენტრიდან დაშვებული სხივისებრი რელიეფური ქედებით. ის სიცოცხლის ხის შთაბეჭდილებასაც ტოვებს (გამ.1). მსგავსი მოტივებია აქვე აღმოჩენილ სხვა საბეჭდავებზეც (გამ. 2; 3; 4; 5; 6;), დატანილი ნიმუშები ხელით არის ნაძერწი, საბეჭდავებს ასევე ქონდა ღილისებური ფორმის სახელური.



თიხის სამი საბეჭდავი აღმოჩნდა მახვილაურის (მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპირო, ხელვაჩაურის რაიონი) ანტიკური ხანის ნამოსახლარზე. მახვილაურის გორაზე არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა 1982-1983 წლებში. ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი საბეჭდავები დამზადებულია მოყავისფრო ფერის ალიზის თიხისაგან, აქვს ცილინდრული ფორმის სახელურები. რაც შეეხება მათ დამზადებას, მას შემდეგ რაც ოსტატი საბეჭდავს გამოძერწავდა, ჯერ კიდევ მის გამოწვამდე, პირზე სპეციალური იარაღით (დანით, ჩხირით) ამოჭრიდა სასურველ გამოსახულებას. გამოშრობის შემდეგ კი საბეჭდავი გამოიწვებოდა. თიხა, რომელიც უფრო მსხვრევადი და მყიფე ჩანს, მზეზე გამომწვარი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მაღალ დონეზეა შესრულებული კვაშტაში აღმოჩენილი საბეჭდავები, ასევე ერთი ნიმუში მახვილაურიდან. ამათ გარდა თიხის სამი

საბეჭდავი აღმოჩნდა სოფ. ჭარნალის (მდ. ჭოროხის მარცხენა მხარე, ჭოროხის შენაკად ჭარნალისწყლის მარცხენა სანაპიროს შემაღლებულ გორაზე) ძვ. წ. VII-VI სს. დათარიღებულ გორასამოსახლოზე და 2005 წელს ჩატარებული ექსპედიციის დროს თიხის ორი საბეჭდავი გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში.

სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში აღმოჩენილი საბეჭდავების თიხა ძირითადად მოწითალო, მოვარდისფროა ან მოყავისფროა. გარეგნული ფორმით იმეორებენ ძველ აღმოსავლეთში არსებულ თიხის თუ ქვის საბეჭდავების ტიპებს, იმ განსხვავებით რომ ჩვენი საბეჭდავების ფორმები ძირითადად ერთგვაროვანით ხასიათდება. რაც შეეხება მათზე დატანილ გამოსახულებებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გეომეტრიული სახის მოტივებია გადმოცემული. კერძოდ, ე.წ. შევსებული ჯვარი, ანუ ჯვარი რომელის მკლავებს შორის არსებული კუთხეებით, სხივისებური რელიეფური ან ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ქედებით, მინიატურული ჯვრებით, წრეებით და ბოლოს, ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, ე.წ. ჯვრითაა წარმოდგენილი. მხოლოდ ერთადერთ, სოფელ ჭარლის ძვ.წ. გორასამოსახლოებზე აღმოჩენილ ნიმუშებზეა დატანილი მცენარის გამოსახულება (გამ:7;8). ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონიდან დღემდე უცნობი იყო, ამიტომ ისინი უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი წარმოების უძველეს ნიმუშებად.

ძვ.წ. IX საუკუნიდან საქართველოში ჩნდება ქვისა და ბრინჯაოს საბეჭდავები (მ. ლორთქიფანიძე, 1969). ამ ტიპის საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოში აღმოჩენილია ნატანებსა და ბორში (ძვ.წ. IX-VIIIსს), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოდან: ურბნისში, ხოვლეში, როქში, სამთავროსა და წალკაში. თუმცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თიხისაგან დამზადებული საბეჭდავები მოგვიანებითაც აგრძელებენ არსებობას. მსგავსი ტიპის საბეჭდავები

რაოდენობრივად ჭარბობენ ლითონისა და ქვისგან დამზადებულ საბეჭ-დავებს. ლითონისა და ქვისგან დამზადებულ საბეჭდავებზე, გეომეტრიულის გარდა გვხვდება ნატურალური მოტივები: ცხოველების, ფრინველების, მტაცებლისა და იშვიათად ადამიანის გამოხატულებები. *,,ამ ტიპის საბეჭ-დავები ძირითადად ადგილობრივი წარმოშობისაა, ხოლო რიგი მათგანი ხეთური გლიპტიკის გავლენით არის შექმნილი, შესამჩნევია ასევე ადრეკრე-ტული კულტურის გავლენა, ზოგიც მესოპოტამიურ - გლიპტიკურ ძეგლებს ენათესავება, შეიმჩნევა კავშირი ურარტულ ძეგლებთანაც"* [მ. ლორთიფანიძე 1969;4,39].

მსგავსი საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ამ მხრივ, საინტერესო ნიმუშებია მოპოვებული 1955-1956 წლებში აზერბაიჯან-ში ქ. ყაზანში, ე.წ. სარი-თეფეს ნამოსახლარის გათხრები, სადაც 20-ზე მეტი თიხის საბეჭდავი დაფიქსირებული და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღ-დებიან (Халимов, 1960). მსგავსი ნიმუშები ცნობილია აგრეთვე მინგეჩაური-დან (Асланов, 1960). შედარებით ადრეულებია ერევანთან ახლოს მუხანატ-თეფეს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი საბეჭდავები. სა-ქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშეთში (Крупнов, 1960), ჩეჩნეთში, სერჟენ-იურთის ძველ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ნიმუ-შებთან, რომლებიც ძირითადად ძველი წელთაღრიცხვით I ათასწლეულს განეკუთვნებიან (Мунчаев, 1962).

საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებათა განსაზღვრება და საკრალური შინაარსი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭ-დავებზე დატანილი გამოსახულებები გარკვეული აზრის მატარებელნი არიან. ძირითადად იკვეთება სამი სახის საკრალური შინაარსის მატარებელი სიმბოლო: მზის კომბინაცია ჯვარში (გამ.1), ჯვარი (გამ.2,3,4), სიცოცხლის ხე (გამ. 8). როგორც მიიჩნევა, მსგავს ნიმუშებზე არის ასახული ამა თუ იმ ხალხის შეხედულებები, რწმენა-წარმოდგენები, რომელიც თაობათა მიერ არის შემუ-შავებული და ჩამოყალიბებული (ხიდაშელი, 2001).

საბეჭდავებზე დატანილი საკრალური შინაარსის მატარებელი ნიშნები, ინარჩუნებენ უმჭიდროვეს კავშირს მითთან, და არქაული ხანის ადამიანის ცნობიერების შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩებიან. ქართველებს ქრისტიანობამდე საკუთარი შეხედულებები ჰქონდათ სამყაროს მოწყობაზე. ,,*ქართველების კოსმოგონიური* (შეხედულებები სამყაროს აგებულებისა და შექმნის შესახებ) *სისტემა საკმაოდ განსხვავებულია იმ შუმერულ-ბაბილონური სისტემისაგან, რომელთანაც არის დაკავშირებული ბიბლიური ტრადიცია"* [რ.თოფჩიშვილი, 2010]. ადამიანის ცნობიერება ამ ხანებში, ჯერ კიდევ, მთლიანად მითით იყო განპირობებული. მისი სულიერების განმსაზღვრელ ერთადერთსა და ყოვლისმომცველ იდეას, ისევ და ისევ, კოსმოგონიზმი შეადგენდა. ის განსაზღვრავდა ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მის ყველა სულიერ ღირებულებას. კოსმოგონიური იდეა ედო საფუძვლად სამყაროს არსის, მისი წარმოშობის, სივრცის, დროის, მიზეზის, შედეგის, სიკვდილ-სიცოცხლის, ბოროტებისა და სიკეთის თავისებურ გააზრებას. ,,*არქაული პერიოდის გამოყენებითი ხელოვნება სპონტანურად აღადგენდა მითოსური ცნობიერების ძირითად სტრუქტურებს და გადმოგვცემდა მსოფლაღქმის მთელ წყობას"* [მ.ხიდაშელი, თბილისი: ნეკერი, 2001] არქაული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, დიდი მატერიალური კულტურების ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელება, ამიტომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საბეჭდავებზე დატანილ გამოსახულებებში კარგად ჩანს არა მარტო აქ მცხოვრებთა რწმენა-წარმოდგენები, არამედ მათში არეკლილია სხვა კულტურათა გავლენები.

ყველა უძველესი კულტურა და ერი იყენებდა მზის სიმბოლოს, რათა ედიდებინა ზეცის უხილავი შემოქმედი. მზის კულტი გავრცელებული იყო ასევე საქართველოშიც. საქართველოში ბევრი აღმოჩენა არის გაკეთებული, რომელიც მზის კულტს უკავშირდება (მაგალითად ნეკრესის ნაქალაქარის დასავლეთ მხარეს აღმოჩენილი ციურ მნათობთა ტრიადისადმი მიძღვნილი სამლოცველო, რომელიც თარიღდება ძვ.წ. აღ. XIV-XII ს.-ით). ქართველთა რელიგიური რწმენით დედამიწა მზის სამეფოა, მისი საკუთრებაა, სადაც ყოველ ადამიანს ჰყავს თავისი მზე, ამ მზის წილებს მისი სხივები განასახიერებენ, ღამის მნათობის, მთვარის წილებს კი ვარსკვლავები (ი.კიკვიძე:1976).

საინტერესოა ჯვრის, როგორც სიმბოლოს გაჩენის და დაფუძნების საკითხი. ამ მხრივ მ. ხიდაშელი აღნიშნავს, რომ უძველესი ადამიანის მიერ მინდორში ჩატარებული სამუშაოების უმარტივესი რიტმი ეხმარებოდა მას თვალყური ედევნებინა მოძრაობაზე, გაეაზრებინა ისეთი უმარტივესი ოპოზიციები, როგორიც არის წინა და უკანა, ზედა და ქვედა, მარცხენა და მარჯვენა და ა.შ. გარდა ამისა, მისი დახმარებით შეიცნო ადამიანმა ისეთი მუდმივი კოორდინატი, როგორიც არის ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, გაიაზრა დრო, მზის ამოსვლა და ჩასვლა, დღისა და ღამის მონაცვლეობა, სინათლისა და წყვდიადის დაპირისპირება. ამიტომ იყო, რომ ადამიანის მიერ დამუშავებული მინდვრის მხარეები ქვეყნის ოთხ მხარეს შეესაბამებოდა, ამავე დროს, დროის ასპექტსაც გულისხმობდა: შუა დღეს და შუა ღამეს, მზის ამოსვლასა და ჩასვლას. ყოველივე ამის გამო, მინდვრის იდეოგრამამ შემდეგი სახე მიიღო: ჯვრით გადასერილი, წერტილებით ამოვსებული კვადრატი. დისკში ჩახატული ჯვარი - ნიშანში ნათლად იყო ასახული დროისა და სივრცის ერთიანობის იდეა, ამავე დროს ნაგულისხმევი იყო ისიც, რომ დედამიწის კოორდინატების განსაზღვრა მზის საშუალებით ხდებოდა. ეს ორნამენტული მოტივები, ეს უმარტივესი ნიშნები, დიდ მდგრადობას იჩენს და ფართო ტერიტორიაზე ჰპოვებს გავრცელებას (მ.ხიდაშელი 2001).

წინა აზიასა და სამხრეთ ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად გვხვდება ჯვრის გამოსახულებანი და ჯვრის პრინციპზე აგებული კომპოზიციები. ჯვარი, როგორც კოსმოგონიური ნიშანი, არქაული დროისა და სივრცის თავისებური გააზრების შედეგად იყო შექმნილი. იგი ყველაზე სრულად ასახავდა ადამიანის უმარტივეს შეხედულებებს სამყაროზე. ჯვარი ყოველთვის გულისხმობდა, ერთი მხრივ, სამყაროს ცენტრს, ხოლო, მეორე მხრივ, გადმოგვცემდა სამყაროს მთლიანობის იდეას, წარმოაჩენდა მის აგებულებას: მის, როგორც ვერტიკალურ ისე ჰორიზონტალურ სტრუქტურას, მიანიშნებდა ოთხი მთავარი მიმართულების არსებობაზე. ამიტომაც გადაიქცა იგი ქვეყნიერების აღმნიშვნელ განზოგადებულ კოსმოგონიურ ნიშნად.

რაც შეეხება სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს, ის ყველა ხალხში გავრცელებული ნაყოფიერების უნივერსალური ემბლემაა, ასევე მსოფლიო წესრიგის სიმბოლური სახეა ძველი ქვეყნების ხალხთა მითოლოგიაში. ი. კიკვიძე

შენიშნავს, რომ ეს ფაქტი სრულიად ბუნებრივია, *,,ჯერ ერთი, იგი ნიადაგიდან არის აღმოცენებული და ამ ნიადაგის ნაყოფიერების სიმბოლური განსახიერებაა. მეორეც, თვით არის ნაყოფის მიმცემი. მესამეც, ფოთოლცვენითა თუ შემოსვით, თითქოსდა, ბუნების სიკვდილ-სიცოცხლეს გამოხატავს, ან მარადმწვანობით სიცოცხლის უსასრულობას"* [ი.კიკვიძე 1976:192]. განსაკუთრებულია სიცოცხლის ხის ადგილი ქართული ტომების რელიგიურ წარმოდგენებში. ხე - კულტის ობიექტად უფრო ადრეა ქცეულია, ვიდრე ეს უკანასკნელი ნაყოფიერების კულტად იქცეოდა (ი.კიკვიძე). საინტერესოა თუ როდის ერწყმის ხე ნაყოფიერების კულტს. მკვლევარები ვარაუდობენ რომ ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ხეს აშკარა აგრარული ხასიათი აქვს, რომ მისი წარმოშობა წარმოებითი მეურნეობისა და მასთან დაკავშირებით, სამიწათმოქმედო კულტის ჩასახვა-განვითარების პარალელურად უნდა ვივარაუდოთ. ხე ნაყოფიერების სიმბოლოდ მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძოდ, მებაღეობასა და მევენახეობასთან დაკავშირებით უნდა განვითარებულიყო.

აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ხის მოტივები მრავლად გვხვდება ლაზური კულტურის რეალობაში. ლაზების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებათა ნავთათა, დიდთა და მცირეთა". არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ლაზური ორნამენტი ხეზე უპირატესად მცენარეული და ცხოველური სახეებითაა წარმოდგენილი. სიუჟეტის მხრივ, უძველესი მოტივებია მოცემული, რომლებიც დეკორატიულ დანიშნულებასთან ერთად მითოლოგიურ შინაარსს შეიცავენ. აღსანიშნავია სიცოცხლის ხე (სხვადასხვა ჯიშის), ცხოველების წყვილი („ანტიპოდები") და მნათობები (მთვარე, მზე, ვარსკვლავები) (გ.ჩიტაია1941).

სიცოცხლის ხის სიმბოლური დატვირთვა ბიბლიურ მოტივებში

სიცოცხლის ხე, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ედემის ბაღში აღმოცენდა, სადაც უფალმა პირველი ადამიანები - ადამი და ევა გააჩინა. ასევე ხე ,,სიკეთისა და ბოროტების შეცნობისა", რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ედემის ბაღში (დაბადება 2:9).

პირველმა ადამიანებმა მიიღეს ნებართვა ღმერთისგან, რომ ედემის ბაღში ნებისმიერი ხის ნაყოფი შეეჭამათ, გარდა სიკეთისა და ბოროტების შეცნობის

ხის ნაყოფისა (დაბადება 2: 16-17). გველი ადამის ცოლს შთააგონებს, რომ სიკეთისა და ბოროტების ცოდნის ნაყოფის ჭამა არ გამოიწვევს სიკვდილს, პირიქით, ადამსა და მის ცოლს „ექნებათ თვალები“ და ისინი გახდებიან “როგორც ღმერთები, რომლებიც იცნობენ სიკეთესა და ბოროტებას“ (დაბადება 3: 4-5). ღმერთი დაუმორჩილებლობის გამო ართმევს მათ შესაძლებლობას, ეჭამათ სიცოცხლის ხისგან. მან სამოთხედან განდევნა ისინი და ედემის ბაღის შესასვლელთან დააყენა ქერუბი, რათა არ დაუშვას ადამიანების შესვლა. *თქვა უფალმა ღმერთმა: „აჰა გახდა ადამი, სიკეთისა და ბოროტების შემცნობელი, როგორც ერთი ჩვენგანი. ახლა სიცოცხლის ხის ნაყოფის მოსაწყვეტადაც არ გაიწოდოს ხელი, არ შეჭამოს და საუკუნოდ არ იცოცხლოს“. და გაიყვანა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რათა დაემუშავებინა მიწა, რომლიდანაც იყო აღებული. და დააყენა ქერუბები ედემის ბაღის აღმოსავლეთით, და მბრუნავი მახვილი აღმართა ადამის განდევნის შემდეგ, რათა დაცული ყოფილიყო სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზა [დაბადება 3:22-24].*

ჯვრის ალეგორია დაახ. 1330 წ, შუა საუკუნეები, ფრესკა, ბაზილიკა, სანტა-კროჩე, ფლორენცია.

მოგვიანებით, სიცოცხლის ხე სიმბოლოა გონიერი სიბრძნის და სათნოებისა (იგავები 3:13-18). მათეს სახარებაში გადმოცემული იესო ქრისტეს წარმოშობას (გენეალოგია) ხშირად გამოსახავენ ხის სახით (გამ.1), რომელიც ესაიასგან აღმოცენდება. ჩვეულებრივ, ქრისტეს გენეალოგიური ხის კენწეროზე მარიამ ღვთისმშობელსა და ყრმა მაცხოვარს გამოსახავენ. ესაიას ხის ამგვარი წარმოდგენა ესაიას წინასწარმეტყველებიდან *გამომდინარეობს: „და გამოვა ყლორტი იესეს კუნძიდან და ნორჩი ნერგი მისი ფესვებიდან ნაყოფს გამოიღებს. და დაივანებს მასზე უფლის სული...“* (ეს 11:1-2). იესოს წარმოშობის გამოსახულებაზე ცენტრალურ ფიგურას ჯვარცმული ქრისტე წარმოადგენს, რაც იმით არის განპირობებული, რომ შუა საუკუნეების ტრადიციის მიხედვით, დაღუპული სიცოცხლის ხე კვლავ გამოიღებს კვირტებს, თუკი მასზე დაემყნობა ცხოველმყოფელი მორჩი - ჯვარცმული ქრისტე, და თუკი სიცოცხლის ხე მაცხოვრის სისხლით მოირწყვება. ზოგჯერ ხის გვერდით გამოსახულია ვაზი, ზიარების სიმბოლო.

მაშასადამე, ქრისტიანობაში სიცოცხლის ხე სულიერ სიცოცხლეს წარმოადგენს. *„მისი ქუჩის შუაგულში, მდინარის გაღმა-გამოღმა, სიცოცხლის ხეა, რომელიც ისხამს თორმეტ ნაყოფს. ყოველ თვეში იძლევა თავის ნაყოფს. ხოლო ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა“* (გამოცხ 22:2). კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე კი ღვთიური კურთხევისა და მზრუნველობის დაკარგვის სიმბოლური გამოხატულებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ ხე ადამიანს განასახიერებს, ვინაიდან ერთდროულად წარმოშობს, როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ნაყოფს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველეს მოსახლეობას განსაკუთრებული მითოლოგიური კულტურა გააჩნდა, მას არ ჰქონდა ნაციონალური ელფერი, აქ მცხოვრები მოსახლეობა თავისი კულტურით ჩართული იყო ზოგად საკაცობრიო მითოლოგიურ ცოდნაში. ამას ადასტურებს საბეჭდავებზე დატანილი ისეთი უნივერსალური საკრალური სიმბოლოები, როგორიცაა: მზის, ჯვრისა და სიცოცხლის ხის გამოსახულება. მსოფლიო კულტურული განვითარების სფეროში მითის შექმნა განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა. კაცობრიობის

შემდეგი განვითარების ეტაპი უკავშირდება მითოლოგიური კულტურის გარდამავალ ხანას და მეცნიერების ჩასახვას ძველ საბერძნეთში. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობისთვის არც ეს იყო უცხო, რადგან თემისტიოსი, ლიბანიოსისა და სხვათა ცნობით აქ არსებობდა ე.წ. ნეოპლატონური სასწავლებელი. მაშასადამე, საქართველოს ამ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე საუბრისას კვლავ ნათლად ვადასტურებთ, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობა ჩართული იყო იმ დროინდელი ევროპული, ანუ ბერძნული ცივილიზაციის სათავეებთან და ეს ურთიერთობები შემდგომაც გაგრძელდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.კიკვაძე ,,ადრესამიწათმოქმედო კულტურა საქართველოში“ 1976.
2. მ.ხიდაშელი ,,სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში“ 2001.
3. ნ.სამსონია ,,შუამდინარული გლიპტიკა“ 2008.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I “საბჭოთა საქართველო”. თბ., 1970.
5. Евгений Анатольевич Ермолин ,,Миф и культура“ 2002.
6. ფ.ენგელსი ,,გლეხთა ომი გერმანია“ თბ.1956.
7. მ.ხიდაშელითბილისი ,,ნეკერი'' 2001.
8. გ.ჩიტაია ,,სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში'' თბილისი, 1941.
9. ბიბლია საპატრიარქო გამოცემა თბილისი 2013.
10. Асланов, Ваидов, Ионе1950: Асланов Г. М., Ваидов Г. М. , Ионе Г. И. Древний Мингечаур, Баку.
11. Иерусалимская, Козенкова, Крупнов 1963: Иерусалимская А.А. Козенкова В.И. Крупнов Е.И. Древние поселения у с. Сержен-юрт в Чечно- Ингушетии,.- КСИА, вип. 94, Москва.
12. Мунчаев1962: Мунчаев Р. И. Памятники маикопской культуры в Чечено-Ингушетии.-СА, №3, Москва.
13. Халимов1960: Халимов Д. А. Поселения на Холме Сара-Тепе. -СА, №4, Москва.
14. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა ,,რელიგიები საქართველოში“ თბილისი 2008.

Kavtaradze Giorgi

Ancient Beliefs in South-Western Georgia (According to Printing Materials)

Abstract

As a result of the last years archeological excavations, many interesting evidences were discovered, from the view of learning the south-west Georgian ancient inhabitant's belief and notions. The most interesting are stamps, they are of different size, have round shape and cylinder handles, the main part of these stamps are kept safe. There is the portrayal of the symbols of the sun, cross and the tree of life on their round surfaces. The given model arouses great interest about ancient inhabitant's culture and religious belief and notions. Interesting materials of early and following era were discovered on the territory of Asia Minor, Apennines, Balkan Peninsula, The Danube, North Caucasus, East Europe, North Black sea Littoral and East or West Georgia itself. There is the variery of ideas according to their function. In our opinions, evidences, like clay stamps, dating to the antique and classical era, were used for ornament, and the symbolical portrayals such as the sun, cross and the tree of life describes ancient inhabrtant's religious belief and notions and responses the whole Caucasian and Eastern world.

ფაიანსის ნაწარმი გონიო-აფსაროსის ციხიდან

სალომე დუმბაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია III კურსი
ელ. ფოსტა: saldumbadze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ქამადაძე
არქეოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გონიოს ციხის გვიან შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი.

როგორც ცნობილია, გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ტიპის კერამიკა შემოტანილია ოსმალეთის იმპერიის საწარმოო ცენტრებიდან იზნიკიდან და ქუთაიიდან და XV-XVIII სს-ის სხვადასხვა მონაკვეთებით თარიღდება. ამათგან უმთავრესი ცენტრი იყო ქ. იზნიკი. იზნიკურ კერამიკაში განვითარების სამ პერიოდს გამოყოფენ: იზნიკი I, იზნიკი II და იზნიკი III. არქეოლოგიური გათხრისას გონიოს ციხეში აღმოჩენილია სამივე პერიოდის ნაწარმი: თეფშები, დოქები, ჯამები და აშ.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სწორედ ქ. იზნიკის საწარმოო ცენტრში დამზადებული ფაიანსის ჭურჭელი.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ფენა, ფაინსი, გონიოს ციხე.

1. შესავალი

როგორც ცნობილია, ფაიანსი თეთრი, ნასვრეტოვანი კეცის მქონე მოჭიქულ ნაწარმს აღნიშნავს და ამ ტიპის კერამიკის სახელწოდება იტალიის ქალაქ ფაენცადან (ფრანგ. faïence) მომდინარეობს, რომელიც XVI ს-ის დასაწყისში კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი იყო [მამაიაშვილი 1976: 5]. კერამიკული ნაწარმის ეს სახეობა ცნობილი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და შუამდინარეთში იყო, მაგრამ წარმოება რამდენიმე საუკუნის

გასვლის შემდეგ უკვალოდ გაქრა და ხელმეორედ VIII-IX სს-ის ირანში (ხორასანში) ჩნდება [Галенко 2005: 497].

გვიან შუა საუკუნეებში, XV ს-ის ბოლოსა და XVI ს-ის დასაწყისში ფაიანსის წარმოება ჩინური ფაიფურის მიბაძვით იწყება. თავისი მრავალფეროვანი და მდიდარი დეკორაციების გამო, ფაიფური საკმაოდ ძვირი ღირდა, მისი დამზადების ტექნოლოგია, კი საუკუნეების მანძილზე უცნობი იყო. ამიტომ, მზადდება თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიანსის ნაწარმი, რომელიც ძალიან გავდა მინის დინასტიის პერიოდის (1368-1644 წწ) ჩინურ ფაიფურს, თუმცა ხარისხით ჩამოუარდებოდა. სხვადასხვა ქვეყნის და მათ შორის ოსმალეთის იმპერიის ხელოსნებიც ცდილობდნენ ისეთი ნაწარმი შეექმნათ, რომელიც ახლოს იქნებოდა ფაიფურთან [ქამადაძე, 2016: 78].

ოსმალური ფაიანისის განვითარების პირველი ეტაპი სასახლის კარის მხარდაჭერით განვითარდა და ძირითადად ემსახურებოდა საზოგადოების მაღალი ფენის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კერამიკის წარმოებას უნდა გაეარა შესაბამისი პროცედურები, იგი სასახლის გარეთაც გავრცელდა საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობაში, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მდიდარი საზოგადოებისთვის განკუთვნილი ეს პროდუქტი აქტიურად იყიდებოდა ბაზარზე [ქამადაძე, 2016: 79].

ოსმალეთის იმპერიაში ფაიანსის დამზადებით ცნობილი იყო მცირე აზიის ქალაქები იზნიკი და ქუთაია. მათგან უადრეს ცენტრს წარმოადგენდა ქ. იზნიკი.

2. იზნიკური კერამიკა და გონიო-აფსაროსის მონაპოვრები

ფერებისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით, მკლევარები გამოყოფენ იზნიკური კერამიკის განვითარების სამ ძირითად პერიოდს: იზნიკი I (აბრაჰამის ქუთჰაია - 1480/90-1525/30 წწ), ლურჯი საღებავით თეთრ ფონზე გაფორმებული ნიმუშები. იზნიკი II (დამასკოს სტილი - 1525/1530-1555 წწ), ლურჯ საღებავთან ერთად ჩნდება სხვადასხვა ფერები. იზნიკი III (როდოსის სტილი - 1555-1700 წწ). პოლიქრომული კერამიკა გაფორმებული წითელი, მწვანე, ცისფერი და ლურჯი საღებავებით, რომელთაც შემოვლებული აქვთ შავი კონტურები და წამყვან ფერს წარმოადგენს წითელი.

იზნიკური კერამიკის ცნობილი მკლევარის ჰეისის დასკვნით, როდესაც ახალი ფერი ჩნდება, ეს ახალი ფაზის დასაწყისია, მაგრამ ძველი ფერებიც მთლიანად არასდროს არ ქრება და განაგრძობენ არსებობას. იმის გამო, რომ რთულია და ხშირად ვერ ხერხდება ქრონოლოგიურად გამიჯვნა თუ ზუსტად როდის იწყება ამა თუ იმ ფერის გამოყენება, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია იზნიკური კერამიკის მხოლოდ ორ ნაწილად დაყოფაც: ადრეულ იზნიკურ კერამიკად (1490-1555 წწ) და გვიან იზნიკურ კერამიკად (1555-1700 წწ) [Féhevári 1973:145].

იზნიკი I-ის კერამიკა მოხატულია თეთრ ფონზე, გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით. ამასთან კობალტის ორი შეფერილობაა გამოყენებული, ღია ძირითადად ნახატისათვის და მუქი - კონტურებისათვის. დეკორაციაში ძირითადი ადგილი დაიკავა ყვავილოვანმა მოტივებმა.

იზნიკი I-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია, თეფშების, ჯამებისა და დოქების სახით. აღმოჩენილია ხუფისა და ფიალის რამოდენიმე ნატეხიც [ქამადაძე, 2016: 80-81].

თურქული კერამიკის ყველაზე შემოქმედებითი პერიოდი არის იზნიკი II (დამასკოს სტილი). ეს პერიოდი ითვლება იზნიკური კერამიკული ნაწარმის განვითარების უმაღლეს მწვერვალად. 1530 წლიდან თეთრ ფონზე ლურჯად გაფორმებულ ნიმუშებს დაემატა ფირუზისფერი, მწვანე, ზეთისხილისფერი, იისფერი და შავი - ძირითადად კონტურებისათვის [მამაიაშვილი 1976: 96]. კერამიკის გასაფორმებლად ჩნდება და მალე წამყვან ადგილს იკავებს: ვარდები, სუმბულები, ცხრატყავები, ქრიზანთემები, ყველაზე მეტად კი ტიტები და მიხაკები.

იზნიკი II-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია თეფშებისა და დოქების ძირ-კედლის ნატეხების სახით. აღსანიშნავია ასევე ფიალის პირ-კალთის ერთი ნატეხიც [ქამადაძე, 2016: 81-83].

გვიანდელი იზნიკური კერამიკის ჯგუფი, იზნიკი III თარიღდება 1555-1700 წწ-ით და ცნობილია როდოსის სტილის სახელწოდებით. როდოსის სტილის კერამიკაში ოსმალო კერამიკოსები მოხატვისას იყენებენ მკაფიო მწვანესა და განსაკუთრებით კი მკაფიო წითელ საღებავებს. ამან გამოიწვია იმ ფერთა გამოდევნა, რომლებიც არ იყო მათთან ჰარმონიაში. ასეთები აღმოჩნდა

მომწვანო-ზეთისხილისფერი და მეწამული. ამ დროიდან ნივთების უმეტესობა ბრწყინვალე ტონების დამახასიათებელი გამით იხატება: ლურჯი, წითელი, მწვანე, ფირუზისფერი, ყვითელი, ყავისფერი და ნაცრისფერი, რომელთაც ირგვლივ შემოუყვებათ შავი კონტურები. ყველაზე მაღალი ხარისხის ნაწარმი იზნიკურ კერამიკაში დამზადებულია სწორედ ამ პერიოდში და ამ ჯგუფის კერამიკა მსოფლიოს მუზეუმების ყველაზე ძვირფას კოლექციებში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებს.

იზნიკი III-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია თეფშების, ფიალებისა და დოქების პირის, კედლისა და ძირის ნატეხების სახით [ქამადაძე, 2016: 85].

3. იზნიკური კერამიკის გავრცელება

იზნიკური კერამიკის მაღალმხატვრულმა დონემ დიდი აღიარება და პოპულარობა მოუტანა თურქულ კერამიკას. იგი გასცდა თურქეთის იმპერიის საზღვრებს და ფართოდ გავრცელდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში [Kirmizi 2004:90; Erkmen 2009:120; Миллер 1965:44]. ზოგიერთ ჭურჭელზე გაკეთებული ნიშანი, მკლევარებს აფიქრებინებს, რომ იზნიკური კერამიკის გარკვეული ნაწილი სპეციალური შეკვეთით მზადდებოდა ევროპული ქვეყნებისათვის [Kirmizi 2004: 90]. თხელი და ფაქიზი იზნიკური ნაწარმი ძალიან ძვირად ფასობდა და მეტი უსაფრთხოებისათვის ზოგჯერ ის იგზავნებოდა ოქროსთან და ვერცხლთან ერთად, შესაბამისი წარწერითა და თარიღით. გასაკვირი არ არის, რომ იზნიკური ნაწარმი გახდა მისაბაძი მრავალი ქვეყნის ხელოსნებისათვის. XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში ირანში იწარმოება ჯამები და თასები, რომლებიც გაფორმების ტექნიკით იზნიკურის მსგავსია. თურქული კომპოზიციები მცირედი სახესხვაობით ჩნდება XVII ს-ის დასაწყისში ასევე იტალიური მაიოლიკის ტიპის კერამიკის ერთ-ერთ ჯგუფზეც [Миллер 1965:44].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად იზნიკური კერამიკა აღმოჩენილია ყირიმის ნ.კ-ზე (უკრაინა), შავი ზღვისპირა ციხეებში: აკერმანში, ოჩაკოვში, იზმაილში, ლიუტოკში (უკრაინა), ვარნაში, სოფიაში (ბულგარეთი), იასში, სუჩაში, ტიგროვიშტში (რუმინეთი), სტამბულში (თურქეთი), მოსკოვსა და

მის შემოგარენში (რუსეთი), ბუდაში, ბარსში, ეგერში, ესზტერგომში, გიულაში, ოზორაში, პესში, ფეჩერვარში, სზოლნოკში, ვასში, ვისეგრანდში (უნგრეთი); ვენეციაში (იტალია); კორინთოში, გლარენცაში, ათენში, ბეოტიაში, თესალონიკში, კ. კრეტაზე (საბერძნეთი), ეგეოსის ზღვის კუნძულებზე: სკიროსზე, კოსზე, კიკლადებზე, როდოსზე, კვიპროსზე და ა.შ [ქამადაძე, 2016: 88].

საქართველოში იზნიკური კერამიკის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე, ნარდევანის არქაულ ციხე-სიმაგრეზე (წალკა), ციხე სულორზე (ვანი) [მამაიაშვილი 1974: 201-220; მამაიაშვილი 1976: 96-98] და ქუთაისის ციხეზე [ქარციძე 2010: 191-192].

XVII ს-დან იზნიკში კერამიკული ნაწარმის დამზადება მცირდება, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის იმპერიის შესუსტებითა და სტაგნაციით. შიდა არეულობებისა და საგარეო მდგომარეობის გართულების ფონზე, ოსმალეთის სულთნები უკვე სათანადო ყურადღებას ვეღარ აქცევენ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას, მათ შორის კერამიკული ნაწარმისას. 1716 წელს კერამიკული წარმოება იზნიკში საბოლოოდ წყვეტს არსებობას. კერამიკული წარმოების შეწყვეტას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან, ფიქრობენ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქალაქმა დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან აქ გამავალმა სავაჭრო-საქარავნო გზამ უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა, უკავშირებენ ამ ადგილებში მალარიის დაავადების გავრცელებას, რის გამოც ხელოსნებმა დატოვეს ქალაქი. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი თვლიან მოთხოვნილების შემცირებას, რადგან იზნიკური ნაწარმი ძირითადად მაინც განკუთვნილი იყო მაღალი საზოგადოებისთვის. XVIII ს-დან, კი საზოგადოების მაღალი ფენები უპირატესობას ჩინურ ფაიფურსა და ევროპულ ნაწარმს ანიჭებს, შესაბამისად იზნიკური ნაწარმი კარგავს პოპულარობას [ქამადაძე, 2016: 88].

დასკვნა

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი დამზადებულია თურქეთში, ანატოლიის ქალაქებში იზნიკსა (XVI-XVIII ს-ის დასაწყისი) და ქუთაიაში (XVIII ს). მათგან უადრესი ცენტრი იყო ქ. იზნიკი. იზნიკური კერამიკა დაყოფილია სამ ძირითად პერიოდად: იზნიკი I (აბრაჰამის

ქუთჰაია - 1480/90-1525/30 წწ), ლურჯი საღებავით თეთრ ფონზე გაფორმებული ნიმუშები. იზნიკი II (დამასკოს სტილი - 1525/1530-1555 წწ), ლურჯ საღებავთან ერთად ჩნდება სხვადასხვა ფერები და იზნიკი III (როდოსის სტილი - 1555-1700 წწ), პოლიქრომული კერამიკა გაფორმებული წითელი, მწვანე, ცისფერი და ლურჯი საღებავებით, რომელთაც შემოვლებული აქვთ შავი კონტურები. მათში წამყვან ფერს წარმოადგენს წითელი.

იზნიკური, ასევე ქუთაჰიური ნაწარმის გავრცელება საქართველოში დაკავშირებულია ოსმალთა გარნიზონთან. ამაზე მიუთითებს ის, რომ ძირითადად გამოვლენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონობის მთავარ ფორპოსტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მამაიაშვილი 1974: მამაიაშვილი ნ., თბილისის დედაციხის ფაიანსი// ფსამ, II. 201-220. თბილისი.

2. მამაიაშვილი 1976: მამაიაშვილი ნ., ფაიანსი შუა საუკუნეთა ხანის საქართველოში. თბილისი.

3. ქარციძე 2010: ქარციძე ნ., შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან. დისერტაცია. ქუთაისი.

4. ქამადაძე, 2016: ქამადძე, კ., ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) გვიან შუასაუკუნეებში (წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“. დისერტაცია. ბათუმი.

5. Галенко 2005: Галенко А., Гончарное производство и торговля в Османской провинции Кефе// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII вв. 493-504. Киев.

6. Fehérvári 1973: Fehérvári G., Islamic Pottery. London.

7. Erkmen 2009: Erkmen A., The Formal Analysis of Iznik Ceramics (15th-16th Centuries)// Soma 2007: Proceedings of the XI Symposium on Mediterranean Archaeology, Istanbul Technical University, 24 and 29 April.116-123. Archaeopress. Oxford.

8. Миллер 1965: Миллер Ю. А., Искусство Турции. Москва.

Dumbadze Salome

Fiance Products from Gonio-Apsaros Castle

Abstract

In writing there is discussed an earthenware product discovered at Gonio's fortress late medieval cultural classes. As long as we know, this kind of ceramics, which were discovered around Gonio's Fortress territory, were brought from Ottoman Empire's industrial centers, from Izinik and Kutaisi and the date is 15-17 century's. The main center was city of Izinik. In Izinik ceramics there are 3 stages of development: Izinik 1; Izinik 2; Izinik 3. We have all the types of ceramics discovered during the archaeological excavations near Gonio's fortress; plates, jars, pans etc.

The present study discusses the earthenwares from the industrial center of city Izinik.

Key words: Cultural classes, Earthenware, Gonio's Fortress

2017 წელს გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მინის ნაკეთობანი

ეკა ტაკიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია, III კურსი

ელ.ფოსტა:etakidze97@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა მამულაძე

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

კახაბერ ქამადაძე, არქეოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია 2017 წელს გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული ქართულ-პოლონური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მინის ნაკეთობანი. კერძოდ, შესწავლილია ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში (SW IX სექტორში) აღმოჩენილი არტეფაქტები, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა სასმისის ძირისა და პირის ნატეხებია. საკმაო რაოდენობითაა ასევე წარმოდგენილი გრაფინის, ფიალებისა და სანელსაცხებლეების ნატეხებიც. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით შემუშავებულ კლასიფიკაციით საუბარია მინის ნაკეთობების ტიპოლოგიასა და ქრონოლოგიაზე. განსაზღვრულია მათი საწარმოო ცენტრები და ქრონოლოგიური დაიპაზონი.

საკვანძო სიტყვები: გონიო, ექსპედიცია, მინა.

შესავალი

2017 წლის ივლისს-აგვისტოში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები. არქეოლოგიური გათხრები პარალელრად სამ უბანზე მიმდინარეობდა. ჩვენი ჯგუფი სამუშაოებს აწარმოებდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში (უბნის ხელმძღვანელი: კახაბერ ქამადაძე). აქ გამოვლინდა რომაული პერიოდის ყაზარმის ნაშთები და

სხვადასხვა ეპოქის (ოსმალური, ბიზანტიური, რომაული) მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. კერძოდ: ფაიანსი, ფაიფური, მოჭიქული ჭურჭელი, ამფორები, ლუთერიები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დოქები, ჯამები, კრამიტები, აგურები; მინის ნაწარმი რკინის ნივთები, მონეტები, ბირთვები და ა.შ. (მამულაძე, ქამადაძე, 2018: 1-16).

აღმოჩენილ მასალათა შორის საკმაოდ მრავალრცხოვან ჯგუფს წარმოადგენს მინის ნაკეთობები რამაც ჩვენი უშუალო დაინტერესება გამოიწვია. წინამდებარე ნაშრომში გთავაზობთ სწორედ საველე არქეოლოგიური პრაქტიკის შედეგად ჩვენს მიერ მოპოვებული მინის მასალების შესწავლის შედეგებს. მათ აღწერა-დახასიათებასა და კლასიფიკაციას.



ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია ფიალის პირ-კედლის ფრაგმენტი (სურ. 1). ახასიათებს კალთისაგან გამოყოფილი მაღალი პირი. ნახევარსფეროსებურ-მაღალ-კედლიანი კალთის გარეთა ზედაპირს ძირისკენ შევიწროებული რელიეფური ვერტიკალური წიბო მიუყვება. ძირი ოდნავ შეწეულია. გამჭვირვალე, მომწვანო-მოლურჯო ფერის წიბოების ზედა ბოლო წაკვეთილია. კედლების შიდა და ზედა მონაკვეთი გაპრიალებულია. სურ.1

ფიალა თარიღდება ახ.წ. I ს-ის ბოლოთი და II ს-ის I ნახევრით და მილეფიორის ტექნიკითაა დამზადებული. მინის ჭურჭლის უმრავლესობა ახ.წ. I ს-ის ბოლოსა და II ს-ის ადრეულ წლებში სწორედ მილეფიორის ტექნიკით კეთდებოდა და საკმაოდ პოპულარული იყო რომის იმპერიაში (Симоненко, 2011:70; შალიკაძე, 2004:17).

საწარმოო ცენტრთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ისინი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, კერძოდ სირიაში კეთდებოდა, თუმცა არ გამორიცხავენ კვიპროსსაც. უფრო მოგვიანებით ახ.წ. I ს მეორე და მესამე მეოთხედში ისინი დასავლეთ ევროპის სახელოსნოებშიც უნდა დამზადებულიყო. ამავე პერიოდისა და საწარმოო ცენტრის ჩანან

გონიო-აფსაროსში მოპოვებული მსგავსი ფიალები (შალიკაძე, 2004:20; კახიძე, შალიკაძე 2009:57).

2017 წელს აღმოჩენილ მინის ნაკეთობებში აბსოლუტურ უმრავლესობას ქმნის სასმისის ძირები. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით შემუშავებული კლასიფიკაციით წლევანდელ მასალებში გამოიყოფა სასმისების შემდეგი ტიპები:

ტიპი I. ამ ტიპში ერთიანდება სასმისები, რომელთაც აქვთ, ბრტყელი, მკვეთრად გამოყოფილი დისკოსებრი (სურ.2) ან არათანაბრად შეზნექილი ძირი. აქვთ გამჭირვალე მომწვანო ან მოცისფრო შეფერილობა. ასეთი სასმისები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ახ.წ III ს მეორე ნახევარსა და IV ს-ში (შალიკაძე, 2004:42-43; Сорокина, 1962:223). თუმცა მათი წარმოება ახ.წ. I ს-ში იწყება. მსგავსი ნაწარმი გარკვეული ცვლილებებით გავრცელებული ჩანს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ევროპის ქვეყნებში.



სურ.2. ტიპი IV. მასში ერთიანდება კონუსურად შეზნექილი ძირები. ახასიათებთ ოდნავ მომრგვალებული, გარეთ გაწეული პირი; მომრგვალებული ძირისაკენ შევიწროვებული ტანი. მინა გამჭვირვალე ცისფერია (სურ. 3). ამ ტიპის სასმისები ახ.წ. III ს ბოლოთი და IV ს-თ არის დათარიღებული [შალიკაძე,2004:43].

ტიპი V. კლასიფიკაციის მიხედვით ამ ტიპში ერთიანდება უქუსლო სასმისები (სურ. 4). ასეთი სახის ძირებს ნახევარსფე–როსებრი შეღრმავებები აქვს. მათი წარმოება იწყება ახ.წ. I ს-ში (შალიკაძე, 2004:45).



ანალოგიური სასმისები, რომლებიც დაცულია ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში ახ.წ. I-II სს თარიღდება (Сорокина, 1978:269). მათ ახასიათებთ გამჭვირვალე, ღია მწვანე ან მოცისფრო ელფერის მინა. სურ.4

სასმისების ცალკე სახეობას ქმნიან ისეთი ნიმუშები, რომელთაც აქვთ დაბალი სფერული ღრუ ფეხი და კონუსისებრი მოყვანილობის ლილვაკისებურკიდიანი ქუსლი. წლევანდელ მასალებში წარმოდგენილია ძირის ერთი ფრაგმენტით (სურ. 5). აქვს თხელკედლიანი ტანი. მინა ღია-მომწვანო ელფერისა, გამჭვირვალე. გონიო-აფსაროშში გვხვდება ღია ფერის ნიმუშებიც.

მსგავსი სასმისები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს, როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე შიდა რაიონებში და ახ.წ IV-V სს-ით თარიღდება (შალიკაძე, 2004:46). ისინი მოპოვებულია ციხისძირისა და ბობოყვათის არქეოლოგიური გათხრების დროს (შალიკაძე, 2004: 48; ინაიშვილი, 1993: 75-76]). ეს ტიპი გავრცელებული ჩანს რომაული ხანის სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. მათი წარმოების დაწყების თარიღად ახ.წ. III ს არის მიჩნეული (შალიკაძე,2004:48).

დასკვნა

ასეთია 2017 წელს აღმოჩენილი მინის ნაკეთობები, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო ცივილიზაციების სხვა ადგილების მსგავსად გონიო-აფსაროსშიც მინის ჭურჭელი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ვრცელდება და ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა.

არქეოლოგიურ მასალებში წარმოდგენილი მინის ნაკეთობებით შეგვიძლია თვალსაჩინო გავხადოთ ანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი მინის ჭურჭლის მრავალფეროვანი სახეობები. მოპოვებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა აქტიურადაა ჩაბმული მსოფლიო ისტო-

რიულ პროცესებში. მინის ნაკეთობების მრავალფეროვნება ადასტურებს რომაულ თუ ბიზანტიურ სამყაროსთან კონტაქტების არსებობობას. გონიო-აფსაროსის ციხე ამ მხრივ, მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აქ აღმოჩენილია ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული მინის ჭურჭელი, იქნება ეს მილეფიორის, ქვიშის გულაზე, ჩამოსხმა-პრესირების, თავისუფალი ბერვის თუ სხვა ტექნიკით დამზადებული ნიმუშები.

აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ძველი ისტორიის და კულტურის, ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების კვლევისათვის განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ინაიშვილი 1993:** ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები - სდსძ, XXI, თბილისი.
2. **კახიძე, შალიკაძე 2009:** კახიძე ე., შალიკაძე თ., გონიო-აფსაროსი IX/ფიჭვნარი IV, ბათუმი.
3. **მამულაძე, ქამადაძე 2018:** მამულაძე შ, ქამადაძე კ, გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. 1-25. ბათუმი. (ნაბეჭდი ვერსია ინახება გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნარძალის ფონდში).
4. **შალიკაძე, 2004:** შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან// გონიო-აფსაროსი V, ბათუმი.
5. **Симоненко, 2011:** Симоненко А. В., Римский импорт у сарматов Северного Причерноморья, Санкт-Петербург.
6. **Сорокина, 1962:** Сорокина Н.П., Стекло из раскопок Пантикапея (1949-1959гг).
7. **Сорокина, 1978:** Сорокина Н.П., Античное стекло в собрании Одесского археологического музея.

Takidze Eka

Glass Ware Found in Gonio-Apsaros in 2017

Abstract

The present work deals with glass items obtained in the Georgian-Polish international archaeological excavations conducted in Gonio-Apsaros in 2017. Most of them are bits of the bottom and mouth of a different cup. There are also pieces of counters, filaments and spices. The typological and chronological classification of individual species and production centers are given. Key Words: gonio, excavations, glass.

მომოღერების რიტუალი პონტოელ ბერძნებში და ძველი ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა)

თათია დავითაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, მე-3 კურსი

ელ.ფოსტა: davitadzetatia@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა გიორგაძე,

ევროპეისტიკის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

მომოღერების რიტუალი და ფოლკლორი პონტოელ ბერძნებში და ძველი ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა)

პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აჭარაში კომპაქტურად არიან ჩასახლებული (მე-19 საუკუნიდან) საქართველოში, ქართულ ეთნიკურ გარემოში, ერთი მხრივ, საკუთარი კულტურა შეინარჩუნეს, ამავე დროს ადგილობრივი კულტურის გავლენაც განიცადეს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პონტოელ ბერძენთა მეხსიერებაში შემონახული უძველესი კალენდარული (შობა-აღდგომა) „მომოღერების“ რიტუალი. აშკარაა, რომ ,,მომოღერის“ რიტუალი წარმოშობით წარმართული პერიოდის დღესასწაული იყო, რომელმაც ფუნქცია, შეცვლილი, სახალხო სახიობის სახით, გვიანობამდე შეინარჩუნა.

მომოღერების რიტუალი და ქართულ ფოლკლორში დამკვიდრებული ბერიკაობა-ფადიკობა ერთი წარმოშობისა და ფუნქციის ხალხური დღესასწაულებია. კალენდარული ფოლკლორის ეს ციკლი მჭიდრო კავშირშია საგაზაფხულო ნიღბოსურ, ნაყოფიერების კულტებთან დაკავშირებულ წარმოდგენებთან, მსგავსია პერსონაჟებიც და ნიღბებიც, სიუჟეტური განვითარებაც.

თუმცა, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე რიტუალებმა მთელი რიგი ცვლილებები განიცადა, სიუჟეტები შეივსო სხვადასხვა ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ცხოვრებისეული ელემენტებითა და პერსონაჟებით.

მომოღერების რიტუალისა და ფოლკლორის შედარებითი ანალიზი ქართულ ბერიკაობასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ მის ნაირსახეობებთან (მაგ. ფადიკობა აჭარაში) საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ერთობა და მსგავსება, კულტურული გავლენები ქართველი და პონტოელი ბერძნების ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების საფუძველზე, მათი საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრების შედეგად უნდა დამკვიდრებულიყო.

მომოღერების რიტუალი და ფოლკლორი პონტოელ ბერძნებში და ძველი ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა)

პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აჭარაში კომპაქტურად არიან ჩასახლებული (მე-19 საუკუნიდან) საქართველოში, ქართულ ეთნიკურ გარემოში, ერთი მხრივ, საკუთარი კულტურა შეინარჩუნეს, ამავე დროს ადგილობრივი კულტურის გავლენაც განიცადეს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პონტოელ ბერძენთა მეხსიერებაში შემონახული უძველესი კალენდარული (შობა-აღდგომა) „მომოღერების“ რიტუალი. ,,მომოღერის'' რიტუალი წარმოშობით წარმართული პერიოდის დღესასწაული იყო, რომელმაც ფუნქცია, შეცვლილი, სახალხო სახიობის სახით, ბოლო დრომდე შეინარჩუნა.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები დღეისათვის ვერ იხსენებენ აღნიშნულ რიტუალს, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინ მთქმელები საკმაოდ დეტალურად აღწერდნენ მას. რიტუალის როგორც სიუჟეტმა, ასევე პერსონაჟებმა, საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

მომოღერების რიტუალის პერსონაჟები და ნიღბები

„მომოღერების“ რიტუალი - ეს იყო ნიღბოსანთა თეატრალიზებული წარმოდგენა, რომლის მონაწილე პერსონაჟები სხვებისაგან განსხვავებულად

იმოსებოდნენ, სახეს ნახშირით იფერავდნენ, ან სხვადასხვა (ცხოველის, ფრინ-ველის...) ნიღბებს იკეთებდნენ, ცხოველის (ნადირის) ტყავს (ხშირად უკუღმა ამოტრიალებულს) იცვამდნენ.

დღესასწაული საღამოს იწყებოდა და გვიანობამდე გრძელდებოდა. მასში, უმთავრესად, იუმორითა და მოხერხებული სიტყვა-პასუხით გამორჩეული პირები მონაწილეობდნენ, რომლებსაც იმპროვიზაციის სრული შესაძლებ-ლობა ეძლეოდათ.

რიტუალს რამდენიმე (5-დან 15-მდე) პირი ასრულებდა, მათ შორის გამოიყოფოდა რამდენიმე ძირითადი პერსონაჟი გამოიყოფოდა: ქალის კაბაში გადაცმული მამაკაცები, მათ შორის ერთი მთავარი პერსონაჟი - „ფადიკა“; სხვა პერსონაჟები, სპეციფიკური ჩაცმულობით: ფატიმა და ფადიშაჰი, ეშმაკი (შეითანი), მოლა, მკურნალი-ექიმი, ჯარისკაცი-ოფიცერი, პატარძალი, ასევე, მომღერლები და მოცეკვავეები, ძირითადად, ქალის კაბაში გადაცმული მო-ცეკვავე მამაკაცები.

რიტუალის უმთავრესი პერსონაჟები იყვნენ მომოღერები, რომლებსაც დაუმუშავებელი ტყავის ტანსაცმელი ეცვათ, თავზე ეხურათ წაწვეტებული წითელი ქუდები და სამოსზე მიმაგრებული ჰქონდათ სხვადასხვა ლითონის ნივთები (ძირითადად, ზარები), რომლებიც მოძრაობისას ხმაურობდნენ და რიტუალის მონაწილეთა რწმენით, ბოროტ სულებს აფრთხობდნენ.

სხვა პერსონაჟთა შორის გამოირჩეოდა „დიკოლონი“ (ერთმანეთს აკიდული ცოცხალი და მკვდარი არსებები), რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა ძველ, წარმავალ და ახალ მომავალ წელს (ასევე სიკვდილ-სიცოცხლეს, გაზაფხულსა და ზამთრს), რაც ნათელჰყოფს ამ უძველესი წარმართული რიტუალის კალენდარულ ხასიათს.

რიტუალის მიმდინარეობა (სიუჟეტი)

როგორც აღვნიშნეთ, ტიტუალის მონაწილეებს იმპროვიზაციის დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ, შესაბამისად, რთულია რიტუალის ერთ კონკრეტულ სიუჟეტზე საუბარი, რადგან ტექსტები, დიალოგები, ვარიანტთა სიმრავლით გამოირჩევა. ძირითადი სიუჟეტური ხაზი მაინც ფიქსირდება:

,,მომოღერის'' მონაწილე მამაკაცები, ქალის სამოსში გადაცმულები, კარდაკარ ჩამოივლიდნენ სოფლის ყველა მოსახლეს, დალოცავდნენ, მიუმღერებდნენ, მიულექსებდნენ, ძირათადად, სააღდგო სიმღერებს, „ქრისტე აღსდგა''(,,ხრისტოს ანესტის''). აგროვებდნენ შემოწირულობას, ძირითადად, სურსათს (გიორგაძე.., 2017: 304-305).

.

ფადიშახი (წითელი წოწოლა ქუდით), ექიმი, ოფიცერი, ფადიკა (ქალის კაბაში გადაცმული მამაკაცი), პატარძალი, ეშმაკი - შაითანი (ნიღბით), ჟანდარმი, მოლა, მომოღერები. ეს პერსონაჟები სხვადასხვა მხიარულ სცენას გაითამაშებდნენ, საერთო ჟრიამულის, ყვირილის, ხმაურის, სიცილისა და მხიარულების ფონზე.

რიტუალის მონაწილეებს სოფლად ყველა სიხარულით ხვდებოდა, უმასპინძლდებოდა, მათთან ყოველთვის მხიარულება, ხუმრობები, გართობა და სიმღერები იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, მომოღერები სოფლის რომელიმე მოსახლესთან შეიკრიბებოდნენ და სადღესასწაულო სუფრასთან მხიარულობდნენ.

საგულისხმოა, რომ საბერძნეთში აღდგენილი მომოღერების წეს-ჩვეულება, რომელიც სტილიზებული თეატრალიზებული სანახაობადაა ქცეული, სწორედ პონტოელ ბერძნებშია გავრცელებული.[1]

[1] 2016 წელს "მომოღერების" რიტუალი იუნესკომ არამატერიალურ კულტრული მემკვიდრეობიას ძეგლად აღიარა.

ბერიკაობა-ფადიკობა (პერსონაჟები, ნიღბები, სიუჟეტები)

კალენდარული, კერძოდ, ადრე გაზაფხულის უძველესი ხალხური სანახაობის, ბერიკაობის, შემადგენელი ნაწილი იყო მონაწილეთა კარდაკარ ჩამოვლა და საგანგებო რიტუალების შესრულება (გიორგაძე, 1993:15). ბუნების აღორძინების, ნაყოფიერების კულტებთან დაკავშირებული საგაზაფხულო კარნავალის ძირითად სიუჟეტურ ხაზს ბერიკების და მისი ამალის კალათებით, ტიკებით, ხურჯინებით კარდაკარ საციქველის შესაგროვებლად სიარული და რიტუალური ტექსტის შესრულება შეადგენდა. ბერიკაობის აღწერილობებში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ბერიკას არჩევასთან ერთად ირჩევდნენ მებარგულეებს, მეკალათეებსაც:

,,მათ (ბერიკებს) მოჰყვებოდნენ მებარგულეები, ხალხი, რომლებიც ატარებენ კალათს კვერცხებისათვის, აბგებს - ფქვილისთვის და ტიკს - ღვინისთვის, რომლებსაც საჩუქრად იღებდნენ ბერიკების ცეკვებისთვის'' (გიორგაძე, 1993:18).

ბერიკაობის ხალხური დღესასწაული, „გაზაფხულის სადიდებელი დღესასწაული", დეტალურად შეისწავლა მკვლევარმა ჯ. რუხაძემ, რომელმაც გამოჰყო პერსონჟები, ნიღბები, სამოსი, სიუჟეტი და ა.შ: „ბერიკაობა-ყეენობა ურთულესი და მრავალფეროვანი აგრარული დღესასწაულია, საქართველოს

ცალკეულ კუთხეებში სხვადასხვა თავისებურებით გამორჩეული“ (რუხაძე, 1967:7).

მკვლევარი გამოყოფს რიტუალის შემდეგ მონაწილეებს : მთავარ ბერიკას, ბერიკებს-ღორს, არაბს, ლეკს, თათარს, მღვდელს, ნათლიას, მებარგულეებს, მეკალთეებს, მომღერლებსა და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელებს. მათი რაოდენობა 30-საც აღწევდა:

„მზადებას შეუდგებოდნენ, რაღა არ იყო აქ საამისოდ მოტანილი - თხის, ცხვრისა და ხარის ტყავები, ტყავკაბები, საქონლის კუდები, გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები, ღორისა თუ თხის გამხმარი თავები, სხვადასხვა ცხოველის რქები და ფრინველთა ბუმბულები, სადედოფლო ქართული კაბა და ნაირი სახის თავსაბურავები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრის ჭრელი თოჯინები, ზარები და კრიალოსნები, ინა და ნახშირი, სიმინდის ნაქურჩის, ხისა და რქის წითლად შეღებილი ,,კონკილა’’- ფალოსები, ხისაგან გათლილი ხმალ-ხანჯლები, ფარები და შურდულები. აქვე კეთდებოდა სხვადასხვა ფერის მაღალი ალმები და ჩირაღდნები. მიწაზე ეწყო სანოვაგის შესაკრები ჭრელი ხურჯინები, მორჩილი გუდები, კალათები, ხელადები და დიდი კოკები. ეს სამზადისი სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა თამაშით მთავრდებოდა“ (რუხაძე, 1967:6-8).

ქართული ფოლკლორი მდიდარია ე.წ. „ბერიკული“ ლექსებით.

ბერიკაობის დროს შესრულებულ კარდაკარ ჩამოვლის რიტუალს მაგიური დანიშნულება ჰქონდა, მიზნად ისახავდა ოჯახებისათვის უხვი მოსავლის, საქონლისა და ფრინველის სიმრავლის, საერთო კეთილდღეობის მინიჭებას:

ბერა მოდგა კარსაო
აღურიალებს თვალებსავო.
ხელი ჩაჰკარ ხალამშიო,
ღმერთი მოგცემს ბარაქასო,
ვინცხა ბერას არს მისცემს,
მელას მისცემს ქათმებსაო.

ხალხს სწამდა, რომ რიტუალის შემსრულებელთა სიტყვა აუცილებლად შესრულდებოდა. ამიტომ ყველა ოჯახი ცდილობდა არ გაენაწყენებინა ჩამომვლელები, უხვად დაესაჩუქრებინათ ისინი, რადგან თუ ,,მოსიარულენი

ძღვენით უკმაყოფილონი დარჩებოდნენ... რომელიმე წევრი ეზოში გაგორ-დებოდა, რაც ოჯახისთვის ცუდი ამბავის მომასწავებლად ითვლებოდა... ხალხის რწმენით ამათი ყანები განადგურდებოდა, სახლში ხბო და ქათამი არ გაიზრდებოდა'' (გიორგაძე, 1993 :17).

ბერიკულ ტექსტებში ხშირად იგრძნობოდა მუქარის კილოც:

ბერიკაის კარასაო,
გიჭყრიალებს თვალასაო,
ჩქარა თუ რას გამოვიტან,
თორო გიმტვრევ კარასაო.

სვანეთში ,,ბერილი გონჯოს'' შესრულებისას ,, გონჯად ჩაცმული კაცი ეზოში ხმალს ფალოსით ლესავდა, სხვები კი მღეროდნენ:

ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაჰკარ ხალამსა,
ამეიღე თეთრი ყველი,
ჩაგვიდევი კალათასა,
თუ არ მოგვცემ საციქველსო,
გამოგითხრი საძირკველსო.

ბერიკულები, ძირითადად, მცირე ზომის, ოთხ-ექვს სტრიქონიანი ტექს-ტებია. გვხვდება შედარებით ვრცელი ლექსებიც'' (გიორგაძე, 1993 :18).

ბერიკაობა-ყეენობა თავისი თავდაპირველი ბუნებით ნაყოფიერებისა და აღორძინებისადმი მიძღვნილი აგრარული დღესასწაულია, ის უძველესი ხალხური თეატრიცაა. ამიტომაა, რომ მას დიდი ინტერესით სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ ისტორიკისები, ეთნოგრაფები, ფილოლოგები, ხელოვნე-ბათმცოდნეები.

მაშინ როდესაც მრავალი ხალხური დღესასწაული მივიწყებას მიეცა, ბერიკაობა-ყეენობა მისთვის ნიშანდობლივი მასობრივი თეატრალიზებული ხასიათის გამო საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს დიდხანს შე-მორჩა, როგორც ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი კოლორიტული ელემენტი.

წარმართული მითოლოგიის წიაღიდან გამოსული ბერიკაობა-ყეენობა საუკუნეების განმავლობაში საერო სანახაობად განვითარდა და ისტორიული, ჰეროიკული ელემენტებიც შეიძინა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქალაქური (თბილისური) ყეენობა გამოირჩევა, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ისტორიული ეპოქისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მოტივებით.

აჭარაშიც შემოინახა ბერიკაობის ნაირსახეობა - მამაკაცებისა და დედაკაცების მონაწილეობით მუსიკალურ მელოდიაზე შესრულებული ცეკვა - ფათიკო, იგივე, ფადიკო, საწესო ფერხული - „ოჰოჲ, ნანო“, ასევე, „ქალების ხორომი“, ქალთა საფერხულო სიმღერა - „ნაი-ნაი, ნინაინა“ (ნოღაიდელი, 1967:70-72). ფადიკო აჭარაში საქორწინო გართობა-თამაშობის სახითაც იყო შემორჩენილი, აგრეთვე, იგი შუამთობის დროსაც სრულდებოდა და, როგორც ვარაუდობენ, დოვლათის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის გამართული საკულტო-მაგიური დღესასწაული იყო. აქაც ექვსი კაცი და ერთი ქალი მონაწილეობდა. მამაკაცები ქალის სამოსში იყვნენ გამოწყობილნი და თეტრალურ სანახაობაში სხვადასხვა სახის სიუჟეტურ ინსცენირებას ახდენდნენ, თუმცა პონტოელ ბერძენთა ფადიკოსა და ჭოროხის აუზის მოსახლეობის ფათიკოებს ისე, როგორც ქართული მოსახლეობის ამ ტიპის გართობა-თამაშობებს შორისაც კი - ზოგჯერ სიუჟეტური სხვაობა მაინც იგრძნობდა, მაგრამ მათი არსი და ძირითადი ლაიტმოტივი იდენტური იყო. ნიშანდობლივია, რომ გართობა-თამაშობების ეს სახეობა, რომელიც ფადიკოს სახელს ატარებს, ბოლო პერიოდამდე კარგად იყო შემონახული ქობულეთის იმ რეგიონის მოსახლეობაშიც, რომლის გარემოცვაშიც პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ, თანაც როგორც ეს პონტოელ ბერძნებში ქორწილის პერიოდში სრულდებოდა. საერთო დახასიათებით, ფადიკოც თამაში იყო,

რომელსაც ღამის თორმეტ საათზე ქორწილში აწყობდნენ. ქობულეთური ფადიკოსათვის ექვსი მამაკაცი და ერთი ქალი იყო საჭირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩააცმევდნენ და ცალკე ოთახში გაიყვანდნენ. სწორედ ის იყო ფადიკო. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დადგებოდა და მას ფადიკო შეაჯდებოდა. ერთი „ცხენს“ აღვირით წამოიყვანდა, სხვები კი - სიმღერით მისდევდნენ. ფადიკოს დანარჩუნებისათვის ორი მათგანი ერთ-მანეთს შეეცილებოდა. ვინც პირველად მოასწრებდა და ფადიკოს თეთრს ფულს გადააყრიდა, ქალიც იმას რჩებოდა. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მაინც შერიგდებოდა. დათქვამდნენ: „ერთს დღეჲ ჰყავდეს და მეორეს - ღამეო” და ორივე ფულებს გადააყრის. ფადიკოს ყურბანს შემოავლებენ და დაკლავენ. შემდეგ ცეკვა-თამაში იმართება. ცეკვის დროს ფადიკო იმალება. მოქიშპეები ერთმანეთს შარს მოდებენ და ჩოჩქოლი ატყდება. ბოლოს ფადიკოს იპოვნიან და ვახშმად დაჯდებიან. ნავახშმევს ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი - ფადიკოს მიუწვება. შემდეგი სიჟეტებიც ამდაგვარ ქარგზე ვითარდება და საბოლოოდ საერთო მხიარულების ფონზე სიცილით, ჟრიამულითა და ფადიკოს გაშაირებით სრულდება (გიორგაძე, 2017:305).

დასკვნა

ბერიკაობა-ფადიკობა და მომოღერები ერთი წარმოშობისა და ფუნქციის დღესასწაულებთან დაკავშირებული რიტუალებია. კალენდარული ფოლკ-ლორის ეს ციკლი მჭიდრო კავშირშია საგაზაფხულო ნიღბოსურ, ნაყოფიე-რების კულტებთან დაკავშირებულ წარმოდგენებთან, მსგავსია პერსონაჟებიც და ნიღბებიც, სიუჟეტური განვითარებაც. თუმცა,

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე რიტუალებმა მთელი რიგი ცვლილე-ბები განიცადა, სიუჟეტები შეივსო სხვადასხვა ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ცხოვრებისეული ელემენტებითა და პერსონაჟებით.

მომოღერების რიტუალისა და ფოლკლორის შედარებითი ანალიზი ქართულ ბერიკაობასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ მის ნაირსახეობებთან (მაგ. ფადიკობა აჭარაში) საშუალებას გვაძლევს და-ვასკვნათ, რომ ეს ერთობა და მსგავსება, კულტურული გავლენები ქართველი და პონტოელი ბერძნების ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთი-ერთობების საფუძველზე, მათი საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრების შედეგად უნდა დამკვიდრებულიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგაძე მ., მგელაძე ნ., ტუნაძე თ., ძნელაძე ნ., ლორია მ., აბულაძე თ., ჩხარ-ტიშვილი-მაზმანიდი ს., ,,პონტოელი ბერძნები აჭარაში წარსული და თანამედრო-ვეობა'', გამომცემლობა ,,ემ ჯი ემ'' , ბათუმი, 2017.
2. რუხაძე ჯ., ,,ქართული ხალხური დღესასწაული, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
3. ნოღაიდელი ჯ., ,,აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები'', გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი, 1967.
4. ნოღაიდელი ჯ., ,,ნარკვევები და ჩანაწერები“, წიგნი 1, ,,საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1971.
5. გიორგაძე მ., ,, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია“, გამომცემლობა ,, თბილისი“, 1993.
6. ჩხარტიშვილი ს., ,,აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობა“, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწი-ფო უნივერსიტეტი, ბათუმი.

Davitadze Tatia

"Momogerebi" Ritual in Pontic Greeks

Abstract

"Momogeri" Ritual and Folklore in Pontic Greeks and the Old Georgian Folk Festivity (Berikaoba)

Although Pontic Greeks settled densely in Ajara (from the19th century) preserved their own culture in Georgian ethnic environment, they were influenced by the local culture too.

In the context of the mentioned the ancient calendrical (Christmas) ritual of **"Momogeri"** preserved in the memory of Pontic Greeks is of outmost interest. It is obvious that **"Momogeri"** ' ritual has a pagan origin and it maintained the function as the transformed folk festivity until recently.

"Momogeri" ritual and deep-rooted in Georgian folklore Berikaoba-Parikaoba are the folklore festivities of the same origin and function. This cycle of the calendrical folklore is strongly connected with the masqueraded theater related to the cult of fertility. The characters and the masks as well as the development of the plot are similar. However, within the long period of time the rituals were the subject of numerous transformations as the plots were added various historical, social-political, everyday life elements and characters.

Comparative analysis of the **"Momogeri"** ritual and folklore festivities such as Georgian Berikaoba and its variations (for example wrestling in Ajara) spread in various parts of Georgia gives us the opportunity to conclude that the unity and similarity mentioned above must be the consequences of the long cultural-historical relations and co-existence of these nations for centuries.

ადამიანი საზოგადოების პირისპირ

თამარ ბაქანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, მე-3 კურსი

ელ.ფოსტა: 33001079558@bsu.ge

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ბახტაძე,

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საზოგადოების თუ სახელმწიფოს ძალმომრეობასთან თავისუფალი თვითმყოფადი პიროვნების დაპირისპირების თემა არაერთხელ გამხდარა ლიტერატურული კრიტიკის საგანი. ლიტერატურ ნაწარმოებებში კონფ-ლიქტს ქმნის პერსონაჟის და მისი გარემოს, სხვადასხვა პერსონაჟების, მათი ხასიათის, მისწრაფებების და ინტერესების, ასევე პრინციპების და იდეური პოზიციების შეჯახება.... კონფლიქტის განსხვავებული სახეობაა ტრაგიკული კონფლიქტი, რომელსაც წარმოშობს მნიშვნელოვანი პიროვნებების პრინცი-პების და ძელების შეურიგებელი და გამოუვალი წინააღმდეგობა. თითოეულ ადამიანში, რომელიც ევლინება სამყაროს, თავს იჩენს სურვილი იმისა რომ იყოს ყველასგან გამორჩეული და განსხვავებული... წარსულში აწმყოსა თუ მომავალში, დროის ნებისმიერ ცვალებადობაში ქვეყნად აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი, რომელიც საკუთარ და საზოგადოებრივ ბედს დაუპირისპირდება, წამოიწყებს ეპოქალურ ბრძოლას და გარდაქმნის მას. ხალხი ბრბოა, მოქმე-დებს გაუაზრებლად. არ განიხილავს ქმედებებს და შედეგს და ამდენად ბუნებრივიცაა, რომ არ ძალგვიძს თითოული მათგანის განწყობას მოვერგოთ, მაგრამ ჭეშმაარიტი ძალა ისაა, რომ იდეოლოგიური დაპირისპირებისას, ერთი შეხედვით უსუსურ ადამიანს, შეუძლია დააჩოქოს საზოგადოება... მსგავსი ადამინები თავისი არსებით დიადნი არიან. სწორედ ისინი საკუთარი თვით-მყოფადობის მკაფიო გამოხატვით ქმნიან რაღაც ახალს და რაც მთავარია ფასეულს.

საკვანძო სიტყვები : საზოგადოება, კრიტიკა, კონფლიქტი.

შესავალი

ჩემ მერ წარმოდგენილ თემაში „ადამიანი საზოგადოების პირისპირ“, შევეცადე მემსჯელა იმ პრობლემაზე, რომელიც დღესაც აქტუალობას არ კარგავს და ხშირ შემთხვევაში განხილვის საგანი ხდება. მწერლობა ერთადერთი რამაა, რომელიც ყველაზე კარგად ინახავს საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებას; ამიტომ ნაწარმოებები, რომლებზეც ქვემოთ მექნება საუბარი უტყუარი საბუთია იმისა რაც იყო და კვლავაც იქნება მომავალში. ის გზა, რა გზაც გიარა თითოეულმა გმირმა იმ სრულყოფილებამდე, რასაც ახალი ადამიანის, ახალი პიროვნების და, ზოგადად, მომავლის დაბადება ჰქვია არ ყოფილა მარტივი... ადამიანს თავის თავში იმდენი ძალის მოპოვება შუძლია, რამდენიც ეპოქათა გარდაქმნას სჭირდება... თემს შეუძლია დიდი დაძინების ქარაფში გადაუშვას იგი, მაგრამ ვერ შეძლებს მომავალში გამართული „ზუს“ მოდრეკას. თემს შეუძლია მოკვეთოს ალუდა თავის ოჯახთან ერთად, მაგრამ არ შუძლია მინდიას მოწყლიანებული თვალებისა და გულზე დაკრეფილი მკლავების დავიწყება. საზოგადოებას შეუძლია მოკლას ზვიადაური, მაგრამ არ ეწიფება მისი სულის მოდრეკა.

ტრაგიზმი ადამინთა ცხოვრების მხატვრული აღქმის და გააზრების თავისებური ფორმაა. იგი წარმოაჩენს ადამიანური მისწრაფებების, ფასეულობების და იდეალების მსხვრევას სინამდვილესთან შეჯახებისას.

ტრაგიკული გმირის ხვედრი ტანჯვა თუ დაღუპვაა,მაგრამ სწორედ ტანჯვა და დაღუპვა ადასტურებს მის ღირსებას და სიდიადეს. ტრაგიკული გმირი გამორჩეული, თავისუფალი პროვნებაა, იგი აქტიურად იცავს და ამკვიდრებს საკუთარ თავისუფლებას, ყოველთვის აკეთებს არჩევანს იმის სასარგებლოდ, რაც მისთვის განსაკუთრებით ღირებულია. ტრაგიზმს ბადებს პიროვნების შეურიგებლობა ბედთან, მისი ურყევი ერთგულება თავისი იდეისადმი, თუნდაც ეს ბედნიერების ან სიცოცხლის ფასად უჯდებოდეს (სტოკმანი).

ის რაც ტრაგიკულ პერსონაჟს უპირისპირდება, რასთან შეურიგებლობაც მის მარცხს ან დაღუპვას განაპირობებს, არ შეძლება იყოს შემთხვევითი, უმნიშვნელო. ტრაგიკულ გმირს შეურიგებელი კონფლიქტი დიდ ძალებთან აქვს: ბედისწერასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების მკაცრ კანონზომიერებებთან, გაბატონებულ წარმოდგენებთან და შეხედულებებთან, დაუძლეველ

ზნეობრივ მანკიერებებთან.

-როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის... ყველა გზა „დიდი დაძინებნის ქარაფთან“ არ მთავრდება, ზოგიერთი გზა გზაჯვარედინთან მიდის, ზოგიერთი - დავიწყების მდინარესთან . „იგის“ მთავარმა გმირმა რამდენიმე წამით ადრე თავისი „შრომის“ შედეგი-გადარჩენილი ადამიანები იხილა: იგრძნო, რომ მის „სხეულში დიდ სისწრაფით შემოიჭრა რიცხვმრავალი ტომი.ყველა გამართული იყო. ყველა მხრებგაშლილი. ცას უყურებდნენ, სხივოსანი თვალები ჰქონდათ“.

იგიმ, პირველყოფილი საზოგადოების განსხვავებულმა წევრმა, განვლო იგივე გზა, რომელიც სხვადასხვა დროს, რა თქმა უნდა, მის შემდეგ - კაცობრიობის საუკეთესო შვილებმა. არსებოს იგი - ორმარცვლიანი სახელი, ნაბიჯი მომავლისაკენ. არსებობს შემართება, ტკივილი, რომელიც კაცს მოხრას უშლის, და წუხილი, რომელიც წელში მოხრილ კაცს გულსა და ძვლებს უღრღნის. ანუ განსხვავებულობა ფრანგი განმანათლებლებისა და ინგლისელი რომანტიკოსების წიგნებში ამოკითხული ცნება არაა. განსხვავებულობა თვისებაა, რომელიც კაცობრიობას გამოქვაბულის ეტაპიდანვე მოყვება, ძველისძველი, მარადიულია და წიგნებიდან კი არ ისწავლება, წიგნებს, მითებს, ისტორიას, ხელოვნებას, ქვაზე გამოკვეთილ გამოსახულებებსაც თვითონ ქმნის.

პირველყოფილი საზოგადოების წევრები, იგის მოძმენი, თვითონ იგიც, მოხრილი დადიან, შუბლებს მიწას აშვერენ და ხელებს უსიცოცხოდ აქანავებენ. მათ არ აქვთ დროისა და ცვლილების შეგრძნება განვითარებული- „რაც არის ის მუდამ იყო“... ტომში არსებობ მეტად პირობითი წარმოდგენა ჯიშზე. ის არა ადამიანთა რომელიმე კონკრეტულ ჩამომავლობას, შტოს, არამედ ზოგადად ადამიანობას, საზრისს ახასიათებს. არსებობს ერთადერთი ჯიში, „სხვა ჯიში“ კი საერთო ნიშან-თვისებიდან გადახრაა. არსებობს ადგილი-დიდი დაძინების ქარაფი, საიდანაც გადაშვებას არავითარი ფანატიზმი არ ახლავს. გზა მასზე შემდგარ კაცს საკმაოდ ემძიმება. უკან რომ მოიხედავს შეპყრობილი ნადირის სახე აქვს. ეს ადამიანები მაღალ კლდეზე თავისი ნებით ადიან და უფსკრულში ეშვებიან... და აი ქარაფზე პირველყოფილი რევოლუციის მსხვერპლი, შვილის მიერ დამხობილი ბელადი ადის. იგი რომელიც მას სხვებთან ერთად ხემდე მიჰყვა, ბოლომდე ელოდა, რომ ბელადი მოიხედავდა - ისე როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. ქარაფიდან დაბრუნებულმა იგიმ

რაღაც ახალი აღმოაჩინა... „საღამოს, როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ღამის მკრთალი თვალი გაახილა, იგის სხეულში წუხილმა დაიდო ბინა“ (თენგიზ წოწონავა). წელგამართული სიარული წელში მოხრილთა საზოგადოებაში მარტოობას ნიშნავდა. იგის სწორედ მარტოობის შეეშინდა. მან მოხრა სცადა, თუმცა ვერ შეძლო. მოხრას ტკივილი მოჰქონდა, გამართვას წუხილი. წუხილი მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა ციდან ზღვაში დაშვებულ მთვარის სხივს თვალი ააყოლა, მთვარე და ვარსკვლავები დაინახა და წელიში გაიმართა. გამართულმა იგიმ თავი სამყაროს ნაწილად და მთელად იგრძნო: „იგი ცას უყურებდა და ცა იგი იყო, ზღვას უყურებდა და ზღვა იგი იყო, ტყეს უყურებდა და ტყე იგი იყო". ადამიანი რომელიც სხვებისგან გამოირჩევა, ამ გამორჩეულობის გამო შიშობს და საერთო ნიადას სწყდება. „იგიმ დიდი რაღაც იცის“ - რაღაცა ყველაფერშია. ყველაფერი რაღაცაა... ქვეყანა ზეცაა, მაგრამ ქვეყნის სახე აქვს, ფოთოლი ხეა, მაგრამ ფოთლის სახე აქვს, ღამის სიბნელეც ცის თვალია, მაგრამ სიბნელის სახე აქვს, ყველაფერი რაღაცაა: და როცა იგი რაღაცას ხედავს მაშინ იგი ყველაფერია. იგი ყველაფერშია და ყველაფერი იგიშია... (თენგიზ წოწონავა)

სწორედ პიროვნებაა ღმერთის ხატი და მსგავსება ადამიანში. პიროვნება უპირატესად ზნეობრივი საწყისია, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ყოველგვარ ფასეულობათა მიმართ. ზნეობრივი ცხოვრების ცენტრი პიროვნებაა და არა საზოგადოება. ტრაგედია ყოველთვის დაკავშირებულია პიროვნებასთან, მის გაღვიძებასთან, მის შინაგან ბრძოლასთან. თავისი ფასეულობების დამკვიდრებისას პიროვნება გარდაუვალად შეეტაკება საზოგადოებას. პირველყოფილი კაცობრიობის მთელი ზნეობრივი ცნობიერება მოდგმის ძალაუფლებას ემორჩილება და ადამიანი იძულებულია გმირულად იბრძოლოს ამ ძალაუფლებისგან გასათავისუფლებლად. ქარაფიდან გადაშვებისას, ფეხქვეშ მიწა რომ გამოეცალა, მიხვდა რომ „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“ ანუ მთავარი - არსება გადარჩა...

განსხვავებული აზრისა და შეხედულების მქონე პიროვნების ბედი კარგად აქვს ნაჩვენები ვაჟა ფშაველას თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში „ალუდა ქეთელაურში“ - ეს თითქოს დიდი სულიერი შერყევაა.... მწერლის მიერ ნაჩვენები თემის ცნოებიერება მორალი მუდმივად ომში ჩაბმული საზოგადოების ცნობიერება და მორალია. ომის დროს საზოგადოება არსებობის შენარჩუნებას

ცდილობს, მტრის სიძულვილი კი თავის გადარჩენის და ბრძოლის უნარის გამაძლიერებელია. ამოტომ იგი ქმნის „მტრის სახეს“ - წარმოდგენას მტერზე როგორც სრულიად უღირს, ყოველგვარი ბროტებით სავსე არსებაზე, ფაქტობრივად არაადამიანზე. „მტრის სახე“ ისეთ ველურ სისასტიკესაც ამართლებს, როგორიც მოკლული მტრისთვის ხელის მოკვეთაა (ეს ჩვეულება ემყარება უძველეს, პირველყოფილ რწმენას, რომ მოკლული მტრის ძალა მისი სხეულიდან გამარჯვებულის სხეულში გადადის).

ზოგიერთი იდეოლოგია, უპირველესად კომუნიზმი და ფაშიზმი, კაცობრიობას ყოფს, ერთი მხრივ თავისიანებად, სრულფასოვნებად და მეორე მხრივ უცხოებად, არასრულფასოვნებად, მტრებად. ბოლშევიკური თვალთახედვით, სრულფასოვანი ადამინები მუშათა კლასის წარმომადგენლები - პროლეტარები არიან, სხვები კი, ვთქვათ არისტოკრატები ან ინტელიგენმტები, როგორც არასრულფასოვნები, შეიძლება მუშათა ინტერესებს მსხვერპლად შეეწირონ. ფაშიზმი ქადაგებს რომ სრლფასოვანი მხოლოდ ზოგიერთი რასა და ერია, დანარჩენები არასრულფასოვნები არიან და ადამიანურ ზნეობრიბვ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ. ამგვარი თვალსაზრისები სისხლისმღვრელ მტრობას, აგრესიას, კომფლიქტებს წარმოშობს.

ალუდა ქეთელაური ყოველთვის იცავდა საზოგადოების მიერ დადგენილ წესს. მოკლულ მტერს მარჯვენა ხელი უნდა მოეჭრას მაგრამ, ერთხელ მუცალის ვაჟკაცობით მოხიბლულ-მოჯადოებულმა ალუდამ დაარღვია ადათი. მართალია მტერი მოკლა, მაგრამ მარჯვენა არ მოკვეთა. ამ საქციელით პიროვნება, ამ შემთხვევაში ალუდა, საზოგადოებას დაუპირისპირდა. ზნეობრივად იგი მართალია, მაგრამ მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს მის მიერ დადგენილ წეს-ჩვეულებას. ეს წეს-ჩვეულება გარკვეულ ისტორიულ პერიოდში საზოგადოების ერთიანობის, მთლიანობის, სიმტკიცის და ძლიერების საფუძველია. ამიტომ საზოგადოება ვერ დაუშვებს, რომ ყოველი პიროვნება, რარიგ ვაჟკაცი და მართალიც უნდა იყოს იგი, იქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობილებას მოესურვება. ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება. ქაოსი კი დაღუპვით დაემუქრება, როგორც პიროვნებას, ისე მთელს საზოგადოებას. ამას კარგად ხედავს და გრძნობს ალუდაც, მაგრამ მას აღარ ძალუძს მოერიოს თავისთავს და სულიერად დამორჩილდეს საზოგადოების

მიერ მიღებულ წესს. მისი ჰიბრისი კიდევ უფრო გამომწვევი და გამაღიზიანებელი ხდება. მტრობა, ალუდას რწმენით, ადამიანურს საზრისს არღვევს და არაადამიანურ, დევურ საზრისში გადაიზრდება.მტრობის მსურველი კაცი, მისი აზრით სახლში დაგუბებულ სისხლში დგას. ალუდა, როგორც მოაზროვნე, არჩევნას აკეთებს არა ნაკლებად კარგსა და კარგს შორის, არა ქისტურსა და ხევსურულს შორის, არა მუსლიმურსა და ქრისტიანულს შორის, არამედ დევურსა და ადამიანურს შორის.

ბრძოლაში, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ყოფნამ ალუდას ღირსების პატივისცემა აგრძნობინა. ღირსება უნივერსალური ღირებულებაა: დაუშვებელია, რაიმეთი შეიზღუდოს ან თუნდა პირობითად იქცეს - ეს ფიქრი ბრძოლის ველიდან მომავალ ალუდას გზადაგზა უძლიერდება და მსოფლმხედველობაც ექცევა. ალუდამ მარტოობაში, ყოველგვარი შინაგანი კამათის გარეშე გააკეთა ის, რაც ნახევარი დღის შემდეგ თემს და ალბად, საკუთარ თავსაც უნდა უმტკიცოს: მუცალი აზიარა. ცხოვრება კი თავის უცნაურობას მალე დაგვანახებს: კაცი, რომელმაც ღმერთს უდიდესი მადლობა უთხრა და მუცალის სახით სული შესძინა, ღვთის დაგმობისათვის დაისჯება. თემი თემად დარჩება, ის თავის კონსერვატიზმს, რამაც აქამდე მოიყვანა შეინარჩუნებს. ალუდაც ასეთი დარჩება გაუტეხელი, რათა თემს ახსოვდეს, რომ ის ერთხელ და სამუდამოდ კარდახშული სინამდვილე არ არის, არამედ ინდივიდების კრებულია.

ხევსურმა ალუდამ, ღირსეული კაცის დაფასების უნარი საზოგადოების მოთხოვნილებასა და ისტორიულ პრაქტიკას ვერ შეუთანხმა და მოკვეთილმა თემი დატოვა. ჯოყოლა ალხასტაისძეს, ალუდა ქეთელაურის მთისგადმოღმელ მეზობელს, ეროვნებითა და სჯულით სხვა, მაგრამ ჩვეულებით მიმსგავსებულ გმირს, თემმა სტუმარი წაართვა. ეს სტუმარი ბევრი ქისტის, მათ შორის ჯოყოლას ძმის მკვლელიც აღმოჩნდა, მაგრამ ჯოყოლამ ვერ დაიჯერა, რომ თემს მასთან მშვიდობით მყოფი კაცის სტუმრის შეპყრობისა და მოკვდინების უფლება ჰქონდა.

ერთი მოყვასისა და მოყვასობის იდეის დამცველი ჯოყოლა ათას მოყვასსა და ერთი ტრადიციით მეორის გადაფარვას შეებრძოლა. მან ათასიდან ერთ-ერთის სისხლიც დაღვარა. თემმა დაინდო თუ განსაკუთრებული ვითარების გამო ვერ მოასწრო, ცოცხალი ჯოყოლა არ მოიკვეთა. თუმცა თვითონ

ჯოყოლამ თავი „მოკვეთილად“ მიიჩნია. იგი ზვიადაურის გვამის მოსაპოვებლად შემოსეულ ხევსურებს ცალკე მარტოდმარტო შეებრძოლა და დაიღუპა.

ჯოყოლას განსხვავებულობის ახალმა გამოვლინებამ თემი უაღრესად აღაშფოთა. მოკვეთის უნიკალური, არაფორმალური აქტი აასრულა: მკვდარი ჯოყოლა მის ცოლს სასაფლაოზე არ დააკრძალვინა.

ყველანი მკვდრის წინააღმდეგ - თემისა და პიროვნების დაპირირსპირების განსაკუთრებული ხარისხია. ომი ამ ხალხის ცხოვრებისა და სიმღერის მთავარი თემა, მთელი ჰეროიკაა. მკვდარიც და ცოცხალიც ერთ, გაერთიანებულ ძალას და, რა თქმა უნდა, მოვალეობას ატარებს. ჯოყოლამ ღირებულებათა აწონ-დაწონვა უარყო, მათი დაუპირისპირებლობისა და თანმიმდევრულად ასრულების იდეა განასახიერა, თავი გაიცალკევა და ამ გაცალკევებას შესწირა: ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ყველა ქისტი საკუთარ კოშკში შეიკეტებოდა, თავისი კოშკი, სახლი და ქავ-ციხე დატოვა და წინასწარვე წაგებული ომი წამოიწყო.

კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე (1928-1999) შენიშნავს: სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა დიდი სიქველეა. ამ ადათს პატივს სცემს საზოგადოებაც და პიროვნებაც. სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ჯოყოლა აკეთებს იმას, რაც უნდა იმსახურებდეს საზოგადოების კმაყოფილებას.

საზოგადოების თუ სახელმწიფოს ძალმომრეობასთან თავისუფალი, თვითმყოფადი პიროვნების დაპირისპირების თემა ლიტერატურაში დიდი ხნის წინ გაჩნდა და მან ასახვა არ მხოლოდ ქართულ არამედ უცხოურ მწერლობაშიც ჰპოვა. მსგავი თემა მკაფიოდ ვლინდება ბერძენი მწერლის სოფოკლეს ტრაგედიაში „ანტიგონე“. თებეს გარდაცვლილი მეფის ოიდიპოსის შვილები, ეთეოკლე და პოლინიკე ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძვიან და ამ ბრძოლაში ორივენი იღუპებიან. მათი ბიძა, გონე. კრეონტი ეთეოკლეს პატივით დაკრძალვას, ხოლო პოლინიკეს, რომელიც უცხოელთა დახმარებით ცდილობდა თემებში ძალაუფლების მოპოვებას, ადამიანური დაკრძალვის ღირსად არ მიიჩნევს. მეფის აკრძალვის მიუხედავად პოლინიკეს მაინც მარხავს მისი და - ანტიგონე. მეფე კრეონტის სისასტიკე თითქოს სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი მორალის სიმტკიცეზე ზრუნვით

არის ნაკარნახევი, მაგრამ ანტიგონე ფიქრობს, რომ ყველაფერზე აღმატებულია ღვთაებრივი და ადამიანური ზნეობრივი კანონია, რომელსაც თავის თავში აღმოაჩენს. ეს ახლობელი ადამიანის სიყვარულის და ერთგულების კანონია. ანტიგონემ იცის, რომ „სიყვარულისთვის დაიბადა და არა სიძულვილისთვის“, რომ თუ სიყვარულს საკუთარ ზნეობრივ პრინციპს უღალატებს, პიროვნულ ღირსებას, პიროვნულ დამოკიდებულებას დაკარგავს. ამიტომ იგი ტრაგიკულ ხვედრს ირჩევს, თავის სიმართლეს მსხვერპლად ეწირება.

უძვლესი ადამინები, რომელთაც გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე (1877-1962) წარმოსახავს მოთხრობაში „ტყის კაცი“, ბნელ ტყეში ბინადრობენ და იქიდან გასვლას ვერ ბედავენ, რადგან მზის ეშინიათ - მზე მათთვის საზარელი, სიკვდილის მთესველი არსებაა; ასევე აშინებთ ტყის მიღმა გაშლილი სივრცე, რომელიც არარსებობის სიკვდილის სამეფოდ წარმოუდგენიათ. მზის და თავისუფალი სივრცის შიშს ტყის მკვიდრებს უღვივებს ბრმა ქურუმი, რომელიც თანატომელთა დასათრგუნად ახალ-ახალ სასტიკ რიტუალებს იგონებს. ქურუმის სისასტიკე ამბოხისკენ უბიძგებს ერთ ახალგაზრდა კაცს, თუმცა მის ამბოხს შედეგად მხოლოდ ის მოყვება, რომ ტომი გარიყავს და სრულიად მარტო რჩება. მაგრამ ჯოგისაგან მოწყვეტა და მარტოობა ამ კაცს ფიქრს ასწავლის. და ის აცნობიერებს, რომ ტყის სიწმინდის, ღვთაებრიობის მქადაგებელი რელიგია, რომელსაც ქურუმი ემსახურება, ცრუა, ყალბია. იგი თანდათან ძლევს საკუთარ თავში მზის შიშს, კლავს ქურუმს - ტირანს და ტყიდან სამზეოზე გასვლას ბედავს - უარყოფს შიშით მოცულ, მონურ ჩლუნგ ცხოვრებას და მზის სახით ახალ ღმერთს ეზიარება, სიხარულის, გონების სინათლის,თავისუფლების ღმერთს.

საბოლოოდ, მიწიერ სამყაროში განსხავებული ხედვისა და ფშვინვიერი სამყაროს ადამიანი აღძრავს ზნეობრივად განმკურნავი, ამაღორძინებელი ძალის უსასრულო ნაკადს. სწორედ ეს გზაა ჯვრის გზა, წამების გზა, რომელიც აუცილებლად მარადისობას მიგაახლებს... მიუხედავად ხორციელი დამარცხებისა და ტრაგიკულობისა დგება მომენტი, როცა პიროვნების ამბოხება, თუნდაც მარცხით დამთავრებული, იწყებს საზოგადოების გარდაქმნას და მის ამაღლებას... მერე რა რომ დიდი დაძინების ქარაფით გემუქრებიან, თუკი საკუთარი მნიშვნელობის და საზოგადოებრივ როლს შეიგრძნობ.. „იგისგან სწორედ ის დარჩა,რაც იგიში იგი იყო“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ წოწონავა „მწვერვალები“ - ქართული ლიტერატურა XX საუკუნეში.
2. თამაზ ვასაძე, ნინო შარაშენიძე - ქართული ენა და ლიტერატურა - 2012.
3. აკაკი ბაქრაძე- ვაჟას მრწამსი - თბილისი 2004. გვ. 226-228.
4. ქართული კრიტიკის ქრესტომათია - თბილისი 2008 გვ.192-198.

Bakanidze Tamar

Topical issues of Georgian Literature

Abstract

The topic of one free, indigenous person's confrontation against the violence of society and state often became an issue of literary critics. In a literary work a conflict is created by a character, his or her mood, aspiration and interests, also crashing and colliding of principles and positions of ideas. The different kind of conflict is a tragically conflict, which is produced by irreconcilable and desperate opposition. In each person, who is born into this world can be visible a desire to be distinguished and different. In the past, present or future, in each variability of time suddenly a person appears, who will opposite his or her personal or public destiny, starts an epoch-making battle and transforms it. People are crowd, they act thoughtless, they don't review actions and results so it's natural we can't be fitted to the mood of each theirs, but, the genuine force is, when a feeble person, at a glance, makes kneel society… such kind of people are great in their essence and exactly they, because of their drastic expression of their originality create something new and the main thing, something valuable.

Key words: community ,critics, conflicts

ტოლერანტობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“

სოფიკო თურმანიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, II კურსი
ელ.ფოსტა: sophot@bk.ru
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) *ასოცირებული პროფესორი*

აბსტრაქტი

მე-12 საუკუნეში გენიალური შოთა რუსთაველის მიერ შექმნილმა „ვეფ-ხისტყაოსანმა“ თავისი ჰუმანისტური იდეებით წინ გაუსწრო ევროპულ აღორძინებას და აღმოსავლური რენესანსის მაცნე და შემოქმედი გახდა. გარ-და სხვა უამრავი ღირსებისა, პოემა შეიძლება მივიჩნიოთ ტოლერანტობის სხვადასხვა სახის გამოვლენის საუკეთესო ნიმუშად. მასში ვხვდებით სო-ციალურად, პოლიტიკურად, ეთნიკურად განსხვავებული ხალხის ურთი-ერთპატივისცემას, გენდერულ თანასწორობას. ზოგადად „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო ინტერნაციონალურია. შოთა რუსთაველი შლის საზღვრებს ერებს, ხალხებს, რელიგიებს შორის და მისი წარმოდგენილი სამყარო ერთიან, გლო-ბალურ სახეს იძენს.

საკვანძო სიტყვები: რელიგიური შემწყნარებლობა, გენდერული თანას-წორობა, სოციალური ტოლერანტობა, პოლიტიკური ტოლერანტობა.

შესავალი

ტერმინს „ტოლერანტია“ (ლათ.) სამი მნიშვნელობა აქვს: 1. მდგრადობა, ამტანობა; 2. შემწყნარებლობა; 3. დაშვება, დასაშვები გადახრა. ამათგან ტოლე-რანტობის კლასიკურ გაგებასთან ყველაზე ახლოს დგას „შემწყნარებლობა“, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების წევრების ატანას კი არ გულისხმობს, არამედ მათ მიღებასა და ურთიერთპატივისცემას. 1995 წლის 16 ნოემბერს პარიზში იუნესკოს წევრი 185 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი

დეკლარაციის თანახმად, ტოლერანტობა **„მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა**. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. **ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში**. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა – სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება“ (ტოლერანტობის 1995:).

ლიტერატურა საუბრობს ადამიანურ ღირებულებებზე, პიროვნებისა თუ საზოგადოების ურთიერთობების მორალურ სისტემაზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დამყარებულია რეალურ ფაქტებზე. მწერლობა ხელს უწყობს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას და არის ერთ-ერთი უმძლავრესი დიდაქტიკური სისტემა ყოფით ცხოვრებაში. მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით მანიფესტაციებს, პროტესტებს, რომლებითაც ესა თუ ის ავტორი ცდილობს არსებული პრობლემების ამოძირკვას. ეს ყველაფერი ლიტერატურაში აისახება ეთიკურ-ესთეტიკური ფორმებით.

თამამად დავძენ, რომ მსოფლიო ლიტერატურა, დაწყებული ჰომეროსიდან, აკმაყოფილებს ტოლერანტობის იმ გაგებას, რასაც ხელს აწერენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები.

ჰომეროსი „ილიადაში“ აღწერს ტროელთა და ბერძენთა ომს. ეს არის ბრძოლა ორ სამყაროს - ევროპასა და აზიას - შორის, ბრძოლა არათანაბარ პირობებში. თუმცა საგულისხმოა ის, რომ ავტორი თანაბრად გულშემატკივრობს და თანაუგრძნობს ორივე მხარეს. ის გვიხატავს ომს სიძულვილის გარეშე, როგორც არა არატოლერანტულ ქმედებას, არამედ პოლიტიკურ გარდაუვალობას.

ანტიკურ დროშივე ვაწყდებით გენდერული თანასწორობის საკითხებს. ამ პრობლემის გადაჭრისათვის ძვ. წ. მე-5 საუკუნეში იქმნება გენიალური კომედია - „ლისისტრატე“, სადაც აღწერილია ქალის ძალა, რომელსაც შეუძლია ომის შეჩერებაც კი. ხსენებული ნაწარმოები არის ერთგვარი ჩვენება, თუ რა ხერხებით შეუძლია ქალს ომის კულტურის მშვიდობის კულტურით ჩანაცვლება.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ქართულ სინამდვილეში? თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის პირველ ძეგლში, „შუშანიკის წამება“, რომელშიც უტყუარი ცნობებია გადმოცემული მე-5 საუკუნის ქართლის კულტურული, პოლიტიკური და ყოფაცხოვრებითი საკითხების შესახებ, არ გვხვდება გენდერული თანასწორობა. ამ დროში ცოლ-ქმარს არ გააჩნია თანაბარი უფლებები: ვარსქენი ოჯახთან შეთანხმების გარეშე ჰპირდება სპარსეთის პიტიახშს მათ მიერ სარწმუნოების შეცვლას: „რომელი-იგი ბუნებით ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა ესე მე“(ცურტაველი 1949:35). ამ ამბის გაგების შემდეგ ნეტარმა შუშანიკმა ქმრის ნებართვის გარეშე დატოვა სახლი, რის გამოც ვარსქენი საყვედურობსა: „შენ ჩემი ხატი დაამხუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ ხარ“ (ცურტაველი 1947:36). ქართულ ტრადიციაში, როგორც ჩანს, მამაკაცები და დედაკაცები ცალ-ცალკე ჭამდნენ პურს: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (ცურტაველი 1949:37). ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული სინამდვილე აღიარებდა გენდერულ უთანასწორობას. ვარსქენის საქციელი ასევე სახელმწიფოს ღალატიც იყო, რის გამოც ის 482 წელს სიკვდილით დასაჯეს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე შუშანიკი ოცნებობს იმ დროზე, როცა ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებით ისაუბრებენ, მართალია, ეს გენდერული თანასწორობა მისთვის მხოლოდ იმქვეყნად, ღვთის წინაშეა შესაძლებელი, მაგრამ ამ თემაზე დაფიქრება და ოცნება უკვე პროგრესული მოვლენაა.

„ვეფხისტყაოსანში“ სამყაროს ცენტრს ადამიანი წარმოადგენს. ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა“ (რუსთაველი 2008:1) */შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ სტროფებს/.* შოთა რუსთაველისთვის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდია, პიროვნებაა, თვითქმნადი და გონიერი, თავისუფალი ნებისა და არჩევანის უფლების მქონე, რომელიც ცდილობს სახელის მოხვეჭას: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“ (807), საკუთარი ბედის გამოჭედვას: ,,ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (912).

რუსთაველის პოემაში წარმოჩენილი ტოლერანტობის სხვადასხვა სახეზე თითქმის ყველა რუსთველოლოგი საუბრობს - დაწყებული ვახტანგ მეექვსით და დამთავრებული სრულიად ახალგაზრდა მკვლევრებით, მაგალითად, ლია კარიჭაშვილით, რომელმაც ტოლერანტობის საკითხს სპეციალური სტატიაც უძღვნა.

რელიგიური თანასწორობა

„ვეფხისტყაოსანი“ იწყება ღვთისადმი მიმართვით - „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა“ (1). თუმცა შოთა რუსთაველი არ მიმართავს ღმერთს რომელიმე კონკრეტული სარწმუნოების სახელით. მაგალითად, ქრისტიანული სახელწოდებით - სამებით, ისლამური - ალლაჰით და ასე შემდეგ. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ რელიგიური თანასწორობა „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტრიქონებში ჩანს. სამყარო ერთიანია, ათას ფერად მოხატული, მშვენიერი, რომელსაც ერთიანი, უზენაესი მბრძანებელი /თუ - განმგებელი/ ჰყავს. ის არის ,,უცნაური და უთქმელი“, ,,მზიანი ღამე“, ,,უჟამო ჟამი“, ,,ერთარსება ერთი“ - კიდევ უამრავ განსაზღვრებას შევხვდებით ღვთისას, მაგრამ ყველა ეპითეტი უნივერსალურ უზენაეს არსებას მიემართება.

ვიქტორ ნოზაძე თავის ენციკლოპედიური ხასიათის მონოგრაფიაში - ,,ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“ - მიმოიხილავს რა აზრთა პარადოქსულ სიჭრელეს, რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით, წერს: ,,მაშ ასე: ამ მიმოხილვით გავიგეთ, რომ ,,ვეფხისტყაოსნის“ რელიგია ყოფილა თურმე ქრისტიანული; ბიბლიურ–ქრისტიანული; ასტრალური; სოლარული; მზიური და პოეტური ერთად; წარმართული კულტი მზისა: ღმერთიც და მზეც ქართული; წარმართულ–პაგანური; ჰელინისტურ–ელინური; ნეოპლატონური; წარმართულ–ფილოსო ფიური; წარმართულ–სეფასიანური; დუალისტური; სუფისტური; არაბულ–არისტოტელებრივი; სტოიკური, პანთეისტური და ა.შ.“; ბოლოს მკვლევარი ირონიულად კითხულობს: ,,განა შესაძლებელია შოთა რუსთაველი და მისი ,,ვეფხისტყაოსანი“ ამდენი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მატარებლად დაისახოს?“ (ნოზაძე 1963:23). რა თქმა უნდა, - არა! ეს ბუნებრივი პასუხია, მაგრამ ვფიქრობთ, რუსთაველი, როგორც ჭეშმარიტი რენესანსული შემოქმედი, თავად იყო ენციკლოპედიური განათლების მქონე, შესაბამისად, მან შეძლო უზარმაზარი

ცოდნის შემოქმედებით ქურაში გადადნობა და მის საფუძველზე საკუთარი ორიგინალური თეოსოფიის ჩამოყალიბება. ესეც მის აბსოლუტურ რელიგიურ ტოლერანტობაზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არაა იმის შესახებ, რომ რუსთაველი, როგორც მე-12 საუკუნის საქართველოს მოქალაქე, უდაოდ იყო ქრისტიანი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ბიბლიური მოტივები და ამის შესახებ საუბრობს ყველა მეცნიერი, რუსთველოლოგიის ფუძემდებლის - ვახტანგ მეექვსიდან დაწყებული - თანამედროვე მკვლევრებით დასრულებული (მაგალითად, ლალი დათაშვილი, ,,ბიბლიური სახელები და ალუზიები ,,ვეფხისტყაოსანში“, იხ. ჟ. ,,ლიტერატურული ძიებები“ #35, 2014 წელი და ა.შ.).

მიუხედავად იმისა, რომ პოემის პერსონაჟები მაჰმადიანები არიან, მოქმედება ხდება ისლამურ სახელმწიფოებში, პოემაში ვხვდებით მაჰმადიან სასულიერო პირებს: „სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან“ (357), ,,ვეფხისტყაოსნის“ **ქვეყნები, თუმცა გარეგნულად ისლამური არიან, მათი ზნე–ჩვეულება და ცხოვრების წესი არ არის ისლამური. აქ არსად ისლამური ცივილიზაციის ნიშნები არ ჩანს. იგი ქართულ–ქრისტიანულია“** (ნოზაძე 1974 :370–371).

ამრიგად, რელიგიური ტოლერანტობა არა მარტო რუსთაველის პოემის პერსონაჟთა დამახასიათებელი თვისებაა, არამედ წარმოადგენს ,,ვეფხისტყაოსნის“ ძირითად მსოფლმხედველობრივ ღერძს.

გენდერული თანასწორობა „ვეფხისტყაოსანში“

თამაზ ჭილაძე თავის მშვენიერ გამოკვლევაში ,,ვარდის ფურცლობის ნიშანი“ წერს: **,,რუსთაველის გენიის წყალობით, ქალის კულტმა შეიძინა რენესანსული იდეის ჟღერა და მნიშვნელობა“** (ჭილაძე 1987:57). მართლაც, შოთა რუსთაველს ქალის თავისუფლება მაღალ რანგში აჰყავს და **ზოგ შემთხვევაში ქალს მამაკაცზე ძლიერ არსებადაც კი წარმოაჩენს**. ამ თემასაც არც ერთი რუსთველოლოგი არ უვლის გვერდს.

აკაკი წერეთელი თავის ცნობილ ლექციებში ,,ვეფხისტყაოსნის“ შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქალ პერსონაჟებზე. ის აღნიშნავს, რომ ისინი ფრიად ემანსიპირებულნი არიან (წერეთელი 1979:57).

აკად. ნიკო მარმა თავისი ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომი ქალის კულტს მიუძღვნა და ა.შ. სწორედ ქალის კულტის გარკვევამ გამოკვეთა, მეცნიერის აზრით, ,,ვეფხისტყაოსნის" იდეური დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა, ორიგინალობა და ავთენტურობაც კი (მარი 1965:89).

„ვეფხისტყაოსნამდე" გენდერულ თანასწორობაზე მსგავს მსოფლმხედველობას ასე სრულყოფილად ვერ ვხვდებით. ის თავს იჩენს თინათინის გამეფების ეპიზოდში, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებში, ქალის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და ა.შ.

არაბეთის მეფე როსტევანი თავის ასულს თინათინს მემკვიდრედ გამოაცხადებს და სამეფო ტახტს მას გადასცემს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ,მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია" (40) -

ამ აფორიზმით იწყება ახალი აზროვნება, ახალი მსოფლმხედველობა, ახალი გამოწვევები, ქართულi ყოფით თუ ლიტერატურულ სინამდვილეებში.

გენდერული თანასწორობა ვლინდება, როცა თინათინი ავთანდილს, ხოლო ნესტან-დარეჯანი - ტარიელს პირველნი გაუმხელენ სიყვარულს.

,,ვეფხისტყაოსნის" ქალმა პერსონაჟებმა იციან საკუთარი თავის ფასი, აქვთ ღირსების შეგრძნება. ამის დასტურად მხოლოდ დიდებული, ერთდროულად კდემამოსილი, ნაზი, ჰაეროვანი და ვეფხვივით გამეხებული (,,ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი - პირგამეხებული" - 528) ნესტან-დარეჯანის გახსენებაც საკმარისია:

,,ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო,
ჩემნაირი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო" (534).

გენდერული თანასწორობის გამოხატულებაა ასევე ასმათისა და ტარიელის მეგობრობა, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობის სხვადასხვაობისა. ასმათი, როგორ ქალი, არ არის სუსტი არსება. ის საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი მზად არის შეუნახოს მეგობარს საიდუმლო. მისი ერთგულებისა და გონიერების, სიბრძნის მაჩვენებელია ისიც, რომ ტარიელი მას ინდოეთის

მეშვიდე სამეფოს გადასცემს საჩუქრად და სამართავად. ასე რომ, პოემაში, ფაქტობრივად, სამი ქალი ხელმწიფეა: თინათინი - არაბეთის მეფე, ასმათი - ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მმართველი და დულარდუხტი - ქაჯთა დედოფალი. ეს შუასაუკუნეების მსოფლიოში უპრეცენდენტო მოვლენაა!

სოციალური თანასწორობა „ვეფხისტყაოსანში“

სოციალური ტოლერანტობა პატრონყმური საზოგადოებრივი წყობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რამეთუ ის პატრონსა და ყმას შორის ერთგვარ მამაშვილურ ურთიერთობას გულისხმობს: ,,სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“ (1461), ან ,,პატრონისა ვერ-მჭვრეტელმან ყმამან რამცა გაიხარნა“ (822) და ა.შ. სწორად შენიშნავს მკვლევარი ლია კარიჭაშვილი: **,,სოციალური სამართლიანობა და ტოლერანტობა იდეალური სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტებია**“ (კარიჭაშვილი 2008:25).

როცა როსტევანი გადაწყვეტს ასულის გამეფებას, თავს ვალდებულად თვლის, რომ თავისი ჩანაფიქრი ვაზირებს გააცნოს. თინათინის გამეფების დროს, როსტევანი ტახტის მემკვიდრეს აცნობს სახელმწიფოს მართვის, ქვეშევრდომებისადმი დამოკიდებულების, სოციალური თანასწორობის ანბანს, აყალიბებს ე.წ. **,,სიუხვის ფილოსოფიას“:**

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების.
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი! - ზღვათაცა შესდის და გაედინების“ (23).

ამ ფილოსოფიის ცხოვრებაში გატარება-განხორციელებას კი მრავალმხრივი დადებითი პრაქტიკული შედეგი მოსდევს:

ა) **პოლიტიკური:** „უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“ (23).

ბ) **რელიგიური:** ,,ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულმხურვალები“ (812).

გ) **სოციალური:** ,,ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს“ (1657).

დ) **ეთიკური:** ,,სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ (807).

ვფიქრობ, სოციალური ტოლერანტობის ნათელი მაგალითია, როცა დამწუხრებულ-ჩაფიქრებული როსტევანი, საკმაოდ გაბედული, თუმცა უკბილო ხუმრობისთვის, არ უწყრება ვაზირ სოგრატს, არც ავთანდილის შეთავაზებას ნადირობაში შეჯიბრებაზე იუკადრისებს, ხოლო ავთანდილის გამარჯვება ,,უჩს, ვითა მღერა ნარდისა"; „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა... სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა" (84).

პოემის დასასრული კი სოციალური ტოლერანტობის აპოთეოზად გვევლინება: **,,შიგან მათთა საბრძანითა თხა და მგელი ერთად სძოვდეს"**(1657).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ავთანდილის მიმართება გარესამყაროსთან, სხვა ქვეყნების, უცხო სოციალური წრის წარმომადგენლებთან: ბაღდადელ თუ გულანშაროელ ვაჭრებთან, მათი ცხოვრების წესით ცხოვრება (გარკვეულწილად - ზნეობრივი კომპრომისის ხარჯზეც), გზად შემხვედრ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა: ,,მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა-ემოყვრებოდა" (185) - სოციალური და პიროვნული ტოლერანტობის ბრწყინვალე მაგალითია.

პოლიტიკური ტოლერანტობა

„ვეფხისტყაოსანში" პოლიტიკური ტოლერანტობა შოთა რუსთაველმა, პირველ რიგში, გეო-პოლიტიკური საზღვრების მოშლით გამოხატა. ქართული ამბავი გლობალურ სივრცეში აღწერა და, ვფიქრობ, ამაში ჩანს კოსმოპოლიტიზმიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პოემაში შოთა რუსთაველისდროინდელი ქართული სინამდვილეა აღწერილი, მოქმედება ხდება არაბეთში, ინდოეთში, მულღაზანზარში, გულანშაროსა და ქაჯთა ქალაქში. თითოეული ქალაქი თუ ქვეყანა სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათისაა. არაბეთში ქალია ხელმწიფედ, ინდოეთში არ დავობენ ტერიტორიულ საკითხებზე. ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მფლობელი სარიდანი მრავალწლიანი ღირსეული მოღვაწეობის შემდეგ სამეფოს გადასცემს ფარსადანს:

„შესთვალა: „შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა.
აწე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა" (319).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ვეფისტყაოსანში“ მეფეებისათვის ყველაზე ღირებული ხალხის კეთილდღეობაა. მეფეები ალტრუისტები არიან და თითოეული მათი ნაბიჯი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

პოლიტიკური ტოლერანტობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ომში დამარცხებულთა და ტყვედ ჩავარდნილთა მიმართ ლმობიერება და კეთილგანწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ხატაეთის მეფე რამაზი დაუმორჩილებლობას უცხადებდა ინდოეთის მეფეს და ვერაგი ხერხებით ცდილობდა ომში გამარჯვებას, ფარსადანი მის მიმართ შემწყნარებელია:

„რამაზს უბრძანეს: „იცოდი, გაგგზავნით შეწყალებულსა,
მაგრა ნუ გნახავთ კვლაცაღა ჩვენს წინაშე გაწბილებულსა!“
,,ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა - სტავრა, სხვა - ატლასია.
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რიცხვისა ფასია“ (477).

საოცარია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების გადაწყვეტილებები, რომლებიც შედეგებზეა ორიენტირებული. სიუხვის ფილოსოფიის მსგავსად, სადაც „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“ (50), პოლიტიკურ ტოლერანტობასაც აქვს თავისი გამართლება. ჩვენ ვხედავთ ფარსადანის ამგვარი საქციელის კეთილ ნაყოფს:

„ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,
მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.
თუ რა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!“ (478)

ფარსადანსა და ტარიელს არ ავიწყდებათ, რომ ყოველი ხელმწიფე ღვთისაგან კურთხეულია: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა“ (1). თუკი მეფე არის ღმერთის მსგავსი, მისი ყოველი ნაბიჯი ღვთის სახელით უნდა გადაიდგას. ამ პრინციპს იცავენ ფარსადანი და ტარიელი. ეს უკანასკნელი იტყვის: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა“ (1).

გეო-პოლიტიკური ტოლერანტობის საუკეთესო ნიმუშია გულანშარო, რომლის კარი ნებისმიერი ადამიანისთვის, ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისთვისაა ღია.აქ ყველას შეუძლია გამდიდრება და პირადი მიზნების განხორციელება. გულანშარო კოსმოპოლიტური ქალაქია:

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,

თვით გულანშარო - ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა“(1074).

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:

იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;

გლახა თვე ერთ გამდიდრდების,

სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ;

უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“ (1076).

ასე რომ, გლობალიზაცია აშკარად არაა უცხო რუსთველური სამყაროსთვის.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ,,ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილად არის ტოლერანტობის სხვადასხვა სახის გამოვლენის უიშვიათესი, მაღალმხატვრული ნიმუში. ის კვლავ და კვლავ გვარწმუნებს, რომ ქართველები ბუნებით ინტერნაციონალისტები, შემწყნარებელნი ვართ. ჩვენს ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი:

,,ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ (708).

და კიდევ ერთი: როცა რუსთველურ ტოლერანტობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა შეძლო ღმერთების, ზეციური, ასტრალური სამყაროს მოთვინიერება, მიწისა და ზეცის ჰარმონიული ერთმთლიანობის მიღწევა. ამის დასტურად მხოლოდ ავთანდილის მნათობებისადმი ლოცვისა და მისი სიმღერის გახსენებაც კმარა, როცა მთელი მსოფლიო, სულიერი და უსულო სამყარო მისი გალობის მოსასმენად შეიკრიბა.

ამიტომ, როგორც მზიან-ღიმილიანი შემოქმედი ნოდარ დუმბაძე ბრძანებდა: **„თუ ,,ვეფხისტყაოსანი“ არ იცი, ძნელად დაგიჯერებს ვინმე, რომ ქართველი ხარ, რამეთუ ... კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც ღმერთისთვის, არც სიყვარულისთვის, არც მეგობრობისთვის, არც ვაჟკაცობისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის, არც მზისთვის, არც ცისთვის, არც დედამიწისთვის ასეთი დიდებული ჰიმნი ჯერ არავის არ უმღერია!“** (დუმბაძე 1980:124).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუმბაძე 1980: დუმბაძე ნოდარ, ,,ჩემი რუსთაველი“, თხზ. ტ. 3, თბილისი.
2. კარიჭაშვილი 2008: კარიჭაშვილი ლია, ,,ტოლერანტობის საკითხისათვის
3. ,,ვეფხისტყაოსანში“, იხ. ჟ. ,,ლიტერატურული ძიებანი“ - 30, თბილისი.
4. მარი 1965: მარი ნიკო, ,,ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“, თბილისი.
5. ნოზაძე 1963: ნოზაძე ვიქტორ, ,,ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“, პარიზი.
6. ნოზაძე 1974: ნოზაძე ვიქტორ, ,,ვეფხისტყაოსნის“,,მიჯნურთმეტყველება“, პარიზი.
7. ტოლერანტობის 1995: ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია, იხ. http://www.tolerantoba.ge/
8. ცურტაველი 1949: ცურტაველი იაკობ, ,,წამებაი წმიდისა დედოფლისა შუშანიკისაი“, იხ. სოლომონ ყუბანეიშვილი, „ძველიქართულილიტერატურის
9. ქრესტომათია“, წიგნი 1-ლი, თბილისი.
10. წერეთელი 1979: წერეთელი აკაკი, ,,სამი ლექცია ,,ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, იხ. კრ. ,,რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ ტ. 1-ლი, თბილისი.
11. ჭილაძე 1987: ჭილაძე თამაზ, ,,ვარდის ფურცლობის ნიშანი“, თბილისი.

Turmanidze Sophiko

Tolerance in “The Knight in the Panther’s Skin”

Abstract

In the 12th century, "The Knight in the Panther's Skin" created by Genius Shota Rustaveli ahead of European revival with his humanistic ideas and became the messenger and creator of the Eastern Renaissance.

In addition to other plenty of dignity, poem can be considered as the best example of various types of tolerance. In the poem we meet socially, politically, respect of ethnically different people, gender equality.

In general, the "Knight in the Panther's Skin" is international. Shota Rustaveli breaks the borders between nations, people, religions and the world is represented by his united global face.

Keywords: religious tolerance, gender equality, social tolerance, political tolerance.

ფრაზეოლოგიზმები პოსტმოდერნისტულ შემოქმედებაში (ზურაბ ქარუმიძე „ღვინომუქი ზღვა“)

თალიკო დავითაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, კურსი IV

ელ.ფოსტა:talikodavitadze@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ცეცხლაძე,

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) *ასოცირებული პროფესორი*

აბსტრაქტი

პოსტმოდერნისტული ლიტერატურის შესწავლა მეტად აქტუალურია, რადგან თუ მოდერნიზმი ახალი ფორმების შექმნით ხასიათდება, ეს ლიტერატურული მიმდინარეობა არსებული ფორმების ხელახლა გამოყენებაზეა ორიენტირებული. ნაშრომში გამოვლენილია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არც ერთ სხვა ავტორთან არ გვხვდება. აქედან თვალნათლივ ცხადია ავტორის როლი ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებასა და მხატვრული ეფექტის, ექსპრესიულობის გაძლიერებაში. ისინი მეტად საინტერესოა, რადგან გვიქმნის წარმოდგენას მწერლის შემოქმედებაზე, მისი წერის სტილზე. ავტორისეული მანერაა ამ ფრაზეოლოგიზმთა განმარტება, მათი ინტერპრეტაცია.

შესავალი

პოსტმოდერნიზმი (ლათ. Modemus- „თანამედროვე“, post - „შემდეგი“) XX საუკუნის ბოლოს ფილოსოფიასა და კულტურაში აღმოცენებული მიმდინარეობაა. თუკი მოდერნიზმი ახალი ფორმების შექმნით ხასიათდება, პოსტმოდერნიზმში არსებული ფორმები ხელახლა გამოიყენება. თუ მოდერნიზმის ესთეტიკის ცენტრში ავტორი და მისი შემოქმედებაა, პოსტმოდერნიზმი

ინტერპრეტაციას ანიჭებს უპირატესობას და განუწყვეტლად ყველაფერს განმარტავს, ხშირად ეს ყოველივე ავტოკომენტირებაშიც გადადის.

როცა ქართულ პოსტმოდერნულ ლიტერატურაზე ჩამოვარდება სიტყვა, ალბათ პირველი ვინც გვახსენდება, ზურაბ ქარუმიძეა, ქართველი მწერალი, რომელიც პრემია **საბას** ლაურეატია. იგი დაიბადა 1957 წელს თბილისში. 2006 წელს მან ინგლისურ ენაზე დაწერა რომანი Dagny or a Love Feast.

ზ. ქარუმიძე სწავლობდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1984 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მახვილგონიერება და პატივმოყვარეობა ჯონ დონის პოეზიაში“. წლების განმავლობაში ის მუშაობდა XX საუკუნის ლიტერატურის კვლევის ცენტრში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1994-95 წლებში კი იგი იყო ფულბრაითის მოწვეული მკვლევარი უისკონსინ-მილვოქის უნივერსიტეტში, სადაც იგი პოსტმოდერნისტულ ამერიკულ მეტაპროზას სწავლობდა.

ზ. ქარუმიძის ორი მოთხრობა (რომლებიც ავტორმა თავად თარგმნა ინგლისურად) გამოქვეყნდა ამერიკაში, *Clockwatch Review*-ში (Clockwatch Review, Bloomington, IL, 1996). ის რედაქტორობდა საქართველოში გაცემულ ინგლისურენოვან ჟურნალებს: ,,საქართველო-კავკასიის პროფილი“ (1995-2000) და ,,კავკასიის კონტექსტი“ (2002-2005).

ჯეიმზ ვერჩთან ერთად ზურაბ ქარუმიძე არის თანარედაქტორი წიგნისა - ,,**კმარა ვარდების რევოლუცია საქართველოს რესპუბლიკაში“** (Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, 2005). წერს ესეებს კულტურის, კოლექტიური მახსოვრობისა და ეროვნული ნარატივების შესახებ.

1998 წელს გამოვიდა მოთხრობათა კრებული Opera, 2000 წელს კი - რომანი „ღვინომუქი ზღვა“; 2003 წელს - რომანი „თხა და გიგო“; 2009 წელს გამოვიდა წიგნი „ჯაზის ცხოვრება“ („საბა“ 2010); გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები ფილოსოფიურ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტუროლოგიურ საკითხებზე. მისი ბოლო რომანი „მელია - ტულეფია“: Fox – Trot” გამოვიდა 2011 წელს.

რომანი „ღვინომუქი ზღვა,“ რომელსაც „რადიკალური ექსპერიმენტიც“ კი უწოდეს, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ თითქმის უარყოფილია ამბავი. თავად ავტორი რომანის შესახებ წერს: – მთელი ცხოვრება კომპოზიტორებისა და დირიჟორების მშურდა, კომპოზიტორ-დირიჟორებისა ხომ

საერთოდ… მაგრამ, მუსიკას მესამე კლასში დავანებე თავი, იმ გამებს და სავარჯიშოებს გავექეცი და ჩემგან აბა რაღა კომპოზიტორი დადგებოდა… თუმცა ეს ფარული ლტოლვა მაინც ჩამრჩა და კიდევ დიდ ხანს მუშაობდა ჩემში: ლიტერატურული ტექსტის წერისას უფრო რაღაც შინაგან მელოდიას და აკორდულ წარმონაქმნებს მივდევდი, ვიდრე სიუჟეტსა და ამბის თხრობას. ასე დავწერე ,,ღვინომუქი ზღვა," რომელიც უფრო ,,რომანი-სიმფონიაა", ,,რომანი-მუსიკალური-რაფსოდიაა"…

ინდივიდუალურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმები

ფრაზეოლოგია ენის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. მისი დაუფლება ამაღლებს მეტყველების კულტურას. ფრაზეოლოგიზმებით გაჯერებებული ენა მრავალფეროვანი, მოქნილი, ხატოვანი და ექსპრესიულია.

ფრაზეოლოგიზმები დიდი გამომსახველობითი ძალის მქონე სტილისტიკური საშუალებებია. ,,მათი გამოყენება მეტყველების ექსპრესიულ-ემოციურ ბუნებას ამაღლებს და ამდიდრებს"(Ефимов , 1968:70).

XXI საუკუნის ლინგვისტიკაში აქტუალურია კვლევის მიმართულება, რომლის მიხედვითაც ენა მოიაზრება, როგორც ეროვნების კოდი. ეთნოსის ფონური ინფორმაცია ყველაზე კარგადაა შემონახული ხატოვან სიტყვა-თქმებში, ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომებში. სწორედ ისინი გვიქმნიან სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის შესახებ. მათში დაცულია ისტორიული ფაქტები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, მატერიალურ-კულტურული მიღწევები, ცნობები სულიერი ფასეულობების, ყოფა-ცხოვრების, რწმენის, ტრადიციების შესახებ. ყოველივე ამას რეალიებს უწოდებენ. მათში დაუნჯებულია ერის მსოფლხედვა, ისინი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სისტემის, ეროვნული სამყაროს კულტურული ხატია.

,,ერის კულტურა, სულიერი წყობა, ისტორია კარგად წარმოჩნდება ხატოვან გამოთქმებში. საქმე ისაა, რომ ე. წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას", - წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997: 89).

„ღვინომუქი ზღვა“, როგორც მეტაფორა

რომანის სათაურის შესახებ ზურაბ ქარუმიძე წერს: EPI OINOPA PONTON ზღვისფერ ზღვაში (ბერძნ.). „გეოლოგიური თვალსაზრისით, ტფილისის ტერიტორია წარმოადგენს ზღვის ფსკერს, რომელიც ჩამოყალიბდა კაინოზოური ხანის პირველ პერიოდში, ანუ მესამეულ ეპოქაში (მის ქვემოთ ცარცული სისტემის ნალექებია). აქ ადრე თევზები და მოლუსკები ბინადრობდნენ. ერთმანეთს ერწყმოდა მილიარდობით ბიოქიმიური პროცესი, სწორედ ისეთი, ახლაც რომ მსჭვალავს ამ ქალაქის ბინადართა ცოცხალ უჯრედებს.

უმარტივესი, უარქაულესი ლტოლვები აღავსებენ მათი სულების ღვინომუქ სიღრმეებს, სადაც ურიცხვი სახე და სხეული ერწყმის ურიცხვ სახეს და სხეულს, ერწყმის და იხლართება, წყალჭიპლარმცენარეთა ერთარსბუნებოვნებით, არაბესკულად, გროტესკულად, ნახ- უნდ- ნებენაინანდერ...

მეტყველებამ აქ არ უწყის სიტყვა, ხოლო სიტყვები არაფერს მეტყველებენ. კაცი და ქალი, დიდი და მცირე, მონათლულიც და მოუნათლავიც - აღეგზნებიან, შფოთავენ, ზეწრებში ჩაოფლილები, ზეწრებში, რომელიც ნართავია იგივე მატერიისგან, რისგანაც მათივე სიზმრები: უსიტყვო ტალღათ-ღაღადი, სიტყვამდელი, დაუნაწევრებელი ნივთიერება, მღვრიე მასა, ქაფად რომ იქაფება, ყვავილად რომ იფურჩქნება, გულისგამყინავ ყვავილად, - სიყვარული, თავის გამხელას რომ ლამობს... დაღუპულ ზღვაოსანთა გვამების მჭამელ სირინოზთა სოპრანოებში, ძუძუსთავთაგან ცრემლად ნადენი სიყვარული, რომელიც ლამობს...

რას ვიფიქრებდი, რომ ქვეყნად ვნებამ ესოდენი მსხვერპლი მოიმკო!

სიმთვრალე, შიში, შიმშილი, ტლანქი გინება, ღრიანცელი, კლიმაქტერიული ისტერიკები, სუიციდალური იმპულსები, ავტოეროტიზმი, უპიროვნო ავტომატიზმი, საპროტესტო თუ უტრანსპორტო მსვლელობები, სხდომები, პერფორმანსები, თავდასხმები, პრეზენტაციები, აქციები, - წყალქვეშა დინებებსა და მღვიმეებში მიმოთესილ ბიოლოგიურ ფორმებად ედება ქუჩებს და შენობებს. და ესე მძვინვარება უხმო არს, ესე ყოველი დუმილში ხდება: უხერხემლო თავფეხათა, ხამანწკასებრთა, თავკომბალათა მდუმარებით - მღვრიე ალაგას რომ ეტანებიან, შლამში ეფლობიან და წვანან.

ფანჯრებს ხან ვერცხლისფერ ლიფსიტათა დასი მოაწყდება, მსუნაგი, ხორცის საძიებად მომართული; ხან ვეება ლაყუჩები მოჩანს, ძალუმად

მფეთქავი, და უსიტყვო ნდომის პირღია ხვრელები აფრქვევენ ქვირითს და თესლს, როგორც მზე - სივრცეს, მზე, რომელიც დანათის ქალაქს, როგორც თავის წყვდიადში შებრუნებული თვალი. თავისუფალი თვალი, რომელიც ხედავს, ხედავს იმას, რაც თავის გამხელას ლამობს, შეშლილი, როგორც ნისლი და თოვლი, გაუგონარი სიტყვიერებით მეტყველი, ხურვით მოუბარი, ორალური ეროტიკის სურათთა ცეცხლის ენებით, აქაურთა ყმაწვილურ ფანტაზიებში რომ ელავენ.

და საკუთარ ნარწყევში დამხრჩვალი პროტევსივით სახემრავალი, აქ, ჩვენს სულთა ფსკერზე სუფევს ჩვენი ქალაქი - ნამდვილი ქალაქი და არა გამოგონილი, მეფე მონადირის დაარსებული თუ აღშენებული; ნამდვილი ქალაქი და არა ქმნული მახინჯ ხატად ქალაქისა ღმრთისა; ნამდვილი ქალაქი და არა ნაკვიატად დადევნებული ნოსტალგიური დღესასწაული, მეეტლე - მეარღნეებით; ნამდვილი ქალაქი...

აქ ახლაც თევზები და მოლუსკები ბინადრობენ, და სიყვარულის სენით დასჯილი სულები. ზღვა არის ტფილი და ღვინო მუქი...“ (ქარუმიძე, 2012 :29-31).

ფრაზეოლოგიზმები ბრუნვათა სახელების შესახებ

ზ. ქარუმიძის რომან „ღვინომუქ ზღვაში“ გვხვდება არაერთი საუცხოო ფრაზეოლოგიზმი. **„სახელობით ბრუნვაში ჩარჩენილი შთაბეჭდილებები“** - კონტექსტიდან გამომდინარე ნიშნავს „უცვლელ შთაბეჭდილებებს“. „ახლა ინტელექტი? ვინმემ თავში წერაქვი რომ ჩამარტყას, გახსნილ ქარში ჩარჩენილ ამინდს თუ დაინახავს, სხვა არაფერს, - **სახელობით ბრუნვაში ჩარჩენილ შთაბეჭდილებებს.** სხვა ბრუნვები მიმართებებს, სულ მცირედ დინამიკას მაინც გულისხმობს. აქ კი - მედუზა იქცევა ნარცისად, ხოლო ნარცისი ქვად და არა - კვერცხად“ (ქარუმიძე, 2012 37).

„აკუზატივში წაკუზული ხალხი“ ამ ფრაზეოლოგიზმსაც ავტორი თავად განმარტავს, გულისხმობს ხალხს, რომელიც შენდობას მოელის. „გთხოვთ, გაითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ: აქ მთავრდება ესთეტიკა და იწყება ეთიკა - ამ ჩვენი ჯიბესავით ჩახეული ტექსტიდან სხვა ტექსტი იკითხება, სადაც ყოველივე მდგრადი სახელობით ბრუნვაში, ანუ ნომინატივში, ნაწარმოებია ბრალდებითი ბრუნვიდან, ანუ - აკუზატივიდან, და არა პირიქით, როგორც ეს

ყოველდღიურ გრამატიკაში ხდება... („მაშ, მოდი, ამ **აკუზატივში წაკუზულ ხალხს გაუმარჯოს,** რომელიც რომა ჩვენი ხელიდან შენდობას მოელის!“ (ქარუმიძე, 2012:267).

სიტყვათშეთანხმება **„წოდებითი ბრუნვა“** ფრაზეოლოგიზმია და ნიშნავს არყოფნის კვალს, განშორების კვალს. აქვე უნდა დავასახელოთ ახალი ფრაზეოლოგიზმი **„მეოთხე პირის მხოლობითი ნაცვალსახელი“,** რომელიც ნიშნავს ისეთ რაღაცას, რომელსაც ვერცა უარყოფ და ვერცა დაასტურყოფებ. „უსასრულოდ სხვაა იგი, და იმიტომაც არის, ვერანაირი სიტყვით მას ვერ მოთარგმნი - გარდა ერთისა, რომელიც არის მეოთხე პირის მხოლობითი ნაცვალსახელი. **მას ვერცა უარყოფ და ვერცა დასტურყოფ;** არამედ შეიძლება მიმართო მხოლოდ და შემკითხავად შეესიტყვო. ჩვენთვის იგი მხოლოდღა წოდებით ბრუნვაში ტოვებს თავისი არყოფნის კვალს - განშორების კვალს“ (ქარუმიძე, 2012 :234).

ფრაზეოლოგიზმები, მიღებული ცნობილი ნაწარმოებების სათაურების ალუზირებით

ზოგი ფრაზეოლოგიზმის წარმოქმნას რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები უდევს საფუძვლად: **„კარგი დღე არის ბანანა თევზის საჭერად“** (ქარუმიძე, 2012: 51).ეს ფრაზეოლოგიზმი მიემართება სუსტი ნებისყოფის ადამიანს, რომელიც მიელტვის ცხოვრებისეულ სიამეებს და ადვილად შეიძლება სხვამ დაიმორჩილოს.

ის უკავშირდება ჯერომ დევიდ სელინჯერს, მე-20 საუკუნის უდიდეს ამერიკელ მწერალს, ავტორს მოთხრობისა - „ბანანა თევზის ამინდი“.

მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: სიმორ გლასი და მისი მეუღლე – მიურიელი დასასვენებლად იმყოფებიან ფლორიდის შტატში. მიურიელს ნიუ-იორკიდან ურეკავს დედა. მშობლისა და შვილის სატელეფონო საუბარი, რომელიც მოთხრობის პირველი ნაწილის დაახლოებით 95% შეადგენს, ძირითადად სიმორს ეხება. სიდედრი შეშინებულია სიძის სულიერი მდგომარეობით. ის ფსიქიკურად გაუწონასწორებელ და მიურიელისთვის საშიშ ადამიანად მიაჩნია და სთხოვს ქალიშვილს, დაბრუნდეს სახლში, რადგანაც სიმორმა შეიძლება მას ზიანი მიაყენოს. შვილი ამშვიდებს დედას და არწმუნებს, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდება, რადგანაც სიმორი გამოჯანმრთელების

გზას წარმატებულად ადგას. ცოლისა და სიდედრის სატელეფონო საუბრის პერიოდში სიმორ გლასი სანაპიროზე სამი წლის გოგონას – სიბილს უყვება ზღაპარს ბანანა თევზების შესახებ. ზღაპრის მოკლე შინაარსი ასეთია: ბანანა თევზები შესცურავენ წყლის ქვეშ მდებარე ბანანების გამოქვაბულში, სადაც ძალიან ბევრ ბანანს შეჭამენ – დაავადდებიან ბანანის ციებ-ცხელებით და იხოცებიან. ამ ყველაფრის შემდეგ სიმორი ბრუნდება სასტუმროში. მას უკვე აშკარად ეტყობა სულიერი აშლილობა – ლიფტში ის ერთ-ერთ ქალს, შარს მოსდებს იმის გამო, რომ ის ვითომ მის ფეხებს უყურებდა.

მოთხრობის კითხვისას ავტორი მიგვითითებს, თუ როგორი ფერმკრთალია სიმორი; აგრეთვე, ჩვენ ვხედავთ ლურჯი ფერის უპირატესობის წარმოჩინებას ნოველაში. ფერმკრთალობა ინდუიზმში გამომხატველია შეყვარებულობისა, ხოლო ლურჯი აღძრავს ასოციაციას ლოტოსის ყვავილთან, რომელიც არის სიმბოლო კამასი – სიყვარულის ღმერთისა ინდუიზმში.

რატომ დაუნახა სიბილმა ბანანა თევზს მაინც და მაინც 6 ბანანი და არა, ვთქვათ 2 ან 4 ? რატომ შეჭამა მეორე თევზმა სიმორის ზღაპარში მაინც და მაინც 78 ბანანი და არა – ვთქვათ, 39 ან 55? რას შეიძლება გულისხმობდეს სელინჯერი, რომელიც საფუძვლიანად ერკვეოდა ინდუისტურ ფილოსოფიაში ამ რიცხვების მიღმა?

რაც შეეხება 6-ისა და 78-ის სიმბოლურ დატვირთვას, ინდუისტებს მიაჩნიათ, რომ არსებობს 6 ბინძური ვნება, რომელიც იპყრობს ადამიანის გონებას: 1) სიყვარული, 2) სიძულვილი, 3) სიამაყე, 4) უზრდელობა, 5) მცდარი აზრი, 6) ეჭვი.

ზღაპარი ბანანა თევზებზე შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: როდესაც სიმორი უყვება სიბილს ბანანა თევზზე, რომელიც შეცურავს გამოქვაბულში, სადაც გაიტენება ბანანების ჭამით და შემდგომ კვდება, რადგანაც გასუქებული, გამოქვაბულის გასასვლელში ვეღარ გაეტევა – ის, (სიმორი) ფაქტობრივად თავის ქორწინებას გულისხმობს.

რაც შეეხება მოთხრობის დასასრულს, სიმორ გლასის თვითმკვლელობას, მოთხრობაში მთავარი გმირის სიკვდილი და იმ ბანანა თევზის აღსასრულიც ისეთ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, რომ ეს ადვილი შესამჩნევია. ჯ. სელინჯერის ამ მოთხრობაში ბანანა თევზს, რომელმაც 78

ბანანი შეჭამა, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს. ის სიმბოლოა სუსტი ნებისყოფის ადამიანისა, რომელიც მიელტვის ცხოვრებისეულ სიამეებს, რაც ინდუისტური რელიგიის მიხედვით, დამღუპველია, რადგან მას მიჰყავს ის მიწიერი არსებობის გაგრძელებამდე სიკვდილის შემდეგაც კი. სიმორ გლასისთვის კი სიკვდილი, რომელიც მან დააჩქარა საკუთარი ძალებით, არამც და არამც არ არის დამღუპველი, არამედ სუიციდი სიმორისთვის პირდაპირი გზაა ნეტარებისკენ, ნირვანისკენ (მოძიებულია 20 მაისი 2018, http://myjournalge.blogspot.com/2012/03/19192010.html).

(**ყოველივე შაგრენის ტყავისეული ანუ ნებელობისეული ფრჩხილებში მოთავსდება)“** (ქარუმიძე, 2012 :69).

„ტრაგიკული ისტორია ჰამლეტზე, დანიის უფლისწულზე“ - იულიამ შექსპირის ტრაგედია. მოქმედება დანიაში მიმდინარეობს და აღწერს უფლისწული ჰამლეტის შურისძიებას ბიძამისზე, ამ უკანასკნელის მიერ მეფის, ჰამლეტის მამის, მკვლელობის გამო. ჰამლეტის ბიძა ტახტზე ადის და თან ჰყავს ჰამლეტის დედა, გარდაცვლილი მეფის ქვრივი, როგორც საკუთარი მეუღლე.

„ - შენ რა იცი სიყვარული რა არის! ასრულებენ: ერიკ დოლფი და ქსოვრელის დასტა. რუნ ტატატატა დუმ ტა(ორჯერ)... როგორ არ გაგეგება - გაგეგება, ოღონდაც, საკუთარი თავის გარდა არავინ გიყვარს, **ჰამლეტის მიერ ნაწინასწარმეტყველები ზეციური ეკონომიი**თ, რომლის თანახმადაც ქორწინებას თავი უნდა დავანებოთ, რამეთუ დიდებით მოსილი ადამიანი საკუთარი თავის ცოლია... დააჯამა ზამზელმა“ (ქარუმიძე, 2012 :95).

რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის წარმოშობა უკავშირდება **ხელოვნების რომელიმე მიმდინარეობის, რომელიმე ხელოვანის, მუსიკოსის** და სხვათა სახელს.

ზოგ ფრაზეოლოგიზმს რომელიმე მხატვრის შემოქმედება უდევს საფუძვლად. „თაკარა აივანზე გავიდა: **ვან გოგის კალმით ნახატი შუადღე დაგიმონებს ყურმოჭრილ** მონად - ცისფერ რქიანი როგორც დასწერდნენ ცისფერი გულის ცისფერ ფიცარზე... ცისფერყანწელი მუსირებს მოსე... არაა, ისევ **რემბრანდტის ჩრდილებს შევაფაროთ თავი**, და...ღმერთო, როგორ დამავიწყდა?! ლუდი, ჰოლანდიურ „გროლში“ - რემბრანდტის ყალმით ნახარში!! (ქარუმიძე, 2012 :48).

ვინსენტ ვილემ ვან გოგი (1853-1890) ნიდერლანდელი ფერმწერი და გრაფიკოსია. ვან გოგის ნახატი შუადღე - დასვენება სამუშაოსგან. რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინ (1606-1669) კი - ჰოლანდიელი ფერმწერი. ჰოლანდიაში რემბრანდტის ერთი თავისებურება გამოვლინდა. ესაა ჩრდილ-სინათლის, ნათელ-ბნელის გამოყენება ისე, როგორც მანამდე არავის გამოუყენებია. საგნისთვის ფორმის მისაცემად და მასში, მთავარის, ძირითადის გამოსავ-ლენად, მხატვარი ქმნის საკუთარ გარემოს, რაც შეიძლება მაქსიმალურად აამეტყველოს, ის რაც მის წინაა, მხატვარი ამეტყველებს იმას, რაც გამოსა-ყოფია. იმიტომაცაა რემბრანდტის ნახატებში განათება ყოველთვის აქტიური, „მოქმედი“. ეს მეთოდი იმდენად რემბრანდტისებურია, რომ იგი მის ყოველი სახის ნახატში გვხვდება, ეს იქნება ზეთისფერით შესრულებული თუ გრა-ფიკული.

საინტერესო ფრაზეოლოგიზმია ასევე **ზოო-მოცარტული მედიტაცია**. „ჟენეროს: **ზოო-მოცარტული მედიტაცია**, გველის ფორმის ბენზინგასამართი შლანგის თანხლებით“ შემაშფოთებელმა სანახავმა დაარღვია“ (ქარუმიძე, 2012 : 291-292).

ავსტრიელი კომპოზიტორის - ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის (1756-1791) მუსიკა ადამიანებზე გამაჯანსაღებლად მოქმედებს. მხოლოდ მოცარტის მუსიკა ააქტიურებს თავის ტვინის ქერქის ყველა უბანს, მათ შორის იმათაც, რომლებიც მონაწილეობენ მოტორულ კოორდინაციაში, სივრცობრივ აზროვ-ნებაში, ხედვით პროცესში და ცნობიერების უმაღლეს პროცესებში. ის ჩვენი ტვინის ყველა ბუნებრივ უნარს მობილიზაციას უკეთებს; ამასთან, შეუძლია სხვადასხვა ავადმყოფობისგან ადამიანების განკურნება. ამას ამტკიცებს მთელი მსოფლიოს სწავლულთა, ექიმთა და ფსიქოლოგთა მრავალი დამოუ-კიდებელი გამოკვლევა. (მოძიებულია 21.05.2018, http://mardjiani.blogspot.com/2013/05/blogpost_5188.html?view=mosaic).

მეტად საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი **საკუთარი თავის თარგმნა გარე-მყოფის ენაზე**, რაც სხვა ადამიანის შეყვარებას გულისხმობს. „ნუ ცდილობ გარემყოფის თარგმნას საკუთარ ენაზე - პირიქით ჰქმენი: **შენი თავი თარგმნე გარე მყოფის ენაზე.** შეიყვარე! ჰო, შეიყვარე, რაგვარადაც მე, ქალღმერთმა შემიყვარა და გავხდი მოკვდავი, ნაცვლად იმისა, რომ უსასრულოდ მეთარეშა, ბრძოლის ერთი ველიდან მეორეზე...“(ქარუმიძე, 2012 :75-76).

გვხვდება ასევე ფრაზეოლოგიზმი **მარცხენა ხელივით აჭიკჭიკდი,** რომელიც კონტექსტიდან გამომდინარე ნიშნავს საქმის შეცდომით გაკეთებას: „შენ რაღაც მართლა მარცხენა ხელივით აჭიკჭიკდი, ძმაო რამე ხომ არ გეშლება!“ (ქარუმიძე, 2012 : 38).

ნაწარმოებში ნაკლებად, მაგრამ მაინც დაფიქსირდა, როგორც ცნობილი ფრაზეოლოგიზმები, ისე მათი მოდიფიცირებული მაგალითები. მაგ: **ჯიგარი ხომ არ გაგიფუჭდა**. „ჯიგარი სიყვარული, კეთილშობილური გრძნობა. ჯიგარი სპარსული სიტყვაა. ნიშნავს საკუთრივ ერთ შინაგან გულმკერდში მოქცეულ ორგანოს ადამიანისა თუ საქონლის სხეულისას - ღვიძლს. ყასბებს კი ჯიგარი უქვიათ გულ-ღვიძლისა და ფილტვებისათვის ერთად, შემოკრებითად, ერთმანეთს განუშორებლად.

ქართველ კაცს გული მიაჩნია სიყვარულ-სიძულვილის, სიხარულ-მწუხარების და საერთოდ ადამიანისა თუ ცხოველის კეთილშობილ გრძნობა-განცდათა კერად. სადგურად, წყაროდ. გული კიდევ, როგორც ვიცით, სისხლის მიმოქცევისა და გადამუშავების მხრით, მჭიდრო კავშირით გადახლართულია ფილტვებსა და ღვიძლთან და ამიტომაც სამთავეს ერთად დარქმევია ერთი საერთო სახელი, ჯიგარი.

დღეს ჯიგრიანს ეძახიან მოსიყვარულე გულის პატრონს, ხოლო უჯიგრო - გვიქვია ისეთისათვის, ვისმა გულმა მოყვასის სიყვარული თუ შებრალება არ იცის (სახოკია, 1979: 954).

ილაჯი გაგიწყდა - აღელვება, მოთმინებიდან გამოსვლა, თავის მობეზრება, გულის მოყვანინება, გაბრაზება (სახოკია, 1979 :286).

„ - რაღაც არ მომწონხართ, მეტრ... - ამბობს ხელი, - ამაზრზენად გამოიყურებით, ნირწამხდარი და მიჩვარული ჩანხართ. **„ჯიგარი ხომ არ გაგიფუჭდათ“,** ძველად როგორც იტყოდენ ხოლმე ამ ქალაქში... „თუ **„ილაჯი გაგიწყდათ?“**... ან იქნებ **„იხტიბარი გაიტეხეთ?“**...საიდან-სადაო, მეტრ?! რა ამბავია თქვენს თავს?!... ასე უეცრად რამ გამოგცვალათ?...რა გჭირთ? რა გემართებათ?“ (ქარუმიძე, 2012 :306).

მეტაფორის ლიტერალიზაცია

რომანში ვხვდებით მეტაფორის ლიტერალიზაციის მაგალითებს, რაც დამახასიათებელია ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებისთვის. „ეროტიკა აქ წა-

კითხვის მეტაფორად მოვიშველიეთ წერისას ერთ ღვარჭნილ, მანიერისტულობის ნიშნით დაღდასმულ მეტაფორად. მაგრამ ერთხელაც მოხდა ის, რასაც ჩვენში **მეტაფორის ლიტერალიზაცია ერქმის - ტროპის ფიგურალური (გადატანითი) მნიშვნელობით ლიტერალიზაცია, „გაპირდაპირება“.** ამ ბოლო დროს ასეთი რამ დასჩემდა მეტაფორებს; და არა მხოლოდ მათ, არამედ ტროპებს საერთოდ. ავტონომიურია ესე ყოველი, მიღმა განჭვრეტისა ჩვენისა“ (ქარუმიძე, 2012: 9-10).

„ - ეს ქალი თავადვეა მხატვარი და არა მხატვრის საყვარელი, როგორც რომ ფლორია იყო... მე ამ ქალს სულ მალე შევხვდები... ჰო, ჩემმა ფიქციამ უფრო ფართო სპექტრის მატერიალიზება უნდა განიცადოს, ეს იქნება არა უბრალოდ **მეტაფორის ლიტერალიზაცია,** არამედ **ეპიკური სიმილეს ლიტერალიზაცია“** (ქარუმიძე, 2012:140).

„აუტანელის ატანა და გადატანა - Metaphorein. შეგვრჩება მეტაფორა, როგორც ასეთი, მაჯორდომო, - წმინდა მეტაფორიზაცია, თეთრი სისხლი, რომელიც ენის ძარღვებში მიედინება (ენა ლინგვისტური გაგებით, ცხადია) ამ სისხლსა სწოვდა დასავლური ფილოსოფიის რაბინი ბენრიდა და წოვით ვერ გაძღა ეგ ვამპირი. ვიშ, ვიშ, რამდენი მეტაფორა ყოფილა ამ მეტაფიზიკაშიო, როგორც რძით ჩაწერილიო, იძახდა და სწოვდა და სწოვდა ამ ანემიურ სისხლს“ (ქარუმიძე, 2012 :19).

„**ფაუსტური ბალისტიკით გატყორცნილი მეტაფორები** ზიგზაგებს ხაზავენ და მიზანს კი სცილდებიან....“ (ქარუმიძე, 2012 :246).

„ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ გავიაზრე, რომ იქ კიდევ ერთი პრინციპი მუშაობს: მეტაფორის ლიტერალიზაცია – გადატანითი ნათქვამის გაპირდაპირება“ – ამბობს მწერალი ზაზა შათირიშვილთან საუბარში.

„იყო დრო, ოპერის ფანტომი ქალაქის პოლიციის მიერ იძებნებოდა - არასრულწლოვანთა გახრწნისათვის. ეს საქმე უყვარდა ფანტომს ისევე, როგორც მავანს უყვარს, ვთქვათ, წერა, რაიც, როგორც ცნობილია, ხრწნის და კლავს – ხრწნის ცოცხალ სიტყვას, მეტყველებას, საღ აზრს, შემდეგ ფლეთს, ნაკუწებად აქცევს, ფონემებად ანაწევრებს, ფონემებს კი მდუმარე ასო - ნიშნებით ანაცვლებს. ოპერის ფანტომიც ასე მდუმარედ კლავდა ბავშვებს, განსაკუთრებით კი – შეძლებული ოჯახის შვილებს“ (ქარუმიძე, 2012 :6).

„ნიღაბი არაფერს არ მალავს, მიაჩნდა ფანტომს, პირიქით – ნიღაბი წარმოაჩენს, ამხელს იმას, რაც თავზარდამცემია, საზარელია და გამოუთქმელი, ე.ი. სიტყვისა და, საერთოდ, გონების კანონებს არ ემორჩილება. ის, რასაც სხვანი უწოდებენ სიკვდილს და რღვევას, შეადგენს სწორედ ნიღბის სტიქიას, მის ნამდვილ სახეს.

ნიღაბი იმთავითვე ბოროტი ფენომენია. მეტიც, საკუთრივ ბოროტება ნიღაბია, რომელსაც სიკეთე აიფარებს ხოლმე და დამსწრეთა წინაშე აბოდებული ასახიერებს იმას, რაც თავისუფლების ზღვათა მიღმაა“ (ქარუმიძე, 2012 :12).

„წერს მაჯორდომო: სხვაობა ხელოვნებას და ცხოვრებას შორის გაქრა. ამდენად, ხელოვნება აღარ არსებობს, ხოლო ცხოვრება მის მიბაძვას ლამობს და მუდამ ხელიდან უსხლტება თავის თავს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ აქაურობას ვერაგი სიმულაკრუმები დაეპატრონენ - არც არასდროს არსებული დედან-ორიგინალთა აბსოლიტურად იდენტური ასლები“(ქარუმიძე, 2012 :13).

ამრიგად, ტროპის გალიტერატურულება მწერლისეული სტილის, მანერის გამოვლინებაა.

დასკვნა

ზურაბ ქარუმიძის ,,ღვინომუქი ზღვის,“ როგორც პოსტმოდერნისტული რომანისთვის, დამახასიათებელია ახლის ძიება, ის უსიუჟეტოა. ამ რომანს ავტორი „რადიკალურ ექსპერიმენტსაც“ კი უწოდებს. მასში გვხვდება ტროპის, მეტაფორის ლიტერალიზაცია - გადატანითი ნათქვამის გაპირდაპირება.

ნაწარმოებში გვხვდება ახალი ფრაზეოლოგიზმები, რომლითაც ზურაბ ქარუმიძე ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკურ ფონდს. ესენია: ფრაზეოლოგიზმები ბრუნვათა სახელების შესახებ, ფრაზეოლოგიზმები ცნობილი ნაწარმოებების სათაურთა ალუზირებით, ფრაზეოლოგიზმები ხელოვნების რომელიმე მიმდინარეობის, რომელიმე ხელოვანის, მუსიკოსის შესახებ; ფრაზეოლოგიზმები მეთოდის შესახებ. გვხვდება ასევე მოდიფიცირებული ფრაზეოლოგიზმები, საუბრული ფრაზეოლოგიზმები. მაგ: **სახელობით ბრუნვაში ჩარჩენილი შთაბეჭდილებები, აკუზატივში წაკუზული ხალხი, მეოთხე პირის მხოლობითი ნაცვალსახელი, კარგი დღე არის ბანანა თევზის საჭერად**

და სხვა... გარდა იმისა, რომ მნიშვნელობა გასაგები ხდება კონტექსტიდან გამომდინარე, მწერალი იყენებს განსაკუთრებულ მეთოდს - ინდივიდუა-ლურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმების განმარტების ხერხს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. მახაჭაძე შ. , „პირველად იყო მითი“, გამომცემლობა „აჭარა“ ბათ. 2004;

2. სახოკია თ., „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი,“ გამომცემლობა ,,მერანი“ თბ.1979;

3. ქარუმიძე ზ., „ღვინომუქი ზღვა,“ გამომცემლობა ,,პალიტრა“ 2012;

4. ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, გამომცემლობა ,, მერანი“ თბ. 2005;

5. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., „სტილისტიკა“, გამომცემლობა ,,ივერიონი,“ თბ. 2014;

6. ჯორბენაძე ბ., „ენა და კულტურა“ თბ. 1997;

7. ჰეგელი გ. ვ. ფრ., ესთეტიკა, ტ. I თბ. 1973;

8.Sherer W. Scheerer Poetik (Berlin), 1988;

9. Ефимов А. И., Стилистика русского языка. М.1969;

10. გიორგი მარჯანიშვილი, "მოცარტით კურნავენ", (მაისი, 2013), მოძიებული მარტი 2018, http://mardjiani.blogspot.com/2013/05/blog-post_5188.html?view=sidebar;

11. "ქართული პრესის ელექტრონული არქივი", (ივლისი, 2009), საქართველოს რესპუბლიკა - ოკამის სამართალი, მოძიებულია მარტი 2018 წელი, http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2009&art=8358;

12. ნოდარ გოცირიძე, (მარტი, 2012), "ჯერომ დევიდ სელინჯერის (1919–2010) ''ბანანა თევზის ამინდი''", მოძიებულია მარტი 2018, http://myjournalge.blogspot.com/2012/03/19192010.html;

13. "Marell", (სექტემბერი, 2009), "ჰარაკირი“, მოძებული მარტი 2018 წელი, http://ucnauri.com/13072/ჰარაკირი/.

Davitadze Taliko

Phraseology in Postmodernist Works (Zurab Karumidze's "The Winedark Sea")

Abstract

To study postmodern literature is very important, Because if modernity is characterized by creating a new form, this literary course is oriented to re-use existing forms. In the novel we meet phraseology which are not met in the work of other authors. From this is clear how great is the author's role in The Georgian Language lexical enrichment and intensify of artistic effect and expression. They are very interesting as they give us the image of the writer's creations, of his writing style, The author's method is to interpret these phrases .

სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურები სოციალურ ქსელში

ლია ბოლქვაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგია, IV კურსი
ელ.ფოსტა:bolkvadze.lika7@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ცეცხლაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ჟურნალისტურ სათაურთა პრაგმატიკა ძალიან ხშირად სცილდება ჩარჩოებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემია სოციალურ მედიასა და ბულვარულ პრესაში. ნაშრომში განხილულია სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ჟურნალისტის სუბიექტური ინტერესების გამო **მკითხველს მიეწოდოს ცრუ ინფორმაცია. ერთი სიტყვით, ლინგვისტური პრობლემა ეთიკურ პლანში გადადის და ბევრად უფრო საყურადღებო თუ მწვავე ხდება.**

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, დამაინტრიგებელი სათაური, სენსაციური სათაური, ეთიკა, დეზინფორმაცია.

შესავალი

ჟურნალისტს, რომელიც ამზადებს ტექსტს ფართო აუდიტორიისთვის, კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სათაურის სწორად შერჩევა.

მედია, რომელიც ხალხს ინტერესს აღუძრავს და დაინტრიგებით არ არის დაინტერესებული, ცდილობს, სათაური შეესაბამებოდეს მთლიან ტექსტს. ის **დიდ როლს თამაშობს სოციალურ კომუნიკაციაში, ამიტომ კიდევ უფრო მწვავედ დგას პრობლემა, რამდენად ზუსტია გავრცელებული ინფორმაცია.** ხშირად ჟურნალისტი **სათაურად იყენებს სოციალურ ქსელში სხვადასხვა**

პირის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსებს, რომლებიც კონტექსტიდან ამოგლეჯილია და, შესაბამისად, იცვლება ტექსტის შინაარსი.

დღესდღეობით სოციალურ მედიასა და ბულვარულ პრესაში იკვეთება სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურების შერჩევის ძლიერი ტენდენცია. **ჟურნალისტი ასეთ სათაურებს იყენებს მკითხველის მისაზიდად, რათა გაზარდოს სტატიის მნახველთა რიცხვი, ე.წ. კითხვადობა, ამის შედეგად კი ვიღებთ არაფრის მომცემ და ცრუ ინფორმაციას, რომელიც კონკრეტული პიროვნების უფლებებსაც კი შეიძლება ლახავადეს. მოკლედ,** მედია, რომელიც ამგვარი ტიპის გადაცდომებით ხასიათდება, ხშირად არღვევს ეთიკის სტანდარტებს.

პრობლემის მოსაგვარებლად უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს მედიატექსტის სათაურების სისწორეს. უნდა დაისვას კითხვა: რისი უფლება აქვს მედიას? აუცილებელია, გადამუშავდეს კანონი მედიასამართლის შესახებ, სადაც აქცენტი გაკეთდება მედიატექსტების სათაურებზე (სენსაციური და დამაინტრიგებელი), რათა თავიდან ავიცილოთ საზოგადოების დეზინფორმირება.

მედიის როლი სოციალურ კომუნიკაციაში და სოციალური ენის ლინგვისტური თავისებურებები

ჟურნალისტური ტექსტი განსაკუთრებულ კომუნიკაციურ აქტს წარმოადგენს, ის უნიკალური მოვლენაა. მისი სპეციფიკის შესახებ არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში: ,,ის სოციალური ხასიათისაა, მასში გარესამყაროს რეალური სურათი ყოველთვის ჟურნალისტისეული ინტერპრეტაციით არის წარმოჩენილი, რაც მედიის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობას მეტად ზრდის. მედიატექსტის შემქმნელებს ამოცანას ურთულებს ისიც, რომ მათ ინფორმაცია უნდა გაავრცელონ არაერთგვაროვან, მრავალრიცხოვან აუდიტორიაში, რომლის წევრებსაც მიწოდებული ინფორმაციის მიღებისა და გაგების არათანაბარი შესაძლებლობა აქვთ. ჟურნალისტური სათაური ტექსტის ტექსტამდელი მაჩვენებელია, ტექსტის სიგნალია,"- წერს მკვლევარი ს. ომიაძე (ომიაძე, 2012 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library).

,,თანამედროვე სამყაროში ტექსტის სათაური არის ამავე დროს რეკლამა - ბრენდის ნაწილი, ტექსტის პასპორტი, ფასადი, სახე, გზამკვლევი, დროშა და

სიმბოლური ნიშანიც“ (ბარბაქაძე, 2012 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library).

ჟურნალისტის პოზიცია გადმოსაცემი შინაარსისადმი ყველაზე კარგად ჩანს სათაურში. ,,ხანდახან ჯერ სათაური იბადება და ფაქტებისა თუ მოვლენების დეტალებს თავად ირგებს, გარკვეულ კომპოზიციურ წყობას მოითხოვს. ჩვეულებრივ, კი მუშაობა სათაურზე სულ ბოლოს იწყება. თითქოს ბედის ირონიაა სათაურის მიმართ: ის, რაც ბოლო მომენტის ზრუნვის საგანია დედანში, პუბლიკაციის სავიზიტო ბარათად იქცევა ნაბეჭდ ტექსტში. ჟურნალისტის ამოცანაა მცირე რაოდენობის სიტყვებით ნაწარმოების მთავარი იდეისა და მიზნის გადმოცემა“ (ნადარეიშვილი, 1990: 3).

სიტყვა **სენსაცია** ლათინური sensus-იდან მომდინარეობას, რაც ნიშნავს „გრძნობას“, „შეგრძნებას“. თანამედროვე გაგებით, **სენსაცია** (ინგლ. sensation) არის: 1. ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც საზოგადოებაზე ახდენს რაიმე მოვლენა, შემთხვევა, ამბავი; 2. თვით ეს მოვლენა, შემთხვევა, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას, ხმაურს, მითქმა-მოთქმას იწვევს“ (ნადარეიშვილი, 1990: 67).

თანამედროვე მასმედიის ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა მკითხველის დაინტერესება სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურებით. ამის შესახებ ვკითხულობთ სპეციალურ ლიტერატურაშიც: „დღევანდელ მსოფლიოში, ალბათ, ძნელია მოიძებნოს ქვეყანა, სადაც ჟურნალ-გაზეთების უმეტესობას არ აწუხებს მკითხველის გაოცების სურვილი. ზოგან ამის უსაზღვრო ნდომა რეპორტიორთა ნაწილის ცხოვრების არსადაა ქცეული და მანიის სახე აქვს მიღებული, ამიტომ დღედაღამ დაეძებენ ისინი სენსაციას, სკანდალურ ფაქტებს. თუ არ გაუმართლათ, მაშინ ფანტაზიის უმაღლესი გამოვლინების საშუალებით ცდილობენ ახალ ფაქტსა თუ მოვლენაში სენსაციის ანარეკლი დაინახონ. ეს პროცესი კი მეტისმეტად აზარტულია“ (ნადარეიშვილი, 1990:66).

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ი. სანიკიძე წერს: ,,ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ის „დაშვებულ ნორმებს“ აჭარბებს, აღემატება, სენსაციურ სათაურად შეიძლება ჩაითვალოს. იგულისხმება ისეთი, რომლის მსგავსიც საერთოდ არ მომხდარა, ან ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, რომელიც ყველას აინტერესებს, იწვევს ერთგვარ შიშსაც, აღფრთოვანებასაც, არის მიმზიდველი,

ექსტრემალური, წარმოუდგენელიც კი. მსგავსი სახის ინფორმაციებს, შესაძლოა, ძალიან ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდეს და ეს არცაა გასაკვირი. ადამიანის ცნობიერება ხომ სწორედ ინტერესის, ძიების, გამორჩეულობისა და ორიგინალურობისადმი განსაკუთრებული გრძნობითაა დატვირთული. ამდენად, სენსაციური, ჯერარსმენილი, არაორდინალური, იშვიათი ინფორმაციები დროდადრო გაიელვებს ხოლმე და ის უბრალოდ გვაინტერესებს. მისი შინაარსი შეიძლება იყოს ყოველგვარი ცხოვრებისეული, პირადი და საზოგადოებრივი, ხელოვნური და ბუნებრივი და ა. შ. ის, რაც ხანდახან პირიქითაა, უფრო მეტად აინტერესებს ადამიანებს. ხშირად სენსაცია ქარბორბალასავითაა, უცებ დაიპყრობს ადამიანების ყურადღებას და გაქრება ან სულაც ჩაქრება მისდამი ინტერესი“ (სანიკიძე, 2015:104).

დ. ტყებუჩავას მიხედვით, ,,პუბლიცისტური ტექსტი ორკუზიან აქლემს მოგვაგონებს, პირველი კუზი ფაქტია, მეორე – ავტორის მიმართება ფაქტისადმი“ (ტყებუჩავა, 2010: 82).

როგორც ვნახეთ, სენსაციურობა მკითხველის დასაინტერესებელი ერთ-ერთი მთავარი ხერხია, რომელსაც ხშირად ,,ბოროტად“ იყენებენ.

სენსაციური სათაურები

მოვიყვანთ სენსაციური სათაურების მაგალითებს თანამედროვე ქართული პრესიდან. **„როგორ გამოიყურება გიგანტური ,,კოსმოსური მედუზა“ -** ასე ასათაურებს ჟურნალისტი სიახლეს, რომელიც ევროპელი ასტროფიზიკოსების სახელს უკავშირდება. სათაური სენსაციურია იმდენად, რამდენადაც მკითხველში პირველი ასოციაცია იქმნება, თითქოს, გამოჩნდა ან აღმოჩინეს მედუზა და თანაც არა თავისთვის ჩვეულ ადგილზე, არამედ, კოსმოსში. სტატიის გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის ნათელი ხდება ჟურნალისტის განზრახვა, რომ კოსმოსური მედუზა დიდი ხნის აღმოჩენილია და ის ერთ-ერთი გალაქტიკის პირობითი სახელია, რომ ახლა მეცნიერებმა მხოლოდ მისი სამგანზომილებიანი მოდელი შემქნეს: *„ევროპელმა ასტროფიზიკოსებმა გალაქტიკა JO194-ს, რომელიც ასევე „გიგანტური მედუზას“ სახელითაა ცნობილი, სამგანზომილებიანი მოდელი შექმნეს და YouTube-ზე გამოაქვეყნეს“.* რომ არა სურვილი უმაღლესი ფანტაზიის გამოვლენისა, ჟურნალისტს შეიძლება უბრალოდ დაეწერა: ევროპელი ასტროფიზიკოსების გამოგონება (www.newposts.ge).

შემდეგი სათაური არის მიმზიდველიც და წარმოუდგენელიც: **„არ დაალევინოთ სხვას თქვენი მონასვამი წყალი, თორემ თქვენს ფიქრებს გაიგებს“** - ეზოთერიკოსი ასე ახასიათებს წყლის მისტიკურ ბუნებას. ეს სათაური სენსაციურია, რადგან ყველას აინტერესებს, იწვევს ერთგვარ შიშსაც და აღფრთოვანებასაც. *„ეშმაკს მაინც არ სძინავს და წყალთან დაკავშირებით ყოველთვის უნდა გახსოვდეთ: რომ არ დაალევინოთ სხვას თქვენი მონასვამი წყალი, თორემ თქვენს ფიქრებს გაიგებს; კარგი არ არის, თუ ორი ადამიანი ერთ წყალში იბანავებს – ჩხუბი და უსიამოვნება მოსდევს; შუაღამის შემდეგ კი, წყალს ქუჩაში ნუ გადაასხამთ, თორემ სახლის ენერგიაც თან გაჰყვება“* (digest.pia.ge).

ერთ-ერთი სტატიის სათაური ასეთია: **„სტამბოლში მეტროს ესკალატორმა მამაკაცი ჩაყლაპა“** - ექსტრემალური და წარმოუდგენელი - ასე ხასიათდება სათაური, რომლის მიხედვითაც ესკალატორმა მამაკაცი ჩათრევის ნაცვლად ჩაყლაპა. მკითხველი წარმოიდგენს მამაკაცს, რომელიც მეტროთი მგზავრობს და რამდენიმე წამის შემდეგ ის ესკალატორზე აღარ დგას, მაგრამ არა იმიტომ, რომ გზა მშვიდობით განვლო, არამედ, იმიტომ, რომ ის ესკალატორმა ჩაყლაპა. თუ სათაურს ჩავუკვირდებით, სავარაუდებელია, რომ მამაკაცი ვერ უნდა გადარჩენილიყო, რადგან ესკალატორის ჩაყლაპულის უკან ამოყვანა/ამოღება წარმოუდგენელია, მაგრამ სტატიის მიხედვით, მოვლენები სხვაგვარად ვითარდება: „სტამბოლში, მეტროს ესკალატორმა მამაკაცი ჩაყლაპა - ასე იტყობინება თურქული მედია და ფაქტის ამსახველ ვიდეოს ავრცელებს. *როგორც ირკვევა, ესკალატორი გაუმართავი იყო, ჩასვლის დროს კიბე გაიხსნა და მამაკაცი შახტაში ჩაითრია. მაშველებმა მამაკაცის გადარჩენა შეძლეს და საავადმყოფოში მრავლობითი მოტეხილობით გადაიყვანეს.*

ეს, არც თუ ისე სასიამოვნო ამბავი, ჟურნალისტს შეეძლო სხვაგვარად ეცნობებინა და მკითხველში შიშის გრძნობაც არ გამოეწვია: *მაგალითად, ესკალატორის მიერ ჩათრეული მამაკაცი გადარჩა, ან შემთხვევა ესკალატორზე“* (www.newposts.ge).

განვიხილოთ სხვა მაგალითებიც: **„დაუჯერებელი ამბავია...“** - ასეთია ქართული ოცნების წარმომადგენლის - ოთარ ჩრდილელის სტატიის სათაური. მოლოდინი, რომელსაც ეს სათაური აღუძრავს მკითხველს, ბუნებრივია,

არ არის ჩვეულებრივი და მას სენსაციურობის ელფერი დაჰკრავს. სავარაუდებელია, რომ სტატიაში საუბარი იქნება მწვავე პოლიტიკურ განცხადებაზე და ის ოპონენტ პარტიას მიემართება. რეალურად კი აღმოჩნდება, რომ ეს ის შემთხვევაა, როც „იმდენს არ წვიმს, რამდენსაც ქუხს." რა ხდება რეალურად?! ქართული ოცნების წარმომადგენელი ოთარ ჩრდილელი პირად Facebook- ის გვერდზე სტატუსს *აქვეყნებს: ,,80-იანი წლების დასაწყისია, სამტრედიის მოჭადრაკეთა კლუბის ნორჩი წევრი ვარ, ცხონებული ანზორ მაჩიტიძე ატარებს სარაიონო თუ რესპუბლიკურ ტურნირებს. მოკლედ დაუჯერებელი ამბავია: ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი გვსტუმრობს, ერთდროული სეანსი ტარდება, ვიქნები ასე 6-7 წლის. თეთრები ჩემი იყო, პარტიას-პარტიაზე თავისთავად იგებდა. ერთ-ერთი გვიან ვინც ქალბატონმა ნონამ დაამარცხა, თქვენი მონა-მორჩილი გახლდათ!!! ჩემი დაგვიანებით დამარცხების მიზეზი კი ჟურნალისტი იყო, რომელმაც ხუთიოდ წუთით გაიყვანა ინტერვიუზე ქალბატონი ნონა. მე კი ვიყავი ამაყი და.."* (www.digest.ge).

სამწუხაროდ, სოციალურ მედიაში ვხვდებით სათაურებს, სადაც ჟურნალისტი ყველა ღონეს ხმარობს, რაც შეიძლება სენსაციური სათაური შექმნას. ის არ ერიდება ისეთი სენსიტიური თემით მანიპულირებას, როგორიცაა რწმენა: **„სასწრაფოა! ინფორმაცია, რომელიც ახლახანს გავრცელდა და მოხდა მახათას მთაზე, ხალხი გაოგნებულია! გააზიარეთ ყველამ!"**, - რეალურად კი საგანგაშო და მით უფრო სასწრაფო არაფერია: *მახათას მთაზე, როდესაც მრევლი პატრიარქის მობრძანებას ელოდა, ნამდვილი სასწაული მოხდა. აღმოსავლეთის კარიდან ცეცხლისებრი მზე ტაძარში შევიდა და მხოლოდ ღვთისმშობლის ხატი 10-15 წამით გააბრწყინა. აი, ამ სასწაულის ამსახველი ფოტოები"* (www.facetube.ge).

ერთ-ერთი სტატიის სათაურია **„ნარკოპოლიტიკის ნაკურთხი ცვლილება?"** - საეკლესიო ინსტიტუციით მანიპულირება საზოგადოების წინაშე უკვე ჩვეულებად იქცა, რადგან მეტ-ნაკლებად ხალხს ეკლესიის და მით უფრო, პატრიარქის ნდობა აქვს. სხვა საკითხია ის, თუ რამდენად მისაღებია პატრიარქის პოზიცია აღნიშნული საკითხის მიმართ, ჟურნალისტის მიერ სტატიის დასათაურებაში ირონია ადვილი შესამჩნევია. დაახლოებით ის ემოცია მოდის „ნაკურთხი ცვლილებებიდან", რომელიც შესაძლებელია „ნაკურთხ აიფონების მაღაზიას" გამოეწვია მკითხველში. *„საქართველოში მოქმედი*

რეპრესიული ნარკოპოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც თავის საშობაო ეპისტოლეში. საინტერესოა, რა გავლენას იქონიებს ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრება კანონის მიღებაზე. საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აუცილებელია შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც დაიცავს ახალგაზრდებს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით". და კიდევ: ***„უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარდეს სხვა ღონისძიებები. მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს".*** *ეპისტოლეში ასევე ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა პრობლემისადმი სწორი, კომპლექსური მიდგომა და რომ უნდა გადაიდგას რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები.* ***„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ როცა ხელისუფლება გადაწყვეტილებას იღებს და სიახლეს ნერგავს, ყოველთვის ფიქრობს იმაზე, ხომ არ დაკარგავს ამომრჩეველთა ხმებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პატრიარქს აქვს ძალიან მაღალი ნდობის მანდატი და უმრავლესობა საქართველოში პატივს სცემს მის აზრს, თავისთავად როგორც საზოგადოებაზე, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებზე გავლენას იქონიებს",*** *- უთხრა გიორგი გოგუამ რადიო თავისუფლებას* (www.radiotavisupleba.ge).

ასევე: **„ქართველმა გეიმ ჩოხაში იქორწინა"** - თავად ფაქტი, რომ ქართველმა გეიმ იქორწინა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია, ამას სტატიის კომენტარებიც ადასტურებს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში სათაურია საინტერესო. ჟურნალისტმა საზოგადოების პროვოცირება დაისახა მიზნად და გადაწყვიტა ახალი ამბავი განსაკუთრებულად სენსაციური ყოფილიყო, ამისათვის კი, ქართველისათვის ასე პატივსაცემ სამოსს - **ჩოხას შეეხო.** აქ ის კი არ არის სენსაციური, რომ ქართველმა გეიმ იქორწინა, არამედ ის უფრო, რომ ქართველმა გეიმ ჩოხაში იქორწინა. სტატიაში ვკითხულობთ: *„ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი, ,,ლგბტ საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით მიხეილ შუბლაძე დაქორწინდა. საქართველოს მოქალაქის პირველი გეი ქორწინება ნიუ იორკში, ტრადიციულ ქართულ სამოსში შედგა. დავით შუბლაძის რჩეული მეთიუ განდოლფო ქართველი არ არის, თუმცა,*

საქორწილო ცერემონიაზე ჩოხა მასაც აცვია. დაქორწინების შემდეგ ახალ-შეუღლებულებმა თეფშიც გატეხეს. ფოტო სოციალურ ქსელში თავად დავით შუბლაძემ ატვირთა, ახლობლები წყვილს გაბედნიერებას ულოცავენ " (www.news.mcvane.ge).

დამაინტრიგებელი სათაურები

დამაინტრიგებელი სათაურების დიდი ნაწილი მხოლოდ სათაურია და მეტი არაფერი. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალურ ქსელში თუ შეგხვდებათ პოსტი დამაინტრიგებელი სათაურით და მიჰყვებით ლინკს, ხელთ მხოლოდ სათაური შეგრჩებათ და რეალურად სტატია არ არსებობს. გამოდის, რომ თქვენ მხოლოდ ეწვიეთ საიტს და კიდევ ერთი მნახველით გაზარდეთ ვიზიტორთა რიცხვი. ასეთი სათაურია: **„რა მოხდა რუსთავი 2-ში? სკანდალური კადრები, რომელიც გავრცელდა!"** (www.saintereso.com) - რეალურად კი „კომედი შოუს" ერთ-ერთი ეპიზოდიდან ფოტოა გამოყენებული, სადაც მამაკაცია დაშავებული და შექმნილია იმიტაცია, რომ რუსთავი 2-ში მართლაც რაღაც სკანდალური მოხდა.

საზოგადოების დეზინფორმირების კიდევ ერთი შემთხვევაა: **„მაგდა პაპიძე თავისუფალია, შოკისმომგვრელი ახალი დეტალები! ნახეთ, რა დაიმალა პაპიძის საქმეში"** (www.facetube.ge).

ასეთია კიდევ ერთი მაგალითი: **„როგორ ქორწილს გეგმავენ კახი კალაძე და ანუკი არეშიძე"** - თბილისის ამჟამინდელი მერი მუდამ ყურადღების ცენტრშია, თუმცა ამისათვის თბილის მერობა ერთადერთი მიზეზი არ არის, რადგან ის ცნობილი და წარმატებული ფეხბურთელიცაა, ამიტომ საკმარისია სულ მცირე დამაინტრიგებელი ინფორმაცია. ინტერვიუსთვის კახი კალაძესა და მის მეუღლესთან მისულმა ჟურნალისტმა, ალბათ, ვერაფერი საინტერესო და მით უფრო დამაინტრიგებელი ვერ დაინახა და გადაწყვიტა, რამდენიმე წლის ცოლ-ქმარი თავიდან შეეუღლებინა. *„თბილისის მერმა კახა კალაძემ მეუღლესთან, ანუკი არეშიძესთან ერთად ჟურნალ „Tatler"-ის რუსულ ვერსიას უმასპინძლა. წყვილმა ჟურნალისტები თბილისის გარეუბანში მდებარე, სამსართულიან კერძო სახლში მიიღო.*

ანუკი ჟურნალისტებს გულახდილად ესაუბრა, მათ შორის მოდის სფეროში მიღწეულ წარმატებებზე. მისი თქმით, პოპულარობა მეუღლის თანამდებობაზე არ არის დამოკიდებული: „ბევრი მაშინ იგებს კახას ცოლი რომ ვარ,

როცა ჩემს ინსტაგრამს ნახულობს. მათთვის საინტერესო დიზაინერი ვარ იმ საქართველოდან, საიდანაცაა დემნაა“.

მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავურ წყვილს სამი ვაჟი ჰყავს — რვა წლის ლევანი, ხუთი წლის კახაბერი და ოთხი წლის ვაჩე, ანუკიც და კახიც მთელ თავიანთ დროს სამუშაოს უთმობენ. „მერის ხელფასი ქველმოქმედებას ხმარდება. მისი ცოლის ბიზნესი დახმარებას ახლა არ საჭიროებს“(www.reitingi.ambebi.ge).

დღეს სოციალურ მედიაში აქტუალურია თემა სამკურნალო საშუალებების შესახებ. ხალხური მედიცინით ყოველთვის ინტერესდებოდა საზოგადოება, საამისოდ ჟურნალისტი დამაინტრიგებელ სათაურებს იყენებს. მაგალითად: **„მას ექიმები გვიმალავდნენ, რადგან უკვე შესაძლებელია თმის ცვენის შეჩერება მხოლოდ 10 დღეში!“** - არაფერია ახალი იმაში, რომ თმის ცვენის შეჩერება შესაძლებელია, მაგრამ ნამდვილად დამაინტრიგებელი და სენსაციურია სათაური, რომ ამ აღმოჩენას ექიმები გვიმალავდნენ. რომ არა ჟურნალისტის აღშფოთება ექიმების მიმართ, ინფორმაცია არც სენსაციური იქნებოდა და არც დამაინტრიგებელი. სტატიის გაცნობის შემდეგ კი ვიგებთ, რომ საუბარია კარგად ნაცნობ ხალხურ მეთოდზე და ექიმებიც არავის არაფერს უმალავენ: *„იმის გათვალისიწნებით, რომ მას დიდი სიმკვრივე გააჩნია, აბუსალათინის ზეთის გამოყენება ცოტათი რთულია. ამიტომაც შეგიძლიათ მას შეურიოთ თანაბარი რაოდენობით ქოქოსის ზეთი. გაავრცელოთ ის ნაზი მასაჟით კანზე (მთელ თმაზე თანაბარი რაოდენობით) და დაელოდოთ ერთი საათის განმავლობაში. საჭიროა გაიმეოროთ მსგავსი პროცედურა ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ, სანამ თმებს დაიბანთ. თუ გსურთ გამოიყენოთ ეს მეთოდი თმის გაყოფილი ბოლოებისთვისა და მშრალი თმისთვის, მაშინ დაგჭირდებათ 2-3 წვეთი აბუსალათინის ეთერზეთი, რომელიც უნდა შეიზილოთ მშრალ თმაზე. ღამით კი ის საოცარ ეფექტს გამოაჩენს“*(digest.pia.ge).

„არ მინდა ეს ამბავი დავიჯერო, საშინელი ინორმაცია რომელიც ახლახანს გავრცელდა სამწუხაროდ მსახიობი გიორგი“- დამაინტრიგებელი სათაურის ეს შემთხვევა, ფაქტობრივად, დაუსრულებელი წინადადეებაა, ამის მიზეზი არც ავტორის გულმავიწყობა და არც სიზარმაცეა. ჟურნალისტმა განზრახ არჩია ამ ფორმით ეთქვა სათქმელი, რათა სათაური დამაინტრიგებელი ყოფილიყო. პირველი რასაც გაიფიქრებს მკითხველი, ეს იქნება მსახიობ გიორგის

ზღვრულ სიტუაციაში წამორდგენა, მაგრამ არა, ის ცოცხალია: *„გიორგი რა მდგომარეობაშია, როგორ გრძნობს თავს? აქეთ მამშვიდებს. მეუბნება, რომ ყველაფერი კარგად იქნება და სულაც არ არის სანერვიულო. ნახე როგორ კარგად ვიქნებიო - ასეთი განწყობა აქვს. ჯვარი გვწერია, ისეთი მდგომარეობა არ არის, ქუჩაში ვერ გადიოდეს და იწვეს. ჩვეულებრივად არის, მაგრამ თავი უნდა დავიზღვიოთ, რომ სადმე კერა არ იყოს. ეს იყო მოულოდნელი, უეცარი გამოვლენა. ერთი თვის განმავლობაში ჯერ ერთი რაღაც ასტკივდა, მერე მეორე. შემდეგ მუწუკივით რაღაც გამოუვიდა, ვიარეთ ექიმებში, ექოსკოპიური კვლევა ჩავუტარეთ. ყველამ ერთხმად თქვა, რომ ოპერაცია იყო საჭირო. 3-4 დღეში გადაწყდა ეს. გიორგი ახლა სახლში გადის მკურნალობას? გიორგი ახლა უკვე სახლშია. არანაირი მკურნალობა არ უტარდება. იმედს ვიტოვებ, ყველაფერი კარგად იქნება. ამით ვიმშვიდებ თავს. საქართველოში ექიმებმა 100 პროცენტით თქვეს, რომ ეს დიაგნოზი აქვს. არ მინდა ეს ამბავი დავიჯერო და ამიტომაც მინდა, გადამოწმდეს. შანსს ვიტოვებ, რომ იქნებ არ ხდება ეს ჩვენს თავს. ამ ქვეყანაზე აღარ ვარ...* (www.facetube.ge).

სოციალურ მედიაში ხშირად შეხვდებით სათაურ-მიმართვას. ნ.ნადარეიშვილი სათაურთა სახეებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ჟურნალისტები მკითხველთან უშუალო კონტაქტის დამყარებას სათაურიდანვე ცდილობენ. ამ მიზნით ისინი მიმართვის ფორმას იყენებენ. ეს შეიძლება იყოს მოწოდება, ბრძანება, აკრძალვა, ანდა მშვიდი ტონის თხრობითი წინადადება, რომელიც მკითხველის საუბარში ჩათრევას ისახავს მზინად“ (ნადარეიშვილი, 1990:60). ამ ტიპის დამაინტრიგებელი სათაური ასე ჟღერს: **„ეს ახლახანს უნდა ნახოთ: მან ხახვის ნაჭერი ხელზე დაიდო და ის, რაც რამდენიმე წუთში მოხდა, ნამდვილი სასწაულია!“** - ამ სათაურის წამკითხავს სასწაულის თუ არა, რაღაც ახლის აღმოჩენის მოლოდინი მაინც უნდა გაუმართლდეს. მკითხველი ელის ერთი ქალბატონის ან სულაც მამაკაცის ისტორიას, რომელმაც დამწვარ ხელზე ხახვის ნაჭერი დაიდო და, აი, სასწაულიც! იარა გაქრა, მაგრამ სტატიის ჩაკითხვის შემდეგ მკითხველს კიდევ ერთხელ შეხსენებული ხახვის დადებითი თვისებები შერჩება ხელთ, რადგან ჟურნალისტს მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის დაინტრიგება ჰქონდა *ჩაფიქრებული: „ხახვი ძალიან მრავალფეროვანი ინგრედიენტია და ბევრ კერძში იყენებენ, თუმცა, გარდა კერძების უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტისა, სხვადასხვა საოჯახო*

საკითხის მკურნალობისას კარგად მოქმედებს. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ნებისმიერი ჩვენგანი ერთხელ მაინც დამწვარა. ტკივილის შესამცირებლად, დაჭერით ხახვი და დაიდეთ დამწვარზე. ხახვს აქვს ძლიერი სუნი, რომელიც ინახავს მწვავე კანს და ხელს უშლის მწერების კბენას. იმ შემთხვევაში, თუ უკვე ნაკბენი გაქვთ, დაიდეთ ხახვი დაზიანებულ ადგილებზე, რათა შემცირდეს ქავილი" (www.news.factube.ge).

სათაური - მიმართვის ნიმუშია: **„თუ გიყვართ ბადრიჯანი, შეწყვიტეთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ და წაიკითხეთ სტატია!-** *„ის იცავს თქვენი გულის ჯანმრთელობას. ამ ბოსტნეულს აქვს მაღალი შემცველობის ბოჭკოვანი, კალიუმი, ვიტამინი C და B ვიტამინები, რომლებიც ორგანიზმში ხელს უწყობს გულის ჯანმრთელობას. ასევე ის შეიცავს ფლავონოიდებს, რომლებიც ამცირებენ ქრონიკული კარდიოვასკულარული დაავადებების რისკს. ის ამცირებს ჭარბ ცხიმს მუცლის მიდამოში მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოუდგენლად ჩანს, ბადრიჯანი არის ერთ-ერთი საუკეთესო საკვები ჭარბი ცხიმის მოსაშორებლად მუცლის არეში. ბადრიჯანი შესანიშნავი საშუალებაა ჭარბ წონასთან საბრძოლველად. ეს სარგებელი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ის ძლიერდიურეზულია, რომელიც ხელს უწყობს სხეულის გაწმენდას, შლაკების გამოდევნას და კარგი შარდმდენია.იგი ასევე ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციონირებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მეტაბოლიზმის აჩქარებაში. გარდა ამისა, ბუნებრივი ბოჭკოვანი აძლიერებს საჭმლის მონელებას და აჩენს დანაყრების გრძნობას, გადაჭარბებული კალორიების მოხმარების თავიდან ასაცილებლად. ბადრიჯანი ასევე აძლიერებს ძვლებს და კუნთებს, ებრძვის დაბერებას, სითხის შეკავებას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და საჭირო ბოსტნეულია ბოსტნეულთა შორი"* (www.facetube.ge).

ბადრიჯნის მოყვარულები შესაძლოა სტატიას სიამოვნებით გაეცნობიან და სათაურის დამაინტრიგებელი მხარე ყურადღების მიღმა დარჩებათ, მაგრამ აშკარაა, რომ ის ძალიან ხელოვნურია და მკითხველის მოსაზიდადაა გამიზნული.

„სასწრაფოდ! სასიხარულო ინფორმაცია მთელი საქართველოსთვის, რომელიც ახლახანს გავრცელდა" - ფაქტია, რომ სათაური დამაინტრიგებელია. რთულია წინასწარ იმის გამოცნობა, თუ რა ამბავს შევიტყობთ სტატიის

გაცნობის შემდეგ, რადგან ინფორმაცია სასწრაფოა და თანაც სასიხარულო თითოეული ქართველისთვის. არც მეტი არც ნაკლები, აქ საუბარია ამინდის პროგნოზზე: *„საქართველოს ტერიტორიაზე ორ დღეში გამოიდარებს. როგორც ,,ინტერპრესნიუსს" გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში ქარიანი ამინდები ორ დღეში შეწყდება. სააგენტოს პროგნოზით, დედაქალაქში დღეს ისევ ძლიერი ქარი იქნება, რომელიც ხვალ შესუსტდება. ასევე, მომდევნო ორი დღის განმავლობაში მოსალოდნელია თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში ნალექიანი ამინდები, რომელსაც ღამე თან დაერთვის ყინვის გაძლიერება. ამ პერიოდში ნავარაუდევია, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება ცივი ჰაერის მასების გადაადგილება"* (www.facetube.ge). აღსანიშნავია ის, რომ შემდეგ სათაურში მხოლოდ ერთი სიტყვაა შეცვლილი და სასიხარულო ინფორმაციის გვერდით ვხვხდებით სამწუხაროსაც: **„სასწრაფოდ! ძალიან ცუდი ინფორმაცია მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის, რომელიც ახლახანს გავრცელდა"** - ამ შემთხვევაშიც გასაგებია ის თუ რა სურდა ჟურნალისტს. თუ პირველ სათაურში სასიხარულო კარგი ამინდია იყო, ლოგიკურად აქ სამწუხარო ამინდის გაუარესება უნდა იყოს და ასეცაა: *„გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 10, 11, 12, 13, 14 მაისს საქართველოს ცალკეულ რაიონებში წვიმაა მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში წინა დღეებთან შედარებით, 2-3 გრადუსით მოიმატებს და 14–20 გრადუსი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი ტემპერატურა +15, +20 გრადუსის ფარგლებში დაფიქსირდება. თბილისში ღამით შესაძლებელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარი. ჰაერის ტემპერატურა +17, +19 გრადუსია მოსალოდნელი"* (www.facetube.ge).

განვიხილოთ კიდევ ერთი დამაინტრიგებელი სათაური იმავე სახელწოდებით, თუმცა ამჯერად განსხვავებული შინაარსის: **„სასწრაფოდ! ძალიან ცუდი ინფორმაცია, რომელიც ახლახანს გავრცელდა საქართველოს მოსახლეობას..."** - *საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მთავრობას უმოქმედობაში ადანაშაულებს და ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკას უწუნებს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს სუვერენიტეტი საფრთხეშია. საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელში ილაპარაკა.*

ექსპრეზიდენტი ბრიუსელში ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე იმყოფება. ექსპრეზიდენტმა შეხვედრა გამართა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთანაც. „მე გავმართე რამდენიმე შეხვედრა და მივიღე ჩემთვის ძალიან ცუდი ინფორმაცია. საქართველოს მთავრობას ამ დრომდე არ მიუწოდებია ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, თუ რა საფრთხეს უქმნის რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული დოკუმენტი, როგორც აფხაზეთს, ასევე საქართველოს. ეს არის ანექსია და მთავრობა ქმედით ნაბიჯებს არ დგამს," - აცხადებს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი" (www.facetube.ge).

ძალიან საინტერესოა სათაური-მიმართვის შემდეგი მაგალითები, როდესაც ერთ სტატიას აქვს განსხვავებული და ამავდროულად მსგავსი დასათაურება. ასეთი სათაურები დამაინტრიგებელი სახისაა და მისი შინაარსი სიამრთლესაც არ შეესაბამება. ასე მაგალითად: **„მაგდა პაპიძემ სიმართლე გაამხილა, ნახეთ რა მოხდა სინამდვილეში ინფორმაცია, რომელიც ეხლახანს გავრცელდა!"** (XO.FACETUBE.GE). **„მაგდა პაპიძე უდანაშაულო ყოფილა ნახეთ რა დაიმალა პაპიძის საქმეში, შოკისმომგვრელი ახალი დეტალები"** (XO.FACETUBE.GE). წინა სათაურისაგან განსხვავებით შემდეგ სათაურში ინფორმაციამ მეტი დამაინტრიგებლობა შეიძინა, რადგან მას დაემატა სარეკლამო განაცხადის ფორმა, რომ ინფორმაცია, რომელსაც მკითხველი გაეცნობა, ახალია: **„ახალი ინფორმაცია! მაგდა პაპაიძე უდანაშაულო ყოფილა. ნახეთ რა დაიმალა პაპიძის საქმეში - შოკისმომგვრელი ახალი დეტალები", „სასწრაფოდ! მაგდა პაპიძემ სიმართლე გაამხილა, ნახეთ, ვინ აღმოჩნდა ნამდვილი მკვლელი"**(XO.FACETUBE.GE). სათაურის დამაინტრიგებელ ხასიათს ასევე განსზღვრავს ჟურნალისტის შეფასება-კომენტარი, რომ ინფორმაცია არის შოკისმომგვრელი.

დასკვნა

სოციალურ მედიაში აქტიურად გამოიყენება სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურები, რომლებიც ერთი მხრივ, შელახვაა მკითხველის უფლებისა, რომ მიიღოს ჯანსაღი ინფორმაცია და მეორე მხრივ, იმ ადამიანების უფლებებისაც, რომლებსაც ეხებათ სტატია. მოკლედ, ირღვევა ჟურნალისტური ეთიკა, რომელიც ავალდებულებს მას, რომ გაავრცელოს ზუსტი ინფორმაცია.

დამაინტრიგებელ და სენსაციურ სათაურთა უმეტეს ნაწილს შეადგენს რესპონდენტის სიტყვა, რომელიც კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი და წაკითხვის შემდეგ სულ სხვა შინაარსს აწვდის მკითხველს, მაგალითად: „პუტინს ვთხოვთ იმის დაბრუნებას, რაც არ წაურთმევია“.

არის ისეთი სათაურებიც, სადაც პირდაპირ მოწოდებაა მკითხველის დასაინტერესებლად, ეს მაშინ ხდება, როცა ჟურნალისტი კონტაქტის დამყარებას სათაურიდანვე ცდილობს: „ეს ახლახანს უნდა ნახოთ: მან ხახვის ნაჭერი ხელზე დაიდო და ის, რაც რამდენიმე წუთში მოხდა, ნამდვილი სასწაულია!“ „ნახეთ, როგორ მიულოცა დაბადების დღე ნიკა გვარამიამ მარინა ბერიძეს“.

მეტი დამაინტრიგებლობისათვის ჟურნალისტი ხშირად მიმართავს კითხვის შემცველ სათაურებსაც: „ნარკოპოლიტიკის ნაკურთხი ცვლილება?“ „რატომ დასვა ორთვენახევრის შვილი დიეტაზე თამო ვაშალომიძემ?“.

სენსაციურ და დამაინტრიგებელ სათაურთა ინტენსიურობა სოციალურ ქსელებში მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის მოგვარების თვალსაზრისით ბევრი რამ არის გასაკეთებელი; პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, შექმნას მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს სოციალურ მედიას, გააკონტროლებს მსგავს გადაცდომებს, რათა აღმოიფხვრას ის პრობლემა, რომელსაც საზოგადოების დეზინფორმირება ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **ბარბაქაძე ც.,** „სათაურის სემიოტიკა“ , სემიოტიკა 2012 №11. თბილისი;
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library (არ მოიძებნა)
3. **კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ.,** „ჟურნალისტიკის ელემენტები“ მთარგმნელები: ნოდარ მანჩხაშვილი, ბიძინა მაყაშვილი, გამომცემლობა „იმპრესი“, თბ., 2006;
4. **ნადარეიშვილი მ.,** ,,სათაურის მრავალსახეობა ამერიკულ პრესაში“. თსუ თბ., 1990;
5. **ომიაძე ს.,** „ჟურნალისტურ სათაურთა პრაგმატიკა“, სემიოტიკა 2012 №11. თბილისი; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library
6. **სანიკიძე ი.,** „ჟურნალისტიკის თეორიის ფორმობრივი და შინაარსობრივი საფუძვლები“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2015;
7. **ტყებუჩავა დ.,** პუბლიცისტური შეფასების ვერბალიზაციის ზოგიერთი სტილური თავისებურება თანამედროვე მედიაში, ჟურნალისტური ძიებანი IV, თბ.2003;
8. **ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., „სტილისტიკა“ გამომცემლობა „ივერიონი“ თბ. 2014;**
9. european southern observatory (ESO), „როგორ გამოიყურება გიგანტური „კოსმოსური მედუზა“, გამოქვეყნებულია 2017.08.19, მოძიებულია მარტი 2018 წელი, (http://www.newposts.ge/?l=G&id=148883-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98,%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%90);
10. თბილისელები, „არ დაალევინოთ სხვას თქვენი მონასვამი წყალი, თორემ თქვენს ფიქრებს გაიგებს", გამოქვეყნებულია 16.05.2018, მოძიებულია მაისი 2018 წელი ,(https://digest.pia.ge/post/203402--ar-daalevinot-sxvas-tqveni-monasvami-wyali-torem-tqvens-fiqrebs-gaigebs);
11. თაიმერი - timer.ge „სტამბოლში მეტროს ესკალატორმა მამაკაცი ჩაყლაპა“, გამოქვეყნებულია28.03. 2018, მოძიებულია აპრილი 2019 წელი (https://www.timer.ge/stambolshi-metros-eskalatorma-adamiani-chakhlapa-video);
12. ქართული აზრი, „დაუჯერებელი ამბავია“ გამოქვეყნებულია 31.03.2018, მოძიებულია მარტი 2018 წელი, (http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=178&id=20371).;
13. Time news ge, „სასწრაფოა! ინფორმაცია, რომელიც ახლახანს გავრცელდა და მოხდა მახათას მთაზე, ხალხი გაოგნებულია! გააზიარეთ ყველამ!“, გამოქვეყნებულია 22.08.2017 , მოძიებულია მარტი 2018 წელი, (https://timenews.ge/324--.html);

14. ჯიმშერ რეხვიაშვილი, „ნარკოპოლიტიკის ნაკურთხი ცვლილება?“, გამოქვეყნებულია 08.01.2018, მოძიებულია აპრილი 2018 წელი, (https://www.radiotavisupleba.ge/a/narkopolitika-sashobao-epistoleshi/28962528.html);

15. რეიტინგი, „როგორ ქორწილს გეგმავენ კახი კალაძე და ანუკი არეშიძე“, გამოქვეყნებულია 06.03.2018, მოძიებულია მაისი 2018 წელი, (https://reitingi.ambebi.ge/top-news/14065-rogor-qortsils-gegmaven-kakha-kaladze-da-anuka-areshidze.html);

16. www.news.factube.ge , „ეს ახლახანს უნდა ნახოთ: მან ხახვის ნაჭერი ხელზე დაიდო და ის, რაც რამდნეიმე წუთში მოხდა, ნამდვილი სასწაულია!„ , მოძიებულია აპრილი 2018 წელი, (https://facetube.ge/rchevebi/1472--.html) ;

17. გვანცა1234 , „„თუ გიყვართ ბადრიჯანი, შეწყვიტეთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ და წაიკითხეთ სტატია!- „ , გამოქვეყნებულია 05.05.2017, მოძიებულია აპრილი 2018 წელი, (http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/85215-%E1%83%97%E1%83%A3-%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%93%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%A2/121/) ;

18. www. time.news.ge , „სასწრაფოდ! სასიხარულო ინფორმაცია მთელი საქართველოსთვის რომელიც ახლახანს გავრცელდა“ , გამოქვეყნებულია 21.08.2017, მოძიებულია აპრილი 2018 წელი, (https://timenews.ge/314--.html);

19. geopost.ge , “სასწრაფოდ! ძალიან ცუდი ინფორმაცია მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის რომელიც ახლახანს გავრცელდა, გაავრცელეთ” , მოძიებულია აპრილი 2018 წელი, (http://geoposts.ge/society/1766--.html);

Bolkvadze Lia

Sensational and Intriguing Headlines in Social Network

Abstract

Pragmatics of the titles often goes beyond the frames. This trend is especially apparent in the social media and yellow press. The aim of the work is to analyze how the media texts attract the readers, which show us how the false information can be spread in the society because of journalists' subjective interests are overviewed in the work. **What is more, this linguistic problem is at odds with the ethic norms because human rights are violated.**

Key words: Social media, Intriguing, Sensational headlines, Ethics, Misinformation.

ახალგაზრდების მეტყველების ენობრივი საშუალებები

ლიკა რომანაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, IV კურსი
ელ. ფოსტა: lika.romanadze.96@mail.ru
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა ფარტენაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომის კვლევის ობიექტია ახალგაზრდების კომუნიკაციის ენობრივი საშუალებებისა და მათი თავისებურებების ანალიზი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდებისთვის ტიპურია ქარაგმებით საუბარი, ახალი სიტყვები და სიტყვათა ახალი მნიშვნელობების შექმნა. ენობრივი საშუალებების ერთ-ერთ თვისებად დასახელდა საუბრისას ნაწილაკების ხშირი გამოყენება. ნიშანდობლივია ლექსიკური ჰიპერბოლისა და ჰიპერბოლური წინადადებების ხშირი გამოყენება. საუბრის წარმართვის საშუალებებია: სხვისი ნათქვამის გადმოცემა, ხმის ცვლა, საუბრის სტილის ცვლა, სიტყვის გაწყვეტინება, ხმის ან საუბრის სტილის იმიტაცია და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, ლექსიკა, საიდუმლო ენა, ინოვაცია.

შესავალი

ნაშრომის კვლევის ობიექტია ახალგაზრდების კომუნიკაციის ენობრივი საშუალებებისა და მათი თავისებურებების ანალიზი. კერძოდ, ახალგაზრდების ვერბალური და არავერბალური ენის სოციოლინგვისტიკური ასპექტების ინტერპრეტაცია. ახალგაზრდებს ახასიათებს თავისებური საუბრის სტილი, საკომუნიკაციო სტრატეგიები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციფიკური პროცესი.

ლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველება ვარიანტულობის სხვაობაა, თავისებური ენობრივი სტილია. აქ გარე ენობრივი ფაქტორები, ასაკი და

სქესი, ზემოქმედებას ახდენს ენაზე და ქმნის ენობრივ ნაირსახეობას (კიკვიძე, 1999: 68).

გოგონებისა და ვაჟების დისკურსის სოციოლინგვისტიკურ ასპექტებში იგულისხმება მოსაუბრის მიერ ენის ცოდნა, გამოყენება და აღქმა (ლადარია, 2002: 34).

გარეენობრივი პარამეტრების ურთიერთკვეთა განსხვავებულად აისახება გოგონებისა და ვაჟების ენაში (წერეთელი, 2004: 19).

კვლევის მიზანია: 1) ვაჩვენოთ ახალგაზრდების მეტყველების ნაირსახეობა; 2) დავადგინოთ და ემპირიულად დავადასტუროთ ახალგაზრდების დისკურსის ენობრივი საშუალებები, სასაუბრო თემები; 3) ვაჩვენოთ ახალგაზრდების ენობრივი საშუალებების არსებობის ფაქტი...

ახალგაზრდების მეტყველებას ენათმეცნიერთა უმეტესობა განიხილავს, როგორც სპეციფიკურ ფენომენს, დამოკიდებულს სოციალურ კონტექსტზე. ,,თუ ახალგაზრდულ ასაკს ინდივიდის განვითარებაში სპეციფიკურ გარდამავალ ფაზად ჩავთვლით, ახალგაზრდების მეტყველება ქმნის დიალექტისა და სოციოლექტის ვარიანტულობას“ (მახათაძე, 2005: 35).

სოციოლინგვისტურად ახალგაზრდობა წარმოადგენს ენობრივი სოციალიზაციისა და ენობრივი იდენტიფიკაციის ფაზას, როცა ხდება საზოგადოების სტრუქტურაში თავის დამკვიდრების პროცესი. ,,ახალგაზრდების სოციალიზაციის და ენობრივი იდენტიფიკაციის პროცესი დამოკიდებულია სოციალურ ინსტიტუციებზე, ესენია: 1) ოჯახი, ბავშვის პირველი სოციალური აგენტი, თავისი ენობრივი და სოციალური მონაცემებით; 2) სკოლა, სოციალიზაციის მეორე საფეხური, თავისი ენობრივი თუ ქცევის ნორმებით, კულტურული ღირებულებებითა და ინტელექტუალური უნარ-ჩვევებით, რაც ხელს უწყობს მათ მომზადებას შემდგომი როლებისთვის; 3) მასმედია, სოციალიზაციის ერთ-ერთი აგენტი (ტელევიზია, რადიო, ფილმები, კომპიუტერული პროგრამები, ჟურნალ-გაზეთები), რაც დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდების სასაუბრო ენაზე“ (წერეთელი, 2004: 24).

ახალგაზრდები ცდილობენ თავიანთი ჯგუფისთვის მისაღები სემანტიკური და გრამატიკული საშუალებებით შექმნან განსაკუთრებული ენა, ნორმირებული ენის ის ვარიანტული ფორმა, რომელიც სოციოლინგვისტური კვლევის საგანია. მასში შედის:

- განსაკუთრებული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ძირითად ინსტიტუციებზეა ორიენტირებული;
- განსაკუთრებული სტილისტური ხერხები;
- საიდუმლო ენა, როგორც კონტრასტული ენა;
- სიტყვათა შემოკლებანი;
- თავისებური მისალმება და მიმართვის ფორმები;
- სხარტი გამოთქმები და სტერეოტიპული ფორმულები;
- ინოვაციები, ახალი სიტყვები, ახალი მნიშვნელობები;
- ანგლიზმებისა და სხვა ენობრივი საშუალებების დიდი რაოდენობით გამოყენება...

თანამედროვე ლინგვისტიკისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ენისა და მისი შინაგანი ბუნების შესწავლა, არამედ ის, ,,თუ როგორ გამოიყენება კონკრეტული ენა ამ ენაზე მეტყველთა მიერ, ანუ როგორ ფუნქციონირებს იგი“ (ლადარია, 2002: 5–6).

ახალგაზრდების ენის ლინგვისტიკური კვლევისას საინტერესოა დაკვირვება იმაზე, თუ რა ახდენს გავლენას ახალგაზრდების მეტყველების თავისებურებაზე. ახალგაზრდები ენას იყენებენ არა პასიურად, არამედ თავად არიან ენის შემოქმედნი. ახალგაზრდების, როგორც ინტერნეტის ხშირი გამომყენებლებისა და მედიის ზეგავლენით სამწერლობო ენის ახალი ფორმების შექმნელები, იყენებენ თავისებურ სიტყვაწარმოებას, გრაფიკულ საშუალებებს, ემოციის გამომხატველ სიმბოლოებს და ა. შ.

ჩვენ კვლევის მიზნად დავისახეთ ახალგაზრდების მეტყველების ენობრივი საშუალებების გამოვლენა.

თავი I. ახალგაზრდების მეტყველების ნაირსახეობანი

ახალგაზრდების ენობრივი სტილი სტანდარტულ ენაზე დაყრდნობით იქმნება. ახალგაზრდების საუბარში ვხვდებით სტანდარტული ენისაგან დაშორების ტენდენციას. გთავაზობთ ამონარიდს ჩვენ მიერ ჩაწერილი საუბრებიდან:

ახალგაზრდა ადამიანის საუბარი	სავარაუდო მნიშვნელობა
ახლა ვინმეს რო მაგის იმედი ექნება, რო ის რამე ჰავაის კუნძულებზე რამეს იზამს, ცხოვრების გაუმჯობესება და იგი, კაროჩე, იგი უნდა გადააყენო და გადააყუდო, სამშობლოს მოღალატესავით ვაფშე სიცხეში უნდა დააყენო და ბუჩქი არ დაანახო და ამას კიდე უნდა აეხეს მანდატი.	ეს ადამიანი (დეპუტატობის კანდიდატი) ვერ შეძლებს ხალხის სოციალურ უზრუნველყოფას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. თუ ვინმეს მისი სჯერა ის უნდა დასაჯო ისე, როგორც სამშობლოს მოღალატე. დეპუტატის კანდიდატურა უნდა მოიხსნას.

ბიჭი საუბრობს დეპუტატობის კანდიდატზე ფრაზას: „ჰავაის კუნძულებს იზამს“. ადამიანებს, ვისაც დეპუტატის სჯერათ, იგი სამშობლოს მოღალატედ თვლის და უნდა, რომ ისინი დაისაჯონ. სიტყვა „დასჯას“ იგი გამოხატავს შემდეგნაირად: გადააყუდო, გადააყენო, სიცხეში დააყენო და ბუჩქი არ დაანახო.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდების მეტყველება ენობრივად საკმაოდ თავისებურია და შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, წარმოვადგინოთ ის ენობრივი საშუალებები, რომლებსაც იყენებენ ახალგაზრდები საუბრისას.

§1. ქარაგმები და საიდუმლო ენა. მოზარდებში, განსაკუთრებით ადრეული ასაკის ახალგაზრდებში, ხშირია „საიდუმლო ენის“ გამოყენება. აქ, გარდა შეკვეცილი სიტყვებისა, ძირითადი სახეებია: 1) სიტყვაში ყოველი მარცვლის შემდეგ გარკვეული ასოს ჩამატება; 2) სიტყვის უკუღმა წარმოთქმა. არსებობს მოსაზრება, რომ გოგონები უპირატესობას პირველი სახის „საიდუმლო ენას“ ანიჭებენ, ბიჭები-მეორეს (ქურდაძე, 2012: 67).

ჩვენს ახალგაზრდებში დასახელებული „საიდუმლო ენების“ ნიმუშები არ მოიძებნება, მაგრამ მათთვის ტიპურია ქარაგმების - გადატანითი, გადაკრული სიტყვების - დიდი რაოდენობით გამოყენება, რაც მათ მეტყველებას გასაიდუმლოებულს ხდის. ქარაგმა უფრო ხშირად გოგონების საუბრებში გვხვდება, თუმცა ბიჭებიც სიამოვნებით იყენებენ. განსხვავდება ქარაგმის გამოყენების ფუნქციები. გოგონები მისი დახმარებით თავს არიდებენ პირდაპირ საუბარს. ბიჭებს ქარაგმა ირონიულ საუბარში გადაჰყავთ.

§2. ნაწილაკები და კლიშეები. ახალგაზრდები ხშირად იყენებენ სტანდარტული ენის დისკურსის ნაწილაკებს, მაგ., „ოხ, ღმერთო ჩემო“, „ვაიმე დედა“, „აუ, ჩემი“, „ფუ, შენი“ და ა. შ. მათი მეტყველება ასევე მდიდარია დისკურსული კლიშეებით. მაგალითად, ჰიპერბოლა ფრაზების სახით. თანაკლასელს, რომ ძალიან გრძელი საყურე აქვს, გოგონა აქილიკებს: „ამის დაკიდებისთვის ტარების მოწმობაა საჭირო“. მსგავსი გამოთქმები არა მხოლოდ პიროვნების, საგნისა თუ მოვლენის დისკრედიტაციას ემსახურება, არამედ იუმორის გამოყენებასაც აფიქსირებს, რაც გოგონების შემოქმედებით უნარზე მიუთითებს. ჰიპერბოლური წინადადებები ბიჭებთან უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებთან, მაგრამ, როცა საქმე შემოქმედებით, კრეატიულ საუბარს ეხება, გოგონები ჯობნიან ბიჭებს, მაგალითად:

(გოგონა - ა’ და ვაჟი - ბ')

1. ბ: გცხავს?
2. ა: არ მკითხო
3. ვიხჩობი
4. სუნთქვა დამავიწყდა
5. ბ: სვანი ხარ,
6. სიცხე ვერ მოგერევა
7. ა: ადვილად წამეკიდება ცეცხლი, მე ხო ხის ვარ
8. ბ: შენ ისეთი სწრაფი სიარული იცი
9. რო მზე ვერ მოასწრებს ცეცხლის დანთებას
10. ა: კი
11. ფეხის გულები მეწვის
12. თითქმის არ ვადებ მიწას
13. ბ: ხო.
14. წეღან ისე ჩამიქროლე, კინაღამ გავცივდი
15. ა: კინაღამ არ ითვლება

თან ისე გაგიღიმე, პალტო ჩაგაცვი

16. ბ: ააა...თურმე რატო ვეღარ ვგრძნობ მზის წვას
17. ა: მე უფრო დაგწვი

გოგონა და ბიჭი თითქოს ჰიპერბოლური წინადადებებით თამაშობენ. გოგონას ისე ცხელა, რომ სუნთქვა დაავიწყდა (სტ. 4) იგი ისე სწრაფად დადის,

მზე ვერ ასწრებს ცეცხლი წაუკიდოს (სტ. 8-9), ფეხის გულებს არ ადებს მიწაზე (სტ. 12), ისე ჩაუქროლა ბიჭს კინაღამ გააცივა (სტ. 14), გაციებას ბიჭი იმით გადაურჩა, რომ გოგონამ გაუღიმა, „პალტო ჩააცვა“ ანუ გაათბო (სტ.15)...

§3. ჟარგონი. ჟარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი მეტყველებაა. მისი მიზანია შექმნას მეტყველების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც გასაგები იქნება ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისთვის და გაუგებარი - საზოგადოების სხვა წევრებისთვის. იგი განსხვავდება საერთო სალაპარაკო ენისაგან სპეციფიკური ლექსიკითა და ფრაზეოლოგიზმებით, ექსპრესიული ნიშნებითა და გამოყენების განსაკუთრებული სფეროთი. ჟარგონს არ გააჩნია საკუთარი ფონეტიკური, მორფოლოგიური და გრამატიკული სისტემა. ქართული ჟარგონული ლექსიკა სხვადასხვა ფენისგან შედგება. მასში გამოიყენებს, როგორც საკუთრივ ქართული სიტყვები, ასევე ნასესხები ლექსიკური ერთეულები (ქურდაძე, 2009: 98). ქართულ ჟარგონში მრავლად გვხვდება რუსული სოციუმიდან მომდინარე, როგორც რუსული, ასევე ეტიმოლოგიურად არარუსული ჟარგონული ლექსიკური ერთეულები. ზოგი ძალზე გამჭირვალეა და ერთი შეხედვით, ბარბარიზმებს ჰგავს, თუმცა ხმარების სპეციფიკისა და გავრცელების არეალის მიხედვით ჟარგონს მიეკუთვნება. გთავაზობთ ხელთ არსებული ემპირიული მასალიდან ამოკრებილ მაგალითებს:

- გრელანდიის გაკეთება - ვინმეს ისე სცემო, რომ ფეხზე ვერ ადგეს;
- ზღარბის მოსაქმება - განერიდო სიტუაციას;
- ტაფის დარტყმა - აზრზე მოსვლა;
- ოფლიანი საჭმელი - ცხელი საჭმელი;
- დედას ბუშტი - მსუქანი ბავშვი;
- პონტის აგდება - კარგი სიტუაციის შექმნა;
- პონტის გამაზვა - ვერ მოახერხო კარგ სიტუაციაში მოხვედრა;
- ზმანზე დგომა - თანამედროვედ, მოდურად ჩაცმა;
- მოგლეჯილი ბუჩქი - ცუდი ვარცხნილობა;
- ქვირითის დაყრა - გალახვა, პრობლემა შეუქმნა ვინმეს;
- სირთა ბელადი - უვარგისი ადამიანი, ყველაზე ცუდი;
- თვალები დახევა - მოწონება;
- ბრტყელი აზრი - ცუდი აზრი;

- ატაკო ვინმეს - ხელი გაარტყა;
- ბილაინზე შეერთებული - მახინჯი;
- ძირს ხოხვა - სიცილი და ა.შ.

ახალგაზრდების მეტყველება მდიდარია ხატოვანი გამოთქმებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნორმატიული, ლექსიკონებში დაფიქსირებული მნიშვნელობები. ახალგაზრდული მეტაფორებია:

- თავი აქვს ბოინის ძაღლივით;
- თავი აქვს ადიგენის კარტოფილივით;
- ზის მიტოვებული კუნძივით;
- არის ნაწუწნი კანფეტივით;
- არის ანატომიის ჩონჩხივით...

მოზარდების მეტყველებაში ჟარგონის გამოყენებას მოდურობად თვლიან. ჩვენი მონაცემები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ჟარგონის გამოყენების სიხშირე გოგონებსა და ვაჟებში თითქმის ერთნაირია, განსხვავება გვხვდება სიტყვათა არჩევანში. ახალგაზრდების ჟარგონული სიტყვების გამოყენება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ჟარგონი	მნიშვნელობა	გოგო (იშვიათად ☒; ხშირად ☑)	ბიჭი (იშვიათად ☒; ხშირად ☑)
გადაკეტვა	ვეღარ იაზროვნო	☑	☑
ბოდვა	ოცნება	☑	☒
გაჭედვა	ვერ გაიგო, ან ვერ გააგებინო ვინმეს რამე	☑	☒
დარხევა	ცუდადაა საქმე	☒	☑
იჟმოტა	იწუწკა	☑	☑
გამაზვა	ხელიდან გაშვება	☒	☑
დაგრუზვა	დათრგუნვა	☑	☑
ბაზარი	ლაპარაკი	☒	☑
ასწორებს	სასიამოვნოა	☑	☑
დაბოლება	მოტყუება	☒	☑

ტეხავს	ცუდია, უსიამოვნო	☑	☑
საკაიფოა	კარგია	☑	☑
გახურება	ჭირვეულობა	☒	☑
პონტი	სიტუაცია	☑	☑
წამოყენება	აზრზე მოყვანა	☑	☒
გასქურვა	წასვლა	☑	☑
ბონძღი	ცუდი გარეგნობის გოგო	☑	☒
ძღინკი	მეორადი მოხმარების ნივთი	☑	☒
ტასაობა	სიარული, სეირნობს	☑	☒

თვალსაჩინოა, რომ ჟარგონის გამოყენების სიხშირით გოგონები ბიჭებს უტოლდებიან. ,,ქალთა მეტყველების სტერეოტიპული ნიშანი - მეტი ენობრივი ვარიაციების გამოყენება - გოგონებში მკაფიოდ ჩანს. ისინი ყველანაირად ცდილობენ გაკვეთილზე იმეტყველონ სწორად, მათი მეტყველება ოჯახშიც ახლოა ენობრივ ნორმებთან. მეგობრებთან ურთიერთობისას ისინი ინტენსიურად იყენებენ ჟარგონს, რაც ჯგუფთან კოოპერაციული მიმართების და მოდურობის ნიშანია (წერეთელი, 2004: 59). გოგონები ფლობენ სიტუაციით განპირობებული ენობრივი ვარიანტების მდიდარ მარაგს, რასაც ვერ ვიტყვით ბიჭებზე. მათი მეტყველება სტერეოტიპულია და სიტუაციის მიხედვით ნაკლებად ცვლადი.

§4. ელიფსები. ახალგაზრდების საუბარი გამოირჩევა ელიფსების ხშირი გამოყენებით. მათთვის დამახასიათებელია „ფორმულებით კომუნიკაცია“, რისთვისაც ძირითადად იყენებენ შემდეგ ელიფსს:

- კითხვა-პასუხის მეორე ნაწილის შეკვეცა, აქ შედის მოსმენისა და პასუხის გაცემის სიგნალები;
- ექსპრესიული შეძახილი, წამოძახილი...

ელიფსი სინტაქსური შეკვეცაა. სინტაქსურად რედუცირებულ საუბრის სტილს განაპირობებს ისაუბრონ სწრაფად, იყვნენ ლაკონური, სხარტი (შენგელაია, 2004: 112).

მოკლე წინადადებების გამოყენება ბიჭებისთვის უფრო დამახასიათებელია, შესაბამისად ელიფსები მათ მეტყველებაში მეტია. სამაგიეროდ გოგონებთან უფრო ხშირია შეკვეცილი სიტყვები, რითაც ისინი თავიანთ საუბარს უფრო გაუგებარს, გასაიდუმლოებულს ხდიან. მაგალითად: გკ. (გაკოცე), მიყ. (მიყვარხარ), სიხ. (სიხარულო) და ა. შ.

რედუცირებული ექსპრესიული ენობრივი საშუალებებიდან გამოიყოფა:

1) ექსპრესიულობის გამომხატველი ნაწილაკები: ვოვ, აუ, ეუფ, ვაუ, ოხ, ახ სეგმენტაციის - დაყოფის ნაწილაკები: ესე იგი, ხოდა, ნუ, რო, ხოდა მოხვდა სიფათში. კითხვა-პასუხის ნაწილაკები: ხო?, არა?, შენც წამოხვალ, ხო?.

2) მოდალობის გამომხატველი სიტყვები: მართლა, ზუსტად, იმენნა.

ბიჭები სიხარულს გამოხატავენ შემდეგნაირად: მაგარიაააა, სააღოლ, გაასწორა, ااااა.

გოგონები - ვااا, ვა რა მაგარიااااა, ვოოოვ, გავჭედეეე, წავიქეცი, ვხოხაავ ...

გაბრაზება ვაჟებში გამოიხატება ასე: ფუ შენი, აუ მაგისი, აუ ჩემი, შე გიჟო...

გოგონებში-ფუ ჩემი, ტეხავს, ბოთე, შე უპატრონო...

განცვიფრება ბიჭებთან, მაგალითად: მაგარია, დაიგინე, დაგლიჯა...

გოგონებთან - აუ, არ არსებობს და ა. შ.

§5. ციტირებული სიტყვები და ფრაზები. სხვისი საუბრის გადმოცემას ახლგაზრდები, უფრო გოგონები, იყენებენ პიროვნების სტილიზაციისთვის. ,,სხვისი საუბრის გადმოცემა მნიშვნელოვანი ეფექტური რესურსია დისკურსის მსვლელობის დროს, მათ თხრობაში: „დრამატიზმი და დინამიკა“ შეაქვს (ლებანიძე, 2004: 153). მოზარდები იყენებენ სტილიზაციის სხვადასხვა მეთოდს, ერთ-ერთია სხვისი საუბრის გადმოცემა მარკირებული ხმით. იგი ეფექტური საშუალებაა რომ მსმენელი მიხვდეს, თუ ვის სტილიზაციას ახდენს აქტუალური მოსაუბრე. არა მხოლოდ ნათქვამი გადმოიცემა პირდაპირ, არამედ იქმნება წარმოდგენა იმ პიროვნებაზე, ვისი სიტყვების ციტირებაც ხდება. მაგალითად ახდენენ პატარა ბავშვის ხმის იმიტაციას, რათა ის

პიროვნება, ვის საუბარსაც გადმოსცემენ, წარმოაჩინონ როგორც სულელი და მიამიტი, ან აჩვენონ პიროვნება, რომელიც დედის კალთასაა ამოფარებული.

მოზარდები სხვისი ან საკუთარი სიტყვების ციტირებისას იყენებენ ციტირების მარკებს: და, ხოდა, ხო კიდე, და მერე, ასე, ნუ. მაგალითად: ხოდა ასე თქვა, მე თანამედროვე ბიჭი ვარო, ხო კიდე, როგორი ბიჭები მოგწონსო, ნუ, მაგნაირი ჩემს პონტში არავინ არა-თქო.

დასკვნა

ნაშრომში გამოყენებულ თეორიულ და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: მოზარდების მეტყველებას ქმნის მათი ენა. ჯგუფის მეტყველების სპეციფიკას განსაზღვრავს მათი კულტურა. იმდენი საკომუნიკაციო სტილი არსებობს რამდენი ჯგუფიც. დადგინდა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები სამყაროს ყოფენ კატეგორიებად, არქმევენ მათ სპეციფიკურ სახელებს, მიაწერენ ნიშან-თვისებებს. მათთვის ტიპურია ქარაგმებით საუბარი, ახალი სიტყვები და სიტყვათა ახალი მნიშვნელობების შექმნა. ენობრივი საშუალებების ერთ-ერთ თვისებად დასახელდა დისკურსის ნაწილაკების ხშირი გამოყენება. ნიშანდობლივია ლექსიკური ჰიპერბოლისა და ჰიპერბოლური წინადადებების ხშირი გამოყენება. საუბრის წარმართვის საშუალებებია: სხვისი ნათქვამის გადმოცემა, ხმის ცვლა, საუბრის სტილის ცვლა, სიტყვის გაწყვეტინება, ხმის ან საუბრის სტილის იმიტაცია.

ორივე სქესის წარმომადგენლებში ხუმრობის პროცენტული მაჩვენებელი ტოლია.

ანალიზის შედეგად სახელდება ზოგადად ახალგაზრდების ასაკობრივად განსაზღვრული არასერიოზული საუბრების შემდეგი მახასიათებლები:

- ელიფსები;
- ჰიპერბოლა-გაზვიადება;
- ირონიული, სახუმარო, გასართობი მოდალობა;
- დიდი რაოდენობით გამაძლიერებელი ენობრივი საშუალებები;
- რეალურ ისტორიაში კომიკური კომპონენტების აღმოჩენა და მათი კომენტარი;
- სიცილი;

- ინტონაციური ცვალებადობა (ჩქარი ტემპი, ხმოვნების გაგრძელება, მაღალი ტონალობა);
- საუბრის სტილის ცვლა;
- ლექსიკური, სინტაქსური გამეორებები;
- განსაკუთრებული სიტყვების, მყარი გამოთქმების გამოყენება.

შეჯამებამ გვიჩვენა, რომ ბიჭებთან შედარებით გოგონების მეტყველება უფრო მრავალფეროვანია. ისინი იყენებენ გრძელ, კომპლექსურ და არასტანდარტულ წინადადებებს, ბიჭები კი - მარტივ, შედარებით მოკლე და სტერეოტიპულ წინადადებებს. მოზარდი გოგონების სიტყვათა მარაგი უფრო მდიდარია და დიფერენცირებულია. გვაქვს შემდეგი სხვაობები: გოგონების ეფექტურობა საუბრის დროს არაპირდაპირია, ბიჭების - პირდაპირი. გოგონები ხშირად იყენებენ კითხვით წინადადებებს, ბიჭები - ბრძანებითს. ორივე სქესთან ხშირია პაუზა, დაფიქრება.

მეტყველების ენობრივი საშუალებების განხილვამ დაადასტურა, რომ თავისი სპეციფიკური ენობრივი და სტილისტიკური საშუალებებით ახალგაზრდების მეტყველება სტანდარტული ენის ვარიაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკვიძე, 1999: - კიკვიძე ზ., თავაზიანობის გამომხატველი საშუალებების სოციოლინგვისტური ასპექტები“, თბილისი.
2. ლადარია, 2002: - ლადარია ნ., „სოციოლინგვისტიკა“, „მეცნიერება“, თბილისი.
3. ლებანიძე, 2004: - ლებანიძე გ., „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.
4. მახათაძე, 2005: - მახათაძე ც., „სოციოგენდერული სტერეოტიპიზაციის ლინგვისტური წინამძღვრები“. სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, №3 თბილისი.
5. ქურდაძე, 2009: - ქურდაძე რ., „ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულ ჟარგონში“, „წახნაგი“, ფოლოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 1, თბილისი.
6. ქურდაძე, 2012: - ქურდაძე რ., „თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

7. შენგელაია, 2004: - შენგელაია ნ., „არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა“, ,,დიოგენე“, თბილისი.

8. წერეთელი, 2004: - წერეთელი, მ., „გენდერული სტერეოტიპების ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძვლების საკითხი“. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 2 (19), თბილისი.

9. წერეთელი, 2006: - წერეთელი, მ., „გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

Romanadze Lika

Linguistic Means of Communication and Their Peculiarities in the Speech of the Georgian Youth

Abstract

Language opportunities in the speech of youth

The goal of the Bachelor's work is to analyse the means of youth. Comumunicative language and their characteristics. Inparticular, to establish youth's verbal and nonverbal language's sociallinguistics aspects and interpretator.

We can say that life's style influence the talking themes. It's typical for them hint talking, creating new words with new meanings. It is characteristic to use lexical hyporbala and hyperbolic proposal frequently.

The means of conducting conversation are to convey other's saying, changing voice, changing the speaking style, interrupting conversation and voice's or talking style's imitation.

Key Words: communication, vocabulary, secret language, innovation.

ბიოლოგიური მეტაფორები ეკონომიკურ დისკურსში

მარიამ ნაკაიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგია, III კურსი
ელ.ფოსტა: mariamnakaidze@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა შავლაძე,
ევროპეისტიკის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს ეკონომიკური საგაზეთო სტატიების გაცნობასა და მათში ბიოლოგიურ მეტაფორებზე დაკვირვებას. ეკონომიკური ჟურნალ-გაზეთები მაქსიმალურად ცდილობენ მკითხველის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ სფეროსთვის დამახასიათებელი ტერ-მინები ბევრი მკითხველისთვის გაუგებარია, ჟურნალისტები ეკონომიკურ ტექსტებში ისეთ ლექსიკას გამოიყენებენ, რომელიც ადვილად გასაგებს გახ-დის ეკონომიკურ საკითხებს.

ეკონომისტები და ფინანსისტები ხშირად მიმართავენ ბიოლოგიურ მეტაფორებს ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლიდან, დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ბიზნესი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც იბადება, იზრ-დება და კვდება/ქრება. ბიოლოგიისა და ეკონომიკის კავშირი, შემეცნებითი და ემოციური ფუნქციის ფონზე შეიძლება იყოს, როგორც აღწერილობითი, ისე ფუნქციური.

ნაშრომი ეყრდნობა ლაკოფისა და ჯონსონის თეორიას. კვლევამ გვიჩ-ვენა, რომ ჟურნალისტები ეკონომიკურ სტატიებში ხშირად იყენებენ გაცვე-თილ ბიოლოგიურ მეტაფორებს, მაგრამ ასევე ხშირია შემთხვევები გაუცვე-თელი მეტაფორების გამოყენებისა, რომლებიც მხატვრულ ეფექტს სძენს ტექსტს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მეტაფორას მულტიდისციპლინარული გავლენა აქვს და ის ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში გვხვდება: მედი-

ცინაში, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში, სამართალში, პოლიტიკურ მეცნიერებათა თეორიაში, ფსიქოლოგიაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ბიზნესსა და თვით პოეზიაშიც კი.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ბიოლოგია, მეტაფორა, ეკონომიკა, სტატია.

შესავალი

ნაშრომის მიზანია ბიოლოგიური მეტაფორების შესწავლა და მათ გამოყენების სიხშირეზე დაკვირვება ეკონომიკურ საგაზეთო ტექსტებში. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვიზიარებთ და ვეყრდნობით ლაკოფისა და ჯონსონის თეორიას (1980), რომლებიც აღიარებენ, რომ მეტაფორა მხოლოდ პოეტური ენის საკუთრება და ე.წ. ,,ორნამენტი" არ არის, რომ დღეს მეტაფორები შეიძლება ყველგან შეგვხვდეს, ფინანსურ-ეკონომიური სფეროს ტექსტებიდან დაწყებული, სამეცნიერო სახის ტექსტებით დამთავრებული. ლაკოფი და ჯონსონი თავიანთ წიგნში „მეტაფორები, რომლითაც ვცხოვრობთ" (1980) მიუთითებენ: „... დღეს უკვე მეტაფორას ყველგან შეხვდებით: მედიცინაში, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში, სამართალში, პოლიტიკურ მეცნიერებათა თეორიაში, ფსიქოლოგიაში, ხელოვნებაში, ბიზნესში და თვით პოეზიაშიც კი. როგორც ციტატიდან ჩანს, თუკი წარსულში მეტაფორის მთავარი დანიშნულება მხატვრული ტექსტების ,,გალამაზება-გამშვენიერება" იყო, თანამედროვე ყოფაში მეტაფორები ნებისმიერ სფეროში შეიძლება შეგვხვდეს და საკმაოდ მრავლადაც. სწორედ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები და თანამედროვე თეორია მეტაფორის შესახებ გვაძლევს საშუალებას შევხედოთ მეტაფორებს სრულიად სხვა კუთხით, ვეძებოთ ისინი ეკონომიკურ თემაზე შექმნილ საგაზეთო სტატიებში.

ძირითადი ნაწილი

ყველამ კარგად ვიცით თუ რას წარმოადგენს მეტაფორა. **მეტაფორა** ტროპის ერთ–ერთი სახეა. ტროპი კი ეწოდება გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთაც მხატვრულ მეტყველებაში ესთეტიკური ფუნქცია გააჩნიათ. მეტაფორა – ბერძნული სიტყვაა და გადატანას ნიშნავს. არისტოტელე, რომელმაც ტერმინი – „მეტაფორა" დაამკვიდრა, წერდა, – „მეტაფორა არის სახელის გადატანა, მისი მნიშვნელობის შეცვლით".

არისტოტელედან მოყოლებული, ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ მეტაფორა ტექსტის მხატვრულობის ძირითადი საზომია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორა „შეიჭრა“ ყველა სფეროში. ამიტომაც დღეს მეტაფორა, მისი ყოვლადმყოფადობის გამო, სამყაროს შეცნობის ერთ-ერთ გზად არის მიჩნეული.

საინტერესოა, როდიდან დაიწყო მეტაფორების გამოჩენა ეკონომიკაში? მეთვრამეტე საუკუნეში, ,,თანამედროვე ეკონომიკის ფუძემდებლად“ აღიარებული ადამ სმიტი ამბობდა, რომ იგი უხილავ ხელს ხედავდა ეკონომიკაში „ the invisible hand of the market manipulates prices so as to efficiently allocate scarce recourses according to consumer preferences and production costs“ (ბოერსი, 1997:45). ეს იყო მეტაფორის გამოყენების პირველი ცდა ეკონომიკაში. 1982 წელს ცნობილმა ეკონომისტმა, ჰენდერსონმა, წიგნში „მეტაფორა და ეკონომიკა“, აქტიურად დაიწყო საუბარი ეკონომიკურ ტექსტებში მეტაფორების გამოყენებაზე. 1988 წელს ბიკიერიმ დაინახა კავშირი ერთი მხრივ, პროდუქციის წარმოებას, ცირკულირებასა და დისტრიბუციას და მეორე მხრივ, სხეულის ნაწილებს შორის. ფულის ცირკულირებას, იგი, ისევე როგორც უილიამ ჰარვი, სისხლის მიმოქცევას ადარებდა. მარშალი კი ის პირველი ეკონომისტია, რომელიც ბიოლოგიურ მეტაფორებს მიმართავდა ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას. ჯერ კიდევ 1890-იან წლებში იგი მიუთითებდა, რომ ბიზნესის განვითარება ცოცხალი ორგანიზმის განვითარებას გავს და იგი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება: ზრდა, განვითარება და ჭკნობა (მარშალი, 1920:56).

როგორც ვხედავთ, ეკონომისტებსა და ლინგვისტებს: მაკკლოსკის (1983), ჰენდერსონს (1982), ბოერს (1997), უკვე კარგა ხანია აქვთ დანახული მეტაფორების უდიდესი როლი ეკონომიკურ ტექსტებში. ფაქტია, რომ მეტაფორები, რომლებიც ეკონომიკურ ტექსტებში გამოიყენებიან, მყარად იკიდებენ ფეხს ადამიანთა აზროვნებაში და ქმნიან ადამიანთა კონცეპტუალური სამყაროს ნაწილს.

ეკონომიკის, როგორც აბსტრაქტული ცნების აღსაწერად ხშირად ვიყენებთ კონცეპტუალურ მეტაფორებს: Economy is a human being (ეკონომიკა ცოცხალი არსებაა); Economy is an organism (ეკონომიკა ორგანიზმია); Economy is a plant (ეკონომიკა მცენარეა); Economy is a machine (ეკონომიკა მანქანაა); Economy is a building (ეკონომიკა შენობაა) და სხვა. მაგრამ ჩვენ ყველა ამ

მეტაფორის შესწავლას როდი ვისახავთ მიზნად. ჩვენ გვაინტერესებს რა კავშირებია დანახული ეკონომიკასა და ცოცხალ ორგანიზმს შორის, რას ემყარება ეს ანალოგია, რა სახის ბიოლოგიური ტერმინების გამოყენება ხდება გადატანითი მნიშვნელობით ეკონომიკურ ტექსტებში.

ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად ეკონომიკა და ბიზნესი ცოცხალ ორგანიზმს არის შედარებული. ცოცხალ ორგანიზმს შვიდი რამ სჭირდება არსებობისთვის: კვება (nutrition), სუნთქვა (respiration), მოძრაობა (movement), ექსკრემენტის გამოყოფა (excretion), ზრდა (growth), გამრავლება (reproduction) და მგრძნობელობა (sensitivity).

წარმოვიდგინოთ, რომ ბიზნესი ცოცხალი ორგანიზმია, მაშინ მასაც ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად სჭირდება **კვება** ზრდისა და განვითარებისთვის. კვებასთან დაკავშირებული ტერმინების მეტაფორულად გამოყენების საუკეთესო მაგალითებია:

- 'Roche' ***digests*** 'Genentech' (= 'Roche' bought 'Genentech') [The Economist, Dec 10th, 2009]
- Merging Brewers: Tough ***to Swallow*** [The Economist, Feb 1st, 2013]
- Cuba's Economy: ***Unapettising*** (= not appealing to investors) [The Economist, Jun 23rd, 2005]
- ***Appetite*** for Latin American Bonds Remains High in January. [The Economist, Jan 23rd, 2014]
- Old Masters' are a ***bread-and-butter*** business, with the occasional dollop of cream… [The Economist, Dec 1st, 2007]
- Pushing profit guidance down a fifth leaves a ***bad taste***. [The Financial Times, Sep 23rd, 2014]

ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის აუცილებელია **სუნთქვა.** სუნთქვასთან დაკავშირებული მეტაფორის მაგალითებიც უხვად დაიძებნა ეკონომიკურ ტექსტებში. ესენია:

- They smoked foreign capital but they did not ***inhale***. [The Economist, Feb 1st, 2014]
- Forests are the lungs of our land', said Franklin Delano Roosevelt. Twenty years ago, the world's ***lungs*** were diseased. [The Economist, Aug 23rd, 2014]

- The huge amount of financial aid it receives has kept the country's press in a state of 'permanent ***artificial respiration***'. [The Guardian, Oct 20th, 2010]
- Further debt write-downs on Greek debt would give Greek industry a little ***oxygen***, perhaps somewhat remediating the acute Greek youth unemployment. [The Economist, Jul 20th, 2013]

მაგალითებში ყურადღებას იქცევს სიტყვები: ინჰალაციის გაკეთება, ფილტვები, ხელოვნური სუნთქვა, ჟანგბადი.

ცოცხალი ორგანიზმი **მოძრაობის** გარეშე წარმოუდგენელია. როცა მოძრაობაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ბიზნესის განვითარებას. მოძრაობის გამომხატველი ზმნები, რომლებიც ეკონომიკური ტექსტების გაცნობის დროს შეგვხვდა შემდეგია: **walking, running, staggering, creeping, dancing, swimming, diving, jumping, strolling, climbing, flying, crawling, dragging, floating, approaching, reaching.** წარმოვადგენთ მაგალითებსაც:

- Malaysia has taken ***the first step towards*** merging three of its biggest financial institutions… [The Financial Times, Oct 9th, 2014]
- Unwilling to ***bow*** to the demands of the holdouts, and consequently unable to keep the restructured bonds current either, Buenos Aires ***threw up its hands*** and gave up on its attempts to pay its creditors under US law. [The Financial Times, Jul 31st, 2014]
- Mr. Abe's is doing the right things but putting pressure on employers to ***raise*** wages is a ***wrong move***. [The Economist, Mar 9th, 2013]

ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს მეტაბოლიზმი. მეტაბოლიზმი იგივეა, რაც **ნივთიერებათა ცვლა** და არის ქიმიური რეაქციების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესების უზრუნველსაყოფად. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის მიღებული საკვების სასიცოცხლო ენერგიად გადაქცევის პროცესი. ცოცხალი ორგანიზმი ღებულობს საკვებს, საკვები სასიცოცხო ენერგიად გადაიქცევა და ბოლოს ხდება მისი გამოყოფა ექსკრემენტის სახით. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში საუბარია ეკონომიკის მატაბოლიზმზე, ოფლისა და ტოქსინების გამოყოფაზე:

- Last December, Prime Minister Shinzo Abe promised to boost the ***metabolism*** of Japan's sluggish economy. [The Financial Times, Oct 3rd, 2013]

- Already, the business community is ***in a cold sweat*** thanks to another law that will facilitate state intervention in the private sector… [The Financial Times, Aug 15th, 2014]

უჯრედის დაყოფა და მისი ზრდა ცოცხალი ორგანიზმის **ზრდის** საწინდარია. ზრდის დროს ცვლილებები განვითარებასთან ასოცირდება. ეკონომიკაში ზრდა უკავშირდება ბიზნეს აქტივობის ზრდას, რაც საბოლოოდ კავშირშია ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებასთან. ზრდის მეტაფორების მაგალითად გამოგვადგება ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები:

- This is a way to ***grow*** as the business remains ***lean***. [The Financial Times, Oct 7th, 2014]
- ***Mature*** economies probably need less in the way of reserves, but it will be a considerable time before today's emergers have sufficient ***maturity***. [The Economist, Jul 23rd, 2010]
- The ***developing*** world offers particularly ***fertile ground*** for these ideas to ***germinate***. [The Financial Times, Aug 27th, 2009]

დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები.

- The European Central Bank is only in its **infancy.** [The Financial Times, Oct 10th, 2014]
- **Mature market** should not be mistaken for a stagnant market.[The Financial Times, Oct 10th, 2014]
- The Korean economy is in great danger of becoming an **aging economy**. [The Financial Times, Dec 5th, 2013]

პირველ მაგალითში ბიოლოგიური ტერმინი **infancy** იმის მაჩვენებელია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი, როგორც ფინანსური ორგანიზაცია ახლად შექმნილია, განვითარების საწყის ეტაპზეა და მას, როგორც ჩვილ ბავშვს ყურადღება და მოფრთხილება სჭირდება. მეორე მაგალითში ყურადღებას იქცევს სიტყვა **Mature,** რომელიც ზრდასრულ ადამიანზე საუბრისას გამოიყენება, თუმცა კონკრეტულ მაგალითში მას ბაზართან მიმართებაში ვხვდებით. აღნიშნული მეტაფორა, რომელიც უფრო ეპითეტის ფორმას ატარებს ვიდრე მეტაფორისას, წარმოაჩენს ბაზრის გაზრდა-გაფართოებას. უკანასკნელ

მაგალითში გამოყენებული სიტყვა **Aging** მიუთითებს ეკონომიკის უკან სვლაზე, მის დაცემაზე. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ფინანსური ორგანიზაციები და ბაზარი აღქმულია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, როგორც სულიერი არსება, რომელიც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პროცესს გადის: ჩვილობა, ზრდასრულობა, სიკვდილი/ გაქრობა.

კვლევის დროს აღმოვაჩინეთ, რომ ეკონომიკაზე და ბაზარზე საუბრისას გამოყენებული იყო ადამიანის სხეულის ორგანოების აღმნიშვნელი სახელებიც, ასე მაგალითად: That failed to calm the market **nerve**. [FT]; **the heart** of global economy; the **backbone** of the economy [FT]. აღნიშნული სამი სიტყვა: nerve, heart, backbone ადამიანის სხეულის ნაწილებია, მაგრამ მეტაფორულად ისინი ეკონომიკის და ბიზნესის სხვადასხვა ასპექტს ასახავს. გამოთქმა: the market nerve ნიშნავს ბაზრის ყველაზე მგრძნობიარე ადგილს, ანუ ბაზარი მგრძნობიარეა გარე სამყაროს მიმართ. მომდევნო მაგალითში გამოყენებული სიტყვა ,,გული" გულისხმობს გლობალური ეკონომიკის ცენტრს, ხოლო უკანასკნელ მაგალითში სიტყვათშეთანხმება ,,ეკონომიკის ხერხემალი" აშკარად ნიშნავს საყრდენ ნაწილს, რაზეც დგას ეკონომიკა.

სიტყვა ,,**რეპროდუქცია**" გამრავლებას ნიშნავს. რეპროდუქციული ფუნქცია ემსახურება ცოცხალი ორგანიზმის მოდგმის გაგრძელებას და შთამომავლობის შენარჩუნებას. ბიზნეს სფეროში ხშირად გაიგონებთ ტერმინებს „Parent and daughter companies", ,,შვილობილი კომპანიები", რაც გამრავლების შესანიშნავი მაგალითებია. გამრავლებასთან დაკავშირებული ტერმინები, რომელთა მეტაფორული გამოყენება ხდება ეკონომიკურ დისკურსში, შემდეგია: ***fertile, fertilize, womb, potency, clone, breed, hatch, incubator, reproduce.***

- When a wave of payday lenders set up in the UK in the late-2000s they were hoping for ***fertile ground***. [The Financial Times, Oct 3rd, 2014]
- The Economist covered Airbnb this August in a story about internet ***"clone"*** companies. [The Economist, Oct 3rd, 2011]
- We Work's buildings serve as more of a club and ***incubator*** for ***fledgling companies*** that may later ***hatch*** into big space grabbers. [The Financial Times, Mar 11th, 2014]

ცოცხალ ორგანიზმს შეგრძნებები გააჩნია. იგი შეიგრძნობს შუქს, სუნს, შეხებას და სხვა. იგი რეაგირებს ნებისმიერი სახის სტიმულზე. ბიზნესიც

რეაგირებს ნებისმიერ გამღიზიანებელზე. ბიზნესი მგრძნობიარეა სახელმწიფოს, მთავრობის, კონკურენტების მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ, ადგილობრივი და უცხო ბაზრის მიმართ, რაც ნათლად არის ასახული ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში.

- As an exporting powerhouse, Germany is highly ***sensitive*** to small changes in foreign demand. [The Financial Times, Oct 12th, 2014]
- House prices in Europe are losing ***touch*** with reality again. [The Economist, Aug 30th, 2014]
- This news has created a little rupture across markets and our ***impulse*** was to reduce duration and exposure to sectors we feel will be most ***impacted*** by liquidity constraints. [The Financial Times, Sep 26th, 2014]

ეკონომიკური ჟურნალ-გაზეთები მაქსიმალურად ცდილობენ მკითხველის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ეკონომიკური ტერმინები ბევრი მკითხველისთვის გაუგებარია, ისინი ცდილობენ ეკონომიკურ ტექსტებში ისეთი ლექსიკის გამოყენებას, რომელიც ადვილად გასაგებს გახდის მთელ რიგ ეკონომიკურ საკითხებს. ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს ზემოთ მოტანილ მოსაზრებას.

- Banks also fear that many customers may opt out of conventional banking and ***migrate*** to what are known as peer-to-peer services – online sites that match them directly with borrowers or lenders. [The Financial Times, Oct 10th, 2014]
- A decade ago, Alibaba‘s founder Jack Ma declared: — eBay may be a ***shark*** in the ocean, but I am a ***crocodile*** in the Yangtze… — [The Financial Times, Sep 18th, 2014]
- Deng Xiaoping said that — it doesn‘t matter if a ***cat*** is black or white, so long as it catches ***mice***. Surprisingly for many, the ***cat*** still catches them. [The Financial Times, Mar 23rd, 2012] ▪ The ***bees*** get busy. In the months before leadership change, the battle over economic reform is heating up. [The Economist, Mar 3rd, 2012]
- Otherwise, the impression remains that illiquid markets, new ways of trading equities and constraints faced by banks and brokers have scared entrepreneurial companies off IPOs. The market is not yet ***roaring***. [The Financial Times, Mar 20th, 2014]
- The popular image of the entrepreneur is of a ***lone wolf***. [The Financial Times, Feb 8th, 2007]

A lone wolf იდიომაა და ნიშნავს ადამიანს, რომელსაც საკუთარი კომპანია აქვს და არ უყვარს სხვებთან სოციალური ურთიერთობა.

წარმოდგენილი მაგალითები ბიოლოგიური მეტაფორების ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებშიც მრავლად ვხვდებით სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, თევზის თუ რეპტილიის სახელს (tiger, wolf, shark, crocodile, bear, watchdog, cat, mice), მათთვის დამახასიათებელ ქცევებს: migrate, roar, purr. ბიზნესი კონკურენციაა და მასში ყოველთვის ჩანს ვინ არის სუსტი და ვინ ძლიერი. სუსტს და ძლიერს შორის განსხვავება ბიზნესში ჩანს fishes and sharks, cat and mice. ძლიერი პოზიციის საჩვენებლად გამოიყენება სხვა ცხოველთა სახელებიც: tiger, crocodile. ბაზართან მიმართებაში, სადაც ხდება მილიარდობით წილის, ბონდის თუ საქონლის ხელიდან ხელში გადასვლა ხდება კიდევ ორი ცხოველის სახელის გამოყენება: დათვები და ხარები. როდესაც ინდექსების დინამიკა უარყოფითია, მაშასადამე, ბაზარი ეცემა და მას „დათვი"-ს *(„დათვები"-ს)* ბაზარს უწოდებენ. როდესაც მოძრაობა აღმავალია, ასეთ სიტუაციას - „ხარი"-ს *(„ხარები"-ს)* ბაზარს უწოდებენ.

გარდა ცხოველთა სახელებისა, ეკონომიკურ დისკურსში ვხვდებით ფლორასთან დაკავშირებულ ლექსემებს: *Root, stem, flowers, leaves, branches, fruit,* მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებულ ლექსემებს: *sow, plough, sprout, weed out, reap, fertile,* რომელთა გამოყენება ბიზნესში მეტაფორულია.

დასკვნა

ეკონომიკა, როგორც აბსტრაქტული ცნება, დღესდღეობით სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა ჩვენი პლანეტის მოსახლეობისათვის. ბაზარი, სადაც ხდება მილიარდობით წილის, ბონდის თუ საქონლის ხელიდან ხელში გადასვლა, უამრავი მეტაფორით შეიძლება აღვწეროთ. წარმოდგენილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ ბიზნესი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც განვითარების ყველა ეტაპს გადის (იბადება, იზრდება, ვითარდება) და ბოლოს ქრება (კვდება). ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ბუნებაში ხდება არაა შემთხვევითი, რომ ბიზნესმა აირეკლოს. ბიზნესი და ბიოლოგია გადაჯაჭვულია ერთმანეთთან მათი თვისებებითა და ურთიერთქმედებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bicchieri, C. (1988) „Should a Scientist Abstain from Metaphor?“ Cambridge: Cambridge University Press.

2. Black, M. (1993) More about metaphor .Cambridge: Cambridge University Press.

3. Kövecses, Z. (2000) Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press.

4. Lakoff, G., (1980) Johnson, M. Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press.

5. Marshall, A. (1920) The Principle of Economics. London: Macmillan and Co., Ltd.

6. McCloskey, (1983) D.N. The Rhetoric of Economics. Economic Literature XXI.

7. Xia Jue, (2009), Economic Metaphors in English Newspapers http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:321193/FULLTEXT01.pdf.

8. Henderson, (1982) W. Metaphor in Economics.

9. Hodgson G.M. “Biological and Physical Metaphors in Economics,” University of Cambridge, https://link.springer.com/chapter/10.1007/978-94-011-0673-3_14?no-access=true.

Nakaidze Mariam

Biological Metaphors in Economic Newspaper Articles

Abstract

The article aims at finding biological metaphors in Economic Discourse. Economic journals and newspapers often tend to attract the widest possible audience. Since economic terms are often vague, the authors often resort to vocabulary and expressions that seem familiar. Understanding economics as an evolutionary system and following the principles of biological evolution the world of business and entire economic discourse have become more comprehensive.

Economists and financial professionals often appeal to biological metaphors in order to exploit the scenario from the living organism domain and its life cycle from birth to death. Business is seen as a living organism that appears, grows and disappears/dies. Analogies between biological and economic systems, in the light of cognitive and emotional functioning, may be both descriptive and functional.

The researcher bases the research on Lakoff and Johnson's theory. The analysis revealed that mainly trite biological metaphors are used by journalists in economic articles, but there are some cases of using genuine metaphors, the effect of which is great. The analysis also showed that metaphor is now a concept with multidisciplinary implications and its use can be found in virtually every aspect of human thought: physical science, biological science, economics, law, political theory, psychology, art, philosophy, business, morality and even poetry.

Key words: Business, biology, metaphor.

„ავტორის ხმა აკა მორჩილაძის ნაწარმოებსა და მის თარგმანში „კაგდატა ინ ჯორჯია“

თამთა ნაგერვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარული ფაკულტეტი,ევროპეისტიკა,მაგისტრატურა, I კურსი
ელ.ფოსტა: nagervadze.tamta1@gmail.com
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ბერიძე,
ევროპეისტიკის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომის ***მიზანია*** აკა მორჩილაძის მოთხრობის „კაგდატა ინ ჯორჯია“ დედნისა და ინგლისურენოვანი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი. ნაშრომში გამოვიყენეთ კორპუსლინგვისტიკის **ხარისხობრივი და რაოდენობ-რივი კვლევის მეთოდიკა,** თარგმანმცოდნეობის თანამედროვე თეორიების სამი მიმართულებით: თარგმანის ლინგვისტიკური თეორია, თარგმანის კულტურათმცოდნეობითი თეორია და თარგმანის პარალელური კორპუსის თეორიები. კვლევის ობიექტია ბრიტანელი მთარგმნელის, ელიზაბეთ ჰეიუეის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანი ამერიკელი და ევროპელი მკითხველისათვის.

საკვანძო სიტყვები: კორპუსლინგვისტიკა, „კაგდატა ინ ჯორჯია“ , ბარ-ბარიზმი.

შესავალი

კვლევის ***მიზანია*** აკა მორჩილაძის მოთხრობის „კაგდატა ინ ჯორჯია“ დედნისა და ინგლისურენოვანი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი. განსხვავებით თარგმანის ლინგვისტიკური თეორიისაგან, თარგმანის კულ-ტურათმცოდნეობითი და პოლიტიკური თეორიები, ისევე როგორც თარგ-მანის პარალელური კორპუსის თეორიები სრულიად ახალი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებია დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი კვლევისათვის. თითოეულ მათგანს აქვს კვლევის საკუთარი მეთოდიკა და

კვლევის ფართო დიაპაზონი, რაც დასტურდება მ. ბეიკერის, ჰერმანსის, მუნდის კვლევების შედეგებით, რასაც ყურადღებით გავეცანით კვლევის დაწყებამდე. თუმცა, აკა მორჩილაძის მოთხრობის სათაურის „კაგდატა ინ ჯორჯია“ კომპლექსური ენის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ ზემოთ აღნიშნული თეორიული მიმართულებების ინტეგრაცია თარგმანის ანალიზის სანდოობისა და კვლევის შედეგების, როგორც უტყუარობის, ისე ვერიფიკაციისათვის. **თემის აქტუალობას** რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

(1) კორპუსლინგვისტიკა ახალი, თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი მიმართულებაა საქართველოში და ამ მეთოდით კვლევა ხელს შეუწყობს ისეთი დარგის აკადემიურ ჩამოყალიბებას, როგორიცაა თარგმანის კრიტიკა;

(2) თანამედროვე ქართული ლიტერატურის ინგლისური თარგმანებით განებივრებული არ ვართ და არც ის არის გამოკვლეული, თუ რამდენად ადეკვატურად ითარგმნება უცხოელი, ენის არმცოდნე მთარგმნელების მიერ ისინი;

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავდა კვლევის ამოცანები:

1) კორპუსლინგვისტიკის თეორიის ინტეგრაცია თარგმანის ლინგვისტიკურ, კულტურათმცოდნეობით და პოლიტიკურ თეორიებთან;

2) ა. მორჩილაძის მოთხრობის, „კაგდატა ინ ჯორჯიას“ და მისი ინგლისური თარგმანის პარალელური კორპუსის შექმნა;

3) თარგმანის კულტურათმცოდნეობით და პოლიტიკურ თეორიებში მითითებული პოსტულატების ვერიფიკაცია თარგმანის ლინგვისტიკურ მოდელზე დაყრდნობითა და კორპუსლინგვისტიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდიკის გამოყენებით.

თავი პირველი

კორპუსის სტრუქტურისა და კორპუსის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, განასხვავებენ კორპუსის სხვადასხვა სახეს, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ პარალელური კორპუსი გვაინტერესებს. არსებობს უთანხმოება პარალელური კორპუსის განმარტებასთან დაკავშირებით. **შვედი ლინგვისტის, სტიგ იოჰანსონის (Stig Johansson), აზრით კორპუსი, რომელიც შედგება ორ ენაზე არსებული შეპირისპირებული ტექსტებისაგან, წარმოადგენს პარალე-**

ლურ კორპუსს. თუმცა, **მონა ბეიკერი (Mona Baker) ამტკიცებს, რომ პარალელური კორპუსი მოიცავს A ენაზე არსებულ წყარო ტექსტებსა და მათ თარგმანს B ენაზე.** ბეიკერის განმარტება ყველაზე გავრცელებულია. დღესდღეობით აღიარებულია, რომ პარალელური კორპუსი მოიცავს ერთ ენაზე მოცემულ წყარო ტექსტებსა და ამ ტექსტების თარგმანებს სხვა ენებზე. მსგავსი კორპუსის გამოყენება თარგმნამცოდნეობაში ყველაზე ხელსაყრელია (ხ. ბერიძე, რიდერი, გვ. 15).

პარალელური კორპუსი შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორენოვანი ან მრავალენოვანი. პარალელური კორპუსი გვაძლევს ინფორმაციას ენის სტრუქტურისა და მთარგმნელობითი ეკვივალენტების შესახებ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი კორპუსიც პარალელურ კორპუსს წარმოადგენს.

1) კორპუსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დამუშავებული ტექსტების კრებული, რომელიც მოცემულია ენის წარმოსადგენად, რათა შემდგომში გამოყენებული იქნას ლინგვისტური ანალიზისათვის. ჩვეულებრივ, მოსაზრება, რომ ენა ინახება კორპუსში არის ბუნებრივი, ის შეკრებილია მკაფიოდ ჩამოყალიბებული და კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით.

2) დღეს ორი განსახვავებული თვალსაზრისი არსებობს კორპუსთან მიმართებაში. მეცნიერების ერთი ნაწილი კორპუსის ლინგვისტიკას განიხილავს როგორც მეთოდოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი კი როგორც ენის თეორიას. მაგ.: მაკელენი და უილსონი მიიჩნევენ, რომ[1] კორპუსის ლინგვისტიკა ენის კვლევის მეთოდოლოგიაა და სხვა არაფერი. ლიჩი კი მიუთითებს, რომ კორპუსის ლინგვისტიკა ენისადმი ახალი მიდგომაა.[2]

§ 1 კვლევის მეთოდიკა და სტატისტიკური ანალიზი

კვლევის მეთოდიკის აღწერა:

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ობიექტია ბრიტანელი მთარგმნელის, ელიზაბეთ ჰეიუეის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანი ამერიკელი და ევროპელი მკითხველისათვის. რამდენადაც ცნობილია, რომ ზოგადად, ამერიკული გამომცემლობების მთარგმნელობითი პოლიტიკა

[1] McEnery and Wilson (1996: 1)

[2] (Leech (1992: 106).

ეყრდნობა „მოშინაურების“ ვენუტისეულ თეორიას. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან შემუშავდა არა ერთი მთარგმნელობითი სტრატეგია, რომელთაგან ლ. ვენუტი ორ ძირითად მთარგმნელობით კატეგორიას გამოყოფს. მისი აზრით, მთარგმნელობითი პროექტი შეიძლება სამიზნე კულტურის დომინანტური ღირებულებებისადმი კონფორმისტული იყოს, აგრეთვე გამოირჩეოდეს კონსერვატიული და აშკარად ასიმილაციური მიდგომით, ან ტექსტისადმი აპროპრიაციული, ანუ მითვისებითი მიდგომით, სწორედ ეს გახლავთ თარგმანის ე. წ. „მოშინაურების“ (domestication) მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობა „Dalkey Archive Press“ საკუთარ გამოცემებს ავრცელებს, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე ევროპაში, რაც დასტურდება გამოცემის სახელწოდებიდანაც: „საუკეთესო ევროპული მოთხრობები“, ხოლო რადგან მთარგმნელი ბრიტანელია და არა ამერიკელი, ჩვენ გვაინტერესებდა, (ა) რამდენად მისდევს მოშინაურების მთარგმნელობით პოლიტიკას ეს გამომცემლობა, (ბ) რამდენად ექცევა მთარგმნელი გამომცემლობის პოლიტიკის გავლენის ქვეშ და (გ) რამდენად შეეხო ქართველი მწერლის ენობრივი სტილის, კულტურული და ეროვნული ინფორმაციის ევროპელ და ამერიკელ მკითხველამდე მიტანას აღნიშნული მოშინაურების ასიმილაციური პოლიტიკა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო იყო შეგვექმნა მოთხრობის „კაგდატა ინ ჯორჯიას“ და მისი ინგლისური თარგმანის პარალელური კორპუსი. კორპუსის შესაქმნელად გავიარეთ შემდეგი საფეხურები:

ა. მიღებული პარალელური ტექსტები დაიყო სინტაგმებად და თითოეული სინტაგმა იდენტიფიკაციის გაიოლების მიზნით დაითეგა სპეციალური გადანომვრის თეგით;

გ. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავებული იქნა თეგების სპეციფიკური სისტემა, რომლის ზოგადი სახის ელემენტი გამოიყურება შემდეგნაირად:

მოცემული ნიმუშის გასაგებად, საჭიროა გავეცნოთ **ცხრილი** 1-ს.

მეორე ცხრილში, ჩვენ მიერ ზოგადი სახის ელემენტებიდან შექმნილი თეგებია წარმოდგენილი. სწორედ ამ თეგებით დაითეგა მთელი ტექსტი.

{soc_brb} {/soc_brb}	ქართული სოციოლინგვისტიკური მარკერის ბარბარიზმის- თეგი
{soc_brb} {/soc_brb}	ინგლისური სოციოლინგვისტიკური მარკერის ბარბარიზმის- თეგი
{/soc_brb.polit} {/soc_brb.polit}	ბარბარიზმი, როგორც პოლიტიკური ნასესხობა ქართულში
{/soc_brb.polit} {/soc_brb.polit}	ბარბარიზმი, როგორც პოლიტიკური ნასესხობა ინგლისურში
{soc_anthrp}	ქართული ანთროპონიმების თეგი
{soc_anthrp.title}	ფილმის პერსონაჟების წოდებები ქართულში
{soc_anthrp.title}	ფილმის პერსონაჟების წოდებები ინგლისურში
{soc_anthrp}	ინგლისური ანთროპონიმების თეგი
{soc_tpn}	ქართული ტოპონიმების თეგი
{soc_tpn}	ინგლისური ტოპონიმების თეგი
{omis}…{/omis}	გამოტოვებების თეგი
{soc_borr}	ქართულში ნასესხობების თეგი
{soc_brb.engl} {/soc_brb.engl}	ინგლისური ენიდან შემოსული ბარბარიზმი
{soc_brb.rus} {/soc_brb.rus}	რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმი
{soc_rus} - {/soc_rus}	რუსული მეტყველების ჩართვა ქართულში
- {soc_title} {/soc_title}	ფილმის, გაზეთების და ინსტიტუციების დასახელებები
{soc_brb.engl}	ინგლისური ნასესხობების თეგი

კვლევის ამოცანების შესაბამისად, საჭირო იყო თარგმანის კულტურათ-მცოდნეობით და პოლიტიკურ თეორიებში მითითებული პოსტულატების ვერიფიკაცია თარგმანის ლინგვისტიკურ მოდელზე დაყრდნობითა და კორ-პუსლინგვისტიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდიკის გამოყე-ნებით. დედნის ენის ანალიზის შემდეგ, დადგინდა, რომ ავტორის მეტყვე-ლებისათვის დამახასიათებელია მეტყველების სტრატიფიკაციული ვარიან-ტულობა და ტექსტი გაფორმებულია ასეთი უამრავი მარკერით; კერძოდ, ბარბარიზმებითა და ნასესხობებით. მოთხრობაში ასევე ბევრია ტოპონიმები და ანთროპონიმები. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, კვლევა

ლინგვისტიკის ისეთი ქვედარგით წაგვეყვანა, როგორიცაა სოციოლინგვისტიკა;

„კაგდატა ინ ჯორჯიას“ ქართული და ინგლისური ტექსტების კორპუსში, ჩვენს მიერ შექმნილი თეგებით, დაითეგა ქართული და ინგლისური საკუთარი სახელები, ტოპონიმები, ინსტიტუციური დასახელებები, გაზეთის დასახელება, წოდებები, ბარბარიზმები და ანთროპონიმები, რათა სტატისტიკური ანალიზის შედეგად დაგვედგინა, შენარჩუნდა თუ არა მოცემული ერთეულები ინგლისურ თარგმნაში და თუ შენარჩუნდა, როგორი სახით და რა რაოდენობით?

ტექსტის სტატისტიკური ანალიზის გასაკეთებლად 2017 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების“ ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ ,,ვებ ინტერფეისით“ შეიქმნა პროგრამა, სადაც მოთავსდა როგორც დათეგილი ტექსტი, ასევე თეგებიც. აქვე წარმოგიდგენთ პროგრამის ზოგად სახესაც და ანალიზის შემდგომ მიღებულ შედეგებსაც.

ილუსტრაცია 1.



კვლევის ვერიფიკაცია დღევანდელ მეცნიერებაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პარალელური კორპუსის ონლაინ რეჟიმში არსებობა

საშუალებას იძლევა ყოველგვარი დროის კარგვის გარეშე, მეცნიერმა მსოფლიოს ერთი წერტილიდან მეორეში დისტანციურად გადაამოწმოს ამა თუ იმ კვლევის შედეგის უტყუარობა და სანდოობა. ამას ეწოდება კვლევის ვერიფიკაცია და ეს მსოფლიოს აკადემიური საზოგადოების უაღრესად დიდი მიღწევაა. სწორედ ასევე, ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგების გადამოწმება ონლაინ რეჟიმშიც შესაძლებელია.

§2 ნაწარმოების ისტორიული მნიშვნელობა და ეპოქის მიმოხილვა

ჩვენ მიერ აღნიშნული ნაწარმოების საკვლევ მასალად შერჩევა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

- აკა მორჩილაძე თავის ნაწარმოებში „კაგდატა ინ ჯორჯია“ განიხილავს 90-იანებს და იმ დროინდელ ყოფით თუ სოციალურ ცვილებებს.
- ავტორი გამიზნულად იყენებს ჰიბრიდულ, ორი ენის სინთეზურ სათაურს „კაგდატა ინ ჯორჯია“ რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოში არსებულ მდგომარეობას და რაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს ირონიის სახედ, ჩვენი მენტალობისა და მეტყველების კულტურისა, რასაც შემდგომ ტექსტის სიღრმეებში გამოყენებული ბარბარიზმებითა და რუსული ჟარგონებით ამტკიცებს. „აგე, ლექსიკონი გადავშალე და ვეძებ იმიტომ, რომ ბევრი სიტყვა არ მოიძებნება ქვეყნად ისეთ უცხო ენებზე რომ იცოდე და საკუთარ ენაზე არა. - ასეთი ჩვენს სინამდვილეში, მგონი მანქანის ნაწილებია: პორშინები, კალოტკები, თუ კალოდკები, რასპრედვალი, კრესტავინა, კარობკა და ასე შემდეგ, რომელთა ქართული შესატყვისებიც არსებობს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცის და მგონი, მთლად ევროკავშირის ევროკავშირში რომც შევიდეთ, ამ სიტყვებს ქართულით ვეღარაფრით შევცვლით, ვინაიდან ისინი ცოცხალ ენაშია გამჯდარი და მარად იცოცხლებს პროფილაქტიკებსა და მანქანების ბაზრობებზე.“
- ავტორი თვალნათლივ აღწერს იმ პერიოდს თუ როგორ დაიწყო გარდაქმნა, როგორ შემოვიდა ევროპული ფილმები თუ პროდუქტები საქართველოში და როგორ იცვლებოდა ახალგაზრდების ცნობიერება. პერესტროიკის პერიოდში აღწერს ინფორმაციულ ვაკუუმს, ნათელი წარმოდგენის არ ქონას, თუ რას ფიქრობენ უცხოელები ჩვენზე, ანუ

ქართველებზე და რა იყო სინამვილეში უცხოეთი. აღსანიშნავია, რომ ქართველები უცხოელებად რუსებს არ აღიქვამდნენ. „ზოგნი ამბობდნენ, ურუსებოდ თავს როგორ შევინახავთო, შიმშილით ამოვწყდებითო: ზოგნი კი ამბობდნენ, რომ აი, ბორჯომი ხომ გვაქვს და გავყიდითო, უცხოეთში აფთიაქებში იყიდება ბორჯომიო“ „ რახან ეს პერესტროიკა დაიწყო და, რა თქმა უნდა, ამ რუსებს უნდა დავხსნოდით როგორმე“.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ზემოთ მოყვანილი, დედანში არსებული მაგალითების თარგმანი, თუ რამდენადაა ასახული აღნიშნული ფაქტორები სამიზნე ენაში, რომელიც ჩვენი კულტურისა და ერისათვის, სოციოპოლიტიკური გარემოემებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

თავი მეორე

(პრაქტიკული ნაწილი)

§ 1. კვლევის სტატისტიკური (რაოდენობრივი) ანალიზის გამოყენება კვლევის ხარისხობრივი შედეგის უტყუარობისა და ვერიფიკაციისათვის.

კვლევის შედეგების ანალიზისა და ვერიფიკაციისთვის, წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შექმნილი პარალელური კორპუსის მიერ გამოთვლილ ციფრობრივ სტატისტიკას.



§ 3 მიღებული შედეგების ანალიზი

ქართული	ინგლისური
{/soc_brb} 4	{/soc_brb} 2
{/soc_brb.engl}13	{/soc_brb.engl}0
{/soc_brb.rus} 50	{/soc_brb.rus} 7
{/soc_brb.polit} 17	{/soc_brb.polit} 15
{/soc_anthrp} 211	{/soc_anthrp} 258
{/soc_anthrp.title} 88	{/soc_anthrp.title} 43
{/soc_tpn} 98	{/soc_tpn} 152
{/soc_title} 28	{/soc_title} 28
{/soc_rus} 14	{/soc_rus} 5
{/soc_clq} 58	{/soc_clq} 14
{/soc_brb.title} 20	{/soc_brb.title} 16

მოცემული სტატისტიკის ანალიზი: როგორც ცხრილშია ნაჩვენები, წყარო ტექსტსა და სამიზნე ენაში არსებული მხატვრული თუ სტილისტური ხერ-ხების რაოდენობა განსხვავდება. ასე, მაგალითად: ორიგინალში გვაქვს თეგი-რებით ნაჩვენები 13 ინგლისური ბარბარიზმი, რაც თავისთავად თარგმანში დაკარგულია. „რიმეიქი“, „რესპექტაბელური“, „ინსაიდ“, „აუთსაიდ“, „პრო-რესტრილნგი“.

რუსული ბარბარიზმების რიცხვი კი ორმოცდაათს აღწევს, ხოლო თარგ-მანში სულ რაღაც შვიდია მაჩვენებელი.

- „იმ დროში მგონი ამ ფილმს უფრო ხშირად ვუყურებდი, ვიდრე {soc_brb.rus}კუკუშკას{/soc_brb.rus}.“
- {soc_brb.rus}ანტისავეცკი{/soc_brb.rus} ფილმი იყო.
- ერთხელაც მოვიდა ერთი ჩემი უბნელი და ვახ, რა ვნახეო. რა-მეთქი, და ნამდვილი {soc_brb.rus}სიმიორკა{/soc_brb.rus} , ვნახეო
- იმიტომ რომ, ამ {soc_brb.rus}სავეცკი{/soc_brb.rus} ჭორების და ფრონდას მიღმა არსებობდა ბევრად ძლიერი და უხილავი ჩამოყალიბებული სამყარო, რომელიც უკვე წარმოუდგენლად დიდხანს იცდიდა.

- მაგრამ ისეთი {soc_brb.rus}ნასტირნი{/soc_brb.rus}, {soc_brb.rus}დუხი {/soc_brb.rus}. და უტეხი, რომ ტყვია რომ მოხვდა,
- {soc_brb.rus}ვაფშე{/soc_brb.rus}
- აგე, ლექსიკონი გადავშალე და ვეძებ იმიტომ, რომ ბევრი სიტყვა არ მოიძებნება ქვეყნად ისეთ უცხო ენებზე რომ იცოდე და საკუთარ ენაზე არა. - ასეთი ჩვენს სინამდვილეში, მგონი მანქანის ნაწილებია: {soc_brb.rus} პორშინები {/soc_brb.rus}, {soc_brb.rus} კალოტკები {/soc_brb.rus}, თუ {soc_brb.rus} კალოდკები {/soc_brb.rus}, {soc_brb.rus} რასპრედვალი {/soc_brb.rus}, {soc_brb.rus} კრესტავინა{/soc_brb.rus}, {soc_brb.rus}კარობკა{/soc_brb.rus} და ასე შემდეგ, რომელთა ქართული შესატყვისებიც არსებობს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცის და მგონი, მთლად {soc_title} ევროკავშირის{/soc_title} ევროკავშირში რომც შევიდეთ, ამ სიტყვებს ქართულით ვეღარაფრით შევცვლით,
- ერთ ჩემს ამხანაგ გოგოს ფულიანი {soc_brb.rus} კავალერი {/soc_brb,rus} გადაეკიდა. მაშინაც მძიმე წლები იყო, ჰოდა ერთხელაც - {soc_brb.rus} დავაი {/soc_brb.rus}, ვახშამიო.
- ეს სიტყვაც გაჩნდა, {soc_brb.rus}ბაევიკი{/soc_brb.rus}. ვიდეოგაქირავების სალონებში, ასევე ეწერა ფილმებს – {soc_brb.title} ბაევიკ {/soc_brb.title}, კომედია, {soc_brb.title} ჟიზნენი {/soc_brb.title}.
- გაზეთების {soc_brb.rus}კიოსკებში{/soc_brb.rus}.
- უყვართ.ეს {soc_brb.rus} გლასნოსტი{/soc_brb.rus}, თუ {soc_brb.rus} უსკარენიე {/soc_brb.rus} რომ იწყებოდა, {soc_tpn} თბილისში {/soc_tpn} ალკოჰოლი ორ საათამდე არ იყიდებოდა, ლუდიც კი.

როგორც ვხედავთ, ეს არის მცირე ჩამონათვალი ტექტსში ავტორის მიერ გამოყენებული რუსული ბარბარიზმებისა. რისი ეკვივალენტებიც ინგლისურ ენოვან ტექსტში ძალიან მწირია, წარმოგიდგენთ იმ ამონარიდებს რომლებიც თარგმნილი სახით გვაქვს, ხოლო სხვა დანარჩენი კი სამიზნე ენაში დაკარგულია.

- When {soc_brb.rus}glasnost{/soc_brb.rus} began you couldn’t buy any alcohol other than beer before two p.m.

აღნიშნულ წინადადებაშიც კი, მთარგმნელს „გლასნოსტი“ გადმოტანილი აქვს თუმცა „უსკრანენიე“ დაკარგულია.

- I think the words Georgians use for car parts would be examples of this: {soc_brb.rus}proshinebi{/soc_brb.rus} , {soc_brb.rus}kalotkebi{/soc_brb.rus}, {soc_brb.rus}raspredvali{/soc_brb.rus} —Russian words. თუმცა აქვე ჩამონათვალი წყდება და აბზაცი არ სრულდება.
- {soc_brb.rus} ოფიციანტკა {/soc_brb.rus} {soc_anthrp} მილამ {/soc_anthrp} ჩემს ძმაკაცს და მე გვიამბო, როგორ ჩაუსხა კლიენტებს შამპანური უბრალო {soc_brb.rus} გრაფინში{/soc_brb.rus} აქაოდა ვაშლის წვენიაო, - A waitress once told my friend and me how she used to pour champagne from plain carafes—after all, it was only apple juice, მთარგმნელს ოფიციანტკა მილა ნეიტრალური თარგმანით აქვს გადმოტანილი,: A waitress"

რაც შეეხება ქართულ საუბარში ჩართულ რუსულ მეტყველებას, მთარგმნელს მხოლოდ ხუთი მსგავსი წინადადება აქვს გადატანილი. შემდეგი წინადადება :

- '{soc_rus}ტვოი ევრეი აკაზალსია ანგლიისკიმ შპიონომ{/soc_rus}. თარგმანში საერთოდ არ გვხვდება.
- {soc_rus} ლაპშა, ტი ტუდა, ილი სიუდა? {/soc_rus} ის კიდევ იქედან პასუხობს, {soc_rus} ტუდა ი სიუდა {/soc_rus}.
- {soc_rus}სტალინ უმერ {/soc_rus}, რომა, {soc_rus} სტალინ უმერ {/soc_rus}, {soc_rus}სკორა ვსე დომა ბუძიმ, იობ ივო მაწ {/soc_rus
- {soc_rus}სკორა ვსე დომა ბუძიმ, იობ ივო მაწ{/soc_rus}.

გვხვდება ასევე ისეთი კომპონენტი სადაც ალტერნატიულ ვერსიას გვთავაზობს, მთარგმნელისეულ ახსნა-განმარტებით თარგმანს „{soc_rus} umir {/soc_rus}, {soc_anthrp}Stalin{/soc_anthrp} {soc_rus}umir{/soc_rus} '— {soc_anthrp} Stalin {/soc_anthrp} is dead, {soc_anthrp}Stalin{/soc_anthrp}

ამ შემთხვევაში, თუ ნიუმარკის თარგმნის მეთოდებს მოვიშველიებთ, მთარგმნელის მიერ ხელოვნური ჩარევა, თარგმანის კულტურული ღირებულებების დაკარგვაზე მეტყველებს.

თარგმანში ასევე გამოტოვებულია შემდეგი ფრაგმენტები, რომელთა არც ეკვივალენტური და არც კონცეპტუალური თარგმანი არ გვხვდება:

- „დისტრაკები" არ არის გადმოტანილი: მთელი თავისი {soc_brb} დისტრაკებით {/soc_brb} (ეს სიტყვა, რომელიც 80 -იან წლებში საკმაოდ

ხშირად მესმოდა {soc_tpn} თბილისში {/soc_tpn} ძირითადად ქალაქელი ძიებისგან, ჩემი აზრით, სრულ კომპლექტს ნიშნავს.თუმცა, ეგრეც ვერ გავიგე, უზრდელურია, თუ არა. უზრდელური გამოდის, ოღონდ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს უზრდელური).

- გამიგონია, {soc_tpn} საქართველოში {soc_tpn} ბევრი სიტყვა ოციან წლებში მოიგონესო და ვიფიქრე, შეიძლება ესეც იმ დროს იყოს მოგონილი, როცა ვაგონს რონოდა დაერქვა, სოსისს – მოწოწნიკი, ასანთს - წუმწუმა, ონკანს - კროჭი და ასე შემდეგ-თქო, მაგრამ ასე არ გამოდგა. -უთარგმნელია.
- კიდევ ერთი მაგალითი: „რაც მე აფთიაქში მოვხვედრილვარ {soc_brb.rus} ზაგრანიცაში {/soc_brb.rus} და იქ ბორჯომი არ მინახავს“, ადასტურებს, რომ ქართული ენის ბარბარიზმებით დანაგვიანება თარგმანში არ აისახა:***„ზაგრანიცა“*** თარგმნილია როგორც „abroad“.

საინტერესო სტატისტიკა აჩვენა კოლოკვიალური მეტყველების თეგირებამ {soc_clq} რის მიხედვითაც ქართულ ტექტში ვხვდებით 58-ს, ხოლო ინგლისურ ტექსტში 14 კოლოკვიალურ ფრაზას. აღნიშნული თეგირების შემთხვევაში ასევე დაფიქსირებულია მთარგმნელის მიერ დამატებული „ვულგარიზმი“ :

- „He’s {soc_clq}fucking awesome{/soc_clq}.“ „Not just cool though,“ ავტორი დედანში მსგავსი კონცეპტის სიტყვებს არ იყენებს. {soc_clq} ძაან მაგარიაო{/soc_clq} , ისეთი ხალისით ამბობდა, ყველაფერს აკეთებსო, მაგარია და მაგარიაო.

რაც შეეხება ანთროპონიმებს, აკა გამიზნულად იყენებს წოდებით ბრუნვაში მხოლოდ გვარებს, რაც რუსული მენტალიტეტისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო თარგმანში სრული სახელი და გვარები გვხვდება.

- {soc_anthrp}García Márquez{/soc_anthrp}
- ამას წინათ, ტელევიზორში {soc_anthr} მარკესი {/soc_anthrp} ჰყვებოდა.

დასკვნა

- ა. მორჩილაძის ნაწარმოები ასახავს პოსტსაბჭოთა საქართველოს ენობრივ პორტრეტს. რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლების შემდეგ, რუსული ბარბარიზმები შეერწყა იმ დროისათვის ახალი სამყაროს,

ამერიკული ინგლისური ენის კულტურულ რეალიებს, რომლებიც ასევე ბარბარიზმებად იქცნენ. ავტორი გადმოგვცემს ეპოქის დამახასიათებელ, ეროვნული ენის გადაგვარებისათვის საშიშ მოვლენას: ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მასშტაბურობას.

- თარგმანი არ ასახავს ქართულ ენაში არსებული ბარბარიზმების ზეგავლენას ენაზე, რაც მის ნაკლოვანებაზე მიუთითებს, ვინაიდან ავტორის მიზანმიმართებას უგულებელყოფს.
- სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თარგმანში იგივე რაოდენობით არ აისახა: ქართული ანთროპონიმები, ქართული ტოპონიმები, არ აისახა თითქმის არც ერთი ნასესხობა ქართულში, ისევე, როგორც ინგლისური და რუსული ენებიდან შემოსული ბარბარიზმები. რუსული მეტყველების ჩართვა ქართულში ნაწილობრივ აისახა. ფილმის, გაზეთების და ინსტიტუციების დასახელებების თარგმანში ნაკლოვანებებია.
- ყველაზე დიდი ხარვეზი, ამ მხრივ, არის ტოპონიმ ლიტვის ლატვიად გადატანა ინგლისურ ენაზე, რაც მთარგმნელის ფონური ცოდნის არქონაზე მიუთითებს - ინგლისელი მთარგმნელი ბალტიისპირეთის ორ ქვეყანას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს.
- თარგმანში დაკარგული კულტურული მახასიათებლები პრობლემაა არა მხოლოდ თარგმანცოდნეობის თვალსაზრისით, არამედ ლინგვოკულტურულოგიური და პოლიტიკური კუთხითაც, ვინაიდან ნაწარმოების იდეა პირდაპირ კავშირშია ქართულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ხათუნა, თარგმანმცოდნეობა, ბათუმი 2017.

2. ბერიძე ხათუნა. ,,თარგმანი, ენა და კულტურა“, გამომცემლობა ,,დიოგენე.“ 2013.

3. თანდაშვილი მანანა, ფურცხვანიძე ზაქარია, „კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში“, 2014.

4. ხალვაში რამაზ, დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი," ბათუმი – 2018.

5. Baker Mona Towards a Methodology for Investigating the Style of a Literary Translator* Centre for Translation Studies, UMIST.

6. Elizabeth Heighway. Contemporary GEORGIAN FICTION, 2012. Dalkey Archive Press. Translation and introduction copyright.

7. Hermans, Theo (ed.) (2006) Translating Others, 2 vols, Manchester: St. Jerome Publishing. (2009).

8. Jeremy Munday (ed.) 'Translation, Ethics, Politics', The Routledge Companion to Translation Studies, Abingdon, Oxon: Routledge.

9. Venuti, Lawrence (1995) The Translator's Invisibility, London: Routledge. — (2004).

10. Wardhaugh, R., An Introduction to Sociolinguistics, Basil Blackwell Inc. USA, 1986.

Nagervadze Tamta

The Author's Voice in Aka Morchiladze's "Kogdata in Georgia"

Abstract

The **aim** of the papers is comparative analysis of Georgian-English translations of "once upon in Georgia" by Aka Morchiladze. Based on **corpuslinguistics qualitative and quantitative corpus approaches**, According to three modern theories of translation studies : Linguistic theory of translation, cultural studies of translation and theory of parallel corpora of translation. The object of the research is the translation of Aka Morchiladze's book "once upon in Georgia" translated, for American and European readers by Elisabeth Heighway

Key words : Corpuslinguistics, "Once upoin in Georgia" ,Barbarisms.

სატირული აფორიზმების საკითხისათვის (ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონის“ მასალაზე)

მარიამ ბურკენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგია, II კურსი

ელ. ფოსტა: burkenadzem@gmail.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა შავლაძე,

ევროპეისტიკის დეპარტამენტის (ბსუ) ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონი“, კერძოდ ოციოდე სიტყვის განმარტება. კვლევის მიზანია გავიგოთ ლექსიკონის ორიგინალურობა, არის ეს ლექსიკონის შექმნის უბრალო მცდელობა, თუ მას სხვა ღირებულებებიც აქვს. კვლევის მეთოდოლოგიად გამოვიყენეთ დაკვირვების, შედარების და აღწერილობითი მეთოდები, რის შედეგადაც მივედით დასკვნამდე, რომ ამბროზი ბირსის მიერ განმარტებული სიტყვები არა მხოლოდ უბრალო დეფინიციებია, არამედ მათი გამოყენება შეიძლება, როგორც ციტატებად, აფორიზმებად.

შესავალი

ნაშრომის სათაურია ,,სატირული აფორიზმების საკითხისათვის (ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონის“ მასალაზე“). აღნიშნული თემით ჩემი დაინტერესება მოხდა იმის გამო, რომ ჩვენ, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, ყოველდღიური შეხება გვაქვს მონოლინგვალურ ლექსიკონებთან. ჩვენ სიტყვებს ვეძებთ არა მარტო ცნობილ ლექსიკონებში: ვებსტერის ან ოქსფორდის ლექსიკონებში, არამედ ელექტრონულ ლექსიკონებშიც. ლექსიკონზე ერთ-ერთი ასეთი მუშაობის დროს ინტერნეტით გადავაწყდი ამბროზი ბირსის ლექსიკონს, რომელმაც გამაოცა თავისი ორიგინალურობით და სასიამოვნო გახადა ლექსიკური ერთეულების დასწავლის

პროცესი. გადავწყვიტე საფუძვლიანად შემესწავლა ამ ლექსიკონის შექმნის ისტორია, გამეგო რა მიზანი ამოძრავებდა სატირიკოს მწერალს ამ სახის ლექსიკონის შექმნისას, ასევე დავინტერესდი რა სახის სიტყვები იყო ლექსიკოგრაფის მიერ ძირითადად განმარტებული და რითი განსხვავდებოდა ბირსისეული განმარტებები ტრადიციული ლექსიკონების განმარტებებისაგან.

ნაშრომი აქტუალურია იმით, რომ ლექსიკოგრაფიული საკითხების შესწავლა ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე ძალიან არის დაწინაურებული. ამას გარდა, ა. ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონი" არ არის იმ კუთხით შესწავლილი, რომელი კუთხითაც ჩვენ განვიხილავთ მას - სიტყვების დეფინიციათა სატირულ აფორიზმებად აღიარება.

ჩვენი მიზანია ვნახოთ რაში მდგომარეობს ამბროზი ბირსის ლექსიკონის ორიგინალობა, არის ეს ლექსიკონის შექმნის მცდელობა, თუ ეს ლექსიკონი სატირიკოსი მწერლის მიერ არის შედგენილი და მას არა მარტო ლექსიკოგრაფიული, არამედ ლიტერატურული და სტილისტიკური ღირებულებაც აქვს.

საკვლევ საგანს წარმოადგენს ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონი", კერძოდ, ის ოციოდე ლექსიკური ერთეული, რომელთა ანალიზს ჩვენ ვახდენთ ნაშრომში. **კვლევის მეთოდოლოგიად** ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა: დაკვირვების, შედარების და აღწერილობითი მეთოდები.

ძირითადი ნაწილი

ლექსიკონის შექმნის ისტორია

ამბროზი ბირსი თავისი დროის უდიდესი ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი და ლექსიკოგრაფი იყო. მან, როგორც ლექსიკოგრაფმა, სახელი მოიხვეჭა ლექსიკონით ,,ეშმაკის ლექსიკონი", რომელშიც, ერთი შეხედვით, მარტივად განსასაზღვრი სიტყვები სატირულ-იუმორისტულად ახსნა და შექმნა ე.წ. ,,ცინიკური/სატირული აფორიზმები". ლექსიკოგრაფი ლექსიკონს სამი ათეული წლის მანძილზე ქმნიდა და ლექსიკონიდან ამონარიდებს დროდადრო ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში. თავდაპირველად (1906) ლექსიკონი ,,ცინიკოსის სიტყვათა კრებულის" სახელით გამოვიდა, მაგრამ 1911

წელს იგივე ლექსიკონი ,,ეშმაკის ლექსიკონის“ სახელით გამოჩნდა მაღაზიათა წიგნების თაროზე (ენციკლოპედია ,,ბრიტანიკა“).



ლექსიკონის წინამორბედები

რამ განაპირობა ამბროზი ბირსის ლექსიკონის პოპულარობა? იყო იგი ამ სახის პირველი ლექსიკონი თუ მსოფლიოში მსგავსი სახის ლექსიკონის შექმნის პრეცენდენტი მანამდეც არსებობდა?

ამბროზი ბირსი არ ყოფილა პირველი, ვინც ლექსიკურ ერთეულებს სასაცილო დეფინიციები დაურთო. ბირსის წინაპარი ამ თვალსაზრისით იყო ირანელი პოეტი ნიზამ ალ დინ უბაიდულა ზაკანი, რომელმაც ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, შეადგინა მსგავსი სახის ლექსიკონი. ბირსი არ იყო ერთადერთი ამერიკელი ლექსიკოგრაფი, რომელიც სიტყვათა სატირულმა ახსნა-განმარტებებმა გაიტაცა. ბირსამდე სამუელ ჯონსონმაც სცადა მსგავსი სახის ლექსიკონის შექმნა. მისი ლექსიკონი „A Dictionary of the English Language“ 1755 წელს გამოიცა და იგი 42, 733 სიტყვას მოიცავდა, თუმცა მასში სატირულად ახსნილი სიტყვები მცირე რაოდენობით გვხვდებოდა. ნ. ვებსტერს პოპულარობა მოუტანა 1806 წელს გამოცემულმა ლექსიკონმა „A Compendious Dictionary of the English Language“. 1828 წელს ვებსტერმა მეორე ლექსიკონი „An American Dictionary of the English Language“ გამოსცა. ვებსტერი ამ ლექსიკონებში ბევრ სიტყვას ძალიან გონივრულად და იუმო-

რისტულად განმარტავს, თუმცა ვებსტერის ლექსიკონებიც არ შეიძლება შეფასდეს როგორც ,,სატირული ლექსიკონები“ https://www.theparisreview.org/blog/2017/10/25/best-bits-devils-dictionary/.

როგორ იქმნებოდა ლექსიკონი

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბირსს ათწლეულები დასჭირდა აღნიშნულ ლექსიკონზე სამუშაოდ. ის ამ სიტყვათა განმარტებებს ხშირად იყენებდა თავის სატირულ ესეებში და აქვეყნებდა მათ ყოველკვირეულ გაზეთებში „The Town Crier“ და „Prattle.“

თავდაპირველად ლექსიკოგრაფი მიზნად ისახავდა ვებსტერის ლექსიკონის გადამუშავებას „Webster Revised“, თუმცა 1869 წლიდან მივიდა დასკვნამდე, რომ კომიკური/ სატირული ლექსიკონი შეექმნა.

პრაქტიკული ნაწილი

ჩვენ თვალი გადავავლეთ მის ლექსიკონს და მიზნად დავისახეთ გვეკვლია რაოდენობრივი თვალსაზრისით რომელი მეტყველების ნაწილები სჭარბობდა ლექსიკონში. აღმოჩნდა, რომ პირველი ადგილი უკავია არსებით სახელებს, კერძოდ აბსტრაქტულ არსებით სახელებს და პროფესიების აღმნიშვნელ სახელებს, მომდევნო ადგილს იკავებს ზედსართავი სახელები. უკანასკნელ ადგილზეა ზმნები.

თავდაპირველად დავაკვირდეთ აბსტრაქტულ არსებით სახელებს. აი როგორ განმარტავს ლექსიკოგრაფი ცნებას **,,სიყვარული“ Love, n. A temporary insanity curable by marriage“.** განმარტების თანახმად, სიყვარული არის პერიოდული სიგიჟე/შეურაცხადობის პერიოდი, რომელიც ქორწინებით იკურნება. მართლაც ეს განმარტება ჭეშმარიტებას ღაღადებს. ქორწინება აცხრობს ორ მოსიყვარულე ადამიანს შორის გიჟურ ვნებებს. აღნიშნულ ცნებასთან ახლოს დგას თემატურად ცნება **,,ქორწინება“,** რომელიც ლექსიკონში ამ სახით არის განსაზღვრული: „**Marriage, n. The state or condition of a community consisting of a master, a mistress, and two slaves, making in all two“** - მდგომარეობა, რომელსაც ქმნის ბატონი და ქალბატონი, რომლებიც საბოლოოდ ერთმანეთის მონებად იქცევიან. ცნებას ,,რელიგია“ ლექსიკოგრაფი მეტაფორულად განმარტავს და ამბობს: **,,რელიგია“** არის იმედისა და შიშის ქალიშვილი, რომელიც წარმოაჩენს რაოდენ უმეცრები ვართ ადამიანები სამყაროს შეცნობისას: **Religion, n. A daughter of Hope and Fear, explaining to Ignorance the nature of the Unknowable”.**

როგორც ჩანს, ლექსიკოგრაფი ათეისტი იყო, რადგანაც მისი განმარტება ირონიის შემცველია, და გვეუბნება, რომ რელიგია ფუჭი იმედი და შიშია.

ზედსართავი სახელების სატირულ-იუმორისტულმა განმარტებებმაც მიიქცია ჩვენი ყურადღება. **„ეგოისტი“** ადამიანი ამგვარად არის განმარტებული ლექსიკონში: **„Egotist, n. A person of low taste, more interested in himself than in me“** - ეგოისტი - დაბალი სულის ადამიანი, რომელიც თავისი თავით უფრო ინტერესდება, ვიდრე ჩემით. **„ცინიკოსს“** ლექსიკოგრაფი უწოდებს ადამიანს, რომლის თვალი ამჩნევს ნაკლოვანებებს და ხედავს, რომ საქმე ისე არ არის როგორც უნდა იყოს **„Cynic, n. A blackguard whose faulty vision sees things as they are not as they ought to be.“** საინტერესოდ აქვს ბირსს ახსნილი მოსაბეზრებელი, მოსაწყენი ადამიანის ბუნება. მისი განმარტებით „მოსაბეზრებელია ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს მაშინ, როცა გსურს რომ გისმენდეს“ **„Bore, n.: A person who talks when you wish him to listen.“** ამბროზი ბირსის განმარტება სიტყვისა **„ოპტიმისტი“** ასეთია: **An optimist is a proponent of the doctrine that black is white** - ოპტიმისტია ადამიანი, ვინც შავს თეთრ ფერში ხედავს. ფიგურალურია სიტყვის „მშიშარა“ განმარტება: **„მშიშარა“** არის ადამიანი, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში ფეხებით ფიქრობს - **„A coward is one who in a perilous emergency thinks with his legs“.** ლექსიკოგრაფი დასცინის ლაჩარ ადამიანს, რომელსაც გამოუვალ მდგომარეობაში გონი ეკარგება და ფეხებით იწყებს ფიქრს, ანუ გაქცევას ლამობს.

ვაკვირდებით ამბროზი ბირსის განმარტებებს და ვხვდებით, თუ რამდენად კარგად იცის მან ცხოვრება, რამდენად დაკვირვებულია იგი. მან კარგად იცის საზოგადოების მანკიერი მხარეების შესახებ და ამის შესახებ დაუფარავად წერს: აი მაგალითად: „სასაფლაო“ არის აგილი, სადაც მგლოვიარები უამრავ ტყუილს ამბობენ გარდაცვლილზე, პოეტები გაზვიადებულ ლექსებს წერენ და ქვაზე მომუშავენი ტყუილით სავსე სიტყვებს ამოკვეთენ ქვაზე (**CEMETERY, n. An isolated suburban spot where mourners match lies, poets write at a target and stone-cutters spell for a wager).** ამ სიტყვასთან ახლოსაა სიტყვა „დაკრძალვა/დასაფლავება“, რომელიც ლექსიკოგრაფს ასე განუმარტავს: „A funeral is a pageant whereby we attest our respect for the dead by enriching the undertaker“, ანუ დაკრძალვა არის პროცესი, როცა პატივს მივაგებთ გარდაცვლილს და ვამდიდრებთ მესაფლავეს. ამ სახის მწვავე აფორიზმების

გამო ამბროზი ბირსმა საზოგადოებაში ზედსახელები დაიმკვიდრა: **,,ენამწარე ბირსი" ,,ეშმაკის პირადი ლექსიკოგრაფი", ,,სან ფრანცისკოელი ეშმაკი".**

ჩვენთვის საინტერესო დარჩა პროფესიების აღმნიშვნელი სიტყვების განმარტებებზე დაკვირვება, რადგანაც ეს განმარტებები შესანიშნავად წარმოაჩენენ ამ პროფესიების წარმომადგენლების მანკიერ მხარეებს. ა. ბირსი არქიტექტორს ასე განმარტავს: „**ARCHITECT, n. One who drafts a plan of your house, and plans a draft of your Money"** - არქიტექტორი არის ადამიანი ვინც გეგმავს თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი სახლი, მაგრამ ასევე გეგმავს ჩვენს ,,გატყავებას". ეს განმარტება ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს, ისევე როგორც ბირსის მიერ განმარტებული ,,ექიმი": „**Physician - One upon whom we set our hopes when ill and our dogs when well"** - ექიმი არის ადამინი, ვისზეც იმედებს ვამყარებთ ავადმყოფობის დროს, სხვა შემთხვევაში კი ძაღლის იმედი უფრო გვაქვს. ჭეშმარიტებაა, ისიც რომ როცა რაიმე აგვტკივდება მაშინ თუ მივაკითხავთ ექიმს, ავადმყოფობის დროს გვეიმედება ექიმები, სხვა შემთხვევაში ძაღლი უფრო ერთგული და საიმედოდ მიგვაჩნია. მწარე ირონია იგრძნობა ,,ფილოსოფოსის" განმარტებაში: ფილოსოფოსი არის შეშლილი, რომელსაც შესწევს უნარი მისი ილუზიები გაანალიზოს („**All are lunatics, but he who can analyze his delusions is called a philosopher").** ბირსის განმარტების თანახმად ,,ფილანტროპი" ის მდიდარი და ხშირად მელოტი ადამიანია, ვინც გაწვრთნილია ღიმილში მაშინაც კი, როცა სინდისი მის ჯიბეში იწყებს ფათურს - „**Philanthropist -** A rich (and usually bald) old gentleman, who has trained himself to grin while his conscience is picking his pocket".

თუკი დავაკვირდებით ამბროზი ბირსის განმარტებებს თითოეული მათგანის უკან მეტაფორა იმალება ფორმულით: A is B. კოგნიტური მეტაფორების მაგალითებია: Optimism is the doctrine or belief that everything is beautiful, including what is ugly; გარდა მეტაფორული ფორმისა, ამ სატირულ ციტატებში სხვა სტილისტიკურ ხერხებსაც ვხვდებით: შავი იუმორი, სატირა, იუმორი, გაზვიადება, ეპითეტი და სხვა.

ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონი" 1970 წელს შევიდა ,,ამერიკული ლიტერატურის 100 საუკეთესო წიგნთა" რიცხვში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მაღალმხატვრულ დონეს.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე სიტყვის დეფინიცია ბირსისეულად და მივედით დასკვნამდე, რომ ბირსის მიერ განმარტებული სიტყვები უბრალო დეფინიციები როდია. თითოეული მათგანი შეიძლება ამოვკრიბოთ ლექსიკონიდან და როგორც ციტატა, როგორც აფორიზმი ისე წარმოვადგინოთ. ბირსისეულ დეფინიციებს შეიძლება მივცეთ არა მარტო ციტატის (What is a democrat? One who believes that the republicans have ruined the country. What is a republican? One who believes that the democrats would ruin the country) და აფორიზმის სახე, არამედ გამოცანის სახეც, მაგალითად: What is the name of the Garment worn by child when its mother is feeling chilly? პასუხია: სვიტერი. როგორც ვხედავთ ამ სახით სიტყვების განმარტება ძალიან სახალისოა და კარგი იქნება მათი გამოყენება ინგლისური ენის პრაქტიკულ გაკვეთილებზე.

ჩემი აზრით, ამბროზი ბირსის ეს ლექსიკონი მხოლოდ ლექსიკონი არაა, იგი სატირული ციტატების კრებულია, რომლის სტილისტიკური (მხატვრული) ღირებულება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ტრადიციული ლექსიკონებისა. ამ ლექსიკონით ბირსი წარმოგვიდგება, როგორც სატირიკოსი და ამავდროულად ფილოსოფოსი. მას გამჭრიახი გონი და თვალი აქვს და საზოგადოების ყველა მანკიერ მხარეს ამჩნევს. იგი ცდილობს ჩვენც დაგვანახოს ეს მანკიერი მხარეები და გარდაქმნას ჩვენი მოსაზრება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ambrose Bierce, “The Unabridged Devil’s dictionary quotes”, მოძიებულია მარტი, 2018, https://www.goodreads.com/work/quotes/865289-the-unabridged-devil-s-dictionary

2. Ambrose Bierce, (April 2003) "The Devil’s Dictionary", მოძიებულია მარტი, 2018, http://www.authorama.com/the-devils-dictionary-10.html

3. Anthony Madrid (October 25, 2017), "The Seventy-Four Best Entries in The Devil’s Dictionary", მოძებულია მარტი 2018, https://www.theparisreview.org/blog/2017/10/25/best-bits-devils-dictionary/.

Burkenadze Mariam

On Satirical Aphorisms (According to Ambrose Bierce's "The Devil's Dictionary")

Abstract

In this work is shown the research of "Devil's Dictionary", particularly the definition of twenty words. The aim of the research is to find out the originality of dictionary, is this only a simple attempt to create a dictionary or has it other value as well. The methodology used to make a research is the method of observation, comparison and description. As a result we can conclude that the words definitions given by Ambrose Bierce are not only definitions, but they can be used as aphorisms and quotes as well.

სიკეთის მონიზმი ბასილი დიდთან

ვახტანგ ჯიჯიეშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის
დამატებითი სპეციალობის III კურსის სტუდენტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი ზაქარაძე,
ფილოსოფიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომში გაანალიზებულია სიკეთის მონიზმის იდეა კაპადოკიელი მამების ცნობილ წარმომადგენელთან, ბასილ დიდთან. შესავალ ნაწილში ნაჩვენები მაქვს ბასილი დიდის განსაკუთრებული მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში. მას მთარგმნელიც გამორჩეული შეხვდა - ექვთიმე ათონელი. შემდგომ ნაწილში საუბარია სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე ბასილ დიდსა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან. ბასილი დიდის აქ მოხმობილი აზრი იმითაა საინტერესო, რომ სიკეთე არ ეწინააღმდეგება ბოროტებას, იმდენად, რამდენადაც ბოროტება საერთოდ არ არსებოს და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია სიკეთესა და ბოროტებას შორის ტოლ-სწორობასა და წინააღმდეგობაზე საუბარი. ბასილი დიდს იმის თქმა უნდა, რომ ღმერთი თვითონ სიკეთეა და შეუძლებელია მან ბოროტება წარმოშვას. ბასილ დიდი ასაბუთებს ბოროტების არასუბსტანციურობის, „უარსებობის“ იდეას. ბასილი არ უარყოფს, რომ ქვეყნად არსებობს ბოროტება, უსამართლობა და სხვ. იგი ცდილობს, მკაცრი მონიზმის საფუძველზე დაასაბუთოს, რომ ყველაფერი, რაც არსებობს ღმერთის ნებითაა, შეცდომაა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბოროტების მიზეზი ღმერთია. ნაშრომში გამოკვეთილია ბოროტების საფუძველმდებარე ნების თავისუფლება. ბასილის აზრით, ბოროტება ადამიანური თავისუფალი ნების პროდუქტია. მაგრამ არსებითია, ის, რომ ბასილ დიდთან ბოროტება სიკეთის კლებაა. ამგვარად

გაგებული ბოროტების დაძლევა, გადალახვა კი შესაძლებელია. სწორედ ეს იდეა - სიკეთის მონიზმისა და ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ პროდუქტიულად აითვისა შუა საუკუნეების არა მხოლოდ ფილოსოფიურმა და საღვთისმეტყველო აზროვნებამ, არამედ ძველმა ქართულმა მწერლობამ.

შესავალი

შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში თვალნათლივ იკვეთება სიკეთის მონიზმის ფილოსოფიურ-თეოლოგიური იდეის დიდი გავლენები. ეს გავლენები თვალსაჩინოა არა მხოლოდ ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო შინაარსის ტექსტებში, არამედ ძველ ქართულ მწერლობაშიც. ასე მაგ: შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანში". აქედან მნიშვნელოვანია იმ პირველსაწყისების, იმ გავლენების ისტორიის კვლევა, თუ რა გზით შემოდის ეს ძველ ქართულ აზროვნებაში. ქართულ ფილოსოფიაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სიკეთის მონიზმის იდეა ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი არეოპაგიტული კორპუსიდან შემოვიდა. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიკეთის იდეა თავდაპირველად კაბადოკიელი მამის, ბასილი დიდის ,,სწავლანის" ექვთიმე ათონისეული თარგმანის მეშვეობით შემოვიდა.

ბასილი დიდი დაიბადა 330 წელს კაბადოკიის დედაქალაქ კესარიაში. მან განათლება მშობლიურ კესარიაში მიიღო. ერთხანს ისწავლა კონსტანტინეპოლში, ბოლოს კი ათენში გააგრძელა სწავლა. ათენში მან შეისწავლა ნეოპლატონური ფილოსოფია და აქვე დაუმეგობრდა ცნობილ ღვთისმეტყველს გრიგოლ ნაზიაზნელს. ბასილი დიდი გალხდათ ასევე წმინდა მამის გრიგოლ ნოსელის ძმა.

ძველ ქართულ კულტურაში ბასილის განსაკუთრებული მნიშვნელობა არაერთხელ აღნიშნულა. ქართული ტრადიცია არც ერთ საეკლესიო მამას ისეთი დიდი გულისყურით არ ეკიდება და ისეთ დიდ პატივს არ მიაგებს და არც ერთი მათგანი ისე გათავისებული არა ჰყავს, როგორც ბასილი. მას ქართულად მთარგმნელებიც გამორჩეული შეხვდა: ექვთიმე ათონელმა სრულად თარგმნა მისი ,,ეთიკა", რომელიც შედგება ,,სწავლანისა" და ,,თარგმანებაი ფსალმუნებისა"-გან. მასვე ეკუთვნის ბასილის წერილების თარგმანებიც. ბასილს თარგმნიდნენ გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი.

,,სწავლანი“ საფუძვლიანად განიხილავს სიკეთის მონიზმის რაობას, დროის პრობლემას, პიროვნების თავისუფლების საკითხს, ბერძნულ ფილოსოფიასთან ქრისტიანობის მიმართების საკითხს, ბერძნული ფილოსოფიის შერჩევის პრინციპს და მისი ათვისების საზღვრებს, ქალისა და კაცის თანასწორობას, გონების და ნების მიმართებას, სიბრძნისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირს, სიზმრისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებას და სხვ. ოსტატური თარგმნის წყალობით მთელი ეს პრობლემატიკა შემოვიდა ქართულ აზროვნებაში. ცნებებისათვის მონახულია ადეკვატური ქართული ტერმინები, რომელთაგან ბევრი გაჰყვა ქართულ კულტურას და დღესაც თანამედროვედ გვეჩვენებიან, მაგ., გამოცდილება, ქველმოქმედება, ,,დუმილით ქადაგება“, მეგობრობა, სათნოება, სულის გონება, შიში, ძრძოლა, ,,თუალი იგი სულისაი“ და სხვ. მადლიერ მკითხველს უნებურად მოაგონდება გიორგი ათონელის ნათქვამი ექვთიმეზე - ,,...ეგევითარი თარგმანი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“ (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, 1966: 104).

აღსანიშნავია, რომ სიკეთისა და ბოროტების კვლევას ბასილ დიდმა მიუძღვნა სხვა ტრაქტატიც ,,ექუსთა დღეთათვის“, სხვაგან კი ბასილი უფრო სიკეთისა და ბოროტების მიმართების პრაქტიკულ მხარეებს არკვევს (,,ექუსთა დღეთას“ გამოკლებით). საერთო აზრის შესაქმნელად, მოკლედ შევეხოთ სიკეთისა და ბოროტების მიმართებას.

სიკეთისა და ბოროტების მიმართება ბასილ დიდსა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან

ბასილი დიდი წერს: *,,არა თუ უფსკრული იგი იყო სიმრავლე ყოველთა წინააღმდგომთაი და არცა იყო ძალი ბოროტისა ხელმწიფებისაი წინააღმდგომ კეთილისა“* [ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961:42]. ბასილის ეს აზრი იმ მხრივაა საინტერესო, რომ აქ ბოროტი კეთილს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ბასილი დიდი სიკეთესა და ბოროტებას შორის წინააღმდეგობას უარყოფს არა იმ აზრით, რომ ისინი სხვადასხვა სიბრტყეებში არიან მოთავსებული, არამედ იმდენად, რამდენადაც ბოროტება საერთოდ არ არსებობს და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია სიკეთესა და ბოროტებას შორის ტოლ-სწორობასა და წინააღმდეგობაზე საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის გაუთავებელი

ბრძოლა იქნებოდა და ხან ერთი გაიმარჯვებდა და ხან-მეორე *,,რამეთუ ოდეს ორნი რაიმე სწორ იყვნიან ურთიერთარს წინააღმდგომთა, უკუე განმრყუნელ არიედ იგინი ურთიერთისა და მარადის არიედ იგინი შფოთსა შინა დაუსრულებელსა. და უკუეთუ სძლოს ერთმან ათგანმან ძალითა თვისითა მოყუასსა თვისსა, წარწყმედელ არს იგი მისი. და უკუეთუ თქუან, ბოროტი ესწორეგის წინააღმდგომითაო, უკუე შემოიღონ მათ ბრძოლაი დაუცადებელი და რყუნილებაი დაუცხრომელი, რამეთუ ოდესმე სძლევდეს იგი და ოდესმე იგი“* [ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961:33]. ბასილი დიდი აქ მოყვანილი თვალსაზრისი, ჯერჯერობით მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ თუკი სიკეთესა და ბოროტებას თანაბარძალოვანი არსებობის უნარს მივანიჭებთ, მაშინ წინააღმდეგობასთან გვექნება საქმე. შეიძლება ითქვას, რომ საკითხის განხილვისას ბასილის პოზიცია უფრო ფილოსოფიური ხასიათისაა და დასაბუთებაც შესაბამისად საფუძვლიანია. ამიტომაც, სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის ბასილისეული თვალსაზრისი საინტერესო იქნება შედარდეს არეოპაგიტიკას. მაგრამ ბასილის პოზიციის უფრო გამოსაკვეთად, შევეხოთ სხვა საკითხებსაც.

ბასილი დიდი ასეთ კითხვას აყენებს - შეიძლება იკითხონ, თუკი სიკეთე ბოროტებას მუდამ სძლევს, მაშინ რატომ არსებობს ბოროტება? ამ კითხვაზე ბასილის პასუხი ასეთია: უმართებულოა მორმწუნე კაცისგან იმის თქმა, რომ ბოროტების არსება ღმერთისაგან მომდინარეობს, ვინაიდან ყოველი ერთმანეთის საწინააღმდეგო ერთმანეთს ვერ დაადგენს „*და ყოვლადვე არა ჯერ არს მორწმუნისა კაცისა თქუმად, ვითარმედ: არსობაი ბოროტისაი ღმრთისგანვე არსო, რამეთუ ყოველივე ურთიერთის ვერ დამამტკიცებელ არს ერთმანეთისა*“[ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 1961:34]. ბასილის აზრით, ისე როგორც სიცოცხლე არ შეიძლება ჩაითვალოს სიკვდილის მშობლად და სიბნელე სიმართლის საწყისად, ასეთივე შეუძლებელია ავადმყოფობა მიჩნეულ იქნას ჯანმრთელობის მოქმედებად. რა იგულისხმება ბასილი დიდის სიტყვებში? ამით ბასილი დიდს იმის თქმა უნდა, რომ ღმერთი თვითონ სიკეთეა და შეუძლებელია მან ბოროტება წარმოშვას. ბასილის ეს აზრი ნეოპლატონური ფილოსოფიიდან უნდა მომდინარეობდეს. პლოტინთან ხომ ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა, ხოლო ბოროტება არა სუბსტანციურია. თუმცა პლატონთან, ისევე როგორც პლოტინთან, ბოროტება მაინცაა დაშვებული სიკეთის ბუნების გამოსამჟღავნებლად (მახარაძე, 1999: 64).

ბოროტების იდეა ბასილთან

ბასილი ასე აყენებს საკითხს: თუკი ბოროტება არ არის ღმერთის მიერ შექმნილი, მაშინ როგორია მისი ბუნება? კითხვას ბასილი ასე იმის გამო აყენებს, რომ ბოროტების არსებობას ვერავინ უარყოფს ,,რამეთუ ვერვინ სოფელსა ამას მყოფი უარ-ჰყოფს ბოროტისაი". ესე იგი, ბასილი ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ რეალურ სინამდვილეში, ცხოვრებაში ბოროტებას მაინც აქვს ადგილი, ამის უარყოფა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია დაისვას კითხვა - რა არის ბოროტება და რაში მდგომარეობს სინამდვილეში არსებული ბოროტების არსება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ბასილის პოზიცია შეიძლება ითქვას ნათელია: ბოროტება სათნოების საწინააღმდეგო მოვლენაა და სიკეთის მოკლებაა *(,,რამეთუ ბოროტი არა არს ბუნებაი ცხოველი და სულიერი, არამედ აღძვრაი სულსა შინა, წინააღდმგომი სათნოებისაი, და არნ იგი უდებთა შორის მოკლებისაგან კეთილისა"* [ფსევდო-დიონისე არეოპაგელი,1961:34]. ბოროტების მიზეზი, ბასილის აზრით, სხვაგან კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ჩვენში, რადგანაც ბოროტება ნებისაგან გადახვევაა ,,არამედ რომელსა ზედა შენ ხელმწიფე ხარ, ნუ ეძიებ მიზეზთა მისთა გარეშეთ, არამედ უწყოდე, ვითარმედ ბოროტი ჭეშმარიტი ნებისა მიდრეკილებისაგან არს" [ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, 1961:22]. თავისი აზრის ნათელსაყოფად, ბასილი ასეთ შედარებას მიმართავს: განა ბნელი - სიბნელე თვისი ბუნებით არსებობს, განა იგი ჰაერის ვნება და სინათლის კლების შედეგი არაა (,,ბნელი ესე არა თუ ბუნებით დგას, არამედ ვნებაი არს იგი ჰაერთა შინა, და არნ იგი მოკლებისაგან ნათელისა"). ეჭვის გარეშეა, რომ ბოროტების რაობის შესახებ ბასილი დიდის თვალსაზრისსა და არეოპაგიტიკას შორის სიახლოვეა, არეოპაგიტიკაშიც ბოროტება სიკეთის კლებაა.

როგორც ითქვა, ბასილი დიდს სპეციალური თხზულება აქვს მიძღვნილი ბოროტების ,,უარსობის", რომ ბოროტება ღმერთის მიერ არაა შექმნილი ,,ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაი"). ამ თხზულებაში ბასილი ავითარებს და აღრმავებს აზრს ბოროტების არარსებობის შესახებ, რომელიც მოცემული იყო ,,ექუსთა დღეთაში". ამასთანავე, ორივე ამ თხზულებაში არსებითად მსჯელობა ეხება სიკეთისა და ბოროტების მიმართებას თეორიულ სფეროში. სხვა ნაშრომებში კი ბასილი ბოროტების ცნების იდეალურ

შინაარს კი არ იხილავს, არამედ იმას თუ პრაქტიკული ცხოვრების ქცევებიდან რომელია ბოროტება და რომელი არა.

ერთნაირი უგუნურება და უმეცრებაა, ვინც იტყვის, რომ ღმერთი არ არის ან ღმერთია ბოროტების მიზეზი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ღმერთის არსებობაა უარყოფილი, ვინაიდან თუ ღმერთი ბოროტების მიზეზია, მაშინ ის სიკეთე ვერ იქნება ,,რამეთუ შესწორებულად პირველისა მის ვიტყვი ამისსაცა ცოდვისა, ვინაითგან ორნივე უარ-ჰყოფენ სახიერებასსა მისსა. ერთი იგი იტყვის, ვითარმედ: ყოვლადვე არა არს და მეორე ეს იტყვის, ვითარმედ: არა სახიერ არს. რამეთუ უკუეთუ მიზეზი არს იგი ბოროტთაჲ, არა სახიერ არს და ამისათვის საცნაურ არ, ვითარმედ ორნივე ეს, ზოგად უარ-ჰყოფენ ღმერთსა“ [ბასილი კესარიელი, 1993:55-56]. აქაც ბასილი იმეორებს იმ აზრს, რომ ღმერთის გამოცხადება ბოროტების წყაროდ უმართებულოა. ეს აზრი გვხვდება „ექუსთა დღეთაში“, მაგრამ ამ თხზულებაში ბასილის პოზი-ცია უფრო მკვეთრია.

ბასილი არ უარყოფს, რომ ქვეყნად არსებობს ბოროტება, უსამართლობა და სხვ. იგი ცდილობს, მკაცრი მონიზმის მიუხედავად, ე.ი. იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი, რაც არსებობს ღმერთის ნებითაა, დაასაბუთოს, რომ აქედან შეცდთომაა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ,,მიზეზი ბოროტთა ღმერთი არს“. ანუ, რომ იგი არაა კეთილი („არა სახიერ არს“). ამგვარი დასკვნა ბასილისთვის იგივეა, რაც ღმერთის არსებობის უარყოფა. ყოველივე, რასაც ჩვენ ბოროტებას ვუწოდებთ: სნეულება, ქალაქთა დაქცევა და სხვ., თუ მიუკერძოებლად შევაფასებთ, ყოველთვის ზუსტი საზღაურია ადამიანთა ცოდვისათვის. ბა-სილს, რასაკვირველია, გათვალისწინებული აქვს შეპასუხებაც: თუ ღმერთი ყოვლისშემძლე და კეთილია, მასვე ბრალდება ადამიანის ამგვარად შექმნაც და ადამიანის ცოდვის მიზეზიც თავად გამოდის. ამრიგად, ადამიანის მიჩნევა ბოროტების მიზეზად მხოლოდ საკითხის გადაწევაა და არა ღმერთის განთავისუფლება ამგვარი ბრალდებისაგან (თევზაძე 1996: 163).

ბოროტების მიზეზი და ნების თავისუფლება

საკითხის გასარკვევად ბასილი განასხვავებს ორგვარ ბოროტს: ის, რაც ჩვენ გვეჩვენება ბოროტად და ის, რაც ,,თვით ბუნებით არს ბოროტ“. ეს უკანასკნელი ჩვენი შექმნილია. ამგვარია უსამართლობა, შური, კაცის კვლა.

მეორეა ის, რაც ჩვენი საჭიროების მიხედვით იწოდება ბოროტად, მაგალითად, ავადმყოფობა, სიღარიბე, სიკვდილი და სხვ. ესენი ბუნების კანონით ხდება და, საბოლოო ანგარიშში, სიკეთის მომტანია. ეს ღმერთის წინასწარ დადგენილი კანონებია და განსხვავდება იმისაგან, რაც საკუთარი ბუნებით ბოროტია, ე.ი. რაც ,,ჩვენისა ნებისაგან არს და განზრახვისა", რანაირად ძნელიც უნდა გვეჩვენოს ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებელი გასაჭირი, იგი მაინც, საბოლოოდ კეთილია, ჩვენი ზნეობისა და მხნეობის გამოცდაა ღმერთის მიერ.აქაც ცხადია, რომ ბოროტების არსებობა, ბასილის მიხედვით, ადამიანის არაკეთილი ქცევებითაა განპირობებული.

სიკეთისა და ბოროტების შემდგომი კვლევისას, ბასილი დიდი მიმართავს ბიბლიას. ამ მხრივ საყურადღებოა იობის გამოცდის ბიბლიური მოთხრობის ბასილისეული ინტერპრეტაცია. ბასილს გამართლებულად მიაჩნია იობის რწმენის სიღრმის დადგენისათვის მისი შვილების მოკვლა, და შემდეგ, იგი ფიქრობს, რომ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ღმერთის მიერ იობისათვის მიცემული სხვა შვილები ისეთივე საზღაური იყო სხვა დანაკარგისათვის, როგორც ხელახლა მიცემული ნახირი და სხვა დოვლათი.

ის განსხვავება, რასაც დიდი თეოლოგი ამ საზღაურთა შორის ხედავს, ადამიანის სულის უკვდავების ქრისტიანულ პრინციპს ემყარება. იობმა ყველაფერი, რაც დაკარგა ორმაგად მიიღო, გარდა შვილებისა, *,,შვილნი სწორად მომკუდართა მათ მიეცეს და არა ორმაგად, რადგან დაღუპულ შვილთა სულები ცოცხლები დარჩნენ და საიქიოში ელოდებოდნენ მშობლებს"*. ბასილი ამ უბედურებას სიკეთედ უთვლის იობს: *,,იხილე-ა, რავდენი მოატყუა იობ თავსა თვისსა მოთმინებითა?"* მას ეს ამბავიც ბოროტების არასუბსტანციურობის, ე.ი. აბსოლუტური ბოროტების საბუთად მიაჩნია.

წინააღმდეგ ,,ურჩულოთაო" ბასილი ამტკიცებს, რომ ღმერთმა მხოლოდ კეთილი დაბადა; ,,ხორცნი ღმერთმა დაჰბადნა, მხოლო სენი არა; სული დაჰბადა, ხოლო ცოდვა არა". ამ საკითხზე მსჯელობისას ბასილი გამოჰკვეთს ცნობილ დებულებას; რომელიც ,,არეოპაგიტიკის" და პეტრიწის გავლით რუსთაველთან კრისტალდება ქართულ ცნობიერებაში: კეთილმა შეუძლებელია ბოროტი დაბადოს (,,ბოროტი კეთილისაგან ვითარ იყო?"). აბსოლუტური ძალის, ღმერთისაგან დაბადებული ბოროტი სუბსტანციური იქნება და გარ-

დუვალი. მის წინააღმდეგ ბრძოლაც უაზრობაა. სხვაა ადამიანის ცოდვასთან დაკავშირებული ბოროტება. მისი მოსპობა ადამიანზევეა დამოკიდებული.

ხოლო თუ ,,მეძიებელი“ იტყვის, რატომ არ განუმტკიცაო ღმერთმა კაცს უცოდველობა, ისე რომ თუნდაც გვინდოდეს, ,,ვერცმა ძალგუედვას ცოდ-ვად?“. ბასილი ამას უაზრო მოთხოვნად მიიჩნევს, რადგან ნების წინასწარ განსაზღვრა, ანუ არჩევანის თავისუფლების წარმთევა ნიშნავს თავად ნების წარმთმევას და ადამიანის ცხოველის დონეზე დაყვანას. ეს ართმევს ადამიანს როგორც ღირსებას, ისე დამოუკიდებლობას. იგი ვეღარ იქნება ვერც ,,მხედარი ქრისტესი“ და ვერც - ,,მორკინალი ჭეშმარიტებისათვის“. ამით აზრს დაკარ-გავს ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლი, რომლის მიზანი იყო შეექმნა შესაძლებლობა ,,რაითა მე ესეზომ ღმერთ ვიქმნა, რაიზომ იგი კაც იქმნა“.

ადამიანში არსებული ნების თავისუფლება სპეციფიკური გამოვლინებაა ყოველი შექმნილისათვის მიწერილი წესისა, რომლის თანახმადაც ,,ყოველთა შინა იპოების წინააღმდგომი“. ადამიანი რომ არ ყოფილიყო ,,თვითმფლო-ბელი მის ნებისათვის“, იგი ვერც იქნებოდა ღვთის ხატი. ადამიანს, ისევე როგორც ღმერთს, აქვს უნარი გაიგოს და აირჩიოს კეთილი, ანდა ბოროტი. განსხვავება ისაა, რომ ღმერთი თავისი აბსოლუტური სიბრძნით მუდამ კეთილს ირჩევს, ადამიანი კი - მხოლოდ მაშინ, როცა იგი თავისი ყველა უნარისათვის გონებისადმი დაქვემდებარებას ახერხებს. სანიმუშოდ ბასილი გულისწყრომის მდგომარეობას არჩევს: გული უნდა ემორჩილებოდეს გონე-ბას. ადამიანმა უნდა ეცადოს, ,,რაითა გულისწყრომაი არა უსწრებდეს გონე-ბასა“... ,,არამედ გუყვეს ვითარცა ცხენი აღვირასხმული“. ეს მნიშვნელოვანი პრინციპი ანტიკური ფილოსოფიიდან პლატონის მიერ სულის ძალთა ურთიერთმიმართების ხატოვან წარმოდგენას უკავშირდება, ხოლო ახალი ფილოსოფიიდან დეკარტის მიერ შეცდომის შესაძლებლობისა და კეთილი ღმერთის თანაარსებობის ახსნის ცდის შორეულ წინამორბედად გვევლინება. შუა საუკუნეების ქართული სინამდვილიდან კი აღვირასხმული ცხენის ხატი გვაგონებს ,,აღვირაყრილ ცხენს“ პეტრიწის ტექსტში, რომელიც ასევე პლატო-ნისეულ მაგალითს უკავშირდება (თევზაძე 1996 :165).

დასკვნა

ბასილი დიდთან სიკეთისა და ბოროტების მიმართებაში გამოიკვეთა ძირითადი თეზისი, რომლის თანახმადაც ბოროტება სიკეთის კლებაა. ისევე, როგორც ბასილი დიდთან, ასევე არეოპაგიტულ მოძღვრებაშიც ბოროტება ღმერთისგან არ მომდინარეობს, იგი სიკეთის კლებაა და მისი გაჩენის მიზეზია ჭეშმარიტებისგან გადახრა. ბასილი დიდს მსგავსად აქვს გაგებული ფსევდო-დიონისეს ბოროტების, როგორც სიკეთის კლების თვალსაზრისი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის თვალსაზრისის აღიარებიდან (მახარაძე 1999:).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილი კესარიელის „სწავლათა“, ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამომცემლობა„ მეცნიერება“, თბილისი. 1983.
2. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1961.
3. თევზაძე გურამ, „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“, გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი. 1996.
4. მახარაძე მიხეილ, „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში“, გამომცემლობა თბილისი. 1999.
5. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, რედაქტ. შ. ხიდაშელი, ტომი I, თბილისი. 1996.

Jijeishvili Vakhtang

Monism of Goodness in Basil the Great

Abstract

The present conference work analyzes the idea of monism of goodness with the famous representative of the Cappadocian Fathers, Basil The Great. In the introductory part i have the special significance of Basil The Great, in the mediaval Georgian thinking. The next part discuss about good and evil by Basil the Great and the Pseudo-Dionysae Areopagel. The idea of Great Basil is interesting. He claims that good does not contradict the evil, insofar evil does not exists at all and therefore it is impossible to speak about right and contradictory between good and evil. Basil Great wants to say that God is goodness itself and cant produce evil. Basil Great supports idea of unbounded evil, the "abyss". Basil does not deny, that there is evil, injustice, etc. in the world. He tries to prove that everything that exists is God's will, and it is wrong to conclude, that evil is the cause of God. In the work there is well-defined fundamental will of evil. In Basil's opinion evil is a product of free will of humanity. And it is also essential that with Basil we meet idea of evil as the lack of godness. Hence it is possivle to overcome evil. This idea - about monism of goodness and unboundance of evil - has been productively acquired not only by mediaval philosophical and theological thinking, but also by old Georgian writings. He tries to prove that everything that exists is God's will, and it is wrong to conclude, that evil is the cause of God. In the work there is well-defined fundamental will of evil. In Basil's opinion evil is a product of free will of humanity. And it is also essential that with Basil we meet idea of evil as the lack of godness. Hence it is possivle to overcome evil. This idea - about monism of goodness and unboundance of evil - has been productively acquired not only by mediaval philosophical and theological thinking, but also by old Georgian writings.

მედიის როლი თანამედროვე სამყაროს კონსტრუირების კონტექსტში

ხატია გორგაძე

ნინო გელენიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფსიქოლოგიის სპეციალობის, პირველი კურსის სტუდენტები
ელ:ფოსტა: gorgadzexatia@gamil.com /ninagelenidze.ng@gmail.com
სამეცნიერი ხელმძღვანელი: ლალი ზაქარაძე,
ფილოსოფიის დეპარტამენტის (ბსუ) პროფესორი

აბსტრაქტი

საკოფერენციო ნაშრომი - „მედიის როლი თანამედროვე სამყაროს კონსტრუირების კონსპექტში“ მკვეთრად წარმოაჩენს მარშალ მაკლუიენის გლობალური სოფლის თეორიას. კანადელი პროფესორის, მედიის ფილოსოფოსის ნაშრომები აქტიურად გამოიყენება საზოგადოებრივ მედიასა და რეკლამაში.

მარშალ მაკლუჰანის ნაშრომები „გავიგოთ მედია“ და „გლობალური სოფელი“ მკვეთრად წარმოაჩენს მედიის როლსა და მნიშვნელობას თანამედროვე სამყაროში.

საკონფერენციო ნაშრომში გაანალიზებულია ნიკლას ლუმანის ტექსტი „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედიაში“ და მისი მთავარი იდეის ტრანსფორმაცია საზოგადოებრივ ევოლუციის და კომუნიკაციის თანამედროვე კონტექსტებში, კერძოდ კი მაკლუიენის ზემოთდასახელებულ ნაშრომებში. მაკლუიენის მედიის ფილოსოფიის მთავარი თემები: მსოფლიო სწრაფი ცვლებადობის პროცესები, სოციალური მედია და მობილური ტექნოლოგიების როლი, გლობალური პერსპექტივები, სოციალური მედიის გავლენები ბიზნესიის განვითარებაზე ინოვაციური ევოლუციის პირობებში.

მედიის როლი თანამედროვე სამყაროს კონსტრუირების კონტექსტში

საზოგადოება ყველა კომუნიკაციურად ხელმისაწვდომი განცდის და ქმედების სოციალური სისტემაა. საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება და მისი ცვლილებები კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზეა დამოკიდებული. მასობრივი მედიის გარეშე მსოფლიო საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა. როგორც მაღალი კულტურებისთვის აუცილებელია დამწერლობა, ასევე მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემის „მუშაობისთვის" აუცილებელია მასობრივი მედია. მსოფლიო საზოგადოების „სინქრონიზაცია" აწმყოში ხდება და ეს მხოლოდ მასობრივი მედიის მეშვეობითაა შესაძლებელი. მასობრივი მედიის პირველადი ფუნქცია კი საზოგადოების ყოველი წევრის რეალობაში ჩართვა და მონაწილეობაა.

ნიკლას ლუმანი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მასობრივი მედიის გარეშე კომუნიკაციას ვერ შეძლებდა. იგი ამბობს: „თუ დიდ მანძილს დავიჭერთ და მკაფიო ცნებით აბსტრაქციას მოვახდენთ, შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ევოლუცია კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზე".

მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მისი კომუნიკაციური ინტეგრაციისათვის მასობრივ მედიას წაიმძღვარებს.

საზოგადოების სტრუქტურები და კომუნიკაციის სახეები პატარ-პატარა ნაბიჯებით ვითარდებოდნენ, მაგრამ სწორედ ამის მეშვეობით შეძლეს მათ სტრუქტურულად მორგებულიყვნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც მათი დღევანდელი ურთიერთდამოკიდებულება ურყევი ფაქტია. „ტექსტთა უბრალო გადაწერით, აზრის რეპროდუქცია საჭირო კომუნიკაციურ კავშირთა დამყარების შესაძლებლობას მას ვერ მისცემდა".

თანამედროვე საზოგადოება ძალიან თავისებურ, ისტორიულად განუმეორებელ ტემპორალურ სტრუქტურებზეა ორიენტირებული. მომავალი მას წარმოუდგენია სხვა შესაძლებლობათა მიმართ ღია, წარსულისაგან პრინციპულად განსხვავებულის სახით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების ტიპთა და კომუნიკაციის სახეთა ფაზების მიმდევრობა უბრალოდ ერთის მიერ მეორის განდევნა და ჩანაცვლება არ არის. აქ უფრო საქმე გვაქვს მეტი

წინამძღვრის მქონე ფორმაციათა დამატებასთან, რომლებიც შემდგომ შესაძლებლობას პირობებს ახლებურად განსაზღვრავენ, და შესაბამისად, ახალ ფუნქიას ანიჭებენ იმას, რაც ძველ სტრუქტურულ მარაგში უკვე მოცემული იყო.

კომუნიკაციის პროცესი არ აერთიანებს ფაქტებს ან მონაცემებს მათი წმინდა ფაქტობრიობის თვალსაზრისით, არამედ იგი აერთიანებს სელექციებს. კომუნიკაცია ყოველთვის სამადგილიანი რელაციაა, რომლის სამივე პოზიცია შემთხვევით სელექციას წარმოადგენს. ესაა: 1) საგნობრივი ვითარება, 2) კომუნიკატორი, 3) მიმღები.

კომუნიკაცია არის პროცესი, რომელიც სელექციებზე სელექციურად რეაგირებს, მაშასადამე, შერჩევითობას აძლიერებს.

მაშასადამე, ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი სელექციატრა ჯაჭვს ქმნის და ამით ჭრის სელექციის პრობლემას. სოციოლოგიურ ანალიზს ის კი არ მოითხოვს, რომ ეს ხდება, არამედ ის, თუ როგორ ხდება ეს.

საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება. საზოგადოების სისტემა შეგვიძლია დავახასიათოთ ერთმანეთისათვის ხელმისაწვდომ, კომუნიკაციურად მიღწევად განცდათა და ქმედებათა ერთობლიობად. კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს.

კომუნიკაციაზე დაფუძნებული საზოგადოების ცნება, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი დაკვირვების სტიმულს იძლევა: საზოგადოებრივი ევოლუციის ძირითადი ფაზები - არქაული საზოგადოება - კომუნიკაციის დომინანტურ სახეთა ცვლილებებით ხასიათდებიან. საზოგადოების სახეთა და კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებს შორის კავშირი აშკარაა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო რთულ საზოგადოებრივ სისტემათა ინტეგრირება და შენარჩუნება, რა სახითაც არ უნდა განხორციელებულიყო მათი განვითარება, კომუნიკაციის ახლებულ ფორმათა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა (ლუმანი 2007: 8).

მსოფლიო საზოგადოების კომუნიკაციური ინტეგრაცია მხოლოდ მასობრივი მედიების საშუალებით არის შესაძლებელი, რომლებმაც, ამასთან, მაღალხარისხვანი, განუზასღვრელი კონტინგენტი შედარებით პირდაპირ უნდა გარდაქმნან გადაცემებათ. ამისთვის სელექციის შემდეგი პრინციპი

გამოიყენება: აქტუალობა, ყურადღების მოხვეჭა და ორგანიზაციული დიფერენცირება როლების და პრობლემების დონეზე.

მასობრივი მედიის სპეციფიკური ფუნქციების შესრულება მხოლოდ სელექციურად არის შესაძლებელი, აგრეთვე, იმის გააზრება, რომ სხვა ფუნქციური სფეროები მაუწყებლობის და პრესის ამ სელექციურობას და არა მხოლოდ ფაქტობრიობას ანგარიშის გაწევას უწყებენ.

ლუმანის შეხედულებები მედიის ფილოსოფიაში, რომელიც დღეს კლასიკად არის აღიარებული, დიდი გავლენები იქონია მედიის ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე.

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი მედიის ფილოსოფოსი გახლავთ მარშალ მაკლუიენი[1] (1911-1980), კანადელი ფილოსოფოსი, ლიტერეტურული კრიტიკოსი, კომუნიკაციების თეორიტიკოსი და სოციოლოგი.

მაკლუიენის აზრით, „სოციალური მედია არის ტერმინი, რომელიც აღწერს მედიის ტიპს, რომელიც ეფუძნება ადამიანებს შორის საუბრებსა და ურთიერთობებს. სოციალური მედია, მედიის საშულებით არის შექმნილი და გავრცელებული სოციალურ ურთიერთობებში, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და მასშტაბური საგამომცემლო ტექნიკის გამოყენებით. სოციალური მედია თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა. სოციალურმა მედიამ შესაძლებელი გახადა ინდივიდუალური არჩევანის გაკეთება, მათი წაკითხვა შინაარს და მოსაზრებას ქმნის.

სოციალურმა მედიამ ჩვენს ეკონომიკაში სხვადასხვა სექტორზე დიდი გავლენა მოახდინა. სოციალური მედიის სახეცვლილებებმა მრავალი სიახლე შექმნა ჟურნალისტებისთვის. სოციალურმა მედიამ გაუადვილა ჟურნალისტებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სოციალურმა მედიამ შესაძლებელი გახადა ჟურნალისტებისთვის მეტი აუდიტორიის ჩართვა-კონტროლი, ინფორმაციის სწრაფად გავრცელება. მან უზრუნველყო აუდიტორიასთან ორმხრივი ჩართულობა, მნიშვნელოვნად შეცვალა ჟურნალისტების კომუნიკაცია აუდიტორიასთან და, მეორე მხრივ, აუდიტორიის ჩართულობა მიმდინარე დისკუსიებში (Marshall McLuhan 1964: იხ. ლინკი).

---

[1] მარშალ მაკლუიენს თანამედროვე კრიტიკოსები ხშირად უწოდებენ კომუნიკაციების „გურუს“.

Marshall McLuhan იწინასწარმეტყველა მსოფლიო გლობალური სამყაროს მაკონსტრუირებელი სისტემის, ურთიერთდაკავშირებული სოციალური ქსელების სისტემა, რომელიც თანამედროვე პოპულარული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

1964 წელს გლობალურ სოფელში, მაკლუჰანში და თანაავტორი ბრიუს რ. პაუერს სთავაზობს დეტალურ კონცეპტუალურ ჩარჩოებს, რომელთა თვალსაზრისით გვხდება მომავლის წარმოჩენა. მათი თეორიის გულში არის ის, რომ დღევანდელი ტექნოლოგიების მომხმარებელი დაიჭირეს მსოფლიოს ორი განსხვავებულ გზას შორის. ერთი მხრივ არის ის, რასაც ისინი ვიზუალურ სივრცეს უწოდებენ - დასავლეთის სამყაროს დამახასიათებელი აღქმის ხაზოვანი, რაოდენობრივი მეთოდი; მეორე მხრივ, არსებობს აკუსტიკური სივრცე - აღმოსავლეთის ჰოლისტიკური, ხარისხობრივი აზროვნება. ბეჭდური მედიის ავტორები ამტკიცებენ, ხელს უწყობენ და ინარჩუნებენ ვიზუალური სივრცის აღქმას; მაგრამ, როგორც ტელევიზიის მსგავსად, მონაცემთა ბაზის ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო სატელიტი და გლობალური მედია ქსელი უბიძგებენ მომხმარებლებს უფრო დინამიკას, „მრავალზე ორიენტირებულ“ აკუსტიკური სივრცის ორიენტაციას.(Marshall McLuhan, Bruce R. Powers მიმოხილვა).

ავტორები გვაფრთხილებენ, რომ ეს მოძრაობა აკუსტიკური სივრცის მიმართ არ შეიძლება შეუფერხებლად წავიდეს. მართლაც, McLuhan და Powers ამტკიცებენ, რომ სამყაროს გლობალური სოფელი - შედეგად მსოფლიო კომუნიკაციების - ეს ორი Worldviews "slamming ერთმანეთს სიჩქარე სინათლის," ამტკიცებს, რომ „გასაღები, მშვიდობა, უნდა გვესმოდეს ორივე ეს სისტემები ერთდროულად.“

McLuhan- ის კონცეფცია „ტეტრადის“ კონცეფცია - ახალი ტექნოლოგიების მიერ გამოწვეული ცვლილებების პროგნოზირებისთვის - ავტორები აანალიზებენ შეხედულებების ამ შეჯახებას. ისინი არ ცდილობენ დღეს გააკეთონ ის, რაც მაკლეჰანმა ასე წარმატებით გააკეთა ოცდახუთი წლის წინათ - მომავალი სამყაროს კუთხის გარშემო და ყველაფერს დაგვეხმარება.

მარშალ მაკლუიენის სახელთან არის დაკავშირებული გლობალური სოფლის კონცეფციის პოპულარიზება და მის სოციალურ ეფექტების განხილ-

ვა-ანალიზი. კრიტიკოსთა შეფასებებით, მისი შეხედულებები რევოლუციურია და ფუნდამენტურად ცვლის დამოკიდებულება მედიის, ტექნოლოგიების და კომუნიკაციების მიმართ.

მაკლუიენმა გააზრებულად აირჩია საკუთარი თეორიის და წიგნის სახელწოდებად „გლობალური სოფელი“ და ხაზი გავუსვა მის დაკვირვებას, რომ ელექტრონული „ნერვული სისტემა“ ანუ მედია სწრაფად ინტეგრირდება პლანეტაზე - მსოფლიოს ერთ ნაწილში განვითარებული მოვლენები შეიძლება რეალურ დროში სხვა ნაწილში იყოს განცდილი, რაც ადამიანს მიანიშნებს, რომ პატარა სოფლებში ვცხოვრობთ.

მაკლუიენის „გლობალური სოფელი“ მისი წიგნების პოპულარიზაცია გუტენბერგი გალაქტიკა: ტიპოგრაფიული კაცის დამზადება (1962) და გაცნობა მედია (1964). მაკლუიენი აღწერს, თუ როგორია მსოფლიოში კონტრაქტი? ინფორმაციის ყოველ კვარტალში ყველა წერტილი ინფორმაციის გავრცელება, ამავე დროს არის ტერმინი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკისა და სხვა სოციალურ მეცნიერებებს შორის არსებულ ურთიერთობებს მთელს მსოფლიოში.

მაკლუენი თვლიდა რომ „რეკლმა მე-20 საუკუნეში შექმნილი ხელოვნების დარგია“.

საბაზრო ურთიერთობათა და კონკურენციის ნორმალური განვითარება შეუძლებელია რეკლამის, როგორც ბაზარზე საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების გასაღების ერთ-ერთი ძირითადი საშუალების გარეშე. მაკლუიენის ფრაზა „კარგი რეკლამა - კარგი ახალი ამბების ტოლფასია“.

მაკლუიენი მოიხმოს გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის, ნიკოლოზ ტესლას მართლაც რომ წინასწარმეტყველურ აზრს კომუნიკაციის ტექნოლოგიების მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1937 წელს ჟურნალ Colliers-თან ინტერვიუში იყო გამოთქმული: „როდესაც უსადენო ტექნოლოგია კარგად იქნება გამოყენებული, მთელი დედამიწა გადაიქცევა უზარმაზარ ტვინად, რაც რეალურად ასეც არის, ყოველი პატარა ნაწილაკი მთელის რეალური და რიტმული შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ერთმანეთთან დაუყოვნებლივ შეგვიძლია დაკავშირება მიუხედავად მანძილისა [...]; ტელევიზიითა და ტელეფონით ჩვენ ვნახავთ და მოვისმინეთ სრულყოფილად ერთმანეთს ისე, თითქოს პირისპირ ვიყოთ, მიუხედავად ათასობით მილის

დაშორებისა. ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შევძლებთ ამ ყველაფრის განხორციელებას, იქნება გასაოცრი, ბევრად მარტივი, ვიდრე დღევანდელი ტელეფონია. ადამიანს შეეძლება გამოიყენოს და ატაროს იგი თავის გულის ჯიბითაც" (McLuhan M 1968:).

მაკლუიენის „გლობალური სოფელი“ არის თეორია, რომელიც გამოხატავს ეკონომიკის და ტექნოლოგიების განვითარებასა და სოციალურ მეცნიერებებს შორის არსებულ ურთიერთობებს მთელს მსოფლიოში. მაკლუიენი აღწერს, თუ როგორი იქნება მსოფლიო ელექტრო ტექნოლოგიებით და მყისიერი გადაადგილებით, ყოველ კვარტალში და ყოველ წერტილიში ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას წიგნების როლზე თანამედროვე სამყაროს მომავალ პერსპექტივაში. კერძოდ, მისი აზრით, წიგნი კვლავაც მნიშვნელოვანია, მაგრამ განსხვავებული როლი ენიჭება. წიგნის როლი მცირდება, წიგნები სწავლების საშუალება იყო, სწავლების მანქანა რენესანსის დროს, დღეს კი ჩვენ მრავალი სასწავლო მანქანა გვყავს - ყველგან სწავლობენ, არა მხოლოდ სკოლაში წიგნებიდან (ნაბეჭდი გვერდებიდან), არამედ მედია სივრცით. შეიცვალა დრო და განათლების ხაზები, ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში, მათ შორის წიგნებს ენაცვლება მედია. ასე, რომ მედია მარტოოდენ ინფორმაციის გავრცელება-მიღების საშუალებიდან განათლების საშუალებად იქცა.

ადამიანები იყენებენ ტექნოლოგიებს, რომელიც ციფრულ თანამეგობრობას ემსგავსება, სადაც ისინი აღარ არიან ერთმანეთთან ფიზიკურ კავშირში. სოციალური მედია-პლატფორმა არის „ციფრული საცხოვრებელი სახლი“ თითოეული ადამიანისათვის, რომელმაც საშუალება მისცა ადამიანებს გამოხატონ საკუთარი „გლობალური სოფელი“ .

მაკლუიენის გლობალური სოფლის თეორიაში გაანალიზებულია ინტერნეტის უპირატესობა და გავლენები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტექსტში. მისი აზრით, ინტერნეტში, ფიზიკურ დისტანციაზე ნაკლებად არის შეზღუდული ხალხის რეალურ დროში საკომუნიკაციო საქმიანობა. სოციალური სფეროები ფართოდ გაფართოვდა ვებ-გვერდების ღიაობით და მარტივად შეუძლიათ ადამიანებს ონლაინ თემების მოძიება და ურთიერთდაკავშირება. მაკლუიენის აზრით, პრესის სოციალური და პოლიტიკური

ფუნქციების მოულოდნელმა ჩანაცვლებამ გაძლიერებული კომუნიკაციის საშუალებებით, ადამიანის ინფორმირებულობის ინტენსივობა „მკვეთრად გაზარდა". კომუნიკაციის ფორმების ცვალებადობის ტემპები კი მნიშვნელოვნად ავითარებს ადამიანთა მიერ ინფორმაციის უსწრაფესი გავრცელება-ათვისების უნარებს. ამასთან, შესაძლებელი ხდება მსოფლიოს მოვლენებზე უსწრაფესი რეაგირება, რაც აიძულებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს მთელს მსოფლიოში მეტად გაიაზრიონ „გლობალური პასუხისმგებლობა".

ნაშრომში „Gutenberg Galaxy" (1961) მაკლიუენი დეტალურად განიხილავს ელექტრონული მედიის - ტელევიზია, ტელეფონი, რადიო - გავლენას თანამედროვე „ელექტრონულ საზოგადოებაზე", რომელიც ელექტრონულ მედიის მეშვეობით მთელს მსოფლიოში სწრაფად დააკავშირებს სხვადასხვა სამყაროს. სამყარო ერთ, გლობალურ სოფელს ემსგავსება (მაკლუიენი 1968: იხ. ლინკი).

მან დაინახა მსოფლიოს ადგილი, სადაც თითოეული ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, იყო ერთმანეთთან დაკავშირებული „მყისიერი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით".

მასევე სჯეროდა, რომ მასობრივი კომუნიკაციით, არავინ არ არის მოშორებული მსოფლიოში. „მყისიერი მიკროსქემის ქვეშ", „დრო არ არის დისტანციური დროში ან სივრცეში" (მაკლუიენი 1968: იხ. ლინკი).

მაკლუიენის აზრით, მყისიერი კომუნიკაცია ხალხს მოვლენების და მრავალი გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს და არ აქვს მნიშვნელობა მსოფლიოს რომელ ნაწილში ხდება. თითქოს მანძილი, ანუ დროისა და სივრცის საზღვრები არც არის გამოყოფილი, წაშლილია.

მაკლუიენის აზრით, თანამედროვე ადამიანი „ელექტრონული ადამიანია", მისი ცხოვრებაც ელექტონული ცხოვრებაა, ცხოვრება გლობალურ სოფელში, სადაც ყველა ადამიანი ხდება სხვისი სიუჟეტის ნაწილი და გამოცდილება.

ახალ პერსპექტივებს აყალიბებდა მარშალ მაკ ლუმანი. 21-ე საუკუნის თანამედრო ადმიანს მოუწევს ფიქრი მედიის როლზე საზოგადოებაში. „გავიგოთ მეიდია", მისი როლი და გავლენა. ეს თანამედროვე სამყაროს რეალური აღქმის უმთავრესი საფუძველია, ხოლო თანამედროვე ადმინისთვის

უპირობო ამოცანები. თანამედროვე ადმინმა მკვეთრად უნდ აგაიაზროს ტექ-ნიკისა და მედიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკლას ლუმანი, „საზოგადიოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, გამომცემლობა „არხე“, თბილისი. 2007.
2. ლალი ზაქარაძე, ფილოსოფია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრანსფორ-მაციის პროცესში: მედიის ფილოსოფია // საერთაშორისო კონფერენციის მასალები: ჰუმანიტარული მეცნიერებები თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, ტ. II, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009.
3. თენგიზ ირემაძე, გიორგი თავაძე, განაზრებანი ინტერნეტის ფილოსოფიის ზოგიერთი ასპექტის შესახებ, იხ. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, შრომები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები -2, თბილისი, 2010.
4. McLuhan M., Fiore Q. War and Peace in the Global Village. — N.Y.: Bantam, 1968.//
5. McLuhan M., Understanding Media: The Extensions of Man. — N.Y.: McGraw Hill, 1964. //
6. Favour Anthony, (ON SEPTEMBER 1, 2015), "How social media makes the world ‘global village’", მოძიებულია მარტი, 2018 წელი, https://www.vanguardngr.com/2015/09/how-social-media-makes-the-world-global-village/

Gelenidze Nino; Gorgadze Khatia

The Role of Media in the Context of Constructing Modern World: Marshall McLuhan's "The Global Village"

Abstract

The conference work - "The Role of Media in the Context of Constructing Contemporary World" sharply demonstrates the theory of the Global Village proposed by Marshall McLuhan. The works of the Canadian professor and media philosopher are actively used in public media and advertising.

Marshall McLuhan's works "Understanding Media" and "Global Village" clearly demonstrate the role and importance of media in the modern-day world.

The conference work analyzes Niklas Luhmann's text ""Changes in the System of Social Communication and the Mass Media" (Veränderungen im System gesellschaftlicher Kommunikation und die Massenmedien) and the transformation of its main idea in the modern contexts of public evolution and communication, namely, in the above-mentioned works of McLuhan. The main topics of McLuhan's media philosophy are: processes of a rapidly changing world, social media and the role of mobile technologies, global perspectives, the impacts of social media on business development under the conditions of innovative evolution.

სარჩევი

ეკონომიკის სექცია

ნესტან ვარშანიძე; თამარ ვარშანიძე - სამომხმარებლო კალათა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში 3
Varshanidze Nestan; Varshanidze Tamar - Consumer Basket and Structure of Consumer Expenditure in Georgia 17

ხათუნა თურმანიძე - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა საქართველოში 18
Khatuna Turmanidze - Specific Direct Investments and Economic Growth in Georgia 31

მზია შავაძე, მაყვალა შავაძე - მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე 32

ბიზნესის ადმინისტრირების სექცია

რუსუდან ზოიძე - საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში 41
Zoidze Rusudan - Pension System Reform in Georgia 53

დავით ფარტენაძე - საარჩევნო პლაკატები და სლოგანები, როგორც ღირებულებათა ტრანსფორმაციის ინდიკატორი 54
Phartenadze Davit - Election Posters and Slogans as Indicators of Value Transformation 67

სამართალმცოდნეობის სექცია

არჩილ ჯინჭარაძე - კორუფცია პოლიტიკაში - პრობლემები და გამოწვევები 68
Jintcharadze Archil - Corruption in Politics – Problems and Challenges 82

თამარ გვარიშვილი - სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალური საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შედარებითი ანალიზი 83
Gvarishvili Tamar - The Language of Activities, Official Proceedings and Legal Writings of State and Local Self Governing Organs. Comparative Analysis of Legislations in Georgia and Foreign Countries 94

პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების სექცია

მარიამ ირემაძე - სოციალური ინსტიტუტები, როგორც სოციალიზაციის მთავარი აგენტები (ოჯახი) 95
Iremadze Mariam - Social Institutes as the Main Agents of Socialization (Family) 107

ლია ირემაძე - 1994 წლის რუანდის გენოციდი და საერთაშორისო თანამეგორობა 108
Iremadze Lia - Rwanda Genocide in 1994 and International Community 120

ფსიქოლოგიის სექცია

ირმა ბოლქვაძე - ფაქტორ „თავისის“ მოქმედება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში 121
Bolkvadze Irma - Impact of Factor “Own” in Pre-school Children 130

ხატია გორგაძე - დისოციაციური აშლილობა 131
Gorgadze Khatia - Dissociative Disorders 140

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების სექცია

ქეთევან ღლონტი - ელექტროდიალიზი - რძის შრატის გადამუშავების პერსპექტიული მეთოდია 141
Glonti Ketevan - Electrodialysis is a Perspective Method of Milk Serum Processing 151

მარიამ სიხარულიძე - კორკონდანტობა და დისკორკონდანტობა იდენტურ და არაიდენტურ ტყუპებში 152
Sikharulidze Mariam - Analysis of Some genetic Indices in Mono and Dizygotic Twins 164

სოფიკო ზოიძე, თამრიკო კაკალაძე - შავი ზღვის აუზის აჭარის რეგიონის მდინარეების, წყლების ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლების სეზონური დინამიკა და მათი ეკოლოგიური შეფასება 165
Kakaladze Tamriko; ZoidzeSophiko - Seasonal Dynamics and Ecological Evaluation of Physical-Chemical and Microbiological Indices of the Rivers in Ajara Region of the Black Sea Basin 174

მედიცინის სექცია

Ashish Kumar - Development and nutrition from 0 to 1 175

Rajneesh Khurana - Micrornas as potential diagnostic and therapeutic targets in breast cancer 186

Vaibhav Babel - “Rare and neglected” 195

გეოგრაფიის სექცია

დავით ბაკურაძე - თერმული რეჟიმის ცვლილება აჭარაში გლობალური პროცესების ფონზე 205
Bakuridze Davit - Change of Thermal Regime in Ajara against the Background of Global Processes 218

გურანდა ძირკვაძე - აჭარის მოსახლეობის ძირითადი საკითხები 219
Dzirkvadze Guranda - The Main Issue of the Population of Batumi 227

ნათია ცინარიძე - ნარჩენების მართვის პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები 228
Tsinaridze Natia - Waste Management problems and the Ways of Elimination 238

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის სექცია

გიორგი ბოლქვაძე - ორგანული ნარჩენების კომპოსტირება და მისი როლი ორგანულ მიწათმოქმედებასა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებაში 239
Bolkvadze Giorgi - Composting of Organic Waste and Its Role in Organic Farming and Obtaining Ecologically Clean Products 251

თეა მახარაძე - ქ. ბათუმის სავაჭრო ქსელში გაყიდვაში არსებული ძეხვეულში ნიტრიტების შემცველობა 252
Makharadze Tea - Nitrite Content in Sausages on Sale in Batumi Trade Network 257

აგროინჟინერიისა და აგროტექნოლოგიების სექცია

ვახტანგ გარუჩავა - საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ზოგიერთი ჯიში 258
Garuchava Vakhtang - Rabbit Husbandry in Georgia 271

დარინა გაბაიძე - სალათის კულტურა აჭარაში 272
Gabaidze Darina - Lattice Crop in Ajara 282

მამუკა ძირკვაძე - „დაფნის კულტურის ზრდა- განვითარების თავისებურებანი აჭარაში“ 283
Dzirkvadze Mamuka - Peculiarities of Laurel Growth in Ajara 292

ზუსტ მეცნიერებათა მიმართულების სექცია

თამთა კახიძე - პროექტის მართვა დროის ფასისა და საკომპრომისო გადაწყვეტილების მიხედვით 293
Kakhidze Tamta - Project Management according to Time Price and Compromising Decision 304

დავით ჯაკობია - ტურბულენტურ დაჯახებად მაგნიტოაქტიურ პლაზმაში გაბნეული გამოსხივების კუთხური სპექტრის სიმძლავრის თავისებურებები 305
Jakobia Davit - Spatial Specter Peculiarities of Radiation Scattered as Turbulent families in Magnitoactive Plasm 315

ჯაბა შაინიძე - მზის ელემენტის მახასითებელი სიდიდეების განსაზღვრის ექსპერიმენტული და თეორიული მეთოდები 316
Shainidze Jaba - Experimental and Theoretical Methods for defining Solar Element Indices 325

ისტორიის სექცია

ალექსანდრე ზაქარიაძე - პოლონელები ნაპოლეონის არმიაში 326
Zakariadze Aleksandre - The Poles in Napoleon's Army 333

გიორგი ბაციკაძე - 1924 წლის აჯანყება საქართველოში 334
Batsikadze Giorgi - Rebellion in Georgia in 1924 343

ინგა თავბერიძე - ერკეთის მონასტრის ისტორიიდან 344
Tavberidze Inga - From the History of Erketi Monastery 353

რუსუდან ღოღობერიძე - მუსტაფა ქემალ ათათურქი და 1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში 354
Gogoberidze Rusudan - Mustafa Kemal Ataturk and National-Liberation Movement in Turkey in 1918-1923 379

მაიკო შანთაძე - „თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები 2002-2017 წლებში“ 380

ლუკა თანდილავა - აჭარაში მცხოვრებ ლაზთა ეთნოგრაფიული ეტიუდები 398
Tandilava Luka - Ethnographic Sketches on the LAz Living in Ajara 411

არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის სექცია

გიორგი ქავთარაძე - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი რწმენა-წარმოდგენები საბეჭდავი მასალების მიხედვით 412
Kavtaradze Giorgi - Ancient Beliefs in South-Western Georgia (According to Printing Materials) 424

სალომე დუმბაძე - ფაიანსის ნაწარმი გონიო-აფსაროსის ციხიდან 425
Dumbadze Salome - Fiance Products from Gonio-Apsaros Castle 431

ეკა ტაკიძე - 2017 წელს გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მინის ნაკეთობანი 432
Takidze Eka - Glass Ware Found in Gonio-Apsaros in 2017 437

ლიტერატურისა და ფოლკლორის სექცია

თათია დავითაძე - მომოღერების რიტუალი პონტოელ ბერძნებში და ძველი ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა) 438
Davitadze Tatia - "Momogerebi" Ritual in Pontic Greeks 449

თამარ ბაქანიძე - ადამიანი საზოგადოების პირისპირ 450
Bakanidze Tamar - Topical issues of Georgian Literature 458

სოფიკო თურმანიძე - ტოლერანტობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ 459
Turmanidze Sophiko - Tolerance in “The Knight in the Panther’s Skin” 470

ენათმეცნიერების სექცია

თალიკო დავითაძე - ფრაზეოლოგიზმები პოსტმოდერნისტულ შემოქმედებაში (ზურაბ ქარუმიძე „ღვინომუქი ზღვა“) 471
Davitadze Taliko - Phraseology in Postmodernist Works (Zurab Karumidze’s “The Winedark Sea”) 484

ლია ბოლქვაძე - სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურები სოციალურ ქსელში 485
Bolkvadze Lia - Sensational and Intriguing Headlines in Social Network 501

ლიკა რომანაძე - ახალგაზრდების მეტყველების ენობრივი საშუალებები 502
Romanadze Lika - Linguistic Means of Communication and Their Peculiarities in the Speech of the Georgian Youth 513

ინგლისური ფილოლოგიის სექცია

მარიამ ნაკაიძე - ბიოლოგიური მეტაფორები ეკონომიკურ დისკურსში 514
Nakaidze Mariam - Biological Metaphors in Economic Newspaper Articles 524

თამთა ნაგერვაძე - „ავტორის ხმა აკა მორჩილაძის ნაწარმოებსა და მის თარგმანში „კაგდატა ინ ჯორჯია“ 525
Nagervadze Tamta - The Author’s Voice in Aka Morchiladze’s “Kogdata in Georgia” 538

მარიამ ბურკენაძე - სატირული აფორიზმების საკითხისათვის (ამბროზი ბირსის ,,ეშმაკის ლექსიკონის“ მასალაზე) 539
Burkenadze Mariam - On Satirical Aphorisms (According to Ambrose Bierce’s “The Devil’s Dictionary“) 546

ფილოსოფიის სექცია

ვახტანგ ჯიჯიეშვილი - სიკეთის მონიზმი ბასილი დიდთან 547
Jijeishvili Vakhtang - Monism of Goodness in Basil the Great 556

ხატია გორგაძე, ნინო გელენიძე - მედიის როლი თანამედროვე სამყაროს კონსტრუირების კონტექსტში 557
Gelenidze Nino; Gorgadze Khatia - The Role of Media in the Context of Constructing Modern World: Marshall McLuhan’s “The Global Village” 566

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.11.2019
ფიზიკური თაბახი 35.8
ტირაჟი 135

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12